

119
1957/4



მედიუმები

12

დობრომბიანი



1957



საქართველოს
ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის ცენტრალური
და საზოგადოებრივ-კულტურული შტაბი

წელიწადი 34-ე

№ 12

დეკემბერი, 1957 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

7617

შ ი ნ ა კ რ ს ი

ოთარ ქელიძე — ლექსები	39-3
კონსტანტინე გამსახურდია — დაეით იღმამუნებელი. ტეტრალოგია (მეოთხე წიგნის პირველი ნაწილის დასასრული)	6
თამაზ ჭილაძე — ლექსები	21
იაკინთე ლისაშვილი — ერთგულება. რომანი (დასასრული)	23
ანა ხახუტაშვილი — ოსებ ლალიშვილი სანფრანცისკოში (ნაწყვეტი მეორე წიგნიდან)	87
მირიან აბულაძე — ბალადა საკეთარ ლექსებზე	93
მიხეილ ლავერძია — მოთხრობები, თარგმანი აკაკი გეჭიჭიძისა	95
ვრ. ბერძენიშვილი — ნასაიკიარის ლამე. პიესა (დასასრული)	103
იასონ გაბილაია — ილიასთან გაცნობა-გაბაასება	123

ქრიტიკა და კუბლიცისტიკა

გიორგი მარგველაშვილი — გრიგოლ აბაშიძის პოეზია	125
არჩილ ხულაყური — ვეტეკ ისააკიანი	133
ბროფ. ვ. წარიძე — მოგზაურობა მექსიკაში	137

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ალ. ბარამიძე — „სობრძნე სიცურის“ ვერსიით	141
აკაკი გაწერელია — მასალა ვახტანგ VI-ის ბიოგრაფიისათვის	150
ფატი გოკიელი — ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარგმანები უცხოურ ენებზე	162


ჩვენი მისწოდებები

შოთა შიშიგური — აკაკი შანიძე	170
სერგი ულენტი — გიორგი იხელუდიანი	177

მ. შ. 2 გვ.

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი





შალვა რადიანი — დიდი ქართველი მწერლის ნააზრევო	183
ვ. ჭავჭავია — საყურადღებო მეცნიერული ნაშრომი	185
სიმონ არველაძე — მონოგრაფია იროდიონ ედოშვილზე	189
დავით კომახიძე — მოთხრობა საკოლმეურნეო სოფელზე	191
ახალი წიგნები	გარეკანის შესაშვ

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, დ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),
გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ბელმოწერილი დასაბეჭდად 17/XII-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 674.
უე 03266. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიკამოცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили. 5.

მოთა ჭილიძე



ქმაკაცს

დღეა მეძახის — პური გატეხე!..
მე კი ღამეს ვტეხ პურის მაგიერ.
უძილო ღამევე, წუთით დამგხსენ,
საგულეს ჩადგეს გული წამიერ.
არც არყით მთვრალი, არც შეშლილი
ვარ,

ვხედავ ცხადია, განა სიზმარი.
მამას მარხავენ და მეშინია,
არ გაებზაროს კუბოს ფიცარი.
უძილო ღამემ შეუბრალებლად
მაჩვენა ჩემი სისხლის ნაწილი,
ჩემი გოგონას ლურჯი თვალები
სამშობლოს ცით და მიწით ავსილი.
კედელს შევხედე. მამის სურათი
თავს დამცქეროდა მანუგეშებლად.

— შეილო, დაგტოვე, კაცი პურადი,
შეილო, ცხოვრების გზა ნუ გეშლება.
გზები პატიმრის, გზები სალდათის
წაუჩოქებლად გამომივლია.
ჩემი ფილტვები განა თამბაქოს,
ომების ცეცხლით გაბოლილია.
შვილის სიკვდილიც ნუ შეგაშინებს,
გულს მარტოობა ნუ გინაკლულებს,
მამის სურათმა თქვა და მაშინვე
ჩადგა დაღლილი გული საგულეს.
და ამის შემდეგ ომახიანად
შენკენ მეძახის გული ამღენხანს...
ულმერთო ღამის ტეხას კი არა,
ვარჩევ ქმაკაცთან პურის გატეხას.

ყრუ ყორანი

აღარ ეგონა, თუ გასძლებდა ამ საღამომდის,
ოხერი სული სასულიდან აღარ ამოსდის.
ზის ყრუ ყორანი ნარიყალის მისადგომებთან,
რაც გარდახდია, რაც უნახავს, ის აგონდება.
სამას წელიწადს დააფრენდნენ ფრთები ჰაერში,
იჯიჯგნებოდა უპატრონო ცხედრის თვალებში,
არარაობად არ შიაჩნდა ვრცელი ქვეყანა,
როგორც საყენკი, ქალაქები ფერხითთ ეყარა.
მისთვის შურდული უსროლია რამდენ თაობას,
ხარხარს აყრიდა ონაერთა გამბედაობას.
რამდენი ბიჭი შეაჯიბრა თოფის სროლაში,
რამდენი ბაღლი დააბერა დროის სრბოლაში.
არა, არასდროს არ ყოფილა იგი დაქრილი,
გამოჩნდებოდა მწუხარში, როგორც მშვიდი აჩრდილი.
შავადმოსილი, შავბრწყალემა, ფლიდი, მუხთალი
იჯდა საფლავთან, როგორც დიდი ქირისუფალი.
რამდენ ქალაქის დაბადება, გადაშენება,
გაპარტახება, დამარცხება, დანახშირება,
მკვდრეთით აღდგომა, აყვავება, აღორძინება,
რამდენი წყვილის დაშორება, დაქორწინება,
რამდენი აკენის ამღერება მოუსმენია,
რამდენ დაერდომილს მის სამწყსოში მოუსვენია...

მაგრამ ყორანსაც მოგონებდა აქვს სიცოცხლეში არც ცხენის მძორი, არც სახედრის, არც მხეცის ლეშის მასაც ათრობდა ერთი ყორანის ფრთები ყომრალი, ყრუ ყრუ... სიმღერით ატყვევებდა ყორანს ყორანი. ციხის თუ ტაძრის ნანგრევებში შეფარებული შეყვარებულზე ყრულზედა შეყვარებული. ერთ დროს შევარდნებს ატყდებოდა რისხვა-მეხივით, ახლა ქონგურზე დევს უსულო ქვის ნატეხივით. აღარ ეგონა, თუ გასძლებდა ამ სალამოდის, ოხერი სული სასულიდან აღარ ამოსდის. ფრთები ჩერებივით დასქენძია ქარში, წვიმაში, დგას აღსასრულის უკანასკნელ წამის წინაშე, სისხლი თანდათან ეყინება ლურჯად ძარღვებში, ძველი ცოდვანი ეკლებივით უჩანს თვალებში. უცებ ყორანი დაინახავს თვალებს ანთებულს, თვალებს სიცოცხლის სიყვარულით ათინათებულს, მოდის ქაბუცი, გულში უხმოდ ამღერებელი, თმები ერხევა კოჯრის ქარით აღელვებული. მოდის სიცოცხლე, გაზაფხული და სიყვარული, კონა, ცრემლები, დამორცხვება, დარდი ფარული. გზაზე მომავალს მიმავალი უმზერს ფრინველი და ყრუ გუგუნი ეუფლება გულს საშინელი. უნდა დასწყევლოს, დაიხზავლოს თავისებურად, მაგრამ რას ხედავს, ახალგაზრდა დადის მეფურად, ხელში არც ვარდნი უკავია და არც იანი, დადის, დაეძებს ადამიანს ადამიანი. უცებ კისკისით დაირღვევა წყნარი სალამო, თითქოს რეკავსო გათენების ზარი საამო. მწუხრში ქალწულის გამოჩნდება ტანი საროსი, შემოსალტული ტანს უნაკეთავს ტანისამოსი. გადახევევა შექოჩორას შეენაწნაევა და ბებერ ყორანს ავიწყდება გარდაცვალება.

მიტოვებული სახლი

მიტოვებული სახლი და რაქა.
იმ სახლისადმი თვალის შევლება
ოცი წლის წინათ ხსოვნაში ჩამრჩა,
როგორც ნამდვილი საშინელება
ყავარახდილი კედლები, შავი,
წვიმით და თოვლით სველი სარკმლები,
ყორის ნანგრევზე ბებერი ყვავი,
და გარეშემო ძველი კაკლები.
რომ ჩაუვლიდი მიდამოს ახლოს,
პირჯვარს ვიწერდი სახლის ნახვამზე,
იმ კარმიდამოს და სამოსახლოს
ვერიდებოდი ცხრა დღის სავალზე.

რად მაშინებდა სიბნელე მისი
და რიკულები ჩაეჩანებულო...
ნუთუ არ იყო შეხედვის ღირსი
ერთდროს სიცოცხლით გაჩაღებული.
დღეს ვამბობ: რისთვის დაობლდა ოდა.
ოდა და შერე განა მდიდარი.
მის პატრონს არა, არ ჰქონდა ცოდვა,
სიმართლის გარდა, არაეითარი.
ქისკენ მიმავალ, გადაშლილ ბილიკს
გადამწვანებულს, აბალახებულს
მისდევდა მკვდარი შენობის ჩრდილი,
როგორც ტკივილი გადასახლებულს.

შებენდებისას ჩხავილი ყვავთა
 გლოვის, წუხილის ზარად ისმოდა.
 იდგა სიკვდილის აზრდილი სახლთან,
 სადაც მაისი არ მაისობდა.
 მშვიერი მგლების ნაღვლიან ძახილს
 უპასუხებდა ძალი ყმულით.
 სიბნელის ზღვაში ობოლი სახლი
 ძრწოდა სოფლიდან გარიყულივით.

ვილას არ უწყის, ჩემსავეით რამდენს
 ნახვა ალონებს ამგვარ სახლებს,
 ალბათ ციმბირის ტყეებში სადმე
 დაეცა მსხვერპლი გადასახლების.
 დაეცა, მაგრამ სიკვდილის წინაც
 ხალხის, პარტიის იყო ერთგული.
 და ხსოვნად დარჩა წმინდათა წმინდა
 სახლი სოფელში მიტოვებული.

ახვავი მიქელ მოღრეკილისა

პავლე ინგოროყვას

საუკუნიდან საუკუნემდე
 ამ საგალობელთ აგუგუნებდნენ,
 და სიციცხლეში რაკი მელირსა
 მოსმენა მკედრეთით აღმდგარ წყაროთა,
 მეგონა მკვიდრი იბერთ ქვეყნისა
 ჩემთა პაპათა პაპა წამოდგა.
 მხარზე ვეფხისტყავგადაგდებული,
 სიყვარულისთვის თაუდადებული
 თითქოს დარბაზში აღსდგა ზვიადი
 და სასწაულად კაცი განორჩადა,
 ერის ჯაგარი და ხსიათი
 მის აზავთებულ ჰანგში გამოჩნდა.
 მოძმე არაბთა, სპარსთა, ინდოთა,
 გაზრდილი ლაშქრად სარაინდოთა,
 შეე და მეწამულ ზღვათა მლახველი,
 კეთილთ ნუგეში, აეთა მსახერელი
 აღსდგა მდაბალი და ხანდაზმული,
 თვალი აღანთო ახალგაზრდული.
 ბურჯი ქვეყნისა და ამაგდარი
 ამღერდა მიქელ მკედრეთით აღმდგარი,
 დასქევა მტერთა შესაშინებლად
 ათასსამასი საგალობელი
 და ბოლოს... ხალხში ერთ კაცს შეხედა,
 უყანწოდ ვერ თქვა სამადლობელი...



ღამით აღაშენებელი*

ბატრალოვა

აბულმესია

ამირ ახმეტი გოცებელი იყო: სელ-ჯუქიანთა და განძელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ისე მიაღწია დამპალას ციხემდის, არც მეფე სჩანდა სადმე და არც მისი სპასალარები. მსტოვარები კი იღწყებოდნენ: დავით მეფე დიდძალი სპით დაბანაკებულიაო ამ ციხის მისადგომებში.

ალაგ ალაგ ვიწროებში შეეხებებოდნენ მათ ტანმორჩილ მთიულურ ცხენებზე აღმხედრებული მეომრები, რომელნიც პანკისის ხეობაში მოგროვილი ჰყავდა ხევისთავს ხორანასძეს. ისინი წარამარა თავს ესხმოდნენ მეწინავეებს, ხან ლაშქრის უკან მიშავალ შეკარვეებს, მერე მეებს, დიდ ზიანს აყენებდნენ თურქებს... მათ თავზე ეხურათ ქეჩის შავი ქუდები, რომელთაც მუზარადებს ქვეშ ატარებდნენ ხოლმე რაინდები, ხოლო ამჟამად საქართველოს აღმოსავლეთში კოლმეურნენი ხმარობენ.

ამ შავქუდიანების წურთვნა დაავალა ლაშქრის ამირამ ამირ ჰუსეინს, აკინჯის ჯარი გაცოფებული ებრძოდა მათ, მაგრამ შავქუდიანებს ისეთი ფეხმარდი ფხოვერი ცხენები ჰყავდათ, მტწილად თქურ და არაბულ ცხენებზე აღმხედრებულ თურქებისანი ვერ ეწეოდნენ მათ.

დაბანაკება ვერ მოასწრო ლაშქრის ამირამ, შეკარვეებს თავს დაესხნენ შავქუდიანები კვლავ და როცა ამირ

ჰუსეინმა მცირე სპით გასდია მომხედურებს, იგი უკვე გადააწყდა კახეთ-ჰერეთის ერისთავების არიშინისა და ბარამისძის მონასპებს...

ლაშქრის ამირას ბრძანებისამებრ თრიალეთელი და კახეთ-ჰერეთელი განდგომილებისაგან შემდგარი ცხენოსანი ათასეული წარგზავნეს, მას ხელმძღვანელობდნენ წითლოსან დუკისძე და ჰერეთელი დიდაზნაური ვახან ვახანისძე.

ამ ბრძოლაში მსუბუქად დასკრეს წითლოსან დუკისძე. ამირ ახმეტი განძის ათაბაგის სპიანად წარგზავნას აპირებდა, მაგრამ ორივე ერისთავმა სილამით ისარგებლეს და უსიერ ტევრებში გაუჩინარდნენ.

ქართველი რენეგატები კარგ გუნებაზე დააყენა ამ ამბავმა. დუკისძეს ომბიანობა შემატა კრილობამ.

აგრე ვარაუდობდა იგი: დამიფასებენო ამ თავდადებას თურქები. დუკისძე ახლა უკვე ხაცვებით დარწმუნებული იყო: დავით მეფე შეკრთა, კახეთ-ჰერეთი დასთმო, სამივე ამირა ოტებულ მეფეს ქართლში გადაჰყვებიან და კახეთ-ჰერეთი განდგომილებს დარჩებოდა საუფლოდ. ამის გამო სიტყვა ჩამოუგდო კიდევაც წითლოსანმა სამივე სარდალს გზაში...

განძის ათაბაგი და ამირ ჰუსეინი გულის გარედ კვერს უკრავდნენ დუკისძეს, ხოლო ომის ხენჯებში გამოწრთობილი ამირ ახმეტი მღუმარედ უსმენდა მის ნაუბარს.

•
•

ნასამხრალზე მხვერავეები წარგზავნა ჩრდილოეთისკენ ლაშქრის ამირამ, საფუძვლიანად მოაჩხრეკინა ასწლოვანი მუნჯარებით შემორაგვეული ახო და მისი შემოგარენი, მერმე თავათ შეჯდა თავის ვერცხლისფერ არაბულ ულაცხე, მცირე სპაი აიყოლია და ერთ მოშიშველებულ კონცხზე, რომელიც ივრის ხეობას გადასცქეროდა დაადგმევინა თავისი დიდი კარავი.

ლაშქრის მხვერავეებს და მოყურადეთ სამი ფარასანგის მანძილზე წრიულად მოწყობილი ჰქონდათ საგუშაგონი, სარეჯგვაეები და ხაფანგები, ხოლო ზოგვან მგლის ორმოები, რათა დავით მეფეს სპათა დამეულ თავდასხმისაგან დაეცვათ ლაშქარი.

მეორე დღეს დაიწყო დარბაზობა დიდ კარავში. ლაშქრის ამირას ეახლნენ ძღვნიანად კახეთ-ჰერეთელი განაპატიებულა აზნაურები და მთართვეს მას ნასუქალი ულაცები, ქართველი ოსტატების მიერ ნაკეთები თორნი და ცხენსაკაჟში, ცოცხალი ჯეირნები, მშველენი, ხოხბები და საგანგებოდ დატკბილული კახური ღვინოები.

სირაქლემას ფრთებით ზუნდამშვენიებული, ხმალამოწვდილი გულიამები გახევებულნი იდგნენ დიდი კარავის შესასვლელში. მუხლმოყრილ ზანგებს ნაძვის კვარები ეჭირათ ხელში. სპილენძის საყურებიან მონებს მოჰქონდათ ნაირნაირი საკმლით სავსე ვერცხლის ლანგარები.

ლაშქრის ამირა ნატებზე¹ იჯდა ფეხმორთხმული, მის უკან იდგნენ ათასისთავები, მხარმარცხნივ თრიალეთელი და კახეთ-ჰერეთელი აზნაურებიც ნატებზე ისხდნენ. ნაძვის მორზე ცხენურად გადამაჯდარიყო კაშნაგირი, დატკბილულ კახურ ლიკინოებს მიართმევდა მეინახეებს, ლაშქრის ამირა გამალებული უთვალთვალებდა კაშნაგირს თუმცა იგი

განძელი იყო, მაინც ეშინოდა, არ მომწამლონო ამ წყეულმა გეტყვებოდა.

პურობის დაწყებისას ამირა ახმეტე უტუნებოდ იყო, იგი მდუმარედ მიართმევდა ქიშიშით დატკბილულ ფლავს, თავის გრძელ თითებს ილოკავდა, ხანაც აბოყინებდა, მაგრამ როცა ზედხედ გამოსცალა რამდენიმე ფილა, ლაწვისთავები შეუფაქლდა და საუბარს უშატა.

ქორივით უბრიალებდა თავის მშვენიერ, ფირუზისფერ თვალებს თრიალეთელ და კახეთ-ჰერეთელ რენგატებს. ისინი ბორძივით ზოზონიდნენ თურქულად და როცა მათ ნათქვამს თავს ვერ გაართმევდა, წარამარა ხელს მოუცაცუნებდა ზაზაი ჯებიელს და შეეკითხებოდა რა თქვა, რა თქვაო?...

ამირ ახმეტი თვალს არ ამორებდა თრიალეთელებსა და კახელებს შორის ფეხმორთხმულ შაწვერა ვაყკაცს, დიდაზნაურს ვახან ვახანისძეს, რომელიც გატყრინული იჯდა თავის თვისტომთა შორის და ზაზაი ჯებიელს ათარგმინებდა ლაშქრის ამირას ყოველ სიტყვას.

ამირ ახმეტი წარამარა გადახედავდა ამ დევკაცს, რომელსაც კამეჩის მოზვერივით ქელი ჰქონდა, ყორნისფერი თმა ბეჭებზე სცემდა, ქლალი საკურტაკე ჯაჭვი ეცვა მოლალურისფერ კაფტანზე.

თავის ღროისათვის ფრიად განათლებული ამირა ერთბაშად გაერკვა იმ არეულ ვითარებაში, რომელიც დამყარდა სელჯუქიანთა და განძელთა კახეთში შემოჭრის გამო ამ მხარეში.

ამირა მახვდა რომ სწორედ ამ ვახან ვახანისძეს, კვირიკე და აღსართან კახთა მეფეების დედისძმისწულს, თვალის ეჭირა კახეთ-ჰერეთის ტახტზე, ხოლო წითლოსან დუქისძე, რომელსაც აღსართან კახთა მეფის დიდი ჰყავდა ცოლად, თრიალეთის საერისთავოს არა სჯერდებოდა, წარამარა ლიქნიდა ლაშქრის ამირას, თანაც აღუთქვამდა: დავით მეფეს მოგაშთობინებ, სამაგიეროდ კახეთ-ჰერეთი და თრიალეთიც შეუნდა მომცესო დიდმა სულტანმა საუფლოდ.

¹ ნატი — ტყვის ბაღში

ლაშქრის ამირას მობეზრებული ჰქონდა ერთი და იგივეს მოსმენა. ამჯერადაც თავი ვერ გაართვა წითლოსან დუქისძის ბეუტურს, ზაზაი ჯუაღის მოუცაცუნა მხარზე თავისი გრძელი, გრძელი ხელი და უთხრა: გადამითარგმნეო.

როცა ჯუბიელმა დალაგებულად უთარგმნა მას წითლოსან დუქისძის გაჯახირებული ნაუბარი, ამირ ახმეტმა ჯერ ზეაწყობა თავისი დაფანჩეული, ხშირი წარბები, მერმე ისევე მოიღუშა და თარჯიმანს მიუბრუნდა კვლავ:

„შენ აუხსენი იმ აზნაურს, კარგად დაიხსომოს რასაც ვეტყვი, მთავარზე უმთავრესია: ჯერ დათვი მოვკლათ და ტყავის გაყოფის გამო მერმე ვიფიქროთ-თქო“.

ამასობაში ფეხშიშველა მონებმა შემოიბრუნეს შამფურზე შემწვარი კვიცი.

ლაშქრის ამირამ წაიკარწახა თავისი კაბის სახელურები, გაფარვარებული დანა აიღო ხელში, შემწვარ კვიცს მისწვდა. ჯერ თავის სინზე დაიდო მოზრდილი ულუფა, მერმე თავაოვე სთლიდა და მიართმევდა ამირ გოზგოლის, ამირ ჰუსეინს, შემდეგი და შემდეგი ჩამონათალი გაუწოდა წითლოსან დუქისძესა და ვახან ვახანისძეს. ბოლოს პრილა დანა ხელში მიაჩემა გრძელულვაშებიან ათასისთავს, მის გასწვრივ მდგომარეს და უბრძანა დანარჩენთათვის ეწილაღებინა.

ქართველი რენეგატები უსიამოდ შეიმთხვენენ ცხენის ხორცის მიწოდებისას, მაღლობა მიაგეს გულზე მასპინძელს, მაგრამ ტუჩპირამდის მიუტანელად ფრთხილად დასდევს მათ წინაშე დადგმულ ვერცხლის სინებზე. ამირ ახმეტმა ეს შეინიშნა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს.

როცა ქართველები თავიანთ კარგებში წავიდნენ, ამირ ახმეტმა მზერა გაუმართა განძის ამირას და სთქვა:

„გაურჯებმა არ ინებეს ცხენის ხორცის ქამა. მე აგრე მგონია, ყველა, ვინც ჩვენს საკმელს არა სკამს და ჩვენს ენაზე კარგად ვერ მეტყველებს,

ჩვენი მოძულეა უცილოდ. იცოდეთ ჩვენ ფრიად მუხანათ მტრებთან გვაქვს საქმე.

ამ ხალხს ხელს უწყობს ეს გამოუცეხლავი, უსიერი ტყვეები და გაუვალი ქაოხები.

ჩვენ სელჯუკიანებს მეტწილად შიმველ ტრამალეებზე მობინადრე ხალხებთან გვქონდა საქმე, ტრამალეებზე აღმართული ციხეების აღება უფრო იოლია, წყაროები მოსწყვიტე და ლოდსატყორცნები მიაყენე. ჩვენს მიერ დამარცხებული ტომები ცხენოსნები იყვნენ უპირატესად, მათი ცხენები წინ ვერ დაუდგნენ ჩვენს საომარ ლოინებსა და სპილოებს.

გაურჯისტანში აქლემი და სპილო ვერ გამოგვადგება, ამ გაურჯების ციხეები ისეთ მთებზეა აგებული, ვერც აქლემი მიუდგება მათ, ვერც სპილო და ვერც ლოდსატყორცი...
 როგორც ჩვენი მსტოვარები იუწყებოდნენ, გაურჯისტანის ტომებს დიდი განხეთქილება აქვთ ურთიერთშორის, ჩვენ ეს ამბავი ჯეროვნად უნდა გამოვიყენოთ.

„ისინი“, სთქვა ამირ ახმეტმა, თრიალეთელებისა და კახეთ-პერეთელების ცალიერ ნატებზე გაიშვირა თითი, „ჩვენ უთუოდ გამოგვადგებიან დავით მეფესთან ბრძოლაში“.

ახლა ამირ გოზგოლისა და ამირ ჰუსეინს გადახედა მორიგეობით და უთხრა:

„თქვენ ჩვენზე უკეთ იცნობთ მათ. როგორც ყოველი ხალხი, რომელსაც საკუთარი თავის იმედი არა აქვს, იგივე თავისი თავის მოლაღატენი არიან.

ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ განხეთქილებითა. ალბათ განაგონი გექნებათ ცნობილი იგავი: ძაღლებთან მებრძოლმა დერვიშმა ქვეები რა ვერ მოახელა, გზაზე მიმცოცავ გველს მისწვდა და გველი ესროლა გამძვინვარებულ ძაღლებს“.

ორივე ამირამ თავი დაუქნია, ლაშქ-

რის ამირამ ისევ დახედა ქართველი რენეგატების ნაჯდომ ნატებს და დასძინა:

„ეს გველებიც უნდა გამოვიყენოთ იმ ძალების წინააღმდეგ“.

ამირ ახმეტმა კვლავ გადასანლა კვიციის ბექის მოზრდილი ნაპერი და სთქვა:

„ერთი ხელის მოსმით ვერც ერთ ხალხს ვერ გასტენს თვით უდიდესი მტერიცა. თუ გსურს რომელიმე უცხო ნათესავი დაიპყრო და ალლაპის მოძღვრებას აზიარო, მას ერთობლივად არ უნდა შეუტეო. ერთ ნაწილს უნდა მოეფერო და დაქრთამო, ხოლო დანარჩენი ამოსწყვიტო, რადგან ყოველი ხალხი ქვიშასა ჰგავს, ხელს წაატან თუ არა, თითებს შორის გაგიძვრება.“

კლდეებს უმაღლესმანამ ერთის დაკერით, ვიდრე ქვიშას.

ბერძნებს, სომხებსა და სირიელებს ჩვენ აგრე მოვერიეთ: რა შეუნიშნავდით ორი ტომი ებრძოდა ურთიერთს, ერთ მათგანს დაეუყვავებდით, ან მოვისყიდით, ურთიერთს მივუხევედით, როცა ისინი ყელში სწვდებოდნენ ერთმანეთს, ორივეს მოუუთავებდით ხელს. უარეს შემთხვევაში ჩვენ განზე გავდგებოდით და წაიკიდებულთა სისხლის ღვრას შევცქეროდით გულგრილად.

მუდამ უნდა გვახსოვდეს რომ მხოლოდ ალლაპის მორწმუნეთა სისხლია ოქროზე უძვირფასესი. გაიურების სისხლი რა ბედენაა, ამიტომაც მუდამ უნდა ვეცადოთ ურთიერთს შევებრძოლოთ მოპამედის კანონის მტერნი და საკუთარ სისხლში ამოვახრჩოთ ალლაპის ურჩნი.

არ უნდა დაგვავიწყდეს ყურანში ნათხრობი იგავი ძალების გამო. ძალების ხროვას ერთობლივად როდი უნდა შეუტეოთ, ზოგს დაეუყვავოთ, ზოგსაც ქვა ვესროლოთ. რადგან წინასწარმეტყველი აგრე გვასწავლის: „როგორც კი შეუტევე ძალთაგანს, იგი უთუოდ გამოაგდება ენას.“

მე ძველი მენადირე ვარ და დღეის გონიერებას დავეკირვებივარ. როცა დათვი ბუძვით შემოსილ წაბლს მოახელებს, ერთბაშად როდი მოუნდომებს გადასანსვლას, არამედ ჯერ კბენია ქაცვებს შემოაცლის, გლეხაყფს გახლეს, დააქუცმაცებს, მერმე ნაწილანაწილად შეიქცევა ნადავლს.

ალლაპის ნება ყოველ არსებაში ცხადდება ხოლმე ეამიდან ეამზე და ჩვენი ვალია ყურადვილოთ ეს ნიშნება უხესთავისა.“



სელჯუქიანთა და განძელთა ლაშქარს დღითიღვე აკლდებოდა სურსათი. ამირ ჰუსეინის თურქომანები ამოოდ დაძრწოდნენ დაცალიერებულ სოფლებში, მოსახლეობამ აქაც უკვე მოასწრო პანკისისა და ილტოს ხეობებში ხეასტაგისა და ფარების გალაღვა, ათასში ერთხელ წააწყვდებოდნენ ხოლმე უმნიშვნელო ნოტოს ცხვრისას, ან დაბერებულ კამეჩებს, ძეძვებში მოარულთ, ხან ქათმებსა და ბატებს მოიტანდნენ ბანაკში.

დრო მიდიოდა, ხევისთავი ხორანასძე თავისი შექუდიანებით მოსვენებას არ აძლევდა ბანაკების გარშემო გალურსულ მხვეარავებსა და მსტოვარებს, ღამლამობით თავს ესხმოდა მათ, ხანაც თავათ სპათა კარვებს წაეპარებოდნენ და ხოცავდნენ სელჯუქიანებსა და განძელებს.

ერისთავები არიშიანი და ბარამისძე ორ სამჯერ დღისით შეებრძოდნენ განძელებს და დიდი ზიანი მიაცენეს.

ამირ ახმეტი ბრახობდა, ვერც მისმა მსტოვარებმა, ვერც ქართველმა რენეგატებმა ვერ დაადგინეს რას აპირებდა დავით მეფე. ლაშქარის ამირას სწყუროდა გადამწყვეტი ბრძოლა მიეცა მეფისათვის. დრტვინავდნენ სპანიცა, თუ ომი ომი იყოს, ამ კაობიან ტყეებში სანაპდის ვეყართო.

ციებამ ხელი დარიდა სელჯუქიანებს, წყაროების წყალი ლაშქარს არა ყოფ-



ნიდა, ივრის წყლისაგან მუცლის საღმობა შეეყარა მათ, ასიოდე მხედარი იმსხვერპლა ამ სენმა.

მოხშირდა ღამეული თავდასხმები, სამივე ამირას ბანაკები მოუსვენრობამ შეიპყრო. ცხენების მოვლაც გაჭირდა, თურქები დადგამდნენ თუ არა თივის ზვინებს, შავქუდიანები ცეცხლს შეუგზნებდნენ, საძოვრად გალალავდნენ ცხენთა რემებს, თავს ესხმოდნენ მერემებს, უწყალოდ ხოცავდნენ მათ, ხოლო ცხენებს იტაცებდნენ.

ლაშქრის ამირა უკვე შიშობდა: ვაი თუ დაზამთრებამდის ვერ შევძლოთ დავით მეფესთან პირისპირ შეხვედრა.

ამირ ახმეტს ძლიერ ეშინოდა ლაშქრის უკმაყოფილებისა, მას გაფრთხილებული ჰყავდა მოლარეთუხუცეები: ქირის სპისათვის დროზე მიეცათ ხელფასი, მაგრამ ისპაჰანიდან ახლად მიღებული დიპრემები უხმარი გახდნენ, რადგან სასყიდელი არაფერი ჰქონდათ.

ათასიოდე ცხვარი და ამდენივე სული ხვასტაგი საგანგებოდ ჰყავდათ შემონახული ამირების, მათი ამაღის და ლაშქრის ამირას წითელკაფტანიანი მცირე სპისათვის, რომელიც ისპაჰანიდან გამოატანეს ამირ ახმეტს როგორც მცველნი და უმამაცესი მოიერიშენი.

ლაშქრის ამირამ უბრძანა აკინჯის ჯარის წინამდგომს ამირ ჰუსეინს: მარბიელი გაეშვა ივრის გაღმა გამოღმა.

ამირ ჰუსეინმა იორს გამოღმა გაგზავნა თავისი ნაცვალის სულტანის ეჯიბყოფილი ისხაკ ბენ ჰუსამა, რომელიც ათეული წლის მანძილზე ძარცვავდა სირიასა და კილიკიაში სომეხებსა და სირიელებს ხოლო თავათ ამირ ჰუსეინმა გაღმა გაიყვანა მომეტებული ნაწილი სპისა.

მერმე ის იყო თურქომანები შეესიერ სოფლებსა და დაბებს, საძმლებსა და გომურებს ცეცხლი შეუგზნეს, ვენახებსა და ხილის ბაღებს უმოწყალოდ სჩეხდნენ, ძარცვავდნენ მგზავრებს, ხანძარს უჩენდნენ ტყეებს.

ძნელბედობის მიუხედავად, მშობლობას, წ. დოდოს მონასტერში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. ხატიონები გალანებში ვერ დატეულიყვნენ, მოჩარდახებულ ურმების ჩრდილში ისხდნენ და პურობდნენ.

აკინჯის ჯარის მეწინავენი რა შენიშნეს, მოხუცები, ქალები და ბაღლები მონასტრის გალანში გადაიყვანეს, თავათ კი მონასტრის მისადგომებთან შეებრძოლნენ თეთრთაფახიან ცხენოსნებს.

როცა ახალი და ახალი რაზმეულები მიერთდნენ თურქომანებს, ხატიონებმა გალანს შეათარეს თავი და რკინის კიშკარი დახშეს.

ამირ ჰუსეინი მახლობელ კორღზე იდგა. ერთბაშად საიდანაც გაჩნდნენ მთიულურ მომცრო ცხენებზე მსხდარი შავქუდიანი მხედრები, მონასტრის გარს შემოერტყნენ, რკინის კიშკარი გაიღო ანაზღად, შუბებითა და ხმლებით აღკურვილი ხატიონები გამოცვივდნენ, შავქუდიანებს მიერთდნენ და საერთო ძალით უუთაქციეს თურქომანთა მეწინავენი.

ამირ ჰუსეინი საკუთარ თვალს არ უჯერებდა, რა შენიშნა თეთრთაფახიანი თურქომანები მოეშენნენ ბრძოლას და გამოქნდნენ იმ კორდისაკენ, რომელზედაც იდგნენ აკინჯის წინამდგომი და მისი ამაღა.

ამირამ ცხენს დეზი ჰკრა, ქენებით წინ შეეგება ოტებულთ, მკახედ დასწყვილა და ჰაერში მოლაპლაპე ხმლით ანიშნა: უკან მომყევითო.

მცირე მანძილი უკლდათ მონასტრის მისადგომებთან, ამირ ჰუსეინი ცხენიდან ჩამოხტა, ანაზღად დაქვეითდა მისი ამაღა და მთელი ათასეული...

ხატიონებმა ისევე გახსნიეს რკინის კიშკარი, ხვეისთავმა ხორანაძემ რა შენიშნა მონასტრის მისადგომებთან ამაო იქნებოდა ბრძოლა, ცხენები დაათმობინა თავის რაზმეულს და გალანებს გადაღმა გამაგრება არჩია.

ახლა გალაკენებიდან დაუშინეს ქვა და ისარი თურქომანებს. ამირას წინ გაუძღვა ორი მეაბჯრე, რომელთაც უზარმაზარი ფარი მიჰქონდათ, თორმეტი მეხმლე და მეაბჯრე გვერდით მისდევდნენ მას.

სეტყევასავით წამოვიდა გალაკენებიდან ქვა და ისარი, ამირა ჰუსეინი გალაკენების კარიბჭისაკენ გაემართა ხმალომწვდილი, ერთბაშად უზარმაზარი ლოდი გადმოისროლეს მაღლიდან, ფარის მზიდველთაგანს მოხვდა და ვააცხები-ნა სულა. ხელახლა იყვია ამირა ჰუსეინმა „აღლაჰ“, უფაროდ გაემართა წინ.

თურქომანები გამხნეულენ, ისინი უკვე თავიანთი დახოცილ თვისტომთა ცხედრებზე დგებოდნენ და რკინის ქიშკრისაკენ მიიწევდნენ.

ამაოდ ეჯაჯგურნენ ქიშკარს, მაგრამ ამასობაში წვერწითელა ასისთავმა გალაკენის კედელში გარღვეული არე იხოვნა, თავის შუბოსნებს წინ წარუძღვა და ქვების მერების მიუხედავად გალაკენს გადაღმა მოექცა.

ხევისთავმა ზორანასქემ მოისაზრა: მონასტრის ეზოში მდგარ ციხეს, უკეთ რომა ვთქვათ ნაციხარს მიაშურა. ხმლებით, სატყვერებით და ხელტუკებით აღქურვილი ხატიონებიც თან წარიტანა.

ვინც ნაციხარში ველარ დაეტია, წინ შემოეგებენ ამირა ჰუსეინის თურქომანებს და ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩიეს. ამასობაში ზორანასქემ მორებით დაახრეგინა ნაციხარის კარიბჭე, ციხის ბანზე სასიგნალო კოცონი აანთებინა, ქვა და ისარი დაუშინა მოიერიშე თურქომანებს.

ბერებმა დროზე მოისაზრეს: ეკლესიის დარკინული კარები გააღეს და შიგ შეუშვეს ხალხი.

თურქომანებს იერიშები მიჰქონდა ეკლესიის ბუეებზე, ხოლო საყდარში მოზიშხივე ხალხი სასოწარკვეთილი იძაბოდა „გვიშველე იესო, გვიშველე ლეთისმშობელო, დავიფარე წ. გიორგი.“

ოკმოცდაათი ბერი საკურთხეველის წინ პირქვედამხობილი ლოცულობდა.

ლეთისმშობელ მარიამს და წ. გიორგის ავედრებდა მიმძლავრებულ თურქომანებს.

თურქომანებმა დიდხანს ურაჯგუნეს დარკინულ კარებს, ბოლოს წვერწითელა ასისთავმა საიდანაც გამოაჩხრეკინა ბავშვის საფლავიდან აღებული, წაგრძელებული ლოდი, ორ თურქომანს ეჭირა იგი ხელში და დაუცხრომლად სცემდნენ კარიბჭეს.

ამ გაუძლისი რახუნის გამგონე ზეწამოიქრა იკონასტასის წინ პირქვედამხობილი ბერი კუტალაი, შეეწვერა, მხარბეჭიანი დეკაცი, მიეჭრა იქვე უსაგნოდ მოჩალიჩე წინამდგომს მონასტრისას მამაი ექვთიმეს, ხელიდან გამოსტაცა ორკაიანი კვერთხი რკინისა და კარებთან დადგა.

როცა კარები შემოღეწეს კუტალიმ იფარა ცალი ფრთა კარისა და ტაძარში შემოცვენილ თურქომანებს ეცა, იგი ოსტატურად აგებებდა ამ ორკაიან რკინის ჯოხს მოქნულ ხმლებს, ყინვის ლოლევებით იღეწებოდნენ ზოგნი. თურქომანები ტაჯგანალებს უშენდნენ მოხუცებსა და ქალებს. უყვიროდნენ: „გიშველოთ ახლა თქვენმა ღეთისმშობელმა, საღლაა თქვენი მეფე?“

საყდარში ბნელოდა, კუტალაი სციმდა რკინის ყავარჯნით თურქომანებს, მერმე ეკედერს შეაფარებდა თავს, ისევ მოიკრეფდა მხნეობას და კვლავ გამოენთებოდა გააგებულ მონხეულერებს.

მძარცველები საკურთხეველში შესცვივდნენ, საყდრის იარაღი დაიტაცეს. როცა წვერწითელა ასისთავმა უბეებში ჩაიტენა ოქროს კოვზები, ბარძიმღეშხმისა და ზიარების ფიალები, იგი მისწვდა აღსავლის კართან დაკიდულ ოქროთი ნაქანდაკე წ. გიორგის ხატს, ილღაში ამოიჩარა და სამხრეთის კარი-საკენ გაემართა, კუტალაი მწარედ ნაგვეში სოხანეზე იწვა.

წ. გიორგი გაიტაცესო დაიზრილა ხალხმა, კუტალაი ზეწამოიქრა და წვერწითელა თურქომანს გამოუღვა უჯან.

ასისთავი მხარმარჯნით აპირებდა გახვევას, მაგრამ სისხლში ამოთხვრილი

კუტალი წამოეწია მას და მკლავზე სტაცა ხელი, წვერწითელამ სახეში გაარტყა ბერს, მაგრამ ეს უკანასკნელი ეცა მძარცველს, მარჯვენა ხელი გადახვია მას ქედზე და ხატიანად გადაითრია ქარაფიდან უფსკრულში.

ეკლესიის ძარცვა რა მოათავეს, თურქომანები ნაციხრისკენ გაემართნენ ანაზღად.

*
*
*

შტორა მორკნეველი და ჯონდი ერისთავი იორს გადმორბა ებრძოდნენ ეჯიბ ჰუსამას მიერ გასარდლულ თურქომანთა ორ ათასეულს. ეჯიბმა ველარ გაუძლო ორივე ერისთავთან ბრძოლას, ხუთასიოდე ცხელარი დასტოვა ბრძოლის ველზე და ამირ ახმეტის ბანაკს მიაშურა.

სულ ორიოდე ფარსანგის უკლდათ ერისთავებსა და მათ ცხენოსან სპას წ. დოდოს მონასტრამდის, როცა ამირ ჰუსეინს უკვე მოახსენეს მსტოვარებმა ეს ამბავი.

ნაციხარის გარემომცველ თურქომანებს თავთავიანთი ცხენები ველზე ჰყავდათ მიტოვებული, გარდა ამისა ხატიონებთან და ხევისთავის მთიელებთან ბრძოლის დროს მონასტრის გალავანი დარღვეული იყო. იქ გამაგრება უსაშვნო იქნებოდა, ამიტომაც მან სასწრაფოდ შემოხსნა ალყა ნაციხარს, შესხედითო უბრძანა თავის ცხენოსნებს.

მონასტრისკენ მიმავალ ერისთავების შესახედრად გაემართა სპიანად და ორ ტყეს შორის მდებარე ველზე გაამწყრივა თავისი მხედრები.

ამირ ჰუსეინი მხოლოდ სახელდახელო თავდასხმების ოსტატი იყო, მაგრამ იმეამინდელი კვალერიის ატაკის ზოგიერთ ხერხს იგი არ იცნობდა.

ამირ ჰუსეინს განაგონი ჰქონდა: ხელსაყრელიაო ორ ტყეს შორის გაშლილ ველზე მტრის ცხენოსნებთან შეტაკება, რათა ფლანგებიდან შემოტევა არ შეძლებოდა მოწინააღმდეგეს, მაგ-

რამ ამჯერად ეს ორი ტყე, ისე შორს იყო ურთიერთისაგან, რომ ვაიჯის ჯარის ასისთავეები და მათისთავეები იძულებულნი გახდნენ ძლიერ მეჩხერად გაემწყრივებინათ მხედრები.

ჯონდი ერისთავმა მყისვე შენიშნა მტრის მიერ დაშვებული შეცდომა, ლანდის უსწრაფესად დაიძრა ორივე ერისთავის სპიი, მეჩხერად განლაგებულმა თურქომანებმა ზოგ ადგილას ვერ შეაჯავეს ქართველი ცხენოსნები, ასე რომ ეს უკანასკნელი უკან მოექცნენ მტრის კავალერიას.

ამირ ჰუსეინი გააფთრებული იბრძოდა, მისი მხზმუნეი და მეაბჯრენი მხარდამხარ უდგნენ მას.

როცა ამირას ცხენი გამოუტყლეს, წამოდგომა არ დასცალდა ისე მოხვდა მუხლისთავზე ისარი, ორმა მისრატულმა სამარქაფო ცხენზე შეაგდეს ჰუსეინი, მან მაინც განაგრძო ბრძოლა.

მუხლისთავიდან სისხლი სდიოდა, მაიცურად იქნევედა ხმალს.

ამ ბრძოლაში ქართველმა ერისთავებმაც დაუშვეს ერთი შეცდომა. ამირ ჰუსეინმა შენიშნა: მისი მხედრები შეერთნენ, ერთმა რაზმეულმა ბრძოლას აარიდა თავი და დასაველეთისკენ მდებარე ტყისკენ გააქენა ცხენი.

ამ გაქცევას ერთობლივი ხასიათი რომ არ მიეღო, ამირ ჰუსეინი იმდენ ხანს ებრძოლა ორივე ერისთავს, აღმოსაველეთით მდებარე ქაობებისაკენ უკუიქცა სპიანად, რათა მზღალეებს უკან დასახევი გზა არ დარჩენოდათ.

ლაშქრის ამირამ რა გაიგო: აკინჯის ჯარი ორი ერისთავის სპათა ქანგებში მოექცნენო, თავდაპირველად თავათ აპირებდა სპიანად გამგზავრებას, მაგრამ გადაიფიქრა. განძის ამირას, წითლოსან დუკისძესა და ვახან ვახანიძეს უბრძანა მიშველებოდნენ ამირ ჰუსეინს. თავათ განზრახული ჰქონდა: მანამდის არ ჩამბულიყო ომში, სანამ დავით მეფე და მისი სპიი არ მოეშველებოდნენ ორივე ერისთავს.

ამიტომაც დაავალა დუკისძეს და ვახანისძეს თუ დავით მეფე გამოჩნდა

ბრძოლის ველზე, დაუყოვნებლივ მამცნეთო.

ახალი ძალის შემატებამ გაამხნევა თურქომანები. ერისთავებმა ორ გზის დასთმეს თავისი პოზიციები და აღმოსავლეთისაკენ აპირებდნენ უკან დახევას, მაგრამ ამასობაში ხევისთავმა ხორანასძემ მოაღწია თავისი ცხენოსანი სპითა და ისევ ჭაობებისკენ მისრისეს თურქომანები. ნაშუაღღეს მოვარდნენ კახეთ-ჰერეთის ერისთავები არიშიანი და ბარამისძე სპიანად.



წ. დოდოს მისაღვამებში ჯერაც არ იყო მოთავსებული ბრძოლა, ნაშუაღღეს მონასტრის წინამდგომმა მამაი ექვთიმემ გაიგონა შეჭორვებული კაცის ძახილი. საბელებითა და კვარებით აღჭურვილი სამი ბერი წარგზავნეს. ისინი საბელით გადაეშენენ ქარაფიდან და თვალშეუდგამ უფსკრულში იპოვნეს მძიმედ ნაგვეში ბერი კეტალაი, რომელიც პირალმა იწვა, მკერდზე წ. გიორგის ხატი დაესვენებინა.

გამოირკვა: წვერწითელა ასისთავი, კეტალაის მოეშთო ხანგრძლივი ორთაბრძოლის შემდეგ. ეს ამბავი შერაცხა მამაი ექვთიმემ როგორც მორიგი სასწაული წ. გიორგისა.

ბერი კეტალაი წარუდგა მამაი ექვთიმეს და მტკიცედ განუცხადა: ბერული ჩოხა უნდა გავიხადო დროებით და გიორგი ჭყონდიდელს ვემსახუროვო როგორც მეაბჯრე, გინდა მეხმლე.

მამაი ექვთიმემ წ. გიორგის ხატი გაატანა კეტალაის ჯონდი ერისთავთან, თანაც სთხოვა ჭყონდიდელისათვის მიერთობით იგი.



ომი ცხოვრების აჩქარებული მაჯისცემის გამკლავებაა სხვა არაფერი. ისე როგორც ცხოვრებაში, ომშიაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრმა შემთხვევითობას.

ეს მომენტი ყოველთვის თვალაჩინ-

ნოა, მაგრამ საქირთა ოსტატურად გამოყენება მისი.

საქირთა

წითლოსან დუქისძეს მხოლოდ სიტუაციები ჰყავდა დავით მეფე ნახული. ერთ-ერთ შეტაკებისას მან ისრის მისაწვდენ მანძილზე დალანდა შტორა მორკნეველი და მტკიცედ დარწმუნდა დავით მეფე თავათ წილს იღებსო ომში.

დუქისძემ ზაზაი ჯუბიელს უამბო ეს, მაგრამ არც გაუმხელია ლაშქრის ამირამ დამავალაო... ჯუბიელს ორივენი ჰყავდა ნახული თავდაპირველად მასაც დავით მეფე ეგონა მორკნეველი, მიუხედავად ამისა, დაუდასტურა დუქისძეს: დავით მეფე უჩინმაჩინად წილს იღებსო ამ ბრძოლებში.

წითლოსან არც თუ მთლად მისანდობელ კაცად სთვლიდა ჯუბიელს, რადგან ამ უქანასკნელს სიმთვრალეში წამოსცდა ერთხელ: ცუდ საქმეებში ვშველითო თრიალეთელები თურქებს.

ბოლოს ისე მოხდა, რომ ჯუბიელმა და დუქისძემ ცალ ცალკე ამცნეს ლაშქრის ამირას, დავით მეფე თავათ ხელმძღვანელობსო ქართულ ცხენოსან ჯარებს.

ამ ცნობამ ააღელვა ლაშქრის ამირა. იმავე დღეს ორივე ამირამ აღწყყეს მას დავით მეფე და მისი ერისთავები ჩრდილოეთისაკენ უკან იხევენ, ჩვენი ნაწილები დაზიანდნენ ბრძოლებში, სამარქაფო სპაი მოგვაშველეთო.

მეორე დღეს ამირ ახმეტმა ნამაზი მოათავა თუ არა, დინჯად ისაუზმა, მაძახურები იხმო და უბრძანა: მზაობა ეუწყებინათ ლაშქრისთვის. თავათ ნატებზე წამოჯდა, გატურჯისტანის არაბული რუკა მოატანინა, ათასისთავები ირგვლივ მოისხა.

აფათურებდა საჩვენებელ თითს ამ რუკაზე, თვალს აღვენებდა ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზებს, რომელნიც სინგურისგერ ხაზებად გავლებულნი იყვნენ რუკაზე.

როცა მეკარვთა, მეჭურჭლეთა, მეჯინიბეთა, მეაბჯრეთა უხუცესები ეახლნენ და მოახსენეს: სალაშქროდ განმზადილიათ სპაი, დინჯად წამოდგა ნა-

ტებიდან, მეხმლეთა უხუცესმა მხარზე გადაჰყიდა ლაშქრის ამირას მოოქროვილი დამასკური მახელი, სულტან მოჰამედის მიერ პირადად ნაჩუქარი.

სამმა მეჯინებემ მოჰვეარეს მას ოქროსფერი ულაცი, რომელსაც ორმაგი საყბურები ჰქონდა, ხუთმეტრი მარჯაფა ცხენი, თექვსმეტი მეხმლე, შეაბჯრე და მისრატული უკან გამოუდგნენ ლაშქრის წინ მიმავალ ამირ ახმეტს.

დავით მეფემ უთენია აჰყარა ბანაჯი, როცა ნიანია ბაყურიანმა მას უბატაკა საომარი მზაობა ლაშქრისა, გიორგი: ჭყონდიდელმა ბოკორმის სასახლის ეკლესიიდან გამოიტანა ოქროცურვილი ხატი ღვთისმშობლისა, ლოცვა წარსთქვა ლაშქრის წინ დაჩოქილმა.

მეხმლეთუხუცესს გამოადებინა ზარდახანადან ვადაჯვარიანი ბაგრატეული ხმალი, მამაი გიორგი მიეახლა თოროსანს, უხმლოდ მდგარ მეფეს, შუბლზე აკოცა თავის გაზრდილს მზრდელმა და თავათ შეაბა იგი წელზე.

ბოლოს ჭყონდიდელმა დალოცა მუხლმოყრილი სპაი, სეფე დროშა აღმართეს. მეფეს, ტაძრულს და მძიმედ შექურვილთა ათასეულს წინ წარუმძღვარეს ბაგრატეული საომარი ჯვარი.

იმავე დღეს ჭყონდიდელს მიართვა ბერყოფილმა კუტალაამ წ. გიორგის ხატი და შესთხოვა შეაბჯრედ აეყვანა იგი.

შემოდგომის მზიანი დღე იყო. კავკასიონის ცარცისფერ ფონზე ვასვასებდნენ ოქრონაპკური ტყეები. წიფლები და თრიშილი ხასხასებდნენ ზოგგან, აქა-იქ ჯახველი ელავდა სისხლზე უწყითლუსი.

მზვარეში ლაპლაკებდნენ რაინდების მუზარადები, მეომართა და მათი ცხენების აბჯარი.

ფლოკვების ერთობლივ თქარუნზე ფრთხებოდნენ ირმის ჯოგები. გალურსულ მუხნარებიდან მოისმოდა მათი ფრუტუნნი და ჩლიქების დგაფუნი.

ამ საოცნებო დილას ისეთი ღვთაებრივი ელვარება იღვა ქონსი და ოქროსი, ძნიალ წარმოსადგენი უფროსმგებრ დღეს ომისა და კაცისკვლისათვის ფაქრიცა.

არწივები სტოვებდნენ ქარათებს, ლაპისლაშულისფერ ცისქვეშ დააჯალ აკეთებდნენ ირაოს. როცო იძახოდა სადლაც ხევში, კაკებები კრიახობდნენ ქარათების პირად.

მეფის ტაძრულს და მძიმედ შექურვილთა ათასეულს უკან მოჰყვებოდნენ ბეშქენ ჯაყელი მისი ჯაფახელი ქვეითი და ცხენოსანი მოისარები და შუბოსნები, ამის შემდეგ მოდიოდნენ მეკარენი, შეაბჯრენი, მერეშენი სამარქაფო ცხენთა რემეზითურთ.

ორიოდე ფარასანგის მანძილზე განგებისად ჩამორჩნენ შერგილ ლიპარტიანის, ჯონდი ერისთავის, ბარამისძისა და არიშინის ათასეულები, ისინი ბილიყ ბილიყ ხეობის გაღმა-გამოღმა მიდიოდნენ, ქარიშან სეტყიელი და ჩუხჩნი ხორანასძის შაექლდიანები ზვერაგდნენ მახლობელ მთებს.

ტაფობს მიაღწიეს თუ არა, შესვნიება ებრძანათ სპათა, მეფემ და სარდლებმა ცხენდაცხენ გამართეს თათბირი.

რაც უფრო წინ მიიწივდნენ ჩრდილოეთისკენ, მით უფრო უარესდებოდნენ გზები...

ბეშქენ ჯაყელის, შერგილ ლიპარტიანის ათასეულებს და ხორანასძეს ებრძანათ დაყოვნებულყოყვენ გზაში, ხეეებსა და ტყეებში ჩასაფრებოდნენ სელჯუკებისა და განძელების ლაშქარს, ხიდები ჩაეშალათ, კლისურებში თავს დასხმოდნენ ეამიდან ეამზე მტრის ლაშქარს, საგორაეები დაეშინათ მათი მერემეებისა და ცხენებისათვის.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა თურქების გაერთიანებული ლაშქარი დაადგა ერწუხის ხეობისკენ მიმავალ საურმე გზას...

სირაქლემის ფრთებით ზუჩადმშვენე-

ბული, მძიმედშეჭურვილ ცხენოსანთა ჯარს წინ მიუძღოდა ოქროსთორიანი ლაშქრის ამირა, ცხენის კისრის სიგრძეზე მას უკან მისდევდნენ განძის ათბავი ამირ გოზგოლი და აკინჯის ჯარის სარდალი ამირ ჰუსენი.

სირაქლემას შავი ფრთები ამშვენებდა სელჯუკურ შავ დროშებს და შუბოსან ათასეულის წინამდგომთა შუბის ტარებს. სინგურისფერი კაფტანები ეცვათ წითლადწვერშეღებილ ათასისთავეებს. თეთრი ჩალმებით და საღმასურის ჯაჭვის პერანგებით გამოირჩეოდნენ ისინი მძიმედ შეჭურვილ ცხენოსან სელჯუკებისაგან.

ხეობის მარცხნივ და მარჯვნივ მთის ბილიკებზე ფეხდაფეხ მორბოდნენ იატაკანებით აღჭურვილი მწვერავეები, მოყურიადენი და მალეშრბოლები, რათა ფლანგებიდან შემოტყვისაგან დაეცვათ ლაშქარი.

ამირ ახმეტი თავს ინებებდა, მისი დიდი კარავი შვიდ აქლემს მოჰქონდა, ხოლო თეთრ ჯორებს მისივე პალანკინები. მერმე მოდიოდნენ მერემეები, სამარქაფო ცხენები და ცხვრის ფარები მოჰყავდათ მათ. ამათ მოსდევდნენ მეჭურჭლეთუხუცესი და მეჭურჭლენი, მეჯამენი და მზარეულები.

ლაშქრის არიერგარდს იცავდნენ ისევ მძიმედშეჭურვილი ცხენოსანების ათასეულები, ქვეითი მოისარები და ცხენოსანი შუბოსნები.

მედროშეებსა და მეაღმეებს თან ახლდნენ ყურანის მკითხველნი, მუყრნი, მედაფენი, მესაყვირენი და მედოლენი, მოხშირებული ცემა დაფდაფეზინია არღვევდა მდუმარე ტყეების საშემოდგომო იდილიას.

უკვე მამალი ხოხბები ყივოდნენ ხევებში, როცა ერწუსს უწყია მეფემ და მძიმედშეჭურვილ ცხენოსანთა ათასეულმა.

იგავმიუწვდენელი სილამაზით ბრწყინავდა კავკასიონი, ბურუსში სთვლემდნენ ნაპრულისფერი მწვერვალები, ნისლის, მერდინები თეთრად ვასვასებ-

დნენ ნაძვნარების დაკბილულ ზეობებზე.

არცაღმუღი

მეფემ აიყოლია გიორგის მკობრადმეალი, ნიანია ბაკურიანი და მახარა და ველკეთილის ზეგანს დაადგა თვალი.

„მე აქ ნამყოფი ვარ სიკაბუტეში, ირემზე მინადირნია იმ ტყეებში, სთქვა და მათრახი მიუშვირა ზეგანის ირგვლივ მოზღვაებულ მუხნარზე. ბარე სამი ფარასანგი სიგრძე აქვს ამ ზეგანს, მკეთეს ბრძოლის ველს ამ მთიანეთში ვერ ვიპოვით.“

ამ გორაკს მთავარ ანგელოზი ჰქვია, განაგრძო მეფემ და ველის კიდეს აღმართულს შეხედა, რაც მთავარია ამ გორაკსა და ველს შორის წყალმრავალი ხეგია, წყალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრძოლაში, იმ ხევს გარდა თითქმის ყველა დამშრალია ამ დროს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ, ეს ხევი არ დავანებოთ მტერს.“

როცა გორაკზე ააგელვეს ცხენები, მეფე მოიხიბლა ამ გარემოს სილამაზისაგან. საყდრის ეზოში სამი მუხა იდგა, მათ ჩეროში სთვლემდა ბატარა, დახავსებული ბაზილიკა, მთავარ ანგელოზის სახელობისა.

ერთიც მადალი, თეთრი სამრეკლო იყო ჭარაფის კიდეს და მისი გვერდით ასეთივე თეთრი სვეტი, მესვეტე ბერთათვის.

უცნაურად გაფრიალებულ ეზოში ათიოდე სკა შენიშნა დავითმა ვრცელსავარდში, ვარდებს ყვავილობა მოეთავებინათ, აქა იქ ასკილი სჩანდა აურაცხელი, რუბინისფერი ნაყოფით დამშვენებული.

ფუტკრები სვედიანად პუტუნებდნენ, თითქოს საშემოდგომო რეკვიემს გალობდნენ. მეფეს იამა ეს მიტოვებულნი, მთელი ქვეყნისგან მოწყვეტილი საყდრისა და მისი შემოგარენის ხილვა.

„როცა მე და შენ ომებს მოვათავებთ და დაებერდებით, ურიგო არ იქნებოდა ამგვარ ეკლესიის ეზოში დაგემარხავდნენ, ნიანია.“ სთქვა მეფემ.

ნიანიამ გაიღიმა და მიუგო:

„მე არა მგონია მეფეც ბატონო, სიკვ-

დილის შემდეგაც რომ გელირსოს დასვენება.“

შენ მართალს ამბობ ნიანია...

„მე ალბათ ვერც კი ველირსები ისეთ სიკვდილს, როგორსაც მშვიდობიანი ადამიანები უნატრელად მიხედვებიან ხოლმე... მე აგრე მგონია: ადამიანი ბოლოს და ბოლოს უნდა ეწიოს იმგვარ სიბრძნეს, რომელიც თუნდაც ამ ფუტკრებს მოსდგამს.“

უდიდესი სიბრძნე ეგაა: მათსავით უღერტინველად შეეგება სიკვდილს. მე ყოველი არსი მეცოდება ამ ქვეყნად, თვით ბაყაყსაც არასოდეს მოვკლავდი სიყრმეში.

მწერთა შორის ფუტკარი მიყვარს... დიდი ეაკაცია ფუტკარი, თუ უმართებულოდ მოექცევი, თავის შაშარს მოიმარჯვებს და შეაკვდება მტერს. სიკვდილი მეშვიდე ბექედია ჩვენი ცხოვრების იდუმალ ეტრატზე აღბეჭდილი. იგი უკანასკნელი წრთობაა ჩვენი სულისა.“

როცა მეფე და ტაძრული ეკლესიის ეზოში შემოვიდნენ, თეთრწვერიანი, ჯუჯა მნათე სამრეკლოზე აღიოდა. იგი გამობრუნდა, ჯიქურ მიეჭრა მეფეს, ფერხითი დაუვარდა და უთხრა:

„ყველაზე უმაღლესი გესალმები ყველაზე უმაღლესს.“

„ვინ უფლის ამ ფუტკრებსა და ამ სავარდეს აგრე კარგად მიაკაცო?“

„მე და სერაპიონი მეფეც ბატონო.“

„სერაპიონი ვინლაა?“

მნათემ სვეტისაკენ გაიშვირა ხელი და თმაგაბურჭვნილი ბერი დაანახა.

„ოცდაათი წელია დუმილს იცავს მამაი სერაპიონი.“

დავითი დაკვირვებულად უძკრეტდა სვეტის თავზე მღვარ თეთრწვერა შავოსანს, რომელიც გაოგნებული გადასცქეროდა ძირს გადაშლილ ველკეთილის ზეგანს.

„აჰა, მამ ევ არის მამაი სერაპიონი? გამოიგონია მისი სახელი“ დასძინა კყონდიდელმა.

დაუღუბებელი მესვეტე ხედავდა მეფესა და ვაზირთა უპირველესს, მაინც

საპიროდ არ ჩასთვალა ძირს ჩამოსულიყო და მისალმებოდა მათსავით.

დავითი ქართის კიჭმღმისმხედმა, ხელახლა მოავლო ველკეთილს თვალი, ტყეების პირად უკვე კარვებს სდგამდნენ მეკარენი, ალაგ-ალაგ კოცონები აენტოთ, ვახშამს იმზადებდნენ სპანი.

„ის ხევი საქმოდ შორს უწევს აქედან ნიანია, ჩვენ უნდა შევეცადოთ მთლიანად შევკრათ იგი, რათა წყალი არ დავანებოთ სელჯუკებს. მთელი ეს მიდამო რიგიანად მოჩხრიკეს ჩვენმა მწვერავებმა, ამ შემოგარენში ორიოდღე ბინულია, ეს რას ეყოფა მტრის ლაშქარს.“

ნიანია თვალზე მიიჩრდილა ხელი, ხევის წყალი ვერცხლის ქამარივით გავლებულიყო ტყის კიდეებზე.



მეორე დღეს ადრე მოათავა მეფემ სპათა განლაგება... თურქების გაერთიანებულ ლაშქარს მთელი კვირა დააგვიანდა... ამას სხვადასხვაგვარი მიზეზი ჰქონდა. ამირ ახმეტის მეკარენი, მერემენი, მებარგენი, ზანტი აქლემების მთელი ქარავანი ტაბით მიდიოდნენ... როგორც ზორანასქე და მისი შავქუდიანები, ისე ერისთავების სპანი, წარამარა ეკნწლავებოდნენ კლისტრებში მათ, მწვერავლებიდან საგორავებს უშენდნენ, ბოგირებსა და ხილებს ანგრევდნენ გზადაგზა.

ამ ომში პირველად შემოიღო დავითმა საგორავებისა და ქვისსპროლილთა ქვეითი ნაწილი. ისინი დიდ ზიანს აყენებდნენ ხეობაში შემოსულ მტრის ჯარს, ამ ქვასროლია რაზმეულებს სრულიად აზა სპიროდათ ერწრუხის ხეობასა და მის შემოგარენში ქვეების მოგროვება და აბგებით მათი თრევა, როგორც ამას ჩადიოდნენ ხოლმე ბიზანტიელი და რომაელი ქვასროლიები.

ამირ ახმეტმა მეგზურად არავინ გაიკარა ზაზაი ჯტბოელის გარდა, რადგან ქართველ რენეგატთა შორის ყველაზე მეტად მას ენდობოდა.



ვერც წითლოსან დუკისძემ და ვერც განძის ამირამ ვერ შენიშნეს, რომ ჯუბიელი მსტოვარად ჰყავდა ამ ბოლოხანს ქარიშხან სეტყელს, ასე რომ ჯუბიელის ნათლიამამის მეშვეობით ქარიშხანი ზუსტად გებულობდა ლაშქრის ამირას საომარ ზრახვებს.

ამ ჯერადაც ჯუბიელი ცდილობდა ისეთ ღრანტებში ეტარებინა სელჯუკებისა და განძელების ლაშქარი, მომეტებული დრო დარჩენოდა დავით მეფეს ველკეთილის ზეგანზე საბრძოლო განლ გების მოწყობისათვის.

ერწუხის ხეობაში ფურქების გაერთიანებული ლაშქრის შემოსვლის უმაღლე საფალანგო ბრძოლები აუტეხეს როგორც ერისთავების, ისე შავქუდიანების ცხენოსნებმა.

მეფეს არ უნდოდა ხმლის პირველი მოკიდებას უფლება მტრისათვის დაეთმო, ამიტომაც ნიანია ბაკურიანი და მისი მსუბუქად შეკურვილი სპაი დაახვედრა მას ველკეთილის მისადგომებთან.

ამირ ახმეტი წინ წარუძღვა მძიმედ-შეკურვილ ცხენოსნებს. იერიში მიიტანა ქართული ცხენოსანი ლაშქრის პირველ რიგებზე.

ნიანია ბაკურიანმა ორად გაჰყო თავისი სპაი. სელჯუკები შემოუშვა ხეობაში, ერთ ნაწილს შტორა მორცნეველი უსარდლა, მეორეს თავათ წარუძღვა წინ. ორივე ნაწილი ქართული ჯარისა მტრისთვის მოულოდნელად დაქვეითდა, ცალმუხლზე დაჩოქილებმა შუბები დაახვედრეს სელჯუკიანთა წითელკაფტანიანი მეომრების ცხენებს.

უპირატესად ცხენები დაუბოცეთო მტერს, ნაბრძანები ჰქონდა მეფეს, რადგან მან კარგად იცოდა მძიმედშეკურვილი სპაი, უცხენოდ უმწეო რჩებოდა.

თითქმის ნასამხრალამდის შეიქცეეს ნიანია ბაკურიანმა და შტორა მორცნეველმა ლაშქრის ამირა და მისი მეწინავე ათასეულები.

გიორგი მეფემ სამგზის უჩურობდა დავით მეფეს კახეთ-ჰერეთში წამოსვლის წინ: ეცადე ბრძოლის დაწყებისას

ჯერ მძიმედშეკურვილი რაინდები შეაგებოთო მტერს.

გიორგის ურყევად სჯეროვდა მძიმედშეკურვილი მხედარი, ათას ქვეითს უღრისო.

ხოლო დავით აგრე ფიქრობდა: კარგი ვაჟაკი ცხენიანადაც კარგად იბრძოლებს და ქვეითაცო.

ამიტომაც როცა ნიანია ბაკურიანსა და შტორა მორცნეველის ცხენოსან ჯარს თავისი საუკეთესო მძიმედშეკურვილი მიუსია ლაშქრის ამირამ. მეფის ბრძანებისამებრ, ჯონდი ერისთავმა წამოიყვანა შერეული, ცხენოსნებისა და ქვეითებისაგან შემდგარი შუბოსნები, ისინი მთელი ბრძოლის ველის სიგანეზე გაიფანტნენ. თითო თითო მძიმედ-შეკურვილის სამ სამი ქვეითი შუბოსანი და მოისარი მოყვებოდა უკან, ხოლო საფალანგო დარტყმებისაგან სპათა დასაცავად მძიმედ შეკურვილი მისდევდნენ მათ მხარმარცხნითა და მხარმარჯვნით.

როგორც მძიმედ შეკურვილი რაინდები, ისე ქვეითა შუბოსანი და მოისარი მონასპანი თურქების ცხენებს უშენდნენ შუბსა და ისარს.

დავით მეფემ ბრძოლის დაწყებამდის ლაშქრის ცხენების ნახევარზე მეტი მთავარ ანგელოზის გორაკს გადაღმა გაახზენინა ტყეში.

სელჯუკები, განძელები და თურქომანები შეცდომაში შეიყვანა ზახაი ჯუბიელმა, მან ამცნო ამირ ახმეტს: დავით მეფეს ცხენები არა ჰყავსო საკმარისი. თავის მხრით ამირამ უბრძანა თავისსპასა და მოკავშირეებს: უპირატესად ცხენები დაეზოცნათ ბრძოლის დროს. ამიტომაც გულისწამლები ჳიხვინი დაკოვილ ცხენებისა ჩქმალავდა თურქების ღრიალს „აღლაჰ“.

პირველ ორ დღეს მარტოოდენ ამირ ახმეტი და განძის ათაბაგი იბრძოდნენ, მხოლოდ მესამე დღეს, დაფდაფების ცემით შემოვიდნენ ბრძოლის ველზე აკინჯის ჯარის სარდალი ამირ ჰუსეინ და მისი თეთრფაფახიანი ცხენოსნები.

მათ იმდენი ცხენი დაზოცნათ ერ-

საქა...
გეგ...

წუხამდის, რომ თითო ცხენზე ორ ორი კაცი იჯდა, ან არა და ერთ ცხენოსანს სამი შეუბოსანი; ან მოისარე მოსდევდა ქვეითად უკან.

ლაშქრის ამირაც აგრე ფიქრობდა: ქვეითი სპაი რა ბედენაა, მთავარიო მძიმედ ან მსუბუქად შეკურვილი სპაი, ამიტომაც უპირატესად მძიმედ შეკურვილი გაუშვა წინ, მათ მოყვებოდნენ მსუბუქად შეკურვილნი, ხოლო მათ უკან ქვეითნი.

თურქების სარდალთა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. განძის ათაბაგი ერთ ღამეს პირადად ეახლა დიდ კარავში ამირ ახმეტს და მოახსენა:

„შე იკვირებოდნენ ცნობები მაქვს: დავით მეფემ ამ მთიანეთში სადღაც გადაშალა თავის ცხენები, ჩემს ათასეულებს უკვე ხელში შემოადნათ ისინი, ჩვენც გავიყვანოთ ცხენები ბრძოლის ველიდან, თორემ უკუქცევა რომ დავუჭირდეს, ცოცხალი თავით ვერ გავასწრებთო აქედან.“

ამირ ახმეტმა თავი მოიფხანა ინით შეღებილი ფრჩხილებით და მიუგო:

„ვინც გაქცევაზე ფიქრობს ბრძოლის ველზე, მას შეუძლია ქვეითად გაიქცეს, რადგან ალლამ მაინც დაინახავს მას. ალლამს უყვარს მხოლოდ ისინი, ვინც ისეთი წესრიგით იბრძვიან მისთვის, თითქოს ურთიერთზე იყვნენ გადაჯაჭვულნი.“

ამირ ახმეტს თავდაპირველად არა სჯეროდა წითლოსან დუკისძის და განძის ათაბაგის მტკიცება: ცხენები გადაშალული ჰყავსო მეფეს, მაგრამ ქვეშეცნულად გრძნობდა: ზოგ რამეში არა სტყუოდა განძის ათაბაგი.

იმასაც ხედავდა ომებში მრავალნაციადი ამირა: აწ უკვე შეუძლებელი იქნებოდა ცხენების თუნდაც ერთი ნაწილის ბრძოლის ველიდან გაყვანა...

ახლა მას უკვე აღძრა იქვი ჯუბიელის მიზართ, ალბათ განგებინად დამაგვიანაო გზაში.

მეხუთე დღეს ამირ ახმეტმა სამივე ლაშქრიდან შეადგინა პირამიდასებრი, წვერწამახული მასა ლაშქრისა, რო-

მელსაც წინ მიუძღვოდნენ მძიმედ და მსუბუქად შეკურვილნი, აქლემებზე აღმხედრებული თოროსნები. ამ უზარმაზარი კოლონის წვეტი მიებჯინა ლაშქრის გულს, რომელსაც დავით მეფე თავათ სარდლავდა. მარცხენა ფრთაზე გიორგი ჭყონდიდელი იდგა, ხოლო მარჯვენაზე ნაინია ბაკურიანი.

უწყლობამ ძლიერ დარია ხელი თურქებს, წყარობიდან ტიკებით მოტანილი წყალი ამოღენა ლაშქარს არა ყოფნიდა.

სელჯუკები და თურქები გაშმაგებული მიიწევდნენ ხევისკენ, ეგ ეწადათ: მეფე და მისი სპაი ხევისაკენ მიესრისათ როგორმე და წყალს დაპატრონებოდნენ.

მეფემ უკან დაახევინა ლაშქრის გულს და ღრმად შემოიშვა ამირ ახმეტს და მისი მძიმედ შეკურვილი ბრძოლის ველის ცენტრში. განძის ამირამ და ამირ ჰუსეინმა ველარ გაუძლეს ჭყონდიდელისა და ბაკურიანის შერეული კოლონების იერიშებს და უკუიქცნენ. მაშინ მარცხენა და მარჯვენა ფრთის სარდლებმა მაგრად დაჰკრეს ამირ ახმეტის ათასეულებს.

სილამემ უშველა ლაშქრის ამირას. თორემ სპიანად ჩავარდებოდა იგი ტყვედ. სალამოს სელჯუკებს განძელებსა და თურქომანებს გაუნახევრადთ ცხენები.



ამის შემდეგ ამირ ახმეტმა ხელი აიღო კოლონების პირამიდასებრ დაწყობაზე, ისევ და ისევ ჯვაროსნებთან ომებში მრავალნაციადი ხერხი მოიშველია. სამად გაჰყო მთელი ლაშქარი. ლაშქრის გულს თავათ სარდლობდა, მარჯვენის განძის ამირა, ხოლო მარცხენას ამირ ჰუსეინი.

ერთ სალამოს დავით მეფის დიდ კარავში გამოცხადდა ყელზე სინანულის საბელშებული ზაზაი ჯუბიელი, მუხლის თავზე ეაშობრა მეფეს და წერილად მოუთხრო სამივე ამირას შორის

ჩამოვარდნილი ცილობისა და მათი განზრახვების გამო.

„ამ სამ ამირას შორის, სთქვა მეფემ, მხოლოდ ამირ ახმეტია ჭკვიანი მეომარი, ამირ ჭუსეინი ავაზაკების სარდალია, ხოლო განძის ათაბაგი ცუნდრუკა. მე მგონია მე და ამირ ახმეტი, თანაბრად უნდა ვუფრთხოვდეთ განძის ათაბაგს.

მე ყოველთვის ვიცი ჭკვიანი სარდალი საიდან დამეხსმის თავს, ხოლო შლეგი რას მოიმოქმედებს, ამას უფალი თუ მიაწვდენს გონებას.

დავითის ნიშანდება მეორე დღეს უქცეველად აღსარულდა.

განძის ათაბაგს მერყეობა რა შენიშნა ლაშქრის ამირამ, აქლემებზე აღმხედრებული ათასეული მიაშველა მას ბრძოლის დაწყების უმაღლე. დამწეული და მოწყულებული აქლემები გაცოფებული ხროტინებდნენ. მეფემ ცხენოსნებისა და ქვეითა შუბოსნების რაზმეულები მიაშველა გიორგი ჭყონდიდელს.

განძის ათაბაგმა რა დაინახა, აქლემებსაც იგივე დღე აყარეს გაფრჯებმა, როგორც ცხენებს, ერთ ერთ ათასეულს უბრძანა: ქვეითად ებრძოლათ შუბითა და ისრით, ხოლო ცხენები ბრძოლის ველიდან გადაეყვანათ და ახოში გადაეშალათ როგორც. მხოლოდ თავის პირად მცველთა რაზმეულებს შეარჩინა ცხენები.

ზახაი ჯუბიელმა უსარდლა ხუთას ცხენოსან ჰერეთელს, ახოში გადავიდა და დახოცა განძელთა ცხენები.

უცხენოდ დარჩენილი განძელი მონასხანი ველარ უძლებდნენ ჭყონდიდელის ცხენოსნებსა და ქვეით შუბოსნებს, განძის ამირამ გააშისვლა სელჯუკებისა და განძელების მარცხენა ფრთა და ჯუბიელსა და მის ჰერეთელებს ეძგერა.

გიორგი ჭყონდიდელი წინ წარლჴვა მსუბუქადმეჭურველ თავის მონასხათ და ახოში შეჴყვა ათაბაგს. განძის ათაბაგი მოეშვა ჯუბიელთან ბრძოლას და გულდაგულ მიაგლო თავისი უზარმაზარი აჯილდა ჯორზე მკდარ ჭყონდი-

დელზე, რომელიც გააფრებული იქნედა თავის მახელს, მამეტურად იგერებდა განძელებს.

სწორედ ამ დროს ბერყოფილმა კუტალიმ მოიმარჯვა თავისი ხელშეები და მთელის ძალით აძგერა ათაბაგის ცხენს.

ათაბაგი ცხენიანად დაეცა მიწაზე, მაგრამ ზედწამოიჭრა და ისევ მოუქნია ჭყონდიდელს ხმალი.

საიდგანლაც გაჩნდა ზახაი ჯუბიელი, მახვილი შეაგება ათაბაგს და გამოუკლა ცხენი. მისივე, მისრატულნი და მებზლენი ეცნენ ათაბაგს და მარჯვა ცხენზე შეაგდეს მანდიკურად და ბრძოლის ველიდან გაიყვანეს.

ჯუბიელი თავის ცხენს შემოახტა კვლავ, მკერდულით დაატაკა თავისი ულაყი, რომელილაც განძელ ცხენოსანს, მაგრამ ცხვირში საყურე გაყრილმა მონამ მხრისთავზე აძგერა მას შუბი, ჯუბიელი ცხენიდან ჩამოვარდა. მონამ აბჯარი გაბადა მკედარს, რადგან მოეჩვენა სუნთქავსო და მარცხენა ძუძუს ქვეშ ისე მაგრად დაჴკრა იატაგანი, შუაში გაუჴო მას ისედაც გაორებული გული.

განძის ამირას და მის სპათა დამარცხებამ სავსებით მოშალა მარცხენა ფრთა თურქების გაერთიანებული ლაშქრისა.

გიორგი ჭყონდიდელმა მარჯვნიდან მოუარა სელჯუკების ლაშქრის გულს, რომელსაც კვლავ ამირ ახმეტი ხელმძღვანელობდა. მოკავშირე რა გამოაკლდათ, გააფრებული იბრძოდა ორივე ამირა.

ახლა ლაშქრის ამირამ შემოუშვა ბრძოლაში მისი უმამაცესი ათასეული, რომელსაც მრავალგზის ულაშქრნიათ ჯვაროსნებისა და ბერძნების წინააღმდეგ. ამ ათასეულის მძიმედმეჭურვილ ცხენოსნებს სისხლისფერი კაფტანები ეცვათ, საღმასურის ჯაჴვის ქვეშ. მაღალი, მაღალი ფაფახები ეხურათ თავზე სირაქლემის შავი ფრთებით შემეკული.

მაშინ დავით მეფემ ახმობინა მთავარ

ანგელოზის გორაკს გადაღმა გადამა-
ლული ცხენოსანი სპაი, ამირ ახმეტმა
და ამირ ჰუსეინმა კიდევ ერთხელ დას-
კვივლეს თავიანთ ლაშქარს „აღლაჰ“,
ხელახლა მიიტანეს იერიში იმ კოლო-
ნისკენ სადაც დავით მეფე და ტაძრეუ-
ლი ეგულებოდათ. დავით მეფე და ცა-
მეტი მისი მეხმლე აბჯროსან მხედრებ-
სა და ცხენებს კვეთდნენ მოქმეული
ხმლითა, მოცელილივით ენარცხებოდ-
ნენ ცხენიანად მიწაზე ამირ ახმეტის
წითელკაფტანიანი მხედრები.

დარცხენილმა ათაბაგმა აიყოლია
ორასი მძიმედშეკურვილი განძელი
მხედარი. საშინელი ყვირით გაარღვია
მარჯვენა ფრთის კოლონები, გზა გაი-
კაფა და ლაშქრის გულში შეიჭრა-
როცა მათ გაცოფებული იერიში მიი-
ტანეს იმ კოლონასთან, რომელშიაც
დავითი იბრძოდა, სამი მეხმლე მეფისა
გადათქერა ათაბაგმა ცხენით, ხმალი
გადაუქნია დავითს, მეფის მუზარადიდან
ასხლელილმა ხმალი შეაბჯრე გიორგას
ლაწვის თავი გაუგმირა ანაზდად, მაშინ
მეფე მიუბრუნდა ათაბაგს და ისე ძლი-
ერად დაჰკრა ხმალი უნაგირამდის გა-
კვეთა მისი უზარმაზარი სხეული.

მიმწუხრისას გაისმა დაფდაფების ცე-
მა, სელჯუკები და თურქომანები უკვე
უაჟქცევას დაადგნენ...

მეორე დღეს ხორანსძის შავქულია-
ნები ხეობებში დაძროდნენ, ქუეები-
ვით იჭერდნენ უცხენოდ დარჩენილ
მძიმედ შეკურვილ სელჯუკებსა და გან-
ძელებს. მხოლოდ ამირ ახმეტმა და
ამირ ჰუსეინმა გაასწრეს მცირე სპის
ამარა იორს გადაღმა.

აეტორს სურს ამ აღგილს შესწყვი-
ტოს თხოობა, რადგან ამ ბრძოლების
პირადად მონაწილეს, დავითის მემ-
ტიანეს, ბრწყინვალედ აღწერილი აქვს
ერწუხის ომის ფინალი.

...და ერწუხს ქმნა (მეფემან) წყო-
ბანი დიღნი და ხმაგასმენილი იგი დი-
დი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქ-
რითა და განწირულთა ერთთა დახოცნა-

სულტანისა იგი ურიცხენი სპანი, ათა-
ბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და
ქვეყნისა ერი, მტერთაჟე თან განდგ-
მილი ჩუენდა...

...ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა
სხვა ვინმე ზურგით უღვა ოდენ სპათა
თვისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარ-
ცა ერთი თავადთაგანი ვინმე, არამედ
უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვი-
დოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა
ხმითა მალლითა, და ვითა გრიგალი მი-
და-მო იქცეოდა;

და თვით გოლიათებს მიმართებდა
და მკლავითა მტკიცითა დაამხოვდა
ახოვანთა, სვრიდა და დასცემდა წინად-
მთხელთა ყოველთა, ვიდრემდის ფრია-
ლისა ცემისაგან არა თუ ვითარცა ძე-
ლსა დავითს ელიაზარის ხელი ხმლისა
ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ხმლითა
მისით უკემიმდინარითა სისხლითა
წელნი აღსაესე ერხნეს, რომელი შემდ-
გომად ომისა გარდახლისა და სარტყ-
ლისა გახსნისა საცნაურ იქმნა, ქვეყნად
რა დაითხია ესოფენისა მტკნარისა
სისხლისა შეყინებულისა, რომელსა
პირველ განხილვისა თვით მისგან ვგო-
ნებლით გამოსრულად. და მას დღესა
სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხე-
სალა ზედა მკდომმან სრულყო მის
დღისა ომი და ესე მრავალისაგან მცი-
რედი და კინი წარმოთქვიით.

როცა ომის დასრულების მეორე
დღეს გიორგი ქყონდიდელმა სამშვი-
დობო პარაკლისი გადაიხადა წ. ზაქა-
რიას ეკლესიაში, ტაძრეულისა და სპა-
თა თანდასწრებით. დაუღებული ბერი
სერაპიონი სვეტიდან ჩამოვიდა ფერხ-
თით დაუვარდა ძლევა მოიღო მეფეს
და ოცდაათი წლის დუმლის შემდეგ
შეღალადა მას:

„ქეშმარიტად შენა ხარ აბდულმეს-
სია, მეფევე ბატონო.“

დავით მეფემ კვლავ შემოიმტკიცა
კახეთ-ჰერეთი და ამ მხარის ციხეებში
თავისი მისანდობელნი ციხისთავნი ჩაა-
ყენა...

თამაზ ჭილაძე



რწმენა

შენი აკვანი ურწევია ტალღას და გრიგალს,
შიში და თრთოლვა დავიწყების კლდეს მიაფშვენი
და არ არსებობს ქვეყნად შხამი, დანა ან ტყვია,
თუნდაც ყუმბარა — მოკვდინება შეეძლოს შენი.

შენა ხარ კაცი, რომლის სულიც დიდიხნის წინათ
ქარში გაეჭვა სხვისი ხელით შექმნილ სამოთხეს.
შენა ხარ კაცი — ზღვის ქუხილი და ცისკრის ბრწყინვა,
შენა ხარ კაცი!
გწამდეს, გწამდეს და გიხაროდეს.

შენა ხარ კაცი, რომლის ხელებს მხოლოდ და მხოლოდ
ძალუშს სიცოცხლის დამკვიდრება და აშენება.
და არ არსებობს ქვეყნად ციხე, ჯურღმული, სორო,
თუნდ ჯოჯოხეთი, რომ შეეძლოს შეპყრობა შენი.

შენა ხარ კაცი! და გიმღერო, გაღმერთებ, ვხარობ,
შენა ხარ გული,
სმენა,
აზრი,
თვალეები,
სუნთქვა.

შენ შეგიძლია ოკეანე ცას შეახალო,
საუკუნეებს უკვდავების სიმღერა უთხრა.

აგებ სართულებს და მზისათვის ალებ აივნებს,
მოედინება ქვეყნად შენი ხმა გადარჩენის
და არ არსებობს, არ არსებობს ქვეყნად რაიმე,
რომელსაც თითქო გაჩუშება შეეძლოს შენი...



მე მძინავს ახლა, მაგრამ ეს ძილი
ძილი როდია...

მე ზღვა ვარ თითქო დადუმებული,
ზედ ზომალდები მიდი-მოდიან.
ვული მკერდიდან ამოღებულო

ვარ და სიფრთხილით მსინჯავს ექიმი...
ვარ მეზღვაურის შორი ძახილი
ფსკერზე ჩასული და ჩაღექილი.
მე მძინავს ახლა და ზომალდები
ჩემს სულში მძიმედ მიდი-მოდიან...



ამ ქედზე ება თავისუფლება
და ნაპრალებში ეონავდა სისხლი
და, როგორც ცრემლი დედამიწისა —
ყინულის წვეთი შუბლს ეცემოდა.

ქარში კრთებოდა კოლუმბის აფრა,
ქარში ელავდა შოპენის ხელი,

დიდი პოეტი პეტერბურგიდან
ტანჯვით უსმენდა ღმერთკაცის კვნესას.

და, ჰა, ასრულდა... გადაიარა...
დაწვეტილია ჯაქვები მძიმე...
და აშლილია მთებზე ნისლები,
ვით ამირანის ქალარა თმები...

მტკვარი

ბეტონზე წვეთავს გამდნარი სიცხე,
წყალზე დამხოზილ ხიდს
აფერმკრთალებს,
ლამეს ჩემს ფიქრებს მარაოდ მივცემ —
ნაღვერდალია ივლისის მთვარე.

ნაპირზე, მთებზე და კიდევ უფრო
მალლა და მალლა ჩემი ჩრდილია...
ამ ქვეყანაზე შენსავით უხმოდ
ერთი ნაბიჯიც ვერ გამივლია.

მჯერა გამხდარა ჩემი სიმღერა
შენი ამაყი დუმილის ღირსი.
ისე მიდიხარ, ისე მიღლავ
თითქო ხარ ჩემი მღელვარე სისხლი...

ბეტონის ხიდებს ცხელი ზელებით
არწვევს და არწვევს ივლისის მთვარე

ნათურა იწვის და ირეკლება,
მიარწვევს ქუჩებს შუალამეში...
შენ სიყვარულზე მითხარ იმდენი —
მატარებელზე აღარ გამიშვი.

მიდის, მიჰკივის და სიბნელეში
მღუმარე ხეებს მიჰყვება ახლა
და მე მგონია — მძიმე ტვირთით
ჩემი უშენოდ ცხოვრება ახლავს.

მე დავრჩი შენთან, მე დავრჩი შენთან
და ახლა ვიგრძენ, ვიგრძენ, ვაიმე —
არ შეგიძლია იმ მწუხარების
ტოლი და ღირსი მომცე რაიმე.

მატარებელი მიდის და ბნელში
დაეძებს გზებს და ხეობებს ღია
და ფანჯრებით განათებული
ჩემი უშენოდ ცხოვრება მიაქვს.

მატარებელში დამძინებია
და გამივლია ჩემი სადგური...
წასულან დღენი სიყმაწვილისა,
განათებული მკრთალი სანთურით.

სად დაიკარგა ძველი სიმართლე
შენი თვალების, შენი ღიმილის...

სხვა სადგურების მათრობს სინათლე,
სხვა მატარებლის მესმის კივილი.

უცებ ვიგრძენი მთელი ქვეყანა,
ტეინში ჩამჯდარი,
გულში ჩადგმული...
მატარებელში დამძინებია
და გამივლია ჩემი სადგური...



ერთგულება*

რომანი

თავი მეთხუთე

თამარმა იმ ღამით ვერ მოისვენა. გივის წასვლის შემდეგ ორმაგად დამცი-რებულად გრძნობდა თავს. წინა დღით სევტიანმა აისრულა საწადელი. მერე უცბად დაივიწყა ყველა აღთქმა-დაპირე-ბანი და თამართან ლაპარაკიც კი ეძნე-ლებოდა.

იწვა ლოგინში, ხან ერთ, ხან მეორე გვერდზე ბრუნდებოდა, ტრიალებდა, მაგრამ ამით ვერც ახლანდელ სულიერ მდგომარეობას, ვერც უსიამოვნო ფიქრს იცილებდა. ისევდასევ გივის დამამცირებელი სიტყვები ესმოდა:

„ასეთ იაფ საშოვარზე აქ არ მოვ-სულვარ“. ვერ იქნა და ეს დამამცირე-ბელი სიტყვები ვერ მოიშორა, ვერ მი-აყუჩა.

„გაიიფდი, თამარ, აღარავის უნდისხარ, სადღაა შენი სიამაყე? განა ეგრე უცბად გაქრა ყოველივე?“ — და ახლა იმას იგონებდა, თუ როგორ დაიწყო, თავი-დანვე რა იყო მიზეზი, ვინ იყო დამნა-შავე ასეთ მდგომარეობამდე მისი მიყვა-ნისა.

„ისიღორემ დამლუბა, შეშარცხვინა. გამაბახა, მერე კი წავიდა... მაგრამ რა შუაშია აქ ისიღორე? ყველაფერი გენ-რიეტას ბრალია, ისიღორეც ხომ გენრი-ეტამ გამაცნო; ჩემს ჩავარდნას ხელი შე-უწყო, გონება დამაკარგვინა, ტბილი სიტყვებით წამიყვანა ცუდ გზაზე. მაგ-რამ მე თვითონ სადღა ვიყავი?“ — შე-ეკითხა თამარი თავის თავს, „არა, არა!

მე ვარ დამნაშავე. თვალდახუჭული მი-ვენდე, ავეყვი გენრიეტას, ისიღორესაც წინააღმდეგობა ვერ გავუწიე, არც ის გა-ვეუმხილე, რომ მე სხვა მიყვარს. ყველა-ფერი დაივიწყე, არც მოვიგონე, რომ თამაზი ომის ცეცხლშიაც არ მივიწყებ-და და თავბრუდახვეული გადავეშვი შო-რევეში... ახლა კი ჩაღრჩვი შიგ, ახია, ახია!“

წამოდგა. ხალათი მოიხურა. აივანზე გავიდა: ქუჩა დამშრალი მდინარის კა-ლაპოტივით იდო მის თვალწინ, არსაი-დან არავითარი ხმა არ ისმოდა.

ეძინა ქალაქს. „ნეტავი ძილში ყველა-ფერს ვივიწყებდეთ წარსულზე, რაც ოდესმე გადაგვხლოშია. მაშინ მეშველე-ბოდა. რომ გავიღვიძებ, არაფერი მეცო-დინება არც ჩემზე, არც სხვაზე“ — ფიქ-რობდა სასოწარკვეთილი თამარი.

შესცივდა. მანაც აქ ყოფნა ერჩია. ახლა შორს, ცისკიდურს მიჩერებოდა; უსასრულო სივრცე ყველაფერს ნთქავ-და: ფიქრებს, თვით აღამიანებს, რომელ-თა სახეები მის თვალწინ ირეოდნენ და ბოლოს თვითონაც ამქვეყნიურ სინამ-დვილეს მოწყვეტილი იკარგებოდა, კრე-ბოდა შორეულ ვარსკვლავთა დაუსრუ-ლებელ ციმციმში...

ფეხისხმამ გამოაფხიზლა და დააბრუ-ნა ამქვეყნად. ახლა აქ ყოფნა უმძიმდა მას. უფრო შესცივდა, კანკალებდა. შე-ვიდა ოთახში, მაგრამ საწოლს ვერც-ბოდა, გაურბოდა, ეგონა: საწოლში ფიქ-რები დამიმორჩილებენ, თავს დამაწვე-ბიან და გასაქცევიც აღარსად შექნებაო. ამიტომ ჩაბნელებულ ოთახში სიარული

დაიწყო. ზოგჯერ ზომ სიბნელე სინათ-
ლეზე უფრო ამშვილებს ადამიანს, მეზო-
ბლებს, რომ ფეხისხმა არ გაეგონათ, თა-
მარმა ფოსტლებიც გაიხადა, შრშველი
ფეხებით აჩრდილივით დადიოდა. ზოგ-
ჯერ ფანჯარას გვერდით ჩაუვლიდა,
ქუჩაში ცალი თვალთ გადაიხედავდა...
ბოლოს, რაღაც შეუგნებლად, საწოლთან
მივიდა და ზედ დაეცა.

ზარის გაბმულ ხმა შემოესმა. თვალი
გამოახილა, გამოერკვა, წამოდგა, კარი
გააღო. იგრძნო, რომ ვიღაც შემოვიდა,
მაგრამ სტუმრისათვის არ შეუხედავს,
უკანვე გამობრუნდა და, თვალდახუჭუ-
ლი, ისევ ლოგინში ჩაწვა.

— თამარ, რა მოგივიდა, საღათას ძი-
ლი ზომ არ მოგერიო! — ჰკითხა გენრიე-
ტამ.

თამარს მისი გავგონებაც კი არ უნდო-
და; ცდილობდა ძილის ბურანისათვის
მიეცა თავი, რომ ყველაფერი ამქვეყნი-
ური დაევიწყებინა.

გენრიეტა მაინც არ მოეშვა:

— თამარ, იცი, რა დროა? გაიღვიძე,
უკვე შუაღლეა. აღარც კამა-სმა გინდა,
აღარც მემანქანეობის კურსებზე წასვ-
ლა, არც ქვეყნის ამბების გაგება?

თამარი დუმდა.

„წუხელ, ალბათ, იქნებოდა და ახლა სძი-
ნავს, განცხრომაშია, მე კი არც მოვავგონ-
დი. შპრალზე დამტოვა და ნერწყვიც გა-
მისრა“, — გაიფიქრა, გენრიეტამ წყურ-
ვილი იგრძნო, იქნებ რამე სასმელი აღ-
მოვანიხრო, განჯინაში ძებნა დაიწყო.
რადგან ვერაფერი იპოვნა, კიქა გამოა-
ღო და წყალი დალია. კიქას რომ ისევ
მოუნახა ადგილი, ოთახში მეძებარივით
აიშვირა ცხვირი, თითქოს ყნოსვით შე-
ეძლო გაეგო, ვინ იყო აქ, მამაკაცი თუ
დედაკაცი, რას აკეთებდნენ, ვინ რა მო-
იტანა, ან რა წაიღო. მაინც ვერაფერითარი
ნიშანწყალი ვინმე გარეშეს აქ ყოფნისა
მან ველარ იპოვნა.

„სიციარილეა. არც რაიმე სანეტარო
წუთების კვალი, არც გემრიელი საკმელ-
სასმელის ნასახი. მაშ ასე რამ გააბრუა
ჩვენი ლამაზი? — გაიფიქრა გენრიეტამ.
თაყვანისმცემელთა ქიშპობამ გაუფრთ-

ხო ძილი. ახლა კი ეს მშვიდი ანგელოზი
თვალს ველარ ახელს. იჩქარე, თამარიკო,
მოათავე განცხრომის დღეებში, თორემ
რასა ჰგავს; უკან მომდევე, მოჰყვები ჩემს
მიერ გათვლილ გზას, მაგრამ დღემდი-
საც ვერ დამეწიე“.

თამარს თავზე წახურული საბანი გა-
დახადა, მხარში ხელი მარწუხივით ჩაა-
ვლო, მოარხია:

— გაიღვიძე, მეგობარო, სანეტარო
დღე გათენდა, წამოდექ, გელოდება სა-
ყვარელი გენრიეტა, — რაღაც ლეჰსა-
ვით აწყობილად ჩასძახა სტუმარმა მძი-
ნარეს.

თამარმა უსიამოვნო გრძნობით გაახი-
ლა თვალები, სახე მოეღრიცა, აიღეწა,
წამოიძახა:

— თავი დამანებე, არა მცალია!

და მან თვალები ისევ მოხუჭა. გენრი-
ეტა მაინც არ მოეშვა, მანამდე აწვალა,
სანამ არ წამოაჯინა.

— მე აქ ვარ, შენი ერთგული, შენ კი
გძინავს და ხმასაც არა მცემ. რა ზრდი-
ლობაა? ვანა შენისთანა მალალი წრის
ქალს სტუმრის ასეთი მიღება შეჰფერის?
შენც არ მომიკვდე, ეს საქებარი. საქმე
არ იყოს. მაინც არ მეტყვი, რა შეგემ-
თხეა?

— არაფერი. თავი დამანებე, არ შემი-
ძლია, — მიაძახა ფერმისდილმა თამარ-
მა. მუხლებზე დაწყობილ ხელებს დასჩე-
რებოდა და ტანზე ჩაცმას ჯერაც არ ფი-
ქრობდა. მან გაშლილი თმა უკან გადა-
ყარა. თმის თითოროლოა დერი სახეზე
ისე ჩამოშლოდა, თითქოს მისი თეთრი
სახე ვინმეს შავი ხაზებით წაუშლიაო.

— ავად ზომ არა ხარ, ჩემო ლამაზო?
მითხარი, ნუ მომერიდები. თორემ აზო-
დენა დროც აღარა მაქვს, უნდა გავიქცე
და ჩემს საქმეს მივხედო! — უთხრა გენ-
რიეტამ და თვალები ეშმაკურად აუთა-
მაშდა.

— ავად კი არა ვარ. არც მკვდარი ვარ
და არც ცოცხალი; შენ უკეთ იცი, რო-
გორც ვარ და საითაც მივდივარ, — თავი
არ აუწევია, ისე, გულჩათხრობილი სიმ-
შვიდით უთხრა თამარმა.

— რას ამბობ, თამარკო, ფილოსოფოსი ხომ არ გამხდარხარ? — და გენრიეტამ სიცილი დაიწყო, — კარგია. მე და შენ ყველაფერი გამოვცადეთ ამქვეყნად, ახლა ფილოსოფოსობაც დავაწყობთ. როცა სიცოცხლის ინტერესი აღარ გვექნება, ფილოსოფიურად თითს ჩხირივით წავეგრძელებთ და ქვეყნიერებას ჭკუას ვასწავლით.

— დამასვენე, გენრიეტა, რატომ დამცინი? — შეევედრა თამარი და წამოდგა. ზანტად შეუღდა ჩაცმას. ტანსაცმელი ხელიდან უვარდებოდა, იღებდა, იცვამდა, ქანაობდა. ხან მაგიდას დაეყრდნობოდა, ხან სკამს, თავს იმაგრებდა...

წამოდგა იმიტომ, რომ გააღვიძეს, იცვამდა იმიტომ, რომ წამოდგა; სხვა არაფერი, არავითარი შინაარსი მის მოქმედებაში ახლა არ ჩანდა. როცა ჩაცმა მოათავა და ხელპირიც დაიბანა, დაჯდა, ნიდაყვებში ჩამალა სახე, თითქოს ისევ ძილს აპირებსო, თვალი მოხუჭა.

— რას შერები, თამარ, ისევ იძინებ? — აწრიალდა გენრიეტა, — გაიღვიძე, მზეთუნახავო, თუ ძველები ჩამოიშორე, ახლები მოვლენ, ხე-ხე...

თამარმა თავი ასწია, ძველ მეგობარს მკაცრად მიამახა:

— მომეშვი, წადი, თუ გეჩქარება! შენთვის არ მცალია, ხომ ხედავ, გუნებაზე არა ვარ!

— რას მერჩი, თამარ, რა დაგემართა, რა მოხდა ასეთი? ვერაფერი გამიგია. იქნებ ჭორიკანებმა გამჭორეს და გაგაბრაზეს შენს ერთგულ გენრიეტაზე. აშკარაა, ეს აგრე იქნება, მაგრამ მე ჭორიკანები ფეხებზე მკიდია.

— შენზე უფრო ჭორიკანა ვინ-ღა იქნება, გენრიეტა!

— აჰა, ხომ ვთქვი; ახლა მართლა არა ხარ გუნებაზე. ნახვამდის, თამარკო!

თამარს კიბეზე დაშვებული გენრიეტას აჩქარებული ფეხისხმა ჩაქუჩივით ურტყამდა თავში. როდესაც ფეხისხმა მიწყდა, შეებით ამოისუნთქა.

აივანზე გასასვლელი კარი გააღო. გრილმა ჰაერმა გამოაცოცხლა;

წავალ. ერთი თავყანისმცემელი იქაე

დამხვდება. რამდენი თავყანისმცემლები მყავს, რაღა მიჭირს, ჩემს ბედს ქაღლო არ დაყეფს“ — დასცინა თავისთვის.

ცოტა ხნის შემდეგ კიბეზე ფრთხილად ჩადიოდა, რომ მისი ფეხის ხმა გენრიეტასას არ დამსგავსებოდა, ამაშიაც კი არ დამსგავსებოდა, რადგან უკვე თავის თავს და გენრიეტას შორის თითქმის არავითარ განსხვავებას აღარ ხედავდა.

ქუჩაში ნაცნობებს სახეს არიდებდა. რაც წინა ღამით შეემთხვა, ამით უფრო დაიმცირა თავისი თავი. არ უნდოდა ვინმე ნაცნობს ენახა აგრე დამცირებული. თავდაბრილი, გაწუწული წიწილივით მიდიოდა და თავისთავს იმით ინუგეშებდა, რომ ახლა, ისე როგორც სხვები, თითქოს რაღაც საქმეზე მიიჩქაროდა. მალე შევიდა ქუჩის პირას კარგამოდებულ, საკმაოდ ვრცელ ოთახში, სადაც მემანქანე ქალთა მთელ რაზმს ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაეჩაღებინა.

შევიდა თუ არა თამარი, მაგიდასთან მიმჯდარმა საშუალო ხნის ქალმა სათვალე მოიხსნა, აიმრიზა და გაიღიმა:

— რა დროა, ქალიშვილო? მგონი დასვენება მალე იქნება და რაღას ჩქარობდი!

— ცუდად ვიყავი. — თითქოს თავისთვის თქვა თამარმა და კუთხეში დადგმულ, ალბათ ხმარებიდან გამოსულ, ეანგზოდებულ მანქანას მიუჯდა.

— კარგი, ჩვენი უფროსი საცაა მოვა და აგრე მოვახსენებ, — ახლა მუქართაც კი უთხრა იმ ქალმა, სათვალე ისევ ცხვირზე მოიმავრა და მემანქანე ქალთა ოცეულს გახედა.

ახლა თამარიც შეუღდა საქმეს: საბეჭდ მანქანაში ქალაღი ჩადო. საჩვენებელი თითი მანქანის კლავიშს დაუმიზნა და თითქოს დღეთა მსვლელობას ითვლისო, ნელი, მონოტონური კაკუნი დაიწყო. ქალაღზე აღბეჭდილ ასოებს აცქერდებოდა, მერე თითს თითქოს იმიტომ დახედავდა, რომ შეემოწმებინა, ხომ არ დავიზიანეო...

მალე ვილაც თამაშეკლარავებული და ტანშემრგვალებული საშუალო ხნის კაცი შემოვიდა. მან მემანქანებს თვალი

გადაავლო, მაგრამ თამარს რაღაც მალულად გახედა. მერე მაგიდასთან მიმჯდარ სათვალეებიან ქალს ჰკითხა რიხიანად:

— როგორაა საქმე, გეგმას ხომ ასრულებთ, მართა?

მართამ სათვალე მოიხსნა, წმენდა და უწყო. სახეზე გაჩენილი სიწითლე გაუფართოვდა, მერე ახლადმოსულს თვალშეპარვით შეხედა:

— დაბრძანდით, პორფილე, — რბილად, მაგრამ რაღაც საყვედურით უთხრა მას, მერე მაგრად გადაშლილ რაღაც „საქმეს“ დააჩერდა, ზედ მანიკურით აპრიალებული თითებიც აათამაშა და განაგრძო:

— გეგმას რა უშავს, დისციპლინა გვაკლია.

— როგორ?! — გაიკვირვა პორფილემ.

— იგვიანებენ.

— ეს სიტყვა განგებ გააგრძელა მართამ. სათვალეს დახედა, თითქოს შეამოწმა, კარგად თუ გავწმინდეო, თუმცა იმას უფრო ამოწმებდა, მის მიერ თქმულმა რა შთაბეჭდილება მოახდინა პორფილეზე. მერე სათვალე ისევ ცხვირზე მოირგო და ზემოდან ქორივით გადახედა თამარს.

პორფილე მიხედა, ვის უმიზნებდნენ მართას თვალეზე, ამიტომ თვითონაც შეავლო თვალი თამარს და შეიშმუნა. ხმა არ ამოუღია. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც უბერხულად თქვა:

— კარგი; დღის ბოლოს შემოვივლი და მოველაპარაკები.

ეს რომ თქვა, წამოდგა, პორტფელი საქანელასავით შეარხია და ისევ ქუჩაში გავიდა.

თამარი მჩხედა, აგრე რამ შეაწუხა პორფილე, მაგრამ ამას არაეითარ ყურადღებას არ აქცევდა, კარისაკენ გრძელი ნაბიჯით წასულ უფროსს დამკინავად გადადევნა თვალი. მხედველობიდან არც ის გამოჰპარვია, როგორი მტრული თვალეებით შემოსიქეროდა მართა, მაგრამ, ისე უსავნოდ თვლიდა მართას ღვარძლიანობას, რომ გული არ მოსდიოდა.

„ნეტავი შენ, სხვა არაფერი გაწუხებს“, — ასეთი პასუხი უტრიალებდა თამარს გულში. მაგრამ ვინ იცის, იქნებ მართას ამ მტრულ გამოხედვას სხვა, უფრო სერიოზული მიზეზიც ჰქონდა?

ეს შესაძლოც იყო. თამარისადმი ვანსაკუთრებულ ყურადღებას ამელაგებდა პორფილე. თვით თამარის გარდა, ამას სხვებიც გრძნობდნენ. არც მართა იყო ბრმა... იქნებ რა თვალით უყურებდა პორფილეს ეს ჯერ კიდევ დაუბერებელი, ქალარაშეპარებული ქალი?

მაგრამ საქმე ის იყო, რომ, რაც მართას წონასწორობას უკარგავდა, თამარს სრულიად არ ალღევდა. მისი ფიქრის საგანი, სამწუხარო, სავალალო და დასანანი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, მას ისე ძლიერ შეეპყრო თამარის გონება, რომ სხვა ყველაფერი, მნიშვნელოვანიც კი, უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა.

სამუშაო დღე უკვე დასრულდა. მემანქანეები ერთბაშად წამოიშალნენ. თამარიც წამოდგა.

ყველა მოემზადა და შინისაკენ გაუღდა გზას.

გარეთ გასვლისას მართას ხმა მოესმა თამარს:

— თქვენ მოითმინეთ, უფროსი მოვა!

თამარი შედგა. გამობრუნდა. უსიამოვნო გრძნობით და ფრთხილი ნაბიჯით ისევ თავის საბეჭდ მანქანასთან მივიდა, სკამზე დაეშვა და კედლის საათს მიაპყრო თვალი. ასე ხუთიოდე წუთს იჯდა. მერე წამოდგა. ალბათ, აღარ მოვია, თქვა და კარისაკენ წავიდა.

— მოითმინეთ, პორფილე მოვა! — მოაძახა მართამ, მაგრამ თამარს მისი ხმა აღარ გაუგონია.

მართა უფრო გააბრაზა ამან. სათვალე მოიხსნა და ხელი ჩაიქნია. „აი, თავხედობა! გაათამამეს! უფროსებმაც ჰქუა დაკარგეს, ახლა ტყუილებიც დაიწყეს, მამ ეს რასა ჰგავს? მოვალო, ბრძანა და აღარა ჩანს! მეც მომატყუა! ასეა, უფროსი რომ ტყუილებს დაიწყებს, უმცროსადაც არ გამოდგება!“

ქუჩაში გასულმა თამარმა ოციოდე ნა-

ბიჯი რომ გაიარა, იმავე ქუჩის მეორე კუთხეში პორტილეს მოჰკრა თვალი. პორტილემ ჯერ სახე მოარიდა, მერე თამარს თვალი გაადევნა და შეუქმნევლად უკან გაჰყვა. უცხად რაღაც მოისახრა; ქუჩა გადაჭრა, მეორე მხარეზე გადავიდა. კარგა მანძილი რომ გაიარა, ისევ უკან მობრუნდა, თამარს შეეფეთა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს აქ შემთხვევით შეხვდაო.

— თქვენ უკვე მიდიხართ? — ტკბილად ჰკითხა ქალს, — ბოდიში, საქმეებმა არ გამომიშვეს, სად არ ვყავი, რა აწეწილ საქმეებს არ გადავეყარე, შემჩერეს და დავიგვიანე.

თამარი შედგა. არც კარგი, არც ავი, არც წყენა, არც სიხარული გულთმისანსაც არ შეეძლო ამოეკითხა ახლა მის სახეზე. ისე კი უპასუხა, გელოდებოდითო.

— მე თქვენი ნახვა მინდოდა და არა მართასი. კარგია, შეგხვდით. ჰო, გაგაცილებთ...

თამარი შეყოყმანდა, აიღეწა, მერე კი უნებლიეთ დაიძრა ადგილიდან.

— მართამ დისციპლინაზე გადმოძვრა სიტყვა, მაგრამ თავი ავარდევ, რა იცის მართამ, რამდენი რამ საფიქრებელი, სადარდებელი თუ სასიხარულო აქვს ახალგაზრდა ქალს და ყოველთვის დროს ვერ მოზომავს... — დინჯად, ხმაშეპარვით დაიწყო პორტილემ. ოდნავ შეყოყმანდა და მერე რაღაც უხერხულად განაგრძო: — შური აღაპარაკებს მართას... ასე იციან ხანში შესულმა ქალებმა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, აქ ვასაკერი არაფერია. თმაში თეთრი გაუჩნდა, წლების სიჭარბე გამოამეღაუნა და რა ქნას, ჩქარობს. ცხადია, ქალაჩა არაფერია, მაგრამ ის ქალია და ეშინია... კაცი კი სხვაა. მაგალითად, ინგლისში, სანამ მამაკაცი ორმოცდახუთ წელს არ მიღწევს, ცოლს არ შეერთავს, — შეაპარა პორტილემ.

თამარი მიხვდა: მთელი ეს გრძელი ისტორია წლების გარშემო პორტილემ მხოლოდ იმტომ წამოიწყო, რომ დაედგინა, გადაელახა თითქოსდა ეს ერთადერთი დაბრკოლება და ამით თამარის

ყურადღება მიეპყრო. თამარი დუმდა. ხმა ერთხელაც არ ამოუღია.

პორტილემ იფიქრა, თამარის დუმილი შესაძლოა თანხობას ნიშნავდესო, და უფრო გაბედულად განაგრძო:

— მე თქვენთვის მითქვამს და ვიმეორებ, ჩვენს ბიუროში თქვენმა გამოჩენამ ახალი ჰაერი შემოიტანა, გამოაცოცხლა მტრები თუ მოყვრები. ქალების მოყვრობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ... სჯობს პირდაპირ ვთქვა: პირადად ჩემთვის იმ დღიდანვე სხვანაირი ცხოვრება დაიწყო, ყველაფერს ინტერესი მიეცა, სამსახურს, საზოგადოებას და თვითონ ცხოვრებას...

თამარმა მხოლოდ ახლა გადახედა პორტილეს და თვით ეს გადახედვაც ისე მოუხდა, რომ პორტილეს მთლად გული დაუწვა.

თამარის გამომეტყველება თითქოს ამბობდა: „აა, ეს თქვენა ხართ? განა ისე დაექვეითდი, რომ ასეთ რამეს მაკადრებთ?“

თამარის თვალეზში ასეთი აზრის ამოკითხვამ შეაერთო პორტილემ, კილო შეცვალა:

— ცხადია, მე ვამბობ იმას, რაც მე თვითონ შემეხება, თქვენზე კი ვერაფერს ვიტყვი. ფიქრობ, დროა ოჯახში შეექმნა და ასეთი ფიქრიც მაშინ დამებადა, როცა თქვენ გნახეთ. მაგრამ ამ ქვეყნად ვის ღირსებია მისწვდეს იმ ყვავილს, რომელიც ყველაზე უფრო იზიდავს, ათრობს თავისი სიმშვენიერით, სურნელებითა და სრულყოფილობით. დიახ, სრული ბედნიერება ვის ღირსებია, რომ მე შეღირსდეს? — გაიმეორა პორტილემ და გულჩათხრობით ამოიკენეს. ახლა მას აღარ უნდოდა დაენახა თამარის სახე, სანამ სათქმელს არ შოთავებდა, რადგან ეშინოდა, თუ ქალმა თვალეზით ჩემი აზრების უარყოფა მამცნო, მერე სიტყვასაც ვეღარ დავძრავო და განაგრძო, — დიახ, ჩემი მისწრაფება ერთია, თქვენ კი სხვა ბრძანდებით, თქვენ შესახებ ვერაფერს ვიტყვი. ჩემთვის სულ ერთია, ვინც არ უნდა იყოს თქვენ, რა წარსულსა... მე მხოლოდ ის ვიცი,

რომ სწორედ ისეთი ხართ, რომლის უკეთესს სიზმარშიაც კი ვერ ვნახავდი და ვისაც შეუძლია ხელმეორედ მომიყვანოს ამქვეყნად.

„ეტყობა, ძველი ლოველასია“, — გაიფიქრა თამარმა და ძლივს შესამჩნევად ღიმილი გაჩნდა მის ბაგეზე.

ამან პორფილე გაათამამა და უფრო იმედმოცემით განაგრძო:

— ახლა ყველაფრით მოწყობილი ვარ, ბინით, ავეჯით, სამსახურითა და პატრიისცემით. მხოლოდ თქვენი თანხმობა მაკლია და უკვე სამუდამოდ ბედნიერი ვიქნები.

ახლა კი თამარი უცერად შედგა. მისმა შავმა, მკაცრმა თვალებმა, თითქოს რისხვის ნაპერწკლები მიაყარეს პორფილეს.

შეჩერდა პორფილეც.

ახლა კი ნახვამდის, ბატონო პორფილე! — მოულოდნელად უთხრა თამარმა და უცხად გაბრუნდა.

— მაგრამ ნახვა ხომ შემეძლება, ისევ ხომ... — რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა გაოგნებულ პორფილეს, მაგრამ ვერ შეძლო.

— ნახვა ყოველთვის შეგიძლიათ, ბატონო პორფილე, — გაამხნევა თამარმა და სწრაფად, უკან არც მოუხედავს, ისე გაშორდა.

პორფილემ, ჩეულებსამებრ, პორტფელი გააქან-გამოაქანა, სასწორივით მხრები შეათამაშა და გამობრუნდა. მძიმე, უხალისო ნაბიჯით, თითქოს ძალით მიჰყავთო, მემანქანეთა ბიუროში წავიდა. „ძნელია ასეთი სანაქებო ახალგაზრდა ქალის ხელში ჩაგდება, მეტად ძნელია, ისიც ჩემისთანა დრომოკმული კაცისათვის, მაგრამ მაინც ცდას არ დავაკლებ. რად მინდა, რაც ჩემს ცხოვრებაში ავად თუ კარგად დამიყრია, თუ ბარტყები ვერ გამოვჩეკე, ისიც თამარისთანა დიდებულ ქალთან და ნამაგარი უაზროდ დამიღლა?.. მართას კი ჰგონია, შინ გაუქმებულ გრამოფონს დავიდგამ და მისი ცქერით დავტყებები. არა, ჩემო მართა, შენ ამ საქმეში ვერ გამომადგები.

ისიც გეყოფა, რაც გახრიალე... დიახ, გახრიალე!“

ამ ფიქრებით ის მემანქანეთა ბიუროში შევიდა და პორტფელი მაგიდაზე დააგდო. თავი ასწია თუ არა, მართას თვალებს წააწყდა.

— რაო, ინახულე? — დამცინავად ჰკითხა ქალმა.

პორფილე დაბნა, შეყოყმანდა.

— უკაცრავად, მართა... — ძლივს იპოვა მერე სათქმელი, — ვინახულე? ვინ უნდა მენახა, რას ამბობს!..

მართა, თითქოს კატა თავის ეპარებო, ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა, ახედდახედა, შეათვალა. მერე, თითქოს ნიშნად იმისა, ჩვენგან გაქცევის ყველა გზები მოკრილია და ვეღარსად წამიხველო, განგებ გაწვერილებული ხმით თითქოს გულში ჩაასო:

— არა, ეგენი არ გამოვივა, ხომ იცი! ფრთხილად, უფსკრულში არ ამოყო თავი! იქ შენი მართა ვერ გამოგყვება, მით უმეტეს, თუ სხვებს თვალები უციკინე, ხოლო შენი საყვარელი არსება დაივიწყე და დაამცირე... მიფრთხილდი, პორფილე, განა პრაქტიკანტს დისციპლინა არ მოეთხოვება?

ენაჩავარდნილი პორფილე გაოგნებულ მისჩერებოდა შურისძიების გრძნობით ატანილ ქალს.

თამარი თავაუღებლივ განაგრძობდა გზას შინისაკენ. ყურში თითქოს კიდევ ჩაესმოდა პორფილეს სიტყვები და რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, ნაბიჯს მით უფრო უჩქარებდა.

რაღაც შეუცნობელმა მიზეზებმა თავი ააწვეინა. მისი თვალები მოახლოებულ მამაკაცს თვალებს შეეგება.

მათ რაღაც თავისთავად ნაბიჯი შეინელეს და ხმისამოუღებლივ პირდაპირ შედგნენ.

უხერხული ღუმილი ჩაღვა მათ შორის. მისი გადალახვა ვერც ვაქს, ვერც ქალს ვერ გადაეწყვიტა.

თამარის თვალებში არავითარი ინტერესი, ან რაიმე აზრის ნაკვალევიც აღარა ჩანდა.

სევერიანი კი ვერ მალავდა გულში ჩაგუბებულ წყენას, მაგრამ ახლა ამ ქალის ცივი ღუმელის გადალახვას ვერ ახერხებდა.

პირველად მაინც სევერიანმა გატეხა ყინული და ხმადაბლა წარმოსთქვა:

— იქნებ მიზღვზე მაინც მიიხრათ რამე. იქნებ ამიხსნათ, ვერაფერი ვერ გამოვიღა.

— ყველაფერი გასაგებია, — სიტყვის დამარცვლით უპასუხა თამარმა, ცოტა ხნით იყუნა, მერე ორიოდ ნაბიჯი გადადგა და დაუმატა: — მაგრამ ვერავის გავამტყუნებ, ვერც თქვენ გაგამტყუნებთ. ჩვენს შორის სათქმელი თითქმის არც აღარაფერია... კარგად იყავით!

— თამარ! — წაეტანა ადგილიდან დაძრულ ქალს სევერიანი, — იქნებ კარგი მეგობრები მაინც დავრჩეთ, იქნებ ასე უეცრად, უაზროდ და უმიზეზოდ ერთმანეთი არ შევიძლოთ.

თამარი შედგა.

— ყველაფერი უაზრობაა, — მრუგო ვაქს პასუხად, — მაგრამ თუ ამ უაზრობას თქვენთვის მაინც რაიმე აზრი აქვს, მეც შევეცდები, კარგ ნაცნობობაზე უარი არ გითხრათ. კმაყოფილი ხართ? მამ ახლა მშვიდობით!

— კარგი, თამარ, მადლობელი ვარ! — ეს-ლა მოახერხა სევერიანმა და თვალი გადადევნა უკვე საკმაო მანძილით დაშორებულ თამარს, თუმცა გულში კმაყოფილი სრულიად არ იყო, რადგან გვისა და თამარის საეჭვო დამოკიდებულება ახლაც საიდუმლოდ რჩებოდა მისთვის.

თამარი კი მთვრალვით მიიბიჯებდა ახლა ქუჩაში. როგორც იქნა მიიღვა სახლს, კიბე სულმოუთქმელად აირბინა, კარი სწრაფად გააღო, შევიდა და იქვე, იატაკზე დავარდნილი კონვერტი შენიშნა. აიღო. კონვერტზე ნინოს ხელი იცნო.

„თამარ, როგორ გაუჩინარდი, სად დაიკარგე? — წერდა ნინო, — დედა მწერს, სოფელში ერთხელაც არ ჩასულხარ და ძალიან წუხს. აღარც ის ვიცი, რას აკეთებ ქალაქში, ბარათსაც აღარ

გწერ, არც მე, არც დედას. ნუთუ ისევ ძველი გზით?.. თუ შენი საქმელი უარგონანობა, ჩვენსას მაინც უკმაყოფილოდ და მოხუც დედას ნულარ შეარცხვენ“.

თამარმა ბარათის კითხვა შეწყვიტა, დივანზე დააგდო და თვითონაც ზედ დაეშვა.

ღიად დატოვებულ კარში გენრიეტა ისე ფეხაკრებით შემოვიდა, რომ მისი მოსვლა მასპინძელსაც არ გაუგია.

თამარმა გვიან გაახილა თვალი და კუთხეში მოჩვენებასავით გაშეშებული გენრიეტა რომ დაინახა, შეკრთა:

— საიდან გაჩნდი?!

— კარი ღია იყო და შემოვედი, — შემკრთალი ხმით უპასუხა გენრიეტამ.

თამარს მხოლოდ ახლა მოაგონდა, კარი ღია რომ მიატრევა და გენრიეტას თვალი გაუსწორა:

— ჰო, კარი რომ ღია არ დამრჩენოდა, ბედნიერებას ვერ წამართმევდი... ვერც შენ, ვერც სხვები...

თამარის სახის დანახვაზე გენრიეტა შიშმა აიტანა.

— ახლა გაგაგდებდი აქედან, მაგრამ გვიანდა... — განაგრძო თამარმა, — ამიტომ შეგიძლია დარჩე, იცეკვო, რმლერო, მოილხინო და იზეიმო. შენ გაიმარჯვე...

— ამას რად მეუბნები ა, ჩემო თამარ, განა მე დამნაშავე ვარ? — აწრიალდა გენრიეტა, — კეთილი მსურდა, ღმერთმა იცოდეს, მაგრამ ღმერთი მუდამ სრკეთეს როდი გვიწყალობებს, სიტკბოს სიმწარესაც გამოაყოლებს და რა ჩემი ბრალაა?

თამარი მოეშვა, თავი ჩაჰკიდა და კარგა ხანს იჯდა ასე, ხმის ამოუღებლად.

— ცხოვრება ასეთია, ხან დაეცემი, ხან წამოდგები, ზოგჯერ რცინი, ზოგჯერ რაც ტირი. ასე რომ არ იყო, მოგვწყინებოდა, — რადგან თამარი აღარაფერს უპასუხებდა, გათამამდა გენრიეტა და ენა გაღესა, — მაინც რა მოხდა მონონანდ შედგომას ხომ არ ფიქრობდი? თუ ძლიერ გწყურია, ერთ ქმარს მე თვითონ გიშოვნი; კაცი ერთი თუ არ გამოდგება, სხვა გამოჩნდება; მამაკაცებში დიდი

განსხვავება როდია, მაგრამ უფრო თვინიერი უნდა იპოვნო, ისეთი, შენ ჰკუთხე რომ ატარო და ანგარიში არ ჩააბარო.

თამარმა ისევ გენრეტას მიაპყრო თვალები, მაგრამ ეტყობოდა, უკვე აღარ ჯავრობდა, პირიქით, გამოცოცხლება დაეტყო და თითქოს რაღაც ირონიული ღიმილის კვალიც გაჩნდა მის სახეზე:

— ასეთი თვინიერი უკვე ვიპოვნე და რაღა მიჭირს!

— მართლა? არ ხუმრობ? ეს საუცხოო რამაა, ვინ არის?

— ჩვენი უფროსია, მაგრამ პორტფელით გაცვეთილი.

— პორტფელში რა უყრია, ფულები თუ საუბზე?

— პორტფელში რა ვეცი და, როგორც ბიანაში ნივთი ბევრი ჰქონია... რაც თავის სიცოცხლეში შეუძენია, თხუნულასავეთ იმ ოთახებში უგროვებია და ნივთები რომ არ მოაწყინოს, ცოლობას მთხოვს.

საჩვენებელი თითი გენრეტამ ახლა შუბლზე მიიღო, თვალები დაანამხამა და განაგრძო:

— მაშ, სადაც ნივთია, იქ ახლომახლო ფულიც იქნება. ა, როგორ ატყობ, ჯიბე ცარიელი ექნება?

— ჯიბე არ ვეცი და თავი კი ცარიელი აქვს.

— მით უკეთესი! თუ რამე საკენკი გააჩნია, ადვილად გამოსტყუებ. მისი თავი რა ჰქირად გინდა!

— რას ამბობ, — გაჯავრდა თამარი, — უთავო და უსახელო რა მეგობრობას გამოიწვევს!

— მეგობრობას? ჰა-ჰა! — გაიცინა გენრეტამ, — რამდენი გიჩიჩინე, ჰკუთხე ვერ ისწავლე. დედაკაცსა და მამაკაცს შორის მეგობრობა ვის გაუგია! ერთი — ილთას, მეორე — ბალთას. კაცს მხოლოდ უჭკუო ქალი ენდობა. კაცებმა ტრფობა წუთიერი იციან, მტრობა კი მუდმივია. ჰოდა, ყური მიგდევ, გამაგებინე, ვინაა, რა კაცია, რა ჰქვია.

— პორტფელე ჰქვია, გვარად მგონი მხეიძეა, საშუალოზე დაბალი, პირმრგვალი კაცი.

გენრეტამ ხელები გაასავსავა, წელში გაიმართა და წამოიძახა:

— მხეიძე! რას ამბობ, თამარი! მარტადამრიო! პორტფელე მხეიძე! თამაშეთორებული და ქალებისათვის თავდადებული! ის ხომ ჩემი კლიენტია! ეტყობა, ხელმომთბარი ვინმეა, მაგრამ ერთხელაც ვერ დავიმარტოვე...

— ეშმაკურად ისიც შემომამარა, შენს წარსულს სრულიად არ დაეძებ, როგორსაც გხედავ, ისე მომწონხარო, — თქვა თამარმა.

— ბარაქალა, კაცი ის ყოფილა! სწორედ შენტვის ზედგამოჭრილი ვინმე ბრძანებულა! ასეთი კაცი დაფსაგების ღირსია და ზურგს ვერ შეაქცევ. ღმერთს ჩვენისთანა ქალებისათვის გაუჩენია!

თამარს ეწყინა ის, ჩაფიქრდა.

— არა, გენრეტა. შენ მართლა გგონია, რომ პორტფელეს გაყვები? არც ისე დავცემულვარ, როგორც შენ ფიქრობ, — ყრულ თქვა შემდეგ მან.

— დაცემულნი ახლა ვართ, მაგრამ თუ უფროსს გაპყვები, წამოგაყენებს. მერე, თქვენი დახმარებით, იქნება ერთი თავცარიელი და ჯიბესქელი მეც შევიძინო, — ხავსს ჩაეჭიდა გენრეტა, — ჰო, ეს ხომ აგრეა, მაგრამ მანამდე ერთი რამ მოსაგვარებელი საქმე დაგჩრა. თამაზი უნდა დასაჯოს. მამაკაცი დაუსჯელი არ უნდა დატოვო, შხამი მუდამ მზად უნდა გქონდეს და მოხერხებულ დროს შეუშხაუნო. მოწამლული თევზივით უნდა აწრიალო და წყალში უწყლოდ დააღრჩო.

— ეს ცუდი აზრი როდია, მაგრამ მე რომ ასეთი ძალა მქონოდა, დავიბრუნებდი... დაბრუნების უფლება მხოლოდ თამაზს აქვს... მე კი დავკარგე...

— უფლება? რა უფლება? რა უფლებების ძალით შეუძლია შენი უარყოფა? განა ეს სასაცილო არაა? — გაიკვირვა გენრეტამ.

— მორალური უფლება, — ხმადაბლა, თითქოს თავისთვის თქვა თამარმა.

— „მორალური“... — რაღაც აგდებით გაიმეორა გენრეტამ და საჩვენებელი თითი ისე მოიქნია, თითქოს სიტყვა

„მორალური“ ზედ წამოაგოვო, — მორალური ისაა, რაც მოგიხდება, რაც ცხოვრებაში გამოგადგება, რაც დღეს კარგია, ხვალ აღარ ვარგა, რაც დღეს ცუდია, ხვალ მშვენიერია. ჰოდა, მე სად ვლიო „მორალს“, რაა მორალი, შეიწყება თუ მოიხარშება? არა, ჩემო სანატრელო თამრიკო, მორალის მიადევარი კურდღელს ვერ დაიქერს, პირიქით, კურდღელი დაიქერს და გააბახებს.

თამარი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა მეგობარს, მაგრამ დაიღალა, გენრიეტას განუწყვეტელმა რაკრაცმა მთლად მოადუნა და ახლა უკვე ველარ ამღებდა პასუსს.

II

იმ საღამოს თამართან მისული სევერიანი ცდილობდა ნაწილობრივ მაინც გაემართლებინა ის, რაც თამარსა და მის შორის გატყდა. თამარის პირდაპირ იჯდა სავარძელში და თითქოს ნანობდა, რომ რაღაც აუხსენელმა გაუგებრობამ ერთმანეთს დაამორა ისინი.

— თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, თითქოს არავითარ გაუგებრობას ჩვენს შორის ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა, მაგრამ... აღარ დაასრულა სევერიანმა.

— ყველაფერს სწორედ ეს გასაოცარი „მაგრამ“ წყვეტს ამქვეყნად. ეს სიტყვა რომ არ ყოფილიყო, ბედნიერებას დასასრული არ ექნებოდა. მოვა ეს „მაგრამ“ და ყველაფერი ინგრევა, ან დანგრევაზე მისული უცბად შენდება. ჩემთვის კი ყოველთვის ყველაფერი ინგრევა, — უპასუხა თამარმა.

უეცრად ზარის ხმა გაისმა.

თამარი წამოდგა. კარი გააღო. ოთახში გენრიეტა შემოვარდა.

— რა იყო, ხომ არავინ მოგდევს? — ჰკითხა მას თამარმა.

— ვიც, სევერიანი ახლა შენთან იქნება. სწორედ კარგ დროს მოვედი არ დაახანა გენრიეტამ.

— კი, მაგრამ ყველაფერი შენ როგორ იცი!

— ვიცი. რაც ქვეყნად ხდება, ყველაფერი ვიცი, თუ მე არ გავიგე, ისე რწყილიც ვერ შეიცვლის ადგილს.

— მერე რა, რა საქმე გქონდა?

— თამაზი ჩამოვიდა, — ტელეფონითაც შევამოწმე, ახლა შინაა და შეგიძლია გული იჯერო.

— აჰა! — წამოიძახა თამარმა. ფერი ეცვალა.

— ჰოდა, მე წავედი, სადმე შორიახლო ვიქნები, რომ მოულოდნელად ხელიდან არ გაგვრსხლტეს, — დაიძახა გენრიეტამ და წამსვე გაბრუნდა, დიდრონი ფეხსაცმელების რაკარუკით კიბეზე დაეშვა.

თამარი ოთახში შემობრუნდა, სევერიანის წინ უეცრად შედგა:

— აქ არაფრის თქმა არ შემიძლია. ქუჩაში გავრდეთ, გავიაროთ და ყველაფერს გეტყვი.

— კარგი, თამარ, იქნებ აგრეც სჯობდეს, — დაეთანხმა სევერიანი, თუმცა ქალის ამგვარი საქციელით კმაყოფილი სრულიადაც არ იყო.

თამარი ჩქარობდა.

სევერიანს კი ვერაფერი გაეგო, — ასე უეცრად რა განიზრახა თამარმა?

ქუჩაში რომ გავიდნენ, ქალმა მკლავნი ხელი გამოსდო მას და ისე მიეკრა, რომ სევერიანისათვის მისი საქციელი ახლა უფრო საეჭვო გახდა. მშვენიერი ქალის სიახლოვემ მაინც შეუღებუა სუნთქვა, უსიამოვნო ექვეები მთლად დააეიწყა და მან უფრო თამამად, მზიარულად გააბა ბაასი.

— მეგონა დავკარგე დიდი საუნჯე, გაუგებრობამ იმსხვერპლა ბედნიერება, მაგრამ, ჩანს, შევეციდი, მოეტყუედი და ეს შეცდომა მე ძვირად დამიჯდა. ახლა კი აი, როგორ მახარებ! თეთრი ღამეების ბრჭყალები შეეხო ჩემს გულს, ღრმად დასჭრა იგი და თუ თვალებმა დამე გამითეთრა, სულში გადასულმა მისმა სიბნელემ დღე დამიბნელა, გამანადგურა. და აჰა, ხომ ხედავ, თამარ, რას დავემსგავსე, — გავხდი, ფერიც დავკარგე, — განაგრძობდა სევერიანი, მაგრამ თამარი მას არ უსმენდა, ვერც

ვერაფერს ხედავდა, სახეშიაც არ უცქეროდა, ჩქარობდა, სევერიანსაც მიანიჭარებდა.

იმ სახლს მიუახლოვდნენ, რომელშიაც თამაზი ცხოვრობდა.

თამარმა ამ სახლის ზედა სართული ნამალევად შეათვალიერა და იქ ფანჯარასთან შეჩერებული თამაზი შენიშნა. ხელი აუტაკდა. სევერიანმა ამითაც იგრძნო, რომ თამარი ღელავდა. მაინც არაფერი ჰკითხა. „ეს კარგი ნიშანია, თამარი გადაქარბებულ მგრძნობიარობას ამხელსო“ — ვაფიქრა.

— მაგრამ ღამეს დღე მოსდევს, ზამთარს — გაზაფხული, ტანჯვას — სიხარული და ახლა მეც ეხარობ, — განაგრძობდა სევერიანი, თამარი კი ისე დასუსტდა, რომ სევერიანს მთლად ჩამოეკიდა.

სევერიანს ეგონა, ჩემთან ახლო ყოფნა ისე აღელვებს, რომ მზადაა გულში ჩამეკრასო. ამით ის არა მარტო ხარობდა, ამაყობდა, მისგან თითქოს სამუდამოდ წასული, მშვენიერი ახალგაზრდა ქალი რომ ისევ მოხიზლა.

ქუჩის თავს რომ მიაღწიეს, თამარი შედგა, უკანვე გამობრუნდა, სევერიანიც გამოაბრუნა.

— ეს ქუჩა მშვენიერია, აქ სეირნობა სანატრელია, — უთხრა სევერიანს, რომ გაემართლებინა თავისი ქვევა, თავს ძალა დაატანა და გაიღიმა.

— მშვენიერია, სადაც შენს ფეხს დაადგამ, ჯოჯოხეთიც სამოთხედ იქცევა, მკვდარიც ვაცოცხლდება, მაგრამ მე მაინც შენთან მიჩვევნი, შენს კოხტა ბინაში, — თქვა სევერიანმა, მერე თამარს პასუხს დაელოდა, მაგრამ რაღაც ვერ ელირსა, ისევ განაგრძო, ქუჩაში მაინც შეზღუდული ვართ, ხელ-ფეხი შეკრული გვაქვს, ენაც დაბმული და რაც გულისთვის ვეინდა, მთელი სისრულით ვერ გამოვთქვამთ. რას იტყვი, თამარ, ხომ მართალი ვარ?

თამარი სევერიანის სიტყვებით კი არა, მისი გამომეტყველებით მიხვდა, ალბათ რაღაცას შემეკითხაო და, რადგან ეს შე-

კითხვა ვერ გაიგონა, თვითონვე ჰკითხავას:

— გივი სადაა? არ გგნახავს? ჩემი ამ ემდური?

სევერიანი შეაერთო ამ მოულოდნელმა კითხვამ. შედგა. მერე ადგილიდან დაიძრა და უპასუხა:

— გამირბის გივი, არ შეკარება, ხმას არ მცემს.

— მართლა? — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა თამარმა და სევერიანს უფრო მიეყარნო.

„ჩანს, გივის ბედი აღარ აწუხებს. ამის ნიშნად მომეკრა. კარგია. ამით ყველაფერი თქმულია!“ — ვაფიქრა სევერიანმა და კვლავ გათამამდა.

როცა ისევ იმ სახლს გაუსწორდნენ, რომელშიაც თამარმა საერკმელთან მდგარი თამაზი დაინახა, თვალშეპარვით ახლაც ისევ იმ საერკმელს აჩიდა. ათრთოლდა, ფერი ეცვალა და ფეხს აუნჯარა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, ისევ იმ საერკმელს მიაკურო ხევალი, მაგრამ იქ უკვე აღარავინ ჩანდა.

„ალბათ, დამინახა და პირი იბრუნა. ვინ იცის, რა მოსდის?“ — ვაფიქრა თამარმა და ადგილიდან ძლივს-ლა დაიძრა.

სევერიანი რაღაცას ლაპარაკობდა, რაღაც მეტად მნიშვნელოვანს უმტკიცებდა ქალს, მაგრამ თამარს მხოლოდ ცალკეული სიტყვები ესმოდა მისი ქადაგებიდან. უეცრად შედგა, ხელი გაითავისუფლა.

— ნახვამდის! მადლობელი ვარ, რომ გამომაცილეთ! — სრულიად მოულოდნელად მიმართა ვაქს.

სევერიანს ვერაფერი გაეგო, რა მოხდა, აგრე უცბად, უმიზეზოდ რა შეიცვალა, რამ შეაბრუნა თამარის გული. ენაც თითქოს დაუმოკლდა, ძლივს თქვა:

— რა მოხდა, თამარ! ეს იყო სულ?

— რა? — გაკვირვებითვე ჰკითხა თამარმა.

— არაფერი. ეს მაინც მითხარი, მაქვს თუ არა უფლება, რომ ისევ გნახო?

— რატომაც არა, ჩემს ნახვას რა დიდი ამბავი სჭირდება.

— როდის?

- როცა გნებავდეთ.
- მაინც? — ჩაუღიანდა სევერიანი.
- მალე. ქუჩაში შემხედვებით.
- სახლში კი არა?
- სახლში? შინ მე მხოლოდ კვირაობით ვარ.

— მაშ კარგი. ნახვამდის, თამარ! — მიაღენა სევერიანმა უკვე საკმაო მანძილით დაშორებულ ქალს და გაბრუნდა, გაოგნებული და ფეხამძიმებული შინისაკენ უხალისოდ წავიდა.

„უცნაური ქალია... ბოლოს მაინც გადმოძვრა: შინ კვირაობით ვარო. გამოდის, რომ მხოლოდ კვირაობით შემოდისა მოვინახულო“ — გადაწყვიტა მან.



თამარმა ის იყო თავისი ოთახის კარი შეღო, რომ გენრიეტას ხმა შემოესმა.

— მომილოცავს! შესანიშნავი სცენა გაითამაშე. ბარაქალა! თუ ასეთი წარმატება გექნებოდა, როდი მეგონა! ორი კურდღელი ერთად გათოკე, ერთსაც და მეორესაც რეტი დაასხი. ჰა, ჰა! — იცინოდა გენრიეტა, რომელმაც სწორედ ამ დროს ამოათავა კიბე.

— მეც ჩემი დამემართა, — ამოიკვნესა პასუხად თამარმა.

— თუ გინდა დარწმუნდე, რა ძალა გაქვს, უფრო ახლო უნდა შეეფეთოთ თამაზს შენ და სევერიანი და მაშინ თვითონ ნახავ! — ურჩია მეგობარს გენრიეტამ, თითი შუბლზე მიიღო, რაღაც მოისაზრა, მერე უფრო მზიარულად წამოიძახა: — არის ექსკურსია თვით ლომციხეში! თბილისიდან ბევრნი დადიან და თქვენც შეგიძლიათ, ჩინებულის!



ცივი, მაგრამ მზიანი კვირა დღე გათენდა. დილით ადრე ამდგარი თამარი რაღაც განსაკუთრებული გულმოდგინეობით ირთებოდა, ტრიალებდა სარკესთან, თან გაფერმკრთალებულ სახეზე ის-

ვამდა ხელს: „წავიდა ფერხორცი, თვალბუნიც ნაპერწკალი ჩამოქრავს ჩემი ახალგაზრდობის სიხალისი, იმედო“. სარკეს გაეცალა, საკუთარი სახის დანახვამაც გული მოუკლა.

სევერიანი მალე მოვიდა.

მალე ისინი ლომციხეში მიმავალ ავტობუსში ჩასხდნენ და გაემგზავრნენ.

ავტობუსი გუგუნით მიქროდა. ადგილების ნახევარზე მეტი ლომციხეში მიმავალ ექსკურსანტებს ეკავათ. ისინი ხმაურობდნენ, იცინოდნენ, მღეროდნენ.

სევერიანიც ამ საერთო კრიამულმა გამოაცოცხლა. ძველი ციხის ნანგრევებისაკენ გაიშვირა ხელი:

— ნეტავი მე და შენ იქ მოგვცა ბინა, სიმაღლით ასმეტრიან, სიგანით ათმეტრიან ციხის კედლებში! პარტო შვისა და მთვარის მარადიულ სეირნობას თუ დაეღანდავდით თვალს ციხის ვიწრო სარკმელიდან.

თამარს სევერიანის სიტყვები ესმოდა, მაგრამ მისი ფიქრები სხვაგან იყო. რომ სევერიანს ეს არ შეენიშნა, თამარი ზოგჯერ თავს დაუქნევდა და ნაძალადევად გაიღიმებდა. თითქოს გულს სიღრმეში კიდევ რაღაც იმედი ჰქონდა, არ უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ თამაზმა მასზე სამუდამოდ აიღო ხელი. ამ მიმართულებით ყველა გზა მოჭრილად მიაჩნდა, მაგრამ მაინც რაღაც ინერციით იჭით იწევდა. ამ ინერციას მიჰყვებოდა, მით უფრო იმიტომ, რომ აღარავითარი სხვა მისწრაფება მას აღარ გააჩნდა.

რაც უფრო ლომციხეს უახლოვდებოდნენ, მით უფრო იპყრობდა თამარს შიში, რაღაც გაურკვეველი ძრწოლა.

თბილისიდან ლომციხემდე ოცდაათი კილომეტრი ისე გაიარეს, სევერიანს სატრფიალო საუბარი, ხოლო თამარს თამაზზე ფიქრი არ შეუწყვეტია. ისინი გვერდისგვერდ იხსდნენ, მაგრამ აზრებით ძლიერ შორს იყვნენ. ეს სიშორეე შლიდა, არღვევდა იმ პარამონიას, რაც ასეთი სიახლოვის დროს ახალგაზრდა ქალ-ვაეს შორის თავისთავად მყარდება ხოლმე.

როცა ავტობუსი ლომციხეში გაჩერდა

ზოლო სევერიანი დარწმუნდა, რომ თამარს მისი თავი არ ჰქონდა, ისევე გაჩუმება არჩია.

თამარი ამ ახალ ქალაქში მხოლოდ თამაზს ეძებდა. არც მეტალურგიული ქარხანის მშენებლობა, არც თვითონ ქალაქი და მისი მოსახლეობა მისთვის რაიმე ინტერესს სულაც არ წარმოადგენდა, მაგრამ სევერიანთან თავს ისე იჭერდა, თითქოს ყველაფერი აინტერესებდა: ქარხანა, ქალაქი და ამ ქალაქის ყოველი მოსახლე.

ათვლიერებდნენ მეტალურგიული ქარხნის საამშენებლო მოედნებს, ახალი ქალაქის ქუჩებს, სახლებს, ახალ ბაღებს...

სევერიანი დაიღალა. დაიღალა არა მარტო ბევრი სიარულით, გაუთავებელი ლაპარაკითაც.

თამარი ადამიანებს აცქერდებოდა, სევერიანი კი ახალ მშენებლებს. თამარი ღუმდა, სევერიანი ლაპარაკობდა, თამარი რალაც განცდებს შეეპყრო, სევერიანი ყველაფერს მხოლოდ გარეგნულად უთვალავებდა...

ისინი თავიდანვე ექსკურსანტების ერთ ჯგუფს დაკვეთდნენ, მაგრამ თამარის დაქინებითი მოთხოვნით ამ ჯგუფს დაშორდნენ.

სევერიანი გაოცებით იჩენდა მხრებს და ცდილობდა თამარს უკან არ ჩამორჩენოდა.

— მოიცა, თამარ, რა მოგივიდა, ავრე რად გარბიხარ, რაა საჩქარო, ლომცებე სხვა დროსაც შეგვიძლია მოვიინახულოთ, — არწმუნებდა ქალს სევერიანი, მაგრამ კარგა მანძილით დაშორებული თამარი პასუხის ღირსადაც აღარ ხდიდა.

„უცნაური ქალაი! თითქოს თოკით მიმათრევს და არაფერი ვიცი, საით და რისთვის!“ — ფიქრობდა გაოგნებული სევერიანი.

თამარმა მხოლოდ მამინ ინება შესვენება, როცა ვერხვის ტყეს მიაღწიეს.

აჲ, ამ ტყეში, ვეებერთელა ვერხვის ქვეშ ექსკურსანტებს და ლომციხის ახალმცხოვრებთ თავი შეეყარათ და ბაასობდნენ.

თამარი ხალხს მიუახლოვდა და თვეისუფალ მერხზე ჩამოჯდა.

— აჲ მართლაც მშენებნიერია! მშენებნიერია მოღლილ-მოქანცულმა სევერიანმა და რომ დამთქნარება დაემალა, დაღებულ პირზე ხელი მიიღო.

თამარს უფრო გაუფუქდა ხასიათი, რადგან უკვე დამდებოდა, ხოლო თამაზი კი ჯერ ვერსად ენახა. იჯდა გულჩათხრობილი და იქვე თვშეყრილი ხალხის ბაასს უსმენდა:

— ბიჭებო, ამ საღამოს კლუბში არ მიდიხართ? — იციტხა ერთმა.

— იჲ რა ამბებია? — კითხვითვე გამოეპასუხა მეორე.

— ლომციხის ახალი მოსახლეობა თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს ხვდება.

— ვინ არიან, ვინ ჩამოვიდა?

— მსახიობები, პოეტები და კომპოზიტორები.

— ოჰო, ეს კარგი ამბები ყოფილა, უსათუოდ წავიდეთ, ბიჭებო!

თამარს უცბად თვალები გაუნათდა, „აღბათ თამაზიც კლუბში იქნება, მოვა, და იჲ შევხვდები!“ — გაიფიქრა და სევერიანს მხოლოდ ახლა შეხედა სახეში. გულმოცემული სევერიანი გამოცოცხლდა, მიმქრალი იმედის სხივი კვლავ გაჩნდა მის გულში და თვითონაც თამარს მიაპყრო თვალი.

თამარი სევერიანს რომ აცქერდებოდა, თავისთვის ფიქრობდა: „შენც საჭირო იქნები, სევერიან, აჲ ჩამოსვლა უქმად არ ჩამვიღის, მეტი გრძნობების გამოჩენა გპირდება. უნდა გამიღიმო, უნდა მომეკრა, სატრფიალო სიტყვებიც მეტი უნდა დახარჯო“.

კლუბში თითქმის ყველაზე ადრე მივიდნენ ისინი. ბილეთები შეიძინეს და კლუბის ბაღში სეირნობა დაიწყეს.

გულმოცემული სევერიანი ისევე სატრფიალო სიტყვებს აბნევედა და ისე შორს შეტოპა, რომ ველარც კი გრძნობდა, უსმენდა თუ არა თამარი.

მართლაც, თამარს სევერიანისათვის აღარ ეცალა, მას უფრო მნიშვნელოვანი რამ საზრუნავი გასჩენოდა: კლუბში მო-

სულ ხალხს თვალმოუშორებლივ აცქერდებოდა და, სუნთქვაშეკრული, თამაზის გამოჩენას ელოდა.

დრო მიდიოდა. ღამდებოდა. თამაზი კი არსად ჩანდა...

როცა სევერიანმა სატრფიალო სიტყვების ზენიტს მიაღწია, უეცრად მოიხედა, რომ შეემოწმებინა, მისი მკვევრმეტყველური სიტყვები რამდენად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდნენ თამაზზე, მაგრამ აი, ისევ ციფრულგადასამულივით შეირბა, თვალეზი გაუფართოვდა.

მოწყვეტილი, ნახევრად გვერდზე მიბრუნებული და თითქოს შემფოთებული თამარი საღდაც მიღმა იცქირებოდა და ზედვე ეტყობოდა, რომ ის რაღაც სულ სხვა საგონებელს შეეპყრო.

— თამარ, საით იხედები, იქ ვის დაეძებ? — ჰკითხა გაოცებულმა სევერიანმა, მაგრამ თამარმა, პასუხის მაგიერ, ზურგი მთლად შეაქცია და ქანცგამოღებული ნაძვის ხეს მიეყრდნო. ქარი უბერავდა, ხე ირხეოდა, თამარიც ირხეოდა იმ ხესთან ერთად, თუმცა კლუბის კარიბსაყენ მიპყრობილი მისი თვალეზი აღარ იძროდნენ.

— თამარ, ცუდად ხომ არა ხარ, საით იხედები, რა დაგემართა? — ისევ შეეკითხა სევერიანი.

თამარმა ხელი გაიქნია და თითქოს ბრახმორევით წამოიძახა:

— მოიცა, მოიცა!

სწორედ ამ დროს მან ვიღაც, თითქოს ნაცნობ ახალგაზრდა კაცთან ერთად კლუბისაკენ მიმავალი თამაზი დაინახა და გაინახა, გაფითრდა. მერე თვალეზში რაღაც შუქი გაუჩნდა, წამწამები უცნაურად დაახამხამა და თითქოს ახლა ვაცოცხლდა, წამოიძახა:

— წავიდეთ! — და სევერიანს თვითონ ჩააგლო ხელი მკლავში.

გაოგნებული სევერიანი უკვე აღარაფერს ეკითხებოდა, რაღაც ინერციით მიჰყვებოდა, თუმცა თამარის საქციელი, საეჭვოდ მიაჩნდა.

კლუბში რომ შევიდნენ, თამარი ერთბაშად გამოცოცხლდა. ხელების ქნევით, აჩქარებით ლაპარაკობდა, მაგრამ მისი

ფიქრი და საუბრის საგანი ერთმანეთისაგან როგორც ცა და მიწა მკვევრად შორებული.

გონჯილითქანა

— შეხე, სევერიან, რა მშვენიერი კლუბი გაუმართავთ, რა შესანიშნავად მოუხატავთ კედლები, ქერი. ნამდვილი თეატრია. საოპერო თეატრს არ ჩამოუვარდება! — ამტკიცებდა თამარი, სინამდვილეში ის თამაზთან პირისპირ შეხვედრის წუთს მღვლეარებით ელოდა და ამ შეხვედრისათვის ემზადებოდა. ცდილობდა გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს სევერიანთან, როგორც მის რჩეულთან, თავს ბედნიერად გრძნობდა და სხვა ბედნიერებას არც კი ეძებდა.

აგერ, თამარმა ამხანაგებთან ერთად აქეთ მომავალი თამაზი დაინახა და მის გასაგონად მოგონილი სიცილი მოართო.

აი, ჩაუარა თამაზმა გვერდით და თამარიც ჩაქრა, სევერიანის მკლავს ჩამოეკიდა და ყოველგვარი ხალისი დაკარგა.

სევერიანი უცბად შეჩერდა.

— თამარ, ისევ ცუდად ხარ? რა დაგემართა?

— ანაფერი. ვაივლის. დარბაზში შევიდეთ. მოვისვენოთ. დავილაღე. ბევრი ვიარე, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა თამარი.

— კარგი, შევიდეთ, — დაეთანხმა სევერიანი, ხელი მიაშველა, დარბაზში შეიყვანა და სკამზე დასვა.

თამარი ახლა ამ დარბაზში შემოსასვლელ კარს უთვალთვალეზებდა, თუმცა ისევ თვალშეპარვით, რომ ეს სევერიანისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

მიუხედავად ამისა, სევერიანი გრძნობდა, რომ თამარი გულშიც რაღაც გრძნობას ფარავდა და ამ გრძნობის გამხელას, რამდენადაც შეეძლო, ერიდებოდა.

— თამარ, ჩემთან კი არა, თითქოს საღდაც სხვაგან ხარ, თითქოს სხვა ქვეყანაში ხარ და რამდენიც არ ვეცადე, შენი ამქვეყნად დაბრუნება მაინც ვერ შევძელი. ვგრძნობ ვერ ისვენებ, რაღაც გაწუხებს, შენს კანში ველარ ეტევი და ასე მგონია, მე ზედმეტი ვარ, — გამოუ-

ტყდა სევერიანის და თავისი ეპვი უკვე პირდაპირ გამოთქვა.

— არა, რას ამბობ! — ცივად იუარა თამარმა.

— თუ ყველაფერს გულწრფელად მეტყვი, იქნებ მეც იმ ქვეყანაში ვადმოვიდე, სადაც შენი სული დასახლებულა და ამით შესაძლოა შევამსუბუქო მართო ჩემი კი არა, შენი მდგომარეობაც. არა და აგრე ვაგრძელება ვაგვიძნელდება, — დივიანა სევერიანმა.

ახლა კი თამარმა წუთით მოაბრუნა სახე და სევერიანს თვალი თვალში გაუყარა. არაფერს არ ეუბნებოდა, მაგრამ მისი თვალები ისედაც ამბობდნენ: „განა შენ გგონია, რომ ბედნიერი ვარ? იქნებ ფიქრობ, რომ აქ, შენთან ყოფნით ვაგვებდნიერდი და ესაა ყველაფერი, რაც ახალგაზრდა ქალს შეუძლია ინატროს“.

თამარმა ისევ კარს მიაპყრო თვალი.

ზარის ხმა გაისმა და რაღაც ათიოდე წუთში გაივსო დარბაზი.

თამაზი უკვე აღარსად ჩანდა.

კონცერტის მონაწილეთა წარმატებით გამოსვლას სევერიანი ტაშით ხვდებოდა, ზოგჯერ იცინოდა, „ეგასას“ იძახდა, მაგრამ იმას კი არ ამჩნევდა, რომ თამარი სცენაზე გამოსული შემსრულებლებიდან არავის უსმენდა. თუმცა მისჩერებოდა, მაინც ვერაფერს ხედავდა სცენაზე. მაგრამ თუ ზოგჯერ გაიღიმებდა, არა იმიტომ, რომ აოცებდა, ან მოსწონდა, რაც ახლა სცენაზე ხდებოდა, არამედ იმიტომ, რომ აკვირებდა თვით სევერიანის გატაცება, თავდავიწყება.

სევერიანმა მხოლოდ შესვენების დროს იგრძნო, როგორ მოიწყინა თამარმა, მაგრამ შეკითხვის მიცემა ვერ გადაეწყვიტა, სრულიადაც არ გაპყვირებია, როცა ქალმა ჩურჩულით უთხრა:

— წავიდეთ აქედან, მეტი აღარ შემიძლია, მოვიქანტე; წავიდეთ, სევერიან!

— წავიდეთ, — თითქოს პასუხი წინასწარ მოუშაადებიაო, ისე სწრაფად დაეთანხმა სევერიანი.

ციოდა გარეთ. ქუჩაში თითქმის არავინ ჩანდა.

მიდიოდნენ და თითქოს ღებხის ხმით საუბრობდნენ ურთიერთ შრბხნნეშში „რა აზრი ჰქონდა ჩვენს აქ ჩამოსვლას? განა მხოლოდ ის, რომ ლომციხე გვენახა?“ — ფიქრობდა სევერიანი.

„შენ რას გამოიგებ, შენ კი არა, აქ ჩამოსვლა მე მჭირდებოდა“ — უპასუხებდა თითქოს თამარი.

ასე გაიარეს ის ქუჩა და როცა მოუხიეს, იქვე, მოედანზე, შეჩერებული ავტობუსი შენიშნეს.

— გავიქვით! — წამოიძახა თამარმა და წინ გაიჭრა.

•
•

აი, თბილისიც!

თამარმა უხმოდ დატოვა მოედანი, სადაც ავტობუსი ის იყო გაჩერდა და ნაბიჯს აუჩქარა.

— თამარ, რად გარბიხარ? — მიადევნა უკან დარჩენილმა სევერიანმა.

თამარი შედგა, გამოერყვა, მოიბოდიშა:

— მთლად დამავიწყდა, სად ვარ. ჩემი თავი ისევ ლომციხეში მეგონა და შემეშინდა, ავტობუსს არ ვაეცსწრო.

სევერიანმა რაღაც ნაძალადევიად გადაიხარხარა და თამართან მივიდა.

— მე კი იმან გამოაცა, რომ შენ გამასწარი, — არ შეიფერა და თითქოს სრულიად დამშვიდებით უპასუხა სევერიანმა.

თამარი თავისი სახლის წინ შეჩერდა. „ალბათ, ჩემს მიპატიებებს არც კი აპირებს, — გაივლო გულში სევერიანმა. — მთელი ეს დღე უაზროდ მატარა“.

დღემილი ჩამოვარდა. ეს საექვო დღემილი პირველად თამარს რომ არ დაერღვია, სევერიანმა დაასწრო:

— ჩვენ ბევრი ვიარეთ, მაგრამ გულდამჯდარი საუბრის დრო არა გვქონდა. ახლა კი...

— არა! — შეაწყვეტინა უცხად თამარმა, მაგრამ რაკი იგრძნო, რომ მისი უეცარი წამოძახილი მკაცრად გაისმა, თვით შეარბილა, — დავიღალე. მივალ

შინ, დავეგდები და მოვისვენებ. სხვა დროს შევხედებით. ახლა კი ნახვამდის!

სევერიანი შინ ისეთივე არეული ნაბიჯით წაიდა, როგორც იყო იმ დღეს, თამარისა და მისი შეხვედრის მთელი ამბავი.

III

დილის ათი საათი რომ შესრულდა, ლევანმა პიჯაკი ჩაიცვა და საწერ მაგიდასთან სავარძელში ჩაეშვა. არც წერდა, არც კითხულობდა, მხოლოდ საათს აცქერდებოდა. ის იყო ზარის ხმა გაისმა და ლევანი დერეფანში გავიდა.

— აა, ჩემო ანიკო, აი, დოდოც! შობრძანდით, გელოდებით, ბარაქალა, არ დამივიწყეთ, ყოფილი მასწავლებლის დამახილზე მოხვედით!

— გვისმეთ და გეახელით, მასწავლებელო, — მოკრძალებით უთხრა ანიკომ.

— დაიზარდეთ, უნივერსიტეტს უკვე ამთავრებთ და ისევ მასწავლებელი!

— თქვენ მუდამ ჩვენი მასწავლებელი იქნებით, ბატონო ლევან, ჩვენ კი — თქვენი მოწაფეები, — უთხრა დოდომაც.

— თქვენ მაინც არ იშლით? კარგია, ქვეიანი და წესიერი გოგონები ხართ. მაგრამ... ბო, ბოდით, დაესხდეთ, აი, აქ, დივანზე. როგორ ხართ, ჩემო მეგობრებო, დიდი ხანია თქვენი ნახვა მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თვითონ კი არ მინახულეთ. გემდურით.

— მართალია, მასწავლებელო, ჩვენ თვითონ დაუბატიკებლად უნდა მოვსულიყავით, დავაშავეთ, დავიგვიანეთ და ბოდის ვიხდით, — უპასუხა ანიკომ.

— მაგრამ, აი რა უნდა მეთქვა, — ისევ დაიჭირა ლევანმა საუბრის ძაფი, — ვიწყრებით, ვერ ვაბატიებთ, გისაყვედურებთ და არ შემიძლია ასეთი მარცხი ჩემს, თავსაც არ ვუსაყვედურო.

მოწაფეებს თვალეზი გაუფართოვდათ.

— სადაა თამარი, რას აკეთებს თამარი, თქვენი მეგობარი და ჩემი მოწა-

ფე? — მოულოდნელად იკითხა ლევანმა.

— დიახ, მასწავლებელო, დავიწყო ანიკომ, — დამნაშავე ვართ, თუმცა ბევრი გეცადეთ, გვინდოდა სწორ გზას არ ასცდენოდა, უნივერსიტეტშიც დაგვებრუნებინა, მაგრამ... ჩამოვშორდით.

— მომავალშიაც აგრე გაგრძელება არ გევატიება, თუ ძველ გზაზე ვერ დავაბრუნეთ, ცუდს მაინც მოვარიდოთ.

— შევეცდებით, მასწავლებელო, — უპასუხა ანიკომ.

— ისიც გვეყოფა, გენრიეტა რომ წაგვივიდა ხელიდან. მისი გამოსწორების იმედი თითქმის აღარც არის.



იმ საღამოს თამარის ბინაზე მისული სევერიანი კმაყოფილი კაცის გამომეტყველებით სერიზობდა ოთახში, ხოლო დივანზე გადაწოლილი, ტანზე ხალათ-მოხვეული თამარი მთელი მკერდით სუნთქავდა და, რომ ლაპარაკობდა, მინაბულ თვალებს არც კი ახვლდა.

— ვინ ვარ მე ახლა? რაა ჩემი სიცოცხლე? ვინა ხარ შენ, ჩემთვის ვინა ხარ, რა ბედნიერება მომიტანე? — უსიტყვოდ ესაყვედურებოდა იგი სევერიანს.

— ვინც თავიდანვე ჩემთან გულწრფელი გრძნობით მოვიდა, მისთვის შეუფერებელი აღმოვჩნდი. ვერც მოვატყუებდი. წაიდა, მიმატოვა. შენ კი, როგორც მოხვედი, ისე დარჩი, მაგრამ ასეთ დარჩენაში ჩემთვის დამცირების მეტი არაფერია. წუთებით ვცხოვრობ, მაგრამ ეს წუთებიც შეურაცხყოფილია, გამოფიტულია. შენ კი არხეინად დაღობარ და გამარჯვებას ზეიმობ, თუმცა შენთვისაც რა ფასი აქვს უსულგულო გამარჯვებას?! ვგრძნობ, მას ბედნიერება არც შენთვის მოაქვს... ბედნიერი ჩემი დიკოა, ნინო. ის ქმრისა და შვილების ნამდვილი, წმინდა, შეუბღალავი სიყვარულითაა გულავსებული და ამ ფაქიზი გრძნობის სიამაყე ამაღლებს. მე კი ძირს ვარ დავარდნილი, თუმცა სიამაყის არანაკლები უფლება მქონდა, — თი-

თქოს აღსარებას ამბობსო, ახლა ხმა-
მალა განაგრძობდა ფიქრს თამარი.

სევერიანი კი უდარდელი ლილინით
უპასუხებდა:

„მალლიდან გადმომდგარიყო

შავთვალა თეთრი ქალიო,

„ამოდი, ხელსა მიჭნევედა, შინ არ არს
ჩემი ქმარიო“.

ზარის ხმა გაისმა.

თამარი შეცბა, წამოდგა, დაშლილი
თმა გაისწორა და ფოსტლების თრევით
დერეფანში გავიდა.

სევერიანს თამარის ხმამალალი ძახი-
ლი შემოესმა:

— აა, ეს თქვენა ხართ? სად დამეკარ-
გეთ, რად დამივიწყეთ, აგრე რად გამწი-
რეთ, არა გრცხვენია? მოდით, შემოდით
ოთახში! — ამ სიტყვებით თამარი სტუ-
მრებს ოთახში შემოუძღვა და სახტად
დარჩენილ სევერიანს წარუდგინა:—გა-
იცანით ჩემი სკოლის ამხანაგები, ანიკო
და დოდო.

— სევერიანი! — სტუმრებს გადაუგ-
დო აშკარად უკმაყოფილო სევერიანმა,
ხელი ჩამოართვა, გვერდზე გადაგა და
კართან შეჩერდა: — თამარ, მე წავედი,
ნახვამდის! — ბოლოს სტუმრებსაც გას-
ძახა სევერიანმა.

— სევერიან, რატომ აჩქარდით? ჩემ-
მა სტუმრებმა ხომ არ დაგაფრთხეს? —
მობოდიშებით, თან ირონიით უთხრა
ვაცს თამარმა და გააცილა. ოთახში მა-
ლე შემობრუნდა, ანიკოსა და დოდოს
მიუახლოვდა, ხელი მოხვია და გულზე
მიიკრა ორივე.

— როგორ მოგაგონდით, აგრე რად
გამწირეთ? რატომ არაფერს მეუბნებით,
რამ გაგაჩუშათ? — იკითხა თამარმა და
ანიკოს კალთაში ხელები ჩაუწყყო.

ანიკომ საეჭვოდ ახედ-დახედა. იყუჩა.
მერე ყრულ უთხრა:

— თამარ, მე და დოდოს უნდა გვა-
პატიო, რომ ბოლო დროს დაგივი-
წყეთ, ვერ გინახულეთ. ცალკე ლექ-
ციები, მეცადინეობა და რამდენი რამ...

— ვიცო, თქვენ დაკავებულები ხართ.

უნივერსიტეტიდან მე თუ გამოძრიცხენ
თქვენ მაინც ნუ ჩამორჩებრთქვენსაღე-
ლიანად განაგრძობთ თამარმა.

— არა, თამარ, ჯერჯერობით კარვად
მივიღებრთ, — დაუმატა დოდომ, დარ-
ცხვენილად რომ იჯდა და ხელის გულს
დაჩერებოდა.

— თამარ, ვინ იყო ახალგაზრდა? —
ახლა ანიკომ დაარღვია წუთიერი სი-
ჩუმე.

— ისა? ის ასპირანტია. ჩემი ნაცნო-
ბია. ზოგჯერ აქ მოდის, — უპასუხა
თამარმა და მის ტუჩებზე აქამდე შერ-
ჩენილი ღიმილი ჩაჰქრა.

— ნათესავია? — ისევ შეაპარა ანი-
კომ.

— არა.

— შენთან საქმე აქვს? — უფრო
მკვახედ გაისმა ანიკოს შეკითხვა.

— საქმე? დიდი არაფერი, ჩვეულებ-
რივი, რაც ახალგაზრდა კაცს შეეფე-
რება.

— რა შეეფერება? დანიშნული ხომ
არა ხართ?

— არა, — ახლა თვითონაც მკვახედ
უპასუხა თამარმა და წამოდგა. — გამო-
ძიებას ხომ არ აწარმოებთ?

— განა გამოძიებას... ჩვენ ხომ შენი
მეგობრები ვართ? — შეარბილა ანი-
კომ, რადგან იგრძნო, გაჯიუტებულ
თამარზე უხეში სიტყვებით ვერ იმოქ-
მედებდა, პირიქით, ამით უფრო გააბრა-
შებდა და გადაარევდა.

— ჰო, მეგობრულად კი ბევრ რამეს
გეტყვით. რასაკვირველია, თუ თქვენ
ასეთი სურვილი გაქვთ.

— თუ აგრეა, მითხარი, თამარ: ეს
ახალგაზრდა ფრანტი აქ ვინ მოიყვანა,
ან ვინ გაგაცნო? — აღარ ეშვებოდა
ანიკო.

— გენრიეტამ გამაცნო და მე მო-
ვიყვანე!

— ისევ გენრიეტა! — რაღაც სი-
ძულვილით წარმოსთქვა ანიკომ და დო-
დოს გადახედა, — ხომ ხედავ, დოდო,
ჩვენმა ყოფილმა მეგობარმა როგორ
გვაჯობა?

— მართალია, გვაჯობა, — დაუდს-ტურა დოდომაც.

— ჩემს წახდენაში გავჯობათ არა? — იკითხა თამარმა და წყენის ჩრდილი ჩაუღდა მინაბულ თვალებში.

— არა, წახდენაში კი არა, თამარ, მეგობრობაში, — სიტყვა სწრაფად მიამწეველა ანიკომ, რომ თამართან შეკამათებას ცუდი მიმართულება აღარ მიელო, — გენრიეტა ხშირად განახლობს, ჩვენ კი, ქუჩაში თუ გზვლებით ბოლო დროს...

— ეს მართალია, — მშვიდად უბასუხა თამარმა.

— მაგრამ, თამარ, ერთ რამეს გკითხავ და გთხოვ მართალი თქვა.

— კარგი, მითხარი, რაა ასეთი?

— ჩვენს მეგობრებში ვის არჩევდით; აი, ჩვენ, მე და დოდოს თუ გენრიეტას?

— ჩემო ანიკო, გეუპყებათ, რომ თქვენ ავირჩევდით?

— თუ მართლს ამბობ, იცოდე, თამარ, შესრულებას მოვითხოვთ. თუ ჩვენი მეგობარი ხარ და სურვილი გაქვს ბოლომდე დარჩე, უნდა აირჩიო: ან ჩვენ ან გენრიეტა. სხვა გზა არაა, თუ ჩვენ, როგორც მეგობრებს, საბოლოოდ ავირჩევთ, აღარ დაგივიწყებთ, ხშირად შენთან ვიქნებით, შენს ჭირსა და ლხინს ვავიზიარებთ.

— რაშია საქმე? რა გახდა, ანიკო ეს გენრიეტა? თქვენ აღარ ზუმრობთ? ვატყობ რაღაც შეთქმულებათ. მერე გგონიათ, რომ მე ისევ ისა ვარ, რაც წინათ ვიყავი? თქვენს მეგობრად კვლავ გამოვდგები?

— რატომაც არა. სიტყვას გაძლევეთ, არ გიღალატებთ, — დაბეჯითებით თქვა ანიკომ.

თამარი დაიხარა, ანიკოს სახე მიუახლოვა და წასჩურჩულა:

— მეგობრებო, საყვარელო მეგობრებო, სად იყავით ამდენ ხანს? ახლა კი ჩემი მეგობრობა რაში გჭირდებათ? ვისთვის რაღაც საქმე ვარ? — სთქვა, დივანზე დაემხო და აქვითინდა.

— თამარ, ძვირფასო, რა მოგდის თამარ! — შესძახა ანიკომ, — ხომ დაგიბ-

რუნდით, ჩვენ ხომ შენთან ვართ, გეფიცებით არასოდეს დაგტოვებთ და წყენარდი, დამშვიდდი თამარ!

— ახლა მომავითხეთ? არა, არა! ყველაფერი ჩემი ბრალია, მაგრამ თუ იცოდით, რომ გენრიეტას ჩემი შერცხვენა შეეძლო, თქვენ სადღა იყავით, მაშინ სად იყავით! ახლა გვიანდაა. გთხოვთ, თუ ოდესმე ჩემი სიყვარული გკონიათ, მომიშორეთ და გადამაგდეთ! სულერთია ახლა ჩემი არსებობა არა ღირს, მხოლოდ თავს ვატყუებ, მამაკაცების დასჯა მინდოდა, ჩემი თავი უფრო დავსაჯე, შევარცხვინე, გავანადგურე, თქვენ კი ჩემს ნანგრევებზე მოხვედით და გინდათ ახალი ცხოვრება ამიგოთ, უმწიკველობა დამიბრუნოთ, ისევ ის; შეურყუნელი სული ჩამბეროთ, მაგრამ არა, ველარ აღმაღვენთ, მე დაშლილი ვარ, სულით და ხორციით, ახლა შეგიძლიათ დამმარხოთ! — ყუიროდა თამარი.

— დოდო, მომეხმარე! — შესძახა ანიკომ, — წამოვავყენოთ, გამოვავხიზოლოთ! — მაგრამ პირქვე დამხობილი თამარი დივანს ვერ ააცალეს, ვერ დაიმორჩილეს.

— გამიშვიოთ, გამიშვიოთ! — იცილებდა მეგობრებს თამარი.

— დამშვიდდი, თამარ, თუ ნერვებს აპყვეი და არ მოგვისმინე, არაფერი გამოვა. — ამომშინებდა ანიკო.

თამარმა უცერად შესწყვიტა ტირილი მერე თითქოს სრულიად დამშვიდებით წარმოსთქვა:

— გისმენთ, რა გინდათ ჩემგან, რას მთხოვთ, რით შემიძლია გემსახუროთ?

— შენ კი არა, ჩვენ უნდა გემსახუროთ და ამის ნებას გთხოვთ, — უთხრა ანიკომ.

— მე? — გულზე ხელის მიღებით, რაღაც გაკვირვებით იკითხა თამარმა. მერე აქეთ-იქით მოხუტებულ ანიკოსა და დოდოს გადახედა, თითქოს შვებით განავრძო: — ნეტავი მართლა შეგეძლოთ რამე, რა კარგი იქნებოდა, რა კარგი, მაგრამ...

— თუ შენ თანახმა ხარ, ჩვენი თხოვნა: არც გენრიეტა, არც ის ფრან-

ტი და არც მისი მსგავსი ვინმე აქ აღარ შემოვიდეს, ქუჩაშიაც არ გაეკარო, ახლო არ მოუშვა; ჩვენ უკეთ ვიცით, ვისი მიღება ან გაშვებაა საჭირო და დაგვიჯერებ, ავრე ჯობს, თამარ, — შთამავნებლად უთხრა ანიკომ.

— დაგიჯეროთ?.. თუ თქვენ არ გენდობთ, ვიღას ვენდობი? კარგი, დაგიჯერებთ, თუმცა არაფერი გამოვა, თქვენ ხომ ჩემი საიმედო მეგობრები ხართ...

— შენთვის თამარ არასოდეს გვიღალატნია და მომავალში კიდევ მეტად ერთგული მეგობრები ვიქნებით, — თქვა ახლა დოდომ.

— მეგობრა, დოდო, ვიცი, ჩემი ერთგულნი ხართ. თქვენ კი არა, მე ვიღალატეთ...

ანიკო წამოდგა.

— გენრიეტას აქ როდის ელი? — შეპარა ბავშვობის მეგობარს.

— დღეს შაბათია. ჰო, ხვალ საღამოს.

— მამ მე და დოდო ახლა წავალთ და ხვალ აქ ვიქნებით... თუმცა, თამარ, გენრიეტასთან ანგარიშის გასწორება თვითონ მოგიხდება.

ახლა კი ასწია თავი თამარმა, ანიკოს თვალი გაუღწორა, კარგა ხანს უქკირა. მერე წამოდგა და ძლივს გასაგონად უთხრა:

— ვეცდები ანიკო.

თამარმა ამხანაგები გააცილა და როცა ისევ ოთახში დაბრუნდა, შეათვალიერა კედლები, ნივთები, მერე სარკეშიაც ჩაიხედა და თავისთავი შეცვლილი ეჩვენა. ფანჯარა გააღო. ცივმა, მაგრამ სუფთა ჰაერმა სული მოუბრუნა.

მეორე საღამოს, ანიკო და დოდო ისევ თამარის ბინაზე მოვიდნენ. თამარს მოწაფეობის დროინდელი ამბები მოაგონეს სკოლის ამხანაგებმა.

თამარმაც დღეს, როგორც არასოდეს, იგრძნო, რას ნიშნავს გულმართალი, რაიმე ანგარებას მოკლებულ მეგობრებთან ახლო ყოფნა, რამდენი სიტბო და გამა-

ჯანსაღებელი შუქი შეუძლია მათ შეიტანონ მის გამტყდარ გულს.

— სადაა ნინო? რა მშვენიერია, სავსე ვარელია მისი პატარა ვარდო და მალხაზი, — წარმოსთქვა ანიკომ.

— ნინო ისევ კახეთშია, ბარათს ხშირად მიგზავნის, მე ერთხელაც ვერ გავუგზავნე, — უბასუხა თამარმა.

— რატომ? — ჰკითხა ანიკომ.

— რა უნდა მიმეწერა? მე სიტყვა მივეცი ნინოს, სოფელში წავალდჭება დედასთან, მაგრამ როგორც ხედავთ ისევ აქ დავრჩი. გენრიეტა ხურჯინივით მიმათრევდა... კიდევ კარგი, რაღაც საქმე გავიჩინე, მანქანაზე ბეჭდვა ვისწავლე.

— ახლა კი გენრიეტას ჩამოიშორებ, ჩვენთან დარჩები... შემანქანეობა რომ შეგისწავლია, ეს კუდი როდია; განაგრძე, კარგად შეისწავლე. მერე, ოჯახს შექმნი და ცხოვრებას დაიწყებ, — უთხრა მეგობარს ანიკომ.

— ოჯახს? რა თქვი, ანიკო? განა ოჯახისათვის გამოვდგები? არა, ჩემო კარგო. ამის იმედი თქვენც ნუ გექნებათ. ეს აღარ მოხდება. ოჯახში გულმართალი, შეუბღალავი სინდისით უნდა შეხვიდე. მე ეს საგანძური დაგეარგე; ოჯახისათვის არ გამოვდგები.

— გული რად გაგტეხია? ავრე როგორ შეიძლება, თამარ, — უთხრა დოდომ, — ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ოჯახსაც შექმნი.

— როცა შენი შვილები ჩიტბივით აპიკვიდებიან, ყველა სატკივარი მოგიშუშდება, დაგავიწყდება, ძველ შეცდომებზე ფიქრით მომავალსაც არ გაიმწარებ, — დაუმატა ანიკომ.

— პირდაპირ მითხარით, განა ასეთია რამ ჩემთვის შესაძლებელია? განა ეს თქვენ თვითონ გჯერათ?

— იმას ვერ გეტყვით, როდის, ვისთან გამონახავ საერთო ვხას, მაგრამ შესაფერი თვით გამოჩნდება, — რაღაც კიდევ უნდა ეთქვა ანიკოს, მაგრამ აქ შეჩერდა. შეჩერდა იმ მოსაზრებით. რომ იცოდა: ზოგჯერ სიმართლის აღიარებასაც ზიანი მოაქვს.

თამარი მიუხვდა, რაღაც იქნეულად გაიმეორა:

— შესაფერი... —

— განა ჩვენ, მე და დოდოც აგრე არა ვართ? შესაფერის გამოჩენას ველით, მაგრამ ვინ იცის, ბედი როდის ან ვის ეხოში შეაღებს კიშკარს და ცა პირს სად გააღებს, — პირდაპირი პასუხისათვის თავი რომ აერიდებინა, სიტყვა ბანზე აუგდო ანიკომ და სიცილი დაიწყო.

ახლა თამარსაც გაეცინა და მშვილად უთხრა:

— რა ხარ, ანიკო! თუ მოინდომე, ქვას ვააციანებ.

ამ დროს ზარმა ისე გაბმულად გაიწერიალა, რომ თამარი კი არა, ანიკო და დოდოც კი მიხედნენ, ვინც მოვიდა.

— მოვიდა, — წაიჩურჩულა თამარმა.

— თამარ, ჩვენ მეორე ოთახში ვავალთ და ახლა შენ იცი! ნუ გეშინია. გობს სულაც არ შემოუშვია, მაგრამ თუ შემოვა, მარჯვედ დაუხვდი, — შეამზადა მეგობარი ანიკომ.

თამარმა, გააღო თუ არა კარი, სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, გენრიეტა ოთახში შემოიჭრა.

— ველირსე! როგორც იქნა აღმოვაჩინე! — ქოშინით დაიძახა გენრიეტამ და დივანზე მოკრილივით დაეარდა.

— რა იყო, რა მოხდა, რა ახალი ჭორი მოიტანე? — ცივად, თუმცა თავდაპირვით შეეკითხა თამარი.

— შენთვის ყველაზე ღირსეული „პაკლონიკი“ აღმოვაჩინე! თაფლივით ვაქცავია, წარმოსადგევი, ახოვანი, წარბშეკრული, მაგრამ ხელგამლილი.

თამარმა რაღაც დიდი, გადაულახავი სიძულვილით მოწყურა თვალი და გენრიეტას თითქოს შიგ ტვინში ლურსმანივით ჩაასო:

— ყველა ეს შენი „პაკლონიკები“ მომამორე და შენც ახლავე წაეთრიე აქედან!

გენრიეტას თამარისათვის ახლაც არ შეუხვდავს, — ხელე რაღაც გაოგნებით გაშალა.

— რა მესმის ეს, რა გავიგონე, ნეტ-

ვი სად ვარ? — თავი ასწია გენრიეტამ და გაოგნებით თვალები თამარს მიჰყრო, დივანზე გადაწვა.

— აღარ გეხუმრები, გენრიეტა. მომშორდი, წაეთრიე აქედან, თორემ აი, აგრე, ფეხებით დაგითრევ და გარედ გაგაგდებ! — აფეთქდა მისი ურცხვი მზერით მოთმინებიდან გამოსული თამარი. მართლაც ჩაავლო ხელი გენრიეტას, მოსწია, დივანიდან ჩამოაგდო და კატასავით წაათრია კარისაკენ.

ახლა კი იკადრა გენრიეტამ ზეზე წამოდგომა, თამარს წამით გაუსწორა თვალი, მაგრამ მისმა გამომეტყველებამ უფრო დააფრთხო.

— მიშველეთ, გაგიყდა! — აკივლდა იგი, დრო ისეღთა, თამარს ეცა, წაგრძელებული ფრჩხილებით სახე დაუკაწრა, მერე მკლავში ჩააფრინდა კბილებით.

თამარი გამწარდა ტკივილისაგან, კენჭსა აღმოხდა.

ამ დროს მეორე ოთახიდან ანიკო და დოდო შემოიჭრნენ, გენრიეტას ხელში ეცნენ და გააკავეს.

— გველო, რას ჩაღიხარ! — შესძახა ანიკომ.

გაოგნებულმა გენრიეტამ ხელი შეუშვა თამარს, მიმოიხედა, დასისხლიანებულ ფრჩხილებს დააჩერდა და ჩხავილი მორთო.

— ჩამიგდეთ ხომ, სკოლის მეგობრებმა შეთქმულება მომიწყვეთ, ხომ?! გამიშვით, ჩამომშორდით, ჩამომეცალეთ! დაცინვისათვის სამაგიერო გადაგიხადეთ და ახლა დამცინეთ, ჩაიბარეთ თქვენი „სახელოვანი“ თამარი!

— დაჩუმდი, კმარა, წადი აქედან! — შესძახა ანიკომ.

— არ წავალ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი! მადლიანი ხელით ქუჩაში გაყვანილ თქვენს ძველ მეგობარს ჩემი ვალი აქვს, ამ ოჯახის შექმნაში წილი მიმიძღვის. შეხეთ, ამ ნადავლს! — დაიძახა გენრიეტამ და მაგიდებზე თუ თაროებზე დაწყოხილ ნაირნაირ ყუთებზე უჩვენა.

— ღმერთო, რა მესმის! — შეტკივლა თამარმა და ჩაიკეცა.

— წადი, გაგვეცალე, მოგვეშორდი, გენრიეტა, დოდო მიშველე! — ამხანავს მოუხმომ ანიკომ.

გაკვირვებული გენრიეტა ოთახიდან ძლივს გაათრის.

გენრიეტა ისევ ჩხაოდა, იწვედა, ცდილობდა ანიკო და დოდო დაეკბინა, დაე-სისხლიანებინა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა და მხოლოდ ჩხაოდა:

— საზიზღრებო, საძაგლებო, სისხლის მსმელებო! გამიშვიტო, ჩემთან რა საქმე გაქვთ, ვინ დაგიბარათ, მე თქვენ გიჩვენებთ!

როგორც იყო გენრიეტა გააგდეს გარეთ.

— წადი ახლა და აქ მოსვლა არასოდეს გაბედო! — გასძახა ანიკომ და კარი მიუხურა.

გენრიეტა ახლაც არ ცხრებოდა, კარზე ხელს ურტყამდა, ყვიროდა, იმუქრებოდა:

— მე თქვენ გიჩვენებთ, გაგასამართლებთ! არ მოგასვენებთ!

მეზობლები გამოცვივდნენ, გენრიეტას შემოესივნენ, ეკითხებოდნენ:

— რა მოგივიდა! ვინა ხარ, აქ ვის დაეძებ?

— ვის ემუქრები, რა დაგიშავა?

— გეტყობა, კარგი პირის არა ხარ და წადი, წაეთრიე აქედან, თორემ ამ კიბეზე პირქვე დაგიშვებთ!

გენრიეტამ უკან დაიხია, უცბად გაბრუნდა, კიბეზე დაეშვა. თითქოს ტირისო, რაღაც ზმუილისებური ხმა ამოუშვა.

— მამ ახლა მე მკითხოს თამრიკომ! — წამოიძახა ბოლოს მან და შუბლზე საჩვენებელი თითი მიიღო, — არის! უსახელო წერილი თამაზს!

... დერეფანში შეჩერებულ ანიკოს გენრიეტას ზმუილი რომ შემოესმა, ტირისო, იფიქრა და გული მოუკვდა. დოდოს უთხრა:

— ცოდვია, მგონი ტირის ის უბედური, იქნებ მაგ წყალწაღებულსაც მივეშველოთ ოდესმე.

— ვნახოთ, ანიკო — უპასუხა დოდომ და გამობრუნდა.

თამარი ისევ იატაკზე დავარდნული დაუხვდათ.

— წამოდექი, თამარ, ასევე უკვე თავთან ჩამოუჯდნენ მას მეგობრები, — სახე გვაჩვენე, პირდაპირ შემოგვხედე. ახლა დავრწმუნდით, რომ რაც მოხდა, ჩვენი ბრალია, აი, ჩემი და დოდოს ბრალია, ასეთ კრახანას რომ ხელში ჩავვარდნოდით, იქნებ უფრო ცუდ დღეში ჩავვგდეთ, ჩვენ კი შორს ვიყავით და ვერ მოგვეშველეთ.

თამარი წამოაყენეს, მკლავზე გენრიეტას კბილებით მიყენებული ჭრილობა გაუსინჯეს.

— დაბე, რა უქნია იმ უბედურს! — დაიძახა დოდომ.

— არაფერია, გავუძლებ როგორმე, ამ ჭრილობას ეშველება, მე იმას ვტირი, რომ დაქრილ გულს ვეღარაფრით ვუშველი, — სინანულით წარმოსთქვა თამარმა.

ანიკო და დოდო არ ეშვებოდნენ, ამწვიდებდნენ, ამოშმინებდნენ, მალამოსავით ედებოდნენ თითქოს მის სულს.

• • •

რამდენიმე დღის შემდეგ გენრიეტას ბედი ეწია სევერიანსაც. მართალია, ის გარეთ არავის გაუგღია, მაგრამ აღარც ოთახში შემოუშვია ვისმე.

— მომშორდი, ქუჩაშიაც არ დამენახო! — ზიზღით გასძახა თამარმა და ოთახში აქოშინებული დაბრუნდა.

... ბოლო დროს მემანქანეთა ბიუროშიც უფრო ბეჯითად მოეკიდა საქმეს თამარი. ძველი, განგმოდებული მანქანა ახლით შეუცვალეს. მხოლოდ მართა არ შეცვლილა მის მიმართ; მუდამ რაღაც ექვის თვალით აცქერდებოდა, ბუზღუნებდა.

თვითონ თამარი კი მართას ბუზღუნს ყურადღებას სულაც არ აქცევდა. თამარმა ხასიათი ისე შეიცვალა, რომ მემანქანეთა გაერთიანების წარმომადგენელი, პორფილე, აღარც ისე უხამსად ეჩვენებოდა.

თავი 80430



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

გაზაფხულის ნიაგმა დაჰბერა საქართველოს მთა-ველებს. ყუყუნა წვიმა წამოვიდა, გააღბო მიწა, გამოაღვიძა თესლი სიცოცხლისა, აღმოაცენა პირველი ყვავილები, ამოაყოლა ფერები ცისარტყელისა.

ამწვანებულმა მიწამ ზღვაც გააშწვანა, მდინარეებიც და ცასაც თავისი ფერი გადასდო.

ხვიდან ხევში გადადიოდნენ, ერთმანეთს ეგებებოდნენ, ერთდებოდნენ, მერე მთებისკენ მიიწვედნენ ან ველზე წვებოდნენ, მსუბუქი, ცაში თავისუფლად მონაჯარდე ნისლეები და თითქო ყველგან მიჰქონდათ ერთი ამბავი, საოცარი ამბავი გაზაფხულისა.

გაზაფხულის ნექტარმა აღაქვო გული კაცისა, გამოაღვიძა, აამოქმედა ყოველი მისი ძარღვი, ყველა საამური თუ სამწუხარო გრძნობა.

გაზაფხულს გაეღვიძებინა ლომციხის მიწაც. ახალი ბაღები იფოთლებოდნენ, ახალ მოსახლეობას შრიალით ზედებოდნენ, ხოლო მტკვრის პირად, ძველისძველი ვერხვების ტყე არა ჩქარობდა, ქოსას მეჩხერ წვერებივით აქა-იქ ძლივს გაშლოდა ფოთოლი, ალბათ, იმიტომ, რომ გვიან იღვიძებდა მარტო ზამთრით კი არა, დროითაც მიძინებული მოხუცის სისხლი.

სალამო ხანი იყო. თამაზი და ტკაჩენკო მშენებლობის მოედანზე იდგნენ და მიწიდან ამოზიდულ მარტენის ღუმელებს ჩაფიქრებულნი მიჩერებოდნენ.

მერე ფარდულში შევიდნენ. მოღლილი ტკაჩენკო სკამზე დაეშვა.

— თამაზ, წადი, დასვენების დროა, მეც მალე წავალ. გაზაფხულდა, გაიარე, ცოტათი გულიც გაახალისე. ო, რა კარგია ძილი გაზაფხულზე, არც გცივია, არც გცხელა და შეგიძლია მინდვრად იძინო, — წარმოსთქვა ტკაჩენკომ და ისე დაამთქნარა, თითქოს აი, ახლა, ძილს აპირებსო, მერე რაღაც მოაგონდა...

— მართლა, გაიგებდნენ ხევენი ბრძანადირი ცხოვრებას იწყებს!

— როგორ? — ჰკითხა ამ უცნაური წამოძახილით გაკვირებულმა თამაზმა.

— ისე, ცოლს ირთავს. ერთ რუს გონას აბედნიერებს, თუმცა ხვენი ბრიგადირი ისე გამოიყურება, თვითონ უფრო ბედნიერია...

— ვიზე ამბობთ, მიტრო, ვინ ქორწინდება?

— გუჯა.

— გუჯა?

— გაბედნიერებისათვის ერთი დღის შვებულება ითხოვა, შიგეცი კიდეც. დე, გაიხარონ!..



... ცა ჩამობნელებულიყო, როცა თამაზი შინ მიდიოდა.

შემთბარი ნიაგი თითქოს თავზე უსვამდა ხელს, ყურებშიაც გაზაფხულის მოსვლაზე ჩასჩურჩულებდა. ახლად გაშლილ ყვავილთა სურნელებაც მოჰქონდა ნიაგს, თვით გაღვიძებული მიწის სუნიც მოჰქონდა. ეს გაზაფხული ნატოს აგონებდა თამაზს.

ნატო სწერდა:

„თქვენი დახმარებით კლუბისათვის კრამიტი მივიღეთ, — იწერებოდა სოფლიდან ნატო, — დახურვას შევუდექით და მალე მოვათავებთ. აგერ, გაზაფხულიც კარგია. გაზაფხული ბევრ რამეს მაგონებს. ამასთანავე ლომციხეში მუშათა საცხოვრებელი სახლის სანიმუშო ორ პროექტს გიგზავნი. ერთი კორტეჯის ტიპისაა, მეორე სამსართულიანი მოზრდილი სახლისა. ამ ზამთარს მთელი თავისუფალი დრო ამ პროექტების შედგენას მოვანდომე. მაგრამ არ ვიცი რამდენად მისაღები იქნება თქვენთვის“

თქვენი ნატო“
გთხოვთ თუ გამოჩენის ღირსი არ იყოს, ნუ გამოაჩენთ და მეც ნუ გამამხელთ“.

მაგრამ ეს გაზაფხული უკვე მოვიდა, სიტყვის შესრულების დროც უკვე დადგა, პასუხი კი დღემდე ვერ აღირსა თამაზმა.

„დროა! ახლა შემიძლია საპასუხო ბარათი მივწერო ნატოს“, — გაიფიქრა თამაზმა.

მის თვალწინ ხან თამარის, ხან ნატოს სახე გაიელვებდა. პირველი გულში მიჩქმალულ ტკივილს უახლებდა, მეორე თითქოს მის დამშვიდებლას ლამობდა. წინათ სატკივარის სასწორი სძლედა, ახლა კი ამ ორი გრძნობის სასწორი თითქოს გათანაბრებულიყო და ქანაობდა. ვერც ერთი მხარე ვეღარა სძლედა, მაგრამ ეს ქანაობა მაინც მტკივნეული იყო თამაზისათვის; საქმეები გაიტაცებდა; მაშინ თითქოს ყველაფერი ავიწყდებოდა, ახლა კი, ღია ცის ქვეშ მართოდმართო რომ მიდიოდა, მის გულში გრძნობას გაორკეცებული ძალით აღვიძებდა გაზაფხული, მისი ჟრუანტელის მომგვრელი სითბო და სურნელი... აი, გუჯაც, ხომ ამ გაზაფხულის მაცოცხლებელმა ძალამ ააჩქარა, უკვე ცოლს ირთავს. მაგრამ რით შეუძლია თამაზს ახსნას, რომ გუჯამ დაქორწინებაზე სიტყვაც არ უთხრა, ხოლო ტკაჩენკოს შეგებულება თხოვა და ისიც გაუმხილა, რომ ცოლს ირთავდა?

„იქნებ გუჯას რამე ვაწყენინე და აღარ მახსოვს? ან იქნებ მარფას უღალატა, ცოლად სხვას ირთავს და ამას ვერ მიმხვლეს? შესაძლებელია, ბინის შეცვლა რომ შეეთავაზე, ამიტომ გამირბის? ეშინია, ჩემი ვანზრახვა სისრულეში არ მოვიყვანო. ეს შესაძლოა, გუჯა მოკრძალებული ახალგაზრდა კაცი. ისიც ცხადია, ტკაჩენკო რომ რუს ვოგონაზე ამბობდა, ეს უსათუოდ მართაა. მაგრამ მარფას ან მის ბებიას ვერაფერი შევატყვევ?“ — ფიქრობდა თამაზი. სადილს ნადეჟდა ივანეს ასული უმზადებდა. ახლაც იქ მიდიოდა და ფეხს აუჩქარა. იქნებ იქ გაეგო რამე დაბეჯითებით.

მივიდა. აივანზე გამოსული მარტა

დაინახა მაგრამ რატომღაც, წინააღმდეგ ჩვეულებისა, მარტა არ მღეროდა. თავდაბრილი იდგა, დამკლავებინა და ფიქრს მისცემოდა. თამაზი რომ დაინახა, შეერთა, დაინხა, სვეტს ხელით მიეყრდნო და რაღაც განსაკუთრებული მოკრძალებით წარმოსთქვა:

— მობრძანდით.

თამაზი მიესალმა.

მარტამ თავი უხმოდ დაუქრა, მერე გაბრუნდა და პატარა ოთახისაკენ გაიქცა:

— ბებია, მოვიდა! — გასძახა მოხუცს.

ბებია სწორედ ამ დროს გამოვიდა ოთახიდან.

— სუფრა აივანზე გაშალე, მარტა. გაზაფხულია, — უთხრა შვილიშვილს და თამაზს მიესალმა.

დღეს პირველად, ამ გაზაფხულზე, მაგიდა გარეთ, აივანზე გამოიტანეს.

მარტა ისევ უხმაუროდ გარბი-გამორბოდა. სუფრას აწყობდა და ზოგჯერ ბებიას კითხვებზე პასუხის გაცემაც კი ავიწყდებოდა. ამან უფრო გაუძლიერა წელანდელი ეჭვი თამაზს. ეტყობა ჯერ კიდევ საიდუმლოა მაგათი სიყვარულის ამბავი, ბებიასაც არ უმხვლესო, — გაიფიქრა.

ნადეჟდა ივანეს ასული ძველებური ხალისითა და სითბოთი განაგრძობდა თამაზთან ბაასს, ხოლო ჩაფიქრებული მარტა მარტო თამაზს კი არა, ბებიასაც სახეს არიდებდა, თავისთვის უხმოდ ილუქმებოდა.

„მართალია, ბებიაშაც არაფერი იცის“ — გადაწყვიტა თამაზმა.

— აი თქვენი ბრიგადირი, გუჯაც აქ იყო და ახლა წავიდა... კარგი ახალგაზრდა კაცი, — წარმოსთქვა ნადეჟდა ივანეს ასულმა.

— კარგია, მარჯვეა, მართალი და მოკრძალებული ახალგაზრდაა, — უპასუხა თამაზმა.

მარტა გაწითლდა, ისეთი გამომეტყველება მიიღო თითქოს ამბობდა: „გემუდარებით, ნუ მიცქერითო“. ეტყობო-

და, რაც გულში ჰქონდა, იმის დამალვა უძნელდებოდა და ამის გამო თავისთვის თვითონ უბრაზდებოდა.

მოსხუცს მხედველობიდან არ გამოჰპარვია შვილიშვილის წამოწოთლება, ხელები ხელსახოცით შეიწმინდა და მარფას დააქქერდა:

— რა მოგივიდა, ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა შეშფოთებულმა.

— არა! — წამოიძახა მარფამ და მღელვარება რომ დაეფარა, უცბად წამოდგა. თეფშს ხელი დასტაცა, თითქოს იმ აზრით, წავალ, კიდევ რამე საკმელს გამოვიტანო, მაგრამ თეფში ხელიდან გაუვარდა, იქვე, იატაკზე დაიშხვრა. მარფას ტირილი მოეძალა. ძლივს შეიკავა ცრემლები. გაბრუნდა, ოთახში შეიბინა და კარიც მიიხურა.

— მარფა, რა მოხდა, ერთი თეფშით ნაკლები გვექნება, მეტი ხომ არაფერი! — გასძახა ნადეჟდა ივანეს ასულმა, წამოიწია, უნდოდა მარფას გამოსდგომოდა, დაემშვიდებინა, მაგრამ თავი შეიკავა და რალაც იღუმალად თამაზს მიპართა:

— თქვენ ჩვენი ხართ და ვერაფერს დაგიფარავთ. აი, რა მინდოდა მეთქვა: რალაც შეეჭვება, ჩემი მარფა და თქვენი ბრივადირი გუჯა ერთმანეთთან გულგრილნი არ უნდა იყვნენ... ალბათ დროა. დრო კი ყოველთვის თავისას ითხოვს. მე დედაბერს, თუმცა რა გამეგება. ჩემი რაც იყო, უკვე წავიღე და აი, ერთადერთი ყვავილის ცქერით-ლა ვცოცხლობ.

— თქვენი ეჭვი შესაძლოა სწორი აღმოჩნდეს, — ცოტაოდენი დუმილის შემდეგ უთხრა თამაზმა, — კარგი ახალგაზრდები: არიან და ჩემი აზრით შესაფერნიც...

— ჰო, ჰო... მაგრამ მე რა გამაძლებინებს, თუ ჩემი მარფა ახლო არ მეყოლა, — წარმოსთქვა ნადეჟდა ივანეს ასულმა და ცრემლი მოერია.

— ნუ წუხართ, ნადეჟდა ივანეს ასულო. სადაც მარფა იქნება, თქვენც იქ იქნებით, ვერავინ დაგაშორებთ, — ისე გადაწყვეტილად უთხრა თამაზმა, რომ

დედაბერმა რალაც იმედიანად მიიპყრო ცრემლიანი თვალები.

— ერთად ვიქნებით? ზის ~~წინა~~ მარფა დება, შვილო? გუჯა ჩვენიან არ გადმოვა, ჩემს მარფას კი წაიყვანს და... მოსხუცს აქ სიტყვა გაუწყდა.

— ყველაფერი რიგზე იქნება. დამშვიდდით, — უთხრა ქალს თამაზმა და წამოდგა, — მე მალე ვნახავთ!

აცრემლებულმა ნადეჟდა ივანეს ასულმა თვალი გააყოლა ქუჩაში გასულ თამაზს, მერე მაგიდაზე შუბლით დაეყრდნო და ახლა კალთაშიაც ჩაეწვეთა ორიოდ, ბებრული ცრემლი.

მარფა ისევ გამოჩნდა, ბებიას ფეხაკრებით მიუახლოვდა. იგარძნო ტირისი და ჩასჩურჩულა.

— ბები, ტირი? დედაბერმა ხმა აღარ ვასცა, მხოლოდ მხრები აუკანკალდა.

— ბები! — ახლა უფრო შეშფოთებით ჩასძახა მარფამ, მუხლებზე დაეცა და ბებიას ქვევიდან შემოხედა თვალებში.

— გემღური, მარფა! — ამოიღო ბოლოს ხმა დედაბერმა.

— რატომ, ბებია, რა დამიშვევბია, რა ჩემი ბრალია! — მარფას ცრემლები ნაკადულივით დაედინა სახეზე.

— არა, მარფა, შენი ბრალი არაა, მაგრამ მე ყველაფერს ვგარძნობ. იმიტომ გემღური, რომ არაფერს მეუბნები და თვითონ განიცდი. შენ კარგად იყავი, ჩემო გოგონი, შენ გაიხარე, ჩემი დარდი ნუღარ გექნება, რაც არ უნდა მომივიდეს, მე მაინც ბებერი ვარ, ნუ განაღვლება...

— არა, ბებია, მე უშენობა არ შემიძლია, ვერ დაგტოვებ, ბებია! — იძახდა მარფა და ვერც კი ამჩნევდა, რომ ამ სიტყვებით მისი წმინდა საიდუმლო უკვე გამხელილი იყო.

შინ დაბრუნებულ თამაზს სკამი ფანჯარასთან დაედგა, რადიომიმღებისათვის ხმა დაეწია და გადამლილ წიგნს

ჩანჩერებოდა. თამაზის ყურადღება მი-
ეპყრო არა ამდენად წიგნს, რომელიც
მას ხელში ეჭირა, რამდენადაც მუსი-
კას. ხანგამოშვებით გადაშლილ წიგნს
თვალს აშორებდა, ფიქრს მიჰყვებოდა,
მერე ისევ წიგნს რაღაც მოღუწებით,
თითქოს უინტერესოდ უბრუნდებოდა.

— თამაზ! — შემოესმა უცებ.

— ვიქტორ? — თავი ასწია შემკრ-
თალმა თამაზმა, — მობრძანდი, ვიქტორ!

— არა, ახლავე უნდა წავიდეთ!

— სად? რა არის ამისთანა საჩქარო!

— დროს როგორც ჩვენი ნება-სურ-
ვილია, ისე უნდა მოვეყვარათ... იცი რა,
თამაზ, შენი ნიშნულების გამოცდა და-
ვიწყე.

— როდის მოამზადე, რატომ აქამდე
არაფერს ამბობდი?

— წამო და ყველაფერს გაიგებ.

— კარგი, წამოვალ, რადგანაც არ
იშლი.

... ისინი უკვე მექანიკური საამქროს
ერთ-ერთ მომკრო შენობაში გვერდი-
გვერდ ისხდნენ და ელექტროლუმელში
გავარვარებულ ცეცხლს ფერადი სათ-
ვალეებით ჩაჩერებოდნენ. ახლა არცერ-
თი იმათგანი სიტყვას არ ძრავდა, თვი-
თონაც არ იძვროდნენ, ღუმელის გუ-
გუნს უსმენდნენ.

კარგა ხნის შემდეგ ვიქტორმა თამაზს
გადახედა და ხმადაბლა უთხრა:

— ვფიქრობ საკმარისია. შეგვიძლია
შევწყვიტოთ გამოცდა.

— მოიცა, ვიქტორ, კიდევ ნახევარი
საათიც ველოდოთ, — ღუმელისათვის
თვალი არ მოუშორებია, ისე უთხრა თა-
მაზმა.

ელექტროლუმელის მონოტონური გუ-
გუნი გრძელდებოდა.

ამ ორიოდე საათის წინ თამაზი მუსი-
კას უსმენდა, მაგრამ ახლა ვერავითარი
მუსიკა მის ყურადღებას ისე ვერ მიიპყ-
რობდა, როგორც ამ ელექტროლუმელში
გაჩაღებული ცეცხლის გუგუნი.

ნახევარი საათიც გავიდა.

ვიქტორი წამოღგა. დენი გამოთიშა,
ელექტროლუმელის გუგუნიც შეწყდა.

— რას იტყვი, თამაზ? მე მგონია იმე-

დებს არ გაგვიცრუებ, მიუზონუნა
შემდეგ მეგობარს.

— ენახოთ, რას მოგვცემს...
ლალ ტემპერატურაზე გამოცდა — მი-
უგო თამაზმა, — თუმცა ახლაც დარწ-
მუნებული ვარ, საბოლოოდ რა შედეგს
მოგვცემს, მაგრამ დამტკიცებისათვის
მეტი საბუთია საჭირო.

თამაზი გვიან მივიდა შინ. გამოცდის
წარმატებით აღვლევებული, განათებულ
ქალაქს გადაჰყურებდა. მერე საწერ მა-
გილას მიუჯდა და ნატოსადმი საპასუ-
ხო ბარათის წერა დაიწყო... წერით გა-
ერთო. რომ დაასრულა თვითონაც გაუკ-
ვირდა, რამოდენა ბარათი დამიწერიაო.
დაწოლა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ
დროს კარმა გაიჭრიალა და იქიდანვე
მოისმა:

— შეიძლება? — და გუჯა რაღაც
დარცხვენით ოთახში შემოვიდა.

— როგორ მოგივიდა? სად დამეკარ-
გე? — შეაგება თამაზმა.

გუჯა მაგილასთან შეჩერდა, სკამზე
დაჯდა და ყრუდ წარმოსთქვა:

— თქვენ შეწყუხებას ვერიდებოდი.

— განა ოდესმე გაგრძნობინე, რომ
შენი ნახვა მაწუხებს?

— არასოდეს! — ისევ ყრუდ გაისმა
გუჯას პასუხი, მერე თავი ასწია და გა-
ნაგრძო: — ხვალ ქორწილი მაქვს...
უკაცრავად... ქორწილი კი არა, მარტას
ვირთავ და მხოლოდ „მამაი“ გვეკლია.

— როგორ მოგივიდა, რომ გაამხი-
ლე? — გაიღიმა თამაზმა, — განა შენი
გამბედნიერების ამბავი სხვებისაგან უნ-
და გამეგო? მე კი პირიქით ვფიქრობდი,
გუჯა.

— სხვებისაგან? ჰო, მართალია, ამ-
ხანავი ტყაჩეყო გეტყოდით... უნდა მა-
პატიოთ, თქვენთვის სულ ბოლოს მინ-
დოდა შეთქვა.

— მერე რა მიზეზით?

— მიზეზი არის, იცით... მაგრამ
გთხოვთ ამაზე ნუღარაფერს მკითხავთ.
არა ღირს... შეც ველარ გეტყვით.

— ეს რაღას ნიშნავს, რატომ არ
მეტყვი?

— თვითონ გაიგებთ, ახლა კი არა ღირს...

— გთხოვ, გუჯა, ყველაფერი ახლავე მითხრა. იქნებ რაიმე გაუგებრობა და მე კი არ ვიცი.

გუჯა შედგა, შეყყომანდა, მერე გაბედა:

— ალბათ, გახსოვთ, დაქორწინებასთან დაკავშირებით, ერთხელ რატაც მითხარი... ამიტომ გაგიმხილეთ ეს ასე გვიან. ახლა თქვენი განზრახვის განხორციელებას ველარ მოასწრებთ.

თამაზს ისეთი გულიანი სიცილი აუვარდა, გუჯა გაოცდა.

— ჩემო გუჯა, რატომ გავიწყდება, რომ ჩემი სიტყვის შესრულებისათვის არც ისე დიდი დროა საჭირო, მაგრამ სიტყვის შესრულება განა დაქორწინების შემდეგ არ მოხერხდება?

— ეს როგორ?! — წამოიძახა უეცრად გუჯამ.

— ჩემო გუჯა, ხვალ თუ ქორწილია, ჩვენ დღესაც შეგვიძლია ზოგი რამ მოვასწროთ.

— დღეს? — გაოგნებით იყიბა გუჯამ, მერე გამოერყვა, არხეინად განაგრძო: — დღევანდელი დღე წასულია, ხვალ კი ცოლს ვირთავ!

— გამოდის, რომ დრო არა გქონია... მაგრამ ნადეჟდა ივანეს ასულს რაღას უპირებთ? იქნებ იმ ძველ სახლში მართოკა ტოვებთ? რას იტყვი ამაზე გუჯა?

— არა, აქ, ჩვენთან მოგვყავს...

— ამ გადაწყვეტილებას გიწონებ, გუჯა, მაგრამ ხვალ ცოლს ირთავ, ერთი პარიარალე გაქვს დანიშნული, იმ მოხუცს კი აქამდე არაფერს ეუბნებით. შეიძლება ასე? რატომ დღემდე არაფერი გააგებინეთ?

— გართულების გვეშინოდა, — გამოტყდა გუჯა და თავი ჩაღუნა.

— ვიცი, გეშინოდათ, მაგრამ საქმე რომ გართულებულიყო, რას იზამდით? გუჯამ მხრები აიჩეხა.

— მაინც? მართას წამოიყვანდი, ბებიამისს იქ დასტოვებდი, არა? — არ მოუსვენა თამაზმა.

— არასოდეს! — ყრულ წარმონსთქვა გუჯამ.

— არა, გუჯა, აგრე უნდა მოვიქცეთ ას თავის შვილიშვილზე ყველაფერი თავიდან უნდა ცოდნოდა. თუ თვითონ მართამ ვერ გაუბედა, შენ უნდა გეტქვა და მისი აზრი გაგეგო. მერე კი მოფიქრების დროც გექნებოდათ... კიდეც კარგი, ნადეჟდა ივანეს ასული თანახმაა, თორემ...

— როგორ?! — წამოიძახა გუჯამ, — თქვენ რა იცით, რომ თანახმაა?

— ვიცი.

გუჯა სიხარულმა აიტანა. თამაზს მძურად გადაეხედა.

— მაშ მე და მართა გავბედნიერთ!

— არა, გაბედნიერებამდე კიდეც შორსა ხართ. — ცივი წყალი გადაასხა თამაზმა.

— შორსაა? — საქციელი წაუხდა გუჯას.

— შენ ერთი ოთახი გაქვს, ხომ? — განაგრძო თამაზმა, — რა იცი, დაგეთანხმება მგ ერთ ოთახში გადმოსვლაზე მართას ბებია?

— ბებია დაგვეთანხმება; მე და მართა სამზარეულოშიც მშვენიერად მოეთავსდებით, — თითქოს გამოსავალი აღმოაჩინაო, შევებით ამოისუნთქა გუჯამ.

— მშვენიერი აზრია, მოსაწონია, მაგრამ იქნებ შენი სამზარეულო ისე გაფართოვდა, რომ იქ დოდიც შეიძლება მოეწყოს?

— დოდის რა მოგახსენოთ, მაგრამ...

— არა, გუჯა. დრო მართლაც ცოტა დაგვრჩა და მოდი, მომეხმარე.

გუჯამ თავი ასწია, თვალბი თვალში გაუყარა თამაზს.

— აი, ეს საწოლი უნდა წავიღოთ.

— საწოლი? სად?

— განა საკითხავია? ხვალ, ალბათ, ხალხი გეყოლება, შენს პატარა ოთახში ვერ მოთავსდებით. მაგრამ ესეც არ იყოს, გაბედნიერების პირველ დღეებში მაინც აქ აჯობებს ყოფნა, — ახალგაზრდა ქალს ბინის სივიწროვით თავიდანვე გულს ნუ გაუტეხ.

— არა, მაპატიეთ, მაგრამ ამას ვერ ვიზამ. თქვენ ისევე თქვენს აზრზე დგახართ? თქვენ გამოგადგოთ და მე შემოვიდე? არა! განა თქვენ ოჯახის შექმნას არ აპირებთ?

— დამიჯერე, გუჯა. მე ერთი ვარ, თქვენ კი ხვალიდან სამი იქნებით. მე უკეთ ვიცი, რაა საჭირო. ჰო, მხოლოდ პირველ დღეებში, — ისე გადაჭრით თქვა ეს თამაზმა, რომ გუჯამ წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ გაუბედა.

ნახევარ საათში თამაზის ბარგი უკვე გუჯას ერთოთახიან ბინაში იყო, ხოლო გუჯასი თამაზის ბინაში.

პაწია ოთახში გამოსულმა თამაზმა გუჯას ხელი მოჰხვია და კარზე უჩვენა:

— წადი ახლა, ჩემო გუჯა, შენს ახალ ბინაში და მარფასთან ერთად სამუდამოდ ბედნიერი იყავით. რაც შეეხება ნაღვედა ივანეს ასულის თანხმობას თქვენთან გადმოსვლაზე, ეს ჩემზე იყოს; შენს ახალ ბინაში სამზარეულოს საწოლ ოთახად გადაქცევა არ დაგპირდება.

— სამუდამოდ? რა თქვით? „პირველი დღეები“ უკვე „სამუდამოდ“ გადააქციეთ?

— კარგი! — შეაწყვეტინა ისევ თამაზმა, — წადი, ძილის დროა.

— წაიდე? — უაზროდ გაიმეორა გაოგნებულმა გუჯამ, მერე უეცრად თამაზს მოეხვია:

— ძმაო!

კმაყოფილების გრძნობით გამსჭვალული თამაზი კარგა ხანს დადიოდა თავის ახალ ბინაში. მერე ტანთ გაიხადა, ჩაწვა. გულში გაივლო: „იმაზე დიდი კმაყოფილება ქვეყნად არ არსებობს, თუ ღირსეული ადამიანების გახარება შეიძელი“...

ახლა, ამ პატარა ბინაში, თამაზის გული თითქოს უყრო გაზრდილიყო და, ვინ იცის რამდენ გრძნობას იტევდა, მარტო იმ საღამოს ვანკლილიც საქმათ იყო, რომ დიდ ხანს თვალი არ მოეხუ-

ჭა და მოესმინა გულში ტალღასავით აგორებულ გრძნობათა უწყვეტად მის მიერ შექმნილი ცეცხლგამძვლვე მსხალის პირველი გამოცდა, მერე ნაღვედა ივანეს ასულთან საუბარი და შვილიშვილის გამო მისი საჩივარი, ცრემლები, გულის ტკივილი, შინ დაბრუნების შემდეგ კი ნატოსადმი ბარათის მიწერა, რაც გოლოთაზე ასვლად უღირდა, რადგან ყოველთვის, როცა ის ნატოზე ფიქრობდა ან ბარათს წერდა, იქვე მეორე, თამართან დაკავშირებული მტკივნეული გრძნობაც იპყრობდა. ბოლოს კი, აი, აქ, გუჯას პატარა, ერთოთახიან ბინაში გადმოსვლა და ახალი ოჯახისათვის მეტი გასაქანის მიცემა! ახლა ისვენებდა თამაზი, ისვენებდა მთელი არსებით და ფანჯრებიდან შემოსული მთვარის მკრთალი შუქიც რაღაც საოცარი სინაზით ელამუნებოდა მისი ახალი ოთახის იატაკს, კედლებს, საწოლს და თვით მის შუბლს.

... მაგრამ იმ ღამით განა მარტო თამაზი ფხიზლობდა? ფხიზლობდა ნაღვედა ივანეს ასული, მისი შვილიშვილი მარტა, ფხიზლობდა გუჯა...

მარტასა და მის ბებიას შესაძლო დაშორების შიში არ აძინებდათ, გუჯას კი სიხარულისაგან ვერ მოეხუჭა თვალი. ფანჯრიდან ცას გაჰყურებდა, რომ განთიადის მოახლოება არ გამოპარვოდა.

მაღე უნდა გათენებულყო. გუჯასათვის რამდენი რამ სასიხარულო იყო დაკავშირებული გათენებასთან, მაგრამ მარტო ის რაღაც ღირდა, რა სიხარულიც თამაზმა აი, ამ საღამოს არგუნა მას! ახარებდა არა იმდენად ოროთახიანი ბინის მიღება, რამდენადაც თამაზის მხრივ დიდი თანაგრძნობა, დაფასება, ძმობის გაწევა და სიყვარული.

ცამ ფერი იცვალა. ჯერ გაფითრდა, მერე თანდათან ვარდისფერი დაედო; თითქოს გუჯას გაბედნიერება იმასაც

გაგო და ამიტომ იღებებოდა ახლა ზემისა და სიხარულის ფერებით.

„გათენდა, წამოდექ გუჯა, შენი გაზაფხულიც მოვიდა!“ — უთხრა თავისთვის ქაბუქმა და საბანი შორს გადააგდო. ერთი წუთის შემდეგ ფეხზე იყო და გაზაფხულის სურნელით ტკებოდა.



იმ საღამოს სამმართველოში მისულ თამაზს, ირინემ რაღაც ბარათი გადასცა.

თამაზმა კონვერტი იქვე გახსნა და ხელმოწერილი ბარათის კითხვა დაიწყო. კითხულობდა, თან ფიქრდებოდა.

„ძვირფასო თამაზ!“

ვიცი, თამარის ბედი გაინტერესებთ. თამარი პირველად ერთმა მომღერალმა შეაქვინა, მერე მიატოვა. თამარს ბავშვი მოუწყდა. მერე ერთ ახალგაზრდა კაცს გადაეკიდა, რომ მისი საშუალებით მომღერალზე და თქვენზე შური ეძია, მაგრამ აქაც თვითონ დამარცხდა, შური ისევ თავის თავზე იძია; იმ ახალგაზრდა კაცმაც შეაქვინა და გააბახა. ახლა კი ისევ პატიოსანი ქალის ქურქში სურს გაეხვიოს, რომ იქნებ ამით თქვენ შეგაცდინოთ. მაგრამ ქვეყანა ჩალით დახურული როდია. ქვეყნად პატიოსანი ადამიანებიც არ გაწყვეტილა და ამ ბარათს ამიტომ გწერთ. უფროსილით თამარს!“

თამაზმა ბარათი იქვე დახია და ჯიბეში ჩაიღო.

— რა მოხდა? ხომ არაფერი უბედურებაა? — შეეკითხა ირინე.

თამაზმა კითხვა უპასუხოდ დატოვა, უბად გაბრუნდა, გურამთან მისვლაც მთლად დაავიწყდა და სამმართველოს შენობიდან უხმოდ გავიდა. განათებულ მოედანს იქით მომდგარ სიბნეულს თვალს გაუსწორა, ახლა მხოლოდ ერთი რამ იცოდა: თავი სიბნელეში უნდა ჩაემაღა, რომ აღარავის ენახა. აი, მოედანი უკან დატოვა. რკინიგზა გადასჰქრა, ჩამოხველებულ ველში აღმოჩნდა.

„ბარათი ცუდი ადამიანის ხელითაა

დაწერილი, მაგრამ რასაც წერს მართალია. ამას ვგრძნობდი, ვხედვოდი“ — გაიფიქრა და უკაცურ მინდორში გზა გაინაგრძო. აქ იმდენად დიდი სიწყინარე იყო. განათებული ლომიციხე ახლა შორს მოჩანდა. ირგვლივ ბუჩქებსა და ბალახებში გასუსულ ფრთოსანთა წივიცივიც აღარ ისმოდა. ველი განვლო, გორაკზე ამალდა; აქედან განათებულ თბილისს გაჰხედა. „და ეს ყოველივე აი, იქ, თბილისში ხდება“, — გაიფიქრა. არა სჯეროდა, რომ თამარს ასე შორს შეეძლო წასვლა. არ შეეძლო დაეჯერებინა, რომ მისთვის ესოდენ სათაყვანებელი, წინად საყვარელი ადამიანი უმანკოებისა და სათნოების სამოსელს აგრე უხეშად შემოიგლეჯდა, გადაყრიდა, გატიტვლდებოდა. „მაგრამ მე ხომ დიდი ხანია ჩამოვშორდი და მასთან საერთო არაფერი მაქვს? ეს მართალია, გადაწყვეტილია, მაგრამ აქ რად მოვედი, რა არის ეს?“ ეკითხებოდა თამაზი თავისთვის. „მაგრამ მაინც ხომ აუცილებელია დაეასრულო ძველი ამბავი; ყველაფერი ამოვწვა, რაც გულში ჩამჩრა? აი, ის ცეცხლი ამოსწავს ამას!“ — გაიფიქრა და მართლაც ცეცხლივით გაჩაღებულ ლომიციხეს გახედა.

უკან გამობრუნდა. მტკვარს გვერდით ჩაუარა, ნაყუნებად ქცეული ბარათი გადააყარა. ამით სიმსუბუქე იგრძნო. სინათლეში გავიდა. საათს დახედა, სამმართველოში წასვლის დრო აღარ იყო. შინისაკენ გაუდგა გზას. კიბე აიარა. ოთახში შევიდა. ფანჯრები გააღო. ფრონტზე გამგზავრების წინა დღეებში თამარის მიერ მიმღვნილი კოცნის სითბო მის ტუჩებს თითქოს ახლაც შეეხო... მთელ ტანში შეაზრიალა, ყველაფერმა, რაც შემდეგ მოხდა, ეს სითბო ყინულად გადაუქცია და ბაგეზე ხელი ჩამოისვა; რომ იქნებ ეს ყინული მოეშორებინა, გადაეგდო და დაემსხვრია. მართლაც ხელი ჩაიჭინა და მაგიდას მოუჯდა. ხელში ქვის ნიმუში აიღო. „ჯობს, ამ ქვებს მიეუალერსო, ვიდრე“... და მან ეს ფიქრიც არ დაასრულა, ქვას დააჩერდა,

ფიქრი მინც ისევ შორს გაექცა. „ქარგია, რომ ნატო ჩამოდის“ — რატომღაც ასე იფიქრა ბოლოს, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რატომ დაებადა ასეთი აზრი. ქვის ნამცეცი ჩამოსტეხა, იქვე რკინის ფიტარზე დასდო, ჩაქუჩით დინჩქქვა, მერე აიღო და ხელში გასრისა. „თუ ეს შეგვევრე, ორჯერ მეტ სიმბურვალეს გაუძლებს“ — გაიფიქრა, ფანქარი მოიმარჯვა, წერას შეუდგა. დიდხანს იჯდა ასე, წერდა. თავზე ისე დაათენდა, არც გაუგია.

II

იღვიძებდა ბახმაროს მთები. ცაზე ერთმანეთს წუთით წუთამდე ცვლიდნენ ფერები. იღვიძებდა შავი ზღვაც; ხმას იმაღლებდნენ ტალღები. იღვიძებდნენ სოფლები ზღვასა და მთებს შორის ჩაბუდებულნი. მაგრამ მარტო გათენება კი არა, უფრო გაზაფხული აღვიძებდა გურიის სოფლებს და დილის ნისლში ჩაყვინთული პატარა გორაკებიც ახელდნენ თვალს, ნისლს იშორებდნენ, თითქოს ზევით იწევდნენ, ფეხზე დგებოდნენ. ნიაფი უფარცხნიდათ ქოჩორა თავს. უნაპირო სიმწვანეში ქრელკაბიან ქალწულებივით ირხეოდნენ აყვავილებული ატმები, ალუბლები, ალუჩები, ნუშისა და ტყემლის ხეები. პატარა დელებსაც დასტყობოდათ გაზაფხულის მოსვლა. ამას ცაში ლალად მონაჯარდე ჩიტუნებიც ადასტურებდნენ თავიანთი გაუთავებელი ძღურტულით.

ახლად გამოიღვიძებულმა ნატომ ფანჯარა გააღო და ოთახში დილის სუფთა პაერი შემოუშვა.

— გაზაფხული... — წარმოსთქვა მან. ამ სიტყვამ თამაზის შეპირება მოაგონა. გული აუჩქროდა. ახლა უკვე ხმამალა წამოიძახა: — დედა, გესმის, როგორ ქიკვიკებენ ჩიტები?

— ქიკვიკებენ, შვილო, უნარიანთ გაზაფხულის მოსვლა, — გამოეხმაურა დედა მეორე ოთახიდან, — დგები?

ნატომ ამოიკვნესა პასუხად და ბა-

ლიშზე დაეშვა. თვალები ქერს მიაპყრო.

— ნატო! — მოისმა მისივე მერე ოთახიდან. ამას ფეხისხმაც მოჰყვა, — ისევ გეძინება?

— ჰო, დედა, ვერ გამოვიძინე. მალე ავდგები, გვერდი იცვალა ნატომ და გაიტრუნა.

დედამ ხმა აღარ გასცა. ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

ნატოს დედის ფეხისხმა არ გაუგონია, მაგრამ ისედაც იგრძნო, რომ ის წავიდა. ისევ გადმობრუნდა, საბანი გვერდზე გადააგდო, წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა. ეზო ჰყვოდა, ახლადმოსული ბალახის სუნი და მუქი სიმწვანე მეფობდა ირგვლივ, მაგრამ ნატოს არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ გაზაფხული უკვე მოვიდა, თამაზის კი არაფერი ისმოდა.

„ნამდვილი გაზაფხული ჯერ არ მოსულა, — ფიქრობდა იგი, — ხეხილი თუ აყვავდა, ეს არაფერია; ნადრევად გაშლილი ყვავილი ნაყოფს ვერ გამოიღებს!“

იცვამდა, დედა რომ შემოვიდა.

— აგრე, შვილო, ჩაიცვი, გადი გარეთ, თვალი გადააგლე ქვეყანას; ყველაფერი ჰყვავის, — უთხრა მან შვილს.

— მივდივარ, დედი, ნატომ ხელპირი დაიბანა, ისაუზმა. ეზოში რომ გავიდა, ნიაფმა ლალად დაუბერა ხეხილის აყვავებულ ბაღს, რტოები დაარჩია, შეათამაშა და ყვავილთა ნამუსრალი ნატოს მიაყარა სახეში. „აი, ხომ ვთქვი, ნადრევი ყვავილები ვერ გაიხარებენ!“ — გული ისევ გაიმავრა ქალიშვილმა, ქიშკარი გააღო და ეზოდან გავიდა.

— სად მიხვალ, ნატო, შენი აშენებული კლუბი ჩიტებმა მოსკინტლეს და ახლა მიდიხარ? — შემოესმა ნატოს და მოიხედა.

ეს „ეკრეტად“ წოდებულ კირილე იყო. დაბალსა და პატარა კაცს შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო ხელები და ორობეში გაჯგვიმულიყო.

— ნუ წუხნდები, კირილე, თუ ავა-

შენეთ, მოუვლით კიდეც! — უპასუხა ნატომ და გზა განაგრძო.

— მოუარე, პო, შენ იცი! — მიაღდე-
ნა კირილემ, გრძლად გააპურქყა და თა-
ვის გზას გაუდგა.

კლუბში შესულ ნატოს ყოველის
მხრიდან დურგლების ხმაური, მათი ნა-
ჯახების ჩახა-ჩუხი, ჩაქუჩების კაკუნი
და ხერხის მომაკვდავისებური ხიხინი
ესმოდა:

აგებდნენ იატაკს, ამზადებდნენ კარ-
ფანჯრებს, წმენდავდნენ, აშალაშინებდ-
ნენ ტყის მასალას.

ნატომ მალა აიხედა და გული გაეხს-
ნა, რომ კრამიტით დახურულ კლუბს
წვიმა ველარ დაასველებდა. ამ რამდენი-
მე დღის წინ კი, როცა კლუბს აწვიმდა,
ნატოს ისე ეგონა, თითქოს წვიმის ეს
წვეთები სწორედ მას ეცემოდა გულზე.
მთელი კლუბი შემოიარა. მუშებს სათი-
თაოდ მიესალმა, მათი ნამუშევარი შეა-
მოწმა და მერე ქვედა სართულში ერთ
პატარა ოთახში შევიდა. აქ ტანმორჩი-
ლი, მკვირცხლი, შავთვალემა გოგონა
დაუხედა.

— როგორაა, ელენე, საქმე, მასალები
ხომ არ გვაკლდება?

— არა, ნატო, მარტო ლურსმანი
გვაკლდა და ისიც მოვიტანე.

— კეთილი, ელენე, — უთხრა ნატომ
და მაგიდას მიუჯდა.

ამ დროს ფრთხილად გაიღო კარი. ნა-
ტომ თავი ასწია.

— დედი, რა მოხდა? — წამოიძახა
გაკვირვებულმა.

— მოგვივლებოდა. ცოტა საკმელი
წამოვიღე, შექამე, შვილო?

— განა აგრე დავიგვიანე?

— დეიდა ფედოსის არაფერი გამო-
ეპარება. დროის გასაგებად საათი არ
ქირდება, — ღიმილით ჩაურთო ელე-
ნემ.

ნატო და ელენე კარგა ხანს დარჩნენ.
როცა სამუშაო მოათავეს და გარეთ გა-
მოვიდნენ, ზღვაზე გადასულ მზეს ცა
ვარდისფრად შეელება და თვითონ მი-
წასაც ვარდისფერი გადასდებოდა.

ნატოს ქვემოთ ხალხის ჩოჩქოლი შე-

მოესმა და იქით გაემართა. კოლმეურ-
ნობის გამგეობის შენობას მიუახლოვ-
და. აივანზე ვარდენი დაინახა.

შენობის წინ, პატარა მოედანზე, ახ-
ლად შეფოთლილი ქადრის ქვეშ ათიო-
დე კაცი ჯგუფჯგუფად იჯდა.

რადგან ნატოს ვარდენის ნახვი უნ-
დოდა, იქვე, ქადრის ქვეშ ჩამოჯდა კენ-
ტად. ხალხის ლაპარაკს ყური მიუგდო.

— ახლა ისე, კაცმა რომ თქვას, ქე
გვკირდება დატრიალება. — ამბობდა
მოხუცი, გრძელტარიანი ჩიბუხს რომ
აპლაკუნებდა და შემთბარ მიწას რაღაც
დაეინებით ჩაჩერებოდა.

— ჩვენ კი დავტრიალდებით, მაგრამ
ტიტესთანებს მგონი ტრაქტორითაც
ვერ დავატრიალებთ, — მიუგო წვერ-
ულვაშგაპარსულმა, ქერა ქაბუკმა და
მოხუცს გაჰხედა, — ახლა ფასო შენც
უნდა გაანძროო ხელი, აი, ხომ ხედავ
ვაცს, კოოპერატივის წინ რომ გაჯგი-
მულა და გაბუტული გიყურებს; თუ
ერთი ფეხით გავისწრო, ყანაში ან ბალ-
ში გაჩნდება და ყველაფერს ხელისგუ-
ლივით მოასინსილებს.

ნატოს გაეღიმა. კოოპერატივისაკენ
გაიხედა, მაგრამ იქ ვერაეინ დაინახა.

ვარდენი სწორედ ამ დროს ჩამოვიდა
აივანიდან, ხალხს შეერია.

ნატო მიუახლოვდა.

— აა, ნატო, შენც აქ ხარ, ძვირფა-
სო? — წამოიძახა, — რადგან კლუბი
გადავხურეთ, თავი ქულში გვაქვს, არა?

— მარტო გადახურვა არ კმარა, —
მიუგო ნატომ და წამოღგა. მერე რაღაც
დარცხვენით ჰკითხა თავმჯდომარეს: —
ლომციხიდან ხომ არაფერი ცნობა მი-
გილიათ, პატივცემულო ვარდენ? რაღაც
მასალები კიდეც გვკირდება.

— ვიცი, ძვირფასო, ლომციხიდან
ამ გაზაფხულს შენთვის მასალებზე უფ-
რო საინტერესო ამბები უნდა მოეტანა,
მაგრამ რა გაეწყობა, არაფერია და... —
მიუხედა ნატოს და მისი სატკივარი თვი-
თონ გაამხილა ვარდენმა.

ნატო გაწითლდა, სახე მოაჩიდა. დამ-
ნაშავესავით წარმოსთქვა:

— მე ეს არ მითქვამს. არ მიკითხავს...
კარგად ბრძანდებოდეთ! — ნაჩქარევად
გამომეშვიდობა თანასოფლელებს და
საჩქაროდ მოსცილდა ბებერ კადრის
ხეს.

„ღამეინიან. ახლა აქ ჩემი გაჩერება
მინც. აღარ ღირს!“ — ფიქრობდა გზა-
დაგზა. ცოტათი ზემოთ, ხევზე გადახ-
რილ ცხემლასთან შეჩერდა. ქვემოდან
პატარა მდინარის შხელი ამოდიოდა.
ახლა აღარ ეჩქარებოდა შინ. ქვაზე ჩა-
მოჯდა და გაიტრუნა. მერე ცხემლის
ძირას ახლადთვალაველი იები შე-
ნიშნა, დაიხარა მოსაწყვეტად, მაგრამ
შეეცოდა, არ მოწყვიტა. „თვალუშუ-
ნა იებო, ალბათ თქვენც მალე დაბუქავთ.
თვალეებს, თქვენი ფესვები კი იცოცხ-
ლებენ და ყოველ გაზაფხულზე ჩემის-
თანებს მოალხენენ ან დაალონებენ...“ —
ნაღვლიანად გაიფიქრა მან და წამოდგა,
შინ მოდუნებული ნაბიჯით წავიდა. ნი-
აფი ზანტად არხევდა ახლად აყვავებულ
ხეხილის ბაღებს, მაგრამ ნატოს არ უნ-
დოდა აპყოლოდა გაზაფხულის სუნთქ-
ვას, რადგან მას ახლა მხოლოდ სევდა
მოჰქონდა.

ეზოში შევიდა. დედის ხმამ გამოარკ-
ვია:

— დაიღალე, შვილო?

— რა დამღლიდა! — იუარა ნატომ
და მარანთან, კაკლის ხეზე მიმაგრებულ
მერხზე დაეშვა.

დედაც გვერდით მიუჯდა.

— დედი, თუ იცი ეს მარანი როდის
ააშენეს?

— არა, შვილო, არ ვიცი. ამ მარანის
აშენება ბაბუაშენსაც კი არ ახსოვდა.
ახალი მოყვანილი ვიყავი, მამაშენმა რომ
ჩხავერის ღვინით გავსილი ოთხი ქვეუ-
რი იპოვნა აქ, მიწაში. ალბათ ახლაც
ბევრი იქნება, მაგრამ ვინ იპოვნის. არა-
ვინ იცის, ვისმა ხელმა დაწურა ეს ღვი-
ნო და ასე საგულდაგულოდ ვის შეუ-
ნახა.

— მერე, დედი, ამ ქვევრებისა ბაბუ-
ამაც არაფერი იცოდა?

— არა, შვილო, არაფერი იცოდა. ვინ

იცის, კიდევ რამდენი სიმდიდრეა და-
მარხული ამ ჩვენს მიწაში, ჩვენც კი არ
ვიცი.

— მაინძელო! — გაისმა ამ დროს
ქიშკართან.

ნატომ თავი ასწია. დანახა, ვინც მო-
ვიდა, წამოხტა და ქიშკრისაკენ გაიქცა.

— ჩაიბარე! — მოაგება ტანწერწერა,
ცხვირწვეტიანმა ფოსტალიონმა, საფოს-
ტო ჩანთა გვერდზე მოიგდო და კონ-
ვერტი ქიშკარში შემოაცოცა.

— ვისგანაა, თუ იცი, თოქისტე? —
კონვერტს ხელი დასტაცა ნატომ.

— შორიდან კი უნდა იყოს და... —
გაიღრიჯა თოქისტე.

ნატომ დახედა თუ არა კონვერტს,
მაშინვე მიხვდა, ვისგანაც იყო. თვალები
გაუნათდა, დედას მიაშურა.

— იცი, დედი, ვისგანაა? — გაუხსნე-
ლი კონვერტი უჩვენა მშობელს და
გვერდით მიუჯდა.

— ვისგანაა, შვილო?

— თამაზისაგან. ამას ველოდი.

— გახსენი, შვილო, — მიუგო დე-
დამ, გულში კი გაიგლო: „ათ, რა ყო-
ფილა ნატოს სატკივარიო“.

ნატომ კონვერტი შეაბრუნ-შემოაბ-
რუნა, გაჰხედა, ეშინოდა, თვითონ ბა-
რათი არ გავხიოო და მერე ფრთხილად
მოხია თავი კონვერტს.

„პატივცემულო ნატო! — იწერებო-
და თამაზი, — ბოდიშს ვიხდი, რომ სა-
პასუხო ბარათი დაგიგვიანეთ. ახლა კი
ყველაფერზე ერთად გასაუხობთ. თქვე-
ნი პროექტები ჯერ „საქპროექტში“
წარებადინე. იქ განიხილეს და მოიწო-
ნეს, მოიწონეს ლომციხეშიაც. დაამტკი-
ცეს და მშენებლობის უფროსმა შესას-
რულებლად გადასცა ლომციხის ბინათ-
მშენს. ამ პროექტის მოწონებამ თქვენ
ხელი შეგიწყობს: „საქპროექტი“ მზა-
დაა ლომციხის შეკვეთებზე სამუშაოდ
სამსახურში მიგიღოთ“. — აქ კი ვეღარ
მოახერხა ნატომ თავის შეკავება და
თვალი სიხარულის ცრემლებით აევსოა:
— განა ეს სიმართლეა და შემიძლია
დავიჯერო?

— განაგრძე შეილო, — თხოვა დედამ.

ნატომ ძალა მოიკრიბა, კითხვა განაგრძო.

„ამრიგად, თქვენი გადმოსვლის საკითხი გადაწყდა...“

ნატო წამოხტა, დედას მოეხვია და გიჟივით კოცნა დაუწყო.

— ხომ ხედავ, დედი, რა ბედნიერი ვარ, ხომ ხედავ! — იძახდა თან.

დედაც ისე ღელავდა, ვერაფერი ვერ უპასუხა. ის კარგად ხელებოდა, რომ ნატოს ასეთი უჩვეულო სიხარული გამოეწვია არა იმდენად სამსახურის შოვნას, რამდენადაც თამაზის ყურადღებას...

სულ ბოლოს თამაზი წერდა:

„არაფერი ვიცი, გავქვთ თუ არა შესაძლებლობა იშოვოთ შესაფერი საცხოვრებელი ბინა თბილისში, მაგრამ როცა ჩამოხვალთ, შესაძლოა ამ მხრივ რამე მოვახერხოთ. მაშ ასე: თუ ჩამოსვლას ისურვებთ, მომავალ შაბათს ბათუმის მატარებლით გამოემგზავრეთ და კვირა დღით სადგურზე დაგხვდებით“.

ნატომ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ დედას თვალებში ცრემლი ბრწყინავდა.

— დედა, ტირი? — ჰკითხა და მერე მიხვდა, რატომ ტიროდა მშობელი. დამშვიდება დაუწყო, სამუდამოდ ხომ არა გტოვებო, მალე ჩამოვალ, მერე სულ ჩემთან წავიყვანო.

— როგორ, შეილო, ეს უნდა დავტოვო? — შარანზე უჩვენა დედამ, — არა, შეილო, ამას ვერ ჩაივინო. ჩვენი წინაპრების კვალი აქ ვინდა განაგრძოს?.. ყველაფერი აქაა, გუშინდელი, დღევანდელი თუ ხვალინდელი. ჩემი სული ამ პატარა ეზოში ტრიალებს და უამისოდ როგორ ვიციოცხო.

ნატო გაშრა. დედას მოეშვა. ისევ თავის ადგილას დაჯდა და ფიქრს მიეცა: მაშ ჩვენი უძველესი ოჯახის ისტორია ჩემით თავდება? ყველა ერთგული დარჩა, ჩემს გარდა, მე კი ვალატობ, გავრბივარ აქედან და მიხარია, ბუდიდან უდროოდ გადმოვარდნილ ბარტყივით ვფართხალებ, ცაზე ხელს ვავლებ

და არც მაგონდება თუ რა ვალი მაწვეს! — მერე ისევ დედას მიუბრუნდა და დამნაშავესავით უთხრა: ბრწყინებდა

— შენ მართალი თქვი. ნუ გააცივებ ძველისძველ კერას. სულით მეც აქ, შენთან ვიქნები. ხშირად ჩამოვალ და შევეცდები მარტოობა არ გაგრძნობინო, არც არასოდეს მოვწყდე ამ მიწას.

— ჰო, კარგი, შეილო. თანახმა ვარ. სხვა გამოსავალი მაინც არაა, — მიუგო დედამ და წამოდგა, — დალამდა, შეილო, შევიდეთ შინ.

ნატომ ეზოს გახედა. მთვარის შერბილი შუქი თითქოს ეალერსებოდა ხეხილის ახლადგაშლილ ყვავილებს და იდგა ამ ყვავილთა გამაბრუნებელი სურნელი.

„გაზაფხულია, ნამდვილი გაზაფხულია!“ — ეს მხოლოდ ახლა გადაწყვიტა მან და ხეზე ასულ ვენახს ხელი ჩასკიდა, ჩამოეკიდა. მარტო ფოთლებს კი არა, ნატოსაც ფოთოლივით არხვედა ნიაღვი.

— დედი — დაიძახა უცებ მან, — ჩემი გამგზავრების ამბავი ვარდენს უნდა გავაგებინო!

— მოესწრები, შეილო, დრო საკმარს გაქვს.

— ჯობს ახლავე ყველაფერი იცოდეს; კლუბის გადაბარებასაც ხომ დრო სჭირდება!

— კარგი, შეილო, წადი, ნუ დაიგვიანებ.

ნატო წავიდა. ხეზე გადახრილ ცხემლის ხეს რომ მიაღწია, ოდნავ შეჩერდა; ხევში მდინარის შუილი გაძლიერებულიყო. „შენი ხმა ყველგან გამოყვება, ნუ მიწყურები ჩემო პატარავ“, — სიყვარულით მიმართა ნატომ მდინარეს. წელანდელთან შედარებით ყველაფერი სხვანაირად მოეჩვენა ახლა და უფრო ხალისიანად განაგრძო გზა. საბუქოს წინ, ქადრების ქვეშ, სამი კაცი შენიშნა.

— ხომ ხედავთ, ძვირფასო! ეს უსათულოდ ნატოა, გამოარბის, ალბათ სასიხარულო ამბავი მიიღო, ჩვენ კი ვიღუპებით! — შემოესმა ნატოს ვარდენის ხმა. ნატო მივიდა, შეჩერდა. ისე გამოიყუ-

რებოდა, თეიმურაზიც კი მიხვდა, გადასაფრენად ფრთა აუწევიან და დაიფუგუნა:

— მიფრინავ, ბიძი?

— ბარათი მივიღე. შაბათს უნდა გავემგზავრო. კიდევ კარგი, კლუბი დაფხურეთ. ახლა უფრო გულდამშვიდებით შეიძლება მისი შენება.

— ხომ ვთქვი, ძვირფასო ნატოს შეპირებული მიუღია და ვინღა დაიჭერს ახლა!

— როგორ, გამგზავრება აუცილებელია? — ცალი თვალი მოწკურა ხარიტონმა.

— აუცილებელია, — ეს სიტყვა ნატომ ისე წარმოთქვა, თითქოს გულიც თან ამოაყოლო. ამით კი ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ნატოს დარჩენაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მას ველარაფერი შეაჩერებდა.

— თუ აგრეა, ახლა კლუბის გადაბარებაზე უნდა ვიფიქროთ, — თქვა ხარიტონმა.

ნატომ იგრძნო: მის გამგზავრებას აღარაფერი აბრკოლებდა. წელში გაიმართა. რაღაც ძალამ ტუჩები გაუხსნა, გაიღიმა, მიმოიხედა, ამ წუთში უფრო ვრცელი მოეჩვენა თავისი მშობლიური სოფელი.

ოტა ხნის შემდეგ ისევ შინ წავიდა. აქ ყველაფერს პატარაობიდან იცნობდა, მაგრამ ასეთი დიდი სიყვარული ახლა პირველად იგრძნო ყველაფრისადმი. გადასწყვიტა: ჯერ ელენე, მერე სხვა მეგობრები მოენახულებინა, ყველასათვის ემცნო თავისი სიხარული.

შაბათს, დილით ადრე ამღვარი დედაშვილი ზოგჯერ თითო-ოროლა სიტყვას თუ ეტყოდნენ ერთმანეთს.

ორივეს ერთნაირად აშინებდა ხმის ამოღება, რათა გული არ აჩუყებოდათ და არ გაემხილათ დაშორების სიმძიმე. ახლა ორი გრძნობა ებრძოდა ერთმან-

ეთს: გამგზავრების სიხარული და დაშორების ტკივილი.

— შევილო, ბალიში არ დაგავიწყდეს.

— მომეცი დედი.

დედა ტახტზე ჩამოჯდა.

— მგონი ყველაფერი მზადაა, შევილო.

— მზადაა, დედი.

— ნატო, ნატო! — გაისმა ეზოში.

ნატო ეზოში შემოსულ სტუმარს მიეგება, — მობრძანდით, ნესტორ, — მიიპატიეთა კოლმეურნეობის ბუხვალტერი, რომელსაც ხელში ამანათი ეჭირა.

— არა, შინ ვერ შემოვალ, ნატო. აი, ეს გამომატანეს, ჩაიბარე და ამ ქალაქზე ხელი მოაწერე.

— რა არის?

— გახსენი და ნახავ!

„ძვირფასო ნატო, — ეწერა ამანათზე დართულ ბარათში, — კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებით თქვენ მადლობა გამოგვცხადათ თავდადებული მუშაობისათვის ჩვენი კლუბის მშენებლობაზე. ამასთან გამგეობამ ხუთი ათასი მანეთით დაგაჯილდოვათ. იმედი გვაქვს, ჩვენს სოფელს მომავალშიაც არ დაივიწყებთ, ძვირფასო!“

თქვენი ვარდენი“.

ოთახში დაბრუნებული ნატო მოუსვენრობდა. ერთი მხრივ ახარებდა, სოფელმა ასე რომ დააფასა, მეორე მხრივ გული ტკიოდა, ფულადი ჯილდო რომ გამოუგზავნეს, რადგან ეგონა, მისი გულწრფელი, უანგარო შრომა და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, რაც მის სიამაყეს წარმოადგენდა, სულ ამ ფულით იყო ნაანგარიშები.

ეზოში გამოსული დედა-შვილი ქიშკარაში იდგნენ, იქვე, მიწაზე, ნატოს ბარგი ელაგა. ფინიაც თითქოს გრძნობდა, ნატო რომ საღლაე შორს მიდიოდა და აციმციმებული თვალებით მიჩერებოდა.

— რას მიყურებ, ჩემო პატარავ? ნუ გეშინია, მალე გინახულვებ. თუ დედა გააჯავრე, მაგ პატარა ყურებს აგინწევ, — მოფერა ძაღლს ნატო და თავზე ხელი გადაუსვა.

ფინია აწკმუტუნდა სიამოვნებისაგან, კისერი გააშეშა.

ქიშკართან მანქანის ხმა შემოესმა.

— აი, მოვიდა! — წამოიძახა ნატომ და ჩემოდნებს ხელი დაავლო.

— უკვე მზად ყოფილხარ, ძვირფასო! — დაიძახა მანქანიდან გადმოსულმა ვარდენმა, ნატოს ჩემოდნები გამოსტაცა და შოფერს გადასცა. მერე ისევ დედა-შვილს მიუბრუნდა:

— დედი, ნატო არ დაიკარგება! არც შენ მოგაწყენთ და ქალაქში ნატოსაც არ მოვასვენებთ.

ნატომ დედა გულში ჩაიკრა. დედას რომ მისი ცრემლი არ დაენახა, უცებ გაბრუნდა, ქიშკარში თავდახრილი გაიქრა.

— შენ იცი შვილო! — როგორც ყოველთვის, როცა ნატო შორს მიდიოდა, გასძახა დედამ.

სოფლის საბჭოს რომ მიადწიეს, ნატო ყველას, ვინც იქ იყო, გულმხურვალედ გამოემშვიდობა. როცა ავტო დაიძრა ახლა თეიმურაზმა დაიგუგუნა.

— არ დაგვივიწყო!

სანდრომ თითქოს სული ახლა ჩაიდგაო, დაიწყო:

— ვარდენი ცუდი გულის კაცი როდია, მაგრამ ახლა ვტოვებ და მუშაობას ტრაქტორზე ვიწყებ. შენ კი როცა ჩამოხვალ, სადგურში ტრაქტორითაც შემიძლია დაგვიხვე!

— გმადლობთ ჩემო სანდრო, ყველასი მადლობელი ვარ! — უთხრა ნატომ, მანქანის კუთხეში, რომ მიგდებულყო და ისევ თავის ეზოში ქიშკართან შეჩერებული დედა ეღვა თვალწინ.



ნატო რომ გაემგზავრა, დედას შინ შესვლა უძნელდებოდა. ფინიაც მოწყენილი მიჩერებოდა და თითქოს თვალეზით ეუბნებოდა: „რა გვეშველება?“

სოფლის დაუცხრომელი ქრიამული კი ვრძელდებოდა.

III

თენდებოდა. წითლად შეღებილიყო თბილისის ცა. მთაგორაკებზე გაშენებული ძველი ციხე-სიმაგრეები და ბაღები თითქოს ცეცხლში მოჩანდნენ. მზის მოწითალო სხივები ყველაფერს ერთნაირად წყალობდა — აშუქებდა ძველსა თუ ახალს, ცუდსა და კარგს და არავითარ უბირატესობას არც ერთს არ ამღვებდა. შორიდან წამოსულ ნიაღვარივით მატულობდა, ქალაქის ხმაური და გარეუბნებში ქარხნების ცამდის ასული მიღებაც თითქოს ცეცხლით სუნთქავდნენ. ახლა თითქოს ყველაფერს ჭეცხლი ედებოდა, მაგრამ არაფერი არ იწყებოდა ქალაქში. და ვინ იცის, იქნებ ეს იმიტომ, რომ საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე ათასჯერ გადაშვარი თბილისი ცეცხლს შეჩვეოდა და ველარ წვავდა, ისე როგორც თვითონ ქართველი ხალხის გმირული სული ვერ დაწვეს ამ ქვეყნად შორით მოსულმა ვერავითარმა ბარბაროსებმა.

თბილისის რკინიგზის სადგურზე გამოსული თამაზი ბაქანზე მარტო მიმოდითოდა. ბათუმის მატარებლით აქ ნატოს ჩამოსვლას ელოდა, მაგრამ ისევ ლომციხის ამბებზე ფიქრობდა...

ამ დროს, ბათუმის მატარებლის რბილი ვაგონის სარკმელთან ნატო თბილისის მიდამოებს მიჩერებოდა. ერთი წელი გასულიყო, რაც თბილისი აღარ ენახა და ახლა მისი მიდამოები რაღაც შეცვლილი ეჩვენებოდა. ამწვანებულნი, დილის მოწითალო შუქით ნაპკური მთაგორაკები თითქოს ნატოს ეუბნებოდნენ: „განა ჩემი დატოვება შეიძლებოდა?“

მატარებელი უკვე შედიოდა თბილისის სადგურში და ნატო დაიბნა, აღარ იცოდა რა ეკეთებინა; ხან კუბეში შეიბენდა, ხან ისევ ვაგონში დერეფანში სარკმელს მიამურებდა, იხედებოდა, თანაც თავზე ჭედს იხურავდა, პალტოსაც იცვამდა, თუმცა მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა: შეხედებოდა თუ არა თამაზი. მატარებლის ბორბლებმა ახლა ისეთი ერთობლივი ტყაცანი მორთეს, თითქოს ტაშს უკრავდნენ და ამით აღნიშნავდნენ ნატოს აქ ჩამოსვლას. თვითონ ნატო კი ბაქანზე შეჩერებულ ხალხს სუნთქვაშეკრული გაჰყურებდა და იქ მხოლოდ თამაზს ეძებდა, „ნუთუ არ შემხვდება, ნუთუ...“ და ნატომ იყვირა:

— თამაზ, თამაზ! — ველარ მოზომა, რითაც მგზავრების ყურადღება მიიპყრო, თუმცა თვითონ ყურადღებას ამაჰ არ აქცევდა. როცა მატარებელი, ის იყო შეჩერდა, ვაგონში შემოსულ მებარგეს გასძახა:

— აქეთ, აქეთ!

ნატო გამოვიდა თუ არა ბაქანზე, თამაზიც დაუხვდა.

— გამარჯობა, ნატო!

— გამარჯობა, თამაზ, — ძლივს უპასუხა ნატომ.

— როგორ ხარ, რა ამბებია?

— კარგად... აგერ, დღეატქვენის ბართი ჩამოგიტანეთ, — მოიგონა ნატომ, პალტოს შიდა ჯიბიდან კონფერტი ამოიღო და თამაზს გადასცა. ეტყობოდა, ბევრი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ახლა ვერაფერს ამბობდა.

— როგორ არიან? — ჰკითხა თამაზმა.

— კარგად. თქვენც გეცოდინებთ, გერვასიმ ცილაყ აქ წამოიყვანა.

— ვიცი, ვნახე, კარგად ცხოვრობენ. ამასობაში სადგურის უკან, მოედანზე გამოვიდნენ.

— აქ ბინა არა გაქვთ? — ჰკითხა თამაზმა.

— ბინა მაქვს. ბიძაჩემთან შემიძლია მოვეწყო. ინსტიტუტში რომ ვსწავლობდი, ბიძაჩემთან ვცხოვრობდი.

— მაშ აი, ამ მანქანით გაემგზავრებით, — უნდა მაპატიოთ: მე უნდა და-

ვრჩე... — უთხრა თამაზმა და იქვე შეჩერებულ ავტოზე უჩვენა თამაზის დახმარებით ავტოში ჩააწყვეს ბარგი. ნატო წინ მოთავსდა, ხოლო თამაზი იქვე, ბაქანზე დარჩა.

— თქვენ დღეს განცხადება უნდა დასწეროთ „საქპროექტის“ სახელზე სამსახურში შიღების შესახებ. ხეალ დილით კი ისევ მანქანით ლომციხეში ჩამოხვალთ, — უთხრა თამაზმა გამომშვიდობებისას და მძღოლს გასძახა: — შალვა, აქვე დაბრუნდი! ნახვამდის, ნატო!

— ნახვამდის! — უპასუხა ნატომ, თუმცა ისე ხმადაბლა, რომ თვითონაც დაეჰქვდა, გაიგონა თუ არა თამაზმა. მერე იფიქრა: „ამ მოსასპობმა ჩემმა ბარგმა მთლად დაიკავა მანქანა, თორემ იქნებ თვითონაც ჩამჯდარიყო თამაზი?“ მაგრამ გულის სიღრმეში ჩაბუდებულმა ექვმა მაინც აღარ მოასვენა.

ათიოდე წუთში დაბრუნდა მანქანა. თამაზი პირდაპირ ლომციხისაკენ გაუდგა გზას. როცა ოდნავ დაღლილი და გამტვერიანებული უფროსის მისაღებ ოთახში შევიდა, ირინე წამოდგა.

— თქვენს მოლოდინში მშენებლობის უფროსი არავის იღებს. ალბათ, რამე სასწრაფოა.

თამაზი შევიდა თუ არა, გურამმა უშალვე მოაგება:

— გელოდებოდით! სანამ სხვები მოვლენ, თქვენთან წინასწარ მინდოდა შესაუბრა. თქვენი ცეცხლგამძლე მასალის გამოცდები დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ამ საქმის გარშემო უკვე დიდი შეხლა-შემოხლა ატეხილი ჩვენი მუშაკების წრეში. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით საგამოცდო კომისია გამოვყოთ?

თამაზი გაწითლდა:

— სწორედ ამიტომ არ ვჩქარობდი. არ მინდოდა საქმე ხმაურით დაწყებულიყო და ხელში კი არაფერი გვექონდა.

— ეს მართალია, — კვერი დაუტრა გურამმა, მივიდა, თამაზს მხარზე ხელი მოჰხვია.

— მაგრამ ახლა მეც ვფიქრობ, რომ

თქვენი ღონისძიება უნდა მივიღოთ — უთხრა თამაზმა.

— კომისიის შემადგენლობაზე არაფერს იტყვი?

— ჩემი აზრით უკეთესი იქნებოდა, თუ მომხრეების ძებნას არ შევეუდგებოდით. პირიქით, მოწინააღმდეგეებ იქნებ სუსტი მხარე აღმოგვიჩინოს და ეს უკეთესი იქნება.

— ყოჩაღ! მეც აგრე ვფიქრობდი სწორედ.

თამაზის მოთხოვნით ვიქტორ იასნოვს გამოუძახეს. ახალი ცეცხლგამძლე მასალის შექმნაზე თამაზმა ჯერ ზოგიერთი ზოგადი მოსაზრება გამოთქვა და მერე დაასკვნა:

— ჩვენი მიზანია უფრო მტკიცე და შედარებით იაფი ცეცხლგამძლე მასალის შექმნა ადგილობრივი მთის ჯიშებისაგან. თუ პრაქტიკულად რამდენად სწორია თეორიული მოსაზრებები, მოგახსენებთ ჩემი მეგობარი, ვიქტორი.

იასნოვმა ცდების შედეგებზე ილაპარაკა და ბოლოს თქვა:

— ჩვენ ჩავატარეთ ათამდე გამოცდა. ახალი ცეცხლგამძლე მასალის ნიმუშები დასკვნისათვის გაეგზავნა ლენინგრადის ცეცხლგამძლე მასალების ინსტიტუტს. თითქმის ყველა დაბრკოლება, რომელსაც ცდების დროს წაუწყდით, მოდიოდა თვითონ ცდის ტექნიკური დაყენების ხარვეზებიდან. მთავარი ისაა, რომ თამაზმა ქვის დაფრქვეული მასალის შეკერა მოახერხა და ამით მისი გამძლეობა გააორკეცა.

— ბარაქალა, ბიჭებო! — წამოიძახა გურამმა და ინჟინრებს ხელი მოჰხვია. თამაზი და ვიქტორი ერთად გაუიღინეს სამმართველოდან.

— ვიქტორ, — თხოვე ერთი თინას, რომ ხეალ შესვენების დროს, შინ დაგველოდოს, — უთხრა მეგობარს თამაზმა.

— როგორ, სადმე ხომ არ მივდივართ?

— არა, ერთი ახალგაზრდა ინჟინერი ქალი ჩამოვა ლომციხეში და მინდა თინას ვავაძინო. ის ხეალვე თბილისში დაბ-

რუნდება, მაგრამ მანამდე ცის ქვეშ ხომ ვერ დაეტოვებთ.

— არის, შევესრულოთ შექმნილი და ვუთხრა — ჯარისკაცით გამოიჭიმა ვიქტორი, მერე თვალები მოწყურა და ეშმაკურად ჰკითხა თამაზს! — ახალგაზრდაა?

— ეგ რა შეკითხვაა? — წარბი შეიკრა თამაზმა. ნახვამდის, ვიქტორ! — მოუქრა თამაზმა.

— ნახვამდის! — უბასუხა სახტალ დარჩენილმა ვიქტორმა.



შინ მივიდა თუ არა, თამაზმა ისეთი დაღლილობა იგრძნო, რომ წამოწოლისთანავე ჩაეძინა.

მზე ჩასულიყო, მაგრამ ფერები პატარა ოთახის ფანჯრებზე კარგახანს ებრძოდნენ, აძევებდნენ ერთმანეთს. მხოლოდ მაშინ, როცა ფერები მთლად წაიშალა და უკვე დაღამდა, თამაზს ძილში ბრახუნი ჩაესმა. თვალი გაახილა, დააყურა. ბრახუნი განმეორდა, წამოდგა. კარი გააღო და გარეთ გაიხედა.

— გუჯა, შენა ხარ?

— ბებია გთხოვთ. აღბათ სადილი დააეწიყდაო და ვერ მოისვენა. მობრძანდით, — უთხრა და თავის ბინაში შესასვლელი კარი გაუღო.

— არა, გუჯა, მეყოფა, ქორწილი დამთავრდა. ახლა კი დროა ჩემს თავს თვითონ მივხედო.

თამაზის ხმა რომ ვაიგონა, ახლა თვითონ ნადეკდა ივანეს ასული გამოვიდა.

— მობრძანდი, შვილო, განა ერთი ოჯახი არა ვართ? რად გვერიდებით? გუჯასთან ვადმოსვლით სადილის მომზადება არ დამეწინია. უთქვენოდ ჩვენც ვერაფერი ვკამეთ, გელოდით.

ამის შემდეგ თამაზმა თავპატივი უხერხულად ჩათვალა. ისევ თავის ოთახში შებრუნდა, შუქი აანთო, ხელპირი დაიბანა, სარკეში ჩაიხედა, თმა მალლა აივარცხნა, საფეთქელზე გამოწათებულ ქაღალაზე ხელი ჩამოისვა.

დილით თბილისიდან წამოსული ნატო ხარბად გაპყურებდა ამწვანებულ მთა-ველებს და რასაც ხედავდა, ყველაფერი ნაცნობი ეგონა, თუმცა აქაურობას პირველად ხედავდა.

მოასფალტებულ გზაზე მთელი სისწრაფით მიჰქროდა მანქანა, მაგრამ ნატო თითქოს წინ წასულ სულს ვერ ეწვოდა.

შორს, პაერში ასული კვამლი შენიშნა და მძღოლს ჰკითხა:

— ნუთუ ვუახლოვდებით? განა იქ ლომციხე არაა?

— ლომციხეა, — ისე სწრაფად უპასუხა მძღოლმა, რომ ეტყობოდა, მისთვის ასეთი შეკითხვა პირველი არ იყო.

ნატომ მალე ქარხნის მიღებიც დაინახა და წამოიწია. აი, უკვე ქარხნის კორპუსები, სახლები, მწვანე ზოლებად გავლებული ქუჩები და აქეთ მტკვრის ამწვანებული ნაპირები! ცოტა კიდევ და, ნატოს წინაშე მთელი ქალაქი გადაიშალა. „განა ეს ყოველივე ახალია? ნუთუ ახალია მართლა?“ — ეკითხებოდა ნატო თავის თავს და არა სჯეროდა, რომ ყოველივე ეს რაღაც ხუთ-ექვს წელში შეიქმნა.

აეტო ახლადგებულ ხიდზე გავიდა და ლარივით გაკიმულ ქუჩაში შეიჭრა.

— რუსთაველის პროსპექტი! — დაინახა მძღოლმა.

— აქაც რუსთაველი! — წარმოსთქვა ნატომ და ხარბად დააქერდა ახალთახალ პროსპექტს.

ყველაფრის დანახვა ერთად უნდოდა, რომ ვერ ასწრებდა, გული წყდებოდა.

მალე ქალაქი უკან დატოვეს და მანქანა ქარხნის უბანში შევიდა.

ნატომ იგრძნო, ახლა იმ ადგილს უახლოვდებოდა, სადაც თამაზს დაინახავდა და გულმა ცემა დაუწყო. მარტო გული კი არა, ყოველი კუნთი რაღაც თავისთავად უფროთოდა. „ვაითუ ძალა არ მეყოს, რაღა მეშველება“ — ფიქრობდა იგი.

ამ ფიქრში რომ იყო, მანქანა შეუქმ-

ნეველად შეჩერდა. ეს მოხდა ისე უცნაურად, ნატომ შეშინებაც ვერ მოასწრო.

— მოვედიო! — შემოესმა მძღოლის ხმა.

ნატო მანქანიდან გადმოვიდა, მაგრამ აქ ნაცნობი არავინ ჩანდა. აღმოსავლეთით, ცაში აზიდული და ახლა მტკვრის ბულში გახვეული კოშკი შენიშნა, საიდანაც განუწყვეტელი გუგუნის ისმოდა.

— მარტენის ლემელები აი, აქ შენდებამ! — განუმარტა ქალს მძღოლმა, მაგრამ გაოგნებულ ნატოს ახლა აღარაფერი ესმოდა ამ გაუთავებელ ხმაურსა და მტკვრის კორიანტელში.

მალე დაინახა მან თამაზი. მტკვრის ბურუსიდან, როგორც ზღაპრული ლაბორინტიდან ისე გამოვიდა.

— თამაზ! — შესძახა გახარებულმა ნატომ.

— ამ ბურუსში, როგორ მიცანიო? — შორიდანვე გაუღიმა თამაზმა.

ნატო ველარაფერს ამბობდა, მხოლოდ თვალები უციმციმებდა; ისე გამოიყურებოდა, თითქოს ბუდიდან პირველად აღრენილი ბარტყი ეს-ესაა საიმედო რტოზე შემოჯდა, მაგრამ ეშინია, სისუსტემ არ დაძლიოს, არ გადაეარდეს და ცაში თავისუფალი ნავარდის მაგიერ, ტურის ან მელის ლეკმა არ გახდესო.

— ჩავსხდეთ, ნატო, — მანქანის კარი გამოაღო თამაზმა.

ხუთ წუთში ერთ მოზრდილ შენობასთან ჩამოვიდნენ.

მისი ფეხის ხმა ნატოს გულს უმაგრებდა და ამ უცხო გარემოცვაში სიმართლევს აღარა გრძნობდა.

თამაზმა ის კარი გააღო, რომელზედაც ეწერა: „მთავარი არქიტექტორი“.

კაბინეტში ფართო მაგიდასთან მიმჯდარი, თოვლივით თმაგათეთრებულ მოხუცი დაუხვდათ, რომელმაც რაღაც დაბნეულად შეჰხედა ნატოს.

თამაზი წინ წარსდგა და ქალი წარუდგინა.

— აა, ეს თქვენა ხართ? მოზრძანდით, მოზრძანდით! — შეაგება მოხუცმა და

ხელი ჩამოართვა ორივეს, — განცხადება თან მოიტანეთ? — მერე ისევ ნატოს მიმართა მოხუცმა, რომელსაც თამაზმა „პატივცემული სიმონი“ უწოდა ახალი მშენებელი ინჟინრის წარმოდგენის დროს.

ნატომ ხელჩანთაზე გაივლო ხელი პასუხად, ოთხად გაეცვილი ქალაღი ამოიღო და სიმონს გადასცა.

სიმონმა განცხადება გადაიკითხა და კმაყოფილებით თავი დაუქნია, ორი საათისათვის დაიბარა. თბილისში თვითონ წავიყვანთ, „საქპროექტში“ მიღებას გავაფორმებთ და უკან დაბრუნებული საქმესაც შეუდგებით.

— გმადლობთ ბატონო! — უთხრა ნატომ და წასვლა დააპირა, მაგრამ მოხუცი ახლა თამაზს მიუბრუნდა.

— თქვენ როგორ ბრძანდებით? რა გააკეთეთ, ასე რომ ავინბაჟრებით ეს ხალხი? ჯერ ხომ ჩვენი შაქრო წათამამეთ, დაეხმარეთ, ახლა თვითონ უფრო მნიშვნელოვანი წამოგიწყით. კარგია მუდმივი შემოქმედება, სასახელოა, მოსალოცავეა.

თამაზმა მადლობა გადაუხადა და დაუშტა:

— ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი შემიქმნია. ვნახოთ, რა გამოვა.

„ნეტავი რას ულოცავენ თამაზს, რა გააკეთა ასეთი?“ — კიბზეუ რომ ჩადიოდა, ეკითხებოდა ნატო თავისთავს, მაგრამ კითხვას კი ვერ უბედავდა თამაზს.

ისინი ვიქტორ იასნოვის ბინას მიადგნენ. თინა შინ დაუხვდათ.

— თამაზ, გუშაგივით რომ დამაყენეთ აქ, სად ხართ ამდენხანს? — ამ სიტყვებით შეეგება სასურველ სტუმრებს თინა.

— გაიცანი, ინჟინერი ქალია, ნატო, — მისალმების შემდეგ ახლა თამაზმა მიმართა მას და ნატო წარუდგინა.

— თინა, გენაცვალე, — თავისთავი გააცნო თინამ სტუმარს, ხელი ჩამოართვა და გვერდით მოისვა. მერე თამაზს ღიმილით უთხრა: — თამაზ, ასეთი მშვენიერი ინჟინერი ქალი სად აღმოაჩინეთ?

— ნატოს ორ საათამდე შეტძლია თქვენთან გაჩერება, მანქანა უკვე დაბრუნდება და იქნებ ქალაქის გაცნობაც მოასწროს, — თინას კითხვაზე პასუხის მაგიერ წარმოსთქვა თამაზმა, გაბრუნდა და კიბიდან ნაგვიანევად ამოსძახა დარჩენილთ:

— ნახვამდის!

— სულ ასე გარბის, — თითქოს თავისთვის წარმოსთქვა პირმოძლიმარე დიასახლისმა და მოსიყვარულე თვალები ნატოს მიაპყრო.

ახალ ბინაში თინა და ვიქტორი უფრო თავისუფლად მოთავსებულიყვნენ. ყოველ საოჯახო ავეჯს თუ ნივთს აქ თავისი ადგილი გაეჩინა და ბინაში მეტი სივრცე, ჰაერი და თავისუფლება იგრძნობოდა.

— დიდი ხანი არაა, რაც აქ გადმოვედით. წინათ პატარა, კოლოფივით ოთახში ვცხოვრობდით მე და ჩემი ქმარი, ვიქტორი. ახლა აი, ეს სასაღილოა. ეს — საძინებელი, აქაც სამზარეულო, აბაზანა და ყველაფერი, რაც საჭიროა. ასე, რომ ცხოვრება შეიძლება, — ამბობდა თინა, — რადგან ერთმანეთი გავიცანით. ამიერიდან ხშირად ერთად ვიქნებით. როცა ლომციხეში ჩამონვალთ, პირდაპირ ჩემთან უნდა მობრძანდეთ ან სახლში მიპოვით, ან საავადმყოფოში. საავადმყოფოში ვმსახურობ. აქ დასვენებაც შეგიძლიათ და დაძინებაც. აგრე არ არის? — ისევ ღიმილით ჰკითხა მან ნატოს.

თინას მაყვალევით შავი, ხოლო ნატოს ცისფერი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს: „ჩვენ სამუდამო მეგობრები ვიქნებით“ — თითქოს ორივემ ერთნაირად წაიკითხა ერთმანეთის თვალებში.

— გმადლობთ, — გაუღიმა ნატომ და ახლად გაცნობილ მეგობარს ხელში ხელი მოჰკიდა, — რას ვიფიქრებდით თუ აქ ასეთი მეგობარი გამიჩნდებოდა.

— ჩემი მეგობრობა ცოტაა, ნატო, — რაღაც ორპროცენტად განაგრძო თინამ, მაგრამ აღარ დაასრულა. მერე კი რა-

ტომლაც ჰკითხა: — თქვენ... გაუთხოვარი ხართ?

— დიახ... — თვალი თვალში გაუყარა ოდნავ დარცხვენისმა ნატომ.

— კარგია, მიხარია...

— რატომ?

— იქნებ ჩემი სიხარული ნაადრევია, მაგრამ ამაზე სხვა დროს, ახლა კი, აი, მოღლილი იქნებით, დავსხდეთ აქ, ვისაუფსმოთ და მერე ჩვენს ახალ ქალაქშიც გაგყვებით. მალე სამსახურში უნდა გამოვცხადდე და საქირთა ვინჩაროთ.

ისაუფშეს. ქალაქის დასათვალისწინებლად წავიდნენ.

ნატო აქ ყველაფერს განსაკუთრებულად გრძნობით ათვალისწინებდა, უაღრესებდა, ალბათ, იმიტომ, რომ ეგონა, ყველაფერში თამაზის ხელი ერია. აი, ეს მწვანით შემოსილი ქუჩები, სახლები, ქარხნის კორპუსები, გაზაფხულით გაოცებულნი ახალი ბაღები, ყველაფერი თამაზის ხელით გაკეთებული იყო.

• •

... ნატო იწვია. შუაღამე გადასულიყო, მაგრამ მის თვალს ძილი მიიწვია არ ეყარებოდა. მეორე დღე იყო რაც აქ ჩამოვიდა, მაგრამ რამდენი რამ მოასწრო... როგორც „საქპროექტის“ თანამშრომელს სამუშაო მაგიდაც მიუჩინეს ზედ თანჯარასთან, საიდანაც რუსთაველის მონუმენტს ხედავდა. „თუ გამიჭირდა, რუსთაველს შევხედავ და გამამხნევებს“ — ფიქრობდა ნატო.

ქალაქში აქა-იქ ქრებოდა შუქი; ცაში წყდებოდა; იფერფლებოდა ცთომილი ვარსკვლავები, მაგრამ ნატოს გულში თითქოს სანაგებროდ ახალი ვარსკვლავები ჩნდებოდნენ, კაშკაშებდნენ, ბრწყინავდნენ. ყველა ეს ვარსკვლავი კი მარტოოდენ თამაზის სახეს უშუქებდა. „განა ბედნიერება არაა, რომ მის ახლო ვიქნები? — თავის გულში ამბობდა ნატო, — მაგრამ იქნებ ნაადრევია ჩემი სიხარული?“



იმ დღეს მემანქანეთა ბიუროში პორტილუ მხიარული შევიდა. ყველას ხშირად მიესალმა. მემანქანეთა ბიუროს უფროსის, მართას მაგიდაზე გახუნებულნი, მაგრამ ტყვივით გამობერილი პორტილუ დადო, რაღაც ქალაქის ნაგლეჯი ამოიღო, ზედ დააჩერდა და რიხიანად წამოიძახა:

— აი, თქვენ, თამარი! ამ მისამართით მიხვალთ და გავაფორმებენ. როგორ, გიძნელდებათ? მარტო ვერ წახვალთ? მშ მოემზადეთ და თვითონ მივიყვანათ. რას იზამთ, კეთილი საქმე არ დაიკარგება.

მართა აბუხული მიჩერებოდა, თუმცა აღარაფერს ამბობდა. ერთი მხრივ გულში ჯავრობდა, რომ პორტილუ თამარისათვის თავს იწუხებდა, სამსახურში აწყობდა, მეორე მხრივ უხაროდა, რომ თამარი აქაურობას შორდებოდა და ამით შფოთვას ბოლო ეღებოდა, ყოველ წუთს ეძვებინა არ დაგესლავდა.

თამარი წამოდგა, ხელი დაიბანა, მოემზადა, მერე მართას მაგიდას გვერდით ისე გაუარა, ზედაც არ შეუხებდავს მისთვის. მემანქანეებს თავი დაუქნია და გარეთ გავიდა.

პორტილუს შეეშინდა, მართამ რავე ამბავი არ წამოიწყოს, ამასობაში თამარი არ დამეკარგოსო და უცბად გაბრუნდა, მაგრამ გონიერება იხმარა და მართას დასამშვიდებლად წამოიძახა, მალე მოვალ, თუ ვინმემ მიკითხოს, დამიცადოსო.

— შეგიძლიათ აღარც დაბრუნდეთ! — ბრაზიანად მიაცოლა მართამ.

ქუჩაში გასულ პორტილუს მართას სიტყვები არ გაუგონია, ფეხს აუჩქარა, თამარს დაეწია და ხმადაბლა უთხრა:

— სხვანაირად არ შეიძლებოდა. კორიკანა ხალხია...

— გასაგებია, — მოკლედ უპასუხა თამარმა, თუმცა მისი ამ ერთი სიტყვის შინაარსი არც თუ ისე მოკლე და უბრალო იყო.

თვით პორტილემ ხედებოდა, თამარი-სათვის რა იყო „გასაგები“ და ამ სიტყვაში რას გულისხმობდა, მაგრამ ამაზე ხმას აღარ იღებდა, რადგანაც მართასთან თავისი დამოკიდებულების გახმაურებას ერიდებოდა.

— თქვენთვის თბილვაქრობაში ვი-შოვე აღგილი. ხელფასიც კარგია, მაგ-რამ...

— გამოსარჩენს გულისხმობთ არა? — თუმცა მიუხედა მანც განგებ შეეკითხა თამარი.

— როგორ გეკადრებათ, გამოსარ-ჩენს კი არა... — ახლაც აღარ დაასრუ-ლა პორტილემ.

— ვიცი, თქვენ თავს გულისხმობთ, თქვენს მოწყალებას, რასაკვირველია, თუ თქვენს წინადადებას მე მივიღებ-დი, — ახლა ყველაფერი ერთბაშად გა-ამზილა თამარი.

პორტილემ იფიქრა, ალბათ მიწყრე-ბაო და მამინვე მიაშველა:

— ეს კი ცხადია, თქვენი საქმეა, თუმ-ცა მოწყალება აქ რა შუაშია. მარტო ჩემი გადაწყვეტილება არაფერს ნიშ-ნავს. მთავარი თქვენ ხართ.

— თქვენ ის მითხარით: რა მექნება ხელფასი? — ისეთი კილოთი ჰკითხა თამარი, რომ კითხვის უთქმელი დასა-წყისიც პორტილესათვის ამკარა იყო.

პორტილემ ულვაშებზე გადაისვა ხე-ლი და თანხა დაუსახელა.

თუმცა ეს თანხა თამარს არც ისე დი-დად მოეჩვენა, მეტი აღარაფერი უთქ-ვამს. ორიოდე წუთის შემდეგ იკითხა:

— განცხადების დაწერა ხომ დამკირ-დება?

— ცხადია, მაგრამ უკვე მზადაა, ხელს მოაწერთ და თავი ქულში გექ-ნებათ!

„ჰმ, განცხადებაც თვითონ შეუდგე-ნია!“ — გაუელვა თამარს.

ისინი უკვე თბილვაქრობის შენობა-ში შევიდნენ და კიბეს შეუღვნენ.

როცა სამსახურში მიღების პროცე-დურა დამთავრდა და ისევ ქუჩაში გამო-ვიდნენ, თამარის სახეზე უმადურობის ნატამალიც აღარა ჩანდა; პირიქით, პორ-

ტილეს რაღაც მადლიერების გამომქ-მელი თვალებით უყურებდა. ეს პორტილემაც იგრძნობდა. უფრო თავისუფლად გადაადგა. მერე ულვაშებზე ხელი გადაისვა.

— ჯერჯერობით ესეც კარგია, — თქვა დიდმნიშვნელოვნად.

— თქვენთან მადლობელი ვარ, და-ვალებული ვარ. ახლა კი მშვიდობით! — თავს ძალა დაატანა და ერთი წუთით სა-ხეში შეხედა თანამგზავრს თამარმა.

— „მშვიდობით“ თუ ნახვამდის, თა-მარი? — გაუბედა პორტილემ.

თამარი შედგა. ჩაფიქრდა. მერე გაი-მეტა:

— როგორც თქვენ გენებოთ — და წამსვე დაშორდა — „ამ კაცს კეთილი გული მანც აქვს“ — გაიფიქრა თა-მარმა.

— ნახვამდის, თამარი! — მიადევნა პორტილემ და რაღაც ნერვიულად გაბ-რუნდა.

მზე მთაწმინდაზე გადასულიყო, მაგ-რამ ქალაქში საკმაოდ ცხელოდა.

თამარი ახლა უფრო თავისუფლად მიდიოდა ქუჩაში. სამსახურს მეორე დღეს იწყებდა და ახლა შინ მისვლას აღარ ჩქარობდა.

„ახლა ქარი საითაც წამიღებს, იქით გავეყვები“ — ფიქრობდა იგი.

აი, გავიდა რუსთაველის გამზირზე. კარგა ხანი გასულიყო, რაც ამ ქუჩაზე ასე თავისუფლად აღარ გაველო. „სამ-სახურში მოვეწყვე. პურის ფული მექ-ნება. სხვა რაღა მინდა?“ — ფიქრობ-და, თვითონაც ცდილობდა დაემშვიდე-ბინა, გაემხნევებინა თავისი თავი და ეს ცდა მართლაც არ დარჩენილა უშედე-გოდ. ქუჩაში თუ ვინმე ნაცნობი შეხე-დებოდა, გაღიმებული მიესალმებოდა ხოლმე და რაღაც მსუბუქად განაგრძობ-და გზას. „თუ ადამიანი ცოცხალი დარ-ჩი, ყოველგვარ უბედურებას შემოეე-ლება, ნაწილობრივ მანც შემოეელება, მე კი მეგონა ყველაფერი გათავდა და ჩემი სიმღერა არასოდეს განმეორდ-ბა... რა მშვენიერია ეს ვაზონები, რო-გორ ხარბად გაშლილან ყვავილები,

ფოთლები, ნორჩნი, სათუთნი...! — ფიქრობდა თამარი.

ოპერის თეატრს მიუახლოვდა. ამ თეატრმა ბევრი რამ სამწუხარო მოაგონა, მაგრამ უკან მოტოვებულ მწვევე განცდებს ახლა თითქოს ძალა დაჰკარგვოდა. თეატრს გაუსწორდა, ის კარი შეათვალიერა, სადაც უკანასკნელად ისიდორეს შეეფეთა წინ და გააშწარა, ბოლოს კი თბილისიდან სულ გააქცია. უცბად სწორედ ის კარი გაიღო. ვიღაც კაბუკი და ოქროსთმიანი ქალი გამოვიდნენ.

თამარი შეერთა, წამით შეჩერდა, მერე ფეხი ძლივს შოიცივალა.

„ისიდორე? ის ქალი ვინლა?“ — გაიფიქრა და იგრძნო, თვალეში როგორ თანდათან აკლდებოდა სინათლე. ფეხს მიადგამდა, მაგრამ ეშინოდა თვალეში სინათლე იმდენად არ დაეკარგა, რომ გზა ვერ გაეგნო, შუა ქუჩაში არ გასულიყო, ქვეყნის სასაცილო არ გამხდარიყო. ამიტომ, ცოტათუნი მანძილი რომ გაიარა, ქუჩის პირას შეჩერდა, ჰადრის ხეს მიეყრდნო, თავი შეიმავრა.

„უფრო ცუდად გადაიხიხილა... მაგრამ მე რა? ვანა ისიდორე დაეიწყებულ იმბავი არაა?“ — ისევ გასამხნეველად უთხრა თავისთავს და შეეცადა მალე გასცლოდა აქაურობას, ცოტათი მაინც გაშორებოდა, რომ თავისი სისუსტე ისიდორესათვის არ გაემხილა.

„ახლა საით, ქარო? ცუდ აღვიღს მიმიყვანე. ახლა ვეღარ გენდობი“ — გაიფიქრა. ანიკო მოაგონდა. გადასწყვიტა ახლავე ენახა. ტროლეიბუსის გაჩერებას მიადწია. როცა ტროლეიბუსი მოვიდა, ისე მიეჭრა, თითქოს ნოეს კიდობანია და ეშინია არ ჩამორჩესო.

ანიკოს სახლის კიბეები სულმოუთქმელად აირბინა. ზარს თითი დააჭირა და დიდხანს, შეუწყვეტლივ რეკავდა.

ფეხის ხმა შემოესმა. კარი გაიღო.

— თამარი ხარ? მოდი, რას უღგებხარ! — მოეგება ანიკო, მაგრამ გაფითრებული თამარი რომ დაინახა, შეეკითხა: — რამე უბედურება ხომ არ მომხდარა?

— არა, შენთან ვეღარ შემოვალ. თუ ჩემი სიყვარული გაქვს, წამოდი, აი, ახლავე, გელოდები!

ანიკო შეეყოყმანდა, ერთი ხაბიჯით უკან დაიხია.

— კარგი! — დაეთანხმა ბოლოს და გაბრუნდა.

„როდის მოვასვენებ ჩემს მეგობრებს?“ — ფიქრობდა კარზე თავმიდებული თამარი.

მალე გამოვიდა ისევ ანიკო. ერთად წავიდნენ.

ახლა თამარზე მეტად შეფიქრიანებული ანიკო თვითონ ვერაფერს ეკითხებოდა, ისე რაღაც შიშით ელოდა, თუ რა სამწუხარო ამბავს ეტყოდა თამარი.

— იცი, რა მომივიდა? — როგორც იყო დაიწყო თამარმა.

— რა?

— არაფერი, — უცბად გადაიფიქრა თამარმა და მერე სულ სხვა ამბავი დაიწყო, — ჰო, კი არ მომივიდა, ის უნდა მეთქვა, რამ გამახარა... სამსახური დავიწყე. ისიც კარგ დაწესებულეზაში.

— მერე, შე ქალო, გული ამისთვის გამიხეთქე და გამომაგდე?

— არა, ანიკო. რაღაც კიდევ უნდა მეთქვა, მაგრამ მადროვე. მივიდეთ შინ.

— კარგი, მივიდეთ, — დაეთანხმა ანიკო.

როცა კიბე აიარეს და თამარმა კარი გააღო, სამკუთხედად დაკეცილი ბარათი მის წინ დაეარდა იატაკზე. თამარმა ბარათი აიღო და ოთახში რომ შევიდა, წამოიძახა:

— გენრიეტას ხელია, კარგს რას მომწერდა!

„ძველო მეგობარო თამარიკო! — წერდა გენრიეტა, — გილოცავ: შენი ისიდორე სამი დღეა ჩამოვიდა თბილისში და მშვენიერი მეუღლეც ჩამოიყვანა. ვიხაროდეს და მოიღიხინე...“

ამის წაკითხვა კი მოასწრო თამარმა და ბარათი ხელიდან გაუვარდა. იქვე სკამზე დაეშვა.

— აი, ანიკო, რაც უნდა მეთქვა... ჩემი თვალითაც დაეინახე და შენთან გამოვიქერ. მომეცი წყალი...

თამარმა წყალი მოსვა, სული მოიბრუნა, დივანზე გადაწვა.

— თამარ, რამდენჯერ მიტყვამს: რაც იყო, დასრულდა, ყველაფერი ხელახლა უნდა დაიწყო. ცხოვრება ასეთია; ზოგი ცოლს ირთავს, ზოგი ეყრება, მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდება, თავს არავინ იკლავს, თუმცა ჩვენ უნდა ვეცადოთ, თუ ქმარს გავყვებით, ოჯახი შევქმნათ და მას ნამდვილი სიყვარული დავუღლოთ საფუძვლად; სადაც ერთგულება არაა, იქ ბედნიერება ფეხს ვერ მოიღვამს. — განსაკუთრებული დაბეჯითებით უთხრა მეგობარს ანიკომ, მხრებზე ხელი მოჰხვია და ისე შეარხია, თითქოს ალვიძებსო.

— ვიცი, ანიკო, შეგნებული მაქვს, მაგრამ რა გქნა, გული ვერ მოვარჯულე.

— არაფერია, გაივლის. რამდენსაც ქუხს, იმდენს არ წვიმს და ავღრების შემდეგ უფრო მშვიდი დარი გამოდის.

— შენ პირს შეაქაი, ანიკო, შენ რომ არა მყავდე, რა მეშველებოდა, — გულში ჩაიკრა მეგობრის ხელი თამარმა, — მაგრამ ეს გენრიეტა აღარ მომასვენებს?

— ნუ გეშინია. ჩვენ შენთან არა ვართ? მალე გენრიეტასაც გამოვლევთ საწამლაგის მასალა. იქნებ ბოლოს თვითონაც მიხვდეს, რა გზასაც ადგია და ქუთაზე მოვიდეს. მართლა! სამსახურში მოეწყვე?

— ჩვენი კავშირის წარმომადგენელმა მომაწყო.

— ვინ არის?

— პორფილე მხეიძე. ძალიან იწუხებს თავს. ისე გამითამამდა, ცოლობასაც კი მთხოვს. ორმოცდახუთი წლის კაცი მაინც არ იყოს!

— ცოლობას გთხოვს? — გაეცინა ანიკოს. მერე უცებ დაფიქრდა, ახედდახედა თამარს და ახლა უკვე სერიოზულად უთხრა: — განა რა მოხდა? ორმოცდახუთი წლის კაცი არც ისე ხნიერად შეიძლება ჩავთვალოთ. საქმე ისაა; რას წარმოადგენს, უღირსია თუ ღირსეული, საზოგადოებაში რა წონა აქვს.

— წონით საშუალოზე მეტი არ იქნე-

ბა, — რაღაც დაცივნით წარმოსთქვა თამარმა და ბაგე გახსნა, *„გაიღრმავა“* ანიკოსაკენ გადაიხარა და მის *„მხარს“* მიყვარნო.

— არა, თამარ, იქნებ დასაცინი არაა. მე თვითონ ვაფიქვებ, რა კაცია.

— როგორ, შენ მართლა სერიოზულად ფიქრობ, რომ პორფილე ჩემი შესაფერი იქნება? არა, ჩემო ანიკო! ეს სიტყვამ მოიტანა თორემ რა სათქმელია... ერთი დიდი ღირსება კი აქვს პორფილეს: „შენს წარსულს არ დავუტყებ, მე შენ მომწონხარ, გაღმერთებ და ამით ყველაფერი თქმულია ჩემთვისო“.

— მაშ, ჩემო თამარ, ეს კაცი სასაცილო როდი ყოფილა! უსათუოდ ყველაფერს ვაფიქვებ.

— თუ გიყვარდე, ანიკო, ამაზე ლაპარაკს თავი დაეანებოთ. არ მესიამოვნება რაღაცა. იმას მივტირი, ვინც უკვე დავკარგე და ახალ სატყვიარს ნულარ გამიჩენ.

— პირიქით, თამარ, შენი სატყვიარის წამალს დავეძებ.

— ეჰ, წამალს... — ამოიოხრა თამარმა, მეგობრის მხარს ყვრიმალთ მიენდო და თვალები მილულა.

სკოლიდან წამოსულ ლევანს მოწაფეები ჟრიაშულით მიაცილებდნენ. ლევანი ხან ერთ, ხან მეორე მოწაფეს მიუბრუნებოდა, რაღაცას ეტყოდა, ზოგს უცინოდა, ზოგს თავზე უთათუნებდა ხელს...

სკოლის ეზოს რომ გამოსცილდნენ, ლევანი შეჩერდა. მოწაფეებს იქვე დავემშვიდობა, თუმცა თვითონ კარგა ხანს იღვა და სიყვარულით გასცქეროდა ქუჩაში მიმოფანტულ ბავშვებს. „წაიფილდნენ. შემოდგომამდე უნდა ველოდო“ — გაიფიქრა და რაღაც სიმარტოვე იგარძნო. მერე მიმოიხედა; არცერთი მოწაფე იქ აღარ იყო. ახლან თვითონაც შეეძლო დაესვენებინა ისე, როგორც თვით მოი-

სურვებდა, მაგრამ რაღაც აწუხებდა, თითქოს კიდევ რაღაც ჰქონდა გასაკეთებელი.

შინისაკენ გზას ფეხით გაუდგა. ნელა მიდიოდა. ახლა ქუჩებში რა მიმართულებითაც არ უნდა წასულიყო, უფლებდა ჰქონდა: სკოლაში მოწაფეები არ ელოდებოდნენ, სახლში კი იმათი რვეულები. ვიტრინებში გამოფენილ წიგნებს უთვალთვალბდა, ისეთებს ეძებდა, რომელთა წაკითხვა შეეძლო ამ ზაფხულის არდადეგებზე. საითაც არ გაიხედავდა, ყველა მიმართულებით გული მიუწევდა, რადგან რაც განუწყვეტელი შრომის დროს დაიწყო, ახლა იგონებდა და ბევრ ახალსაც ნახულობდა აქ, დედაქალაქში. ხალხში ნაცნობი სახე შენიშნა:

— ბატონო კოტე, ბატონო კოტე! — მიაძახა ლევანმა ჩაფქვრებით მომავალ კალარა კაცს.

— ლევან? როგორ მიხარია! — შეჩერდა უცებ კოტე, მოკაუჭებული ჯოხი მკლავზე ჩამოიკიდა და ლევანს მიუქრა, — სალამი, გამარჯობა, გილოცავ!

— რას მილოცავ, ბატონო კოტე? — დაინტერესდა ლევანი.

— განა არაფერი გავიგიათ?

— არაფერი.

— განა თქვენი ძმა, თამაზი, თქვენთანაც კი არაფერს ამბობს?

— რა უნდა ეთქვა?

— რა და დიდი ამბავი! ჩვენ ყველამ ვიცოდით, რა პრობლემებზე მუშაობდა თქვენი ძმა, ახლა კი პრობლემა თითქოს სინამდვილედ გადაქცეულა, ყოველ შემთხვევაში პირველი ცდები წარმატებით დამთავრებულა, თამაზს კი თავისი სადოქტორო შრომა ჩვენთან დღემდისაც არ მოუტანია. რა გამოვიდა? მე ხომ პირველი ოპონენტი ვიქნები და მაინც არ მოაქვს. გადაეცით, თხოვეთ ჩემს მავიერ, გვადირსოს, შრომა ჩაგვაბაროს.

— კარგი. უსათუოდ გადაეცემ, ბატონო კოტე, თუმცა ჩატარებულ ცდებზე პირველად მესმის.

კოტემ საგულდაგულოდ დაეცილ-

დაუთოვებული ცხვირსახოცი ამოიღო, თავის გრძელ ცხვირზე რაღაც სხვადასხორის მიისვ-მოისვა და მერე! თითქოს ჩიტის ბარტყიანო, ჯიბეში ისევ ფრთხილად ჩაიღო.

— ასეთია, ძველები მიედივართ, ახლები მოდიან! თამაზისთანები რომ გვეზრდებიან, სულს ეს გვიდგამს! მარჯვეა, ნიჭიერია, თავიდანვე ასეთი იყო, მაჯობებს, დიახ, უსათუოდ მაჯობებს. ასეთ მეცნიერს ლომციხეში რა უნდა, ინსტიტუტში კარი დია აქვს! — განაგრძობდა კოტე.

— მაგრამ, ბატონო კოტე, თუ ჩემმა ძმამ რაზე წარმატებას მიაღწია, ალბათ იმიტომ, რომ ლომციხეშია, — მოუქრა ლევანმა.

— ეს შესაძლოა, მაგრამ მაინც ასეა, — წარმოთქვა კოტემ, მერე ჯოხი ისევ ხელში დაიჭირა. თითქოს თავისი ნათქვამის დასადასტურებლად, ფილქანზე დააკაუნა, — მაშ ჩემი სიტყვები არ დაგავიწყდეთ! ნახვამდის წამოიძახა და გზას გაუდგა.

— ნახვამდის! — მიაღწევა ლევანმა. კარგა ხანს უცქირა ოდნავი ბარბაცით მიმავალ ხელჯოხიან მოხუცს, მერე შემობრუნდა და თვითონაც განაგრძობდა.

შინ ისე მივიდა, არ გაუგია. ტერეზას ხმამ გამოაფხიზლა.

— ალბათ, ყველაფერი მოითავეთ და მოისვენეთ.

— კი, ჩემო ტერეზა, მალე სადმე წავალ და შენც მოისვენებ, დაეტილ ოთახებს დასუფთავება არ დაკირდება, — მიუგო ლევანმა და რატომღაც თამაზის ოთახში შევიდა. ყველაფერი დაბეჯითებით შეათვალავდა, მერე იქვე, სკამზე დაეშვა. თავს ისე გრძობდა, თითქოს აქ თამაზთან იყო და შეეძლო საუბარი გაება: „სამწელო გზა გამოიარე, სიყვდილს გადაურჩი. აქაც გული მოგიკლეს, მაგრამ სულთ მაინც არ დაეცი. ყველაფერი გადაიტანე, ახლა შენს წარმატებაზე ლაპარაკობენ. შენი თავისთვის კი თითქოს არა ხარ... განა არ მახსოვს შენი გულღია, დაუსრუტე-

ლი სიცილი და ლალი სიმღერა? მახსოვს მაგრამ ეს ყოველივე თითქოს დასრულდა, მიწყდა. დაგვიბრუნდი, მაგრამ შენს ხალისიან ღღებებს ჯერაც ვერ ველირსეთ. როდის იქნება ამ შენს ოთახს წინანდებურად გააცოცხლებ და გაგვახარებ? — თითქოს აი, ახლა, ეკითხებოდა ლევანი თავის ზემკროს ძმას.

ტერეზას ოთახების დასუფთავება მოეთავებინა და წასასვლელად ემზადებოდა.

— დაისვენე, ტერეზა, დაჯექი, ისაუზმე და რამე შენი ამბავიც მომიყევი, — უთხრა უკვე სასადილო ოთახში გამოსულმა ლევანმა.

ტერეზა დაჯდა. სახე გაოფლიანებული თავსაფარით მოიწმინდა. გუპლარავებულ თმაზე ხელი გადაისვა და ამოიკვნესა:

— ეჰ, ბატონო ლევან, მე აბა რა უნდა მოგიყვეთ.

— მამ კარგი, — გაიღიმა ლევანმა — თუ გეჩქარებათ, ახლა ავდგეთ და ვისადილოთ!



შინ მიმავალმა თამარმა თამაზი დაინახა და გულმა ძგერა დაუწყო. შედგა უნდოდა უკან გამობრუნებულიყო, მაგრამ ვერ შესძლო. თამაზი იმ სახლში შევიდა, რომელთანაც წინათ, ვინ იცის, რამდენჯერ გულისტკივილით გაველო თამარს. ახლა თავს უბრაზდებოდა: „რა მემართება? რა იქნება, გავბედო და პირდაპირ შევხვდე? მე ხომ არ ვემდურნი? არც ის მემდურის; ავად რომ ვიყავი, მინახულა. ახლა რაღა გვიშლის ხელს? უნდა შევხვდე, მოხდეს რაც მოხდება!..“ — გადაწყვიტა, ადგილიდან დაიძრა და თავის სახლს მიაშურა. შინ ტანზე გამოიცვალა, უკეთ ჩაიცვა. როცა ისევ ქუჩაში გამოვიდა და იმ სახლს მიიღწია, რამდენიმე წუთის წინ, სადაც თამაზი შევიდა, შესასვლელთან გაჩერებული ავტო დაინახა და გულზე მოეშვა. „ელოდება. მამ ძალე გამოვა“ — გაი-

ფიქრა, თუმცა ახლა სხვა გრძნობა დაეუფლა: „თუ ენა დამება და ვერ ვხვდები ვუთხარი, მაშინ რაღა ვქნებ? რა ვიქნები თამაზი?“ — იქაურობას მაინც ვერ შორდებოდა, ზევით და ქვევით დადიოდა, ისევ იმ სახლის შესასვლელს უთვალთვალდა. „ოდესმე ხომ უნდა შევხვდე, ჯობს ახლა, სანამ იქნება გვიან არაა... თამაზს ვერაფერ შეედრება. სხვები ყველა ზღაპარი იყო, მეც ბურუსში ვიყავი და ყველაფერი ზღაპარით დასრულდა“ — გაიფიქრა.

და აი, თამაზი გამოვიდა. თამარი პირისპირ შეხვდა მას. წამით შეჩერდნენ. ერთმანეთს ახედ-დახედეს და ისე დაიბნენ, ხმის ამოღებაც ვეღარ მოახერხა ვერცერთმა. ბოლოს თამარმა დაასწრო:

— გამარჯობა, თამაზ... — უთხრა და გაწითლდა.

— სალამი, — რაღაც შეგვიანებით და თითქოს გარკნებით უთხრა თამაზმა.

— როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ... თქვენ?

— ასე...

— კარგია. მშვიდობით! — უთხრა თამაზმა და მანქანისაკენ წავიდა.

თამარი გაფითრდა. ვერაფერი უბასუხა. ადგილიდანაც ვეღარ დაიძრა. „აგრე თუ ვაგემში, უფრო შევტყუებები, — გაუელვა უეცრად თავში, — ასეთ საღამოს ჯობდა სულაც არ მომსალმებოდა. მოვტყუვდი. წავაგე, მე აქაც შევტყუდი.“

შინ რომ მივიდა, მოსხლტით ჩაეშვა სავარძელში. თვალეზი დახუჭა. კარგახანს იჯდა ასე უსასოო და დამცირებულად.



მზე თავის ცხოველმყოფელ სხივებს უხვად აფრქვევდა ლომციხის მიწას. ცხლოდა.

ქალაქის მთავარ მოედანზე თბილისიდან მოსული ავტობუსი შეჩერდა. ხალხი ჩამოდიოდა, მზით გახურებულ მოედანს სწრაფად ტოვებდა.

ჩამოსულთა შორის ნატოც გამოჩნდა; მომუშვანო ყვაველებიან ცისფერ კაბაში ფარშევანგს ჰგავდა. ხელში მილივით დახვეულ რაღაც ქალაღებში ეჭირა. ჩქარობდა. ქუჩაში არავის უუკეროდა, მიდიოდა პირდაპირ და რაღაც საქმიანი იერი აღბეჭდოდა ბრინჯაოსფერ სახეზე. აგერ ის ერთ შენობასთან შეჩერდა, თითქოს შეეყოყმანდა, მერე სწრაფად შევიდა. მეორე სართულზე რომ აღწია, ნაბიჯი შეანელა და გზა ფეხაკრეფით განაგრძო. „მთავარი არქიტექტორი“ — წაიკითხა კარზე და შედგა. იერე გული გაიმავრა, — კარი ფრთხილად შეაღო, შეიხედა, უმალ შემოესმა:

— მობრძანდით!

ახლა კი უკან დახვევა გვიანდა იყო და კაბინეტში რაღაც შემცბარი შევიდა.

— გელოდით და კიდევაც მოხვედით! — წამოდგა ქალაღებში ჩაფლული სიმონი, სათვალე მოიხსნა და როცა ნატო მის მაგიდასთან მივიდა, ხელი ჩამოართვა, — ჩანს, მოიტანეთ. მიბოძეთ! — უთხრა და ქალაღდის ხვეული გამოართვა. გახსნა, გაშალა, დააჩერდა. კარგა ხანს ათვალიერა. მერე თავი ასწია და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ნატო იდგა.

— დაბრძანდით! — უთხრა და როცა ნატო დაჯდა, განაგრძო: — ვფიქრობ, რომ სწორედ შესაფერისია, კარგია. შესაძლოა ზოგი რამ შევასწოროთ, მაგრამ ამაზე პროექტის დეტალურად განხილვის შემდეგ მოგახსენებთ... ხვალ დილით ერთი ახალი დავალებაც უნდა ვადმოგვცეთ, უფრო საპასუხისმგებლო, ვიდრე დღემდე გიკეთებიათ. ამას ქალაქმშენის უფროსი, შვინდიაშვილი გავალებთ და მასთან თვითონ მიგიყვანთ, — და აქ სიმონმა სათვალეები ისევ მოიხსნა, ნატოს თითქოს სინანულის გამომეტყველებით გადახედა და ხელში დაჭერილი ფანქარი მაგიდაზე დადო, — რაც შეეხება კოტეჯს, რომლის პროექტი ჩვენ მოვიწონეთ და მის მიხედვით რამდენიმე კოტეჯის მშენებლობასაც შევუდგით, უეცრად... დიახ, მდგომარეობა შეიცვალა და კოტეჯების მშენებლობა შეჩერდა.

ნატო შეკრთა, გაწითლდა, იმ სასისხარელო ამბების შემდეგ, რაც სიმონმა ეს იყო აცნობა, ასეთ საწყენს არ მოელოდა და ენა დაემა. სიტყვა ვერ დასძრა.

— მერე რა, თქვენ რატომ შეწუხდით? ეს არაფერია. ვანა იმიტომ შეჩერდა, რომ თქვენი ნამუშევარი არ მოიწონეს? არა, საერთო კოტეჯების ტიპის შენობაზე ქალაქკომის მითითება გვაქვს: კოტეჯები ლომციხის პირობებში არ გამოგვადგა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძვირი გვიჯდება, მეორეც იმიტომ, რომ ზოგმა მუშამ, რომელმაც საცხოვრებლად კოტეჯი მიიღო, შეიძინა ძროხა, გაიკეთა ბაღი, ბოსტანი, გააჩალა საკუთარი მეურნეობა, მთელი ყურადღება ამ მეურნეობის მოვლაზე გადაიტანა, ხოლო ქარხნის მშენებლობას სრულიად მოწყდა ან თავისი შრომის ნაყოფიერება გაანახევრა. ამიტომ კოტეჯების მშენებლობა სასურველად ვერ მივიჩნიეთ.

ნატოს ოდნავ მოეშვა გულზე, თუმცა სირცხვილმა მაინც აუწვა ღრეხები. რატომ თვითონ ვერ გაითვალისწინა ის, რაც ახლა უთხრეს? ვანა ინეინერს საქმის მხოლოდ ტექნიკური მხარის ცოდნა მოეთხოვება? „არა, არა ეს ჩემი მარცხია!“ — ფიქრობდა ნატო და საკუთარ მარჯვენას ისეთი თვალით დაჩერებოდა, თითქოს ესაყვედურებოდა.

— როგორ გეტყობათ, რომ ძალიან ახალგაზრდა ხართ და ჩვენს საქმეებში უბრალო წყენაც არ შეგხვედრიათ, — გაუღიმა სიმონმა.

ნატო წამოდგა, გამოემშვიდობა სიმონს და კართან რომ მივიდა, ისევ სიმონის ხმა შემოესმა:

— მაშ ხვალ დილის ათ საათზე!

— მესმის, ბატონო! — უპასუხა ნატომ და ოთახიდან გავიდა.

„მთლად ჩვილი ყოფილა. აგრეა, ხარბად გაზრდილ ყლორტს ოდნავი სუსხიც აღვილად წვაეს“ — გაიფიქრა სიმონმა, თავი გადააქნია, სათვალე გაიკეთა და ისევ ქალაღებში ჩაეფლო.

დერეფანში გასულმა ნატომ ფეხს აუჩქარა, კიბე სულმოუთქმელად ჩაირბინა, გავიდა ქუჩაში და აქ უცბად შედგა. „საით? ჰო, თინასთან!“ ახლა მოიგონა, სად უნდა წასულიყო და აღგლიდან დაიძრა. თავდახრილი, ჩაფიქრებული და რაღაც სახედარადილული მიდიოდა. „ნეტავი თამაზი არ გაიგებდეს... მაგრამ განა შემიძლია არ გაუუმხილო?“ — რაღაც შეშფოთებით ფიქრობდა ნატო. ყოველი დაბრკოლება, წარუმატებლობა, მარცხი კი მზად იყო გადაეტანა, ხოლო იმ პირობით, თუ თამაზი არ გაიგებდა. ამას რაღაც შეუცნობელი გრძნობა უკარნახებდა, მაგრამ ყველა თავისი წარმატებაც იმიტომ ახარებდა, რომ ეს ისევ თამაზს შეეძლო გაეგო.

იმ სახლში შეირბინა, სადაც თინაცხოვრობდა.

გაიღო თუ არა კარი, თინას ხმა იცნო:

— მობრძანდი, ნატო! რა იყო, ხომ არ გაწყენინეს.

ნატო უხმოდ შევიდა ოთახში, საეარძელში მოსხლეტით ჩაეშვა.

— არა, — მხოლოდ ახლა წარმოსთქვა ნატომ, თუმცა ზედვე ეტყობოდა, რომ აწყენინეს.

— ჩვენ ხომ უკვე მეგობრები ვართ, თუ გასამხელი არაა, კრინტსაც არ დავძრავ, მითხარი, ნატო, — თხოვა თინამ და თვალებში ჩაახედა, — აა, შე ეშმაკო, ხომ ვთქვი, გაწყენინეს-მეთქი.

— გეტყვი თინა, — უთხრა ნატომ და თავი ასწია, — ძალიან კარგად მიმიღეს, გამამხნევეს, კიდევ შემეპქეს, მაგრამ...

— მაგრამ რა მოხდა?

— ჩემი პროექტით კოტეჯების მშენებლობა შეუჩერებიათ.

— რატომ?

— საერთოდ, კოტეჯების მშენებლობა შეუწყვეტიათ.

— „საერთოდ შეუწყვეტიათ“, — გაიმეორა თინამ და უეცრად სიცილი აუვარდა, — ხომ ზედავ, ნატო, როგორ ვიციანი. განა სასაცილო არაა? ის, რაც საერთოა, მართო ჩვენს თავზე რატომ უნდა მივიღოთ?!

— არა, თინა მე მაინც შეგცდო, რატომ თავიდანვე ისე არ ვიფიქრე, როგორც ახლა ჩემი უფროსებმა ფიქრთებენ?

— ეს, ჩემო ნატო, მაინც ნაკლები დანაშაულია და ახლა დარწმუნდი. შეიმზარავე თვალები, სირცხვილია. ჰო, მართლა, ვიქტორმა დამირეკა, ახლავე მოვალთო.

— ვინ მოყვება? — მოუთმენლობა დაეტყო ნატოს ხმაში.

— არავინ, თამაზი და ერთიც მისი მეგობარი მხატვარი, პავლე. მესამე დღეა, რაც ცეცხლგამძლე მასალის გამოცდა გრძელდება, მგონი დღეს თავდება და ახლაც აი, იქიდან მოდიან.

ნატო წამოდგა, თმა გაისწორა.

— უნდა წავიდე, თორემ რას ვგეგვარ.

— ნატო, არ გაგიყდე! ახლა სად გაგიშვებ! მოსვლა შენი საქმე იყო, წასვლა ჩემი საქმეა. განა ისე წახვალ, რომ თამაზს მაინც არ ნახავ? აა, ჩემო ნატო, ვერ მომატყუებ!

— რას ამბობ, თინა, არ მესმის! — ერთი კი წამოიძახა ნატომ და მუხლები მოეკვთა.

თინა ახლა დარწმუნდა თუ რა ხდებოდა ახალგაზრდა ქალის გულში, როგორ სწორი აღმოჩნდა მისი იქებები.

„პატარა ნიავი და ეს ზღვა ნაპირს დაფარავს!“ — გაიფიქრა მან.

— ნატო, თავს მიხედე, გამშვენიერდი, — მიმართა სტუმარს, მაგრამ პასუხს ვეღარ დაელოდა, რადგან სწორედ ამ დროს გასაღებმა გაიჩხაკუნა შემოსასვლელ კარში.

ნატოც ამან გამოათხიზლა, სარკეს მიამურა, თმა გაისწორა, ცრემლიანი თვალები მოიწმინდა.

— სალაში ნატო! კარგია, ოქვენც აქ ყოფილხარ! — მოახედა იგი ვიქტორის ხმამ.

თამაზმა ნატო და პავლე გააცნო ერთმანეთს:

— იწყინერ-არქიტექტორი ნატო... ეს კი ჩემი მეგობარი მხატვარი, პავლე!

— სწორედ კარგ ადგილას შეგვხვდით, — გაუღიმა ხელის ჩამორთმევისას პავლემ სახე შეფაქლებულ ნატოს.

— პავლე ახალგაზრდა ქალი არ დაფრთხო, თორემ გაგვექცევა! — იცი-ნოდა ვიქტორი.

— არა, ძმაო, აქედან ჩიტიც ვერ გაფრინდება! — უპასუხა პავლემ და მაგდას მიუჯდა.

თინამ სუფრის გაწყობა დაიწყო.

ნატო რაღაც უხერხულად იჯდა თავისთვის. თინას სურათს მიჩერებოდა, რომელიც კედელზე იყო დაკიდებული.

— ნატო, მომეხმარე! — თითქოს სურათიდან შემოესმა ახლა თინას ხმა.

„რა სულელი ვარ, ისიც ვერ მივხვდი, რომ დახმარება შემეძლო“ — გაიფიქრა ნატომ და წამოდგა; თინას სუფრის გაწყობაში წამოეშველა.

— შეხეი, ერთმანეთს როგორ დამვენდნენ ეს ჩვენი ქალები! — წარმოსთქვა ვიქტორმა.

პავლეს ყურადღება მთლიანად ნატოს მიეპყრო. ისე გამოიყურებოდა, რომ ეტყობოდა: ამ ახალგაზრდა ინჟინერ ქალს თავის წარმოდგენაში უკვე ხატავდა.

ვიქტორი ისევ თამაზს მიუბრუნდა:

— ჩვენ თუ მეგობრები ვართ, ეს ქალებიც მეგობრები არიან.

— არიან; — დავთანხმდა თამაზი, თითქოს ვერ მიხვდა, ასეთი მოსაზრება რა მიზნით გამოთქვა ვიქტორმა; მერე ჰკითხა: — რას იტყვი, ვიქტორ, როგორ დასრულდება გამოცდა?

— გამოცდა ცუდად არ დასრულდება, ხოლო ამ ქალების მეგობრობაც ცუდად როდი უნდა დასრულდეს, — ვიქტორი ეშმაკობას მიუხვდა თამაზს და ისევ შეაპარა.

— შენ ის მითხარი, შრომას როდის ამთავრებ? — პირდაპირ პასუხს ისევ გვერდი აუქცია თამაზმა.

— შრომას მალე დავამთავრებ და მგონი შენი ხელმართრობაც მალე დამთავრდება, — აღარ უსვენებდა ვიქტორი.

„რას ჩამაჯინდა“ — გაიფიქრა თამაზმა. წამოდგა, გამოღებულ სარკმელში გაიხედა, პაპროსი ამოიღო, მოუკიდა, მოსწია, ბოლი გარედ გაუშვა და

ფანჯარასთან მოსვლაც ამით გადამართლა.

— კარგია, ლომციხეს ბოლო ცკლე და შენც მიუმატე; — მეგობრული ირონიით უთხრა ისევ ვიქტორმა.

ამასობაში ქალებმა მოათავეს სუფრის გაწყობა და თინამ მაგდასთან მიიწვია სტუმრები. თინა და ნატო სუფრის თავში მოათესდნენ. თამაზი მოპირდაპირე მხარეს იჯდა. თინა რიგრიგობით აცქერდებოდა ქალ-ვაგს, თითქოს იმის შეტყობა უნდა, შესაფერისი არიან თუ არაო.

ნატო კი იშვიათად თუ ვინმეს შეხედავდა თინას გარდა.

პავლემ ქალადი და ფანჯარი ამოიღო. ნატოს აცქერდებოდა და ერთ ლუქმას რომ პირში ჩაიდებდა, მერე ისევ ფანჯარს ეცემოდა, ქალადზე რაღაცა ხაზები გააყავდა.

— მიირთვი, პავლე! — ზოგჯერ ეშმაკურად ეტყოდა ხოლმე ვიქტორი.

ვიქტორს სალათაში ბლომად ჩაყრილმა პილიპიმა პირი დასწვა და მუხლებზე ხელის ცემა დაიწყო.

სიცილი მორთეს. ნატოს წკრიალა ხმა ირჩეოდა ხარხარში.

„იციან თუ მღერის, ვერ გამოვიგია“, — გაიფიქრა თამაზმა და ჩუმად, ქვეშ-ქვეშ გაჰხედა ნატოს.

როცა სადილობა მოათავეს და წამოიშალნენ, თამაზი ნატოს გვერდით აღმოჩნდა:

— თქვენი საქმეები როგორაა, ხომ არაფერი გაწუხებთ? — ჰკითხა ქალს.

— არაფერი, — რაღაც შემკრთალი ხმით უპასუხა ნატომ და თავი მორცხვად დახარა.

— თუ კორტეჯები უარყევს, ეს თქვენ არ გეხებათ: სიმონმა გვითხრა, ბევრი გვაკინა.

„როდის მოასწრო?“ — თავში გაუელვა ნატოს და გაწითლდა. მანც უპასუხა:

— შესაძლოა... თუმცა მე ამაზე არ მიტრია.

— სატირელი კი არა, ისეთ მნიშვნელოვან დავალებას გაძლევ, უნდა იცი-

ნო. კინოთეატრის პროექტი უნდა შე-
ადგინო.

ნატო გრძნობდა, გული როგორ
უცემდა, მაგრამ ცდილობდა მღელვა-
რება არ დასტყობოდა, შინაგანად ძალ-
ზე აფორიაქებული იყო.

— თინა, ახლა ჩვენი წასვლის მარში
დაუჯარ და გზაც დაგვილოცე! — ჩამო-
ვარდნილი სიჩუმე დაარღვია ვიქტორმა.

— სწორია, სწორია! — წაეშველნენ
სხვებიც.

— ისევ არმიაში ხომ არა ხართ, მარ-
ში დაუჯარა, რაიმე საზეიმო აჯო-
ბებს, — წარმოსთქვა თინამ და კუთხე-
ში მიდგმულ პიანინოს მიუჯდა.

— არა, თინა, საზეიმო მაშინ დაუ-
ჯარი, თუ თამაზი და მე ცეცხლიდან
მეორედ დავბრუნდით გამარჯვებულ-
ნი, — უთხრა ვიქტორმა.

— კარგი, თქვენი ნებაა, — დაეთანხ-
მა თინა და პიანინოს კლავიშებზე აათა-
მაშა თითები.

მუსიკა რომ მინელდა და ბოლოს
სულ მიწყდა, ვიქტორი წამოდგა.

— მაშ ახლა, ვაჟკაცებო, წინ. თქვენ
კი, ქალებო, უდანაკლისოდ აქვე დაგე-
ხედებით! — დაიძახა და ამხანაგებს თვა-
ლი ჩაუჯრა.

მალე მათი ხმამაღალი ლაპარაკი და
სიცილი კიბიდან მოისმა.

ქალები შემობრუნდნენ, ერთმანეთს
გადაჰხედეს.

— აი, ნატო, ჩვენი აქაური ცხოვრე-
ბა: მეგობრობა, გატანა, ერთგულება,
სიყვარული და ერთი მიზანი, — თქვა
თინამ და თავის ახალგაზრდა სტუმარს
წელზე ხელი მოჰხვია.

— რა ბედნიერებაა! — წაიხურჩულა
ოცნებაში წასულმა ნატომ.

— იცი, რა, ნატო, — განაგრძო ისევ
თინამ, — ჩემი და ვიქტორის სურვი-
ლია, რომ შენ და თამაზმა... შენ და თა-
მაზმა ხელი უნდა მისცეთ ერთმანეთს.

— რას ამბობ, რა ხელი თინა! — აენ-
თო ნატო.

— მარჯვენა ხელი, — თვალი ეშმა-
კურად მოჰუტა თინამ.

ნატომ ველარაფერი უპასუხა, თვალე-
ბი დახარა. იატაკს ჩააშტერდნენ მერე
მოეხვია თინას და სახე მისი მკვერდმა ჩა-
მაღა.

— ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. —
ჩურჩულებდა თინა და თავზე ხელს
უსვამდა.

როცა ნატო ცოტათი დამშვიდდა,
უბად წამოდგა.

— დაეგვიანე, უნდა წავიდდე! ხვალ
დილის ათ საათზე ისევ ლომციხეში
ვარ დაბარებული და მაშინ გნახავ.

თუ დილით ისევ ლომციხეში უნდა
ჩამოხვიდე, განა ლამეს ჩემთან ვერ გა-
ათევე? დარჩი. დაღლილი ხარ. ჩემთან
მოისვენე. დილით ადრე ადგები და წა-
ხვალ.

ნატოს ბევრი პატიყი აღარ დასკირ-
ვებია. მცირე ყოყმანის შემდეგ დათან-
ხმდა, დიასახლისს საწოლ ოთახში გაჰ-
ყვა, იქ თავისი ხელით გაშალა ლოგინი
და ასე ნაადრევად საბანში გაეხვია.



მოზრდილ, მალაქერიან შენობაში
განუწყვეტლივ გუგუნებდნენ ელექტ-
როლუმელები. ამ ლუმელების პირდა-
პირ, კარგა მანძილის დაშორებით,
ათამდე კაცი იღვა. ხმას არავინ იღებ-
და. ყველას ყურადღება ერთი მიმარ-
თულებით იყო მიქცეული.

გუგუნე უეცრად შეწყდა. სიბნელე
ჩამოწვა, მაგრამ უმალ შუქმა იელვა და
ვეებერთელა შენობა გააჩირადლნა.

ნიმუშების შემოწმება დაიწყო.

ბარველიძემ კარგა ხანს უთვალთვა-
ლა ლუმელიდან გამოღებულ ნიმუშებს,
მერე უეცრად გაეცალა და შორიახლო
შეჩერდა. ბოლოს დოინჯი შემოიყარა
და ბოლოს ცემას მოჰყვა.

„ახლა რაღა გქნა? რომ ცხვირმოუ-
ხოცავმა ყმაწვილებმა საბოლოოდ მა-
ჯობეს? — ბორგაედა იგი, — არა! მეტი
აღარ შემიძლია, დავიღრჩეები! თვინი-
ერი ჯგორიც კი ტლინკებს ისვრის სიკე-
დილის წინ! მე ვინა ვარ, განა ჯგორის

კუთაც აღარა მაქვს? ვერა, ჩემს შერაც-
ცხყოფაზე ხელს ვერ მოვაწერ“.

ნიმუშების გამოცდა რომ დამთავრ-
და, ყველა სამმართველოსაკენ დაიძრა.

— ჩემთვის საკითხი გადაჭრილია, —
ქარხნის ეზოში გამოსვლისთანავე წარ-
მოსთქვა გაიოზმა.

— აშკარაა — უბასუბა გურამმა და
დიდრონი თვალები მიანათა მას.

— ვიქტორ, ჩემო მეგობარო, რამ-
დენი ღამე გაათენეთ ამ ცდების მოსამ-
ზადებლად? — წამოეწია წინ წასულებს
სმირნოვი.

— არ დამითვლია... — გაუღიმა ვიქ-
ტორმა.

— სამაგიეროდ, ჩემო მეგობარო,
თამაშია თეთრად გათენებული ღამეე-
ბით იმ საქმეს მოჰფინა შექვი, რომელ-
შიაც დღემდე სიბნელე იყო.

— თქვენ რაღას იტყვით ილარიონ
სტეფანეს-ძე, გამოდგება თუ არა ცე-
ცხლგამძლე მასალა? — რაღაც ცალ-
ყბად ჰკითხა ფელდმანმა.

— სათქმელი და საფიქრალი ძალიან
ბევრია: ვინ იცის, სად გასკდება ეს
ჩვენი ცეცხლგამძლე მასალა და მაშინ
გვიან იქნება. მთელი ამოდენა შრომა,
დრო და სახსრები წყალში ჩაგვეყრება.
ზარალი ერთია და პასუხისგება მეო-
რე. უბასუბა პიჯაკის ჯიბეებში ხე-
ლბეჩაწყობილმა ბარველიძემ და თა-
ვის კეხიან ცხვირს ზევიდან მედიდუ-
რად დახედა.

— რას ამბობთ, განა პასუხი ჩვენ
უნდა ვაგოთ? — განზრახ შეშფოთდა
ფელდმანი.

— ეს რაღა საკითხავია! — გავირვე-
ბის ნიშნად წარბები აზიდა ბარველი-
ძემ. — კომისიის წევრები მაინც არ
ვიყოთ.

ფელდმანი ჩუმად იღიმებოდა, ბარ-
ველიძე კი გულში ამბობდა: „უკეთესი
იქნება, ფელდმანი რომ ჩემზე ადრე
ავვირდებოდეს“.

ამასობაში სამმართველოს უფროსის
კაბინეტსაც მიაღწიეს. მაგიდას შემო-
უსხდნენ.

— ყველა თქვენთაგანმა იცის გამო-

ცდის შედეგი. საჭიროა აზრი გამოვთ-
ქვათ, — მიმართა შეკრებულთა გურამმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. *გურამმა*
გურამმა შენიშნა, რომ ყველა იჯდა
ბარველიძისა და ფელდმანის გარდა.

— თქვენ რატომ დგახართ? სკამები
აღარ არის? დაბრძანდით. აი, აქ, ჩვენ-
თან ახლო, — მიმართა მათ გურამმა და
თვალთ თავისუფალ სავარძლებზე
აჩვენა.

„რადგან გურამი მე მომჩერებია,
უარს ვეღარ ვეტყვი“ — გაიფიქრა ბარ-
ველიძემ და ძალაუბნებურად სავარძელ-
ში ჩაეშვა.

ახლა ფელდმანმაც იხელთა დრო და
ბარველიძის მოშორებით მოთავსდა.

„მაჯობა!“ — გაიფიქრა რატომღაც
ბარველიძემ და დანაშაულში დაქერი-
ლივით ხელები მაგიდაზე დააწყო.

— განა სათქმელი არაფერი გაქვთ? —
გაიმეორა კითხვა გურამმა.

— საკამათო არაფერია, — წამოდგა
სმირნოვი, — ხელი უნდა ჩავჭიდო. გა-
კიანურებას აზრი არა აქვს.

— იქნებ ყველაფერი რიგზე არაა.
ტაშის დაკვრით ნუ დავასრულებთ საქ-
მეს. „შეიღვერ გაზომე, ერთხელ გას-
ჭერიო“, — ნათქვამია, — სთქვა გურამ-
მა და ახლა ბარველიძეს მიაპყრო
თვალი.

„აჰა, კრიტიკის დაწყებას უჩემოდ
ვერ ბედავენ“ — გაიფიქრა ილარიონმა
და ზოზონით წამოდგა:

— მშენებლობის უფროსმა ხალხის
სიბრძნე გამოსთქვა. მართლაც, ტაშის
დაკვრა ადვილია, პასუხისმგებლობა კი
მეტად დილია. ცეცხლგამძლე მასალა
ჩვენში დღემდე ვერაგის შეუტყვლია, —
დაიწყო ბარველიძემ და კომისიის წევ-
რებს მოავლო თვალი, — ახლა კი ჩვენ
მოვიწოდომეთ მსოფლიო მეცნიერებას
გადავაბიჯოთ და ახალი ცეცხლგამძლე
მასალა შეექმნათ. ცხადია, ეს კარგია,
მაგრამ საეჭვოა. მართო ის გარემოება,
რომ სამი თუნდაც მეტი დღე-ღამის
განმავლობაში ახალი მასალა სიმტკი-
ცეს ინარჩუნებს, ეს კიდევ არაფერს
ნიშნავს. გავა დრო და ეს ჩვენი ცეცხლ-

გამძლე მასალა შეიძლება კვერცხივით გასკდეს. მაშინ ასეული მილიონი მანეთის ზარალს ვერავითარი ტაში ველარ დაფარავს...

— მაშ თქვენ რას გვირჩევდით, გადავადგოთ? — რალაც მკაცრად შეაწყვეტინა გურამმა.

ბარველიძე მიხვდა: გურამი არცთუ ისე თანაუგრძობდა მის მიერ გამოთქმულ აზრებს. ამიტომ უკან დახვედა სკადა:

— გადავდების რა მოგახსენოთ, მაგრამ...

აქამდე სმენად ქცეულ ლომსაძეს სახე აუპილიპილდა, ველარ მოითმინა:

რას გვირჩევს ბარველიძე? ფაქტს დაუჯეროთ თუ განყენებულ მსჯელობას?

— მართლაც, ინეინერ ბარველიძის გამოსვლა გვაოცებს, — ჩაერია ხანთაძეც და სქელ ქოჩორზე ხელი გადაისვა, — არსებობს წესი ამა თუ იმ მეცნიერული კვლევის აკარგიანობის შესამოწმებლად. ესაა თეორიული დასაბუთება და მისი პრაქტიკაში გამოცდა. ამ შემთხვევაში ყოველივე ეს მოცემულია, რეალობა და არა მირაჟი. — მაშ ახლა რა ვქნათ, ამხანაგო ბარველიძე, ტაში თქვენ დავიკრათ?!

— ერთი რამ მეც უნდა ვთქვა, — დაიწყო ფელდმანმა, — რაც შეეხება ზარალს, ინეინერი ბარველიძე აქ მართალია, მაგრამ ზარალი თვითონ მისი აზრებია და არა ის, რაც ჩვენ დღეს ვნახეთ.

„მომატყუა! აი, რატომ დაჯდა მოშორებით, ჩემს შემდეგ, ორივე ფეხებით ჩავეარდი და ესაა!“ — გაიფიქრა ბარველიძემ და უსიამოვნოდ მზრები აიჩჩია, ფელდმანს ამღვრეული თვალებით გადახედა.

ახლა იასნოვი მოჰყვა, როგორ ტარდებოდა გამოცდა, რა დაბრკოლებას წააწყდნენ, მას როგორ სძლევდნენ. ბოლოს დაუმატა.

— რაც შეეხება ინეინერ ბარველიძის შიშს, თითქოს დროთა განმავლობაში შესაძლოა ახალი ცეცხლგამძლე

მასალა კვერცხივით გასკდეს, ამას არავითარი საფუძველი არა აქვს, ჭეშმარიტად, ახალი ცეცხლგამძლე მასალა უნდა ტემპერატურის ქვეშ რაც მეტხანს რჩება, მით უფრო მტკიცდება.

— ჩემის აზრით საქიროა შესდგეს სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც შეიძლება გვემას ახალი საქმის ჩვენს მშენებლობაში დასაანერგად, — თქვა ბოლოს გაიოზმა და თამაზს ღიმილით გადაჰხედა.

თამაზს გამარჯვებას ულოცავდნენ. ბარველიძემ იგრძნო, ჩემი ჯერიც მოვაო, მიმოიხედა, დრო შეარჩია და დერეფანში გაძრა. გარეთ რომ გავიდა, თავისთავს უთხრა:

— „გადავრჩი. ერთი კიდეც ასეთი გადარჩება და ლომციხეში ჩემი ფეხი აღარ იქნება“. იქაურობას სასწრაფოდ გაშორდა, შინ მარტო წავიდა. „რა მოხდა?“ — შეეკითხა თავისთავს და შუაგზაში შეჩერდა, — მე ხომ შერიგების გზაზე ვიდექი და ისევ უკან დაებრუნდი? რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო! რა იქნებოდა, გულში შურის ვარამი რომ ამომეწვა? ეს ხომ ჩემთვის იქნებოდა საქირო და არა იმათთვის?“

„იმათში“ ბარველიძე გულისხმობდა ყველას, ვინც წინ მიდიოდა, ვინც ახალს ქმნიდა.

•
•

თამაზი, ტკაჩენკო, ვიქტორი, ფელდმანი და პაველ ერთად გამოვიდნენ სამართველოს შენობიდან.

„ანათებ და კარგი ხარ, მაგრამ მე რას მარგინხარ...“ — შემოესმა მათ აქეთ მომავალი მგზავრის სიმღერა.

სიმღერა მოახლოვდა. ფელდმანმა თვალები მოწყურა, წამოიძახა:

— დახეთ, ვინ ყოფილა! კოწია და ივანე! რასაკვირველია, ისინი არიან! კონსტანტინე კარპეს-ძეც, საიდან გაჩნდით? — მიამახა ბოლოს ხელაძეს რომელსაც ტანმორჩილი, მელასავით თვალბდაცეცებული ივანე მოაცილებდა.

— გაჩენით დედაჩემმა გამაჩინა, მორჩენით კი ივანემ მომარჩინა. და ქვეც გადამარჩინა, — ბოხი ხმით უპასუხა ხელაძემ.

— როგორ თუ მოგარჩინა? — შეეკითხა ფელდმანი.

— დიდი კაცი ვარ და უეჭვიოდ აღარ დავდივარ, ღვინის წვეთებს სწონის ივანე და სათითურის ოდენა კიქებით მიზოგავს.

ფელდმანს სიცილი წასკდა.

სხვებიც აპყვენენ.

— მერე რა, ღვინის სმას გადაეჩვიე? — შეეკითხა ისევ ფელდმანი.

— გადაეჩვიე და მერე როგორ! განვიკურნე. ასე რომ არ ყოფილიყო ფურნეს ვერ ავაშენებდი და ვერც დავაშენებდი. ახლა თუ სარემონტო სახელოსნოების უფროსად მნიშნავენ, ესეც ამის ბრალია. ამიტომ ივანეს ეშინია, ეს დიდი საქმე ხელიდან არ გავუშვათ, ქვეყნის წინაშე თავი არ შევირცხვიანოთ და მუდამ თან დამყვება.

— ქარხანა კარგი გამოვიდა. ვნახე, მომეწონა, ეზოში მიწაც გაგისწორებიათ, — უთხრა ტკაჩენკომ.

— კი მაგრამ, ლამაზების საკითხი როგორ მოაგვარე? — ისევ ჩაერია ზუმრობის გუნებაზე დამღვარი ფელდმანი.

— შე კაცო, ლამაზების საკითხი რაღა საბჭომელია; არმიყი თავის დროზე არა ვყოფილვარ და ახლა რა გადამარევეს!

ივანე გაეშმაკებულ მელასავით ევალებდაცეცებული და ყურდაცქვეტილი ილიმებოდა. უნდოდა, როგორმე მოეგონებინა ხელაძისათვის, რომ წასვლის დრო იყო.

*
*
*

შინ გვიან მისულმა ვიქტორმა კარი ფრთხილად შეაღო და ოთახში ფეხაკრფით შევიდა.

საწერ მაგიდასთან თინა იჯდა. წიგნს კითხულობდა. ქმარი როგორც კი დაინახა, წამოდგა.

— რატომ არ გძინავს? — შეეკითხა ვიქტორი.

— გელოდებოდით. რა ჰქვინოდა ვიქტორ, მარტო რად მოხვედი?

— თენდებ. გამარჯვება მოპოვებულია, მაგრამ გვიანია და აღარ წამოვიდნენ.

— მამ მოგილოცავთ! შენც ხომ დიდი შრომა გასწიე.

— მხოლოდ ჩემი მოვალეობა შევასრულე მეგობრის წინაშე.

— ნერე ეს ცოტაა? შენც მალე დაეკირდება თამაზი.

— თუნდაც არ დამკირდეს, განა მეგობრობაში ანგარიშებით უნდა ვიცხოვროთ? ეს ხომ მეგობრობა აღარ იქნება.

— სწორია, ვიქტორ!

— ნატო სადღაა?

— დაიღალა, დილით ისევ მთავარ არქიტექტორთან უნდა მივიდეს და თბილისში აღარ გავუშვი. სძინავს. ბავშვივით გული აქვს. სიყვარულიც ასეთი უნდა. თამაზზე ერთი სიტყვა თუ გააგონე, ცეცხლი ეკიდება, თამაზი კი... — აღარ დაასრულა თინამ.

— თამაზი არც ისეთი უგულოა, როგორც თქვენ გგონიათ. მახსოვს, როცა ფრონტზე ვიყავით, ბარათს როგორ მოუთმენლად ელოდა; თუ მიიღებდა ბავშვივით ხარობდა ხოლმე. თვითონ არაფერს ამბობდა, მაგრამ ვგრძნობდით, რომ თავისი რჩეული ჰყავდა... მერე კი, დუმდა, მოიწყინა, ფრთები ჩამოჰყარა.

— რას ამბობ, ვიქტორ! აი, რა ყოფილა! — შესძახა თინამ.

...ნატოს ძილი გასტეხოდა. ახლაც არ ეძინა. თინასა და ვიქტორის ყველა სიტყვა გარკვევით ესმოდა და იგი უნებურად ცახცახებდა, სუნთქვა ეკვროდა.

მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ლოგინში ველარ მოსივენა, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა. შორს ვარდისფრად იღებებოდა ცის კიდური. ქალაქი ნელა შეოქმინეულად იღვიძებდა.

„მერე ვინ არის ის ქალი?“ — მეათასედ ეკითხებოდა ნატო თავისთავს და შეჩითლებულ აღმოსავლეთს თვალს არ აშორებდა. მხოლოდ ახლა მოაგონდა



„კერკეტა“ კირილეს სიტყვები: „რას იპრანჭები რას, თამაზს ელოდები ხომ? გული მიგდის? ამაოდ! როცა თამაზი ომში მიდიოდა, ერთი შენისთანა, ტყბო-ლი ღიმილით მიაცილებდა, მაგრამ ეტყობა მერე იმ გოგონამ სხვასაც ტყბო-ლად გაულიმა, წიწაკაც შექამა და ახლა თამაზი ახლო არ იკარებს. ტყუილია, ღიმილით ველარავენი შეაცდენს ახლა ომას!“

მაშინ „კერკეტას“ სიტყვებს ნატომ ყურადღება არ მიაქცია, ახლა კი... „ზო-ვჯერ სულელსაც უნდა მოუსმინოს ადამიანმა“, — გაიფიქრა და ფანჯრის რაფას შებლით მიეყრდნო. „ვინ არის? ოქნებ თამაზს ის ახლაც უყვარს?“ — გაიფიქრა ისევ, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხს ველარავენი გასცემდა ნატოს. შეშობრუნდა, საწოლთან მივიდა; ზედ დავმხო და აქვითინდა.



თამაზს და პავლეს კარგა ხანს არ დასძინებიათ. საუბარში დაათენდათ თავზე.
— ამ გადამწყვეტ წუთებში მეშინოდა აღელვებით საქმისათვის არ გვეწო და ამიტომაც არ გშორდებოდი, თუმცა შენზე მეტად თვითონ ვლელავდი, — ეუბნებოდა სიყრმის მეგობარს პავლე.
— არ ვლელავდი იმიტომ, რომ შენ ჩემთან იყავი.

ღუმილი ჩამოვარდა. მერე ისევ პავლემ წარმოსთქვა:
— კი, მაგრამ, თამაზ, სანამ უნდა იყო აგრე მარტო?
— საქმეში სიმარტოვე მავიწყდება.
— კი მაგრამ, ადამიანებს პირადი ცხოვრებაც აქვთ...
— საქმეში პირადიც არის და საერთოც, პავლე, — პირდაპირ პასუხს მოერიდა თამაზი.
— ოჯახიც არის?
— ოჯახი?
— თამაზ, ვინაა, საიდანაა ის მშვენიერი ქალი, ნატო?
— ჩვენებურია, ჩემი სოფლიდან.

— გაუთხოვარი, ხომ?
— ჰო, მართლა, ინსტიტუტიდან დამირეკეს, ეგ შენი საღმრთლო შრომა წარმოადგინეო და არ ვიცო, რა ექნა. ლევანისგანაც მოვიდა წერილი. მოდი, გაგატან, შენ ჩაუტანე ლევანს.
— კი, ბატონო. აქამდე სად იყავი მაგზე აღვილი რა არის! წაველებ, მაგრამ იმაზე რომ არ მიპასუხე, რაც წელან გაითხე?

— დაიძინე პავლე, არ გეძინება?
— რალა დროს ძილია, ვერ ხედავ, რომ გათენდა?
— თუ გათენდა, ადექი ბარემ.
— რა ხარ, რა ხარ, რომ იცოდე?!
— გეყოფა, დახუჭე თვალები, დავძინოთ.

მაგრამ პავლეს უფრო ჩქარა ჩაეძინა. თამაზი ჭერს მიჩერებოდა. ბარველიძის გესლიანი სიტყვები თითქოს ახლაც ესმოდა. მისი დამკვინავი ღიმილი გულს უბზარავდა.

„ბარველიძე გადახდას ლამობს. იკბინება, რაც შაქროს ვერ დააკლო, ახლა მე მიხდის... ისე მართალივით ლაპარაკობდა, კინალამ მეც შემიღაბა რწმენა. ნუთუ ბარველიძე იმას ამტკიცებდა, რაც თვითონ არა სჯეროდა? განა ეს შესაძლებელია?“ — ფიქრობდა თამაზი; ერთსა და იმავე კითხვებს უტრიალებდა.

6

შემოდგომა, ჩომი შემოდგომა იღვავებოდა თბილისში. თითქოს ყველაფერი დამშვიდებულიყო გარშემო: მთები, ოჭროსფრად გადაყვითლებული მინდვრები... ბალებსაც სიყვითლე შეპარვოდა. მოღლილიყო, — ნაყოფის გახარებითა და მოწივით მოქანცულიყო თითქოს მთელი ბუნება და ახლა ისე დამშვიდებულიყო, როგორც დედა მშობიარობისას განცდილი ტკივილების შემდეგ და მოდიოდა თბილისის ბაზრებში მწიფე ნაყოფით დატვირთული მანქანების მთელი კოლონები.
ჭალაკს აესებდა მსუყე სურნელება შემოდგომისა.

თამაზი ფანჯარასთან იდგა და იქიდან გასცქეროდა შემოდგომის ამ წარმტაც სურათს. ღამე უფროს ძმასთან გაეთია.

— თამაზ, კოტემ რომ დარეკოს, რა ვუპასუხო? — ძმის დაძახილმა მოახედა თამაზი.

— კოტეს თვითონ ვინახულე და მოველაპარაკე.

— მას შემდეგ, რაც ოპონენტები გამოიყო და რეცენზიებიც დაწერილია, საავტორო რეფერატის ჩაბარებას ითხოვენ.

— ინსტიტუტში ზეგ შევალ და ავტორეფერატსაც ჩაეზარებ.

— თამაზ, ამას წინათ ლომციხეზე წერდნენ გაზეთში. ნატოზედაც ეწერა. ვერ გამიგია, გადმოვიდა ლომციხეში თუ?..

— გადმოვიდა. აქ ცხოვრობს. ლომციხეში საცხოვრებელი სახლი შენდება მაგის პროექტით.

— რა ქნეს, კლუბი დაამთავრეს?

— ახლა ამთავრებენ. შეიღ ნოემბერს იქნება საზეიმო გახსნა.

— მერე შენ და ნატო არ მიგრწვიეს?

— მიგვიწვიეს, მაგრამ მე ვერ მივდივარ. შეიღ ნოემბრისათვის მარტენის ღუმელი ამუშავდება ჩვენთან და იქ უნდა ვიყო...

ამ დროს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

— ალო! — ყურმილი აიღო ლევანმა, — ვინა? პავლე ხარ? გამარჯობა, პავლე! თამაზი შინ არის. მობრძანდი. გელოდებით. ჩქარა მოდი, გესმის? წასვლას ვაპირებთ.

— ჩქარა მინც მოვიდეს — თქვა თამაზმა, როცა ლევანმა ყურმილი დასდო, — დაეპირდი, შინ ვიქნები-მეთქი. რალაცა სერიოზული საქმე მაქვსო.

— თამაზ, — ისევ ლევანმა დაარღვია წუთიერი სიჩუმე — ჩემი მოვალეობა თამარის მიმართ უკვე შევასრულე და ახლა საყვედურს შენც აღარ მეტყვი.

— როგორ?

— თამარმა, როგორც იქნა, ჩამოი-

შორა საექვო ქცევის ამხანაგები, საშსახურიც დაუწყია. მანქანაზე ბეჭდავს.

— კარგია. გულგამოხრული ცაშლი შესანახად არ გამოდგება, მაგრამ მინც ფასი აქვს, — გულჩათხრობილად ჩაილაპარაკა თამაზმა.

— საზოგადოება მრავალფეროვანია; მისი შესაფერისიც მოინახება... აი, პავლემ მოვიდა!

— იცი თამაზ რა მოგიტანე? — შემოსვლისთანავე წამოიძახა თვალბგაბრწყინებულმა პავლემ და ილღაში ამოჩრილი ჩარჩო მალა ასწია.

— რა?

— ახლა მხოლოდ სურათი მოგიტანე, თვითონ კი, ვინც ამ სურათშია მოსაყვანი იქნება, — განაგრძო პავლემ და მოოქროვილი ჩარჩო, თამაზს მაგიდაზე დაუდგა.

თამაზი გაწითლდა.

— ვინ არის ეს? — წამოიძახა ყასილად.

პავლეს გაეღიმა. მოსიყვარულე თვალები მეგობარს მიაპყრო და თავი გადააქნია.

— პო-პო-პო, რა მიუხედარელი ხარ! წაიკითხე, რა წააწერე ზედ!

თამაზმა სურათს დახედა

„თამაზის უერთგულესი მეგობარის, ნატოს სახე, ჩემს ძვირფას მეგობარს — პავლე“. — ამოიკითხა ქვემო, მარჯვენა კუთხეში.

პავლე მალე წავიდა.

გაოგნებულმა თამაზმა მისი გაცილებაც ვერ მოახერხა. მაგიდაზე დადგმულ სურათს გაღიშებული მიჩერებოდა. მერე ერთბაშად აიღო იგი და მაგიდაზე, წიგნების ქვეშ ამოსდო.

•
•

ავტო ლომციხისკენ მიჰქროდა. გზაზე თოფნაკრავ ფრინველივით ეცემოდნენ ფოთლები და გაქროლებული ავტო ისეთ შხუილს გამოსცემდა, თითქოს მდინარეში გადისო. ზოგჯერაც შემხვედრ მანქანას რომ ჩაუქროლებდა, გას-

როლილ ყუმბარასავით გაიზუზუნებდა, მაგრამ ფიქრში წასული თამაზი ყურადღებას აღარაფერს აქცევდა: დღეს ლევანთან საუბრის დროს თითქოს საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „ქვეაში ჩავარდნილი“ თამარი ის აღარ იყო, რაც წინათ... „მანქანზე კაცუნით ცდილობს გატეხილი სახელის გამართლებას; ამჟამად; გატეხილი არ გამართლდება, რაც მოკვდა არ გააცოცხლდება!“

შემოდგომას გაეძარცვა ლომციხის ბაღებიც. ხეებზე შერჩენილი ფოთლებიც ახლა ფარფატით ეშვებოდნენ ძირს. „თაობებიც აგრე მისდევენ ერთმანეთს“, — რატომღაც ასეთი აზრი დაებადა თამაზს და გაძარცველ ბაღს თვალი მოწყვიტა.

მანქანა გაჩერდა. თამაზი გადმოვიდა და პირდაპირ მარტენის ლუმელისაკენ აიღო გეზი. სხვებთან ერთად გურამიც იქ დაუხვდა. ახალი ამბავი დაახვედრა გურამმა: რადგან გუჯას ოჯახის გულისათვის თავი შეივიწროვე და ბინა გაუცვალე ბრიგადირს, როგორც კი ნატოს ხელით დაპროექტებული პირველი კორტეჯი აშენდება, შენ უნდა შეგასახლოთ შიგ, ასე გვაქვს გადაწყვეტილი.

თამაზი შეაკრთო ნატოს სახელის ხსენებამ, მაგრამ ამ ახალმა ამბავმა მაინც ძალიან გაახარა.

სალამოს ვიქტორთან მივიდა. ცოლქმარს ყველაფერი უამბო.

თინამ სიხარულით ტაში შემოჰკრა:

— მაშ, თამაზ, მომილოცავს ბინა და ნატო!

— რას ამბობ, თინა... — აიბნა თამაზი.

— სულ ერთია, არ მოგასვენებ. სანთელფით ანთებული ქალი შენ თვალწინ იწვის, შენ კი არ გრძნობ და, თითქოს არც ხედავ. განა ასეთი მოინახება? რალას უცდი!

— თინას სიტყვები ქეშმარიტია; ქალებისათვის კაცის გული გამკვირვალეა და თუ სადმე დაზიანებული ადგილი შენიშნეს, მკურნალობაც იციან, — ჩაიცინა ვიქტორმა.

თამაზმა მრავალმეტყველად შეათვა-

ლიერა ცოლ-ქმარი. არაფერი თქვა, მაგიდიდან პაპიროსის მოვერცხვლილ ცოლოფი აიღო, დახურა, მერვე მომორტყმით გადადო და წამოიწია.

— მოიცა, თამაზ, სად მიეჩქარები? — წამოვდა ვიქტორიც.

— ეს ღამე უნდა გავათენოთ. მარტენის გახსნისათვის ვეზადებით. ყოველ წუთს მნიშვნელობა აქვს ახლა.

ცოლ-ქმარმა კიბემღე მიაცილა სტუმარი.

— ეტყობა მძიმედაა დაქრილი, მაგრამ მაინც ნატოს გარდა სხვა ვერავინ განკურნავს, — სთქვა თინამ, როცა თამაზმა კიბე ჩაიარა, ისინი კი ოთახში შემობრუნდნენ.



ბნელი ღამე იყო. თამაზი მშენებლობის მოედნისაკენ მიდიოდა. თინასა და ვიქტორის სიტყვები მის გონებაში რაღაც თავისთავად მეორდებოდნენ. „ეს ცუდი ნიშანია. ალბათ, დავიღალე და აშლილი ფიქრები თავისი გზით მიმართევენ.“

სიცივე იგრძნო. პალტოს ღილი შეივრა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და მოსეული ფიქრები რომ გაეფანტა, ნაბიჯს აუჩქარა.



ღამე ილეოდა. თამაზი და დიმიტრი მაინც მოუსვენრად ტრიალებდნენ გაჩაღებული ლუმელის მახლობლად. ჯერ ბევრი რამ იყო კიდევ მოსათავებელი, რომ მარტენის გახსნას ხელი არ შეშლოდა. ამოწმებდნენ ლუმელში ლითონის ნამსხვრევების შესაყრელ მოწყობილობას, რკინის ვეებერთელა შენობის ქერში მოთავსებულ ლიანდაგზე მოძრავ ვეება ამწეს, ფერადი სათვალეებით უთვალთვალდნენ გაჩაღებულ ლუმელში ჩაყრილ ლითონის დნობას. ირგ-

ვლივ მუშების გაუთავებელი ჩოჩქოლი ისმოდა.

— თუ ამწეს წესრიგში ვერ მოვიყვანოთ, ჩვენი თავდადება უნაყოფოდ ჩაივლის, გახსნას ვერ მოვასწრებთ, — წარმოსთქვა სახეგამურულმა თამაზმა.

— იქნებ ვინმე მივაშველოთ, თორემ შევრცხვებით, — მიუგო სახელოებდაკაპიწებულმა ტკაჩენკომ და ხაფანგში ჩავარდნილი ვეფხვივით თვალები აქეთ-იქით მიმოაკცეცა.

— გერონტი! — გასძახა თამაზმა, — ვალოდია, შენც, შენც! მოდიოთ აქ, ზევით უნდა ახვიდეთ ახლა. იქნებ მომეხმაროთ, ამწეს მუშაობა ფერხდება.

— როგორ, თუ თვითონ არ ინება, ხელით გავაგორებთ და ისე ვამუშავებთ! — წინ წამოდგა ვალოდია.

— ცხრაას ტონიან ამწეს შენ გააგორებ? — დაეკვდა გერონტი, მაგრამ ვალოდიას პასუხს არ დაელოდა და პირველი თვითონ მოეჭიდა რკინის კიბეს, — მომყე, ვალოდია, საჩხინავში უნდა ავფრინდეთ. იქნებ აკრობატობაც ვისწავლოთ ამასობაში!

დრო მიდიოდა. გაჩაღებულ ლუმენიდან მოშვებულ, თვალის მომჭრელ სინათლეში მოხვედრილი მტვერი ალივით იწვედა ზევით.

ლითონის ამწე რკინის ლიანდაგზე უხმოდ გაგორდა.

— ვაშა ტანკისტებს! — შესძახა ტკაჩენკომ და მალა, ერთად მდგარ გერონტისა და ვალოდიას ახედდა.

მოჭანკული, მთლად ოფლში გაწურული თამაზი ძირს დაყრილ აგურებზე ჩამოჯდა. მუშების ჯგუფში გუჯა დაინახა და ხელი დაუქნია:

— გუჯა, მოდი აქ!

სახეგამურულმა და ტანზე პერანგშემოფლეთილმა გუჯამ მოიბრინა. გზად-გზა კუტყიანი სახელოთი შეიწმინდა ოფლი.

— გუჯა, მოედნის გაწმენდას ვერ მოვასწრებთ?

— მუშები ძალზე მოიქანცნენ, მაგრამ ორ საათში ყველაფერს მოვრჩებით. — მეტი გაჩაღებულ ლუმენს შე-

ხედა გუჯამ და წამოიძახა: — ეს რა ხანძარი გავაჩინეთ, ჰა? ვმძვრეხვინაქრობს!

შეზღვირეთაა

— ეს პირველი მერცხალია, — გაუღიმა მას თამაზმა, — როცა თორმეტი ლუმელი აგუგუნდება, შენ მაშინ უყურე ფოლადის ჩანჩქერებს! აბა კარგი მიდი განვაგროთ საქმე!

გუჯა გატრიალდა და სირბილით დაუბრუნდა თავის ადგილს.

თენდებოდა.

თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო.

ლომციხის ცაზე მარტენის პირველი მილი ბოლავდა.

•
•

კარგად გათენებული იყო. წითლად შეღებულ ცას მარტენის ლუმელის კვამლი გაჰკვროდა. კვამლი წითლად შეღებილიყო, ალივით ირხეოდა ჰაერში. თამაზი და დიმიტრი მშენებლობის მოედანზე მიმოდრიოდნენ და ქალაქისაკენ მიმავალ გზას გაჰყურებდნენ.

ჯერ არავინ ჩანდა გზაზე. ირგვლივ სიწყნარე იყო.

თამაზმა უკებ გზაზე მსუბუქი ავტომანქანა შენიშნა. აქეთ მოდიოდა.

— დაიწყო! — წამოიძახა მან და ტკაჩენკოს გვერდით დაუდგა.

მალე იცნეს: ეს მშენებლობის უფროსის მანქანა იყო. იგი მალე მოახლოვდა და სწორედ მათ წინ გაჩერდა. მანქანიდან გურამი, გაიოზი და სმირნოვი გადმოვიდნენ.

თამაზი წინ წამოსულ გურამს მიეგება:

— გახსნისთვის ყველაფერი მზადაა! გახსნისწინა ხელახალი გასინჯვა იწყებოდა. თამაზი წინ გაუძღვა მოსულთ.

მთელ ლომციხეში შინ თითქმის აღარავინ დარჩენილა. ახალი სახლის კომენდანტი, ჰიკოკო, ქუჩაში გამოსულიყო და უღვაშებს იგრებდა.

— ამისთანა რამე გავინილა? სულ ერთიანად გამეჭიკნენ მდგმურები!

იმ გზაზე, რომელსაც დილაადრიანად

თამაზი და ტაჩენკო გაპყურებდნენ, ხალხის ნიაღვარი გამოჩნდა.

აი, მარო და იასე პატარა ვეფიკოთი, რომელიც წინ გამორბოდა. იქნებ ეხლა ხედებოდა ქუაში ჩავარდნილი ბავშვი, რატომ მოთხარეს იმდენი მიწა და იმ მიწაში ვის ეძებდნენ.

ერთად მიმავალი ეთერი და ირინე მოედნისაკენ მოიჩქაროდნენ. ხელში თაიგულები ეპირათ.

— ალბათ, ჩვენი გერონტი და ვალო-ლია ექსკავატორებზე გველოდებიან, — წარმოსთქვა ეთერიმ.

— გახსნის სამზადისში გართულებმა ლამე თეთრად გაათენეს და ახლა ორივეს თვალები ეხუჭებათ, — დაუმატა ირინემ.

ალექსი და დალიც გამოჩნდნენ.

კიკიკოს, თითქოს ახლაც ომშიაო, მოხუცი ქალები და ბავშვებიც კი მწყრივში დაეწყო, თვითონ გალიფე შარვალში და წვივზე შემომსკდარ ჩექმებში გამოწყობულიყო, ქამარიც მაგრად შემოეჭირა, ხელები გაეშალა და თავის მრევლს მთელი ხმით გასძახოდა:

— დაუჩქარეთ, თორემ წინ აღარ იქნება თავისუფალი ადგილები!

ხალხში ხელაძე და ივანეც გამოჩნდნენ.

კოწიას ხელები გაეშალა და ისე გამალებით იქნედა, თითქოს ფეხით კი არა, ხელებით მოდისო.

— არ ჩამომრჩე, ივანე, სირცხვილი არ მაქამო, თავი არ მოშპრა. სარემონტო სახელოსნოებშიაც თუ ისევ ჩემი მოადგილე გაგხადეს, უნდა შეიფერო, წელში უნდა გასწორდე, გაიმართო, გაკოხტავდე, და უღვაშიც დიდი კაცივით გადაიგრიბო.

— დაჩუმდი, ჰო, შე შეჩვენებულო, გეყოფა ახლა. უღვაშები კი არა, შენ ძლივს მოგაგრიხე კისერი და ბოლოს კაცად გაქციე, თორემ...

— თორემ რა?!

— რა და გამოადგი ფეხი, ხომ ხედავ, ხალხით აივსო აქაურობა!

— დაიკარგე! ახლა შენი ასაჩქარებელიც გავხდი?

ივანე მაინც არ უგდებდა ტოლს/ხელაძეს, თითხა და ცხვირს¹ ინპრივიტო უმიზნებდა, კროლა თვალებს² სულ ახლოს უბრწყვილებდა, წამქამებსაც ახამხამებდა და ბზიკივით ეკბინებოდა.

— შეერიგდეთ, ივანე, — დანებდა ბოლოს ხელაძე, — ჩვენ ორივე საპატრონო ვართ და უერთმანეთოდ ტურა შეგვეკამს.

— გამარჯობათ! — მოესმათ ამ დროს. ორივემ უკან მოიხედა.

მათ წინ ბარველიც იდგა. თავი ჩვეულებრივზე მაღლა აეწია, თვალები მოეწყურა და ხელაძეს ისე შეჰყურებდა, თითქოს სადღაც ძლიერ შორს ხედავსო.

— კერიას ნახშირი! ილარიონს ვახლავარ! როგორ მოგვივინათ, ერთხელ ჩვენსკენ რომ არ გადმოიხედეთ! — შესძახა ხელაძემ.

დღეს დიდი უსაქმობაა და მოვიცალე.

— უსაქმობაო? — გაიკვირვა ივანემ, — განა მარტენის ამუშავება უსაქმობაა?

— ვინც ამუშავებს, მისთვის საქმეა, ჩვენთვის კი მარტო ტაშის დაკერაა.

— რას ამბობს ეს, — გაბრაზდა ივანე. საჩვენებელი თითიც მოიღერა და ბარველიძისათვის საკითხავი ხელაძეს ჰკითხა, — თუ მარტო ტაშის დაკერისთვის მოვდივართ, ტაშს შინაც არხეინად დავუქრავდი!

— შენ ვერავის გააგონებ, აქ კი ჩაიწერება და გაზეთშიაც დაიბეჭდება, — გესლიანად ჩაილაპარაკა ილარიონმა.

— ²გას თავი დაანებე, ივანე, საამქვეყნო არაა. შენ ბალზე, ეგ მსხალზე! — ჩაურთო ხელაძემ, — ილარიონმა შეინდიაშვილს და თამაზ ვაშაყმაძესაც კი შეუტია, მაგრამ ბოლოს ხელში რა შერჩა? მკ ვიტყვოდი, ბოლოკის კუდი!

— რაო, კუდიო? აი, ამ შენ კუდს მოუარე, ის გირჩვენია! — გაბრაზდა ბარველიც და ხელაძის უკან მიმავალ ივანეზე უჩვენა.

— რა თავს იგდებ, კაძახო! ვის უბედავ თუ იცი! — აყვირდა ივანე, — კუდიც ხარ და სამჯერ უჯრძესიც! ახლა

ერთი პანდურიც რომ ამოგვრია, ამაზე-
დაც ხომ დიპლომს არ მომთხოვ!

— მოიცა, ივანე, პატიოსან ფეხს ნუ-
ღარ დაისვრი! — შეაში ჩაუღდა მოკინ-
კლავით ხელაძე, — მაგას თავისი დარ-
დი ეყოფა; ახლა ისევ დაქვეითებას
უპირებენ და გულს ეყრება. მერე რა
ვუყოთ, ჩვენ ისევ ზევით, ილარიონი კი
დამპალ ვაშლივით სულ ძირს და ქვე-
ვით.

— როგორ მიბედავთ ამას, მე ილა-
რიონი არ მერქვას, თუ ეს შეგარჩი-
ნოთ! — გააცეხლდა ბარველიძე, მაგ-
რამ იმის მაგივრად, რომ შექვიკვიკე-
ბულ კოწიაზე გაეწია, შემოტრიალდა
და ხალხის ზღვაში გაუჩინარდა.

— მიჩვილე, ილარიონ და „ზახრამ-
რუსტის“ მედალს მიიღებ! — მიაყოლა
ხელაძემ, რომელიც სულს ძლივ-
და ითქვამდა ხარხარისაგან. მთელი ხალხი
მას მიჩერებოდა.

ხიზითებდა ივანეც, მაგრამ როცა
შენიშნა, რომ ხელაძის მდევისებურმა
ხარხარმა მთელი ხალხის ყურადღება
მიიპყრო, პირი უცბად მოკუნდა, ხელა-
ძეს პალტოში ხელი ჩააგლო და მაგრად
მოსწია:

დაჩუქდი, შე შეჩვენებულო, გე-
ყოფა!

— მაშ ახლა რაღა ექნა, ივანე, წავე-
დეთ ხომ? — ჰკითხა უკვე გონს მო-
სულმა ხელაძემ.

— ვიაროთ! — უპასუხა ივანემ და
ხელაძის მკლავს ჩამოეკიდა.

მარტა და მისი ბებია ხალხის იმ
ჯგუფში მიდიოდნენ, რომელსაც ჰიკი-
კო მიუძღოდა წინ.

მარტა მსუბუქად მიაბიჯებდა. ნა-
დევდა ივანეს ასულს ცალი ხელი მის-
თვის ჩაველო, მეორეთი კი გრძელ, კოჭ-
რებიან ჯოხს მიაჩახუნებდა.

— მარტა, გუჯას დაეინახავთ? —
იკითხა უცებ მოხუცმა.

— დაეინახავთ, ბებია.

— მერე ეს ხალხი?

— ხალხი რას უშლის, მოწინავეებს
წინ გამოიყვანენ.

ოცოტა ხნის შემდეგ დედაბერმა კვლავ
იკითხა:

— მარტა, მალე მივალთ შეტკა?

— ახლავე, ა, ოცი ნაბიჯი დარჩა.

— ვეცი, შენ გეჩქარება, ბებია, მაგ-
რამ უკან ნუ დამტოვებ. თუ განავარ-
დება და თამაში გინდა, მე წინ გამიშვი
და შენ ითამაშე. თუ წავექცევი, თვალს
მანც შემასწრებ.

— არა, ბებია, რამ შეგაშინა ასე!
საზვიმოდ გამოწყობილი თინა და
ვიქტორი მზით გაშუქებულ გზაზე ისე
მშვიდად მოდიოდნენ, როგორი მშვი-
დიც იყო თვითონ ის დღე.

— ვიქტორ, აი, გახედე, თბილისი-
დან ჩამოსული ხალხი აქეთ მოიწევს, —
უთხრა თინამ ქმარს და ხალხის ახალ
ტალღაზე უჩვენა, — ნეტავი ნატო სად
დაგვეკარგა, რამდენი დღეა ჩვენთან
ალარ მოსულა.

— ალბათ, დღეს ჩამოვა, — უპასუხა
ვიქტორმა.

— ნელა ვიაროთ, ვნახოთ ერთი
თბილისიდან ვინ ჩამოვიდა.

— აი, აქ შევჩერდეთ.

თანდათან უფრო ძლიერდებოდა
ხალხის ხმაური. გზის პირას შეჩერე-
ბული თინა და ვიქტორი ნაცნობ სახეს
ეძებდნენ, მაგრამ თბილისიდან ჩამო-
სულებში საერთო ნაცნობი არავინ აღ-
მოჩნდა.

— თინა! — გაისმა ამ დროს და თი-
ნამ მისკენ წამოსული ნატო შენიშნა.

— ნატო! — წამოიძახა თვითონაც და
მიეგება ქალიშვილს.

— მომილოცავს დღესასწაული! —
მოიბრინა ნატომ.

— შენც, ჩემო ნატო! —

მათ ერთმანეთი გადაკოცნეს.

— ყოველზე მეტი მოსალოცი შენა
გაქვს, ნატო. გილოცავ, მაგრამ სადა
ხარ ამდენ ხანს, სად დამეკარგე? —
ალარ ცხრებოდა თინა.

— ესაა თქვენთან ვიყავი. შინ არ და-
მიხვდით.

— გილოცავ მარტო დღესასწაულს
კი არა, შენს გამარჯვებასაც, — მანც
თავისი დაივინა თინამ.

— რა გამარჯვებას?

— შენი ახალი პროექტის მოწონებას და კოტეჯის გაყოფას.

— რას ამბობ, თინა, გაყოფას?

— განა არაფერი გაგიგია?

— რა?

— შენი დაპროექტებული კოტეჯების მშენებლობა გრძელდება.

— ?! — თვალები გაუბრწყინდა ნატოს.

— მერე იცი, ერთ-ერთ კოტეჯში ვინ უნდა შესახლდეს?

— ვინ?

— თამაზი.

— რას ამბობ, თინა! — წამოიძახა ნატომ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მისი მეგობარი ხუმრობდა.

ვიქტორმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რა ამბებთან დაკავშირებით გადაწყდა გაგრძელებულიყო კოტეჯის მშენებლობა და ბოლოს დაუმატა:

— მაგრამ თამაზი ერთი კაცია, სამოთხიან კოტეჯს კი შევსება ჭირდება... როგორც ჩანს, მხედველობაში ეს გარემოებაც მიიღეს ჩვენებმა.

ამ ერთ წუთში რამდენმა აზრმა არ გაურბინა თავში ნატოს. „იქნებ თამაზმა ის შეიყვანოს კოტეჯში... — შფოთიანად ფიქრობდა იგი, — მე რა შუაში ვარ, მე რა ვარ?“

მშენებლობის მოედანს მიადრეკს. აქ ათასობით ადამიანი შეკრებილიყო. მოედნის შუაგულში, ტრიბუნაზე, ნატომ თამაზიც დაინახა და გული შეუტკოდა: უნდოდა თინასათვის ეთქვა რაიმე, მაგრამ თავი შეიკავა. როცა თამაზი სიტყვით გამოვიდა, ნატოს მხოლოდ მისი ხმა ესმოდა და არა სიტყვები.

გუჯა, ვალოდია, გერონტი და ფროსია ტრიბუნის წინ იდგნენ. ვიქტორმა იცნო ისინი. თამაზთან ენახა.

— შეხედე, თინა, წასჩურჩულა ცოლს, — მოწინავე ბრიგადირები! ფროსიას უყურე, ფროსიას!

ამ დროს მათი ყურადღება ტრიბუნაზე ასულმა ტკაჩენკომ მიიპყრო.

რაღაცას ხმამალა ლაპარაკობდა

ტკაჩენკო, მაგრამ აქედან ვერაფერს გაიგონებდა კაცი.

მერე ფროსია ავიდა ტრიბუნაზე, ხელოები წიომკლავა და მკვექარე ხმით სიტყვა დაიწყო.

— ცოტა წინ წავსულიყავით, რა არის, არაფერი ისმის! — აბუზუნდა თინა, მაგრამ ხალხი ისე მკიდროდ იდგა, რომ ახლა არამცთუ წინ, უკან გამოსვლაც შეუძლებელი იყო.

მიტინგის საზეიმო ნაწილი დასრულდა. ვინც ტრიბუნაზე იდგა, მარტენის გაჩაღებულ ლუმენებისაკენ გაემართა. მათ ხალხიც გაჰყვა.

რკინის შეხობაძი, მალა, ქერში, ფოლადის ლიანდაგზე დადგმული ამწე მოახლოვდა, რკინის ჯაჭვზე დაკიდული ვეებერთულა ქვაბი თან მოიტანა და მარტენის ლუმენს ქვემოდან შემოუდგა. ახლა ლუმენის საცობიც გახსნეს და ფოლადის ცეცხლოვანი ნიაღვარი დაიძრა, ქვაბში დენა დაიწყო. ხალხის ერთობლივი შეძახილიც გაისმა: — ვაშა!

იქვე მდგარმა ლევანმა პავლეს მკლავში ხელი ჩაავლო და ფოლადის ნიაღვარზე უჩვენა:

— პავლე, განა ამას ვერ დახატავდი?

— მე ამის შემქმნელები დავხატე ლევან — გაუღიმა პაულემ.

ხალხი აქედან ვერხვის ძველ ტყეში წავიდა.

ლევანმა და პავლემ ხალხის ზღვაში მოხვედრილი თამაზი ძლივს აღმოაჩინეს და მასთან ერთად გაუდგნენ გზას.

ლევანმა ჯობილან გაზეთი ამოიღო, გაშალა და წითელი ფანქრით შემოხაზული ადგილი უჩვენა თამაზს, თან დაუმატა:

— შენი სადრესერტაციო შრომის საჯარო განხილვა დაუნიშნავთ.

თამაზმა განცხადება გადაიკითხა და პიტეკის ჯიბეში ჩაიღო.

— რა ნაცნობი სახეა. ვინაა ეს ქალი? — ჰკითხა ლევანმა.

სამივემ დაცარიელებული მოედნის შუაგულისაკენ გაიხედა.

— ნატო, — უჩურჩულა ძმას თამაზმა, — რა მალე ჩამოსულა!

— ნატო? — გაოცა ლევანმა.

ამასობაში ნატო და მისი თანამგზავრები, — თინა და ვიქტორი ნოახლოვდნენ.

ლევანი უზომოდ გაახარა ნატოსთან შეხვედრამ. ისინი ძველი მეგობრებით შეხვდნენ ერთმანეთს. მერე თინა და ვიქტორი გააცნო ძმას თამაზმა და ნატოს მიუბრუნდა:

— დეკემბა მოვიდა, კლუბის გახსნა იანვრისათვის გადაუდვიათ. მარტენის ღუმელის გახსნას გვილოცავენ, — მიუგო ნატომ და დეკემბა გადასცა.

— საერთო დეკემბა, — ჩაილაპარაკა თამაზმა, გადაიკითხა და ნატოს ისევ უკან დაუბრუნა, — შეინახე სამახსოვროა.

— რა კარგია, ყველა ერთად ვართ, — წარმოსთქვა თინამ და თამაზს თვალი შეაელო, — ერთი ოჯახი ვართ, არა?

— რატომაც არა! — გაიღიმა თამაზმა.

ლევანმა თავი ასწია, პაპიროსის ნამწვი შორს გადააგდო, თინა, ვიქტორი და პავლე რალაც კმაყოფილების გრძნობით შეათვალიერა.

„რა მშვენიერი ხალხია! ამისთანა ხალხში რა მოკლავს კაცს!“ — გაიფიქრა მან.

ბოლად ქცეულ ტყისაკენ წავიდნენ.

ნიავე ტყიდან წაპოფრიალებულ ფოთლებს მათ ფეხქვეშ ჰყრიდა, ფარხასავით აგებდა.

7

ლომციხეში თითქმის ყველამ იცოდა, რომ იმ დღეს თამაზი თბილისში სადისერტაციო შრომას იცავდა.

ამის გამო დილიდანვე ერთმანეთს ურეკავდნენ, თათბირობდნენ ლომციხის ცნობილი სპეციალისტები და თბილისში გამგზავრების გეგმას აწყობდნენ.

ილარიონ ბარველიძე იყო ერთადერთი, როპელსაც არც ტელეფონით,

არც პირადად, თბილისში გამგზავრებაზე არ აწუხებდნენ. მასც მთავრობის ილარიონი აწუხებდა ვისმე.

ახლა თამაზი კოტეს კაბინეტში იჯდა. ინსტიტუტის დიაგრამებს და გადიდებულ ფოტოგრაფიულ სურათებს მხოლოდ დროის გაყვანის მიზნით ათვალიერებდა.

კოტე გადიოდა, შემოდებოდა, მეკარეს აფრთხილებდა:

— დიმახსოვრე, არავინ შემოუშვა, რწყილიც არ გააქაჯანო, კაცს დასვენება უკირდება, — მერე თამაზს ჩამოუქროლებდა და ჩუმად ეუბნებოდა: — თამაზ, წყნარად იყავი ყველაფერი რიგზე იქნება. დაისვენე. გული გაიმაგრე. სიმართლე შენს მხარეზეა, რიხიანად გამოიღი.

პატარა, მრგვალ მაგილაზე გახსნილი საქალაქე იდო. თამაზმა თავი გაანება კედლების უაზრო თვალიერებას და საქალაქეს მიუბრუნდა. როცა მთელი შრომა ბოლომდე ჩაათვალიერა, საქალაქედ დახურა და ახლა-ღა იგრძნო, რომ უკვე ღელავდა. „განა ჩვენებიდან არავინ მოვა? თუ წყლის ასამღვრევად ბარველიძე მოვიდა, შესაძლოა რაიმე შთაბეჭდილება მაინც მოახდინოს და ამით ჩემი კრიტიკოსების ექვეები გაამღვრეოს,“ — ძალაუნებურად შფოთავდა იგი.

უეცრად ხმაური შემოესმა და თავი ასწია. ეს ხმაური მთავარი შემოსასვლელის მხრიდან მოისმოდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა მან მეკარე ქალს.

— არ ვიცი, რალაცა ხალხია. შემოსვლას ითხოვენ, — უნდოდა უპასუხა მეკარემ, რომელიც, ეტყობოდა, უკვე წაჩხუბებული იყო „იმ ხალხთან“.

— მერე რატომ არ უშვებთ? — წყენა გაერია თამაზის ხმას.

— არ ვიცი, ჩემი საქმე არ არის, მე ჩემი უფროსი მყავს... — თავის მართლებს დაიწყო მეკარემ, მაგრამ ამ დროს კოტეც გამოჩნდა. გაუგებრობა მალე გაიფანტა. ლომციხელების კარგა მოზრ-

დილი ჯგუფი შემოუშვეს ინსტიტუტის ვესტიბულში.

დარბაზში შესვლისთანავე თამაზმა სავარძელში ჩამჯდარი ბარველიძე შენიშნა და თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა. თვალი მოავლო ხალხით გაქედნილ სააქტო დარბაზს. ლომციხელები პირველ რიგებში ისხდნენ.

საშუალო ტანის მელოტმა თავმჯდომარემ სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა განხილად გამოაცხადა. მერე სწავლულმა მდივანმა ჩაიკითხა, რა პროცედურა გაიარა დისერტანტის შრომამ. თვითონ დისერტანტის ვინაობა, მისი ბიოგრაფიაც გააცნო სხდომის მონაწილეთ.

როცა შესავალი სიტყვა მისცეს, თამაზს გული აუტკერდა, მაგრამ მაინც გამართული ნაბიჯით ავიდა კათედრაზე, ხალხს თვალი გადაავლო და დინჯად დაიწყო.

ხალხი ისე გაიტრუნა, თითქოს არ სუნთქავს, მაგრამ რაც უფრო დიდი იყო სიწყნარე, მით უფრო ღელავდა თამაზი.

ნატო თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა მას და გულის გასამაგრებლად თინას მკლავს მიხუტებოდა.

თინა გრძნობდა, რა მიზეზით ღელავდა ნატო და ცდილობდა როგორმე დაემშვიდებინა.

ჩქვე, ერთი რიგით წინ, ლევანი იჯდა. იგი ყურადღებით უსმენდა დისერტანტის ყოველ სიტყვას და თვალს არ აშორებდა ოპონენტებს, რომლებიც რაღაცას ინიშნავდნენ ბლოკნოტებში. ლევანი გრძნობდა, რომ ეს მოსალოდნელი ქექა-ქუხილის მომასწავებელი იყო. „ბრძოლა მოგიწევს, გამაგრდი, თამაზ!“ — გულში აქეზებდა იგი მას.

დარბაზის სულ ბოლო კუთხეში ერთი ახალგაზრდა ქალი იჯდა. იგი აქამდე არავის შეუშინებია. არც ცდილობდა თავის გამოჩენას. გულის ძვრით გაყურებდა კათედრას, სადაც ახლა თამაზი იჯდა.

რამ მოიყვანა ეს ახალგაზრდა ქალი აქ? მეცნიერების სიყვარულმა? ძნელი

სათქმელია. თამაზისადმი პატივისცემამ ვინ იცის... არა, აქ კი არ შემოსულა, რომ თამაზის შრომის შინაარსი გაეგო, — ის უფრო ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა თუ თამაზი დამარცხდებოდა, უნდოდა გაეგო, — ვის გააშწარებდა, თუ გაიმარჯვებდა, — ვის გაახარებდა.

მაგრამ როგორი იყო თვით მისი დამოკიდებულება თამაზის გამარჯვების ან დამარცხების მიმართ? ისევე მერყევი და გაურკვეველი, როგორც მიზანი მისა აქ მოსვლისა. იგი არც გამარჯვებას უსურვებდა თამაზს და თითქოს არც დამარცხებას.

ამიტომ სულიერად გაორებული უყურებდა ახლა თამაზს. აკვირდებოდა მის სახეს, გამომეტყველებას. იგონებდა წინანდელ თამაზს, როცა მასთან ერთად დადიოდა ვინ იცის სად; ოცნებობდა, ჰაეროვან კოშკებს ავებდა... „ნულარ მოიგონებ, დაჩუმდი თამარ!“ — ერთრჩულებოდა საკუთარ თავს, მაგრამ ფიქრი მაინც თავისი გზით მიდიოდა.

თამაზმა შესავალი სიტყვა დაასრულა და კათედრის აქეთ სკამზე ჩამოჯდა.

პაექრობა დაიწყო. პირველი სიტყვა ოფიციალურ ოპონენტს, კოტე შერვაშიძეს მიეცა. ხანში შესული, მაღალი, გამზდარი კოტე დინჯად და დამარწმუნებლად ლაპარაკობდა. თუმცა მისი სიტყვების აზრი არ ესმოდა, თამარი გრძნობდა, რომ იგი თამაზს იცავდა.

კოტეს სიტყვა თითქმის ორჯერ მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე თვითონ თამაზის.

სიტყვა რომ დაასრულა, კოტემ ორი-ოდე კითხვა დაუსვა დისერტანტს, რომლებზედაც თამაზმა მაშინვე უპასუხა.

მეორე ოფიციალურმა ოპონენტმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა საშუალო ხნის, წარმოსადგემა კაცმა, დისერტანტის შრომა დიდმნიშვნელოვან მოვლენად ჩათვალა, თუმცა მერე რამდენიმე კითხვა დასვა და ამით დაასრულა.

თამაზმა კითხვაზე პასუხი გასცა და

ოპონენტმაც, ნიშნად თანხმობისა, თავი დაუქნია.

ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც მხოლოდ თამაზის მომხრეებს ეწადათ.

მესამე ოპონენტმა, შედარებით ახალგაზრდა დოქტორმა დალაგებულად ჩამოაყალიბა ის, რის გადაქრაც მოახერხა დისერტანტმა. მაგრამ სიტყვის მეორე ნაწილში აღნიშნა, დისერტაციაში წამოქრილი ბევრი საკითხი შესაფერი არ-გუმენტებით ვერ არის დამტკიცებული, და ამიტომ შრომის ზოგიერთი დასკვნა მეტად საეჭვოაო.

როცა ახალგაზრდა დოქტორი დისერტანტის შრომას აკრიტიკებდა, თამარი გამოცოცხლდა, მაგრამ როცა ოპონენტმა თავი გამოიღო და უფრო მკაცრი გამოთქმები იხმარა, სახე უტბად შეეკრა და გაიფიქრა; „ღიღი თავხედია, ეს ვილაკაა“.

ამ დროს წინა რიგში მჯდარი ილაიონ ბარველიძე კმაყოფილებით აქნევდა თავს და გულში ამბობდა: „მამე მე მომხრეები მყოლია. ეს სასიამოვნოა, მშვენიერია“.

ოპონენტმა დაასრულა საკმაოდ გაქიანურებული და ამდენადვე მკაცრი გამოსვლა, მაგრამ თამარს ის აკვირებდა, თამაზის სახეზე ვერავითარ ცვლილებას რომ ვერ ამჩნევდა. მან მშვიდად მოუსმინა ოპონენტს. თამაზის ასეთმა, თითქოს უღარდებლობამდე მისულმა სიმშვიდემ გააოცა არა მარტო თამარი ნატოც კი.

და მართლაც, თამაზმა თავისი პასუხი ისევე მშვიდად დაიწყო, როგორც ოპონენტის შენიშვნებს უსმენდა. შენიშვნებს თავიდან დაპყვა და ყველას თითო-ოროლა სიტყვით უპასუხა.

— პატივცემული დოქტორის შენიშვნები როდი იქნებოდა საფუძველს მოკლებული, რომ ჩატარებულ ცდებს არ გაემართლებინა ის შეხედულებები, რომლებიც შრომაშია მოცემული, — დაასკვნა ბოლოს მან.

„დახე, როგორ მედიდურად უარპყო

დოქტორის აზრები“ — რაღაც განანზღობით გაიფიქრა თამარმა.

— გულთამხილავი ყფაღმარებელია, როგორ გამართლდი! — ჩასჩურჩულა თინას უზომოდ გახარებულმა ნატომ და მისი ხელი გულში ჩაიკრა.

ახლა სამეცნიერო საბჭოს წევრთა გამოსვლებიც დაიწყო. სამეცნიერო საბჭოს ორმა წევრმა ილაპარაკა. იმათაც რამდენიმე კითხვა დაუსვეს დისერტანტს, რაც მათი აზრით, განმარტებას საჭიროებდა.

ამის შემდეგ სიტყვა დამსწრე საზოგადოებასაც მისცეს. პირველი ბარველიძე გამოვიდა. ის ფეხაკრფით წავიდა კათედრისაკენ, თანაც ფიქრობდა: „ლომციხელებს სახეშიაც კი არ შევხედავ, რომ ხასიათი არ გამიფუჟონ“. როცა კათედრაზე ავიდა, საფუძვლიანად მოეწყო, მერე დარბაზს გადახედა.

— სამეცნიერო საბჭოს უნდა მოვახსენო, რომ მე შევინოდა, ასე მეგონა, პატივცემული დისერტანტის შრომას მარტო მე ვაკრიტიკებდი და ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაშიც კი მაგდებდა ეს, — დაიწყო მან, — დიახ, უხერხულ მდგომარეობაში, რადგან ლომციხის მშენებლობიდან მარტო მე გამოვედი ერთად-ერთი გიყი და...

— ძალიან შორს არა ხარ — დაუძახა ადგილიდან ფელდმანმა და მთელ დარბაზში სიცილი ატყდა.

— დიახ, გიყი, და გაებდე, — აღარ იშლიდა თავისას ბარველიძე, — ხმა ამოვიღე მეტად საეჭვო წამოწყების წინააღმდეგ.

თავმჯდომარემ საზოგადოება გააფრთხილა, წესრიგი დაეცვათ და შენიშვნები მხოლოდ წერილობით გამოეგზავნათ.

— და თუ ამ საქმეში სახელმწიფო არ ჩაერია, შესაძლოა ლომციხის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ჩავარდეს! განაგრძობდა ბარველიძე.

მერე მან დაწერილი სიტყვის კითხვა დაიწყო.

მიუხედავად თავმჯდომარის წინადადებისა, ამ სიტყვამ მაინც მითქმა-მოთქმა გამოიწვია დარბაზში. თანდათან ისე აღელდა ყველა, რომ ორატორის სიტყვების გარჩევა უკვე შეუძლებელი გახდა.

მაგრამ ბარველიძე მაინც დაიწინებინა განაგრძობდა თავისას, დაწერილ სიტყვას ისე ზედმიყოლებით კითხულობდა, რომ მისი შეჩერება აღარავის შეეძლო.

აი, მან დაასრულა, მაგრამ დარბაზში ატეხილი ხმაური აღარ ცხრებოდა.

ბარველიძე გამარჯვებული კაცის გამომეტყველებით ჩამოვიდა კათედრიდან და მსუბუქი ნაბიჯით მიაშურა თავის სკამს.

მისი ადგილი სმირნოვმა დაიკავა კათედრაზე.

— ჩემო მეგობრებო, ამისთანა გაგიგონიათ? — დაიწყო მან, შრომა დაწერილია, ცდები ჩატარებულია, ცდებმა დაამტკიცეს ის, რაც ამ შრომაში სწერია და ჩვენ რა ფაქტებს უნდა ვებრძოლოთ? აი, ინებეთ — და სმირნოვმა ჩატარებული ცდების გამო შედგენილი რამდენიმე აქტი გადაიკითხა.

დარბაზში ახლაც ხმაური ატყდა, მაგრამ ამ ხმაურში მოწონება ისმოდა.

— რაც ჩვენმა ინჟინერმა გააკეთა, ჩემო მეგობრებო, ეს დიდი საქმეა. ახალი ცეცხლგამძლე მასალის დასამზადებლად უკვე სოფელ აბანოში კარიერი შევქმენით. ვისაც ეეჭვება, შეუძლია ჩვენთან მოზრძანდეს და საკუთარი თვალით დარწმუნდეს, — დაასრულა სმირნოვმა.

შემდეგ გამოსულმა ლომსაძემ, შვინდიაშვილმა, ხანთაძემ და იასნოვმა უფრო გაამაგრეს ის, რაც მთავარმა ინჟინერმა, სმირნოვმა თქვა.

ბოლოს კი იასნოვმა ერთი ახალი ამბავიც გამოიტანა.

— ახალი ცეცხლგამძლე მასალა გაიგზავნა ლენინგრადის ცეცხლგამძლე მასალათა ინსტიტუტში, საიდანაც დღეს დილით იქ, ჩატარებულ ცდების შედეგებზე დასკვნა მივიღეთ, ახალ ცეცხლ-

გამძლე მასალას მაღალ შეფასებას აღწევინა.

ბოლოს, როცა თამაზ ლომსაძე დარბაზში გაისმა:

— ახლა უსიტყვოდაც ყველაფერი თქმულია!

— მართალია, ყველაფერი გარკვეულია ისმოდა აქეთ-იქიდან, მაგრამ თამაზმა მაინც თავიდან დაიწყო და უპასუხოდ არ დატოვა არცერთი შენიშვნა.

თამაზმა დაასრულა და დარბაზში ტაშმა იგრაილა. რაღაც ინერციით თამარმაც კი დაუკრა ტაში, თანაც გაიფიქრა: „ამ ტაშს ისიდორესაც კი არ უკრავდნენ თეატრში“.

როცა ფარული კენჭისყრა ჩატარდა, თავმჯდომარემ ხმების დათვლის შემდეგ გამოაცხადა:

თამაზისათვის დოქტორის ხარისხის მინიჭება ერთხმად გადაწყდა. ამით სხდომა დასრულდა. სამეცნიერო საბჭოს წევრებმა დისერტანტს გამარჯვება მიულოცეს და დარბაზი დატოვეს.

მხოლოდ კოტე დარჩა და თამაზს მხარზე ხელი დაარტყა:

— ახლა ხომ ჩვენი ხარ, თამაზ და ინსტიტუტში სამუდამოდ გადმოსახლებები!

— ჯერ ვერა, ბატონო კოტე. ლომციხეში ბევრი საქმეა და ვერ მივატოვებ, — უპასუხა თამაზმა.

— რას ამბობთ, ეს როგორ იქნება, ეს დანაშაულია! სად გავიწინა! — იძახდა კოტე.

— დიახ, ისევ ჩვენთან, ბატონო კოტე! — თამაზის მაგიერ უპასუხა მას უკვე იქ გაჩენილმა შვინდიაშვილმა და თამაზს მოეხვია, გამარჯვება მიულოცა. ახლა ყველა მოზღვავედა თამაზის ირგვლივ, იქაურები თუ ლომციხელები, ჰკოცნიდნენ, გამარჯვებას ულოცავდნენ.

— ჩემო მეგობრებო, თამაზი რომ ლომციხელი არ ყოფილიყო, ასეთი ვეფხვები არ ჩამოჰყვებოდა, — ხუმრობდა სმირნოვი.

— ბარველიძე სადღაა? მოდი, მიუვლოცოთ თავის შერცხვენა! — იოხუნჯა ფელდმანმა.

— მივულოცოთ! — დაიძახეს ლომციხელებმა, მიმოიხედეს, შეათვალიერეს დარბაზი, მაგრამ ბარველიძე იქ აღარ ჩანდა.

ბოლოს ნატოც მივიდა, თამაზს ხელი ჩამოართვა, გამარჯვება მიულოცა:

— მომავალშიაც მრავალ სიხარულს გისურვებთ, თამაზ.

— თქვენც ნატო, თქვენც, — შერე თამაზს რალაც მოაგონდა და შეეკითხა: — მაგრამ, ნატო, როგორაა თქვენი კინოთეატრის პროექტი, მალე იქნება?

— პროექტი თითქმის მზადაა, მაგრამ ისე არ მინდოდა ჩამებარებინა, თუ თქვენ არ ნახავდით.

— ნატო, თამაზი კვირას შინ იქნება და გთხოვთ მობრძანდეთ, — ჩაერია ლევანი.

— ჰო, მართლა, კვირას დისერტაციის დაცვის გამო სადილი გვაქვს და გთხოვთ მობრძანდეთ, კარგი იქნება თუ ორი საათით ადრე შევხვდებით ერთმანეთს, აგრე, სამ საათზე. პროექტის გასინჯვასაც მოვასწრებთ, — უთხრა ქალს თამაზმა. — გმადლობთ, — უპასუხა ნატომ, დაემშვიდობა და თინას გაჰყვა.

„აი, ვინ ყოფილა. ისევ ის ნატო! ყველაფერი ცხადია, — გაიფიქრა შეჯგუფებული ხალხის უკან მდგარმა თამარმა, როცა თამაზთან მისული ნატო დაინახა და მათი საუბარიც კი გაიგონა. შემოტრიალდა, უცხად გაბრუნდა, დარბაზი დატოვა. გარეთ, რომ გავიდა, ფერი არ ელო. თვალებს რალაც გამწარებით აბრიალებდა, თითქოს ჩიხში მოემწყვდა და გამოსავალს ეძებდა: „ახლა საით მიდინარ, თამარ? უფსკრულში? რა გინდა უფსკრულში, უკეთესია იქ, შინ წადი, შინ, თუ ძალა გეყო“ — უთხრა თავის თავს და ქუჩაში გავიდა. ნაბიჯს ხან აუჩქარებდა, ხან სულაც ჩერდებოდა, მერე იძალბებდა და მიბანდალებდა. „ანიკომ რომ მიჩნია, პორფილეს გაყვივო, განა სწორს არ მეუბნებოდა? ჩემი შესაფერი ისაა. ახლა რალა გზა მაქვს სხვა!“ — ბოლმით ეუბნებოდა თამარი თავისთავს, როცა თითქოს სხვის ბინაში შესასვლელ კარებს აღებდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც თამაზი და მისი ამხანაგები მანქანაში მსხდნენ და ლომციხისაკენ მიჰქროდნენ.



დილით ლევანს ადრე გაეღვიძა. თვალი რომ გამოახილა, მშვიდი, ზომიერი სუნთქვა შემოესმა და გული აუჩქროლდა. რამდენი ხანი იყო გასული, რაც ჩაძინებული ძმის სუნთქვა არ გაეგონა. საოცარი, გულის ამაჩუყებელი სითბო იდგა ოთახში. ლევანმა დაბალი ხმით სიმღერა წამოიწყო:

„ჩემო ციციანათელა რად დაფრენ ნელა-ნელა...“

და უცხად მეორე ხმაც შემოესმა, რომელიც მის ხმას აპყოლოდა. ლევანს თავი სიხმარში ეგონა. თვალი დააქცევა და დაინახა, რომ ეს მისი ძმა, თამაზი იყო.

— თამაზ, თამაზ! — დაიძახა მან.

— იმღერე, ლევან, რამდენი ხანია, არ გვიმღერია, — წამოეშველა თამაზი.

— ახლა კი გავიხარე და ვიმღეროთ, თამაზ!

მათ სიმღერა განაგრძეს.

თითქოს ჩიტის ბარტყი ჩაუსვეს გულში, ისე ფართხალებდა, ფეთქავდა ლევანის გული.

სიმღერა რომ დაასრულეს, ლევანმა, როგორც ბავშვობისას იცოდა, კედელზე ტიტველი ფეხები შეჰყარა და წამოიძახა:

— გახსოვს, თამაზ, სოფელი? დილა, ჩვენი ბავშვობა! როცა თვალს გავახედდით, კედელზე აგრე ფეხებს შევეყრიდით, მერე ლოგინიდან ვისკუპებდით და ტანზე ჩაცმას ვიწყებდით...

თამაზი ჩუმად იღიმებოდა.

— ახლა კი დროა საშხადისს შეეუღვით, სტუმრებთან არ შევრცხვებით. შენ, თამაზ, სადგურში დედას დაუხვდი, მე კი აქ დავტრიალდები და სადილს გავაწყობ.

ადგნენ, ტანზე ჩაცმა დაიწყეს, ისევ სიმღერა დააგუგუნეს.

მალე თამაზი დედის შესახვედრად წავიდა სადგურში, სახელოებდაკაიწებულ ლევანი კი შინ ტრიალებდა. მას ცილა, ცისანას დედა, თვითონ ცისანაც და ტერეზაც შველოდნენ; ასუფთავებდნენ, ალაგებდნენ ოთახებს, ამზადებდნენ საკმელებს, გამკვირვალე ჭურჭლებში ასხამდნენ სასმელს.

ცისანამ დანამული, თეორი ვარდები შემოარბენინა ოთახში.

— სტუმრები მოვლენ, სიმღერა იქნება! — იძახდა ის.

თამაზი დაბრუნდა. დედა მოიყვანა.

ლევანი ბავშვივით მიეგება დედას.

— დედი, მუდამ აგრე გაგვახარე შენი სათნო თვალებით და ამ მაღლიანი, გამხდარი ხელებით! — მიაძახა და მშობელი გულში ჩაიკრა.

— იცოცხლეთ, შვილებო! — უბასუხა მას დედამ და თოვლივით გათეთრებულ თავზე ხელი დაადო.

მაგიდა რომ გააწყვეს, დედამ ჩემოდანი გახსნა, ფორთოხლები ამოალაგა და მაგიდაზე დააწყო.

— დედამ ჩვენი სოფლის დოვლათითაც გააშუქა სუფრა, — იძახდა ლევანი.

თამაზი თავის ოთახში გავიდა. ის რაღაც ფიქრებს შეეპყრო. დივანზე დაეშვა. თავისი ცხოვრების ომისშემდგომ გზას თვალი გადაავლო. ბოლოს ახლანდელ მდგომარეობას ჩაუკვირდა გონების თვალთ. ყველა მეგობრის რჩევა-დარიგებაც მოიგონა და თავისთავს ჰკითხა: „განა მე მართლა ბერი ვარ? განა მეც ადამიანის შვილი არა ვარ? რაღას ევლოდები? სანამდე უნდა ვიარო აგრე მარტოხელამ, უშვილიძრომ? საცაა მოვა და... თუ ქალის ერთგულება არსებობს, ის ნატოშია, მას ვერავინ შეედრება. მხოლოდ ნატოს შეუძლია დაჩრდილულ გულს შუქი მოჰფინოს“, — გადასწყვიტა მან, მაგიდასთან მივიდა, ნატოს სურათი ამოიღო, დააჩერდა, მაგიდაზე დადგა და გაუღიმა.

ახლა საოცრად მიმზიდველი ეჩვენა პავლეს მიერ შესრულებული პორტრეტი. ის ცოცხალივით შემოსცქეროდა ცისფერი, ჭკვიანი თვალებით. თითქოს

მოდიოდა, მისკენ იწვევდა, ახლოვებოდა და თან დაუშრეტლდებოდა მისკენ.

კარი გაიღო. ცისანა შემოვიარდა.

— „ძია თამაზ, ოქროსფერი ქალიშვილი მოვიდა!“ — წამოიძახა გოგონამ.

წამიც და, კარის ზღურბლზე ნატო გამოჩნდა. უმაღლე დაინახა თავისი სურათი, რომელიც მაგიდაზე ედგა თამაზს.

— ეს ქალი ვინაა თამაზ? — მაშინაღორღ იკითხა მან.

— თამაზ! — დაიყვირა ნატომ და უეცრად მოსხლტა, თამაზის ხელს დაწებდა, დაეყრდნო.



სალამო იყო იმ დაწესებულებაში, სადაც თამარი მუშაობდა, ერთი საბეჭდო მანქანის ხმა ისე ისმოდა, განუწყვეტელი კაქუნით, თითქოს რომელიღაც შორეულ ხმელეთს აცნობებდა იგი: „მე ცოცხალი ვარ, კუნძულზე გამოვირიყე და მომეშველეთ“. ამ ცნობის გადამცემი იყო თამარი. მისთვის რაღაც საშუალო მიეცათ და ახლა სამსახურის შემდეგ ბეჭდავდა. ახლა მას ნინოს ამასწინანდელი ჩამოსვლა ედგა თვალწინ. ნინომ ბავშვებიც ჩამოიყვანა კახეთიდან. მზე ამოსულიც არ იყო, შინ რომ მოვიდნენ. ფანჯრები დააღეს, იქაურობას შუქი მოჰფინეს, სიცოცხლე მოიტანეს და თითქოს დაყრუებული კედლებიც კი გამოალღიძეს. ბავშვების ხმაში თამარს თითქოს ესმოდა: „სადაც ჩვენ ვართ, იქ სიცოცხლეა“.

ამ დროს, თითქოს ხმელეთიდან, საპასუხო ზარიც გაისმა.

თამარი მივიდა, ტელეფონის მილი აიღო. ანიკო ურეკავდა. მისი ხმა აქ ჩამოვარდნილ სრულ სიჩუმეში გარკვევით ისმოდა.

— თამარ, რაღაც უნდა გითხრა. შინ მალე მოხვალ?

— სასწრაფოა?

— სასწრაფო არაა, მაგრამ საქმე სერიოზულია.

— კარგი, ანიკო, მოვალ, მაგრამ ვიცი, რას მტყვი.

— რა, იცი? — შეეკითხა ანიკო.

— თამაზი დაქორწინდა და ამის თქმა გინდა.

— ჰო... შენთან სხვა საქმე მაქვს...—

გაისმა ყურმილში, მაგრამ თამარმა დასდო იგი, ლასლასით მივიდა კაჩხასთან, პალტო ჩამოიღო და იქავე დაჯდა, რადგან ჩაცმის თავი აღარ ჰქონდა, მაგიდაზე სახით დაემხო. თვითონაც ვერაფერი გაეგო რა ემართებოდა. გაქირებებით წამოდგა, პალტო ხელის კანკალით ჩაიცვა, ქული დაიხურა, და გარეთ გამოვიდა.

ქუჩაში უჩვეულოდ აქჩარებული ნაბიჯით მიდიოდა. ყურადღებას არავის აქცევდა. მისთვის უკვე სულერთი იყო, ვინ რას იტყოდა, რას იფიქრებდა. კარი გააღო, მაგრამ მოხურვა დაავიწყდა. ოთახში რომ შევიდა, მიმოიხედა: მიხვდა, მოესულეარო და შუქი ანთო. უცებ რაღაც მოისაზრა მეორე ოთახში შეირბინა. იქ, კუთხეში, ვინ იცის რამდენი ხნის მიტოვებული მამისეული ჯოხი აღო, ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა და მით უვნებლად გადარჩენილი სუნამოს კოლოფებსა და შუშებს დაერია. ყველა მიღეწ-მოღეწა, იატაკზე დაყარა, მერე ჯოხიც იქვე მიაგდო და თვითონაც ტახტზე დაემხო.

ანიკო შემცბარი შემოვიდა კარლია ოთახში. იატაკზე სუნამოს დამსხვრეული კოლოფები შენიშნა, რაღაც ხმა შემოესმა.

„არ მინდა, არ მინდა!“ — ჩურჩულებდა საღდაც სხვა სამყაროში გადაეარდნილი თამარი.

ანიკო მიუახლოვდა თამარს, ხელი მოჰხვია, თავი აუწია:

— რა გემართება, გაჩუმდი, თამარი! — ჩასძახა ყურში.

მას გაგონილი ჰქონდა, ზოგიერთ გიგს

დატუქსვა შევლისო და სწორედ ამ ხერხს იშველიებდა ახლა.

— აღარ მოისვენებ? შენ ისტერიკებიც არ დასრულდება? — განაგრძობდა ანიკო, — ამოდენა ქალი ხარ და ბავშვით იქცევი! გაახილე თვალები, პირდაპირ შემომხედე სახეში, რას გავხარ თუ იცი!

თამარი შეჩერდა, ხმა გაიკმინდა, თვალი გაახილა და ანიკოს რომ შეხედა, ისევ იყვირა:

— არ მინდა, არაფერი არ მინდა თავი დამანებე, ანიკო!

— რას ამბობ?!. თავი რომ დაგანებე, სწორედ მაშინ გაგიყდი და ახლა გაგიყებულს პატრონობა ჰქირდება! დაჩუმდი, ხმა ჩაიკმინდე, აქეთ მომხედე!

— რაღა გინდა, ანიკო? — უკვე მორჩილად შეეკითხა თამარი.

— შენი უბედურება დღესვე უნდა დასრულდეს. ამას იქით გზა აღარაა და ისევ შენს კეუაზე აღარ გატარებ!

— მაშ რა ვქნა, ანიკო? მე ბრმად გენდობი, წყალში რომ მიაგდებდე, ჩემზე ახი იქნება და უხმოდ გაგყვები, — უთხრა თამარმა და ანიკოს უსუსურ ბავშვით მიაჩერდა თვალებში.

— ამას წინათ ჩემი აზრი გითხარი და ახლაც გეუბნები: გაჰყევი პორტილეს. კარგად შეგინახავს, მოგივლის, შეგიძლია ოჯახიც შექმნა თვითონაც არ არის ცუდი კაცი. სხვა რაღა გინდა!

თამარმა წამოიწია, დივანზე წამოჯდა და ანიკოს რაღაც გამკვეალავი ხმით შეეკითხა:

— ამას მართლა მირჩევ ანიკო?

— მე გირჩევ, გირჩევ! — ისევ დაუყვირა ანიკომ, — არა და, გაჰყევი გენრიეტას და სხვის ლუკმას მიჩვეულ ფინიებივით იწანწალეთ ქუჩაში! ახლა გადაწყვეტით მითხარი, რას ფიქრობ, ხარ თუ არა თანახმა?

თამარმა უსიტყვოდ დახარა თავი და მეგობარს ამით თავისი თანხმობა ამცნო.



იოსებ დალიაშვილი სანფრანცისკოში

(ნაწყვეტი მეორე წიგნიდან)

სანფრანცისკოს საუკეთესო ქუჩას მონკენსტრიტი ეწოდება. ამ ქუჩაზე მდიდარ ამერიკელთა გრანდიოზულ სასახლეებთა შორის თვალწარმტაცი შენობა სასტუმრო ჯენსკეტს აქვს დათმობილი. მის წინ სამკუთხედი სკვერია გაშენებული. მარმარილოს შედრეკნებიდან ამომსკდარი შხეფები წვერილი აღმასებრებით ეპკურება მცენარეულობას. ყვავილთა სურნელება შორს ტალღებად იფანტება. ტროტუარზე მოფუსფუსე ხალხი ერთმანეთს გზას ძლივს უქცევენ. ფეხსაცმელთა ჩლატუნა და ქუსლების განუწყვეტელი კაკუნის ამ გვიანობამდე არა წყდება.

ერთ დღით ამ სასტუმროს გაბრიალებული ეტლი მოადგა. წელში გადაზნექილმა მეეტლემ პატარა ტანის ფიცხი ცხენები, მუსტანგები, სასტუმროს კარებთან ძლივს შეაჩერა. ეტლიდან მეზღვაურები გამოვიდნენ.

იმ ხანად სანფრანცისკოს მცხოვრებლებს მეზღვაურები ძლიერ უყვარდათ და განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ. მეზღვაურების დანახვაზე მოსეირნე ხალხის ტალღა შუა გაიყო და გაოცებულებმა მეზღვაურები კარებამდე მიაცილეს. ერთ მალალ, მშვენიერი სახის ვაჟკაცს გაშლილი მხარბეჭი ისეთი იერით მოჰქონდა, რომ აღტაცების და სიამოვნების გრძნობას იწვევდა.

— აი, ეს შესისი! ნამდვილად ტიტანის მსგავსია, თანაც რა ლამაზია!

— პირდაპირ სრულყოფილი ადამიანის ზმანებაა.

— ღმერთო ჩემო, რა თვალებით

იციქრება, რა შუბლი და პირის ბაგე ჰქონდა!

— პარნასის ღმერთის განსახიერებაა, რამ შექმნა ასეთი მშვენიერი?

— ნეტა რა ეროვნებისაა? — ჩერჩულთ აღმოხდა ხალხს აქა-იქიდან.

მეორე, საშუალო ტანის მეზღვაური, მრავალთა მსგავსი იყო: პირმრგვალი, ქერათმიანი, ნაცრისფერ თვალეში ეშმაკური ღიმილი უკრთოდა. აღბათ ხალხის მსუბუქი საქციელი იწვევდა ამ ღიმილს. მის ფონზე მალალი და ლამაზი მეზღვაურის მშვენიერება უფრო ძლიერ იკვესებოდა. კბეზე ასვლის დროს ხალხი აშკარად ფართო გზას უთმობდა. მეორისაგან კი იხრებოდა და გასავალს უფიქრობდა.

მეზღვაურების დანახვაზე სასტუმროშიაც დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. სასტუმროს პატრონი ის იყო ბანკიდან დაბრუნებულიყო. მას ჯერ სასტუმროში ფეხი არ შეედგა, რომ მრავალმხრივ მიახარეს:

— თქვენ სასტუმროში საზღაპრო სილამაზის მეზღვაური მოვიდა და ქვეყანა გააოცაო. ეს უცნაური ზმანება იაპონიის გემს ჩამოჰყოლია და, ამბობენ, ისეთი განათლებულია, ოცდაოთხ ენაზე ლაპარაკობსო.

სასტუმროს პატრონმა სიამოვნებით წარბები ზევით აძაგრა, უცებ თავში რალაცა აზრმა გაურბინა, ხმა არავისთვის გაუცია, გატრიალდა, კაბინეტის კარი შეაღო და შევიდა.

მეზღვაურთა მოსვლის ამბავი ყველაზე უწინ სასტუმროს ბუხპალტერიში შეიქრა. მთავარმა ბუხპალტერმა,

ახალგაზრდა, ფერმკრთალმა კაცმა მხრები ოდნავ შეათამაშა, კალამი დადო, მთრთოლვარე ხელი თავზე. მძიმედ გადაისვა და ციფრებით გადასერილ ქაღალდს ისევ მალე დაუბრუნდა. თავი დიდხანს ზემოდ აღარ აუღია, ოღონდ დამაბული ყურადღებით უსმენდა მათ ლაპარაკს.

— არასოდეს იმისთანა სახის კაცი არ მინახავს, იტალიელია თუ ფრანგი, არავინ იცის, ის, მეორე, პირმრგვალი კაცი, — განაგრძობდა მონაგარიშე ახალ ამბავს, — ნამდვილად ან გერმანელია ან რუსი.

ამის გაგონებაზე მთავარ ბუხპალტერს გააყრეოლა. მან იგრძნო, რომ გაფითრდა, ძირს დაიხარა, კარადის ყუთი გამოსწია, რომ იქ მომუშავეთ მისი სახის ცვლილება არ შეემჩნიათ. რუსის ხსენებაზე მას გულის სიღრმეში ძველი ეჭვები აღეძრა და შინაგანმა თრთოლვამ შეიბყრო.

— იაპონიის გემი, რუსი მეზღვაური... რაც აქ, ამ სასტუმროში ვარ, რუსის ხსენება არა ყოფილა და... ვინ უნდა იყოს?... იქნებ მომავლეს და ახლა კი სიკვდილის მეტი აღარაფერი არ მიხსნის, — გაფიქრა მან და თან გულს შეუტია, ომახიანი სახე მიიღო.

— სახალინზე ისევ ზუნდებით დაბრუნებას. გაქცევის გულისათვის კი ოთხმოცდა ათი როზგის მიღებას, იმ ამყრალბულ და პირუტყველ გარემოში ჩავარდნას სიკვდილი მიჩვენია. ასეც მოვიქცევი. — უცებ გადაწყვიტა მან და ოდნავ დაწყნარდა. გუნება მოშხამულმა ბუხპალტერმა კალამი ისევ აიღო ხელში, მაგრამ ციფრები აღარაფერს ეუბნებოდნენ, გული მოუსვენრობით აევსო. ადგა და გარეთ გავიდა. ამ მუდამ უსიტყვო კაცისათვის არაფერი არ შეუშინევიათ და არცთუ მისი გასვლისათვის მიუქცევიათ ყურადღება. სასტუმროს პატრონმა თავის კაბინეტში ცეცხლგამძლე ყუთიდან საჭირო საბუთები ამოიღო და საათს დახედა.

„არა, ჯერ ადრეა. ისინი აბაზანას

შიღებდნენ, „ისაუზმებდნენ, შორეული მხრიდან მოსულნი აღბეჭდასგენებდნენ კიდევ“, — გაფიქრებულმა და ისევ ქაღალდებს ჩაუჯდა.

სამი საათის შემდეგ სასტუმროს პატრონი ოცდამეხუთე ოთახის კარებთან შედგა და ფრთხილად დააკაკუნა. კარი გაიღო და მის წინ მშვენიერი სახის ვაჟკაცი რომ აღიმართა, სახეზე გაოცება და სიამოვნების იერი აღებეჭდა. უცხო კაპიტნის თვალების კეთილშობილურმა გამომეტყველებამ, დარბაისლურმა სიღინჯემ და არისტოკრატიულმა თავაზიანობამ მთლად მოხიბლა სასტუმროს პატრონი. მრგვალ მაგიდას მოუსხდნენ და საუბარი გააბეს. როცა სასტუმროს პატრონმა გაიგო, რომ კაპიტანი რუსეთიდან იყო წამოსული, მორიდებული კილოთი ჰკითხა:

— თქვენს ქვეყანაში, მგონი ახალი მოძღვრების სუნი ტრიალებს და დღითიდღე ძლიერდება... მართალია? — გამომწვევრ თვალებით შეხედა კაპიტანს. კაპიტანმა მშვიდად მიიღო ეს გამოწვევა და ფარული სიამაყით უპასუხა:

— დიახ, მართალია. თქვენც დამეთანხმებით, რომ სწორედ მას და მის გარემოებას მოეთხოვება ახალი ცხოვრების მესვეურობა და ბრძოლით ლელოს გატანა.

ამ სიტყვებზე სასტუმროს პატრონმა უღვაშებში ჩაიციინა და ირონიული ღიმილით ჰკითხა:

— მერე, რუსეთის იმპერატორი, თავისი მრავალმილიონიანი არმიით რომ აბობოქრდება, მაშინ?

— დიახ, ეს ასეც ხდება. საამაგიეროდ, ცხოვრების ახალი ავანგარდი უარესად აზვირთდება, ძველს დაუპირისპირდება და გამარჯვება იმისი იქნება, ვინც ძლიერი აღმოჩნდება. ცხოვრებაში, ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ ახალი ყველაფერი გამძლე და ძლიერია და ჯერაც იმისია.

კაპიტანმა სასტუმროს პატრონს ისევ შეხედა, რომ უკანასკნელმა გაიფიქრა: ეს არწივის თვალებით მომზირალი კა-

პიტანი, უეპველია, ახალი იდეებით გაქვნილია და, თუ ოკეანეთა ზედაპირზე ამგვარი გედები თავისუფლად და უღრტივებლად დაიწყებენ ცურვას, კაცობრიობა ამ ახალი სენისაგან უზრუნველი არ იქნება. ვინ იცის, მათი შიკრიკები ქვეყნად ახლაც რა სახით დაძრწიან. სასტუმროს პატრონს თავისი მთავარი ბუხალტერის სილუეტი უცებ თვალწინ აეტუზა. იგი ოდნავ შეიშმუშნა, ფეხი ფეხზე კოხტად შემოიღო და გალიმებული თვალებით მიმართა:

— ბატონო კაპიტანო, ერთი სათხოვარი მაქვს და, თუ ნებას დამრთავთ, მოგახსენებთ.

— დიდი სიამოვნებით, აბა მიბრძანეთ, — ლამაზი ქესტით უბასუხა კაპიტანმა.

„ეს ნამდვილად მაღალი წრის შეილია და აზროვნებით კი დემოკრატი“, გაიფიქრა სასტუმროს პატრონმა.

— ბატონო კაპიტანო, თქვენ ორჯერ შემოგვივლიათ ქვეყანა, — განაგრძო მან, — და ალბათ მრავალი ენა იცით, დახმარება უნდა გამოიწიოთ: ჩემს სასტუმროში, — დაიწყო მან უფრო მორიდებით, — ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი ბუხალტრად მუშაობს. აგერ, ორი წელიწადია შესანიშნავად ასრულებს თავის საქმეს, მაგრამ სულ ჩუმიად არის, კრინტს არა სძრავს, მისი ხმა ჯერ არავის არ გაუგონია, რასაკვირველია, ის მუნჯი არ არის, ინგლისური ენაც ალბათ კარგად ესმის, რადგან შეკითხვებზე საბუთებს ცოცხლად აგებებს ყველას ხელში. მაგრამ ხმას მაინც არ იღებს და აი, მე გთხოვდით, რომელიმე ენაზე გამოლაპარაკებოდით, იქნებ როგორმე აგემტყველებინათ, ძლიერ საინტერესოა, რა აიძულებს, მუნჯად რომ არის, ან იქნებ ნერვული ტრამვა აქვს მიყენებული, იქნებ...

— ეგ სულ ადვილი საქმეა, — თავაზიანად შეაწყვეტინა სიტყვა კაპიტანმა. — ჩემთან რაიმე საქმეზე გამოგზავნეთ, ოღონდ არავინ არ შემოაყვეს, უმოწმოდ სჯობს გამოლაპარაკება და

თუგინდ, ცხრამეტ ენაზე გამოველაპარაკები, თუ აქედან რაიმე გეწყობა...

ამით გათავდა მათი ლაპარაკი. ორთვე შეთანხმდნენ.

დილის თერთმეტ საათზე მთავარი ბუხალტერი კაპიტანს ეახლებოდა ნომერში.



გულში ჩამდგარი შიში ბუხალტერს ოკეანესავით უღულდა, როცა იგი მეორე დღეს თერთმეტ საათზე კაპიტანის კარის წინ იდგა. ასევე მძლავრად უღრტივავდა გული, როცა იგი 1886 წ. 24 მაისს სემინარიის სქელ კედლებს შორის ჩუდეცკის კარზე უეკუნებდა. მაშინ ბასრი ხანჯალი შურის საძიებლად ჯიბეში იმედად ეღო, ახლა კი დაქვევებული ვაჟკაცი ხელცარიელი იდგა და არ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო. კარი მალე გაიღო და იოსები დირზე თითქოს გაქვავდა. ფეხი ველარ გადადგა, მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი ვაჟკაცი თავაზიანი ღიმილით ოთახში იბატყებდა. ბოლოს ჩაგონებულვით შევიდა და კაპიტანს თვალს მაინც ვერ აშორებდა. ორივეს ურთიერთის გამოცნობა სურდათ: კაპიტანს მისი დანახვით ცნობისმოყვარეობა და სიბრაღული გაუძლიერდა, იოსებს კი შინაგანი ხმა გულს უფლეთდა:

— ნუთუ ეს მშვენიერი ვაჟკაცი ამ ქვეყნად იუდას სულით დაიარება. გულში რა გიღვეს, ჩემი ქვეყნის წარმოშობილს რომ ჰგავხარ? განა შენ უნდა გახდე ჩემი ჯალათი? ყოველი მისი სახის ნაკეთი ჩემს სანატრულ სამშობლოს მაგონებს. მისი მზერა ჩემი მიწა-წყლის სურნელებას მიღვიძებს, მაგნიტივით მიზიდავს იგი, აი, ისევე, როგორც დილაადრიან ლიხვის გიჟური ხმაური და მისი ცვარდაბურებული ჰალეები მიხმობდნენ ფეხშიშველა ბიქს, და მეც გავრბოდი თავიერის მტვრევით. რა ვქნა, თვალს ვერ ვაშორებ,

თუგინდ ჯამში იყოს, მივვარდები და გულში ჩავეკვრები... — ასე განგაშებდა მის გულის სიღრმეში შინაგანი ხმა, სიხარულისა და სიმწარის ცრემლი კინაღამ თვალებზე მოადგა, მაგრამ მუდმივმა სიფრთხილემ იოსები გონს მოიყვანა, შეთავაზებულ სავარძელში ჩაჯდა და დამშვიდებული თვალებით დაუწყო ცქერა.

— თქვენ დიდი ხანია აქ მუშაობთ? — ლობობიერი კილოთი ჰკითხა კაპიტანმა ფრანგულად და მის პირდაპირ ღრმა სავარძელში ჩაჯდა. იოსებმა კრინტი არ დაძრა, თითქოს იმას არ ეხებოდა ეს კითხვა, ისეთი თვალებით დაუწყო ცქერა. გულში აღძრული ძახილი კი ყურებს უყრუებდა.

ნუთუ ეს მშვენიერი სახის პატრონი შხამით დაგესილია, იუდას კერძია, ჯამშია, დაუნდობელი ჯამშია?!

— ამერიკელი ბრძანდებით, თუ სხვა ქვეყნიდან ხართ მოსული? — ამ შეკითხვაზე იოსები მთლად ქანდაკებდა იქცა.

— იქნებ თქვენ ფრანგული არ გესმით, მაშინ ინგლისურად ვილაპარაკოთ. — რამდენი წელიწადია რაც აქა ბრძანდებით?... რად გაფითრდით ცუდათ ხომ არა ხართ? — კაპიტანს კილო უფრო შეურბილდა, თვალბში სიკეთე აუციალდა.

— ო, ღმერთო ჩემო, რად მტანჯავ, ასეთი სახის გამომეტყველება ასეთი კეთილშობილური თვალბის პატრონი ნუთუ გულით გესლს ატარებს? არა, არა, მისი სახის მშვენიერი ნაკეთები ჩემი ქვეყნის მზისა და მთვარის შუქით შეფენილსა ჰგავს... ო, როგორ ვიტანჯები, ღმერთო მიხსენი!..

— მიპასუხეთ, ყმაწვილო, ინგლისური ენა რომ ვერ აითვისეთ, რა გიშლიდათ ხელს? სასტუმროს პატრონი წუხს, ორი წელიწადია აქ არის, ძლიერ კარგი მომუშავეა და არა ლაპარაკობსო, რა მიზეზია?!...

ამ კითხვაზე იოსებს უარესი ექვები აღძრა, წლები გამოუანგარიშებიათ და ალბათ ისიც იციან, საიდან მოვედი აქა...

იოსებს უარესად გაუშტერდა თვალები.

— დავეშვათ, რომ ინგლისური ენა არ იცით, თქვენ ხომ ყრუ-მუნჯთა დაწესებულებაში არა მუშაობთ, რომ მუდამ მუნჯის მიმიკით იოლად წახვიდეთ?

იოსები გაყინული თვალბით მიაშტერდა.

— ეგრე რად გამტერდით? — მცირე დუმილის შემდეგ ჰკითხა კაპიტანმა და ახლა სპარსულ, იტალიურ, გერმანულ ენებზე დაუწყო ლაპარაკი და, რაკი არც ერთმა ენამ არ ამეტყველა, მერე გადაჭრით უთხრა:

— მე ვხედავ, ჩემო ძამია, რაღაცა განზრახვით მუნჯის როლს კისრულობთ, მაგრამ როდემდის გაგყვებათ მოთმინება და ნებისყოფა?.. ალბათ დიდ საიღუმლოებას მალავთ.

ამ სიტყვებზე იოსებს მართლა გმინვა აღმოხდა გულიდან და თვალბში ისეთი მწუხარება აღმეტყველდა, რომ კაპიტანი მეტად შეძრწუნდა, მაგრამ მაინც გაიმეტა და ისევ ინგლისურად მიმართა:

— იქნებ ვინმეს ემალდებით, იქნებ რაიმე განსაცდელს გაურბით და იმიტომ სდუმხართ? — კაპიტანმა ამ სიტყვების გავლენას დააცადა, მაგრამ რაკი იოსებმა არავითარი ცვლილება არ შეიმჩნია, კაპიტანი მაგიდას ნიდაყვებით დაეყრდნო, ახლოს მიიწია და დაბალი და მეტად რბილი კილოთი უთხრა:

— როდემდის გინდათ ასეთ წამებას გაუძლოთ. უნდა კი გითხრაო, დიდ ცეცხლში ჩაგიგდიათ თავი. ოდესღაც ხომ უნდა აღიაროთ, გამოამკლავნოთ თქვენი მდგომარეობა, მოდიოთ და პირველად მე მენდეთ, მენდეთ, როგორც თქვენს ძმას. ჩემი პირი სამარედ გადაიქცევა თქვენი საიღუმლოებისათვის. მითხარით, რა გიჭირთ, იქნებ შემეძლოს რითიმე დაგეხმაროთ.

იოსებს ამ სიტყვებმა გულზე ცეცხლი წაუქიდა, შინაგანმა თრთოლვამ შეიპყრო, თითქოს ბეწვზე ეკიდა მისი ბედი, მაგრამ იერი მაინც არ შეიცვა-

ლა, კრიკა უარესად შეიკრა, სიტყვა რომ არ დასცდნოდა, მიუხედავად იმისა, რომ გული ისევ წინანდებურად განგაშებდა:

— არა, არა! ეს ქანდაკების მოთაფლულ-შხამიან სიტყვას არა ჰგავს, შემპარავი და გაიძვერული მათი მეტყველებაც ხალხში მუდამ ზიზღს იწვევს. თვითთული ბგერა მათი სიტყვისა ხანჯლის წვერივით ესობა გულს. ეს კი გულის სითბოს იწვევს, მალამოდ ედება მოუსვენარ ფეოქვას... მაგრამ ვაითუ ანკესზე წამოვეგო. ღმერთო, ნუ გამწირავ, მიშველე... — იოსები წაბარბაცდა, ნაბიჯი ოდნავ წინ წადგა, სავარძლის საზურგეს ხელით დაეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო. სიმწრის ოფლი შუბლზე ცვრებდად გამოჟონა, მაგრამ კრინტი მაინც არ დასძრა, თავი ისევ შეიმავრა. კაპიტანმა ველარ მოითმინა, სავარძლიდან წამოდგა, მაგიდას მოშორდა და ამღვრეული გუნებით ქართულად მიმართა:

— ვინ ხარ, შე რჯულძაღლო, პარზე კლიტე რად დაგიდვია, რას მაწვალებ?

ახლა კი შეტორტმანდა იოსები, ხელები გაშალა, კაპიტანს კისერზე მოეხვია და აქვითინდა. კაპიტანი აფეთქდა: დიდი ხიფათის დროს ოკეანეზე და ხმელეთზე ასეთი ბობოქარი გრძნობა არასოდეს არ განუცდია, როგორც აქ, უცხოვრად გადმობხეწილი უცნობი ადამიანის მწუხარებამ გამოიწვია.

— ღმერთო ძლიერო!.. ჩემი სამშობლო. ქართული ენა... ეს სიხმარია, თუ ცხადლივ მესმის, — ძლივს ამოილულულა იოსებმა და მეტი მღელვარებით ძალა გამოცლილი, დაეცემოდა, კაპიტანი დროზე რომ არ მიშველებოდა.

მან იოსებს წელზე ხელი შემოხვია, სავარძელი ფეხით სწრაფად მიუბრუნა და ფრთხილად დასვა, ტიქაში წყალი დაუსხა და მიაწოდა. იოსები ცახცახებდა და კაპიტანს ხარბად შესცქეროდა. კაპიტანმა იოსებს თავზე ხელი მზრუნველობით გადაუსვა და წყნარად უთხრა:

— შესვი წყალი, შესვი, გულს გიპოვნისო.

იოსებმა ძლივს ამოილულულა: — წყალი არ მინდა, ჩემი ძვირფასი სამშობლო ენა კიდევ მომასმენინე და ის მომამბრუნებს, რამაც წელან სუნთქვა შემიხუთა.

— ვხედავ, რომ ქართველი ხარ, — შთაგონებით უთხრა კაპიტანმა, — მაგრამ ქართველ კაცს ეს ამბავი რომ არ უხდება? ქართველური სიმტკიცე და სიმხნევე რა უკუღმართობამ დაშრიტა შენში? „პირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიციკირსაო,“ — ხომ გაგიგონია ჩვენი დიდი რუსთაველის მოწოდება!

რუსთაველის ხსენებაზე იოსები უფრო ათრთოლდა, აკანკალებული ხელით უბე გაიხსნა და რეზინის პარკში შენახული ქართული ხელნაწერი გამოიღო. კაპიტანმა წვრილი ასოებით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ რომ იცნო, სახეგაბრწყინებულმა აღფრთოვანებით უთხრა:

— შენ, ჩემო ძმაო, წმინდა წყლის ქართველი ყოფილხარ და ახლა კი სავსებით მესმის შენი გულის აფორიაქება და დუღილი. საქართველოდან ალბათ დიდი ხანია უცხოეთში ხარ გადმობხეწილი და შენი გული ამ მოუნელებელ სევდას, სამშობლოს უნახაობის სევდას გაუნადგურებია. ჭეშმარიტად ძნელია ამ გრძნობის მონელება. მეც მაქვს მაგგვარი მწუხარება გულში ჩამდგარი. ორი წელიწადია, ჩემი ქვეყანა არ მინახავს და მოსვენება დავკარგე, უხილავი ჯაჭვით მეწვეა, მაგნიტივით მიზიდავს მისი ძალა და სიყვარული.

იოსებმა მწარედ ამოიგმინა, თვალეზი ცრემლებით აევსო და ენის მძიმე მოძრაობით ძლივს თქვა: — ოხ, ღმერთო ჩემო, სიხმარში ვარ, თუ მართლა ქართული სიტყვა მესმის?!

— ნამღვილად ქართული სიტყვა გესმის, ჭეშმარიტი ქართული! მეც ქართველი ვარ, ბიჭო, გვარად ქავჭავაძე, დიდი ილიას ნათესავი, სოფელ ყვა-

რელში დაბადებული და გაზრდილი. შენ ალბათ ილიას სახე და სახელი გულისფიცარზე გიწერია!

ამის გაგონებაზე იოსები ხელმოკრედ მხურვალედ გადაეხვია და პატივისცემის ნიშნად მხარზე აკოცა. იოსები თრთოდა სიხარულით.

ქვეყნაძემ მარცხენა ხელი იოსებს მხარზე მოხვია, თვალბში ჩახედა და გასამხნეებლად უთხრა:

— ქართველი კი ხარ, ძალიან კარგი ბიჭიც ჩანხარ, მაგრამ ცხოვრების უკუღმართობას თავისი კვალი ძლიერ ადრე დაუმიწნევია. მოდუნებულხარ, ძმაო, და ევ არ გიხდება. განა რუსთაველის ამონაწერი გულზე იმიტომ არ მიგიკრავს, რომ მისი სიბრძნე გაკვირვების დროს შენი დასაყრდენი ყოფილიყო! აბა, ყური დამიგდე, ბრძენი შოთა რას გვეუბნება, — კაპიტანს ღიმილმა ბაგე გაუპო, თვალბში ცეცხლი დაენტო, ცალი ხელით ხელნაწერი შორიასლო დაიჭირა და პოეტური აგზნებით ზეპირად თქვა:

„არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა,
არ გადავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა,
წესი არის მამაცისა მოკირვება,
ქირთა თმენა,
არვის ძალუქს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“.

აი, ჩემი მიწა-წყლის შვილო, ეს სიბრძნე მე ძვალსა და რბილში რომ არ მქონდეს გამოჯდარი, მრავალი დაბრკოლების წინაშე გულსა და რწმენას წუთით რომ ეღალატნა, სიცოცხლეს სამოკვდერ წავაგებდი. ცხოვრება იშვიათად თუ ვისმეს ახარებს, მასთან ბრძოლა და სიკვრებე არის საჭირო. მაგრამ ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ,

ოქროსათვის გაგიყებულ ამ მშფოთვარე ქალაქში — სანფრანცისკოში როგორ მოხვდი? — კაპიტანმა ფურცლები იოსებს პარკში ისევ ჩაუწყყო შესანახად, მიაწოდა და ეშმაკური ღიმილით განაგრძო:

— ალბათ მოუსვენარმა ახალგაზრდულმა ძალამ შეგაცდინა და, ვინ იცის, რა ძნელი გზა განვლე, რამდენჯერ დავმე შენი ბედი, სანამ აქამდე მოაღწევდი?

იოსებმა თავი ოდნავ გააჩხია, წყალი კიდევ შესვა და მოღონიერებულმა კაპიტანს გულისხმიერებით უთხრა:

— მაშინ კი არა, ახლაც განუწყვეტლივ ვწყევლი ჩემს ბედსა და იღბალს, მაგრამ, ბატონო კაპიტანო, ვიდრე ჩემს ამბავს მოგიყვებოდეთ, ერთი ეს მიბრძანეთ, ამ ორი წლის წინათ, სანამ საქართველოდან სამოგზაუროდ წამობრძანდებოდით, ჩემი ტყბილი ბუდისათვის — ჩემი გორისათვის თვალი ხომ არ მოგიკრავს?

კაპიტანმა დაეჭვებული ღიმილით შეხედა იოსებს. იოსები მიუხვდა აზრს და თავი მძიმედ გააჩხია. თან სევდიან აღსაესე კილოთი უთხრა:

— თქვენ რომ მელაპარაკებოდით სულ გორის ციხე მიდგას თვალწინ. ლიახვის მხრივ მის დასავლეთ კალთაზე, სადაც ქვების ლამაზი არშია ძირამდე მოჰყვება კოხტად, აი, იქ ჩემი აღმზრდელი მოხუცი დიდდა დავტოვე და, ვინ იცის, ჩემმა ჯავრმა კიდევ იმსხვერპლა.

იოსებმა მძიმედ ამოიოხრა და თავი დაბლა დაჰკიდა. ამ დროს კარებზე ვილაყამ დააკაუნა.

— აბა, ჩემო იოსებ, — მიმართა მან ლალიაშვილს, — ქალაქში საქმე გვაქვს და შეიდი საათისათვის თავისუფალი ვიქნები, მოდი და გულდასმით ვისაუბროთ.



გალაღა საკუთარ ლექსებზე

თხუთმეტი წელი ლექსებსა ვწერდი...

ვწერდი და ვხევიდი...
ვხევიდი და ვწერდი
თხუთმეტი წელი...

ყველა ნახევი,
ყველა ნამღერი,
როგორც ბალები,
უკან დამდევდნენ თხუთმეტი წელი!

თვით
იმათ შორის
(ერთი და ორი?):

იყვნენ ლამაზნიც...
იყვნენ ფერმკრთალნიც...
წნორების სწორნიც...
ზოგნიც —
ალაზნის
ფშანის ლერწამნი,

თხუთმეტი წელი კალოს ვღეწავდი —
ვერ დავაბურე.

თხუთმეტი წელი საბანს ვკერავდი —
ვერ დავახურე.

თხუთმეტი წელი!

უკან დამდევდნენ
ფეხშიშველები ქვივლ-ხივილით...
მასსოვს,
რამდენჯერ
ჩამყვა ბურანში მათი ტირილი!

მათ არ ეგემათ: დედის რძის ხსენი,
ალუბლის წვენი,
ალუჩის წვენი...

თხუთმეტი წელი!
ზღამარტლით, ფშატით,
წინგოთი, კაკრით წაიხემსაედნენ.

ღუბელით, შრატით
და ნაგუბარით წყურვილს იკლავდნენ.

თხუთმეტი წელი...

ნეშოში,
ბზეში,
ეზოში,
გზეში,
ფულუროებში და ლობის ძირას
ზოგჯერ ეძინათ...

ეფინათ
მიწა,
სასთუმლად — მიწა,
საბნად —

კალია რასაც მომკიდა,
და ზოგიც გოგრის ფოთლებქვეშ იწვა
და კინკრაქები თმებს უკორტნიდნენ...

ზამთარ-ზაფხული:
ხან მომძახოდნენ,
ხან კი მომდევდნენ ისევ მღუმარედ,
ვით დღენაკლული
მისდევს მზეს მთვარე.

თხუთმეტი წელი ლექსებსა ვწერდი,
ვწერდი და ვხევიდი...
ყველა ნახევი,
ყველა ნამღერი,
როგორც ბალები,
უკან დამდევდნენ თხუთმეტი წელი!

ვერც გავიმეტე, —
ვერც გავაბარე,
ვერც მივატოვე, —



თორემ:
ამ ლექსებს,
რაც დამიბედეს,
დედობილთ,
დედებს
მეც ვუწოდენდი,
იყო მშველელიც,
მზრუნველი ხელიც..

მაგრამ,

მე
მაინც
მათ ვერ მოვცილდი, —
მღეროდა ყელი..,
და
ყოველ დილით
ისევ და ისევ თვალთ ვუკოცნიდი.

თხუთმეტი წელი:
ვერ გავიმეტე —
რაც დამიბედეს!

ასე მეგონა:
თხუთმეტი წელი
ლექსის დაწერა თუ ვერ ვისწავლე,
მათ დახევაში გავწაფე ხელი!

ასე ვიწვალე
თხუთმეტი წელი..

ბოლოს ველირსე, —
წამით,

წუთებით,
წლებით გავივსე!

როცა გავივსე
მე ჩემი ქვეყნის
მზით და სინედლით...
მისი სიმართლით...
მისი სინათლით...
მიწის და ზეცის,
მამულის მადლით...

მის განთიადით
და წმინდა სანთლით...
აწყობითი, ხვალით,
წყაროსთვალთ
და
წყაროსთაველის ოქროს თავთავით, —

მაშინლა მივხვდი:

თხუთმეტი წელი ლექსს რატომ
ვწერდი, —

ვწერდი და ვხვდდი
და ისევ ვწერდი...

რომ
გამებედა,
შენთვის სათქმელად,
სამშობლოვ — დედავ
მე ჩემი ხვედრი, —
თხუთმეტი წელი ლექსებსა ვწერდი!



პაპის ჩივილ-ღარიგებანი

ხაპარ კიუტბას ღარიბულ ფაცხაში
ქრაქი ოდნავ ბეუტავდა.

მიღეული ცეცხლის სუსტი ათინათი
სახეზე ეცემოდა ახალგაზრდა ქალს,
რომელიც კერასთან იჯდა დანადგლია-
ნებული და ქმარს ელოდა.

კოკისპირულად წვიმდა. წამით გაი-
ელვებდა ხოლმე და ფაცხა განათდე-
ბოდა. მერმე საღლაც მეხი დაიგრუხუ-
ნებდა. ამ დროს თითქოს ყველაფერი
ირყეოდა. შიში და გაურკვეველი მღელ-
ვარება ქალს სულს უხუთავდა. ქმრის
დარდი, უეხილი, რომელიც ასე ახლოს
და ხშირად ისმოდა, თვალისმომკრელი
ელვა და სიმარტოვე გულს უფორია-
ქებდა.

ქმარმა ძალიან დაიგვიანა.

შუალაშე უკვე გადასული იყო, როცა
ყურალესილ ქალს ნაცნობი ფეხის ხმა
მოესმა. წამოხტა, კარის ურდული გას-
წია და ხაპარმა შინ მძიმედ შემოაბიჯა.

ცოლმა ქრაქს სასწრაფოდ აუწია და
უცებ თავზარდამცემი ელდა ეცა: ქმარს
სახეზე მკვდრისფერი ედო, თვალებს
მოუსვენრად აციცებდა. მუდამ მზია-
რულ და სახენათელ კაცს ახლა
ისეთი მოღუშული შუბლი უჩანდა,
თითქოს დაბადებიდან ასეთი დარდიანი
იყო.

— სად იყავი? — ჰკითხა შეშინებუ-
ლი ხმით.

ხაპარი ქვასავით სდუმდა.

— სად იყავი ამ დროს, ჩემო სიცოც-
ხლევ? — ახლა უკვე ალერსით მიმარ-
თა ცოლმა.

თითქოს ღრმად მძინარე უცებ გამო-
აღვიძესო, კაცმა ძლივს ამოიღო ხმა:

— იქ ვიყავი... ტყეში...

— ტყეში? შენ მგონი ავად ხარ! —
საფიქრებელში ჩაეარდა ქალი.

— სრულუბითაც არა...

ცოლი კარგად დააკვირდა და შენიშ-
ნა, რომ ქმარს ჩოხაზე სისხლი ეცხო,
მაჯაც სისხლში ჰქონდა გასვრილი.

— ეს რა არის, დაჭრილი ხარ?

— ხელები დამაბანინე და ტანსაც-
მელი გამომიცვალე.

ქალმა თუნგს წამოავლო ხელი და
სასწრაფოდ დააბანინა ხელები.

— ასეთი რა შეგემთხვა, რა?

— არაფერი... ისე... — ორკოფუ-
ლად ამოღერდა ქმარმა.

— რა ღვთის რისხვია ჩვენს თავზე,
ალარ მეტყვი? რა უბედურებას გადაე-
ყარე, შითხარი, შითხარი!

ხაპარმა ისევე ბოქლომი დაიღო პირ-
ზე.

— ცოლს არ უმხელ შენი გულის
ხვაშიადს? მე არ უნდა ვიცოდე, რა
გიკირს?

ქმარმა თავი ასწია:

— თუ არავის ეტყვი...

— ვის უნდა ვუთხრა?!

— აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ,
ჩიმსა! — ხაპარმა წარბები შეიკრა. —
ეს რომ ვინმემ გაიგოს, დავილუპებით.

— რა მოხდა, სოქვი ბარემ, ჩემო სი-
ცოცხლევ! — აჩქარებდა ცოლი. —
სოქვი, ნუ გეშინია, არავის გავუმხელ.

— მაშ, მომისმინე... კაცო შემომ-
ცვდა...

— ვაი ჩვენს მოსწრებას! — იყვირა
თავზარდაცემულმა. — ვინ, ვინ?

— არ ვიცი! ტყეში რომ ტაგუს
ღელე-ზარამია, ცხედარი იქ დაემაღე.

— დავილუპეთ, დაგვეტყა ოჯახი! —

ტიროდა ცოლი. — არ ვიცი ახლა რაღა გვეშველება! რა ექნათ, რა ვიღონოთ?

ეს საშინელი ამბავი ჩიშსას ისე მძიმედ დაეცა გულზე, ფეხზე აღარ გააჩერა. დარღისგან დათრგუნული და განადგურებული ქალი საწოლში ჩაემხო.

— უბედურ დღეზე გავჩენილვართ, უბედურ დღეზე! — გოდებდა და მოთქმით ტიროდა იგი. — კაცი შემოგაკვდა და ის კი არ იცი ვინ არის?

— არა! — მიუგო თვალდარღუბლულმა ხაბარმა. — ის კაცი თავს დამესხა ტყეში. ეტყობოდა, დადარაჯებული იყო. რა შექნა თავი დავიცავი: კეტით შევებრძოლე და თავი გავუხეთქე. იქ იმ დროს ისეთი სიბნელე იდგა, ძნელი იყო რაიმეს გარკვევით დანახვა. მოკლული ორმოში ჩავაგდე და ზედ ტოტები დავაყარე. ხეალ ღამით წაველ და ტყეში დავმარხავ. მხოლოდ იცოდე, ჩიშსა, ეს ამბავი არავინ არ უნდა გაიგოს, არავინ, გესმის?

— ამდენჯერ რატომ მიმეორებ მაგ სიტყვებს? — თქვა ქალმა სასოწარკვეთილებით — განა თვითონ არ ვიცი, რომ ასეთი რამის თქმა სხვასთან არ შეიძლება? პირზე ცხრაკლიტულს დავიდებ და ისე ვივლი.

ძარღვებაშლილ და გულაფორიაქებულ ცოლქმარს ვაშშმის ქამა არც გასხენებიათ, ისე დაიძინეს.

მეორე დღეს ჩიშსა უთენია წამოხტა საწოლიდან, ტანს ჩაიცვა, მხარზე კოკა შეიდგა და წყაროსკენ გაეშურა. იქ მეზობლის ქალი დახვდა, საიდა. საიდას ღარისთვის ჩაფი მიედგა და ავსებას ელოდა.

— როგორ გაფითრებულხარ! თავს ცუდად ხომ არ გრძნობ? — დანახვისთანავე მიამაზა მეზობელმა ჩიშსას.

— არა, — უმაღვე მოუჭრა სიტყვა ჩიშსამ, — კაფივით ვახლავარ.

— ცუდი შეგემთხვა რამე?

— არა, არაფერი. ისე ვარ, უბრალოდ.

— უბრალოდ რომ იყო, ასეთი ფერი აღარ გექნებოდა. — გადაქრით განუცხადა საიდამ.

— ღმერთმანი, მართალს გეუხსნები. — მიუგო ჩიშსამ, მას უნდოდა მტობელი თავისი სიტყვის კლიტულეში დაერწმუნებინა, მაგრამ ეს სამიოდე სიტყვა ისე ნაღვლიანად ამოღერდა, რომ საიდამ თანაგრძნობით შეხედა თვალეში, ასეთი რა გასკირვებიაო.

— ძვირფასო, მითხარი, რა დაგე-მართა?

რაკი საიდამ ასეთი ყურადღებითა და თანაგრძნობით დაუწყო გამოკითხვა, ჩიშსას გული აუჩვილდა, ევლარ დამალა ხეაშიადი:

— უბედურება დამატყდა თავზე. მე-ზობელო, უბედურება!

— უბედურება? — რამდენჯერმე გაუთმეორა კითხვა საიდამ, რომელიც მთელი სიცოცხლე იმას დაეძებდა, სად გაგონა საჭორაო ამბავი. — რა უბედურება?

ჩიშსამ ნაღვლიანად ვაჭნია თავი: მერმე ამოიხურჩულა:

— არ შემძლია გამხელა!

— რატომ?

— საიდუმლოა. ჩემს გარდა არავინ არ უნდა იცოდეს.

— ეჰ, ჩემო ჩიშსა, — თანაგრძნობით ჩაულაპარაკა საიდამ, — ჯერ ახალგაზრდა ხარ და ცხოვრება კარგად ვერ გაგიცენია. აი, რას გეტყვი, ჩემო კარგო: საიდუმლო გულში არ უნდა ჩარაზო, თორემ გულს შეგიჭამს და ავად გაგხდის. თუ არ დამიჯერებ, ჩემსავით ჩამოხმები. მეც ბევრი საიდუმლო შევიწახე და აი, შემხედე, რა დღე დამაყარა. ყველაფერი ეს კი იმისგან მჭირს, სულელურად რომ ვიქცეოდი, საიდუმლოს ცხრაკლიტულს რომ ვადებდი. საიდუმლოს შენახვა სარივით ზეზეულად ახმობს ადამიანს. ზოლო თუ შენს ხეაშიადს სხვასაც გაუზიარებ, დამძიმებული სული შეგიმსუბუქდება და გულის მღრღნელი ქიაც მოგშორდება. პირში ნაკვერჩხლების დაქერა უფრო ადვილია, ვიდრე გულში — საიდუმლოსი.

— განა ყოველგვარი საიდუმლოს გამკლავება შეიძლება! — ეწინააღმდეგებოდა ჩიშსა.

— შეიძლება, ყოველგვარის შეიძლება — სხაპასხუპით მიაყარა საიდან, რათა უფრო დაერწმუნებინა ჩიშსა. — მხოლოდ იმას კი კარგი დაკვირვება უნდა, ვის გაუმელავნო. ჰოდა, შენც ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, საკუთარ ქალშვილებში არ გამოგარჩევ. ნათესაელებიცა ვართ ერთმანეთის. შენი ბეზია ჩემს დედამთილს ბიძაშვილის ბიძაშვილად ეკუთვნის. მაშასადამე, შეგიძლია, გულდამშვიდებით გამანდო ყველაფერი.

— თითქოს მართალს ამბობ, მაგრამ... — შეყოყმანდა ჩიშსა. — რომ ვინმეს უთხრა?

— ღმერთი იყოს მოწამე, კრინტს არავისთან დაქარავ!

ჩიშსამ საიდას ყურთან ისე ახლოს მიიტანა პირი, გეგონებოდათ, ჰკოცნისო:

— წუხელი ჩემს ქმარს კაცი შემოაკვდა.

— კაცი? — საიდა თვალებად იქცა. — ვინ?

— თვითონაც არ იცის. დამე გვიან მოვიდა, ძალიან იყო დაღლილი, დაწვა თუ არა, დაეძინა. შემომფიცე კიდევ, რომ ამ ამბავს არავის გაუმხელ!

— ეჰეი გეპარება ჩემში?! — ვითომ აღშფოთდა საიდა. — ასეთ რამეს სხვას როგორ გავანდობ?! დამშვიდებული ბრძანდებოდე!

ასე დაშორდნენ ერთიმეორეს.

საიდა როგორც კი შინ შევიდა და ჩაფი ადგილზე დადო, მაშინვე დაჰკრა ფეხი და მეზობელ ქალ ხიფაფთან გაფრინდა, წუთში მასთან გაჩნდა, დააფიცა, თუ არავის ეტყვი, უჩვეულო ამბავს მოგიყვებიო და საიდუმლო საიდუმლოდ ჩააბარა. ხიფაფმა, რასაკვირველია, ასევე მკაცრი დაფიცებით და გაფრთხილებით, გული თავის დედამთილს გადაუშალა. ხიფაფის დედამთილს ერთი საყვარელი მეგობარი ჰყავდა, ხაჯგუაგი. ისინი ერთიმეორეს არაფერს უშალავდნენ და არც ეს საიდუმლო დარჩენილა ცხრაკლიტულში. ხაჯგუაგმაც დაიფიცა ღმერთი და რჯული, არავის ვეტყვიო, მაგრამ...

ხაპარი ლოგინიდან გვიან წამოვდა, ჩაიკვა და გარეთ გავიდა. ცოტახანს ეზოში იდგა, მერმე პირდამირ გაეშურა ბობოლა ეკუბთან, ხალხი ზედმეტ სახელად „წუწურაქს“ რომ ეძახის.

— ეკუბ, მოილე მოწყალეა, — თავი დაუქრა მან, — ერთი თვით თუმანი მასესხე.

— ვითომ შესძლებ დროზე დაბრუნებას? — უნდობლად შეხედა ეკუბმა. — მოგებას რამდენს მომცემ?

კარგა ხანს იეპურეს და ბოლოს, როგორც იქნა, ხაპარმა მიიღო მევახშისგან წითელი თუმნიანი.

შინ რომ დაბრუნდა, ცოლს უკვე გაეშალა სუფრა. დასხდნენ სასაუზმოდ.

შუა ქამაში იყვნენ, როცა ეზოდან ძაღლების ხმამაღალი ღვე-ღვეი მოესმათ. ხაპარმა ფაცხის კარი გამოაღო და განა მარტო ეზოში, ხალხი იდგა ჰიშკრის იქით, გზა-შარახეც; იდგა ცოცხალი კედელივით და ხაპარისაკენ აუურებოდა. ყველაზე წინ სოფლის თავკაცი ლაგუსტანი მოჩანდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დილა მშვიდობისა! — გულთბილად მიესალმა ყველას ხაპარი, თან დაუფარავი გაკვირვებით გახედა ხალხს, ნეტავი ასეთი რა მოხდაო.

— არა მგონია, ჩვენი მოსვლა გაგხარებოდეს! — ყველას მაგიერ უბასუხა ლაგუსტანმა, წარბები მკაცრად შეიკრა და განაგრძო: — აქ სალახუბოდ და დროის მოსაკლავად არ მოვსულვართ. პირდამირ საქმეზე გადავიდეთ. მოკლული კაცი სად დამალე?

— რომელი მოკლული კაცი? — წამოიძახა ხაპარმა.

— თავს ნუ იკატუნებ, მეზობელო! — გაისმა ისევ ლაგუსტანის ხმა. — ალოსთავი გველოდება, გახურებული სამუშაო დღეა, ახლა ჩვენთვის ყოველი წუთი ძვირფასია, დროს ამოიდ ნუ გეკარგვინებ, გამოტყდი: სად დამალე მოკლულის ცხედარი? ჩვენებური კაცი შემოგაკვდა, თუ სხვა?

— ხალხმა ყველაფერი გაიგო უკვე, — წყნარად, მაგრამ მკაფიოდ განაგრძო

სოფლის თავკაცის სიტყვა მეორე მოხუცმა, შმაფმა, — მთელმა სოფელმა იცის, რომ შენ კაცისმკვლელი გახდი, წუხელი ადამიანის სისხლში გისვარე ხელები და მოკლული საღია ტყეში დამალე.

— მხოლოდ ერთი რამის გაგებდა გვაკლია, ვინაა მოკლული? — დაუმატა შან სანგულიამ.

— და ესეც ახლავ უნდა გეთხრას! — გადაქრით განაცხადა სოფლის თავკაცმა. — აბა, ხაპარ, გაგვიძეხი წინ, გვაჩვენე ის საშინელი ადგილი!

ხაპარმა მხრები აიჩეჩა.

— ვხედავ, მართლაც ყველაფერი გაგიგიათ. — შუბლი მოღუშა მან. — რა გაეწყობა, წავიდეთ, გიჩვენებთ იმ ადგილს. — მერმე ცოლს მიუბრუნდა: — წამომყევი, ჩიშა. შენთვისაც კარგი იქნება, თუ იმ ტყეს ნახავ.

ხაპარ კიუტბა წინ გაუძღვა ხალხის ზღვას, ტყისკენ მიმავალ გზას გაჰყვა.

სოფელს რომ გასცდნენ, ყველამ დაინახა: ხალხისკენ თავქუდმოგლეჯილი გამოობოდა ერთი კაცი. ეს იყო ეკუბი. იგი ძლივსღა ითქვამდა სულს. საკუთარი ღიბის თრევას არაჭათი გამოეცალა მისთვის; მაგრამ ხაპართან მაინც შესძლო მირბენა, მიქოშინდა და დამუშტული კოტიტა ხელები მუქარის ნიშნად ცაში აყარა.

— არამზადავ! — აჯიჯღინდა ღიბოსანი. — გეგონა, რამეს გამომაპარებდი? გავიგე, გავიგე შენი ვაქცაცობის ამბავი! კაცი მოკალი ხომ? მოკალი, ხომ? ჰოდა, ხვალვე გასანთლულ თოჯზე ჩამოგვიდებენ. გინდოდა, მოგეტყუებინე და ჩემი ვალი საიქიოში წაგეღო? ოლოლიკი შენს საქმეს! გავიგე, გავიგე ყველაფერი; ვერ გამეჭკვიე, ვერა! მოტიტა ჩქარა ჩემი ფული! შენ გინდოდა ჩემი გაკოტრება? ვერ მოგართმევს, ვერა!

ხაპარმა უღვაშებში ჩაიციინა, შეჩერდა, ჯიბიდან თუშნიანი ამოიღო და გადაუღვლა:

— აიღე, აიღე ჩქარა, არავინ მოგტაცოს! კიდეც კარგი, დროზე დამეწიე,

თორემ ჩემი მოკლა რომ მოესწროთ, ეს ვეება სიმდიდრე ხომ ტუჩაკლოდ დაგეკარგებოდა!

ხალხი ვაკვირვებელი მიაჩერდა ერთსაც და მეორესაც.

მალე გზა განაგრძეს.

ტყე გაიარეს და წაადგნენ ერთ ლელე-ხრამს. სოფლის თავკაცთან ერთად ხაპარი მიუახლოვდა ორპოს და ზედ დაფარებული ბორჯლიანი ტოტები გვერდზე გადაყარა.

ორპოში წინაღლით მოკლული ჯიხვი ეგდო.

ხაპარმა თავი ამყადა ასწია. მან ახლა ისევე ჩაიციინა უღვაშებში, როგორც ორიოდე საათის წინ, ეკუბის წინაშე დგომის დროს.

— მაპატიეთ, მეზობლებო, — მიმართა მან ყველას, — მაპატიეთ, ამ გახურებულ ალოსთავზე რომ მოგაცდინეთ. მე არავინ მომიკლავს და არც ოდესმე მიფიქრია ვინმეს მოკვლა. მხოლოდ, აი, ეს ჯიხვი გამოვასალმე სიცოცხლეს.

— ხაპარ, დაგვიცინი კიდეც? — გობრაზდა ლაგუსტანი.

— სრულებითაც არა! — უფრო გამაყადა ხაპარი. — მთელი ამ ორომტრიანლის ავან-ჩავანი იმშია, რომ მე ცხოვრებული პაპაჩემის რჩევა-დარიგებათა შემოწმება მომესურვა. დიდი ხნის წინათ ჩემმა წინაპარმა მითხრა: შეილო, ერთი რამ სამუდამოდ დაიწერე გულზე: ყველაფერს სხვას ნუ მიბარებ შესანახად, თუნდაც ეს სხვა — შენი ახლობელი ადამიანი იყოს. ზოგი რამ მხოლოდ შენ უნდა შეინახო, გულში ან სკიერში. ვისაც რაიმე ძვირფასს ანდობ, ჯერ შეამოწმე, გამოსცადე, შეუძლია თუ არა საიდუმლოდ შენახვა და მერმე მიბარეთო. ესეც დამარტავა: ძენწი კაცისგან ფულს ნუ ისესხებო. როგორც მოგეხსენებათ, მე ცოლი მოვიყვანე და კარგახანია ჩიშა ჩემს ღარბულ ფეხში ბეღნიერად ცხოვრობს. დასამალი არაფერია, შევეხმატკბილეთ ერთიმეორეს. და აი, უცებ, მომისორვა პაპის რჩევა-დარიგებათა შემოწმება. წინა დამეს; იმ ქექა-ქუხილში ამ ჯიხვს გა-

დაეყარე და მოვალე. სახლში კი ვაჭვი, კაცი შემომაკვდა მეთქი. ცოლმა შემომფიცა, ამ საიდუმლოს წმინდად შევინახე გულის ცხრაკლიტელშიო. დილით ცნობილ წუნწურაქ ეკუბთან მივედი და სესხად თუმანი გამოვართვი.

შემდეგ რაც მოხდა, თქვენც კარგად დანიხეთ. როცა ბობოლამ ჩემი „გაუბედურების“ ამბავი გაიგო, ამ ქვეყანაზე ყველაფერი დაიფრეხა, მოვარდა ჩემთან და სესხი იმავე დღეს წამართვა.

ანტიცა

— უკვე ხუთი წელია, რძალო, ჩვენს ოჯახში ხარ და ჩემი თანდასწრებით ხმა არ ამოგიღია. კმარაა დროა დამეღაპარაკო გთხოვ, გეხვეწები, გემუდარები, გამეცი ხმა! — ეუბნებოდა მოხუცი ჯგუანატი თავისი შვილის, თამაშის, ახალგაზრდა ცოლს, ლამაზი გარეგნობის მქონე ანტიცას. — შენ ალბათ ისეთივე კარგი ხმა გაქვს, როგორიც თვითონა ხარ, მაგ შენი საამო და წკრიალა ხმით ერთი სიტყვა მაინც გამაგონე, გეხვეწები, გემუდარები!

მამათილის თანდასწრებით რძალმა კრინტიც არ უნდა დასძრასო, ამ აღათს ხალკუნების განმავლობაში იცავდნენ აფხაზები. ანტიცაც მტკიცედ ინახავდა წინაპართა ჩვეულებას.

ჯგუანატმა თავისი ხეაშიაღი კარის მუზობელს მახაზ თარბას გაანდო:

— ეს ძალიან უაზრო ადამია! მკუთაფრაკმა ხალხმა მოიგონა ალბათ.

— არა! ჩემი აზრით, ამ აღათს მკუთაფრაკი ხალხი ვერ მოიგონებდა: უთაუარი კაცის ნაბოღვარს ქვეყანა აღათ-წესად არ გაიხდიდა. — უპასუხა მუზობელმა. — ხოლო თუ შენ გინდა, ეს ასე არ იყოს, ჩვენ ხომ ერთი სხვა ჩვეულება გვაქვს, ძველი, მამა-პაპისაგან ბოძებული. ეს ჩვეულება დაგეხმარება.

მახაზ თარბამ ჯგუანატს მოაგონა: თუ ათზე მეტი კაცის თანდასწრებით კაცი ვინმეს რაიმეს სთხოვს, ეს თხოვნა

არც ცოლის ენამ მიქნა კარგი საქმე. აი, როგორია ცხოვრება. მაპატიეთ, მუზობლებო! მე მხოლოდ პაპის სიტყვებით მართლ შევიპოვე...

— გასაგებია! — დაასვენა მრავალწელთა მომსწრე, ბევრის მნახველმა და ბევრის გამგონე ბრძენმა მოხუცმა ლაგუსტანმა. — ყველაზე კარგად საიდუმლოს შენახვა იმას შეუძლია, ვინც საიდუმლო არ იცის.

საზოგადო თხოვნად ჩაითვლება და აუცილებლად უნდა შესრულდესო.

— ვეშმარიტად! — სიხარულისაგან აფოფინდა ჯგუანატი.

მოხუცმა მეორე დღესვე მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა: მოხვერი დაკალით და ორმოცი სტუმრისათვის სადილი მოამზადეთო.

— რამ გამოიწვია ეს წვეულება? — ვერ მიმხვდარიყო შვილი.

— მერმე გაიგებ. — უთხრა მამამ და თან ულვაშებში ჩაიცინა ორაზროვნად. ჯგუანატმა თვითონ დაუთარა ყველას: მეზობლებს, ნათესავებს, მეგობრებს და ნაღიშზე მოიპატიეა.

შუადღისთვის ჯგუანატის ფაცხასა და ბაღში უკვე გაშლილი იყო სუფრა. ზედ უხვად ელაგა პურ-მარილი და ლენო. სტუმრები ჯერ კანტი-კუნტად მოვიდნენ, მერმე ჯგუფ-ჯგუფად შემოაღეს კიშკარი და ხალხით გაივსო ეზო.

— ვინაა ამ წვეულების მიზეზი? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ პასუხს ვერ ღებულობდნენ.

— ოთხმოცი წლის ქვრივმა ჯგუანატმა ამ სიბერის დროს ცოლის მოყვანა ხომ არ დააპირა? — შიგადაშიგ ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ.

ცნობისმოყვარენი ვერ ითმენდნენ და პირდაპირ მასპინძელს ეკითხებოდნენ:

— რა სიხარულმა გაგაშლევინა ეს გრძელი სუფრა.

ჯგუჯანატი ყველას ერთნაირ პასუხს აძლევდა:

— სუფრაზე, სუფრაზე გაიგებთ ამას! დაბრძანდით, დაბრძანდით!

სტუმრები სუფრას შემოუსხდნენ. სმაჰამამ გაამხიარულა მოინახენი. როცა რამდენიმე სირჩა ღვინო ყელში ღირღილით გადაუშვეს, ოჯახის უფროსმა მასპინძელმა ვეება ყანწი აავსო, ალგა ხელში ყანწდაპერილი და ცნობის-მოყვარეობისაგან ყურადესილ სუფრას გადასძახა:

— ძვირფასო სტუმრებო! აი ახლა კი აგისნით, თუ რატომ მოგიწვიეთ. ჩემს რძალს ანტიცას თქვენ ყველანი კარგად იცნობთ. მისი თვალეხი ვარსკვლავებივით ანათებენ. უსახლგროდ კეთილია, ოჯახის მოამაგეა. ღმერთმანი, ჩემი ქალიშვილივით მიყვარს. მაგრამ ერთი უბედურება მიღრღნის გულს. ხუთი წელია ანტიცა ჩემს ოჯახს ამშვენებს და მისი ხმა ერთხელაც არ გამოგონია. ჩვენს ძველ აფხაზურ ჩვეულებას მკაცრად იცავს, თუ ახლო ვეგულები, პირზე ცხრაკლიტული ბოჭლომი ადევს. მიყვარს ანტიცა, პატივსაც ვცემ და მინდა, მამამთილის წინაშე იგი ყოველთვის თავისუფლად გრძნობდეს თავს, არა როგორც რძალი, არამედ როგორც ჩემი ღვიძლი ქალიშვილი. აი ამ სასმისით მე დღეგრძელობას ვუსურვებ ანტიცას და ამავე დროს ვთხოვ, ერთი დიდი სურვილი შემისრულოს. ძვირფასო მეზობლებო, ნათესაებებო და მეგობრებო, დღეს აქ იმიტომ მოგიწვიეთ, მხარი დამიჭიროთ, რათა რძალმა სურვილი შემისრულოს: დღეის შემდეგ ჩემი თანდასწრებით ილაპარაკოს.

ჯგუჯანატი დაცილილი ყანწი ცერის ფრჩხილზე დაწრიტა.

— შეასრულოს, შეასრულოს მამამთილის თხოვნა! — ერთხმად დიგუგუხა მთელმა სუფრაბი.

სიმორცხვისაგან აღმურმოდებული ანტიცა კუთხეში იდგა. თავდახრილს

გრძელი შავი ნაწნავები ხელში დაქვირა და უხერხულად აწვალბდა.

მასპინძელმა კვლავ აავსო ყანწი და მახაზთან გადავიდა ალავერდს.

მთლად გათეთრებულმა მახაზ თარბამ, რომელსაც ხალხი ღირსეულად სცემდა პატივს, ყანწი მოიწვიებით მიიღო და ანტიცას ასე მიმართა:

— დაღ! შე ახლა მესაოცდარევა წელში გადავდექი. სიმაართლე რომ ვთქვა, ამ ხნის განმავლობაში არც თვალთ მინახავს და არც ყურით გამიგონია, რომელიმე რძალს მთელ აფხაზეთში მამამთილისა და მამამთილის მეგობრებისაგან ასე დიდი პატივი რომ ღირსებოდა. სიკვდილამდე ბევრ უცნაურ რამეს ნახავო, — ძველთაგანვე ასე ამბობენ აფხაზეთში, და, აი, ვნახე კიდევ. მე იმას ვიტყვი ამის თაობაზე: რაკი კეთილმა და სახელოვანმა ჯგუჯანატიმ სხვა რძალთაგან გამოგარჩია, მამასაღამე, ეს შენ თვითონ დაიმსახურე. მეც, რასაკვირველია, ჩემს მეგობარ ჯგუჯანატს ვუქერ მხარს და გთხოვ, მისი თანდასწრებით თავისუფლად ისაუბრო ვისთანაც გინდა. შენი სადღეგრძელო იყოს!

ყანწი ხელიდან ხელში გადავიდა. ყველამ ერთნაირად დაამთავრა სადღეგრძელო: რძალმა მამამთილს თხოვნა შეუსრულოსო.

ლხინი და ქეთი დიდხანს გაგრძელდა: სტუმრები მხოლოდ შუალამისას წაბარბაცდნენ თავიანთი სახლებისაკენ.

შეორე დღეს ნაქეიფარი მოხუცი გვიან ალგა, ჩაიცვა ჩოხა და ეზოში გავიდა.

ანტიცა ძროხასა წველიდა. — დილა მშვიდობისა, დაღ! მიესალმა მოხუცი ანტიცას. იგი წინდაწინ ფიქრობდა, ახლა რძლის სათნო და ალერსიან ხმას გავიგონებ და სიამოვნებით ამევსება გულიო.

— დილა მშვიდობისა, დილა მშვიდობისა! — უპასუხა რძალმა.

1 დაღ! — შეილო, ბავშვო, ასე მიმართავს აფხაზი მამაკაცი უმცროსს.

მოხუცს მოეჩვენა, რომ ანტიცამ ცივი ხმით, უკმეხად დაუბრუნა სალამი.

— აბა, რას იტყვი კიდე? — მოხუცს დაფიქრებაც არ აცალა, ისე მიახალა უხეშად ანტიცამ. — ზომ ხედავ, ხბო როგორ მიშლის ხელს, ეგ მაინც გააკავე!

ეს კი ნამდვილად ზედმეტი იყო; რძლის უკმეხი სიტყვები სეტყვასავით დაეყარა მოხუცის გულს. სახტად დარჩა მამამთილი. გაოგნებულს არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ ეს ხმა მშვენიერი ანტიცას ყელიდან ამოდიოდა. მაგრამ როგორ არ დაიჯერებდა, როცა მის წინ ნამდვილად ანტიცა იდგა; ანტიცა აღებდა პირს და იქიდან ნასროლი სიტყვები ყურებში ტყვიებივით უცვივოდნენ.

მოხუცმა ხბოს გადახედა. ხბო თავისთვის იდგა მშვიდად. არავის არ უშლიდა ხელს. მოხუცი მაინც მივიდა მასთან და ურქო ხბოს თავი ჩოხაზე მიიხტა.

— თამშუგი სად არის? — იკითხა მამამთილმა.

— ეშმაკის მეტი ვინ გაიგებს შენი თამშუგის გზა-კვალს! — სიტყვის დამთავრება არ აცალა რძალმა მამამთილს, ისე მიახალა ეს სიტყვები. — ალბათ საქმეზე წავიდა სადმე. შენსავით მუქთახორა და ნაცარქექია კი არ არის!

— შეილო, დღეს ვინმემ გაწყენინა რამე? — გაუბედავად ამოღერდა მოხუცმა. — ეგებ უქეიფოდა ხარ? მგონი უხასიათობა გეტყობა. რა დაგემართა?

რძალი გაანჩხლდა:

— არაფერიც არ დამმართია, კაცივითა ვარ. არც შენა ბრძანდები ცუდად, მაგრამ ყოველ დღე კი ავადმყოფობას იგონებ.

გაოცებული და ძარღვებამოლილი მოხუცი სახლში შელასლასდა და საწოლზე ნაცემივით მიესვენა. ახლა იმაზე ფიქრობდა, რა ღმერთი გაუწყრა ჩემს რძალსო, ამ ერთ დამეში ისე შეეცვლილა, თითქოს ანტიცა აღარც არისო.

ჯგუანატი ცდილობდა, ცუდი ფიქრები გაეთანტა და დამშვიდებულიყო, მაგრამ გულის დაწყნარება არ ელირსა.

— წევს და წევს, არაფერს არ აკეთებს, ვიშ, ვაებატონი! — ესმის ეზოდან რძლის ბუზღენი.

შემდგომ ანტიცა კარებთანაც გაჩნდა და შესძახა:

— კიდე დიდხანს იკოტრიალებ? არ მოგწყენდა დოყლაპობა?

ამის გაგონების მერმე მოხუცი კაცი საწოლზე როგორღა გაჩერდებოდა. თავზევით ძალა არ ჰქონდა. სულ დაავიწყდა, ბებერი ძვლები ტკივილისაგან რომ უბეჭოდა, წამოხტა, მოიხვია ჩაბალახი და ეზოდან ისე სწრაფად გავიდა, თითქოს უკან ცოფიანი ძაღლი მისდევდა. სანამ სახლს შორს არ გასცდა, სულ ესმოდა რძლის ავი წყევლა და ჯაჯღანი.

მთელი დღე მოხუცი ხან სად დაეხეტებოდა და ხან სად. მოინახულა შორეული მეზობლები და შინ მხოლოდ მიმწუხრის ეამს დაბრუნდა.

— დად თამშუგ! — დაწოლის წინ მამამ გვერდზე გაიხმო შეილი. — რაღაა ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ, ორიოდე პარასკევიღა დამრჩა. ჰოდა, მინდა ჩემს სიცოცხლეში ერთხელ კიდე მოვილხინო სუფრაზე. ახლად გახედნილი მოხვეერიღა დამრჩა, ის უნდა დავეკათ. სადილი შენ და ანტიცამ მოამზადეთ, სტუმრებს კი მე დავაბატეებ. თანახმა ხარ?

— მაგაზე უარს როგორ გეტყვი, მამა! — მხიარულად მიუგო თამშუგმა.

— ლხინი მე ყოველთვის მსიამოვნებს.

დილით თამშუგმა მოხვერს ყელი გამოლადრა და შეუდგა სადილის მზადებას.

შუადღისას. ისევ გაიშალა გრძელი სუფრა, კვლავ მოვიდნენ ის სტუმრები, რომლებიც აქ ორი დღის წინ იყვნენ და გაიმართა ლხინი. მოინახებმა რამდენიმე სირჩა ღვინო ყელში რომ ჩაალირილეს, მასპინძელი, მოხუცი ჯგუანატი ისევ წამოღდა სტუმრებისათვის ნაცნობი საესე ყანწით და სუფრას გადასძახა:

— ძვირფასო სტუმრებო! სულ ორი დღეა მას შემდეგ, რაც თქვენ ამ სუფ-

რაზე შეიყარეთ თავი და ჩემს რძალსა სთხოვეთ, ჩემთან, ესე იგი მამამთილთან, ელაპარაკა. ანტიცამ შესრულა თქვენი და ჩემი სურვილი. გუშინ იმდენი რამ მითხრა, ყელამდე ვარ სავსე მისი სიტყვების მოსმენით. დღეს ხელმეორედ აქ იმიტომ მოგიწვიეთ, რომ ჩემმა მშვენიერმა რძალმა ერთი თხოვნა კიდევ შემისრულოს. აი, მე საბაზოდ ვებეწები და იმეღია, თქვენც დამიქერთ მხარს; ანტიცამ არ უღალატოს ჩვენი წინაპრების ძველ ადათ-წესს, კვლავ ჰქონდეს მამამთილის მორიდება, ხმა არ გასცეს მას.

— აი თურმე რაშია საქმე! — მახაზ თარბამ ბრძენივით ასწია თავი. — დაე ახლა მაინც მიხედეს ყველა ჩემს სიმართლეს. ჭკუაფრაკები არ ყოფილან, არა, ჩვენი წინაპრები, ეს ადათი რომ დაუტოვეს ხალხს.

— კეშმარიტად. — წამოიძახა ჯგუნატმა — ბრძენი წინაპრები გველდია, ბრძენი წინაპრები! *მეზღვირუთხაა*

— მაგრამ შენ რომ ეს კეშმარიტება გაგვეგო ამისთვის, ორი მოხერის დაკვლა დაგჭირდა! — შენიშნა მახაზმა და თან უღვაშებში ჩაიციანა.

მათი საუბარი ერთმა თმასპეტაკმა მოხუცმა დაამთავრა: — სტყუოდა ჯგუნანატი, მამა-პაპის ადათი დაუკვირებლად რომ უარპყო, მაგრამ მახაზ თარბა კი განა მთლიანად მართალია? რძალს მამამთილთან ლაპარაკი რომ აქვს აკრძალული, ამაში მე კარგს ვერაფერს ვხედავ. განა ყველა რძალი ანტიცას ჰგავს!

— კეშმარიტად! კეშმარიტად! — მოხუცის სიტყვას კვერი დაუკრა მთელმა სუფრამ.

თარგმანი აკაკი გმუძაძე



ნასაკირალის ღამე*

სურათი მხატვარი

მარის უფროსის უამბავროვის კაბინეტი. საწერი მაგიდა, კედელზე ტელეფონი ჰკიდია. საწერი მაგიდას თავთან მცდე ნიკოლოზ მუროვის პორტრეტი.

უამბავროვი — (ფანჯარასთან დგას) თუ ახლაც დამსჯელი უარს არ გამოგიგზავნის, მაშინ, შენც უკირს. თუ შენც უკირს, შე ვინ მომალბენს? გავიქცე?! არა! სანამ მთელ მარას ერთ დიდ კოცონად არ გადავაქციე, აქედან არსად წავაღ! მეფის მანიფესტი ხალხს თავზე გადაგვახია ხალხს არც შექარის უშინია. მოლაპარაკება დამთავრდა. ახლა საჭიროა სროლა!

ამოლონი — (შემოდის, ადრევებუღია) როდის მოთავდება ჩვენი წამება? რას უცდის ჩვენი იმპერატორი?! შენ რას უცდის.

უამბავროვი — გამარჯობათ, ამოლონი, თქვენი მამის სახელი მაგიწოდება.

ამოლონი — თქვენ კი არა შე მაგიწოდება, მამის სახელი, ჩემი მამული, სისხლი, სახელი კეთილ-შობილი! გლეხი მზრდნებლობს ჩემზე, რად ვარ ცოცხალი!

ლაზარეკო — თქვენთვის ზოიკოტი არ მოეხსნაო?

ამოლონი — არა, დედაჩემმა, ღამს თავი ზამთხინის, რას უცდით? ნუთუ ძნელია გურიაში წახრიკის დამყარება? მთავარი კახეები, ამოშვეთ ძირფეხიანად! რად გაბრუნდა ალიხანოვი-აგარსკი?

უამბავროვი — ასე ადვილი რომ იყოს, როგორც შენ მსჯელობ!

ამოლონი — რა არის ძნელი?! ჩამოახრჩეთ გურიის კომიტეტი!

უამბავროვი — მხოლოდ გურიის კომიტეტი რომ იყოს, ადვილია, მაგრამ მას ფეხები უფრო შორსა აქვს, რუსეთში! უკრ რუსეთში უნდა ამოძირკვოს! გენსის, გურია არ არის მართო. საიდუმლო ცნობა მივიღე, თუ რამ აიძულა ალიხანოვი-აგარსკი უკან გაბრუნებულიყო. მთელი საქართველო ამირბდა გურიაში წამოსვლას, ინერლებმა წიფაში ალიხანოვს გზა ჩაუხრეს. სამეგრელოდან აჯანყებულები დაიძინენ, ქართლი, კახეთი, მოდიოდნენ გურულების დასახმარებლად. ვიღაც პოეტი გყოლიათ თქვენ ვაგა-ღმეცხლა, ფშავ-ხევსურების ცხანოსანთა რაზმ შეუდგენია და გურიაში ამირბდა წამოსვლას, ალიხანოვი-აგარსკის წინააღმდეგ. ახ რად ვდღეპართ და ვითმენთ.

ამოლონი — ხანამდე?

უამბავროვი — ყველაფერს თავისი დრო აქვს. იქნებ სჯობდეს, აჯანყებულების მხარეზე გადახვიდეთ. ისე, როგორც ვითხარათ...

ამოლონი — არა ეგ არ შემოდია. მათ დანახვაზე გონება მემლუბა, სახე მელრიცება. შე ისინი არ ამიღებენ, შე მათ ვემალები.

უამბავროვი — იქნებ თქვენმა დამ გიშუამდგომლოთ.

ამოლონი — ჩემი და.

უამბავროვი — ჩვენ ყველაფერი ვიცოთ, თქვენი და იმათ თანაუგრძნობს, უშანგი...

ამოლონი — ჩემს დას დავახრჩობ, სანამ ის იმათ მხარეს გადავიდოდეს. დედა თავს მოაკლავს.

უამბავროვი — მაშინ ელოდეთ, ახლა მიბრძანდით, დრო აღარა მაქვს.

ამოლონი — გარეთ მაგდებთ?

უამბავროვი — დრო აღარა მაქვს. (ცალკე კარებს უღებს) აქედან გაბრძანდით. (ამოლონი სწრაფად გადის).

მდივანი — (შემოდის, ქალღმერთი ხელში) თქვენი მალაქეთილშობილებაც!

უამბავროვი — დედა?

მდივანი — დედაზე ვახლავთ, მისი ბრწყინვალეობა მეფის ნაცვალისაგან. (შეაბრძნობს).

- ჯამბაკუროვი** — (დეპეშას კითხულობს) ძლიერ ახლა მე მკითხონ, მეფის ნაცვლი მოქმედებას ნებას იძლევა. (კითხულობს) „იმოქმედეთ გაბედულად, გამოგზავნილია ჯარი“. (მდივანს) ამ სასიხარულო დეპეშისათვის მე შენ დაგაჯილდობ.
- მდივანი** — მაღლობელი ვარ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!
- ჯამბაკუროვი** — ხომ არაიენ მელოდება?
- მდივანი** — შეცხრე ნომერი მოვიდა.
- ჯამბაკუროვი** — დაიცადოს. (მდივანი გადის. ჯამბაკუროვი ტელეფონთან მიდის, რეკავს) სადგურის უფროსი, ნატანებო... (ისევ რეკავს) სადგურის უფროსი? გელაპარაკებათ მარხის უფროსი ჯამბაკუროვი. „მწერების გადაჭრენა დაიწყო, ევლოლები მიმინოს“. ცნობა ხომ არაფერია?.. როგორ?! წიფაში გზა ჩაბერგებს? რკინიგზელები გაიფიცენ! არ მსურს მისმენა. კარგი რამ გაიგოთ, დამირკეთ. (ყურმილს დაღებს. მაგიდიდან ზარს აიღებს, დარეკავს. შემოდის მდივანი) შემოუშეთ მეცხრე ნომერი. გააძლიერეთ დაცვა.
- მდივანი** — შესის. (გადის).
- ჯამბაკუროვი** — (რევოლვერს მაგიდაზე დადებს. შემოდის თაყა) როგორც იქნა, გვალისხეთ თქვენი ნახევა.
- თაყა** — (სახე ყაბალახით აქვს ახვეული. ყაბალახი მოიხსნა. მიდის, ფანჯარაზე ფარდას ჩამოშვებს) ჩემი თქვენთან მოსულა არც ისე ადვილია.
- ჯამბაკუროვი** — ფულის მიღება ხომ გეადვილებათ, მოგვატყუე? (რევოლვერს აიღებს).
- თაყა** — გაყოზალებულხართ?!
- ჯამბაკუროვი** — ამინდი შეიცვალა.
- თაყა** — დადეთ რევოლვერი. (ნაბადი გადასწია, იარაღი გამოაჩინა).
- ჯამბაკუროვი** — წუწყო ძაღლი უმადურო მე თუ არა, ფანალობსათვის აქამდე ცხრაჯერ ჩამოგახრწოზდნენ. იარაღისა რა გაიგეთ?
- თაყა** — კინაღამ გაგები. სანაპირო დაცვას ჩამოუღვლია, მე თქვენი კახაყები მეგონა. ნიშანი უნდა მიმეცა.
- ჯამბაკუროვი** — იარაღი გადმოტვირთეს?
- თაყა** — (ქალაღს ამოიღებს) აი ადვილი, მიაგნებთ, ხეზე უჯარია ამოქრილი. ნესტორ კალანდარიშვილი ფელუგას უკანვე გაქცა. ფელუგა ლურჯად არის შეღებილი და ფორთოხალი მიაქვს.
- ჯამბაკუროვი** — (ყველაფერი ჩაიწერა) კიდევ რას იტყვი?
- თაყა** — ვიტყვი? დაბ, ვიტყვი! მე პატიოსანი ყანალი ვარ და ჯაშუშობას ვერ ვეცისებ. ეს უკანასკნელია, და თუ კიდევ რამ დამავალეთ, მაშინ თქვენ მოგკლავთ!
- ჯამბაკუროვი** — მომწონს თქვენი გულახდილობა, მაგრამ მეუფს უნახებრო, განა ეგ ჯაშუშობაა?!
- თაყა** — კახერი გიტყვიან შენა და შენს მეფესაც. ფული მოიტა! (რევოლვერი ამოიღო) მოიტა ფული!
- ჯამბაკუროვი** — (დეპეშას გაუწვდის) წაიკითხე.
- თაყა** — (წაიკითხა) თქვენ ხომ არ შეგიდგენიათ?
- ჯამბაკუროვი** — ხელს მეფის ნაცვლი აწერს. ჯარი უკვე წამოსულია. (უჯრიდან ქისას ამოიღებს) აიღე ფული. (თაყა ფულს გამაართმევს) ჯილდოზე წარგადგენ. (თაყა ჩაექრდა) შევარდნაქვს ან მამულიშვილს ვერაფერი მოუხერხეთ?
- თაყა** — მე ყაბალი ვარ! ზურგში ვერ ვესერი! პირდაპირ კი მიზეზი არ მაქვს. კიყას მოგკლავ, დათიკოსი კი რა მოგახსენო. დათიკოს ტყვია არ ეკარება.
- ჯამბაკუროვი** — უშანგი? აი ის დეზერტირი.
- თაყა** — უშანგი საჩემო ჩიტი არ არის! მას თქვენც ადვილად მოინადირებთ.
- ჯამბაკუროვი** — მოქმედების შემთხვევაში ჩემთან ახლო იყავით, ერთი რამ რომ დაგავალოთ.
- თაყა** — ჯაშუშობა არ იყოს!
- ჯამბაკუროვი** — არა! თუ საჭირო დარჩა, სადმე სოფელში, მამს ჩვენ გეტყვი, ვისმეს თავს დაესხმით, ან ერთ სტრაციისს მოკლავთ.
- თაყა** — მოიტა ფული. (ჯამბაკუროვი ფულს აწვდის. თაყამ სახე აიხეია).
- ჯამბაკუროვი** — (უკანა კარებზე უთითებს) აქედან გახვალთ. (თაყა უკანა კარებიდან გადის) ამ წუწესაც უნდა ელოლიაო?! დამცადოს, თუ გვიმარჯვეთ, პირველ ზომზე მას ჩამოგკლავ.
- მდივანი** — (შემოდის) თქვენი მაღალკეთილშობილებავ!
- ჯამბაკუროვი** — რა მოხდა?!



- მდივანი — სტრატეგია ჩონატურიდან. ცუდი ამბავია!
- ჯამბაკუროცი — შემოიშვი. (მდივანი გადის. შემორბის გაოფლიანებული დიმიტრა) დიმიტრა? რა მოგსვლია?!
- დიმიტრა — ბატონო მარის უფროსო! წაგხდი კაცო. ლაპარაკი კი აღარ შემიძლია!
- ჯამბაკუროცი — სული მოითქვი.
- დიმიტრა — რა მოვითქვა!
- ჯამბაკუროცი — სული მოითქვი.
- დიმიტრა — სადა წაქვს! რა მოვითქვა! ცოცხალი ძლივ გამოვასწარი.
- ჯამბაკუროცი — მოყვი, რა ნიხდა?
- დიმიტრა — ღმერთო. ძალა მოშვეცი. აი მენშვეციები იყვნენ თუ ბოლშევიციები, ვერ გაეარჩე. მაგათ ხომ არც ჩინები აქვთ და არც პაგონები. შემოგვიცივდნენ. ჩვენ ოცდახუთა ვიყავით, ისინი ალბათ ასი, ერთ სტრატეგის სწვეიტეს კისერში და თოფი ააქაღეს. მეორე სდევს გულდამა. მესამეს უქნეს წიკუნტალა. ეს ისე უცებ მოხდა, ვერაფერი გაგარკვევით.
- ჯამბაკუროცი — დალაგებით მიხმარი. ვის სწვეიტეს, ვის სდევს?
- დიმიტრა — ზვეს, ბატონო მარის უფროსო.
- ჯამბაკუროცი — როდის? სად? ვინ?
- დიმიტრა — არ მოთქვამს? ჩონატურიშა. საბოქაულოში, ოცდახუთი სტრატეგია ვიყავით. ბოქაული გაგვაც იქ იყო. წააქწიალეს საწყაღი.
- ჯამბაკუროცი — ვინ წააქწიალეს?!
- დიმიტრა — ბოქაული გაგუა წააქწიალეს რაზმელებმა.
- ჯამბაკუროცი — ეს როგორ?
- დიმიტრა — უბრალოდ. სტრატეგიებს იარაღი აგვყარეს. გაგუა იქვე გაასამართლეს, სამი თვით საღღაც გადასახლება კი მიუსაჯეს. იარაღი წაიღეს, სტრატეგიები ერთ ოთახში ჰყავთ დაატომრებული. მე შემთხვევით გამოვიპარე.
- ჯამბაკუროცი — ეს როგორ? ასეთი გათავებულება! ხომ არავინ მოსულა?
- დიმიტრა — არა. გაგუა მყოფება, კარგი ბოქაული იყო.
- ჯამბაკუროცი — ვერ იცანი ვინ იყვნენ?
- დიმიტრა — აგერ მიწრია. ცინცაძეები, ყაბიშვილები, მეგრულიშვილები, კლანდაძეები. დარწმუნებული ვარ, დათიკო შვარდნაძის საქმეა. (ქაღალდს გადასცემს).
- ჯამბაკუროცი — იქ იყო?
- დიმიტრა — იქ არ იყო, მაგრამ დანამშველებით ვიცი. გურიის კომიტეტის სახლს მივაგანი, ნაგომარში, გოგიბერიძის სახლია.
- ჯამბაკუროცი — გოგიბერიძის?
- დიმიტრა — დიახ.
- ჯამბაკუროცი — მიზეზი არის. მოქმედება შეიძლება.
- დიმიტრა — რა ბრძანეთ?
- ჯამბაკუროცი — (არ პასუხობს. ტელეფონით რეკავს. ფერმილს აიღებს) მომეცით ჩეიდმეტო. (ისევ რეკავს) ვინ არის? მოამზადეთ ასეული. საბრძოლოდ. სალაშქროდ, შეასრულეთ! (მილას დადებს. დიმიტრას) უშანგია თუ ვიღაც, ხომ იცნობ?
- დიმიტრა — როგორ არა, მუზობელია.
- ჯამბაკუროცი — (ქაღალდს წერს, გადასცემს) ორ სტრატეგიას წაიყვან, უშანგის დაატომრებ. დიმიტრა — მესმის.
- უშანგი — (გააღო კარები. შემოვიდა. დიმიტრას) შენ უკვე აქა ხარ? მოასწარი?
- დიმიტრა — რა უნდა მომესწრო? გამომიძახეს.
- უშანგი — დიმიტრა, ჯამუშობ? ვასწი აქედან.
- ჯამბაკუროცი — (რეკოლვური აიღო) ზემა კაბინეტში ვინ ბრძანებლობს?!
- დიმიტრა — ეს გახლავთ უშანგი.
- ჯამბაკუროცი — უშანგი! ზელები ზევათ! კარგია, შენი ფეხით მობრძანდი.
- უშანგი — ცხენი გამიხდა ავაღ.
- ჯამბაკუროცი — ასწი ხელები, უფროსი ვიბრძანებთ!
- უშანგი — ჩემს უფროსს ვე არ უბრძანებია. ჩემი უფროსი ხალხია, დიმიტრა. (ჯამბაკუროცს) ოქვენ განათლებულ, კულტურულ კაცად მიმჩინიხართ. უნდა გესმოდეთ, რომ რეკოლვური სათამაშო არ არის. გთხოვთ იარაღი ჩაგვაბაროთ.
- ჯამბაკუროცი — როგორ მიბედავთ?
- უშანგი — განა შენ ვემდეგი! ხალხი, ბატონო მარის უფროსო, ხალხი მოითხოვს, იარაღი ხალხს სჭირდება.
- ჯამბაკუროცი — რისთვის? ვის წინააღმდეგ?
- უშანგი — ვინც ხალხის ნება-სურვილს ეწინააღმდეგება. ჩაგვაბარეთ იარაღი.



- ჯამბაკუროვი — მე თქვენ დაგაპატიმრებთ.
- უშანგი — ამას კი ვერ მოახერხებთ, ხალხი არ დაგეთანხმებათ.
- ჯამბაკუროვი — ენახოთ! (ზარს რეკავს. შუაღის მდივანი) სტრატეგიებს დამიძახებო. (უშანგის) აქვე გაგთოკავთ.
- მდივანი — (შეშინებული) თქვენო მაღალკეთილშობილებავ! მთელი დაცვა შეკოპილი სარდაფში ჰყრია. ჩვენ ალყაშეპირტყმულები ვართ.
- უშანგი — (ჯამბაკუროვს და დიმიტრას) დადუთ იარაღი!
- ჯამბაკუროვი — (რვეოლვერი დაღო) შერწმუნეთ, ამის მეტი არა მაქვს რა.
- უშანგი — დიმიტრა! (დიმიტრამ აიყარა იარაღი, მავლაზე დააწყო) ბატონო მარის უფროსო, რაკი ეს ვაჭბატონი აქ ზრძანდება, ვასაგებია, ჩონატაურის ამბავი გვეკოდინებათ. იმედი მაქვს, საზრისიანად მოიქცევით და ხალხის მოქმედებას წინ არ აღუდგებით.
- ჯამბაკუროვი — თქვენ შეფს ემუქრებით?
- უშანგი — იმედი მაქვს, ჩონატაურში დამსჯელ რაზმს არ გავგზავნიო.
- ჯამბაკუროვი — თუ გავგზავნე?
- უშანგი — შედეგზე პასუხს თქვენ აგებთ. (ვოლკამ ფანჯარაზე დააკაკუნა) კარგად მენახეთ. (იარაღს აიღებს, გადის).
- დიმიტრა — თოფი არა გაქვთ? დავედვენები.
- ჯამბაკუროვი — (არ პასუხობს. გარედან ისმის სიმღერა „მარსელოზა“, ჯამბაკუროვი ტელეფონთან მიიბრუნება. რეკავს) ჩვიდმეტო... ასეული მზად არის... ელოდეთ ჩემს ზრძანებას... გადავწვი! გავანადგურებ!

ფარდა

იპიზოდო

დარბევა

- მთიანი ხოფელი, ისმის ზარების რეკა, სროლა. იწვს სახლები. ცხენოსანი სტრატეგიები, ხმაღ-შეშართულნი დააკვლებენ ცხენებს. ისმის წივილი-კივილი.
- თავგაბობილი მოხუცი გლეხი. ღობეს გადაკივდება. ცეცხლმოვებულ სახლიდან, ტანსაცმელზე აღმოადებული, ბავშვით ზელში გამოირბის ქალი.
- დიმიტრა — ბუნტის თავების ბოლო ეს არის.
- ხმა — ვინც გადარჩეს წინ გაირეკო. ღვთისა და მეფის სახელით არეინ დაინდოთ! (იწვიის სოფელი. მთის ძირას გამოჩნდება, ღტოლვები, ქალები და ბავშვები).
- მოხუცი გლეხი — (სახე გასისხლანებული. წაღლით ზელში მოდის თავაწულელი) შაღლა ღმერთა! ძირს მეფე! „მავრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირისა“. (მიდიან აწიოკებული ქალები და ბავშვები).

ბნელდება

სურათი მთავარი

- ნასაკირალი: ჭინკას ხიდიან ვიწრო საურმე გზა. გზის ორივე მხარეს ტყით დაბურული ფერ-ღობობია. მზე გადაბრილია. არავინ ჩანს.
- უშანგი — (მაჭურაში. ფერდზე გამოჩნდება) დათოკო!
- დათოკო — ვარ! (მაჭურაში. ფერდობიდან დაეშვა).
- უშანგი — კიცია!
- კიცია — აქა ვარ! (ბუჩქიდან ამოფრანდა).
- უშანგი — ჯაბულო! ვიგო!
- ჯაბულო — (ხიდან გადმოხტა) ვარ!
- ვიგო — (ფერდობიდან) ვარ!
- უშანგი — იარაღი?
- დათოკო — კარაბინა.
- კიცია — რვეოლვერი.
- ჯაბულო — ფილთათოფი.
- ვიგო — შაშანა.
- ფეოდოროვი — (ბუჩქებიდან გამოდის) მეც აქა ვარ!



უშანგი — იარალი?

ფეოლოროვი — მარტვი.

უშანგი — ვის რაზმში ხარ?

დათიკო — ჩემთან არის.

უშანგი — თაყა სად არის?

კიკია — ორი დღეა არ გამოჩენილა.

უშანგი — რას იტყვი, შეფის დამცველი პლასტუნების დასახვედრად აქ კარგი ადგილია?

დათიკო — კარგია, ვერსად გურ გაძვრებთან.

უშანგი — საერთო ნიშანის გარეშე გასროლა არავინ გაბედოს, ნიშანი იქნება ბომბის აფეთქება. ამხანაგებო, რამდენიმე წუთის შემდეგ გაუარდება თოფი. ეს იქნება გასროლა თეთომპერო-ბელოვის წინააღმდეგ, თაყიუფლებისათვის ადამიანური ცხოვრებისათვის ვისაც შიში ან ღალატი გულში უდევს, სჯობს დასტოვოს აქაურობა. მოლაღატა და მშობრების წინააღმდეგ ზეენ შეუბრალებელი ვიქნებით.

დათიკო — დროა, მეთვალთვალე და ნიშნის მიმცემი გაშოყვით.

უშანგი — გიგო.

გიგო — აქა ეარ!

უშანგი — ბომბის გასროლა ხომ იცი?

გიგო — დათიკომ მასწავლა.

უშანგი — (ბურქიდან ბომბს ამოიღებს) აბა, წაიღე. აი მმ მადლობზე დაგებო, ესტრა შეწინავეთ

გიგო — ნდობისათვის მადლობელი ვარ. (ბომბს აიღებს, გარბის).

უშანგი — აბა, ძმებო! ყველანი ადგილზე! (ყველანი, თითქოს აქ არავინ ყოფილაო, ისე გაქრხხ-საქმე).

ლადუშა — (მორბის) ჯაბუ! ჯაბულო!

უშანგი — ვინ ყვრის? ამ ზავშეს აქ რა უნდა?

ჯაბულო — რა იყო, ძანა? აქ რამ მოვიყვანა, დედა რად შიატოვე!

ლადუშა — დედა.. (ცრმლით იგუფდება) დედა აღარა გუყავს.

ჯაბულო — ჩემი დედა აღარ არის?!

ლადუშა — სახლი დაგვიწვეს! ნენა მოკლეს!

ჯაბულო — დედაჩემი! (უშანგის) გამიშვიო!

უშანგი — საით?

ჯაბულო — ჩემი ქოხი დაუწვავთ! დედა მოუკლავთ ჩემი!

უშანგი — მარე? სად მიხვალ, მკვლელები აქ გამოივლიან.

ჯაბულო — აქ გამოივლიან? კარგი... ლადუშა, ფატი სად არის?

ლადუშა — დაბლა, აქვია, ქალებთან.

ჯაბულო — ფატისთან მიდი.

ლადუშა — არ გამაგდო, შენთან შინდა ვიყო.

უშანგი — პატარავ, აქ სროლა იქნება, მოგვლავენ!

ლადუშა — შე სროლის არ შეშინია. მეც მანდა თოფი ვიშოვო.

ჯაბულო — წადი. (ლადუშა გადის. ჯაბულო მიიმალება)

უშანგი — (სიჩუქია. დადამდა. მოეარე ამოვიდა, სადღაც შიში ატახტახდა) რას დაგვძახი. შავო, შამეო, შვალბებლო? ბრძოლისაკენ მოვეწოდებ, თუ წინასწარ დავეტარი? იქნებ იმან დაგა-ზარა რაიმე? ჩაკეტულში ზის და ტირის, არა?

ხმები გარედან: — ვინ მოდის?

— სდექ!

— გუჭერი.

უშანგი — ვინ არის?

რამშელი — (შემორბის) ამხანაგო მეთაურო, ქალია, თქვენ გციოხულობო.

უშანგი — შემოიყვანეთ. ვინ უნდა იყოს?! (რაზმულს, ნაბადნობურული მარიაში შემოყავს)

მარიამ — უშანგი!

უშანგი — მარიამ! სიხარულო, აქ რამ მოვიყვანა?!

მარიამ — ნუ მკვიოხები, მომისმინე. შენამდე ძღვეს მოვადრეე. ჩოხტაური გადასწვებს... ჯამბ-კუროვი მობოქრობს. მოდის, აწიოკებულ ღტოლელებს წინ მოირეყავს.

უშანგი — ღტოლელებს?

მარიამ — ისინი იოლად არ დაგნებდებიან. ეს ლამე სისხლიანი იქნება.

უშანგი — მართალია, სისხლი დაღვრება, მაგრამ ვიხი, აა ეს საკითხავია. მე მგონი მხოლოდ მათი, რაც არ უნდა მოხდეს. ეს ლამე ნასაკირალის ლამე, შექს მოჰყენს, ზვერ რასმეს.

მარიამ — სისხლი დაღვრება, უშანგი, სისხლი!

- უშანგი — ამისთვის მოდი, რომ...
- მარიამ — მოვედი გიხორა, შენ თუ მოგკლავენ, არც შე ვიცოცხლებ.
- უშანგი — მარიამ! სიხარულია წადი, აქ შენი ადგილი არ არის.
- მარიამ — სადაც შენა ხარ, იქ შე ადგილს მუდამ ვიპოვი. ბრძოლაში თუ არა, დაჭრილებს მაინც მოვეშველები. ნუთუ აქ ქალები არ არიან?
- უშანგი — დედაშენი?
- მარიამ — გამოვიპარე. და სახლში არასდროს არ დავბრუნდები. ახლა შენთან ვარ! გთხოვ, ბრძოლაში მიმიზიანო ზემო ადგილი.
- უშანგი — ამ ბილკს გაყე დაბლა, ქალებთან. (მარიამი გადის)
- უშანგი — (ყურს უვდებს) დათიკო, გესმის?
- დათიკო — ცხენების ფეხის ხმა. გვიახლოვებიან.
- უშანგი — წურჩულივ კი არვინ გაბედოს. (მიიმაღლენ. დაძაბული სიჩქარე. მხოლოდ შაშვი ჰახტაბებს სადღაც. ხმის ცხენების ფეხის ხმა, თანდათანობით ახლოვდება. ცხენის ფეხის ხმა შეწყდა) რა მოხდა? (გივოსთან მირბის) რას აფიქნებ?
- გიგო — ცხენებიდან ჩამოხტენ, გაშლით მოდიან... წინ ლტოლვილებს, ქალებს და ბავშვებს შორიკეავენ!
- უშანგი — ლტოლვილები გაატარე! მომეცი ზომი. (მალა არბის. ზომი გამოართვა, მალეობზე მთელი ტანით აღიმართა) ძირს თვიმპურობელობა! გუშარჯოს თავისუფლებას! (ზომი გადისროლა. აფეთქება. ატყდა სროლა, ყვინა, ღრიანცელი, ყოველ მხრიდან შემორბიან ქალები და ბავშვები, წინ გარბიან რაზმელები)
- ჯაბულო — (ფილთას ტენის) უ შენი გამშედი!
- პლასტუნი — (ხმალი იშმშელა, მალეობიდან გადმოხტა) ღვთისა და მეფის სახელით! (ჯაბულოს შეუტია).
- ჯაბულო — შენ ხმალით და შე გოხით ზომი (ხმალს თოფი შეუშვირა. აიცილნა. გააფთრებულ იბრძვიან. ჯაბულოს ფეხი დაუცდა, წაიქცა. პლასტუნმა ასწია ხმალი, უნდა დაქარას)
- ფატი — (შუქებიდან ამოხტა) ჯაბულო! (პლასტუნს რეკოლეერს ესევრის, პლასტუნი დაეცა)
- უშანგი — გამარჯვება! გამარჯვება! პლასტუნები გარბიან!
- ჯაბულო — გურ არ მომეცდარა! (დასწვდა პლასტუნის ხმალს, სურს ჩასცეს)
- უშანგი — ჯაბულო, სდექ! (ჯაბულოსთან გამაღება. ატყა დათიკო) არ გრცხვნი, დაჭრილ კაცსა ჰკლავ?
- ჯაბულო — ვინ არის კაცი? დედა მომიკლა!
- უშანგი — ადამიანია. მასაც წავს დედა!
- ჯაბულო — ო, ამის დედა... (სურს ხმალი ჩასცეს)
- უშანგი — სდექ!
- ჯაბულო — შენ შე გადამრეც.
- უშანგი — (პლასტუნზე უთითებს) აიყვანე და ექიმს მიგვყარე.
- ჯაბულო — ამ ძაღლს ხელი როგორ მოკიდო?
- უშანგი — მაგ კაცსაც ძაღლი ჰგონიხარ შენ. რომ დაუმტკიცო, რომ შენ ძაღლი კი არა, წითელ-რაზმული ხარ, აიყვანე და ექიმთან მიიყვანე. აიყვან თუ არა?
- ჯაბულო — (მივიდა, დასწვდა, დაჭრილი აიტაცა) მომკალი, უშანგი.
- უშანგი — წაიყვანე. ფატი, გაყე. ჯაბულო, თუ ეგ კაცი თავის სიყვედილით არ მოკვდა, პასუხს აგებ. (ჯაბულო მძიმე ნაბიჯით გადის. მას ფატი გაჰყვება)
- დათიკო — უშანგი, გადაჭარბებული ღმობიერებაა.
- უშანგი — დაჭრილს მიხედვა უნდა.
- დათიკო — აქ ბრძოლაა და არა ჰოსპიტალი.
- უშანგი — ადამიანი ბრძოლაშიც ადამიანი უნდა იყოს.
- გიგო — (მდივანი მოჰყავს) იარე, იარე!
- დათიკო — ეგ ვინ მოგყავს, გიგო?
- გიგო — ვერ იცანი? უამბაკუროვის მდივანია.
- მდივანი — ჩემთან რა ვინდა? შე მდივანი ვარ. მეტყვიან დაწერე, დავწერ, მეტყვიან წაშალე, წაშლი. მეტყვიან შემოუშვი, — შემოვუშვებ, მეტყვიან არ შემოუშვა, არ შემოვუშვებ.
- დათიკო — მეტყვიან ილაპარაკე...
- მდივანი — ვილაპარაკებ. მეტყვიან გაწმინდი, გაწმინდები.
- დათიკო — არა, დღეს შენ ილაპარაკებ.
- მდივანი — როგორც მეტყვიან.
- უშანგი — გიგო, ეგ კაცი, დაბლა ჩაიყვანე. ამხანაგები გააფრთხილე. ტყვეებს შეურაცხყოფა არ მიაყენონ. (გიგოს მდივანი გაჰყავს)



- კ ი კ ი ა — (ფეოდოროვან ერთად მოდის) ხალხო, გამარჯვება დიდი გამარჯვება!
 დ ა თ ი კ ო — მეფის პლასტუნებმა იარაღი დაჰყარეს?
 კ ი კ ი ა — უნა დაიხივს, ნაცხავატევის გორაზე გამარჯდნენ. (რაზმელები მოდიან ყოველ მხრიდან) გილოცავთ გამარჯვებას!
 დ ა თ ი კ ო — მოიცათ, რა დროს გამარჯვებაა! პლასტუნები ნაცხავატეზე გამარჯდნენ, მათ იარაღი არ დაუყარიათ ეს მიგანჩიოთ გამარჯვებად?! უნდა შევეუბნოთ ვერტყაო! მუდიდან ამოვიგდოთ „პოტიომკინელი“, შენ რას იტყვი, შევეუბნოთ თუ დავიშალოთ?
 ფ ე ო დ ო რ ო ვ ი — რაკი დაიწყო, ბოლომდე მივყავთ.
 უ შ ა ნ გ ი — არა, ამხანაგებო. ჩვენ დღეს, ნაკლები სისხლით, დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ. ნაცხავატეზე თედასხმა, დიდ მსხვერპლს მოგვიტანს, და ხალხის თვალში დაიბრდილება ის, რასაც დღეს მივაღწიეთ. მათ ჰყავთ ვაწერთნილი ჯარი და საუკეთესო იარაღი ჩვენ კი ფილთა თოფებით და წაღლებით მივდივართ. გვაქვს ოთხი ბოში, რომელი ვასკდება, ისიც არ ვიცო. ჩვენ დღევანდელი ბრძოლით მეფის მთავრობას ჩვენი ძალა ვაჩვენით. ყალბ მანიფესტს ჩვენნი ძლიერებით ვაყვეით პასუხი. ძალა-უფლება ჩვენს ხელთ არის. ახლა დავიშალოთ, ხალხო, საგანგაშო შემთხვევაში შეკრების ნიშანი იქნება საერთო ზარების რეკა.
 დ ა თ ი კ ო — არ დაივლიანო, უშანგი, და საგანგაშო ზარების რეკა სამკლოცობაროდ არ გადაიქცევა.
 გ ლ ე ბ ი — მე საყანე მიწა მიწა, ზამა, საყანე, სამარხი კი არა!
 ფ ე ო დ ო რ ო ვ ი — შე დათიკოს ვემხრობი. ბრძოლა ბოლომდე.
 დ ა თ ი კ ო — კიკია, რად სდუმხარ?
 კ ი კ ი ა — არ ვიცო, რა ვთქვა.
 დ ა თ ი კ ო — რა უნდა თქვა? კი არ უნდა თქვა, უნდა იბრძოლო ვატყობ, ბერიკ გვყავს მოლაპარაკე.
 უ შ ა ნ გ ი — ნუ ცხარობ, დათიკო. აქ დაფიქრება არის საჭირო. გათენებამდე კიდევ გვაქვს მჯნ დრო. ასისტაგები, ათისთაგები კომიტეტში შევიკრიბებით. დანარჩენება, სახლებში. (ხალხი თანდათანობით დაიშლება. ადგილი დაცარიელდა. ჩაბნულდა. შორს ძაღლების ყუფა ისმის. მოუარებულ ადგილს ჯამბაკუროვი და თაყა მოსჩანს)
 ჯ ა მ ბ ა კ უ რ ო ვ ი — (თაყას) პოლოვნაის ამ ბარათს გადაცემ და თვით მოახსენებ, სადაც ვართ. ჯარი მოგვამუშავლოს.
 თ ა ყ ა — მესმის. (ჩაქრა).

ისევ ქინკას ხიდი

- გ ი გ ო — (თოფით ხელში, მიდამოს გუშავობს) ვითომ დასურ გაიხსენება ჩვენთვის ცა? თუ ტყუილა ვაკლავთ თავს? არა, კაი ცხოვრება გვექნება. კაი. გლეხობისთვის არაგინ დამძრახავს. მიწა მექნება, ზედ კაი ოდა სახლი. მეტი რაღა მინდა არა, კიდევ მინდა რაღაცა. კაი ცოლიც მინდა, კაი შვილები, შვილებს სასწავლებელმა გავეზავნი, ექიმი ან ფოსტის ნაჩალიკი მაინც გამოვა. მე და ჩემი ქეთუშა დროშით ვიკატავებთ. რაჟა, არ დაგვეშენდებთ თუ! სულ კალოშებით ვივლით! ყოველ შაბათ-კვირას შაქრიან ჩაის დავლეუთ. აბა, რაჟა, შაქარი მარტო ამოლონას! შე რა მაწყენს! ახლა ღმერთი ალბათ იცინის. რატომ უნდა იცინოდეს? თუ ღმერთია, არ უნდა იცინოდეს. (ბირჯვარი გადაიხაზა) ღმერთო, მამატე, მოშწყინდა და წაივადღე ჩემთვის. გურადღებას ნუ მოაქცევ. კაცი მარტო რომაა, ხომ იცი, ათას რამეს იფიქრებს... ისე, ღმერთო, დაილოცა შენი სახელი. ერთი სასაყვედურო ქე მაქვს შენს მღვდლებზე. მაგათ გამო აქამდე ცოლი ვერ შემართავს. კაცო, ქეთუშა ქე დვეითანხმე რო ცოლად გამომყვს, მღვდელი კი ვერაფრით ვერ დვეითანხმე, ნისიად ჯვარი დამწეროს. ველარ გავიგე. პირველად ქეთოს აფუხსნა სიფარული თუ მღვდელს? ღმერთო, მამატე, რას არ იფიქრებს კაცი! ისე, ღმერთო, კარგს ქე იზამ ჩემთვის ერთი ნაქერი მიწა, ერთი კობტა ფაცხა და კაი ცოლი რო გვიმეტო. მამატე, ღმერთო, მამატე. (გარმუდა, გზას ვასცქერის)
 თ ა ყ ა — (მალეით მოდის. შიგარა გიგოს, იძრო ხანჯალი და მთელი ძალით ჩაქრა ზურგში. გიგო უსულოდ დაეცა. თაყამ სისხლიანი ხანჯალი შეახოცა მოკლულს და კი არ გაიქცა, გველფით გასრიალდა)

ფ ა რ დ ა

მომხილება მისამე

სურათი მეშვიდა

ამაღლებული ადგილი, მალღობზე ვეება დატოტვილი მუხა, რომლის ჩრდილქემ მოქცეულია მთელი მალღობი. მუხის ქვეშ თუ აბლო მიდამოები, ხალხით არის სავსე. აქ არიან გველანი, ვარდა დათიკოსა და კიკიასი. მუხის გასწვრივ დგას გენერალ-გუბერნატორი ჯამბაკუროვი. ქალები ცალკე დგანან, მათ შორის მარიამი.

ჯამბაკურდი — მე, თქვენი შაჰის უფროსი შუის ნაცვალის დავალებით გელაპარაკებით. წესრიგი იყოს. განვაგრძობ ჩვენი საუბარი, როგორც დაიწყეთ. არც იარაღი მაქვს, არც მხლებლები მყვანან. ვინც თქვენ არ ესურდათ, ხომ გავაძევეთ? გთხოვთ, ნუ ხმაურობთ. მე მინდა თქვენი გულსტკივილი გავივო და შევეს მოვახსნო. რა გაწუხებთ? რა გნებათ?

უშანგი — გადაუცოთ მღვს, რომ ზვენი გვინდა თავისუფლება.

ჯამბაკურდი — მე როგორც ვხედავ, ჩემთან, დეპუტატების ნაცვლად, გადაცმული ავტორიტეტები მოდიან.

ჯაბულო — რა თქვა?

გლახი — გადაცმული ავტორიტეტები ხართო.

ვეურეთ კიდევ ორ კიდილს, დაგვრჩა სანახავი სამი. მეტის ნახვა ვეღარ შევძელით და სტალიონი დაეტოვეთ.

საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის მეოცე სესიის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ მონაწილეთათვის მოეწყო გეოლოგიური ექსკურსიები, რის დროსაც ჩვენ ერთდროულად გვეცინათ მექსიკელი ხალხის ცხოვრებას და მის ძველ ისტორიას. დავათვალიერეთ ინდიელი ტომების ძველი სამყოფელოები.

ქ. მეხიკოს მახლობლად უნივერსიტეტის ახლოს გათხრილია ინდიელების სოფლები, სადაც ცხოვრობდნენ 2400 წლის წინათ. სოფელი შედგებოდა მიწურებისაგან, რომელთა ნაწილი განთავსებული იყო ამაღლებულ ადგილას. მეოთხე საუკუნეში (ჩვენ წელთაღრიცხვამდე) იგი დაიფარა ველკანური ლავით. ამჟამად აქ არის მუზეუმი, სადაც გამოფენილია გათხრების შედეგად ნახული თიხისაგან ან ოფსიდიანისაგან გაკეთებული სხვადასხვა საგნები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა აქ მცხოვრებ ინდიელი ტომების მაღალი კულტურის შესახებ.

დღი ინტერესი გამოიწვია ტოლტიკების ძველმა ქალაქმა — ტეოტიუაკანმა და აქ არსებულიმა შხისა და მთვარის პირამიდებმა. პირამიდების ფერადები, რომლებსაც ტერასული აგებულება აქვთ, ღამაში ორნამენტებითაა მორთული. შხის პირამიდის სიმაღლე 100 მეტრს აღემატება. მთვარის პირამიდა შედარებით უფრო დაბალია. ამ გრანდიოზულ ნაგებობათა გარშემო ვანდაგებულაა მკერ ბორცვები, სადაც ალბათ ასათფავედბდნენ ტოლტიკების ბელადები.

პირამიდებს ასტრონომიული დანიშნულება ჰქონდათ. აქ შემუშავებულია ერთ-ერთი უძველესი კალენდარი, რომლის ნახვაც შეიძლება პირამიდების ტერიტორიაზე მოწყობილი მდიდარ მუზეუმში.

გარდა ამისა აქ პირამიდებზე წარსულში აშარმოვლდნენ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის.

ქ. მეხიკოდან სამხრეთით მოზაზარობის დროს ჩვენ გავიარეთ სამხრეთ-დასავლეთით მთათა სისტემა, რომელშიც შედის მთავრებილები-დასავლეთი და აღმოსავლეთი სერა მადნები. საზნებო ნაწილი გაქობულა ველკანური სივრცე. ნაწილი ვულკანების მოქმედება ან დროებით გაუქმებული. შესანიშნავი გზატკეცილების გასწვრივ დასახლებული ბუნქტების სიახლოვეში, სხვადასხვა ფორმის კატრუსების ტყეების გვერდით, ჩანს შაქრის ლერწმის, ბრინჯის ან სიმინდის მოცილილი ყანები, კართოფლის ბუნქტები და სხვა.

სხვათაშორის უნდა აღინიშნოს, რომ სიმინდი

და კარტოფილი მექსიკური წარმოშობის მკერაგებია.

კატრუსებს მექსიკელი გლეხები მრავალწლიანი იყენებენ. მის წვენი გამოიყენება როგორც წყურვილის მოსაკლავი სასმელი. კატრუსის ნორჩი ნაწილი მიღის მწვანე სალათის მოსამზადებლად. ხოლო მისი ნაყოფი-ნოხალა გემრიელ საქმელს წარმოადგენს. ჩვენ ვნახეთ სხვადასხვა ფერის წამოსახამები — სერაზე, რაც იქსოვება ერთი სახის კატრუსის-ავაგას ბოქოსაგან. ბოლო კატრუსის ღეროებს, რომელთა სიგრძე რამდენიმე მეტრია, მექსიკელები საწვავ მასალად იყენებენ.

უქანისკენელი შეღმართიც და აკტობუსმა სწრაფად მიგვიყვანა ველტეხითან, საიდანაც დევშით დამლა წყნარი ოყენის მიმართულებით ოყენად გერ არ ჩანს, მას ფრავს ხეობების სათავეების ფერდობები, მაგრამ მის სიახლოვეს ყველა გრძნობს. თითქოს გვეყმა ოყენის წყლის სუნი, ტყეში გახშირდა სხვადასხვა ჯიშის ლამაზი პალმები, ბანანებისა და სახამორის ოდენი კაკლის (ქოქოსის) ნაყოფითა. პირიორტი ჩვენ წინ ძლიერ განათებულია, რაც, აგრეთვე, ოყენის სიახლოვეზე ლაპარაკობს. გამოცხადდა შეჯიბრება თუ ვინ დაინახავდა პირველად წყნარ ოყენას. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს ყველა, ისინიც კი, ვინც ჩვეულებრივად გადაჭარბებულ სერაიზულობას იჩენს.

და აი, გამოჩნდა ოყენა.

ფირუზისფერი უსასრულო სიგლვეე, სადაც შორს იგი ცას უერთდებოდა... ეს არის წყნარი ოყენის აღმოსავლეთი ნაპირი, სადაც გაშენებულია მსოფლიოში განთქმული ქალაქი-კურორტი აკაპულკო.

მიუხედავად იმისა, რომ მზე ჩქარა უნდა ჩასვენებულიყო, მისი სიმხურვალე საკმაოდ იგრინობოდა. საშუალო წლიური ტემპერატურა აქ 28 გრადუსს უდრის. აი, რატომ ითვლება აკაპულკო შაბათის კურორტად.

სეზონის პერიოდში აქ მოდის აუარება შეძლებული ხალხი — ექსკურსანტები და ეურნალისტები, უმთავრესად — ამერიკიდან. შათ განკარგულებაშია შესანიშნავი ოტელები, მრავალნაირი გასართობი დაწესებულებანი, მოტორიანი და ავტომობილი. ნაგები, კარგად მოწყობილი კვიშიანი პლიაჟი და სხვა.

აკაპულკოში დავავით სამი დღე-ღამე. ამ ხნის განმავლობაში ეიმგზავრეთ ოყენეს ახლო სანაპირო ადგილებში და ოყენაში გამჭვირვალე ძირიანი ნავით, რომლიდანაც ჩანს ოყენაში მოზინადრე ნაირგვარი უცნაური ფორმის არსებანი. წყალმყენთავეები ჩვენ შიერ მითითებულ თევზს, მადღუზას ან სხვა რომელიმე ზღვის ცხოველს სწრაფად იჭერენ და ნავში გააწვდიან. წყალმყენთავეები არჩეველებრივად არიან დაფულებული ეტრეა-ყენთვის და სიმაღლიდან წყალში ხტომის სპორტს. ოყენის ზოგიერთ ნაპირთან არის გრანიტის ციკაბო კლდეები. აქ

კლდეებიდან მოტრავენი ზოგჯერ 20 მეტრის სიმაღლიდან უჩვეულო ღამაში ნახტომით ეშვენიან ოკეანეში. ამ ხელოვნებას კარგად ფლობენ 10—12 წლის ბავშვებიც კი, რომლებიც ყვინთავენ ოკეანის სიღრმეში მდიდარი ამერიკელის მიერ ჩატებული მონეტის მოსაძებნად.

აქაბულკოში ჩვენ ვუყურებთ თხილამურებით ოკეანის ზედაპირზე სრიალს. ღამაში სანახაობაა. ამავე დროს, მეტად სასიამოვნო და სასარგებლო სპორტია. სპორტსმენს ხელეში უჭირავს ათიოდე მეტრის სიღრმის თოვის ერთი ბოლო, რომელიც მეორე ბოლოთი გამოშვებულია სწრაფ-მაველ მოტორიანი ნაგის კინოზე. მოტორულენი უხერხული მოძრაობა განსაკუთრებით მოტრიალების დროს და — მეთხილამურე წყალში ეცემა. იგი ცურვანზე გადადის. ჩქარა მას ნაგი მიუახლოვდება, სპორტსმენი კვლავ იჭერს თოვს ხელებით, ნაგი ამობრუნდება და იგი მსწრაფლ განაგრძობს თხილამურებით ოკეანის ზედაპირზე სრიალს.

სასრიალოდ იხმარება ან ერთი თხილამური ორივე ფეხისათვის, ან ორი თხილამური ცალ-ცალკე ფეხისათვის. ეს თხილამურები თავისი სიდიდითა და ფორმით უმნიშვნელოდ განსხვავდებიან, სათოვლე თხილამურებისაგან.

მეზაოკოში დავბრუნდით 3 სექტემბერს. მეორე დღეს ვროვნულ აუდიტორიაში გაიხსნა საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის მეოცე სესია.

მექსიკის პრეზიდენტის ადოლფ რეიზ კონტინენსის მისალაი სიტყვისა და ეკონომიკისა და პენსიონების რესურსების მინისტრის ალბერტო როიას გამოსვლის შემდეგ, არსებული წესის შესაბამისად, კონგრესის მეცხრამეტე სესიის პრეზიდენტი ფრანგი ჩარლზ ეაკობი გადასცემს თავის რწმუნებას მექსიკელ მეცნიერს გარსია ლოთს. სხლამა ერთ საათს ვაგრძელდა. მისი დამთავრების შემდეგ კონგრესის დღეობაში და სტუმრები, დაახლოებით ორათასსთასიანი კაცი, მექსიკის პრეზიდენტმა სასახლეში სადილად მიეწვიო. სტუმრები გაიფანტნენ სასახლის ღამაზე დარეწებულ და მოედნებზე, სადაც წინასწარ მავიდები იყო მოშალებული. სასმელ-საქმელი უხვად იყო.

ბანკეტზე, რომელიც მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა, ჩვენ საშუალება მოგვცა პირადად გავვეცნო სხვადასხვა ქვეყნის დიდი მეცნიერება.

მეორე დღიდან სესიის სხდომები მიმდინარეობდა 15 სექტემბერს. სხდომები ტარდებოდა ამერიკის კონტინენტზე ყველაზე უჩვეულს მექსიკის უნივერსიტეტში, რომელიც დაარსებულია 1551 წელს. იგი აქამად იმყოფება ახალ ტერიტორიაზე, სადაც გაშენებულია 30-მდე სასწავლო-სამეცნიერო კორპუსი, 110 ათას მავურებელისათვის გათვალისწინებული სტადიონით, რამდენიმე სასპორტო დარბაზით, უამრავი სპორტული მოედნებით და საკურავი აუზებით. უნი-

ვერსიტეტში 30 ათასამდე სტუდენტი სწავლობს საბჭოთა კავშირიდან სესიის წარდგინა 120-ზე მეტი მოხსენება, რომელთაგანაც უკვეათი მოხსენდა სესიას. მათ შორის იყო ჩემი მოხსენებაც თემაზე: „მაგმური პროცესების კავშირი ტექტონიკასთან“.

სხდომებს შორის შესვენებისას გვანგებდნენ სხვადასხვა სამეცნიერო-პოპულარულ ფერად ფილმებს. განსაკუთრებით საინტერესო იყო დიდი ოსტატობით გადაღებული ფილმები სერიიდან: ვულკანების ამოფრქვევა მექსიკაში და ჰავაის კუნძულებზე. ვარდა ამისა, აქ ჩვენ ვნახეთ ფილმი, რომელიც ასახავს ოკეანის ფსევრზე გეოლოგის მუშაობას. ჩვენ გავაკვირება არა მარტო გადაღების ტექნიკამ ოკეანის ფსევრზე, არამედ გეოლოგის აქ მუშაობამ. ვხედავდით, თუ როგორ ტუხს გეოლოგი ჩაქვითი მისთვის საინტერესო ქანის ნიმუშს და როგორ ინახავს ზურგის ჩინათში. ამასთან ვნახეთ, რომ გეოლოგი თავის დაკვირვებებს იქვე წყალქვეშ უბის წიგნაში იწერდა, სპეციალური ფანქრით სთაინადო „ქაღალდზე“.

ერთ საღამოს ჩვენ გვანგებენ მექსიკური სიმღერების და ცეკვების კონცერტი — ფესტივალი. რომელშიც საშუალება მოგვცა კიდევ უფრო ახლო გავვეცნო მექსიკელი ხალხის ცხოვრება და კულტურა.

კონცერტი ჩატარდა ჩვენთვის უკვე ნაცნობ ეროვნულ აუდიტორიაში, სადაც 10 ათასამდე მსმენელი იყო. აქ წარმოდგენილი იყო მექსიკის 13 შტატის ხელოვნება (მექსიკის ფედერაციულ რესპუბლიკაში სულ 29 შტატია).

კონცერტი გაიხსნა მრავალნაირი მხატვრული შეფერვლობის ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწვობილი ტიპების ჩვენებით. შემდეგ დაიწყო გამოსვლები. აღსანიშნავია, რომ მომღერლებისა და მოცეკვავების ძირითადი ნაწილი რჩებოდა უშველემელ სცენაზე და იყავებდა მიჩნეულ ადგილს. თანდათან იქმნებოდა მრავალფეროვანი უჩვეულო სილამაზის სურათი. თანამედროვე ცეკვებთან ერთად აქ ჩვენ ვნახეთ ძველი ინდიელი ტიპების ნაირგვარი ცეკვები, მათ შორის აქტივების ცეკვები ჩირადლებით. ვნახეთ აგრეთვე ქალ-ვაჟის ცეკვა ცეკვის გარკვეულ მომენტში პარტნიორი ქალის ფეხებთან აედებს სიმბერსის, რომლის ველზე ქალი ტემპერამენტულ ცეკვას ასრულებს.

სიმღერებს და ცეკვებს თან ახლავს „მარიამის“ ხან მგზნებარე და ხან სვედიანი მუსიკა.

ასე რომ, სამეცნიერო საკითხების გაცნობასთან ერთად ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა გვენახა მექსიკაში ბევრი რამ, რაც დამახასიათებელია ამ შესანიშნავი ხალხის ყოფა-ცხოვრებისათვის და მათი მრავალფეროვანი წარსულისათვის.

11 სექტემბერს უნივერსიტეტის ამფითეატრში სპორტულ დარბაზში სესია დაიბრუნდა. მეორე დღემ ჩვენ გამოგვრანდით ქ. მეხიკოდან.

პ. ბარბაქაძე



სიბრძნე სიყრუის გარემო

1. რა ეწოდება სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს და როგორ უნდა გავიგოთ მისი შინაარსი.

ამ წერილში აღძრული კითხვა მთელი სიმწვავეით დასვა ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. მ. ლენგმა (წიგნი სიბრძნე-სიყრუისა-ს სათაურისათვის, „მნათობი“, 1957, №5, გვ. 159—167). მართლაც-და სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის სათაურის საკითხი დიდ ინტერესს იწვევს როგორც სპეციალისტთა შორის, ისე ფართო საზოგადოებაში. ამ კრებულის სათაურის ნამდვილი აზრის გაგება მათ უფროა საჭირო, რომ ერთი ცნობილი საპუბლიკაციო მწერლის სიტყვისა არ იყოს, „საბა ორბელიანის იგავების სათაურშივე შეღავნდება მისი გენიის უდიდესი ორიგინალობა“¹.

„სიბრძნე სიყრუის“ გაგება განსაკუთრებით შეაფთხო შეღავნდება მისი სხვა ენებზე თარგმნის დროს. კრებულის დასათარგმნებელი არსებითად დაკავშირებულია მისი შინაარსის გახსნასთან. ამ საკითხზე ქრონოლოგიურად პირველ ცნობას ვპოულობთ ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნში, რომელიც გამოქვეყნდა პეტერბურგში 1802 წელს². ბოლხოვიტინოვი აღნიშნავს (მას მასალებს აწვდიდნენ საქმის მკოდნე პირები), რომ ქართველებს ბევრი აქვთ საერო წიგნი, როგორც მაგალითად „სიბრძნე სიყრუისა“ მისი მსგავსებისა ლოკმანოვისა და ეზოპოვისა მსგავსებისა“³.

ბოლხოვიტინოვის დაკვირვებით, სულხან-საბა ორბელიანის წიგნი ეზოპოს ენით, იგავურად სიყრუის სიბრძნეა გამოხატული, სიყრუის წინადადება ზღაპრული მატყველება, „სიბრძნე სიყრუისა“ ბრძნულკრებობაა.

1846 წელს დ. ჩუბინაშვილმა თავის „ქრესტო-მათიამი“ დაბეჭდა „სიბრძნე სიყრუის“ ნაწილები, თხზულებას სათაურად შეარქვა „სიბრძნე სიყრუის ზღაპარი“ და რუსულად ამგვარად

თარგმნა „Сказки мудрости и лжи“. სპეციალურად შევხი ამ საკითხს პროფ. ალ. ცაგარელის იგი წერდა: «Я перевожу заглавие этой книги сибрძნე სიყრუისა словами «мудрость вымысла», а не «мудрость и ложь», как это делают разные переводчики, ибо, во-первых, между этими двумя словами (на грузинском языке) нет никакой соединительной частицы; во-вторых, второе существительное стоит в род. падеже; в третьих, грузинское слово სიყრუე означает и умственную и нравственную фальшивость, в настоящем случае, очевидно, его следует понимать в первом значении и перевести словом вымысел (Dichtung, dichten), как единственно противоположным понятию «мудрость», выражающим умственное совершенство. И так смысл заглавия упомянутой книги Сулхана есть, по моему мнению, след.: мудрое иррациональное, вытекающее (хотя бы и) из вымышленных рассказов и событий.»⁴.

ამეთი ვრცელი და დასაბუთებული განმარტების მოძებნა იგივე წიგნი ალ. ცაგარელმა რამდენიმე წლის შემდეგ განსხვავებული გაგებით გადათარგმნა „Книга мудрости и лжи (грузинские басни и сказки XVII—XVIII стол.)“ Саввы Сулхана Орбелиани. Перевод и объяснения Ал. Цагарели. Санктпетербург 1878 г.:

ალ. ცაგარლის სხვადასხვაგვარმა თარგმანმა საკითხი გაართულა და საცილობელი ტექსტის გაგება გააბუნდოვნა: საქმეს ხელი მოჰქონდა ილია ჭავჭავაძემ. „რას ჰნიშნავს ეს ორი სიტყვა — სიბრძნე-სიყრუე, ერთმანეთზე გადამბული?“ — მკითხულობს ილია და განავრცობს — „საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე-სიყრუის წიგნი დაარქვა, მე ხშირად ჩავ-

¹ ქ. გამსახურდია, კრიტიკა, თბილისი 1956, გვ. 111.

² Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии.

³ დასახელებული შრომის გვ. 81 — 82.

⁴ О грамматической литературе грузинского языка, Санктпетербург, 1873 г., стр. 100—101.

ფიქრებივარ ამ უცნაურს სახელს წიგნისასა¹. საკითხის უოველმხრივ გამოძიებისა აღ აწონ-დაწონის შედეგად ილია ქავჭავაძე იმ დასკვნამდის მისულა, რომ: „საბა ორბელიანის სიკრულე ზღაპარია, არაჲა, იგავა“. ოღონდ „ზღაპარი, არაჲა, იგავი სიბრძნეც არის და სიკრულეც. სიკრულე თითონ ამბავია, სიბრძნე შიგ ჩახახულია არაჲა“. სხვაგვარად რომ ითქვას, ილია ქავჭავაძის მისაზრებით, სულხან-საბა ორბელიანის „ზღაპარი, არაჲა, იგავი ერთსა და იმავე დროს სიბრძნეც არის და სიკრულეც. სიბრძნე სულით, სიკრულე ხორციით. აქ სიკრულე ხატებაა, განსაზოვნებაა სიბრძნისა“. ილიას სიტყვით, „საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა მე ზღაპრის გეუბნები და სიბრძნეს კი გამყნებო“. ამიტომაც „საბა ორბელიანისებური სიკრულე ამოხსინათა“.

ამრიგად, ილია ქავჭავაძის შეხედულებით, „სიბრძნე სიკრუისა“ არის აღუგორიული ხასიათის ნაწარმოები. აქ „სიკრულე თითონ ამბავია“, რომელიც იგავურად, გადატანით ანუ აღუგორიულად გამოხატავს სიბრძნეს. ილია ქავჭავაძემ მოგვცა საყვებით სწორი შეცნობები ახსნა ბუნდოვანი საკითხისა. მკითხე გამონაკლისის გარდა ილია ქავჭავაძის ეს განმარტება ყველამ ვაიზიარა. არსებითად ილია ქავჭავაძის თვალსაზრისს ემხრობოდა კერძოდ აკად. ნ. მარცი, „სიბრძნე სიკრუისას“ მან რუსულად უწოდა „Мирская мудрость“ და საგანგებოდ შენიშნა: „**Буквально Мудрости в противоположность Мудрости истинной, христианской**“, თუმცა ესეც დასძინა: „**грамматически, конечно, верен и обычный перевод этого же заглавия Книга мудрости и лжи**“².

ოლივერ უორდროპმა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაჲათა კრებულს გაიგო როგორც „წიგნი სიბრძნისა და სიკრუისა“ და შესაფერისად თარგმნა იგი ინგლისურად (*The Book of Wisdom and Lies*). ბოლო დროს გამოქვეყნდა „სიბრძნე სიკრუის“ გერმანული თარგმანი: „*Die Weisheit der Lüge*“ (მთარგმნელი მ. შერეთელი). თარგმანს ახლავს ზ. ავალიშვილის ვრცელი შესავალი წერილი. წერეთელი და ავალიშვილი იზიარებენ „სიბრძნე სიკრუის“ ილიასულ გაგებას. ასევე ტექსტი გაგებული ახალი რუსული თარგმანებითაც: *Мудрость лжи* (თარგმანი ვ. ცაგარლისა, საერთო რედაქცია ს. ორბელიანი-შვილისა, ლიტერატურული რედაქცია იური ტინინაშვილისა, თბილისი 1939) და „*О Мудрости вымысла*“ (თარგმანი ვ. ლოლბერტიისა, რედაქცია ვ. ლუნდბერგისა, მოსკოვი 1948, 1951).

რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა დოკ.

გ. იმედაშვილის წერილი „წიგნი სიბრძნე-სიკრუისა-ს სათაურის გაგებისათვის“. მკვლევარი იმ აზრს ავითარებს, რომ „სიბრძნე-სიკრუისა“ არის წიგნი სიბრძნისა და სიკრუისა, რომ სულხან-საბას იგავთა კრებულში გამოხატულია სიბრძნეც და სიკრულეც. „ამიტომ მისი სათაური უთუოდ უნდა გავიგოთ როგორც სიბრძნე და სიკრულე და რუსული თარგმანიც შეიძლება იყოს მხოლოდ „*Книга Мудрости и лжи*“, რამდენადაც ის მართალსა და ტყუილ ამბებს შეიცავს“.

სადაო საკითხზე უკანასკნელი სიტყვა თქვა დ. გ. ლენგმა. დიდი სიყვარულითა და საქმის ცოდნით დაწერილ თავის მრავალმხრით საინტერესო წერილში ინგლისელი მეცნიერი გულ-მოდგინედ აყრიტყებს ორბელიანისეული თხზულების სათაურის გერმანული თარგმანის გაგებას და ბეჯითად ცდილობს დაასაბუთოს, რომ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაჲათა კრებულს შემუშერის არა მოკლე სათაური — „სიბრძნე სიკრუისა“, არამედ ვრცელი — „წიგნი სიბრძნე სიკრუისა“, სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაურის რედაქციის საკითხს დ. ლენგ ანიჭებს გადაწყვეტ მნიშვნელობას. სათაურის ენობრივ-აზრობრივი და მთელი თხზულების იდეურ-შინაარსობრივი ანალიზი დ. ლენგს არწმუნებს, რომ: „სულხან-საბა ორბელიანისათვის სიბრძნე და ქვეშაობრება არ გამოიხატოს სიკრუისაგან და არც დაფუძნებულია მისზე. სიბრძნე უფრო სიკრუის საწინააღმდეგო წამალია; ტყუილთან დაპირისპირებით სიბრძნე უფრო ბრწყინვალედ კაშვავსბო“³.

აღნიშნულის კვალობაზე მკვლევარი ისყენის: „აღლ. ცაგარლისა და უორდროპისეული წაითხვა სულხან-საბას უცნაური სათაურისა, როგორც წიგნი სიბრძნისა და სიკრუისა, სწორია. ვერაფერი სხვა გაგება ვერ გადმოსცეს ზედმიწევნით ვერც წიგნის შინაარსს და ვერც ავტორის ხასიათსა და ჩანაფიქრს“ (გვ. 167).

თავის შეხედულებათა დასამტკიცებლად პარტიკულური მეცნიერი პირველ ყოვლისა სრულად სამართლიანად მიმართავს ხელნაწერების ცნობას. „უმთავრესი სიმწველ ის არის,—ამბობს დ. ლენგ — რომ ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, ზუსტად რა სახის სათაური წააწერა ორბელიანმა საკუთარ თავდაპირველ ხელნაწერს. თუ დამტკიცდება, რომ სულხან-საბამ თვითონვე დაარტყა წიგნს აღმბრძნე სიკრუისა, აწიგნისა ვარტყა, საკითხი გადაწყვეტილი იქნება: ეს ფორმა იძლევა მხოლოდ ერთ გაგებას „სიკრუის სიბრძნე“ (გვ. 163).

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანის იგავთა კრებულის სათაურის შინაარსის გაგებისათვის

¹ ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიკრულე (თხზულებანი, II, 1941, გვ. 276 — 293).

² Сборники притч Вардана, I, стр. 516, прим. 1.

³ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 5, 1954, გვ. 303 — 309.

⁴ „მნათობი“, 1957, № 5, გვ. 167.

დ. ლენგი გარდაამყვებ მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვა წიგნს. თუ ეს სიტყვა შვეა სათაურში, ენობრივ-გარამატყულად ტექსტის გაგების ერთადერთი შესაძლებლობა რჩება, მაშინ სულხან-საბას თხზულების სათაური ნიშნავს: წიგნი სიბრძნისა და სიკრუისა. ხოლო თუ თხზულებას ჰქონდა მოკლე სათაური (სიბრძნე სიკრუისა) „უწიგნოდ“, ამით დადასტურდება სიკრუის სიბრძნე, ამის შემდეგ შევლევარი ანალიზებს ხელნაწერებით ნაწარმოებულ სურათის ვითარებას. სამეზურში კონტაქტების აღწერილობათა გაცნობის საფუძველზე დ. ლენგი აცხადებს: „ჩვენს ხელთ მყოფ ხელნაწერთაგან არც ერთს არა აქვს მოკლე სათაური — სიბრძნე სიკრუისა“ (164). თავის მხრით „მოკლე სათაურის მქონე ხელნაწერების არ არსებობა საბუთია“ ყველა იმათ წინააღმდეგონე სულხან-საბას კრებულში ეძებს სიკრუის სიბრძნეს (იქვე).

საწიგნაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება სულხან-საბას იგავ-არაკთა კრებულის არც ავტოგრაფი და არც ადრეული ხელნაწერის პირი. ჩვენ ღრამდე მოღწეული ხელნაწერებიდან მხოლოდ რამდენიმე ეკუთვნის მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს, დანარჩენები კი მე-19 საუკუნისაა. ხელნაწერთა ერთ რიგს დეფექტიურობის გამო სათაური საერთოდ არ გააჩნია. შინჯ. ზოგიერთ ხელნაწერს შემოუნახავს მოკლე სათაური. 1810 წელს გადაწერილი ერთი ხელნაწერი იწყება ასე: „დასაწყისი სიბრძნე სიკრუისა“ (საქ. მეზურების ხელნაწერთა აღწერილობანი, V, 108). საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ხელნაწერის გადაწერილი ამბობს: „აღწერა მალხენელი და მარადის განმარტებინებული სიბრძნე სიკრუისა ხელითა თვადის ჯაფარიძის ქაიხოსროს ძე, ოზოგრეს ძის ძე, რაჟდენ დეკანოზისათა სანკთ-მეტერბურსა, წელსა ჩუკ [1826] სექტემბერს კ [23]“¹. ყველაზე უფრო საყურადღებო არის, რომ მოკლე სათაური „სიბრძნე სიკრუისა“ დაეწერა ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერს, სახელდობრ A 860. ეს არის ნიკოლოზ ჩაიკაშვილის ცნობილი დიდი კრებულ „მეხვეტილიანი“, სადაც თავმოყრილია ძველ-ქართული საერო შერლობის საეკლესიო ძეგლები. ნ. ჩაიკაშვილის „სიბრძნე სიკრუისა“ გადაწერილია 1778 წელს. სიბრძნე სიკრუისაა ეწოდება იმ ტექსტსაც, რომელიც 1792 წელს გადაწერილია ნიკოლოზ ჩაიკაშვილის შვილებს — კორნელიესა და თომას (S 3011).

¹ ივ. ლომაშვილი, ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1949, გვ. 64 (ლიტერატურული მატრიცე, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე). ამ ხელნაწერში თხზულებას ჰქონია შენიშვნა: „სიბრძნე სიკრუის წიგნი“.

თავისებური მოკლე სათაური ზუსტ 1811 წელს გადაწერილი ერთ ხელნაწერ ტექსტს: „აღწერა წიგნი ესე, რომელსა ეწოდებოდა წიგნი სიკრუე ხელითა პავლე ტყეშელაშვილისა მოზლოკელისა... წელსა ჩუკა [1811], მარტი ა [1]“. საყურადღებოა, რომ გადაწერილი საგანგებოდ შენიშნავს: „დედაწიგნი სწორედ არს გადაწერილი და შემოწმებული“. მაშასადამე, ასეთი მოკლე სათაური ჰქონია თხზულებას დიდიანშილის ხელნაწერის დედანშიც, როგორც შემოთ გვაქვს აღნიშნული, ე. ბოლხოვიტინოვის მოწმობითაც სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებს მოკლედ რქმევია „სიბრძნე სიკრუე“. ასეთისავე ცნობას იძლევა იოვანე ბატონიშვილი, იგი ამბობს, სულხან-საბა ორბელიანმა „ქმნა წიგნი ზნეთსწავლულებისა სიბრძნე სიკრუედ და წოდებული“². როგორცდაც არ უნდა გავიგოთ ე. ბოლხოვიტინოვისა და იოვანე ბატონიშვილის ცნობები, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოგვეპოვება მოკლე სათაურთა მქონე („უწიგნოდ“) რიგი ხელნაწერი, მათ შორის ნიკოლოზ ჩაიკაშვილის წესსა (ჩაიკაშვილი საგანგებოდ არჩევდა თავისი კრებულისათვის ძველსა და სანდო ხელნაწერებს). მაშასადამე, არ მართლდება მოსაზრება, თითქმის ჩვენ არ გავაჩინდეს მოკლე სათაურის მქონე ხელნაწერი ტექსტები სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულისა (დ. ლენგის დასვენაც ემყარებოდა მის „ხელთ მყოფ“ ხელნაწერებს).

ანგარიშგასაწივია მეორე ფრიად მნიშვნელოვანი ვარაუზი: არ შეიძლება გადაკრით ითქვას, თითქმის სიტყვა წიგნი უთუოდ შვედის სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაურში ცნობილი რედაქციის კვალობაზე — წიგნი სიბრძნე სიკრუისა. საქმისა, რომ წიგნი სიბრძნე აქვს დართული ამა თუ იმ თხზულების ჩვეულებრივსა და კანონიზებულ სათაურებს. მაგალითად: წიგნი დილარიანი (აღწერილობანი, II, 11, 283; Q, I, 199); წიგნი ხრონორაფი (II, I, 215); წიგნი მახამა I, 113); წიგნი ხილს ქება A, IV, 272); შამიფარქანის წიგნი (H, I, 113); წიგნი წყობილსიტყვაობა (H, I, 132, 164, 283; H, V, 100, 212 და სხვ.); წიგნი ყარამანისა, ე. ო. ყარამანიანი (H, I, 4, 62, 240; H, V, 73; A, IV, 149—150 და სხვ.); წიგნი ამირან დარჯანის ძისა, ე. ო. ამირან დარჯანის ძისა (H, II, 296; H, V, 220; Q, I, 374); წიგნი ეფესილსიტყაობისა (იოსებ გრიშაშვილის საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიონის ერთ ხელნაწერს მიწერიალი ჰქონია:

¹ ე. თვაციშვილი, აღწერილობანი, I, 110.

² კალასობა, II, 1948, გვ. 188.

„...ვიქტორეობი აღრითვე გარდამერად ამა წიგნისა სიტყვის-სკონისა, რომელ არს ლექსიონი“ (მ. I, 142). წიგნი დართვი თერთ სულხან-საბას ლექსიონსაც.

მუყავანი მავალითები ცხადყოფს, რომ არც ერთ დამოწმებულ შემთხვევაში სიტყვა წიგნი თხზულების სათაურში არ შედის, თუმცა სათაურის ტექსტს დართული აქვს. ეს კი უფლებას გვაძლევს ვთვლიყოთ, რომ სიტყვა წიგნი არ შედის არც სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის სათაურში.

ამრიგად, ზედწერი მეწყვეტილების საფუძველზე ვერ დამტკიცდება, რომ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს ეწოდება „წიგნი სიბრძნე სიტყვისა“ და ანა „სიბრძნე სიტყვისა“. ტრადიციულად ქვეული სათაურის ტექსტშიაც („წიგნი სიბრძნე სიტყვისა“) სიტყვა წიგნი სათაურის ნაწილი არ არის (უნდა წაფიქობოთ: წიგნი „სიბრძნე სიტყვისა“).

დ. ლენგი იზიარებს იმ შეხედულებას, რომ სულხან-საბა ორბელიანზე გარკვეული ზემოქმედება მოუხდენია ძველი ქართული მწერლობის იმ განთქმულ ძეგლს, რომელსაც ეწოდება: სიბრძნე ბალაქვარისი (ბალაქვარიანი). მკვლევარი შენიშნავს: „სულხან-საბას სწორედ ბალაქვარიანი ჰქონდა გულში, ანდა გულის ენ-ტელში მაინც, როდესაც თავის წიგნზე მუშაობას შეუდგა“ (გვ. 162). ეს კი იმის სასარგებლოდ დააბრავს, რომ სულხან-საბას წიგნსაც სიბრძნე ბალაქვარისი ანალოგიით ვრცეა სიბრძნე სიტყვისა. მით უმეტეს, რომ ბალაქვარი თავის სიბრძნეს ოჯახსაფს აცნობდა არსებითად სწორედ იგავ-არაკების („საქრუო არაკების“) საშუალებით. სულხან-საბა კარგად ცნობდა ისეთ წიგნებს, როგორცაა სიბრძნე სოლომონისი, სიბრძნე ისრაელიისა და მისთანანი. ამ ლიტერატურული ტრადიციების მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის სათაურის საკითხის გადაწყვეტისათვის უპარტებელი იზნებოდა¹.

დასასრულ დ. ლენგი კითხულობს, „გრამბიტია რომ გვარდზე გადავდოთ, როგორ შევსაბამება წიგნის განწყობილებასა და შინაარსს“, რომ სულხან-საბა ორბელიანის მიერ გამოხატული „სიბრძნე მხოლოდ და მხოლოდ სიტყვისა და აბდაუბდაზე დამოკიდებულად ვცნოთ“ (გვ. 166). დასმულ კითხვაზე მკვლევარი იქვე იძლევა ამომწურავად გარკვეულ პასუხს. ის ამბობს: „უპირველეს ყოვლისა თავიდან უნდა მოვიზოროთ ის აზრი, რომ თხზულების ერთი რომელი-

მე გმირი ბრძნული მოძღვრების წარმომადგენელია, მეორე კი — ცრული ან უბღბისა. ცვატრელი საბურის რუქას რაღაც შემაყის მოიქცეულად ზატრედა, წინააღმდეგ ბრძენი ლეონისა და კუშმატიების სხვა წარმომადგენლებისა, მაგრამ წიგნის სახელდახლოდ ვადასინჯავი კი ააშკარავებს, რომ ნამდვილად ჰყვის დამირიგებელი და სულელური მოთხრობები მეტ-ნაკლებად თინბრად ნაწილდება სხვადასხვა მოზაასეთა შორის. მართლაც, მოქმედი პირები იყო არა, წიგნის იგავეები და ამბები იყოფა ორ ჯგუფად“... (გვ. 166; დაყოფა ნემია, ა. ბ.).

სწორია დ. ლენგის მოსაზრება, რომ „სიბრძნე სიტყვის“ იგავ-არაკები იყოფა ორ ჯგუფად: სწორია, რომ გმირების დახასიათებისას უნდა ივიყოლო ტრენდენტობა, მაგრამ ისიც უნდა, რომ სულხან-საბა ორბელიანი ერთმანეთს უპირისპირებს მათი ხასიათის კვალობაზე თავის გმირებსაც. ამხუ აქ მსჯელობას ვერ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ შედარებელი ერთ სიბრძნეზე მოვაქციოთ გულდარძობილი ქნსა საბურისი რუქა და კეთილი ვაზირი სედრაქი (ან ლეონ ჰაბუქი). სულხან-საბა ორბელიანი რუქას აღაბრავებს, რომ ის კაცთა მოძულეა, რუქა ვადაპრით უხვადებს სედრაქს: „შენ მაგ ბუნების პატრონი ხარ, რომე ყოველი კაცი გიყვარს, და მე ყველანი მძღვან“. რუქას არაფერი სწამს სიყვითისა და ადამიანობისა, მისი ამზავალი თვალხარისხია: „არას კაცს კარგის მოქმედებისათვის კარგი არ უქმნიო“. სულხან-საბა ორბელიანი მხატვრული ვნით დაუზოგავად ამხვლს და კიცხავს რუქას ანტისაზოგადობრივ თვალსაზრისს. სულხან-საბას სწამს (და ამ რწმენას გამოხატავენ მისი საყვარელი გმირები) ადამიანთა ბუნებითი სიყვითე, მას შესაძლებლიდ მიანია საზოგადოებაში ფეხმოკიდებულ ზნეობრივ მანკიერებათა დაძლევა. სულხან-საბას მხატვრულ ასპექტში წარმოდგენილი აქვს ზნეობრივი მოძღვრების მთელი სისტემა, რომლის დამუშავებაში გატარებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უკეთესი მერმისი. სახელოვან მწერალს ასულდგმულბდა საზოგადოებისა და ქვეყნის უკეთესი მერმისის იმედი.

თავისი გემანის სამოწმოდ დ. ლენგი მიზართავს „ქილოდა და დამანას“. ამ თხზულების ქართული ტექსტის მთარგმნელები (ე. ი. ვახტანგ მე-ნ და სულხან-საბა) „წერენ, დასიბრძნო სწავლა და სასაქრუო არაკებია [აქ] ერთმანეთშია აბუელი: მათ მუცნიერნი — სასარგებლოდ და უმეცარნი სალიზოლბოდ უნდა იკითხვიდნენა. ეს სულხან-საბას საყვარელი მოთხრობათა წიგნსაც პირდაპირ შეესაბამება. სიბრძნე უპირისპირდება სისულელეს; სიქველე — მანკიერებას; ყალბი, ცრუ მოძღვრება — კუშმარტის. ვასართობად გათვალისწინებელი დაუჯერებელი ამბები მოათესებულია ჰყვის სასწავლებელი იგავეების გვერდს“ (გვ. 167).

¹ ი. მგერელიძე, სიბრძნე სიტყვის სათაურის შესახებ („ლიტერატურული გაზეთი“, 20. 8. 54).

რა თქმა უნდა, „ქილილა და დამანას“ ტექსტის მონაცემები უფროდ შეესაბამება სელხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების წიგნს. ოლინდ „ქილილა და დამანას“ ტექსტიდან ის აზრი არ უნდა გამოიმდინარეობდეს, რასაც გვთავაზობს პატიუკმული მეცნიერი. თვალსაჩინოებისათვის მთლიანად მოგვეყვას „ქილილა და დამანას“ შესაფერისი ტექსტი:

„ბრძენთა და მეცნიერთა ფილოსოფოსთა ამისნი შეკრების რიგები მრავალი სახენი ერთ-რიგად შეუწყვიათ: სიბრძნე, სწავლა (სამხიარულოდ) და საცრუო არაკები ერთმანეთში აურევიათ. სიტყვით მავალითნი მრავალთა ბუნებათა საწადელად საცურისი კალთათა გამოუხვევია: ნადირთა, მხეტთა, თევზთა და ფრინველთა ენათა მგვირბი არაკნი და სობრძის გზები მოუყვანიათ. ამა მეცნიერებისა: სარგებელთა რიგები — ფერად-ფერადად, სიბრძნე და სწავლანი სვე-ბედნიერობით გამოუჩენიათ. მეცნიერნი — სასარგებლოდ და უმეცარნი საღიზობელად უნდა იკითხვიდნენ“¹.

როგორც ცნობილია, სელხან-საბა ორბელიანმა „გახალხა“ ქილილა და დამანას ვახტანგისეული თარგმანის ტექსტი. მოუყვანილი ტექსტის სწორად გაგებისათვის აქვე ვაქვეყნებთ მისი დედნის რედაქციას (ე. ი. ვახტანგის თარგმანს):

„სიბრძნის მეცნიერთა და ფილოსოფოსთა ამის შეკრების რიგი ერთის რიგით თვის თვისად შეუწყვიათ: სიბრძნე, სწავლა, სამხიარულო და საცრუო ერთმანერთში აურევიათ, სიტყვის სახე მრავალთა ბუნებათა მონადირისათვის მოკითხვის კალთაში გაუხვევიათ; და ნადირთა, თევზთა, მხეტთა და ფრინველთა ენით არაკნი და სიბრძნის გზები უთქვამთ, ამითი მეცნიერების სარგებლის რიგები და ფერად-ფერადნი სიბრძნე და სწავლანი გასაბედნიერებელი გამოუჩენიათ. მეცნიერნი სარგებლისათვის და უმეცარნი საღიზობდ წაიკითხვედნენ“.

უნდა ვთქვათ, რომ ქილილა და დამანასში წარმოდგენილია ბევრი „სწავლა“ (ფილოსოფიურ-თეოლოგიური, საწმენოებრივ-ზნეობრივი, სოციალურ-პოლიტიკური, საყოფაცხოვრებო და ა. შ.). ამ „სასიბრძნო სწავლის“ გაღმარავემდ გამოყენებულა „სიტყვის სახე“ (ვახტანგი) ან „სიტყვის მავალითნი“ (სელხან-საბა), ე. ი. აღუგორიელი, იგავ-არაკელი ხერხი. ნადირთა, მხეტთა, თევზთა და ფრინველთა ენით „არაკნი და სიბრძნის გზები უთქვამთ“. მისევე მკითხველის უერადღებან იმას, რომ ვახტანგისეული რედაქციით ნათქვამია: „სიბრძნე, სწავლა, სამხი-

არულო და საცრუო ერთმანეთში აურევიათ“ საბას რედაქციით იგივე ტექსტი ასე გამოიყურება: „სასიბრძნო სწავლა (სამხიარულოდ) და საცრუო არაკები ერთმანეთში აურევიათ“. ვახტანგის ტექსტით ისე გამოიქვს, თითქო თხზულებაში სამხიარულო და საცრუო სწავლა ერთმანეთშია არეული. სელხან-საბა ახსენებს, ერთმანეთშია არეული სასიბრძნო სწავლა და საცრუო არაკებიო. მართლაც-და ქილილა და დამანასთვის „საცრუო არაკები“ სიტყვის მავალითებია, საილესტრაციო ნიმუშებია, რომლებმაც უნდა ნათელი და სარწმუნო ვახადონ „სასიბრძნო სწავლა“, „საცრუო არაკებთ“ ასახულია სიბრძნე. სხვაგანაც ქილილა და დამანასში ნათქვამია: „ამ ზღაპრობისა ამავესა შინა გამოჩენილი საუბარი მრავალ რიგთა გამოცდილებათაგანი იპოვებინა, და რამდენი სხვადასხვა სწავლით გამოჩნდებინა“ (გვ. 262). თხზულებაში ან აზრს ავითარებს, რომ „საცრუო არაკები“ შეიცავს სწავლას, სიბრძნეს, „საცრუო არაკებში“ სიბრძნეა ჩაქსოვილი, რაც უნდა შეიცნოს და ამოიკითხოს წიგნის შეგნებულმა მკითხველმა. იგავ-არაკის ამავეს ორმაგი შინაარსი აქვს—პირდაპირი და გადატანი. პირდაპირი მნიშვნელობით იგავ-არაკი ერთ და ზღაპრულია, გადატანით კი სასიბრძნოა, ამიტომაც ტექსტის კითხვა შეიძლება სამეცნიერო-სარგებლობისთვისაც და საღიზობელადაც (სალაყბოდ).

წინააღმდეგ დ. ლენვის მოსაზრებისა, ქილილა და დამანას ორბელიანისეული ტექსტის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება ან კრეკის სასწავლო იგავები და სელესტურ გასართობი ამბები, არამედ პოლიტიკური ფორმით წარმოდგენილი სასწავლო სიბრძნე და მოგონილი „საცრუო არაკები“.

ასე უნდა იქნეს გაგებული ქილილა და დამანას ციტრებული ტექსტი. ქილილა და დამანას ორბელიანისეული ტექსტით, სიცრუე ნოსანდობლივი, სპეციფიკური თვისება არაკისა. ამჟამა, რომ სელხან-საბა აქ იმავეს ამბობს, რაც მან საუცხოოდ გამოთქვა წიგნით „სიბრძნე სიკრძისა“. სელხან-საბა ორბელიანმა საუბარი შემოქმედებითი შედეგითაც და ქილილა და დამანას მის მიერვე დამუშავებული ტექსტითაც მხატვრულად დაასაბუთა, რომ სიცრუეს აქვს სიბრძნე, რომ „საცრუო არაკებში“ სიბრძნეა ჩაქსოვილი. ამ ნიადაგზეა შექმნილი სელხან-საბა ორბელიანის უკუდევ იგავ-არაკთა კრებულის მშვენიერი, უაღრესად ორიგინალური სათარხი „სიბრძნე სიკრძისა“. შევუქრობ, რომ ჩვენ ძლიერ დაეპოვებდით ამ დიდებული ძეგლის მნიშვნელობას, თუ პროფ. ილ. ცაგარლის თანხმად მას გავმთავრებთ „в смысле мудрости и вранья“¹.

¹ ქილილა და დამანას, ილია ჭყონიას გამოცემა, თბილისი 1886, გვ. 1-2.

¹ Книга мудрости и лжи. Перевод и объяснения Ал. Цагарели, стр. 179.

დასასრულ უნდა აღვნიშნო შემდეგი: თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს მიინცადამიანე ეწოდებოდა „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, ამ სათაურის შინაარსობრივი გააზრება მიანიჭებს არ შეიძლება ასეთი დაშვებისას უნდა ეფიქტროთ, რომ იგავ-არაკთა კრებულში აწერილია სიბრძნისა და სი-

ცრუის ამბები იმ განზრახვით, რომ სიყრუთაყ სიბრძნე გამოიხატოს. შეუძლებელი იქნება სულხან-საბა ორბელიანის მივანეროთ ის აზრი, თითქოს მწერალი შეეცადა მხატვრულ-დღეგრძელობის ენით დაესაბუთებინა სიბრძნისა და სიცრუის თვითარსებობის, თუ თანაარსებობის უცელობა.

2. სიბრძნე სიცრუისა-ს თარიღისათვის

„სიბრძნე სიცრუის“ დაწერის თარიღი ერთ დროს საცილობლად ითვლებოდა. აღ. ცაგარლის მოსაზრებით „სიბრძნე სიცრუისა“ თუ არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, მისი საბალოარედაქცია უნდა ჩამოყალიბებულყო ავტორის მოხუცების ასაკში, კერძოდ საბას ვერობიდან დაბრუნების შემდეგ¹. მკვლევარს საბუთად ის მოჰყავდა, რომ „სიბრძნე სიცრუის“ ზოგიერთ იგავ-არაკში ლაპარაკია იტალიელ მხატვრებზე, დეკა და გრანდეკაზე, მაგიტროსზე, რომზე, კონსტანტინეპოლზე, საფრანგეთზე. თუმცა, რაკვირვანია, ასეთი რამ შესაძლებელია საბას ვერობაში წასვლამდე სტოდნოდაო, საგანგებოდ დასძინს აღ. ცაგარელი. ცაგარლის თვალსაზრისი გაიზიარეს ნ. შარმა² და აღ. ზახანიშვილი³.

აღ. ცაგარის თვალსაზრისის წინააღმდეგ გაილაშქრა აკაკი წერეთელი „სიბრძნე სიცრუისა“ წამოვილობაშივე შეაგროვა და ვერობაში კი სიბერის დროს მოგზაურობდაო, წერდა აკაკი 1898 წელს⁴. ეს მოსაზრება, რომელიც ბოლო დრომდე საყოველთაოდ იყო მიღებული, ემყარება „სიბრძნე სიცრუის“ ხელნაწერთა მოწილობას. კრებულის ყველა ხელნაწერს, რომელთაც კი დასაწყისი გააჩნია, წარწერილი აქვს: „ნააქვამი სულხან ორბელიანისა ეამსა სიბაბუქისა თვისისა“. წარწერაში გვახსენია ორი ვარაუდობა: „სიბრძნე სიცრუისა“ ნათქვამია ავტორის სიბაბუქეში და სულხანობის პერიოდშიო, ე. ი. ბერად შედგომამდე, ანუ 1698 წლამდე.

„სიბრძნე სიცრუის“ ადრინდელი წარმოშობა ახლა საცილობელი გახდა თ. კეკელიძის⁵ იგი ამტკიცებს, რომ კრებული დაწერილია სულხან-საბა ორბელიანის ვერობიდან დაბრუნებისა და საბას და ვახტანგ მე-6 შორის ურთიერთობის გამწვანების, ანუ, უფრო კონკრეტულად, 1717 წლის შემდეგო.

თ. კეკელიძის თვის მოსაზრების იმით ასაბუთებს,

¹ Книга Мудрости и Лжи, Петербург, 1878, გვ. 217.

² Сборники притч Вардана, I, გვ. 516.

³ Очерки, III, გვ. 236.

⁴ აკაკი წერეთელი, თხულებათა სრული კრებული, VI, 1957, გვ. 495.

⁵ სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე-სიცრუისა დაწერის თარიღისათვის („მართობა“, 1957, № 9, გვ. 149—152).

რომ „სიბრძნე სიცრუის“ არაკებში ასახულია, ერთი მხრით, ავტორის ვერობაში მოგზაურობის და, მეორე მხრით, ვახტანგთან გამწვანებელი ურთიერთობის ამბებიო. რა თქმა უნდა, თავის იგავ-არაკთა კრებულში ავტორს აღმუქელი აქვს ცხოვრების დიდი ცოდნა და საყოთარი გამოცდილება, თხულებების გმირების საშუალებით ავტორი გამოხატავს თავის შეხედულებებს ამა თუ იმ საქიბობოროტო საკითხზე, ამკვანებს თავის პირადულ განცდებს და ა. შ. მაგრამ „სიბრძნე სიცრუის“ იგავ-არაკებში ავტორის კონკრეტული საბოგრაფიო ფაქტების ძიებას შეუძლია მხოლოდ საკითხის არე-დარევა. მართლაც, ავიღოთ სანიშნოდ ის იგავ-არაკები, სადაც თითქოს ალევარიულად გადმოცემულია სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგის ურთიერთობანი, სულხან-საბას ვერობიდან დაბრუნების შემდეგ.

„ა შ კ ა რ ა დ ა ვ ტ ო მ ბ ი ო გ რ ა დ ი ე ლ ი ბ ა ს ი ა თ ი ა ქ ვ ს ა რ ა კ ს — კ ა ტ ი ს ვ ა რ დ ი ლ ი ლ ი მ ი“, ამბობს თ. კეკელიძის მიტოვებულს უნდა მოვავლით ამ პატარა იგავ-არაკის მოკლე შინაარსი: ერთმა კატამ ვახარად უპატრონოდ დარჩენილი ლომის ლეკვი მოწიფლობის ასაკში ლომმა თავისი მტაცებელ-მხეცური ბუნება გამოამჟღავნა და აღმზრდელის შექმა მოინდომა. კატამ თავს უშველა, იგი ხეზე ავიდა. ლომმა ტყვილი სიტყვებით მიმართა მას, ყველა „ზნეობა“ რომ მასწავლე: „ეგ ხეზე გასვლა რად აღარ მასწავლეო“. კატამ უპასუხა, ეს ამ დღისათვის შევიანებო. თ. კეკელიძის მოქაყეს ამ არაკის შინაარსი და ასკენის: „არაკი ა შ კ ა რ ა დ მივიითობებს ვახტანგისა და საბას ურთიერთობის გამწვანებაზე. აქ გატარებულია შემდეგი აზრი: მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმა ვნებმა ვახტანგს საბაზე გული შეაყვავინეს, ვერ შეძლეს, რომ საბა ვახტანგის რისხვის მსხვერპლი გახდაო“. უცნაური დასკენაა, „ვერ შეძლეს“ კი არა, ლომმა ძალიან მოინდომა, მაგრამ ვერ შეძლო კატის შეპყრობა და შექმა ესეც არ იყოს, თ. კეკელიძის უკვირდება, როგორ ამცირებს ვახტანგის პიროვნებას, მიუხედავად სულხან-საბა ორბელიანის მხრით კეთილად აღზრდისა და გაწიფვისა, თურმე ვახტანგს ბოლომდე შერჩა მხეცური ბუნება და თავისი აღმზრდელის შექმაც კი მოიწადინა. საბასა და ვახტანგს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. მაგრამ ვახტანგს არ დაუწერია საბას დენა, საბას არ დასქირავებია ვითომცა ვახ-

ტანგის ღვევის გამო თავშესაფრის ძებნა. ერთი სიტყვით, ანალოგია არათუ ნაძალადეგია, არამედ აშკარად უაღბოა.

ძლიერ გულისწყრომას იწვევს იგავ-არაკის „იხვი და მყვარის“ ინტერპრეტაცია. ამ იგავ-არაკში მოთხრობილია, რომ ერთ შთაში დარჩენილთ უო წვიმის პატარა გუბე. იმ გუბეში ერთად, მუგამბრულად ცხოვრობდნენ იხვი და მყვარი (ბაყაი). ზაფხული რომ დადგა და სიციხეებმა დიპირა, გუბემ იწყო დაკლება. იხვიმ ურჩია მყვარს, ადგილა ვიცვალოთ. მყვარმა უპასუხა: „შენ აქა-იქ თრევას ჩვეულებარ, მე სამკვიდროს ვერ დაუტევებო“. იხვი წაიდა და ახალი, კარგი ადგილი მოძებნა. მყვარი კი გამწროლ გუბეში დაიღუპა. შემდეგში იხვიმ მოიკითხა თავისი მყვარბარი, მკვდარი რომ ნახა, წამოიპახა: „შობილა, მავისთანა სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო“.

თ. კუკავას ვარაუდით, იხვი ასახიერებს ეხტანგს. ეს იგავ-არაკი გვიან უნდა იყოს შეთხზული. „ეკრბოდ, იმ პერიოდში, როდესაც ვახტანგ-შიც და ქართულ წრეებშიც უკვე მომწიფებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ უკეთესი იყო ეხტანგს მითიკიგინა საქრთველს, ვიდრე იქ დარჩენილყო და დაღუბულიყო. ეს აზრი ადვილად ამოკითხება არაკში იხვი და მყვარი“, სადაც იხვი გადარჩია სიკვდილს მიტკომ, რომ დროზე მიატოვა დამწროლი გუბე“. მყვარი კი დაიღუპა“.

გამოიჩინა, რომ ვახტანგს იძულების გამო კი არ დაეტიკებია სამშობლო მხარე, არამედ იგი საზოგადოდ უოფილა ჩვეული „აქა-იქ ზრევას“ უკეთესი სამკვიდრებლის საძებნელად. ეხტანგისა და სულხან-საბა ორბელიანის მისხედით, თურმე საქართველო წარმოადგენდა „მოპკრო გუბეს“, რომელიც დღეს თუ არა, ხედა უსათუოდ დამოგზოდა და საჭირო იყო მისი ზინადარნი გასკოდნენ და თავი გადაერჩინათ. ნამდგლად კი ვახტანგსა და სულხან-საბას ღრმად სწამდით თავიანთი ქვეყნის მომავალი და სრულადაც არ ფიქრობდნენ მის საბოლოოდ მიტკევისას. ვახტანგი რუსეთში გარდაიხვეწა იმიტომ კი არა, რომ იქ დამკვიდრებულყო, ვახტანგი იმედოვნებდა, რომ პეტრე პირველი დაბმარებით მალე უკანვე დაბრუნდებოდა, სამშობლო ქვეყანას მტრებისაგან გაათავისუფლებდა და თავის სამეღობლოს დაიმკვიდრებდა. ვახტანგს უცხოეთში არ უძებნია „კარგი გუბე“ განცხრომისა და ნებბრობისათვის. ვახტანგმა ანტრბი დაეტიკა თავის მხლებლებს, საკოტრს არ აპყლოდნენ, არ მივლით უცხოეთის ქვეშევრდობა, დაბრუნებოდნენ თავიანთ ქვეყანასა და თავიანთ სახლ-კარს, თავიანთ „გუბეს“. ნებბერობასა და „აქა-იქ თრევას ჩვეული“ იხვი კი დასკინის და ნიშნს უგებს სამკვიდრების მოგვარულს, უკვე მკვდარ თავის „მყვარბარს“. ეს მოხეტიალე და ღუქსავატი იხვი არაფრით არ

პკავს სამშობლოსათვის თავდადებულსა და ნამდვილად წამებულ ვახტანგ მერსს, იხვი რეგორც „გამწროლი გუბე“ არაფრით არ პკავს ეხტანგის გარდაბვეწილობის დროინდელ ნებბრებულსა და აკლებულს, მგარამ მინც მწვენიერ ტარბლის ქვეყანას.

თუ „იხვი და მყვარის“ იხვი (ვახტანგმა) სამშობლო მიატოვა და იგი ახალ „გუბეში“ დაემკვიდრა, იგავ-არაკ „მეფე ანაკოთის“ გმირი მეფე (აგრეთვე ვახტანგი) „თავის სამკვიდროზე ვედარ დადგა და სხვას თემს ივლტოდა“, მგარამ საბოლოოდ მინც „ადგილსა და მამულსა თვისსა მოვიდა და გაშეფდა“. იხვისა და ანაკოთის ბრძივი და უსამართლო მეფის თავგადისავალი ერთმანეთს არაფრით პკავს, როგორ შეიძლება ორივენი ვახტანგს ასახიერებდნენ?

იგავ-არაკში „ორი დავრიში და შამი“ მოთხრობილია, რომ ისპაანში იავიდა ორი დავრიში, ერთი მათგანი „სადგომს დადგა და ერთი შამთან მივიდა“. თ. კუკავას სიტყვით, ეს ამბავი „ზუსტად ემთხვევა საბასა და ვახტანგის სპარსეთში მოგზაურობას. ის გარემოება, რომ არაკის მისხედით, მხოლოდ ერთი დავარიშა მივიდა შამთან, აგრეთვე ნიშანდობლივია, რადგან სინამდილეში, საფიქრებელია, რომ შამთან მხოლოდ ვახტანგი უნდა მისულიყო, რადგან მხოლოდ მას ქკონდა შამთან საქმე“. მისთვის საჭირო დასკენის მისაღებად თ. კუკავას სწორად არ გადმოუტია იგავ-არაკის შინარსი. მკვლეერი მკითხველს არწუნებს, შამს ეახლა მხოლოდ ერთი დავარიში (ვახტანგი), ხოლო მეორე (საბა) უბრალო „სადგომს დადგა“. ჩვენთვის საინტერესო იგავ-არაკში კი ნათქვამია, რომ პირველ დღეს შამს ეწვია ერთი დავარიში. მან ისეთი ტყუილები უბრა შამს, რომ „გაწყურა შამი და გააძო, ასეთი ტყუილი რა სათქმელიაო“. გმწვლებელი დავარიში“ მივიდა აშინანათან, თავისი გასაქირი უამბო, „სამოვარს მოველოდი“ და რისხვა დავიმსახურეთ. მეორე დღეს შამს ეწვია მეორე დავარიში (საბა), რომელმაც ახალი ტყუილებით პირველი დავარიშის ტყუილები გაამართა. ამრიგად, შამთან იყო ორივე დავარიში, ოლინდ პირველი დავარიში უფრო ბრძივი მატყუარა გამოდგა, მეორე კი ენამოსწრებელი და მახვილონიერთა.

აბა, რა აქვთ სიერთი ამ მატყუარა დავარიშებს ვახტანგსა და სულხან-საბა ორბელიანთან? ვახტანგისა და სულხან-საბა ორბელიანის მსგავსად დავარიშები ისპაანს ეწვივნენ. „სიბრძნე სიკრების“ გმირები, ეგრბოდ ლეონი (ეს უველაზე მეტად გამოხატავს ავტორის სულისკვეთებას), ბერს სხვა ქვეყანაში და ქალქში უოფილან. რატომ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს არჩევს მკვლევარი სულხან-საბა ორბელიანის საბიოგრაფიისათავდასავლო ამბების საკლსტრაციოდ? სად არის ამ ლოკია? რა არის მკვლევარის საზომი და ამოსავალი თელასზრისი?

თ. კუკავას მოსაზრებით, მან სიბრძნე სიკრუნი უთქვინა ამოკითხა სულხან-საბასა და ვახტანგის ცხოვრებისა და ურთიერთობის ამბებში, რითაც იგრძობენ თითქმის მეორე დიდი საკითხი — გადჭრა, დასაბუთო მისი სიკრუნი სიკრუნი-აა რიგინალობა, იგი პირდაპირ ამბობს, ესიბრძნე სიკრუნი ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, როგორც პირდაპირი შედეგი, ესიბრძნე სიკრუნი რიგინალობის აღიარებლივ. მეტად სახიფათო საფუძველია იგამონაბელი ესიბრძნე სიკრუნი რიგინალობის ცხადსაყოფელად. უნდა აღვნიშნოთ, რომ შეკვლევის მიერ მიხმობილი იგვარაკების უმრავლესობა განვითარდება ე. წ. შიარულ იგვარაკთა რიგს და მათი სიუფერის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი გავუგებობს იქნებოდა. ეგრძოდ, იხივ და მეყარის ანალოგიური იგვარაკი მოიპოვება ვარდანის კრებულში, იგი გამოაქვეყნა ნ. შარმა და შესაფერისი სითაერიც მისი და დაყარა პატრიოტიზმი¹. აქტილია და ლომისა იგვარაკი ძლიერ გვარკვლებულია აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამისა ერთი ვარიანტი გამოყენებული აქვს საადი შირაზელს². უკვე ეს ფაქტები შეტყველებს იმის შესახებ, თუ რამდენად დაშვარად ავტობიოგრაფიულია იქ მოთხრობილი ამბები.

თ. კუკავა იწმომებს ახალგაზრდა შეკვლევის აღ. გვახარის ნაშრომს ესიბრძნე სიკრუნი ერთი არაკის შესახებ³. ნაშრომის ავტორი ამტკიცებს, რომ სულხან-საბას ორბელიანი, ესიბრძნე-სიკრუნი იყენებს დახითიარ-ნამეს⁴ იმ ტექსტს, რომელიც ქართულად ითარგმნა 1703—1712 წლებს შუა. ამის კი მნიშვნელობა აქვს ესიბრძნე სიკრუნი დასათარიღებლად. უთუოდ ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა. ოღონდ აღ. გვახარია იმასაც აღნიშნავს, რომ სულხან-საბას თავის იგვარაკში შეაქვს ისეთი დეტალები, რომლებიც უნებობა დახითიარ-ნამეს⁵ ვახტანგისეული რედაქციისა და მისი დედნისათვის, მაგრამ ცნობილია ფანის ვერსიით (მე-15, ს.). ამ უკანასკნელის ნაკვალევი აღბეჭდილია ქართულ შერლობაში. ამიტომაც აღ. გვახარია ფიქრობს: იქნებ საბამ ზეპირი გზით იყოლა მეორე ვერსიის შინაარსი, ან იქნებ ფანისეული ვერსიის სხვა აღრეული თარგმანიც არსებობდა ქართულ ენაზე. ერთი რამ აშკარაა, სულხან-საბას ორბელიანს სადაც სხვა წყარო ჰქონია (სულ ვართა, ზეპირი თუ წერილობითი) ეუბედერი დიდგაქრის დასამეშავებლად და არა უცილობლად

დახითიარ-ნამეს⁶ ის ტექსტი, რომელიც 1703—1712 წლებს შუა ითარგმნა.

თ. კუკავას არ შეეძლო უყურადღებოდ დაუტკობინა ხელნაწერების ცნობა იმის შესახებ, რომ ესიბრძნე სიკრუნი დაიწერა ავტორის ჭეშმის სიკვამილისათვის. შეკვლევის განმარტების თანახმად: ამ მინაწერით საბა ცდილობს თავი დაიცვას იმ კულტურალების დენისაგან, რომელიც სასულიერო პირს არ აპატებდნენ საერო წიგნის დაწერას, მით უმეტეს, ისეთი წიგნის დაწერას, რომელიც სატირის წარმოადგენდა ელენის მსახერთა წინააღმდეგ. თ. კუკავას დასკვნით, საბამ თუ გადამწერლებმა ავტორის სიკვამილზე იმისთვის მოიგონეს, რომ დაწარმოებულეულის ცენზურას გააპარესთა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ, რომ სწორად 1717—1720 წლებში სულხან-საბას ორბელიანმა ქართულ ენაზე დაამუშავა ჭილილა და დამანაა, რომელიც იმავე ტიპისა და იმავე ენარის საერო ნაწარმოებია, როგორც ესიბრძნე სიკრუნი. სულხან-საბას სრულიად არ დასჭირებია ეკლესიური წიგნისათვის თვალის ახვევა. შერჩაღი ამბობს, რომ მან ვახტანგისაგან დავალება მიიღო ჭილილა და დამანას⁷ გასაჩარხავად და ლექსებით გასაწყობად: ეს ბრძანება მოვიდა, უარი აღარ იქნებოდა, თუარამ მონახენისაგან ამისთანა ამბავი უწყისთა და ურიგოთა. როგორც ირევეთ, სულხან-საბას თავის მდგომარეობისათვის შეუფერებლად (უწყსოდ და ურიგოდ) მიანდა ჭილილა და დამანასთან ობხლებისდაქმნევა; თუ ამ ტექსტს ხელი მოკიდეს, ის იმითმ, რომ უფარი აღარ იქნებოდა. მანასადაც, აშკარაა, რომ სულხან-საბას ორბელიანი მანინ საყურთარი ინიციატივით, თავისი გენება-განწყობილების შესაფერისად ვერ შეთხზავდა ესიბრძნე სიკრუნი. უნდა დავსძინო, რომ მსგავსების მიუხედავად ჭილილა და დამანას და ესიბრძნე სიკრუნი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება სტრუქტურა და საერთო იდეური ტენდენციებითაც. ესიბრძნე სიკრუნი დაიწერა სადა, მდამიო, ხალხური ენით, ჭილილა და დამანას კი მაღალფარდუანი, ენაწულიანი შერჩობრულით არის გამართული (სანიშნეოდ საყარისთა ერთმანეთს შეუდარდეს სულხან-საბას ჭე და მორიელი და ქილილა და დამანას ჭე და მორიელი). სიბრძნე სიკრუნი ოპტიმისტური მოვლენებელობით არის გამსჭვალული, ანტიკულტურული ნაწარმოებია, ავითარებს სიციხისმოვარეობის იდეას. ჭილილა და დამანას კი სულხან-საბას ორბელიანს შეუტანია პესიმისტური განწყობილების მოტეხვა და ქრისტიანული სარწმუნეობა-ჩავ-აღმსარებლობითი ტენდენციები. ესილილა და დამანას გამოხატავს რელიგიურად განწყობილი, ცხოვრებაზე საყარად გულგატეხილი თუ გულაცრეებული შერჩაღ-მოაზრუნის სულისკვეთებას, რაც ობხლებს შესაფერის სტრ-

¹ Сборники притч Вардана, I, გვ. 361.

² გოლესთანი, თარგმანი ა. კვლიძისა, თბილისი 1948, გვ. 80-81.

³ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, № 7, თბილისი, 1955, გვ. 117—125.

შიც აღიბეჭდა. ასეთი განწყობილებანი დამახასიათებელი იყო ევროპიდან დაბრუნებული მწერლისათვის. ცხადია, მსგავსი განწყობილებების პატრონი ვერ დაწერდა «სიბრძნე სიცოცხლის» წიგნს.

დასასრულ, საგულისხმოა, რომ სულხან-საბა ორბელიანიმა «ქილია და დამანასა» ანდერძში ჩაერთო ნამდვილად გამკვირვალე და ნიშანდობლივად ავტობიოგრაფიული ხასიათის სამი იგავ-არაყი (მზე და ვარდი, ზღვა და დელფინი, მეფე და მეტეორი). ავტორი ამ შენიღბულა და არ დაუფარავს, რომ ამ იგავ-არაყებით მან გამოხატა ვახტანგთან დამოკიდებულების ამბები. ანდერძში მწერალი ჯერ პირდაპირი ფორმით აღნიშნავს, რომ: «სოფლის სიმუხილემ [ისინი] ერთმანეთს შიამოვრა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი დახუთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწერლობა შექმნეს, და მერმე ეს ბრძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა...» აწერილი ამბის საილუსტრაციოდ არის მოყვანილი დასახელებული სამი იგავ-არაყი. სანიშნოდ გაეცნოთ ამეფე და მეტეორისა:

ერთ მეფეს ჰყავდა ერთგული და მისიანდო მეტეორი. მეფეს ძლიერ უყვარდა თავისი მეტეორი, ანგებიერებდა, ზრდიდა ტაბლისაჲან მისისაჲ. მეტეორიც ერთგულად ემსახურებოდა თავის პატრონს, ფრთხილად გეშავებდა და იცავდა მის კარ-მიღამოს, მეფეს აგვიანათა ნადირთა ანადირებდა. განცხრობაში მყოფი მეტეორი არ ივიწყებდა თავის ტოლ-მეგობრებს, საკუთარ კერძსაც კი უნაწილებდა მათ, ტოლ-მეგობრებისადმი მზრუნველობის გამო ზოგჯერ აწეფეცა განარისხისა. მაგრამ გულყთილი მეტეორის ამხანაგებმა შავი უმადურობა გამოიჩინეს, შერთო აღბორგდნენ და «ყოფიან იქმნეს». მათ იმდენი მოახერხეს, რომ აწეფისა იგი საუფარგული ძალი განიოტეს, არც მეფე დაინდევს და ამერმე მეფეცა იგი დალეღსა. გავიდა დრო იმ ქვეყანაში გამოინდა ერთი უცხო ნადირი, სწაფადელი მეფისაჲ. არაჲინ იყო იმ ნადირის შემპყრობი. მეფე დაღონდა. მაშინ მოაგონდა მის ვაჟებელი მეტეორი, ბევრი უთქვამდა, უსტკინა-სიბერიო ღლეშოყლებელს, კბილებშემუსკრიელს, მშიერსა და მწურვარეს ესმა პატრონის ხმა. შიამურა საშხატრისათვის გამზადებულმა, მაგრამ «რითღა უნდა შესძლებოდა ძაღლსა მას შეუპრობა მის ნადირისა?»

«მეფისა და მეტეორის» იგავ-არაყში ალგორითული ერთი გამოთქმულია ვახტანგისა და სულხან-

საბას ურთიერთობის ამბავი და ქილია და დაშინას დამეშავების ისტორია. იგავ-არაყის მეფე ვახტანგია, ერთგული მეტეორი — სულხან-საბა ორბელიანი, ზოლო უცხო ნადირი — ქილია და დამანა. სულხან-საბა მისთვის ჩვეული თავდაბლობით ამბავს, თითქოს მას აღარ შესწევდა ძალი მოენადირებინა უცხო ნადირი, აგვიან და ტკიბილად გაეწერა ქილია და დამანას წიგნი. ნამდვილად, სულხან-საბამ ოსტატურად მოინადირა უცხო ნადირი და ქართულ მწერლობას შესძინა მსოფლიო ლიტერატურული შედეგის ბრწყინვალედ დამეშავებელი საკეთარი რედაქცია.

თ. კუკავას სრულიად მზედველობაში არ მიუღია «ქილია და დამანასთან» დაკავშირებული გარემოებანი. ეს კი საშუალებას მისცემდა მას გაეთვალისწინებინა სულხან-საბა ორბელიანის იმეპინდელი (ევროპიდან დაბრუნების დროინდელი) გუნება-განწყობილებანი. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ცხადია, რომ «ქილია და დამანაში» გამოხატული გუნება-განწყობილების პატრონი ვერ დასწერდა «სიბრძნე-სიცოცხლის». ხელნაწერების მოწიპობის თანახმად, «სიბრძნე სიცოცხლისა» უეკველად შეთხზულია ავტორის სიკაბუჯის პერიოდში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სიკაბუჯის პერიოდი ვახტანგთან «ოცის წლითგან ვიდრე ოცდაათამდე», როგორც არა ერთხელ უთქვამდა აღნიშნული¹, ამის კვალობაზე «სიბრძნე სიცოცხლისა» შეთხზულია 1678 — 1688 წლებს შუა, ყოველ შემთხვევაში, ავტორის სულხანობის დროს, ე. ი. ბერად შედგომამდე ანუ 1698 წლამდე.

თუ სულხან-საბა ორბელიანის მუშაობის საერთო ხასიათს გაითვალისწინებთ, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იგი უყურადღებოდ არ დატოვებდა თავის მხატვრულ-ლიტერატურულ პარაშოს. სულხან-საბა ალბათ თანდათანობით აუშკარებებდა თავის ტექსტს. მიინდამიანი «სიბრძნე სიცოცხლის» ძირითადი რედაქცია უთქვამდ მისივე ხელით უნდა ჩამოყალიბებულყო არა უგვიანეს 1698 წლისა.

¹ ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. ავაკი შანიძის რედაქციით, თბილისი 1928 (იხ. სიტყვა კ ა ც რ, გვ. 164—165).

² მაგალითად, იხ. გ. ლეონიძის შესავალი წერილი, რომელიც დართული აქვს «სიბრძნე სიცოცხლის» უკანასკნელ გამოცემას (თბილისი 1957, გვ. XLVI).



მასაღა ვახტანგ VI-ის ბიოგრაფიისათვის*

(1712 — 1722 წ. წ.)

წერილი პირველი

ქართლში ვახტანგ VI გამგებლობისა და მეფობის წლები (1703 — 1712 და 1716 — 1724) ემთხვევა ირანში სეფევიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის შაჰ სულთან-პუსეინის ბატონობის პერიოდს (1694 — 1722). ეს არის სეფევიდების იმპერიის (1502 — 1722) ყველაზე კრიტიკული და, ბოლოს, მისი დასასრულის ხანა. სწორედ სულთან-პუსეინის ზღაპრული მისიის მიზნებს თავი იმ ფაქტორებშია, რომლებმაც ვაჩხუბრებულად დაჩქარეს მისი იმპერიის განადგურების პროცესი.

საქართველოს ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ „ჯანაშინი“ (მეფის მოადგილე) ვახტანგი 1712 წელს ისპაჰანში ჩავიდა ყაენთან¹. ამალაში მას დიდი ქართველი მწერალი სულხან-საბა ორბელიანიც ახლდა. შაჰმა, ვიდრე ქართლის ტახტზე დაამტკიცებდა ვახტანგს, რჯულის გამოცემა მოსთხოვა მას და როცა უარი მიიღო — ჭრმანში გადასახლა იგი (1714). ვახტანგმა ქართლის ტახტი მხოლოდ 1716 წელს დაიბრუნა, თუმცა ძალაუნებურად გამამჰადიანებულ მეფეს სამშობლოში ჩამოსვლა 1719 წლამდე დაეყოვნდა. 1722 წელს, როცა ავღანელი შეეზივნენ ირანს და შაჰმა დახმარება სთხოვა ქართველ ვახტანგს, ამ უკანასკნელმა ზელო არ გაანძრია მის სასარგებლოდ. ქვემოთ დავინახავთ, რომ ამ ფაქტმა საბედისწერო როლი ითამაშა სეფევიდების იმპერიის დასასრულის საქმეში.

ამრიგად, საქართველოში ვახტანგ VI სახელმწიფო მოღვაწეობის პოლიტიკური მხარე შეიღწროდა დაკავშირებული სულთან-პუსეინის და, საერთოდ, სეფევიდების ტრადიციულ პოლიტიკურ კურსთან, ვინაშნაღვრელია ამ უკანასკნელისადმი დამოკიდებულების ამითიმი ხასიათით. ამიტომაც, ვიდრე უშუალოდ ჩვენს თემას შეეხებოდნენ, საჭიროა ირანის შაჰის პიროვნების მოკლე დახასიათება.

სულეიმან შაჰის (1666 — 1694) მეგვიდრე სულთან-პუსეინი ტახტზე ავიდა 1694 წელს². ამ უნიჭო მმართველის ხასიათი სავსებით შეეფერებ-

ოდა ირანის სამეფო კარზე შაჰის გამეფებულ ატმოსფეროს. ქვეყნის მმართველობის სათავეები ხელთ ეპურათ საქურისებსა და მეჭრთამე შინისტრებს, რომლებიც წინებულად საარგებლობდნენ ახალი ბატონის ხასიათის სისუსტით. თუ სულთან-პუსეინის წინაპრები სისხლის მოყვარულნი და რელიგიისადმი გულგრილნი იყვნენ, ტახტზე ახლად ასული შაჰი კი მუდამ ყურანის გადაწყვერითა და საჩუქრების წესების დაცვით ყოფილა გართული. ამის გამო მისთვის გამეფებამდე დღე-ღამე უწოდებოდა. მ აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ შაჰ სულეიმანს დაუხასიათებია მომავალი ტახტის შემეკიდრე შემდგენარად: „Если хотите жить в покое, возводите на престол Гусейн-Миразу; если же ищите царя справедливого и сурового, сделайте шахом Аббас-Миразу“³. სულთან-პუსეინი უფრო თავის მრავალრიცხოვანი შარემის მოვლაზე ფიქრობდა, ვიდრე იმპერიის საქმეებზე და მეტ დროს იგი ატარებდა ასეულ ლაშაჰ ქალთა შდრის, რომლებიც მისთვის იყო შერჩეული, ძალითა თუ ფულით, იმპერიის სხვადასხვა კუთხეში. მ პოლანდიელი მუზღეაერის, მოგზაურ ს ტ რ ე ი ს ს (Struys — 1694) ცნობით ჯერ კიდევ 1671 წელს სულეიმანის მოხელენი სპეციალურად დაქმნდნენ ლაშაჰ ქალი-შვილებს და მგზავნიდნენ ყაენის სერალში.⁴

მოგზაურ ოლივიე (Olivier) აზრით შაჰი პუსეინი თავისი ბუნებრივი მიდრეკილებით ტრირანი არ ყოფილა. იგი წერს: „Принято лицо, кроткий нрав, особенное отвращение от свирепых поступков отца его Сулеймана, преклонили на его сторону сердца всех подданных“⁵. ოლივიე საკანგებოდ დასძინს, რომ ასეთი ყოფილა იგი მისი ზღაპრული პირველ წლებში. შემდეგ კი, შარემში ჩაეცტილს, იმპერიის მმართველობა შინისტრებისთვის გადაუცია, რომლებიც საარგებლობდნენ თავიანთი ბატონის სისუსტით, აგროვებდნენ სიმდიდრეს და საზღაპრული ქონებას ანიჭებდნენ. სათათბიროს საბჭო მთლიანად საქურისებისაგან შედგებოდა. გამეფებული იყო ძალდატანება, ძარცვა და მეჭრთამეობა (უფრო მეტად, ვიდრე სულეიმანის დროს). ხალხი დრტყინავდა ვადიდებულ გადასახლები-

* ერთი თავი წიგნიდან „სულხან-საბა ორბელიანი და მისი ეპოქა“.

საგან და ძალისგან იფიტებოდა.* განსაკუთრებით გაერტყელდა კორუბეცია, რომელიც ერთბაშად მოეღო შაჰის მოხელეებს დაბალა თანამდებობის მქონე პირთაგან მოყოლებული პირველ ვეზირამდე. ოლივიეს სიტყვით, შაჰი სულთან-ჰუსეინი უძლეურა აღმოჩენილა „კეთილი მოქმედებისათვის“ (?), ზვი მხოლოდ „თავისი სიამოვნებისათვის“ ფიქრობდა, არ უსმენდა ზოგიერთი გამზედავი მოთათბირის გონივრულ რჩევებს. სერაღლის ცხოვრებით მოყრიტებულა, უნაიოო და სულმდაბალი შაჰი არც თავისი იმპერიის სამხედრო ძლიერებაზე ზრუნავდა მიინდამაინც და აუღენციის დროს მიინსტრებს ეუბნებოდა: „Это ваше дело, войско у вас в руках, распоряжайтесь“.⁹

სულთან-ჰუსეინის პიროვნების ამგვარ შეფასებაში ასე თუ ისე შეთანხმებულნი არიან ყველანი, თანამედროვე თუ შემდგომი დროის მოგზაურნი და ისტორიკოსნი — კრუზინსკი,¹⁰ პანჯევი,¹¹ პიკოლტი,¹² შალკოლი,¹³ პეიზონელი,¹⁴ დრევილი და სხვ. მაგრამ განსაკუთრებით მოპაკედინებელი და წინასწარმეტყველურია რუსი დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწის ა. პ. ვოლინსკის დახასიათება სულთან-ჰუსეინის პიროვნებისა და მისი სახელმწიფოებრივი მართვა-გამოვარებისა. ვოლინსკი 1717 წელს იყო ისპაჰანში და შემდეგნაირად გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებას:

„...здесь такая ныне глава, что он не над подданными, но у своих подданных подданный, и чаю редко такого дурачка можно сыскать и между простых, не токмо из коронованных; того ради сам ни в каких дела вступать не изволит, но во всем положил на своего наместника Ехтми-Девлета, который всякого скота глупее, однако у него такой фаворит, что шах у него изорта смотрит, и что велит, то делает. Того ради здесь мало поминается имя шахова, только его, прочие же все, которые при шахе ни были по умнее, тех всех изогнал, и ныне кроме его, почти никого нет, и так делает что хочет, и такой дурак, что ни дачею ни дружбою, ни разсуждением половить невозможно, как уже я пробовал всякими способами, однако же не помогло ничто! Как я слышал, они так в консилии положили, что меня здесь долго не держать, того ради чтоб не узнал я состояния их государства: но хотяб еще и десять лет жить, больше уже не о чем проведывать и смотреть нечего и дел никаких не сделать, ибо они не знают, что такое дела и как их делать, притом ленивы, о деле же ни одного часа не хотят говорить; и не только посторонния, но и свои дела идут у них безпутно; как попалося на ум, так и делают без всякого разсуждения: от этого так свое государство раззорили, что думаю и Александр

Великий в бытность свою не мог войною так разорить. Думаю, что сию корону к последнему разорению приходит, если не обновится другим шахом; не только от неприятелей, и от своих бунтовщиков оборониться не могут и уже мало мест осталось, где бы не было бунта... Другого моим слабым разумом я не разсудил, кроме того, что Бог ведет к падению сию корону... думаю, что это Божия воля к счастью царскому величеству; хотя настоящая война наша (шведская) нам и возбраняла б, однако как я здешнюю слабость вижу, нам без всякого опасения начать можно, ибо не только целою армиею, но и малым корпусом великую часть к России присвоюкити без труда можно, к чему удобнее нынешняго времени не будет, ибо если впредь сие государство обновится другим шахом, то может быть, и порядок другой будет“¹⁵.

მოვიყვანთ კიდევ ერთ დახასიათებას, რომელიც ეკუთვნის ვინმე სტეფან რუმეტოვის მიერ ფრანგულდიან რუსულად თარგმნილი წიგნის *История о персидском шахе Тахмас Кули-Хане* (СПБ, 1762) ანონიმ ავტორს:

„Сей государь (შაჰი სულთან-ჰუსეინი, ა. გ.) не умел соблюсти наследия своих предков, и непорядочным своим правлением подал повод к тем переменам, кои к погашению всея царския фамилии склонялись.

Гусейн, вступая на престол, имел в себе такия свойства, кои делают только доброго человека, а тех дарований, чтоб уметь хорошо царствовать вовсе в нем не было; когда он принял корону, то в то же время оказал в себе природу миролюбивую, великую кротость и милосердие, любовь к правосудию, да и самую умеренность; сам же в себе был сластолюбив, малодушен, от природы ленив, ищущи уединение и жизнь тихую, имел отвращение к труду, и для того убегал от дел государственных, вступил в ония только с начала своего царствования, и то для того чтоб народу не подать в себе мнения, что он исправлять дел не в состоянии, во всем однако принимал советы от таких, коих он по привычке к себе допустил и в них вверился. Евнухи, приближеннейшие к его особе, узнали впервые в нем сию слабость, стали по маленьку обращать то в свою пользу; все свое рачение приложили тотчас вложить в него охоту к забавам и роскоши. Охота, которая в таком государе, который ненавидит труды и мало ревнует о своей славе, безпрятственно вкореняется. Гусейн по природным своим добродетелям сперва несколько то-

му хотел попротивиться; но нечувствительнейшим образом себя в то попустил; и в краткое время так сильно объят был, что прежде десяти лет своего царствования, впал в крайнюю затверделость, коя произошла как от излишняго употребления вина, коим он всякий день упивался, так и от неумеренных веселостей серала. С того времени не захотел он больше знать ни о каких государственных делах, сброся с себя, так сказать, явно все попочения о царской чести. Таким образом правление государства осталось все в руках проклятых евнухов, кои в продолжении двадцати летнего царствования несчастливому Гусейну, управляли со всякими своевольными. Посрамительная жизнь сего государя, и тиранство министров возбудили общее неудовольствие во всех местах государства, и приуготовили оные мало по малу к возмущению, кое должноствовало кончить толь злое правление*.

სეფევიდების დინასტიის ამ უკანასკნელი * და უკანა შაჰის ხელშეფობის ხანასთან (1694 — 1722) არის დაკავშირებული, ნაწილობრივ ან მთლიანად, გიორგი XI, ვახტანგ VI, ერეკლე I, ქიზიბოსროსა, ლევანისა, ბაქარისა და იესეს ქართლში მეფობისა თუ გამგებლობის პერიოდები. ამათგან ბევრმა (ვახტანგისა, ბაქარისა და იესეს ვარდა) აგრეთვე მის კარზე დაღია სული ან მისი იმპერატორისთვის სასარგებლო ომებში დაიღუპნენ. კახეთის ორი მეფე, ერეკლე პირველის ძენი, დავით იმამყულიხანი (მეფობდა კახეთში 1703—1710 და 1715 — 1722 წ.წ.) და კონსტანტინე მამულუღიხანი (განაგებდა კახეთს 1722—1733 წ. წ.) სულთან-ჰუსეინთან აღზარდნენ.¹⁷ ამიტომ განსაკვირი არაა, თუ პირველი ამათგანი, მგოსანი-მეფე დავითი, ქართულ მურგობაში ირანის უნიჭო ბატონის აპოლოგეტის როლში გვევლინება მის კალამს ეკუთვნის უაღრესად საინტერესო ნაწარმოები, ანტონ მარტყოფელის მონასტრისადმი მიცემული „ფთხთების გუჯარი“ (1722), „არომულიტ გვიჩვენებს დავითის ღრმამეცნიერულ ცოდნას: რელიგიურს, ფილოსოფიურს, საბუნებისმეტყველოს და ისტორიულს“ (ყავ. კ. კეკელიძე).¹⁸ ამ ძეგლში რამდენიმე ადგილას ავტორს შეუტრიაა ლექსები, რომელთაგან ზოგიერთი მისი აღმზრდელის, სულთან ჰუსეინის პანეგირიკს წარმოადგენს.¹⁹

მაგრამ ეს სპარსოფილური პოეტური ხიტბა გამოწვევასადე უნდა ჩაითვალოს ქართულ ლიტე-

რატურაში, რადგან ირანის შაჰის უტყუარი და ზუსტი პორტრეტი ცნობილია მდიდარი ისტორიული მასალით, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო ზემოთ მოყვანილი. სულთან-ჰუსეინის ბატონობის პერიოდი ისევე მძიმე აღმოჩნდა ქართლისათვის, როგორც მისი წინამორბედის ტარანის წლები.



ვიდრე ვახტანგ VI და ისაჰანის სამეფო კარის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს შევხვებოდეთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ საზოგადოდ ქართველების როლზე სეფევიდების სახელმწიფოში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სეფევიდების კარზე ქართველი მეფეები, უფლისწულები და დიდებულები უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ამ საკითხზე ჯერ კიდევ ერთერთი მეცნიერი შენიშნავდა:

„Со временем Шах-Аббаса I, у персидских шахов вошло в обыкновение окружать себя грузинской дружиной и поручать грузинским князьям важныя должности спасалара, диванбега, испаганского дороги... и ханов (губернаторов) в отдаленных провинциях. На сколько Шах-Аббас старался удерживать Армян в их вере, на столько же в планы его и его преемников входило — принуждать Грузин к принятию Ислама, и под этим только условием грузинские князья и ханы (царь, вали) утверждались в отцовских званиях и должностях, и признавались наследниками отческого имущества. Весьма часто это отступничество грузин было только для виду и прекращалось отъездом их из Персии, или лишением должности, с которой сопряжено было ренегатство. В эпоху Сефидов большая часть грузин высшего сословия перебивала в Персии, в Кандарах, позже в Хорасане, оставаясь в этих странах временно или навсегда. Число их в Персии за это время было так велико (мы разумеем также Грузинок в гаремах Шаха у вельмож), что они имели значительное влияние на расово видоизменение Персии высших сословий той эпохи, о которой мы говорим... Не имея особенной привязанности к Персии и других интересов, кроме личных, воинственных в то время Грузины были самыми преданными слугами шахов, и опытные в деле войны неоднократно оказывали правительству важныя услуги, принимали участие в самых рискованных предприятиях, и приобрели репутацию отчаянных головорезов. В данную эпоху Афганы боялись немногочисленной грузинской дружины Гурджи-Хана (გიორგი XI,

* სულთან-ჰუსეინის ძე თამაზი (დ. გურამი-შვილით — თამაზ), აღვანდლთა მიერ გარემოცულ ისაჰანიდან (1722) გაქციული, მართალია, თავის თაჰს შაჰს უწოდებდა, მაგრამ იგი უკვე აღარ იყო იმპერიის მმართველი.

ა. გ.), более чем всех остальных войск шаха²⁰. (ვახტანგმა ჩვენია. ა. გ.).

ქართველების ამგვარ რეპრეტაციას ერთხმად სწერენ იმდროინდელი უცხოელი მოგზაურნი და მისიონერები, რომელთა ვრცლად დამოწმებას აქ აღარ შეუძლებათ. მოვიყვანოთ მხოლოდ ერთ ამონაწერს, ნაცლებად ცნობილს:

„Грузины имеют славу почитаться за наилучших солдат в Азии, и в войсках Персидских составляют самой лучшей и знатной корпус; когда вверяют им какое место, то они хранят его до последней капли крови, и никогда назад не отступают. Весьма искусны стрелять из луков, что они охотнее употребляют в войне, нежели огнестрельное ружье, но и оными владеть умеют же. Народ их наилучшей почти в свете, мужчины ростом велики, взрчны, крепки, и были б очень долготелны, ежели б не употребляли вина с излишеством, от чего тело их прежде времени слабеть начинает. Что надлежит до женщины, то оныя из древле уже похвалены за наилучших красавиц в Азии“²¹

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ სეფევიდების დროინდელ სპარსულ კულტურასა და ლიტერატურაში თავისი წვლილი შეეტანიათ პრინციპული ქართველები. ასე, მაგალითად, ცნობილია რამდენიმე პოეტი და მხატვარი, წარმოშობით ქართველი, რომელთაც თავი უსახელებიათ უკანასკნელი სეფევიდების დროს (პოეტები — ქაიხოსრო-ხანი, ზეინალ-ბეგი, სომხრაბ-ბეგი, ფაზლალი-ბეგი, შირაზადან (შერაზან-ბეგი), აღი-ხან ბეგი;²² მხატვრები — საიამ (საიუმ) და ჯიბადარი²³.

შაჰ სულთან-ჰუსეინის ხელშეწყობის პერიოდი, როგორც ვთქვით, ძალზე მღელვარე და დრამატული ხანა ირანისა და საქართველოს ისტორიაში. ეკონომიურად დაქვეითების გზაზე მღვარი, შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობებით აღსავსე იმპერია თანდათან უახლოვდებოდა თავის აღსასრულს და ირანის მმართველები უმწეო ილმონდა შეეჩერებინა მისი რღვევისა და დამოკლების პროცესი. სულთან-ჰუსეინის მმართველობის უკანასკნელ წლებში სრულიად საკმარისი გახდა არც თუ მაინცდამაინც ძლიერი დარტყმა ვაგრედან, რომ სეფევიდების სახელმწიფოს სული დაეღლია.

ეს ასეც მოხდა: 1722 წელს ავღანელთა შეესევამ ირანში წერტილი დაუსვა სულთან-ჰუსეინისა და მისი წინაპრების ბატონობას ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ისტორიულ ირონიად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ საქართველოს სამეფო ტახტის ბე-

ჭრი წარმოადგენლის სიციცხლე შეიწირა, წებ-სით თუ უნებლიეთ, სეფევიდების იმპერიის გადარჩენის ცდებში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შეამზობე ავღანელებს ენერჯიული მეთაურები გაუნდათ ყანდაარის ქალანთარის²⁴ მირ-ჯე-სის სახით, სულთან-ჰუსეინისა და მისი გარემოების ვერაველი პოლიტიკა მიმართული იყო იქეთ, რომ ქართლის მხედრობა, ქართველი მეფეებისა და უფლისწულების წინამძღოლობით, ირანის დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ გამოეყვანა. იგი ამით ორ მიზანს აღწევდა — ერთსა და იმავე დროს ძალებისაგან ფრთავდა შეამზობე ავღანელებსა და ქედებრულ, მუდამ რუსეთისა თუ დასავლეთისაკენ მიექურალ, საქართველოსაც. ასე მაგ. როდესაც სულთან-ჰუსეინმა ტახტისაგან გადაეყვებულ ქართლის შეამზობე მეფე გიორგი XI შემორიგა და ისპაჰანში მიიწვია (1696 — 1697 წ. წ.), პირველ შემთხვევისთანავე იგი შორეული შეამზობე ტომების დასასჯელად გაგზავნა, შემდეგ კი ყანდაარის გამგებლად დანიშნა. გიორგი XI (რომელსაც ყაენმა შაჰნავაზ II უწოდა) ზინებულად შეასრულა დავალება — ყანდაარის ქალანთარის მირ-ვეისი, არეულობის მოთავე, შაჰს გაეგზავნა ისპაჰანში შემდეგი გაფრთხილებით: უკან არ დაებრუნებინა იგი. მაგრამ ამ დროს ავანსიყენაზე გამოჩნდებოდა შაჰის პირველი ვეზირი ანუ ეთიმა დოვედე ფათალი-ხანი, რომელიც ქრთამის მოყვარულობით ყოფილა ცნობილი. მისი დახმარებით მირ-ვეისმა შაჰის ყარზე ინტრიგის ქსელი გააბა გიორგი XI წინააღმდეგ: სულთან-ჰუსეინი დაარწმუნეს — გიორგი XI დალატი განუზრახავს და რუსეთის დახმარებით თავისი ქვეუნიის განთავისუფლებისათვის ემზადებოდა. ბოლოს, მოსიყდელი ვეზირის მეოხებით მირ-ვეისმა თავი ოხსნა და შაჰისავე ნებართვით ყანდაარის დაუბრუნდა გურჯინ-ხანის (გიორგი XI-ის ასეც უწოდებდნენ) ხელქვეითი. გამდანიშნ ხნის შემდეგ მან ვერავდულად მოკლა გიორგი XI და თითქმის მთელი მისი ამაღა გასწყვიტა (1709).²⁵ ამის შემდეგ მირ-ვეისი თვითონ გახდა ყანდაარის გამგებელი და ავღანელთა წინამძღოლი.

შაჰი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ შეცდომა მოუვიდა, მაგრამ იგი არც ამ გარემოებას შეუტრთია (ერთის მხრით მას აღბათ ფარულ სიხარულსაც ჰგვირდა ირანის სამეფო კარის ძველი მეტოქის თავიდან მოშორება). სულთან-ჰუსეინს კიდევ ჰყავდა გვერდით ქართლის სამეფო დინასტიის სხვა წარმომადგენლები, მავალითად, თვითონ გიორგი XI მამა ლევანი და ამისი ძენი — ქაიხოსრო, იესე და როსტომი. ესენი ხომ უფრო თავგანწირულად იბრძოდნენ გამოჩენილი ნათესავის სისხლის ასაღებად იმავე მირ-ვეისის წინააღმდეგ?! მაგრამ რადგან ლევანი სწორედ თავისი შიის დაღუპვის წელს ვარდაცოცლად ისპაჰანში (1709), შაჰმა მირ-ვეისის წინააღმდეგ ქართველებისა და სპარსელების ჯარით ილაშქრა ლევა-

ნის ძე ქაიხოსრო (ხოსრო-ხანი), რომელსაც წინასწარ ქართლის ტახტი და ირანის სპასალარობა მიუბოძა, მაგრამ არც მას უშველა იშვიათმა სიზმამაც — ქაიხოსროც მირ-ვეისთან ბრძოლაში დაიღუპა 1711 წელს.

ამის შემდეგ კერძო ქართლის „ჯანიშინ“ ვახტანგ ლევანის ძეზე მიდგა, რომელიც თავის ქვეყანას 1703 წლიდან მართავდა.²⁶ როგორც ჩანს, სულთან-ქუსეინი ირანის ჯარების სპასალარის პოსტისათვის შესაფერ კანდიდატს იქამად ზედავდა მხოლოდ გიორგი XI-ის ძმის წულუში, რომელმაც პოლიტიკური და სამხედრო ნათლობა თავის გამოჩენილი ბიძის ზღაპრებით მიიღო. 1710 წელს ისპაჰანში გარდაცვლილი ირაკლი I ნაზარალიხანის ორ ძეს, იქამად (1712) ისპაჰანში მყოფ ღაფთასა და კონსტანტინეს, ეტყობა, შაჰის არჩევანი არ შეეხო, თუმცა ისინი ირანის ჯაღლენიანი კანცლერის ფათალი-ხანის სიძეები იყვნენ. იგივე უნდა ითქვას მაშინ შედარებით ახალგაზრდა როსტომ ლევანის-ძეზე (ვახტანგის ძმაზე), რომელიც მაშინ ისპაჰანში შესძენია ზარბაზანად. თავის საჰურის მინისტრთა შორის კი შაჰს არ შეეძლო გულადობითა და ვეაყცობით განთქმული მხედართმთავრის მოძებნა: ეს იქედანაც კარგად ჩანს, რომ უფრო გვიან, ათი წლის შემდეგ (1722) ავღანელთა მიერ ისპაჰანის ვარემოციისას, მირ-ვეისის მემკვიდრის მირ-მამედის წინააღმდეგ სპარსელთა ჯარების ერთ ფრთას ისევ ქართველი უფლისწული, იგივე როსტომ-მირზა ყურადღამის მეთაურობდა, რომელიც სატახტო ქალაქის მისაღწეობთან დაიღუპა კიდევ...

ირანის ჯარების სპასალარად და იმავე დროს ქართლის მეფედ ვახტანგის საბოლოო დამტკიცება ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ უნდა მომხდარიყო. და მართლაც 1711 წელს „მოვიდა ამბავი საქართველოს გამეფებელთა ვახტანგისათვის ეგზოთა ყენსა ხალათი და სამძიმარი, შექმნეს შეკრებება და გლუვა, იმე ქორიონკონს (ე. ი. 1711 წ. ა. გ.) ქრისტოშობის თვის კდ (24): მას ეამსა შინა იღვა გორსა, წამობანდა, მობანდა ქალაქს, გაგზავნა უკეთთან ჩადარი და აახლო არზა შეძლევინა: არაღვან შენს სამსახურზე ამოვსწყუდი, ვიპაზლო და მოვიცამოვიცა თავი ჩემი შენთვის: რა მოისმინა ზღაპრითემ (სულთან-ქუსეინმა. ა. გ.) იამა სიხარულითა დიდითა, ეგზოთა რაყაში წყალობისა და მემანდარი.“²⁷ დაახლოებით ამასვე გადმოგვცემს ვახუშტი: „მაშინ მოუცნო ყუენმან სიყვდილი მშისა თვისისა და მოეცა ქართლი მის-თვის. შეუძნდა ფრიად ვახტანგს და წარვიდა (გორიდან, ა. გ.) ტფილისს. ბოლო მუნ განუზრახეს განმზრახთა წარსელა წინაშე ყუენისა. ესე ირწმუნა და მიუწყერა ყუენსა წინაშე მისისა უფთა... შემდგომად მოვიდა მემანდარი ყუენისა მიმწოდებელი“.²⁸

ვახტანგმა ქართლის გამგებლად დასტოვა თავისი ძმა სვიმონი (1712 — 1713) და თვითონ მრავალრიცხოვანი აბლითურთ (300 კაცი) ისპაჰანს

გამგზავრა 1712 წლის 22 აპრილს.²⁹ შაჰმა იგი დიდი პატივით მიიღო.

ქართლის მომავალმა მეფემ, ჩანაცვირველი, წინასწარ იცოდა, რომ სულთან-ქუსეინს ბევრ სპასალარად უნდა დაენიშნა და ირანის გერტებთან ბრძოლის საბედისწერო ზღაპრულანობა ეტვირთა („...გეახლო და მოვიცამოვიცა თავი ჩემი“), მაგრამ ირანის შაჰები ქართლის ტახტზე მეფედ („ეილა“-ს წოდებით) და ირანის სპასალარად ქართველელს 1703 წელს სულთს გამოცელის შემდეგ ამტკიცებდენ. უეჭველია, სულთან-ქუსეინს ამ აქტის შემდეგ ვახტანგის უშაღვე ქართლში დაბრუნება კი არ ეწადა, არამედ იმავე მირ-ვეისის წინააღმდეგ გაგზავნა. ეს ჩანს ჰანვეის ცნობებიდანაც.³⁰ ავი შაჰი ასე მოექცა გიორგი მეფეს (რომელსაც 1703 წელს ტახტი დაუბრუნა, მაგრამ ქართლში არ გამოგზავნა) და შემდეგ ქაიხოსროს, მაგრამ შაჰი ახალ დაბრკოლებას წააწყდა: ვახტანგმა ქრისტიანობა არ დათმო, რის გამოც იგი „კათახსრებულ“ იქნა და პატივმარად გაგზავნილი ქ. ქერმანს (1714 წ. 10 მარტი). ქართლის გამგებლად კი სვიმონის ნაცვლად მისი გამაჰმადიებული ძმა იესე ლევანის ძე ინიშნება (1714 — 1716), რომელიც მაშინ ისპაჰანში იმყოფებოდა. თანაც იესე შაჰს დაპირდა, რომ ვახტანგის სახლობას შეიპყრობდა და ისპაჰანში გაგზავნიდა.

რით იყო გამოწვეული ვახტანგის ჯიუტობა, რომელსაც შეეძლო ნომინალური მაჰმადიანი ვახტანგი ბიძამის გიორგივით ან თავისი ძმის ქაიხოსროს მსგავსად და ქართლის ტახტი მიეღო? ხომ არ უნდა ვეძიოთ ვახტანგის რელიგიური სტოიციზმის სათავე მისივე აპალის წევრისა და იღმწოდელის სულხან-საბას რჩევებში?

ამ საკითხის შეძლება ნაწილობრივ მოეფინოს შეუი სხვადასხვა მასალის საფუძველზე.

ქართლში დაბრუნების ერთერთ საშვალედად, როგორც ჩანს, ვახტანგსა და მის მრჩეულებს შაჰის კარისკაცების მოსყიდვა მიიჩნედა. საქმე ისაა, რომ შაჰის პირველი ვეზირი ფათალი ხანი, მართალია, ქართველების აქტიური მოწინააღმდეგე უფილა შაჰის კარზე, მაგრამ იგი ქრთამის მოყვარულებითაც იყო ცნობილი და ვახტანგის გარემოცვა ცდილობდა ეს გარემოება გამოეყენებინა. ავი მირ-ვეისის ანალოგიური საშვალეებისათვის მიუძღობდა თავის დახსნის მიზნით. მაგ. ჰანვეი დასაშვებად სთვლის, რომ გურგინ-ხანთან (გიორგი XI-სთან) მიერ-ვეისის უკანე გაგზავნა, რამაც ქართლის გამოჩენილი მეფე იშხვერპლა ბოლოს, ყანდაარის ქალანთარის საიუქრების შედეგად უნდა მომხდარიყო. იგი წერს: „ყოფი არა ეს (ფათალი-ხანი, ა. გ.) კეთილად ვაწყობილო მირვეისისადმი იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი იყო სუნიტი, ანდა თუ ზღაპრულანობადა თავისი ზოლით გურგინ-ხანისადმი? თუ არა-და, ბოლოს და ბოლოს იქნებ ეს მართლად აცთუნა უბე-მა საწუქარმა, რომელიც მას მივლია ამ ტყვე ადამიანისაგან და ენდა ამ ებერი ავღანელის გულ-

წარყვობას“³¹ იმავე პანეგის ცნობით, მირვეისს კარისკაცებისათვის და, მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, ფათალიხანისათვის მიერთებულა „საჩუქრები, რომლებიც... თავის ღირებულებით აღწევდა თურქე 30.000 თუმანადს (75.000 გირგ. სტერლინგი)“³²

საბას, როგორც ჩანს, კარგად გაეთვალისწინებია შაჰის კარზე გამეფებული კორუპციის ქს სენი. ვახტანგის აღმზრდელის მისია ევროპაში ლუდოვიკო XIV და რომის პაპთან უმთავრესად გაიმეფებული იყო ქართლის მომავალი მეფის გამოსყიდვის მიზნით (1713 — 1716 წ. წ.). ჩანს, საბას ისპაანშივე უნდა დაეწყო ფარული მოლაპარაკება იმ პირებთან, რომელთა მფარველობა ასე სჭირდებოდა ვახტანგს. მხოლოდ ამ ასპექტში ხდება გასაგები „მცირე უწყვეტი“ ავტორის ცნობა „საბა ფრანგ დამფარვა მსახურებისათვის ისპაანს უყენთან წახვლით“³³. საბას ჩინებულად გაეთვალისწინებია ის გარემოება, რომ შაჰის კანცლერი და სხვა პირები სათანადო თანხის მიღების შემდეგ ვერაფრად შეეცდებოდნენ უნებისყოფო სულთან-ქუსენიან დაყოფებინათ და ვახტანგი გაენათვისფლუდებინათ. აქვე უნდა დაეთმებოდა, რომ სეფიანთა ირანის ისტორიიდან ცნობილია — ისპაანის სამეფო კარზე უცხო წარმოშობის (უმთავრესად თურქ და ლეკ) ვიზილაშეებს ნაკლებად ახასიათებდათ სპარსული პატრიოტიზმი. სენიტი ფათალიხანიც მით უფრო მოკლებული უნდა ყოფილიყო იმგვარ შევგნებას და სწორად ამ გარემოებამ ბოლოს კიდევ იშხებრება იგი (ამაზე კოტა ჭევეთი). უნდა მოვიგონოთ ისიც, რომ ვახტანგთან ურთიერთობაში შას ქრთამის მიღების შემდეგ ადვილად შეეძლო დაეთმო თავისი ანტი ქართული პოზიცია, რადგან იგი ქართლის ყოფილ „ჯანიშინს“ ენათესავებოდა: ამ უკანასკნელის ძმა, როსტომ-მირზა. ყულარალსი, ფათალიხანის სიძე გახლდათ. გარდა ამისა, შაჰის გავლენიანი ვეზირის შემობრუნებას ქართველებსავე სხვა მიზეზები უნდა ჰქონოდა, რასაც ჭევეთი შეეცხებოდა.

ყოველივე ზემოთ თქმულს თუ გაითვალისწინებთ, ძალზე გამჭვირვალე ხდება შემდეგი ადგილი საბას იმ მოხსენებას, რომელიც შან ლუდოვიკო XIV წარუდგინა ვერსალში 1714 წელს: „მედი მაქვს, ამ წერაშია წაღობსა გეწიოს და დაევალოთ ყენის, რათა თქვენის ბრძანების აღსასრულებლად ვახტანგი საქართველოში გამოგზავნოს. უცუთო შეპირდებით საჩუქარს სპარსეთის დიდებულთ, მაშინ ამ დაპირების გამოყენის დაავლებენ, რომ მალე აღასრულოს. ამანი რის საშვალეობით ვერაფერს გაიგებს თუ რა დახმარების აღმოჩნდა ეწადა თქვენს იმპერატორობას; ხოლო ამის აღსრულებას მიაწოდოთ თქვენს მიერ არჩეულ პირს. სპარსეთში ჩვეულებად აქვთ ხოლმე, რომ რომელსამე საქმის შესასრულებ-

ლად, ვერ შეპირდებიან მარტო წერადით და არაფერს მისცემენ, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ ასრულებენ... ამიტომ სპარსეთის გავლენიან პირთა ვერ კიდევ არაფერი უნდა შეწყვეთ, ვიდრე ვახტანგი თავის სამეფოში არ დაბრუნდება უვნებლად... საჭიროა 300000 ვეფ და კიდევ კმარა“ (დაყოფა ჩვენია ა. გ.).

საბას ეს სიტყვები მშვენიერად ახასიათებენ სეფევიდების დამპყლ რეჟიმს.

მეგრამ ცნობილია ისიც, რომ საბას მისია უშედეგოდ დამთავრდა. 1715 წელს გარდაიცვალა ლუდოვიკო XIV, რომელზედაც იმდღის ამყარებდნენ ვახტანგი და მისი ელჩი.³⁴ 1716 წელს ხელცარიელი საბა ქართლში ბრუნდება და სწორედ ამავე წელს, ყველა პერსპექტივის ამოწურვის შემდეგ, ვახტანგი კომპრომისის გზას დაადგა: 1 იენისის შაჰის მიერ ქერმანთან გაიწვეული იგი გამამხადიანდა, რის შემდეგ სულთან-ქუსენიმ მას ქართლის მეფობა, აგრეთვე თავრიზი და ბარდა, მიუბოძა. ამავე დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, ვახტანგი ირანის სპასალრად ინიშნება (1718) და 1719 წლამდე საქართველოში არ დაბრუნებულა. 1716 — 1719 წლებში ქართლს მართავდა მისი ძე ბაქარი (ქართლის გამგებლობა ჩამოერთვა ვახტანგის მტარის იესეს, რომელმაც თავი ვერ გაართვა ჭევეისის მართვას, შან ვერც შაჰისთვის აღთქმული დაპირების შესრულება შესძლო).

ვახტანგს ირანში კიდევ დიდხანს დაუყოვნებოდა (და, შეიძლება, თავის წინამორბედებივით ავღანელებისათვის შეეკლა თავი), რომ შას უანდაარის მტრით სერიოზული საფრთხის მოლოდინი ჰქონოდა იმავედ. შაჰ ქუსენის პოლიტიკურმა სიბუციემ აძუქარადაც იჩინა თავი. საქმე იმაშია, რომ ავღანელთა გულადი მეთაური მირვეისის სწორად ამ პერიოდში, სახელდობო 1715 წელს, გარდაიცვალა, ხოლო მისი ძმა მირ-აბდოლა, უანდაარის ახალი ბატონი, ისპაანთან შერვიების პოლიტიკას დაადგა, რის გამოც იგი ღიზნაელებმა მოკლეს 1717 წელს. რაც შეეხება ამ ტომის მეთაურს და ბიძაშისის უშუალო მკვლელს, მირვეისის შვილ მირ-მომამედს (მირ-მამამედს) იგი ვერ კიდევ არ აჩნდა თავის სისხლიან ბრწყინლებს. შაჰი, როგორც ჩანს, სერიოზულ ანგარიშს არ უწევდა აგრეთვე ავღანელთა სხვა ტომების (მაგ. აბდალთა) ხორასანზე ხშირ თავდასხმებს, რასაც 1717 — 1718 წლებში ჰქონდა ადგილი (თუმცა ვახტანგმა შაჰის ბრძანებით, მათს წინააღმდეგ საომარ ექსპედიციებშიც მიიღოს მონაწილობა). ყოველ შემთხვევაში სულთან ქუსენიან იმ ხანად არა ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ლეკების აღავასს, რომლებიც სეფიანთა იმპერიის ჩრდილო პროვინციებს არბევდნენ. ყოველივე ამით აიხსნება ის, რომ მაშინ ყაზვინში მყოფმა სულთან-ქუსენიმ იბმო ვახტანგი და მალე იგი მეფის („ვალის“ ანუ მოადგილის) სრული ტიტულით ქართლში დააბრუნა. 1719 წლის 7 აგვის-

ტოს ვახტანგი დიდი პატრიოთ იქნა მიღებული თანამემამულეთა მიერ ქართლში.³⁵

ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ქართლში დაბრუნებისთანავე ვახტანგი ქრისტიანობის წილს დაბრუნებია. ასე, მაგალითად, პეისონელი გამოგვეყვას: „როდესაც ვახტანგი 1719 წ. დაიპყრო ქართლის სამეფო და შეიქმნა ყაენის რაიამით გამგებელი სრულიად საქართველოს, მან შამინვე მოიხადა ყაბლი და უარ-ჰყო ის სარწმუნოება, რომელიც მან პოლიტიკურის მოსახრებით მიიღო და რომელიც ეხლა გამოუდგვარი იყო მოსთვის და ხელმოკრედ მოიხათლა. მან ტახტიდამ ჩამოაგდო ისე-ხანი, თავისი ძმა და ჩამდენსამე წოდებულს საპყრობილში დაამწყვდია; შემდეგ, როდესაც ვახტანგი დაეკვიდრა თავის საპყრობილში, განათავისუფლა იგივე და დღევანდგობა უბოძა“.³⁶ მაგრამ ვახტანგის დაბრუნება ქრისტიანობის წილში ცოტა უფრო გვიან უნდა მომხდარიყო, სახელდობრ 1722 წელს, როდესაც იგი ამჟამად წინაღობდა ირანს.³⁷

ბრთიერთი პირველი ღონისძიება, რომლის განხორციელება შაჰის ბრძანების საფუძველზე საჭიროდ ჩასთვალა ვახტანგმა ქართლში დაბრუნების შემდეგ იყო — ლეკების აღაგმვა. ეს მის ინტერესსაც შეადგენდა: ბაქარის გამგებლობის პერიოდში ლეკები ხშირად არბევდნენ ქართლ-კახეთს, ზოგჯერ თვით კახელების ხელისშეწყობითაც, რომლებიც ჰარელებს შირვანისა და შამშადლის ასაობრებლად აქეზებდნენ ხოლმე და აქით მიმავალ გზებს ასწავლიდნენ. მაგ. ბაქარის დროს ჰარელები დაესხნენ ბოლნისს და საშინლად აიკლეს ქციის ხეობა (ვახუშტი, 122: „გამოვიდნენ ლეკნი ჰანელი სულხანით 7 (7000) მჭედარნი. ამათ მოსტყვევენს ბოლნისს და ქციის-ხევი თავმარგვალამდე“). შაჰს განსაკუთრებით აბრაზებდა ჰარელები ასეთი აქტივობა საერთოდ ირანის განაპირა მხარეებში (ვახუშტი, 124: „ლეკნი აბრებდნენ არა თუ კახეთს, არამედ განჯას, ბარდას და შირვანს“). მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ვახტანგი დაეკავშირდა ლეკებისაგან შევიწროებულ კახთა მეფე დავითს (ერეკლე I ნახარალიხანის ძეს, რომელიც ისპაჰანისად დაბრუნებული ამ მხარეს მეორედ მართავდა 1616 — 1722 წლებში). ისინი საფერტლში შეხედნენ ერთმანეთს (1719 წ. დეკემბერი). „განაპლეს სოყვარული და ჰქმნეს პირი და მოსცა სპანი ვახტანგ და წარვიდნენ თვის თვისად“ (ვახუშტი, 20). მეორე წელს (1720), გაზაფხულზე, ვახტანგმა საბარათიანოს სპანი ვახტანგ კახთს ერასტო ყაფლანისშვილის (საბას ძმის) მეთაურობით, მაგრამ კარდანახში მათ თათბი თვე მოუტდათ. „გარან გამოვიდნენ ლეკნიცა და არა აბრძოლეს კახთა. არამედ შემდგომად წარიდნენ უქმნიო“, — წერს ვახუშტი (გვ. 206; უფრო ზემოთ, გვ. 124, ვახუშტი წერს — 3 თვეს იღვენ უქმადო). იმავე შემტყინის ცნობით შაჰის მიერ ლეკთა დასასჯელად და „კახთა სიმეულად“ გამოგზავნილი შირვანის ბეგლარბეგი

მოკლულ იქნა ჰარელებისაგან შაქს (გვ. გვ. 124, 207); ლეკთა დამსჯელი ექსპედიციის გამოგზავნის მიზნებს მ. ბროსე კი ასე ხსნის: „ამ დროს (ე. ი. 1720 წ. ა. გ.) ლეკები ტყვედნენ შირვანს ჯავრის ამოსაყრელად ფატი-ალიხანის მოკლესათვის. ეს ფატი-ალიხანი შამხალის, სპარსეთში უმათარეს ვეზირის, შვილი იყო. შაჰის ბრძანებით მას დაღარობისათვის თვალთ დასთხარეს. ლეკებმა აიღეს შამხალი და გაპარეს იქ შოთღი მდიდარი რესის ეპქრები“.³⁸ ფათალიხანის დაღუპვის თარიღად მ. ბროსე 1720 წელს სდებს. ს. ჩხეიძეს კი ეს ფაქტი 1721 წლის ამბებში შეაქვს.

ყოველივე ამის შემდეგ ვახტანგი აწყობს დიდს საომარ ექსპედიციას ჰარელების წინააღმდეგ (1721): „მოუძნო ყვენიან მეფესა (ვახტანგს) შემსურვა ჰარისა და მეფე სრულიად შეკრებული სპითა ქართლისთა წარვიდაო“ — წერს ვახუშტი (გვ. 124). მაგრამ ვიდრე ამ ექსპედიციის უწყაური და ირანისათვის საბედისწერო შედეგობის შესახებ ვიცოდით რასმე, ჩვენ ისევ ფათალიხანის დასჯის ისტორიას უნდა დავებრუნდეთ, რადგან ეს ისტორია ასე თუ ისე წინ უსწრებს ვახტანგის დაღმტყინში გალაშქრებას.

ფატი-ალიხანის დასჯას („თეილგის დათხარას“) აღნიშნავს ს. ჩხეიძე (გვ. 32). ქართველი მემატიანის ცნობით შაჰს შაჰის ლაღატი და „თეილ გახელმეფების“ ცდა ბრალდებოდა (იქვე). ს. ჩხეიძის ქრონიკის ამ აღვლის ფრანგული თარგმანის კომენტარში M. Brosset (იხ. H. d. G., II, p. 34) სპეციალურად ეხება ქართველი ისტორიკოსის ცნობის ისტორიულ სინამდვილეს და დ. გერამიშვილის ანალოგიურ ცნობაზედაც მიუთითებს. კარუხისსის ჩვენებზე (Tragik... 293) დაჰყარებით, მ. ბროსე აღნიშნავს, რომ ეთიოპი-ლოველეს დაღუპვა მომხდარა 1720 წლის დასასრულს, ფათალი-ხანის ძმის ლუტ-ფალი-ხანის (Lutf-Ali-Khan) მიერ ჰ. ჰერმანის აღების შემდეგ. კრუხისსის ცნობაში საერთოდ ჩანს ტენდენცია შაჰის კანცლერის გამართლებისა (M. Brosset, II, p. 34). მაგრამ არსებობს სხვა შინაარსის ცნობაც, მაგ. 1780 წელს პარიზში დაბეჭდილ ვინჩე იეზუიტ ბახუდის (Bachoud) წიგნში აღნიშნული ყოფილა, რომ ეთიოპილოველეს, რომელიც სენტი იყო, განზრახვა ჰქონდა ტახტიდან ჩამოეგდო, თავისი ბატონი იმ მიზნით, რომ მის არეულობას ჰქონოდა უპირატესობა სპარსეთში (M. Brosset, იქვე). ეს ცნობა, ს. ჩხეიძის ანალოგიურ ჩვენებასთან ერთად, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

უაღრესად ანგარიშგასაწვეია კიდევ ერთი მომენტი.

მირ-ვეისის შემევიდრემ მირ-მოამედმა 1720 წელს ათი ათასი კაცისგან შემდგარი ჯარით გადმოიხადა სეისტანი და აიღო ჰ. ჰერმანი, რომელიც ერთგობა უღიდა და დასჯა. საპყროველო ცენტრი

ყო სეფევიდების იმპერიისა. მაგრამ ირანის ამ პროვინციაზე შირ-შოჰამედის პირველი თავდსმმა უშედეგო აღმოჩნდა; შაჰის ჯარებმა ფარსის გამგებლის, ზემოთ მოხსენებულ სპასარტუტ-ე-ალი-ხანის (ფათალი-ხანის ძმის) მეთაურობით დაამარცხეს ავღანდონი და აიძულეს ისინი ყანდაარს გაჰყეულიყვნენ. მიუხედავად ამისა, ლეტე-ალი-ხანს ძვირად დაუჯდა ასეთი დამსახურება სულთან-ქუსეინის წინაშე; კარისკაცთა ინტრიგების წყალობით (მის მტრებს ემშინოდათ ლეტე-ალი-ხანის გამაღვივებისა) იგი დაქვრივლი და შემდეგ დასჯილი იქმნა, ხოლო მისი რაზმი — გაფანტული. ამის შემდეგ ჯერო თვით ფათალი-ხანზე მიმდგარა.

ქართული ცნობების მიხედვით (დ. გურამიშვილი) ფათალი ხანი რაღაც პირობით ვახტანგ VI-საც უფილა შეკრული. თუ ზემოთ მოყვანილ ცნობებსაც გაითვალისწინებთ, ჩვენს წინაშე იშლება ბუნდოვანი კონტურები ერთობლივი ოპოზიციისა შაჰზე შემომწყურალ, ოღესღაც ყოველის შემძღვე სენატ კანცლერსა (რომელსაც ძმა დაუღებეს) და ძალით გამაჰმადიანებულ ქართლის მეფეს შორის. ხანს, გორგი XI და ჭიხოსროს დაუმრებელი შტრის პოზიცია თანდათან გადიახარა იმავე გორგის ძმის წუღისა და ჭიხოსროს ძმისა — ვახტანგისა.

აქვე უნდა გაითვალისწინოთ საერთოდ შაჰის კანცლერის ნათესაური ურთიერთობა ვახტანგსა და დავით კახთა მეფესთან. ფათალი-ხანის და ფახრი-ჯან-ბეგევი შეუღლულ დასა დასა. 39 ჰანეის ცნობით პრემიერ-მინისტრის (ე. ი. ფათალი-ხანის) დათავან ერთ გათხოვილი უფილა ვახტანგის ძმზე, ყუღარაღას რასტომზე ისპაჰანში, შიორე კ — კონსტანტინე მაჰმად-ყულიანზე (დავითის ძმზე) (M. Brosset, II, b. 34)⁴⁰ ხანს, ქართველებთან მისი ასეთი ნათესაური კავშირი გახდა მიზეზი 1717 წელს ისპაჰანში ჩასულ არტემი გოლანსკის დიპლომატიური მისიის ერთგვარი წვერის ბელ-ის შედგომისა — იგი თვითონ ფათალი-ხანს სთვლის ქართველად: „...министр сей назывался Фатали-Хан, происходил он от родителей христианских из Грузии и был воспитан в Серале. Стана он был пригожого и собою очень хорош и у Софи (სულთან-ქუსეინი, ა. გ.) находился в великой доверенности“.⁴¹

ზემოთ მოტანილი ცნობების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეპოქის ამბების მოწმისა და მინაწილის სეხნა ჩხვიძის თბრობას ფათალი-ხანის დაღუპვის შესახებ და ამ ამბავის გამოძახილს დ. გურამიშვილის ისტორიულ ეპოსში.

ს. ჩხვიძე ჰყვება (გვ. 32):

„...ქარანიკონსა ეთ (1721). ამე ეაშა იღვა ყენი შაჰს-სულთანე ესეინ თერხანსა და შეაჩნდა ყენის ლაღტი ეთიმაღოვლეს ფათალი ხანს; ესე

ყო ვეარად ლეკი, შაშხლოსა სახლოს კაცთაგან, მაგრამ ზელმწიფისაგან ვაზრდილი დიდა პატივითა, უნდოდა თითი ვახელმწიფეზე. მაგრამ ბრძანებთა ლეთისათა და მოუვლინა რისზეა მისი და დაიქორა და დასთხარა თვალეზი და იავარპყო ქონება მისი“ (დაყოფა ჩვენია. ა. გ.). ს. ჩხვიძეს რატომღაც არ აქვს იღნიშნული ამ კონტექსტში ვახტანგისა და შაჰის პირველი ვეზირის ურთიერთობა, იგი თითქოს ერთგვარ სიხარულსაც კი გამოთქვამს ფათალი-ხანის დაღუპვის გამო. სამაგიეროდ ამგვარი ურთიერთობის გამოძახილს ჩვენ ვპოულობთ დ. გურამიშვილის „დავითიანში“. პოეტე ჰყვება:

ყვენის კარს მეფე ვახტანგს
ბევრნი მტერნი უღწენ შხირსა;
რასაც კესა უქა ხეღწენ,
აბახებდნენ მისთვის გზირსაც;
ყვენს ჰადარეს; ვავიარპვებს
ვახტანგ ახშამს და ახირსა,
პირა მისცა საღალატოდ
ერთმანდოვლეს — თქვენს
გაზირსა.

ესმა ყვენს რა ლაღტი,
იქმნა გულში განამკრთალი,
გამოძებნა და შეიკყო,
ყოველივე სცა მართალი;
დაიქორა ეთმანდოღე,
განუწესა სამართალი,
უსიკვდილოდ დანასაღა,
აღმოთხარა ორივე თვალა.

თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დ. გურამიშვილი ჩინებული მემკვიდრეა ვახტანგ VI და მისი დროისა (თვითონ პოეტის ცხოვრების დიდი ნაწილიც ხომ ვახტანგის ემიგრანტულ წრესთან არის უშუალოდ დაკავშირებული), მაშინ ზემოთ მოტანილ ადგილს ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა ენიჭება.

ამის შემდეგ დავებრუნდეთ ქარელთა წინაღმდეგ ვახტანგ VI ლაშქრობის ისტორიას.

ვახტანგს, რომელსაც შაჰის ბრძანება („შემესერა ჰარასა“) უნდა შეესრულებინა, კახოის „ეპისკოპოსის და წარჩინებულნი ევედრენ... რათა ჰყოს ბრძანებული ყვენისა“ (ვახტანგ, 207). 1721 წ. ვახტანგი შევიდა კახეთში და დადგა შალაროს. ქარელებმა სრული კაპიტულაციის სურველი განუცხადეს ქართლის მეფეს: „შენ ევედრენე ქარელნი მეფესა, რათა შეიწყალოს და დაემორჩილნენ, ვითარცა ნებაეს“ (ვახტანგ, 124). მაგრამ სწორედ ამ დროს ვახტანგს მოსდის ყავენის ელი და მოულოდნელი ბრძანება — „ქარელთა დამორჩილებამზე ზელი ადლო და უკან ვაბრუნებელიყო. მაშინ მოვიდა ყენიდან ბეკან-თოქალითიანი, რათა უკენიკეს მეფე მათგან. უკემოკუეულმა მოინდირა ყარაია და მოვიდა

ტრელისს" (ვახუშტი, 124). ს. ჩხეიძე უფრო ვრცელად გადმოგვცემს ამ ეპიზოდს და ფათალი-ხანის დაღუპვის ისტორიის მოთხრობის დამთავრების უშაღ პეყება: „მოუვიდა მეფეს ვახტანგს უწყალოა უმურველი და ებრძინათ ღრეთ მიხლომა და მოწყვეტა: შეიყარა სპა-ლაშქარი ურიცხვი, წაბძინდა კახეთზე და მიბძინდა მალარს; კახეთს ბატონობდა ძე მეფისა იმანყული-ხან (დაეითი, ა. გ.), თვით სნეულბობით შეპყრობილი იყო, და ახლო ძმა თვისი თემურბანს, სიძე მეფის ვახტანგისა, ედგა ასული მეფისა. შეენიერა და ქება მიუწოთიელი თამარ და შემოეყარა კახთ ჯარი: ამა ამბავთა ზედან მოუვიდა მეფესა ბძინება ყუენისაგან და ზალათი, დაბრუნება და შირვანის ზანისაგან ღეპზე ლაშქრობა, წყენა მეფისაგან და სიმხიარულე ზუკთაგან: არადგან ლაშქის ხელისაგან მოვრჩითო, ყიზილბაშთ ხმალი ჩვენ ვიციითო“. მაგრამ რა ღმერთი კაცს გაუწყრება, კჭუაძე დიდიფანტება, თვარა რა სპაბრუნებელი იყო: ესე ეფიქრებინათ: „თუ მეფემ ვახტანგ ქარი დაიჭირა ქვეყანასაიცი დაიჭერსო“. მობრძინდა სპატონოსა თვისსა...“ (გვ. 32—33. დაყოფა ჩვენია, ა. გ.). ს. ჩხეიძის ამ ცნობებს აესებს პანვეი: „...ცბიერმა შაჰის კარისკაცებმა იცოდნენ, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის სიძე იყო ვახტანგის ძმა და ეწინაღობათ, რომ ღეკების დამარცხების შემდეგ ვახტანგს შეეძლო გამოეყენებინა თვისი მნიშვნელოვანი ჯარი

(60.000 კაცი) იმისათვის, რათა აიძულოს სამეფო ვარი, დასაჯოს ისინი მათ ძველ პორტუგალიკედებათა გამო. ამისათვის ისინი საჩვენებლებს გაუღენით, რომელიც ქონდათ სულტი ზების მეფეზე და მას ისე წარმოუდგინეს საქმის ვითარება, რომ ვახტანგს თვისი მტრების დამარცხების შემდეგ, თითქოს შეეძლო დიდი დაბრკოლებების შექმნა ირანისათვის, მით უმეტეს, რომ მისთვის ადვილი იქნებოდა დაბრკოლების მიღება რუსეთიდან ზღვით და ამიტომ ამ მოსალოდნელე უნებდებოდათ თავის დაღწევის ერთად რათ საშუალებად თითქოს ჩანს ღეკებთან ზავის შეკერა, რისთვისაც უნდა ებრძინოს საქართველოს მეფეს — შეწყვეტოს მზადება საომარ მოქმედებათათვის... — ფიქრობენ, რომ ერთადერთი მოტივი, რომელშიც აიძულა თურმე (ვახტანგი) მოეხსნა ლაშქრობა და შეესრულებინა შაჰის სამეფო კარის ბრძანება, იყო შიში იმისა, რომ ქართველ თავადებს შეეძლოთ (თავის თავის ამარ) მიეტოვებინათ ის ეფევი, როგორც ისინი გენუღდენ გურგინ-ხანს და სხვ.

ვახტანგმა მოიხმო თავისთან შაჰის ღესპანი, ამოიღო ქარქი-შიდან თავისი ხმალი და დაიფიცა, რომ ამიერიდან უკვე აღარ იბრძოლებს შაჰის სამსახურად და ირანის დასაცავად. ამის შემდეგ მან დაშალა თვისი ჯარი და დაიხია ტფილისისაკენ, აღსაესებ რწმენით — არ გაეტეხა თვისი ფიცი“⁴².

როგორც ქვემოთ დაენიხებთ, ვახტანგმა ხინებულად შეასრულა თვისი ფიცი.

შენიშვნები

1. ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება. ზ. კიკინაძის გამოც. ტფ. 1913, გვ. 118 (ქვემოთ ყველგან ეს გამოცემაა მიითიებელი).

2. შაჰის ტახტზე ისეღის ეერემონალი აღწერილი აქვს იტალიელ მოგზაურს Carlo Gemelli-Careri-ის (1651 — ?), რომელიც უშეალოდ დასწერება ამ ეერემონალს (იხ. მისი ექსტრომიანი შრომა Gio del Mondo I—VI, Napoli, 1699—1700; ფრანგ. თარგმანი Voyage du tour du Monde, P., 1722; კორნაიციის იღწერა მოთავსებულია მეორე ტომის XI თავში: Coronazione di Scia-Osseni... გვ. 100—106; შრ. ფრანგ. თარგმანის ტ. II, გვ. 160—170. იტალიური ტექსტის წინ მოთავსებულია თვითონ სულთან-ქუსეინის სურათი, იგივე — ფრ. ტექსტის 118 გვ. შემდეგ (კარლო ვემელო-კარერიის შესახებ იხ. В. Бартольд, История изучения Востока в Европе и в России. Л.-д. 1925, стр. 115—116, 125 და М. Полиевктов, Евровейские путешестви-

ники XIII—XVIII в. в. по Кавказу, Тбилиси, 1925, стр. 114).

3. Дневник осады Испагани афганцами, введенный Петросом ди Саргис Гилалени. Перевод и объяснения К. Патканова, СПб. 1870, стр. IV.

4. იქვე, III—IV.

5. იქვე.

6. Я. Я. Стрейс, Три путешествия. Перевод Э. Я. Родониной, 1936, стр. 263—264. შრ. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении. Л.-д. 1949, стр. 294.

პროფ. ი. პეტრუშევსკი სამეტი მემატიანის ზაქარია სარკავაძის ცნობზე დამყარებით აღნიშნავს, რომ XVII საუკ. 90-იან წლებში გამოცხადებული ყოფილა იძულებითი შეგროვება 7 თასი ჭალოშვილისა ამ უზბეგლო მეომრებისათვის, რომლებიც შუა აზიიდან გად-

მოსულან სულთან-ჰუსეინთან სამსახურში (Очерки... 294).

7. Извлечение и путешествия г-на Оливье (окончание). „Вестник Европы“, ч. XXV, № 17 (сентябрь), стр. 11. М., 1807.

8. სულთან-ჰუსეინმა 1698-1701 წ. წ. დამატებით შემოიღო ახალი ვადასახადები, რასაც განსაკუთრებით აღუზღვრებია იმპერიის განაპირა მხარეები (Петрушевский, Op. cit., 330—331).

9. Оливье, Op. cit., 12—13.

10. Th. Krusinski, Tragica veritatis bell Persici Historia. Leopole. 1740.

(- თ. კრუზინსკი, სპარსეთის მიმდინარე ომის ტრაგიკული ისტორია. ლუოვი, 1740. პოლონელი იუზუტი მისიონერის კრუზინსკის წიგნის მნიშვნელობის შესახებ ჩვენ ქვემოთ სპეციალურად ვეჭვებთ საუბარს)

11. Jonas Hanway, An historical account of the British trade over the Caspian Sea; ... London, 1753.

ჰანეის წიგნის ის ნაწილი, რომელიც ირანში აღიანთა შესევას და სულთან ჰუსეინის კაბიტულაციის ეხება აღარებს სათაურს The Revolutions of Persia, containig the reign of Shah Sultan Hussein... („სპარსეთის რევოლუცია“...). ეს ნაწილი არაა ორიგინალური, მაგრამ უაღრესად სანდოა მისი წყაროები, რომელთა ავტორობა დაკავშირებულია XVIII ს. დიპლომატიის და ისტორიკოსის იოსებ ქართველის სახელთან, ეს ფაქტი ქართული მეცნიერებისათვის ენობილი გახდა ვ. გაბაშვილი. (იხ. მისი მშენიერი ნარკვევი „იოსებ ქართველი — XVIII ს-ის დიპლომატი და ისტორიკოსი“. („მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“. ნაკვ. 32, გვ. 111-121. თბ. 1955).

12. Ch. Picault, Histoire de Revolutions pe Perse. 2. vol. Paris, MDCCCX. პიკალტი, სპარსეთის რევოლუციის ისტორია. პარიზი. განსაკ. ტ. I, თავი V, გვ. 177 — 133; ისაჰანისა და შაჰ სულთან-ჰუსეინის შესახებ).

13. Sin I. Malkolm, The history of Persia-London, MDCXXIX. (მალკოლმი, სპარსეთის ისტორია; მეორე ტომში).

14. ივრია, 1879 № 9, 10 (სექტემბერი და ოქტომბერი), გვ. 116.

15. Гаспар Друвилъ, Путешествие в Персию в 1812—1813 годах. Перевод с франц. м., 1826, ч. 1, стр. XXXI.

16. Соловьев, История... XVIII, 29. შდრ. Дневник осады Испгани... V—VI

ბარტევი პეტრესძე ვოლინსკი (1689 — 1740), გამოჩენილი რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მიღინებული იყო სპარსეთში საეპარო ხელშეკრულების დასადგმად და სეფიანთა

სახელმწიფოს შინა პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლად, რომელიც საქართველოს მთავრობისათვის (ტურქეთში ხანებში კასპიის ზოგიერთი მხარის, კერძოდ კავკასიის ტერიტორიების, დასაპყრობად ემზადებოდა). ეს ის ვოლინსკი, რომელმაც პეტრე დიდის სპარსეთის ლაშქრობის დასაწყისში მოლაპარაკებას აწარმოებდა ვახტანგ VI-სთან და დაითანხმა იგი რუსეთის მიმხრობოდა (იხ. М. Поднектков, Европ. путеш... 32 — 34. იქვეა დასახ. ბიბლიოგრაფია). ვახტანგს მასთან მიმოწერა ჰქონდა 1722 — 172 წლებში (М. Броссе, Переписка... 144, 149 და შმდ.). ვოლინსკის ჩვენებაში დასახელებული Ехтма-Давлет (ეთიმა დოღუე) ანუ პირველი ვეზირი 1717 წელს იყო ფათალი-ხანი, არსმომოთი ლეტი, რომელზედაც ვრცელად წიხს ლაპარაკი ზემოთ.

17. დავით თვითონ უწოდებს თავისთავს სულთან ჰუსეინის მიერ „მისაგებ აღზრდილს“ (იხ. მისი „ღვთაების გუჯარი“. სარგის კაცაბის გამოცემა, წიგნი I, ტფილისი, 1913, გვ. 20, შდრ. იქვე 21,22). ისაჰანმა გაზრდილმა და „ზნეთა საქართველოთა უმეცარმა“ ქართული „წიგნი და ენანი უწყოდა ორნივე წარინებულად“ (ვახუშტი, გვ. 200). მისი გამოსახელება მოყვანილი აქვს ა. ხახანაშვილს (А. С. Хаханов, Экспедиция на Кавказе 1892, 1893 и 1895 г. (იხ. Материалы по археологии Кавказа, 1898, вып. VII, стр. 89 — 42; ითანე ნათლისმცემელისა და დავით გარეჯის უღაბნოთა აღწერის ზოლოს (გვ. 42) ავტორის დაბეჭდილი აქვს ერთ-ერთი გუჯარის პერგამენტთან მინახულად XVII — XVIII ს. ს. შეფუების გამოსახელებით. რეპროდუქციაზე (таблица III), მარცხენა მხარეზე, ზემოთ ჩარჩოვში, მოთავსებული არიან ერეკლე I (ნაზარალიხანი) თავისი სამი ძით შემდეგ-ნაირად: (მეფე დავით) (მატონიშვილი თეიმურაზ) (მეფე ერეკლე) (მეფე კონსტანტინე) ქვემოთ კი: (მეფე თეიმურაზ) (დავით, ბატონი თეიმურაზის: შვილი).

18. კ. კეკელიძე, მეტყვამეტე საეკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიდან. („ლიტერატურული ძეგანი“, 1953, ტ. VIII, გვ. 162). აკადემიკოს კონრედი კეკელიძის ეს ნარკვევი ამოწმარავად ახასიათებს არამარტო დავითისა და მისი დის მარიამ-შაჰირენს ლიტერატურულ მოღვაწეობას, არამედ საერთოდ ირაკლი I-ის „პოლიტიკურ კარიერასა და ოჯახურ მდგომარეობას“.

19. ჩვენი თემის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა შვიდსტროფიანი შაირი „ქება“, რომელსაც „ღვთაების გუჯარის“ ტექსტის 18 — 20 გვ. უქირავს (შდრ. კ. კეკელიძე, დასახ. ნარკვევის გვ. 165 — 166). ქება შვიცავს შაჰის გარეგნობისა და მორთულობის ისეთი დეტალებს აღწერას, რასაც უცხოელ მოგზაურებმა შთაბეჭდილებანიც აღასტერებენ (შდრ. შავ.

Comelli-Careri, Giro del Mondo, t. II, 103—105. აგრეთვე Белевы путешествия через Россию.. СПб, 1776, ч. 1, стр. 96). სხვათაგან დაეთითს პანევიჩის არავითარი ისტორიული და ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნია.

20. Дневник осады Испании стр. VIII (პროფ. პატანოვის შენიშვნა; შტრ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ნ. ბერძენიშვილი, აკად. ს. ჯანაშია — საქართველოს ისტორია, თბ. 1943, გვ. 325).

21. История о персидском шахе Тахмас Кулы-Хане. Санктпетербург, 1762, стр. 272—273. ანონიმი ავტორის ეს სიტყვები ნაწილობრივ დამოწმებული აქვს (უმთავრესად ფრანგულიდან) ზ. ავალიშვილს (იხ. მისი Присоединение Грузии к России, СПб, 1906, стр. 42. შენიშვნაში).

22. ვ. ფუტურჩიძე, ქართული მოღვაწენი ერანის კულტურულ ასპარეზზე („საზღვრები“, I, 287—296; ნარკვევები მრევანილია ნიმუშებში სპარსულად და მათი პროზაული თარგმანები). შტრ. საქ. ისტორია, 1943, გვ. 325.

23. ვ. ფუტურჩიძე, დასახ. ნარკვევის გვ. 288. შტრ. საქ. ისტორია, 1943, გვ. 325, აგრეთვე — შ. ამირხანაშვილი, ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის, ვ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 6—7, გვ. 183. (ამ მკვლევარის აზრით, მხატვარ სიაუშს სპარსეთში საკეთარი სკოლა შეექმნა).

24. ქალანთარი უბუცესი, ქალაქის თავი სარაშინა. ვთამადაოულე (ანუ უფრო ზუსტად — ითიმად-ად-დოულე) — პირველი ევზირი, დიდი ევზირი (პირად. მნიშვნ. „доверие державы“. (И. П. Петрушевский, Очерки.. 100, 101).

25. გარდა ქართული საისტორიო წყაროებისა (ვახუშტი, სეხნა ჩხეიძე, ბერი ვენკაძევილი...), გიორგი XI შესახებ არსებობს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა უცხოურ ენებზე. მაგ. ზემოთ დასახელებულ კრუზინსკის, პანცევის, პიკოლტის, პეისონელისა და სხვათა შრომებში ეხედებით უარესად საინტერესო ცნობებს ქართლის ამ მეფეზე. აღნიშნული ავტორების ცნობათა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებული აქვთ პ. ბოსელიანს, მ. ბროსეს, დ. ბაქრაძეს; საშუალო ქართველ მეცნიერებს — ვ. დონდუას, მ. ხუბუას და სხვ. ყერძოდ გიორგი XI თავგადასავალს ეხება კიდევ ერთი, ნაკლებ ცნობილი მასალა — რუსი მეზღვაურის (შემდეგ გუბერნატორის) ფ. ი. სომოროვის წიგნის „Описание Каспийского моря.. СПб, 1763“ მეხუთე თავი (გვ. 135—138), რომელსაც სათაურად აქვს „О мятежах Мир-вейсом и Мир-Махмудом в Персии произведенных“. სომოროვის ცნობები ზოგ რამეში ავსებენ ს. ჩხეიძისა და ვახუშტის მტარანებებს იმ ადგილებს, რომლებიც ავ-

ღანელებთან გიორგი XI და ქიანოსროს შტრ. ლებს ეხება.

გიორგი XI ისტორიული პორტრეტის ენაქონობად არსებობს მისიონერი „დიონისე“ კარლის რელიკიონი „თბილისის აღწერა“, რომლის ქართული თარგმანი 1951 წ. დაიბეჭდა (იხ. „მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის“. ნაკვ. 29; თბ., 1951) ნ. აგრეთვე: ალ. გარსევანიშვილი, ქართლის მეფე გიორგი XI ავლანისტანში. „ივერია“, 1890, № № 153—154. მოსე ჯანაშვილის შრომა გიორგი XI შესახებ — დაუბეჭდავია (იხ. კრებული „მოსე ჯანაშვილი“. იხ., 1956, გვ. 118).

26. 1699—1703 წლებში მეამბოხე ბელუჯ-აღანელებზე გიორგი XI და მისი ძმის ლევან ბატონიშვილის არა ერთგულის გამარჯვების შემდეგ შაჰმა ქართლის მეფობა დაუბრუნა გიორგი XI-ს, თუმცა საშუალოში არ გამოუშვია. მაშინ გიორგი XI-მ შაჰისაგან გამოითხოვა თვისი ძმისწულის ვახტანგის ქართლის „ჯანიშინად“ (მოადგილედ) დანიშვნა, რაზედაც შაჰი დასთანხმდა (1703).

27. ს. ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა (საქართველოს ცხოვრება. მეორე გამოც. ზ. კვიციანიძის მიერ. ტფ., 1913, გვ. 28—29).

28. ვახუშტი, 118.

29. ს. ჩხეიძე, 29. ვახუშტით კი (გვ. 118) ვახტანგი ისპაჰანს წარვიდა მცირედითა კაცითა 23 აპრილს. კრუზინსკის გაზვიადებული ცნობით ვახტანგს 3.000 კაცი ახლდა (შტრ. დ. ბაქრაძე, საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსე. თბ. 1880, გვ. 28).

30. შაჰარ ხუბუა, ქართულ-ირანულ ურთიერთობანი. („აკად. ნ. შარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შრომები“, V—VI, გვ. 251, თბილისი, 1940).

31. მ. ხუბუა, დასახ. ნარკვევი, 250. პანევის ამ ცნობას ამარჯებს Соимонов-ის ჩვენებათა იხ. Описание Каспийского моря.. გვ. 148: „...Фатали Хан, Ехтима-Девлет, или первый Министр, так ему (ბირვეისს, ა. გ.) помог, что...“ და გვ. 153: „Некоторые придворные служители за него (ივტლ. მირ-ვეისის, ა. გ.) вступились. Рассматривание поручено таким людям, кои еще наперед были задарены Мир-Вейсом. Сам первый министр, или Ехтемаут-Девлет, держал его сторону, что после еще больше оказалось“ (დაყოფა ჩვენა ა. გ.).

32. იქვე.

33. ვ. ს. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი. ტფილისი, 1913, გვ. 29.

34. შაჰის ელჩობის მარცხს გარკვეული მიზეზები ჰქონდა. ვალ. გაბაშვილის აზრით „ირან-საღარსეთის 1708 წ. სავაერო ხელ-

შეკრულების რატიკაციის საეთიო წინასწარ გამოცხადება საბას ელჩობის წარმატებას ლეი XIV კარზე". (იხ. ვ. ვაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან „მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის“, ნაკვ. 31, გვ. 125; თბილისი, 1954).

35. ს. ჩხეიძე, გვ. 1-32; შდრ. ვახუშტი, 123 — 124.

36. „ივერია“, 1884, VII—VIII (თავი 7), გვ. 44. შდრ. კრუზინსკის ცნობები ვახტანგის ქრისტიანობის შეს. დ. ბაქრაძე, საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსე, თბილისი, 1880, გვ. 33—34.

37. შდრ. П. Г. Бутков, материалы для поной истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. III, СПб, 1869, стр. 18.

38. მ. ბროსე, საქართველოს ისტორია. ნაწ. მეორე, ტფილისი, 1900, გვ. 60.

39. „ღვთაების გუჯარში“ ილინშელია: „...ირანის ეთნოლოგიის: ფათშლიხანის დამან: პატრონან: მახრუჯან ბეგუმ...“ (გვ. 21, ს. კაკაბაძის გამოც.). შდრ. დავით შეფის სიგელში: „...თანამეცხედრემან ჩვენმან დიდის შამშლის ძის ერეკვის ბეგლარბეგის ასულმან და სრულიად ირანისა და ირანელთ გამგებლის, დიდისა ეთმანდოვლათისა დამან დედოფალთ დედოფალმან ფახრუჯან ბეგუმ...“ (ვ. ფუთურძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. თბ., 1955, გვ. 426).

40. შდრ. კონსტანტინეს წყალობის წიგნი 1724 — 1725 წლებისა — ვ. ფუთურძე, იქვე, გვ. 435: „...თანამეცხედრემან ჩვენმან შამშლის ასულმან, შირაზისა, ფარსისა და ბანდრებისა ბეგლარბეგის და სრულიად ირანის სპასალარის დამან დედოფალთ: დედოფალმან ფერიჯან ბეგუმ“. აქ იგი მოხსენებულია ჩაოჯოჯ ფარსის ბეგლარბეგის" ე. ი. ლტფალი-ხანის დაა და, მამასადაძე, როჯორე დაა დავითის მეუღლისა (იხ. აგრეთვე Д. П. Пурцеладзе, Грузинские

церковные гуджары, Тифлис, 1881, стр. 73: კონსტანტინეს გუჯარი 1727 წლისა და მტკვა. გვ. 74, თეთონ ფერიჯანბეგუმის გუჯარის დეტალი გარესჯის მონასტრისადმი 1727 წ.).

41. იხ. Белевы путешествия... стр. 97—98.

42. მ. ხუბუა, დასახ. წერილი, გვ. 254-255 (დაუთვა ჩვენია. ა. გ.). პანევის მითითება „ქართულ თავადების“ ლალატზე გურგინ-ხანის შიშით ისტორიულად ცნობილი ფაქტია — ქართული დიდებულნი ხშირად ლალატოდენ გიორგი XI-ის შიში მეფობის პერიოდებში (1676 — 1688 და 1691 — 1695 წწ.).

იქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი.

პანევის ცნობების ქართული თარგმანი პირველად გამოქვეყნა განსე. მ. ხუბუა 1940 წელს, რომელმაც ცხადყო მათი იდენტობა სეხნია ჩხეიძის მატანის სათანადო აღგილებთან. მაგრამ პანევის თხზულებას და კერძოდ ზემოთ მოტანილ ადგილს მალკოლის „სპარსეთის ისტორიის“ მიხედვით პირველად უტარდება მიაქია პ. იოსელიანმა თავის წიგნში „Краткий исторический взгляд на состояние Грузии под властью царей магометан (Тифлис 1849, გვ. 76, სქოლიო 6). პანევის შრომას, კრუზინსკის წიგნთან ერთად, ხშირად იმოწიებს М. Brosset-როცა იგი ვახტანგისა და ისპაანის კარის ურთიერთობას ეხება ვახუშტისა და ს. ჩხეიძის მატანეთა ფრანგული თარგმანების სათანადო აღვილების შენიშვნებში. პროფ. პატკანოვიც, რომელმაც გამოსცა სომეხი მემატანის სარგის დე გილალენციის დღიურები ავღანელთა მიერ ისპაანის გარემოცვის შესახებ აგრეთვე უტარდება ამასილებს პანევის ზემოთ ციტირებულ ადგილზე. იგი წერს: «В 1720 г. (?) оскорбленный Шахом он поклялся никогда не обнажать меча в защиту Персии. Он сдержал свою клятву Hanway II, chap. III p. 172" (Дневник осады... стр. 2).

(გაგრძელება იქნება)



ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარგმანები უახოურ ენებზე

ილიას ნაწარმოებთა თარგმანი უახოურ ენებზე მრავალ სიმწიფეს ხედებოდა, მიუხედავად ამისა, ქართული ხალხის ერთგულმა მეგობრებმა — მარჯორი უორდროში, არტურ ლისტმა და უორე მერიმ 80-იან და 90-იან წლებში შეძლეს მიეწოდებინათ ინგლისურ, გერმანულ და ფრანგ მკითხველთათვის ილიას პოეზიის რამდენიმე მარგალიტი. უარესი ბედი ხელა წილად ილიას პროზას, იგი თითქმის დღემდე თარგმნილი არ არის უახოურ ენებზე.

ილიას პირველი მთარგმნელი უახოურ ენაზე ქართული ერის დიდი მეგობარი მის მარჯორი უორდროში იყო, რომელმაც ინგლისურად თარგმნი ილიას „განდევილი“.

თარგმანი საცხებით ადეკვატურია ორიგინალისა სტროფული მოყვლის მხრივ. იგი, ისევე როგორც „განდევილი“ დედანი, იყოფა 560 ტაბულად, რომლებიც შეადგენენ პოემის 28 თავსა და ეპილოგს. თარგმანი, დედანივით ამთარგვლევან სტრიქონებს შეიცავს, ე. ი. ლექსთაზომი, მეტრიც აქ დატულია. ოღონდ, რაკი ყოველ ენაზე ლექსთაწყობას თავისი კანონები აქვს, ინგლისურ თარგმანში რიტმული მახვილები რამდენიმედ გადაადგილებულია და „განდევილი“ თარგმნილია ინგლისურ ეპიკურ პოეზიაში გაერკვლებული დაწყვილებული იამბიკური პენტამეტრიით.

ისევე დატულია თარგმანში დედნის რითმი, ირითმება ყოველი ობსტრუქციონიანი ტაქტის მეორე და მეოთხე სტრიქონება.

ვენერა ურემაქე თავის სტატიაში „ილია ჭავჭავაძის „განდევილი“ და მარჯორი უორდროში“¹ სამართლიანად აღნიშნავს თარგმანის ლექსიკურ სიზუსტეს და მის შესანიშნავ ელერიტობას ინგლისურ ენაზე, რაც ამტკიცებს იმას, რომ მ. უორდროში ქართული ენის მყოფნე და მშობლობური ინგლისური მხატვრული სიტყვის მაღალი ოსტატი იყო. ილიას მხატვრული სახეები, მეტაფორები და სხვა კანამული ფიგურები იშვიათად თუ სადმე შეეცვლილა სხვა სახეებით და ასეთ შემთხვევაშიც შენარჩუნებულია დედნის დედაზრი, ილიასებური მხატვრული ხილვის უნარი.

ასევე იშვიათადაა დაშვებული ცალკეული სი-

ტყეების შეცვლა. თუ უარგმანში სიტყვა შეცვლილია, ამას მეტწილად თავისი გამართლებაც აქვს. მაგალითად, პოემის პირველ სტრიქონშივე გვითხვრობთ:

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა...“

„There, where Mount Kazbek rears his noble brow“...

აქ „მყინვარის“ მაგიერ პირდაპირ დასახელებულია „ყაზბეგი“. ასეთი კონკრეტუზაცია ინგლისელი მკითხველისათვის უფრო მიზანშეწონილია, რადგან იგი შეაფიოდ და ნათლად წარმოიდგენს პოემის მოქმედების ადგილს.

პირველი თავის 8 — 9 სტრიქონებს —

„სად მეუფება ჭეკა-ჭხილსა,
ვინულს და ქართა მხოლოდ მშენია...“

მ. უორდროში თარგმნის შემდეგნაირად:

„Where thunder's mighty roar rules
o'er these realms.

Where frost doth dwell and winds sing
orth their psalm“...

ე. ი. აქ არქაული „მშენია“-ს ექვივალენტად გამოყენებულია სიტყვა „psalm“. „მხოლოდ ქარი და გალობს ფსალმუნებს“ და თარგმანის ამ ნიუანსით ურღვევი რჩება დედნის ზეამბლებული, ოღონდ არქაული კალი.

მხოლოდ გამოჩაკლისის სახით გვხვდება თარგმანში სიტყვების შეცვლა, ერთგვარი გადახვევა, მაგალითად, მე-20 თავის ბოლო სტრიქონები —

„ხსნა ყველგან არის... ზოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგი მე... უბედურსა...“

თარგმნილია შემდეგნაირად:

„Salvation's road lies open unto all,
This is life way vorme—atway of woe“

ე. ი. „გზა უბედურებისა“ წილად ხელა განდევილი ხსნისათვის, და არა თვით არის უბედური — „... მე... უბედურსა...“ ასეთი თარგმანი რამდენიმედ არბილებს, აღდენებს ამ საგულისხმო სიტყვების ტრაჯიკუზმს.

ილიასებური მხნე ლირიზმით, მაღალი პოეტური ვანკითა და მძლავრი პოეტური სუნქეითაა თარგმნილი „განდევილის“ უმალო პერიოდები: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარ-

სა...", „სადაც მართალი გზის ვერ აღუვსეს...“ და სხვ.

ცოცხალი და სხარტი ერთი, ლაქონიერი და მრავალისმთქმელი სიტყვებითა თარგმნილი განდევლისა და მწყემსი ქალის დილოგები.

„განდევლის“ თარგმანი ინგლისურ ენაზე მარჯორი უორდროში თითქმის მოხაზა საპატიო ლიტერატურული ვალი შექსპირის „მეფე ლიას“ ქართული თარგმნელის წინაშე.

მარჯორი - უორდრომის მიერ თარგმნილი „განდევლი“ ცხოველი გამოხმაურება პოეტი ინგლისურ მხატვრულ-კრიტიკულ პრესაში. ეტრანალ „Academia“-ს 1896 წლის 4 აპრილის ნომერში სწერია: „... ეს პოემა ნათარგმნი ქართული ენიდან და დიდად საყურადღებოა, ვითარცა ნიმუში უცხო მწერლობისა. თაე. ი. ჰეკეაჟაჟე, უმეველია, საეკეთესო პოეტი უნდა იყოს თავის ქვეყანაში, ამ პოემის დამწერს ამჟამად ეტუობა დიადი ნიჭი და ძლიერება პოეტური ფანტაზიისა... უორდროში სრულ საშეაღებას ვეაღლეს ისეთი ქართული ნიჭიერი პოეტი, როგორც არის ილია ჰეკეაჟაჟე, საესებით გავითვალისწინოთ და პატივი ვეცეთ მის შესანიშნავ მოღვაწეობას“¹.

მარჯორი უორდროში იყო არა მარტო შესანიშნავი თარგმნილი, არამედ ილიას შემოქმედების ღრმა შემფასებელიც. შესავალ წერილში, რომელიც მან წარუშტდგანა ინგლისურად თარგმნილ „განდევლს“, მ. უორდროში გულისტკავილით აღნიშნავს, რომ ინგლისელი მკითხველები არ იცნობენ ქართულ ლიტერატურას, რომელიც არაფრით არ ჩამოეწარდება და დღეს აღემატება კიდევ სპარსულ ლიტერატურას. „განი თანამედროვე სპარსეთს შეუძლია დაეყენოს ვინმე ნ. ბარათაშვილისა ან ი. ჰეკეაჟაჟის გვერდით?“ — წერს მ. უორდროში. ის ხაზგასმით აღნიშნავს ქართული ლიტერატურის ზოგადკატორბორი მნიშვნელობის, რასაც დიდად შეუწყობს სული იმან, რომ საქართველომ თანაბრად ათევისა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურა და აღრინდელ ხანაში ზიადწია კულტურის განვითარების და განათლების შიდალ დონეს.

შემდეგ მ. უორდროში აცნობს ინგლისელ მკითხველს ი. ჰეკეაჟაჟის მოკლე ბიოგრაფიას, აღნიშნავს მის ფართო პუბლიცისტურ, საზოგადოებრივ, საჭედელოქმედო და საგანმანათლებლო მოღვაწეობას და დასძენს: „ილია ჰეკეაჟაჟე... ერის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ გამოვლინებაში ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეა“.

გადაღის რა ილიას მხატვრული შემოქმედების დახასიათებაზე, მ. უორდროში ასახელებს მოთხრობას „კაცია ადამიანი?“, „რომელშიც მწე-

რალია დახატა საშეაღო სოფლის შემამულეთი უმინო ცხოვრება“, და იმასაც აღნიშნავს, რომ ამ მოთხრობამ ქარიშხალი ასტეხე უღუყეს მტერეთა ბანაკში, მიგრამ მიზანს კი მიაღწია, რადგან თავდაზნაურობამ დანიანა თავისი სამარცხენის სახე მხატვრულ სარკეში.

მარჯორი უორდრომს თავისებურად ესმის ილიას შემოქმედებათი გზა, რომელიც, მისი აზრით, პირველ ეტაპზე დახასიათდებოდა კრიტიკულ-სატარული განწყობილებით, „საზოგადოების ლიტერატურული ძილიდან გამოვლიძების ცლით“. შემდეგ ეტაპზე ილიამ მთავარ მიზნად დასახსა გაეშტევიანა ისინი, ვინც კეთილშობილეროვნელ იდეალებს ემსახურებოდა და ამიტომ თავის ნაწარმოებებში მწერალი გამოხატა „სამშობლოს დიდებული წარსული“. განვლილ დროთა გამოვლის დეაწლი, და ბოლოს, მისი შემოქმედება გადავიდა ისეთ სტადიაში, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც „წმინდა ესთეტიკური“. ამ უკანასკნელ პერიოდში, 1883 წელსაა შექმნილი „განდევლი“.

ჩვენი აზრით, ილიას შემოქმედებაში ამ სამი მომენტის ცალკეულ საფეხურებად მიჩნევა არაა სწორი. სოციალ-დემოკრატული, პატრიოტულგმირული და მხატვრულგანზოადებული საწყისები ახასიათებენ ილიას შემოქმედებათი გზის ყოველ ეტაპს, რაც შეეხება „განდევლს“, არ იქნება სწორი, თუ ამ პოემაში ჩვენ მარტოაღენ წმინდა ესთეტიკური“ პრობლემის დასას დავიხაზეთ. ილიას არასოდეს არ უღალატია ხელოვნების რეალისტური გავების და მისა უღიდვის სოციალ-დემოკრატული მნიშვნელობის აღიარებისათვის. „განდევლიშიც“ ილიას, უპირველეს ყოვლისა, იპყრობს განდევლობის ანტისოციალური არსის შიღება. პოეტი აქ ბრწყინვალედ ატეციებს იმას, რომ განდევლობა შეესაბამა ადამიანის ბუნებისათვის, ზოლო ცხოვრების ბრძოლებიდან შორს დაღვივნისა კაცთა სოციალისტის, ჰუმანრობის ჩახშობამდე მიყავს ადამიანი.

ამიტომ „განდევლი“ არ არის პოემა, რომელიც განეყნებულად იყოს დასმული „მიწიერისა“ და „ხეციერის“ ურთიერთდაპირისპირების საკითხი, ეს სოციალური აქტივიზმისა და ჰუმანიზმის სწორი გავების შეადგენელი ნაწარმოებია.

თვით მ. უორდროშიც სწორედ ამ თეაღსაზრისით განიხილავს პოემას, როდესაც მის კონკრეტ ლიტერატურულ ანალიზზე გადაღის. მ. უორდროში აღნიშნავს, რომ „განდევლი“ ქართველი პოეტი თავისებურად ამტკებს თემას, რომელიც მუდამ აქტუალური იყო მსაფლიოს ლიტერატურაში, — ეს არის დემონისტოვი ბერის ცდუნების თემა. სხეადსხეა მწერალს სულ სხეადსხეაგვარად აქვს გადაწყვეტილი იგი. ილიას განდევლის შეაღდენს არა უღამაზეს ქალების — კლოპატრას და სემირამიდეს — ჩვენებანი, არც გამდიდრების წყურვილი და არც ოცნება

¹ ვენერა ურუმაჟე, ი. ჰეკეაჟაჟის „განდევლი“ და მარჯორი უორდროში... „მნათობი“, 1945 წ., № 10.

ხელისუფლებაზე, რასაც შეეძლო მარტოობაში, სიღარიბეში და ტანჯვა-წამებაში მყოფი მწირის ცოტენება, არამედ უბრალო, მომხიბლველი, უმანკო, ქალიშვილი, რომელიც უამბობს განდევნილ კაცობრიობისადმი წმინდა სიყვარულისა და ცხოვრების სიხარულის შესახებ, და „სწორედ ამ უბრალოების გამოა, რომ ცოტენება ასე ძლიერია და კეთილშობილი“.

მ. ურდარიძე მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ ილია ერთი შეხედვით თითქოს უბრალო, მაგრამ ნამდვილად ღრმა და შთაშვებულად დაპირისპირებას მიმართავს: განდევნილს მაცდუნებლად მოეცლებოდა არა ფლობების ვერაგ ბერ ილარიონის ანდა ან. ფრანსის ნატიფი მოსაუბრის ნიჭიერის მადეგარი პიროვნება, ფილოსოფიურად მოპოვებრ განდევნილთან, არამედ თვით სიციცხლისა და ჰუმანურობის განსახიერება — მშვენიერი მწვერული ქალი, რომელიც განდევნილობის არასისწორესა და უნიდაგობის ერთი ფრთხილ ამხელს: „ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა ვაყინო?“

მეტად საინტერესოდ სვამს საკითხს მარჯარი ურდარიძე იმის შესახებ, რომ „განდევნილს“, გარდა მისი უშუალო, პირდაპირი დედაზრისა, მეორეული, სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს: თვით განდევნილი შუა-საუკუნეების გამოშახველია, ზოლო წარმტაცი და ნათელი სახე მწვერული ქალისა — რენესანსის სიმბოლოა, იმ რენესანსის, რომელიც საქართველოში უფრო ადრე აღმოცენდა, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში. ცხოვრების ძველმა გაგებამ ვერ გაძლო მის მშვენიერებასა და ბრწყინვალეობას და იძულებული გახდა ან წილი მიედო რენესანსულ სიხარულში, ან მოსპობილიყო, აღგვილიყო პირისგან მიწისა.

• •

ქართული ლიტერატურის მოამბავს არტურ ლისტს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული პოეტების და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის საუკეთესო ქმნილებათა თარგმნის საქმეში გერმანულ ენაზე.

არტურ ლისტი ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსული არ იყო, როდესაც გერმანულ და ბოლნერ ეფრანულებში ბევრადგა წერილებს ქართული მწერლობის შესახებ სათაურით: „მივიწყებელი ლიტერატურა“. 1884 წელს, ივნისში ა. ლისტი ჩამოვიდა საქართველოში, გაცნო და დაუახლოვდა ჩვენს მწერლებსა და მთელი მოწინავე ინტელექტუალის, ვახუთი „ღრობა“ გვაუწყებს შემდეგს ა. ლისტისა და ი. ჭავჭავაძის პირველი შეხვედრის შესახებ: „არტურ ლისტი ილია მიწივი სადილად, დაუბატოვა ყველა ჩვენი მწერლები, ეურნალისტები და ლიტერატორები... საითთოდ აცნობდა ყველას საბატო

და სასურველ სტუმარს. ილიამ დალია არტურ ლისტის სადღეგრძელო და მიმართა მას მოკლე ზეგან კობტა და გრძნობით, სავსე სიტყვით... ბატონი არტურ ლისტიც სასამართლო და გონივრული სახის პატრონია, სიღინჯე და სიღარიბისობა ნამდვილი ნემცესისა აქვს. ცოტა გამზდარია და ესე, 35 წლის კაცი იქნება“¹.

შემდეგში არტურ ლისტი ილიას უახლოესი და გულთბადი მეგობარი გახდა, საბოლოოდ საქართველოში დასახლდა, იყო ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი და ჩვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშების მთარგმნელი გერმანულ ენაზე.

1887 წელს ლიუციოში გამოქვეყნდა არტურ ლისტის მიერ შესრულებული ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების გერმანულ თარგმანებში, სათაურით „ქართული პოეტები“. კრებულში მოთავსებულია გ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის, ნიკ. ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, რაფ. ერისთავის, ბაჩანას, მამია გურიელისა და სხვათა რჩეული ლექსების გერმანული თარგმანები. „ქართული პოეტები“ დიდი მოვლენა იყო ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში, ეს პირველი ანთოლოგია ქართული პოეზიისა, თარგმნილი და გამოქვეყნებული უცხოურ ენაზე.

კერძოდ, კრებულში „ქართული პოეტები“ მოთავსებულია ილიას ათი ლექსის თარგმანი, მათ შორის „გაზაფხული“, „იელავი“, „ქართულის დედას“, „ილიანას“, „გახსოვს ტურფავი“, და სხვ. არტ. ლისტი თავის თარგმანებში ზუსტად იცავს ქართული დედნის სტროფიკას, ყოველი სტროფის სტრიქონთა რიცხვს და ტაქტუბად დაყოფას, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით, მერტრის შესახებ. „ელავია“, დაწერილი ილიას საყვარელი ამბარკელონი ლექსით და „გახსოვს, ტურფავი“, დაწერილი რეპარაკელოვანი იამბიკური ლექსით. ლისტს ერთნაირად უთარგმნია გერმანულ კლასიკურ პოეზიაში, მეტადრე გოეთეს ლირიკაში, გავრცელებული ლექსთაზომით, რომელშიც თერთმეტი და ათმარკელოვანი სტრიქონები ენაცვლებიან ერთმეორეს. სწორედ ამ ლექსთაშუკობითა დაწერილი გოეთეს ისეთი პროგრამული ლექსები, როგორცაა „მიძღვნა“, „ილმენაუ“, „ახალგაზრდა ვერთერის ვენბათათის“ და სხ. ზოლო „განდევნილის“ პირველი ორი სტროფი ათმარკელოვანი ლექსის მაგიერ თარგმნილია ბეგრად უფრო მოკლე დიამაზონის ლექსთაშუკობით, რომელშიც ცხრა და რეპარაკელოვანი სტრიქონები ცვლიან ერთმანეთს. — ეს ზომაც საკმაოდ გავრცელებულია გერმანულ კლასიკურ პოეზიაში, როგორც გოეთეს, ისე შილერის ლირიკაში. ამ ლექსთაზომითა დაწერილი შილერის „იდეალი“, „სევდა“, „საიდუმლო“ და სხვ.

¹ „ღრობა“, 1884 წ., 3/VI, № 118, გვ. 2.

ლაისტისეულ გერმანულ თარგმანებში ილიას ლექსები დარბილულია ისე, როგორც ქართულ დედანში, ხოლო სტრიქონები ზოგჯერ გადაადგილებულია.

ლაისტის თარგმანები ძირითადად ლექსიკურად სწორია, მაგრამ ალგა-ალგ გვეხდება მნიშვნელოვანი გადახრანი დედნისაგან.

მაგალითად, „ელეგის“ ორი უკანასკნელი სტრიქონი —

„ახ, ღმერთო ჩემო! სულ ძილია, ძილი,
როსღა ვეღლისოს ჩვენ ვალეაქება?“

თარგმნილია შემდეგნაირად:

„Ach Land, wann wirst denn du vom Schlaf ermatten.

Wann kommt der Zeit, da auch dein Lenz erwacht?

ე. ი. რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „მამულო, როდისღა დარბილუნი ძილით და როდის მოვა დრო შენი ვამახუხელის ვალეიქებისა?“

მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკურადაც და სემანტიკურადაც თარგმანი არ ემთხვევა დედანს ძირითადი აზრი და განწყობილება სამშობლოს გაღვიძების მოძალეხული სურვილისა კარგადაა გადმოცემული თარგმანში.

ასევე თავისუფლადაა თარგმნილი რამდენიმე იდგილი ლექსისა „გახსოვს, ტურფავ?“ მაგალითად, სტრიქონები —

„ნიტა იმ დროს... სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგარბობდით...“

თარგმნილია შემდეგნაირად:

„Und unbekannt mit jeder Herzensplage
Wie zwei Geschwister uns ungeschlungen
hielten.“

რაც ნიშნავს შემდეგს: „ჩვენთვის უცნობი იყო რაიმე სასიყვარულო ტანჯვა და ეთყვით გადახვეულები, ვით ორი დობილი...“ ანდა სტრიქონები —

„და მოთხარი: „ჩემო გიგო!
ჩემს სასსოვრად გქონდეს ეს!“

თარგმნილია: „In deinen Augen zuckten
Liebesfammen
Da sprachst: „Nimm hin und meiner
stets gedenke.“

ე. ი. „შენს თვალებში ციკობდა სიყვარულის
ღია, და მოთხარი: „აიღე ჩემდა სასსოვრად“.
ნაცულად სიტყვებისა —

„... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება
(„ელეგია“)

გათხულობთ: „...der hohen Berge schatten
sind wie die Huter dieser langen Nacht.“

რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „მაღალი მთების
ჩრდილები თითქმის ამ ხანგრძლივი ღამის გუ-
შავნი არიან“.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ, ა. ლაისტის თარგმნის მანერა საკმაოდ თავისუფალია და თუ, მიუხედავად ამისა, თარგმნილი მკაფიო შენარჩუნებულია ილიას პოეტური სიტყვის თავისებურებანი, ეს უფრო იმისგანაა იმით, რომ ლაისტმა აქვს უნარი ილიას პოეზიის არსში ღრმად ჩაწვდომისა და მისი საერთო განწყობილების გადმოცემისა.

კრებული „ქართული პოეტები“ მეორედ გამოიცა 1900 წ. მეორე გამოცემაში ა. ლაისტის დაუმატებია ილიას ისეთი ლექსების გერმანული თარგმანები, როგორცაა „პოეტი“, „ჩემს კალამს“, „განდევლის“ პირველი ორი სტროფი და სხვ. და გერმანულად თარგმნილი ილიას ლექსების რაოდენობა თერამეტამდე აუყვანია.

ა. ლაისტის კრებულში „საქართველოს პოეტები“ დიდი მონაწილეა დამისახურო რუსულ და საზღვარგარეთულ ლიტერატურულ წრეებში. როგორც ამას ილია თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რეცენზიები ლაისტის მიერ შესრულებულ თარგმანებზე დაიბეჭდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. დადებითი შეფასება მისცა ლისტის თარგმანებს აგრეთვე გერმანულმა ჟურნალმა „Literarisches Echo-მ“. იტალიელნი რეცენზია მიუძღვნა არტურ ლაისტის თარგმანებს და, საერთოდ, მის ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას ინგლისელმა ისტორიკოსმა პროფ. მორფილმა, თავის ნაშრომში საქართველოს მწერლობის შესახებ (1907 წ.) პროფ. მორფილი წერდა: „ყველაზე უმსაინაშნავისი, მგონია, აწინდელი დროს პოეტთაგანი თ-დი ი. ქავჭავაძე, რომელმაც განათლება პეტერბურგში მიიღო.“

იგი ერთი სახელგანთქმულ მოჭაღვეთაგანია იბილისისა, ფრიად სტეპარტოზოვო კაცი. იგი ბეჭდავს ჟურნალ „ივერიას“, რომლის ფურცლებზე ხშირად წაიკითხავთ ვრცელ ცნობებს ქართველთა ტომის ზნე-ჩვეულებათა შესახებ“.

ა. ლაისტი არა მარტო მთარგმნელი იყო ქართული პოეზიის მარგალიტებისა, არამედ გამოჩენილი მკვლევარიც ქართული ლიტერატურისა და კულტურისა, ავტორი შესანიშნავი წიგნისა „საქართველოს გული“ და მრავალი სხვა ნაშრომისა, რომლებიც დაწერილია ქართულ ან გერმანულ ენაზე.

წინასიტყვაობაში მის მიერ თარგმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგიისა — „ქართული პოეტები“ ა. ლაისტი აღნიშნავს, რომ ქართულ ლიტერატურას სამატიო ადგილი უჭირავს აღმოსავლეთის ერების ლიტერატურათა შორის, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მან მისაწვდომი გაეხადა ქართულ პოეტთა კმნილებანი გერმანულ მკითხველთათვის. ა. ლაისტი აქვე დასძენს, რომ შერიგვის დროს ხელმძღვანელობდა არა მარტო ამა თუ იმ ლექსის მხატვრული ღირსებებით, არამედ მხედველობაში იღებდა იმასაც, თუ რამ-

დნად ასახულია ლექსში ქართველი ხალხის ცხოვრება. ყოველი პოეტის გერმანულად თარგმნილ ლექსებს წინ უძღვის მოკლე ცნობა ამ პოეტის ცხოვრებისა და მისი შემოქმედებაა მხი-ველბობის შესახებ.

„ქართველი პოეტების“ მეორე გამოცემაში, რომელიც 1900 წელს დრეზდენში გამოქვეყნდა. მოკლე წინასიტყვაობა შეცვლილია ვრცელი შესავალი წერილით („Einleitung“), სადაც ა. ლისტს მოჰყავს ისტორიული ცნობები საქართველოს შესახებ და აგრეთვე გაშუქებული იქვს ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, დამუშავებული ვაქვეყნის დროიდან და დამთავრებული მე-19 საუკუნის კლასიციზმამდე. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამ შესავალ წერილში ილია ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვასაც, ხოლო 1903 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ა. ლისტის კამბოტური ნაშრომი „ქართველი ხალხი“, სადაც კვლავ დეტალურადაა გაშუქებული ილიას ცხოვრება, მისი პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

მშვენიერად აქვს დასაბუთებული ა. ლისტს ილიას, აყაყისა და, საერთოდ, თერგდალეულთა გამოჩენის ისტორიული აუტორიტეტობა ქართული ლიტერატურის საზოგადოება. ა. ლისტი აქტიუ-ცებს, რომ გრ. ორბელიანის „საღვთაგანობა“ ქართული რომანტიკის გედის სიმღერა იყო, ჯერ კიდევ გრ. ორბელიანის გარდაცვალებამდე ქართული პოეზია ახალ პანაზე აყდერდა, გრძნობის მაგიერ პირველი ადგილი მასში აზრმა და გონებამ დაიკავა. ქართველი განათლებული ახალგაზრდობა წარსულზე გაცივით ვეღარ დაქმყოფილდებოდა, სინამდვილე თავისის მოთხოვდა, ხალხის ცხოვრება წინ მიდიოდა და ლიტერატურაც ეპოქის მომინავე იდგით უნდა გაშუქებულიყო. სწორედ ეს იდეა ვადაიქცა ახალი ლიტერატურის მთავარ ამოცანად და არა სახე, თუმცა პოეტური სახე ბუნებრივად იქნებოდა ილიას და აყაყის შემოქმედებაში სწორედ იმიტომ, რომ დი-აღმა იდეებმა შთაბერეს მათ სული და სიცოცხლე.

ა. ლისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ილია ყოველთვის თანასწორობის მომხრე და გლეხობის უფლებების დამცველი იყო. ის აღფრთოვანებით მიესალმა ბატონყმობის გაუქმებას. როგორც, საერთოდ, ქართველი მწერლები, ისე ილიაც ახლოს იდგა ხალხთან, გლეხობასთან, მშვენიერად იცნობდა სოფლის ცხოვრებას და დიდი ადგილიც დაუთმო მის დასურათხატებას თავის შემოქმედებაში.

საკმაოდ ვრცელად მოჰყავს ა. ლისტი ბიოგრაფიული ცნობები ილიას შესახებ. ის განიხილავს ილიას შემოქმედებითს გზას. ბოლოს ილიას მკვლევარი დასკვნის: „ეს მაღალნიჭიერი, მდიდარი სამეცნიერო და ლიტერატურული ცოდნით აღჭურვილი ადამიანი მრავალი ათეული წლების მანძილზე წინამძღოლობდა თავისი ხალხის სუ-

ლიერ ცხოვრებას და მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაანება თავი პუბლიცისტურად დადგომა რა იგი ახალგაზრდა ძალეს“.

განსაკუთრებით საგულისხმია ა. ლისტის შეფასება ილიას, როგორც მხატვრისა და სიტყვის ისტორიის. ილიას შემოქმედებითს სამყაროში ლისტს ხაზლავს ის, რომ ხატოვნება და ბუნების ფაქიზი აღქმა შეხამებულია ღრმა რეალიზმთან. „ამასთანავე იგი სიტყვის დიდი ისტორიკი და ბუნების მთავარბული მგებობარია, — წერს ა. ლისტი. — მან მრავალფეროვან, აღფრთოვანებულ ლექსებში გამოსახა თავისი სამშობლის მშვენიერება, მაგრამ არასდროს ვადაუქარბებია და არაფერი აქვს საერთო აღმოსავლურ ფინტიტიკურ საქაროსთან“.

ა. ლისტი აღნიშნავს ილიას და, საერთოდ, ქართველი პოეტების მიერ ბუნების აღქმისა და გამოსახვის ერთ თავისებურებას: ისინი ყოველთვის ხატოვნად მილიან პეიზაჟს და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ცალკეული საგნების მხატვრულ ხილვას, რაც იმით აიხსნება, რომ საქართველოში ბუნება მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია და პოეტს არ ძალუხს ყველაფრისა და ყოველივეს გამოსახვა. აქვე ა. ლისტი დასძენს, რომ ქართული პოეზიაში ქარბობს გამოხატვა მოის ბუნებისა და არა ზღვისა. ილიას გრძნობა ბუნებისა მრავალსახოვანია თავისი ვანწყობილებით, იდუმალი და გულითადი, მასში ისმის ყოველივე ის, რაც კი ახსიათებს კეთილშობილ ადამიანობას. ილიას გენიამ ბევრი შვითვისა თავისი მშობლიური ხალხისაგან, ვანიცადა აგრეთვე გამოჩენილ რუს მწერალთა ზეგავლენა და ყველაზე ძლიერად — გოეთეს შემოქმედება.

მარჯორი უორდრომი თავის წინასიტყვაობაში აღაპრობის ილიას პოეტურ ნათესაობაზე ბაირონთან, ხოლო ა. ლისტი ილიას პოეზიაში გოეთეს პოეტური გენიას კვალს ეძებს. ეს თავისთავად აქტიუცებს ილიას შემოქმედებითს სიდიადეს, რის ვარემე შეუძლებელი იქნებოდა მისი გაცილებდა მსოფლიო პოეზიის ბუმბერაზებთან. მით უფრო, რომ პოეტურ ანალიოვიებს ილიას, გოეთესა და ბაირონს შორის სწორედ უცხოელს მკვლევარებში პოელობენ.

უნდა ითქვას, რომ ილიას შემოქმედებობს ნათესაობას გოეთეს პოეზიასთან, მეტაბრე ბუნების მხატვრული აღქმის სფეროში. ა. ლისტიც ვარდა სცნობენ ქართველი ლიტერატურათმცოდნენი. ევ. ვაქურელია სტატიაში „ვაიოუ ქართულ ლიტერატურაში“ 1 წერს, რომ, თუცა ილიამ უარყო „მეინვარი“, რომელიც ვაიმარელ გოეთეს აგონებდა, მაგრამ პოემაში „აირდილი“ მან შეამალღებელი გრძნობით დაგვიხატა ვაშუქებული მყინვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ უარყოცა და ვაიმარელი გოეთეც კვლავ დარწმუნებულია ჭავჭავაძის პოეტური ხედვის ვაიადგვალთბიქტად.

მართლაც, ბევრი რამ არის საერთო და ნათესაური ბუნების ამ ორი დიდი შესაიდუმლოს შორის. ორივე დაჯილდოებულია გრძნეული ნიჭით გამოხატონ სულ სხვადასხვაგვარი, განსხვავებული განწყობილებას ბუნების სურათები, მოგვცენ პლასტიკური, თითქმის თვალით ხილული სურათები ბუნებისა, განასულიერონ და გაათონ ბუნება ადამიანის შინაგრძნობის უხვი სიმდიდრით, და, რაც მთავარია, ჩასწვდენ მის სიღაღესა და ზეამაღლებას.

შესაძლოა, სულთა ამ ნათესაობით აიხსნება ის, რომ არტურ ლასტის ასე ეხერხებოდა ილიას ლექსების თარგმნა გოეთეს ლექსიკის ფართო გამოყენებითა და გოეთეს საყვარელი ლექსთა-ზომებით.

არტურ ლასტის სახელი უკვდავყოფილია ქართული მხატვრული სიტყვის ისტორიაში. მით უფრო საუკრავია ა. ლასტი ქართველი ხალხისათვის, რომ მან თავისი თარგმანებით გააცნო გერმანულ მკითხველებს ჩვენი პოეზია, ილიას ლირიკა, ხოლო თავის შრომებში ჯეროვანად შეაფასა ქართველი ხალხის საამაყო მკონის და მოღვაწის შემოქმედება, აყო დიდი ილიას გულითადი მეგობარი.



ფრანგულ ენაზე არ მოიპოვება ილიას ქმნილებათა არც ერთი თარგმანი ლექსად. ცნობილმა ფილოლოგმა ეორე მურაიმ, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა და ქართველი ხალხის ისტორიასა და კულტურას სწავლობდა, თარგმნა ფრანგულ ენაზე პროზად „განდევნილი“. ეს თარგმანი L S-ის ფსევდონიმით 1899-1900 წ. წ. დაბეჭდა ეურნალ „ილუსტრირებული კავკასიის“ ფურცლებზე, რომელიც ფრანგულ ენაზე თბილისში გამოდიოდა. რა თქმა უნდა, ლექსის თარგმნა პროზად აენიშნება მის მშვენიერსა, მაგრამ, რამდენადაც ეს შესაძლოა, ეორე მურაი ეცდოდა შეენარჩუნებინა კეთილშობილება, მაღალბუნებოვანება, სიმპლაცრე, პათოსი და რომანტიკული ტემპერამენტი ილიას პოეტური ენისა, მით უფრო, რომ ეს თვისებები სწევია, საერთოდ, ფრანგულ ლიტერატურულ მეტყველებას.

პროზაული თარგმანი დაყოფილია თავებად, ისევე როგორც ქართული ორიგინალი. მთარგმნელს არსად არ შეემოკლება ქართული ტექსტი და ერთგულად მისდევს მას. თარგმანი შესრულებულია შესანიშნავი ფრანგული ენით და ძალიან ლამაზად ელერს, რამდენადაც ეს შესაძლოა პროზაული თარგმანისათვის.

ლექსიკურადაც და სემანტიკურადაც თარგმანი სწორია და დედნის აზრი თითქმის არსადაა შეცვლილი, მხოლოდ გვხვდება ადგილები, სადაც ილიას უხადლო სტრიქონები რამდენიმედ გუბრალობებულია, გაღარბებულია.

ასე, მაგალითად, მე-3 თავის ბოლო სტრიქონები —

„...და უოღველის გულისტყვილად ქალს შეაიერა ტყვექნელი თვალი თარგმნილია: „...Ses yeux ne quittaient plus la charmante jeune fille“.

ე. ი. „მას თვალი ვერ მოეშორებინა ლამაზი ქალისთვის“.

პოეტური სიტყვა არათუ გაღარბებულია, არამედ აზრიც ეერა სწორად გადაცემული მე-3 თავის შემდეგი სტრიქონებისა:

„...არ ვთვლი წელთა სვლას, მოგშორდი, შეილო, წუთისოფელსა და რაღას ვაქნე ემის ეიმთაკელს!“

ფრანგულად ეს ადგილი თარგმნილია შემდეგნაირად: „...Mon enfant, a. quel bon songer aux années qui passent!“

ე. ი. „შეილო, რას ვაქნე განვლილ წლებს?“ — ის, რომ განდევნილი არ აქცევს ურადლებას ემთასვლას, რადგან მოშორდა წუთისოფელს, სრულიადაც არაა ნახსენები.

ასეთი ცალკეული დეფექტები იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება, ისინი ვერ ჩრდილავენ თარგმანის მაღალ ღირსებებს.

როგორც ჩანს, ეორე მურაი ილია ზავთავაძის შემოქმედებითი ნიჭისა და საზოგადოებრივი ღვაწლის დიდი პატივისმცემელი ყოფილა. მან არა მარტო თარგმნა „განდევნილი“, ნაწარმოები, რომელიც თემატიკურად აბლოს დგას ფრანგულ და მსოფლიო ლიტერატურისათან, არამედ თავის ეურნალში მოათავსა დავით კარიჭაშვილის წერილი სათაურით: „ქართველი პუბლიცისტები. თავადი ილია ზავთავაძე“, რომელშიც სხარტად და მოზღნელად მოთხრობილია ილიას შემოქმედებითი პიოგრაფიის ძირითადი ფაქტები, დახასიათებულია მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა, მისი ბრძოლა ხალხის ეკონომიური და კულტურული წინსვლელობისათვის.

დ. კარიჭაშვილის წერილს მოსდევს თვით ე. მურაის მიწაწერი, სადაც ნათქვამია: „ზემოხსენებულ სტატიაში ლამარაია მწერალი, ხოლო მე მწიდა დავახსიათო ილია ზავთავაძე როგორც ადამიანი“. ამ მიზნით მას მოჰყავს სიტყვა-სიტყვით სადღეგრძელო, რომელიც ილიამ 1884 წლის 30 ნოემბერს წარმოთქვა ფრანგული კოლონიის პატივსაცემად „დროების“ რედაქციაში გამართულ ბანკეტზე. იმ დღეს არწრუნისეულ თეატრში ქართულმა დასმა ითამაშა წარმოდგენა საქართველოში მცხოვრებ ფრანგთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. როგორც გახუთი „დროება“ გვატყობინებს 1, სექტაკალს დროული საზოგადოება დასწრებია (როგორც ფრანგები, ისე ქართველები). საზოგადოებმას „თითქმის მესამედს არ ესმოდა ქართული ენა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, არაეის არ მოსწყე-

1 „დროება“, 1884 წ. 2 დეკემბერი, № 260. გვ. 1; „ქართული წარმოდგენა“.

ნია თეატრში ყოფნა, რადგან პიესები ძალიან სასცენო იყვნენ და დასასრულამდე თეატრი ხალხით იყო გატენილი. როგორც ერთე მერიე გვარყუებს, საქეატრში მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო ძალები: შაკო საფარავა-ამაშიძისა, ნატო გაბუნია, კოტე უფინია და მოხვევე (ა. ყაზბეგი). უთამაშოათ ორი ეოდველი, ერთი კომედია, ერთი აქტი დრამისა; შეესრულებით ქართული სიმღერები; ბოლოს ქეთ. ანდრონიკა-შვილსა და აწუერებს უცეკიათ ლეკრა.

საქეატრის შემდეგ „დროების“ რედაქციამში მოწყობილ ბანკეტზე, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ საფრანგეთის კონსული, ფრანგთა საკვლ-მოქმედა საზოგადოების წევრნი და ორმოცდა-თამდე პატეცემული პირი, სიტყვებით ვამისულ-ლან „დროების“ რედაქტორი იყენე მაინაბელი და საფრანგეთის კონსული, რომელშიც გულწრფელი მადლობა მოახსენა ქართველობას ძმური დახმარებისათვის.

ამის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს წარმოუტყვემს სიტყვა, რომლის სრული ტექსტი მოტანილია ქართულად გზნეთ „დროებაში“, ხოლო ფრანგულად — ეერნალ „Le Caucase illustre“-ში. უნდა ითქვას, რომ ფრანგული ტექსტი ლიტერატურულად უკეთაა დამუშავებული, უფრო დახვეწილია, ვინემ ქართული ტექსტი. ამ სიტყვას აღუფრთოვანებია ყველა იქ დასწრე.

თავის სიტყვას ილია ასე იწვევს: „დაღეს ჩვენ-მა პატარა ლიტერატურამ, პატარა თეატრმა ამ პაწია გაზეთის პატარა რედაქციამი მიიღო დიდი მადლობა პატარა ძლევისათვის დიდი ერის წარ-მომადგენელთათვის.“

შე შგონია, რომ ჭვეყანაზე დიდიან პატარაე რომ არ განაილიყო, ქვეყნიერების მშვენიერებას და საყვებას ბევრი რამ დააკლდებოდა და თვით შემოქმედის სიბრძნეშიდაც ეტვეს შევიტინ-დით.

ნუ თუ ჭვეყანა მით უფრო მშვენიერი, მდიდარი და საყვ არ არის, რომ დიდს, უშველბელს მუხსათან პატარა მფელოზედ პატარა იაკე მკე-ვის თავის საკუთარი ფეატრა და სერნელებით, ანუ თვალგადაუწედნელ ზღვისა და ოკეანეს ტალღების გრიალთან ისმის ნელი ჩუხუნუი პატარა წყაროსთა? ბატონ კონსულის სიტყვამ და-გვიმტკიცა, რომ დიდისა და პატარის შუეც შესა-ძლოს ხიდა გაიღვას.“

ილიას მთელი სიტყვა აგებულია დიდი და პატარა ერების ურთიერთდამოკიდებულებების იდეაზე. იგი აგებინებს ფრანგებს, რომ საქართველო თანასწორულებოვანი წევრია მთელი კაცობრობის ერთა ოჯახისა: „პატარა საქართველოს ერს არ ეუცხოება დიდი გრძნობა კაცთმოყვარეობისა. აი, აქაც, დიდი და პატარა, დიდი გრძნობა და პატარა ერთობანეთის შემავსებელნი, ერთობანეთს ამკობენ და ამშვენიერებენ. ჩიენ ვართ ლარბინი ოქროთი და ვერცხლითა, მიგრამ გულთ მდღარნი ვართ და თუ ოქრო და ვერცხლი საუნჯეა ხორცისა, გულის სიმდიდრე ხომ საუნ-

ჯეა სულისა. აი, ამ სიმდიდრით მოგვიერთმევი ჩვენი ღარიბი ძლევენი თქვენთა გვირგვინულთა ძმთა საშველად.“

ერთე მერიე წერილის ბოლოს დაასვენის: „ეს სიტყვა ყველა ბიოგრაფიაზე უკეთ გვიხატავს და გვიხსიათებს ილია ჭავჭავაძეს ორატორს, პოეტს, ფილოსოფოსს, გულთად აღამიანსა და საფრანგეთის მეგობარს.“

თუკი ვინმე ეწვეოდა საქართველოს და მოგზაურობის შთაბეჭდილებათა წიგნს დაწერდა, მას არ შეეძლო გვერდი აეგლო ილიას პიროვნებისა და მისი შემოქმედებისათვის.

ბარონი დე ბაი თავის წიგნში „ერთი მისიის მოგონებანი“ იხსენიებს ილია ჭავჭავაძეს, როგორც საქართველოს ეროვნულ, სახალხო პოეტს, რომლის ლექსებს მღერაან ქუჩებში, სასახლეებში და ჭობებში, აფარებს მის გოგორსა და ტოლსტოის, ახასიათებს ილიას საზოგადოებრივ მოღეაწეობას.

შეორე ფრანგი მოგზაური საქართველოში, პერ-ცო დე როანის შეუღლე, მძახალი ეკატერინე დიდიანის ასულის სალომესი თავის წიგნში „ავეკასიის ზადრახილინი“, რომელიც საფრანგეთში რამდენიმეჯერ ვამოიცა, გვიამბობს თავის შთაბეჭდილებებზე საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, მოგზაურობის დროს. ის მოკლედ მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას, და მოკეყვას პარზად თარგმნილი რამდენიმე ლექსი ქართველი კლასიკოსებისა, სახელობარ, რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხეცურისა“, აკაკის „სიყვარული“ და დასაწყისი ილიას პოემისა „რამდენიმე სერათი ანუ ეპიზოდი ყაზაღის ცხოვრებშიდა“.

თარგმანი შესრულებულია ფრანგული ენის ზედმიწევნითა კონიათა და პოეტური გემოვნებით, იგი ზუსტია და კეთილსინდისიერად დამუშავებული.

ი. ჭავჭავაძის ზემოხსენებულ ნაწირობებთა ფრანგულად დაბეჭდილი თარგმანების გარდა, არსებობს სიდე ერთი ნაწირობების დაუბეჭდვი თარგმანი.

1876 წლის „დროების“ ერთ-ერთ ნომერში ჩვენ ვკითხვობთ: „ჩვენ გვიხბრეს, რომ ს. ჰეტერტუკუს სამეცნიერო აკადემიის წევრი უფ. ბროსესი, რომელიც ასეთი მკოდნეა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა,“ ამჟამად ი. ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ მოთხრობას „კაცია აღამიანს“ სთარგმნის ფრანგულს ენაზედ და აბეჭდინებსო“ 1.

ამ ცნობას ადასტურებს მარი-ფელისიეტ ბროსეს ნაშრომთა ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, შედგენილი მისი ვაჟის მიერ, სადაც სწერია, რომ ბროსეს ზელნაწერთა შორის არის შავად დაწერილი და აგრეთვე თეთრად გააწერილი სრული თარგმანი ილია ჭავჭავაძის მოთხრობისა „კაცი-

1 „დროება“, 1876 წ. 26 გიორგობისთვე, № 83.

ადამიანი?!", შესრულებული პეტერბურგში 1859 წელს გამოცემული ქართული ტექსტის მიხედვით. შავად ნაწერი შეიცავს 108 გვერდს და დათარიღებულია დასაწყისში 1876 წლის (17) 5 სექტემბრით, ხოლო ბოლოში—1876 წლის (10 ნოემბრით) 29 ოქტომბრით, ე. ი. ბროსეს უმუშავია, ამ ნაწარმოების თარგმანზე თითქმის ორი თვე. თეთრად გადაწერილი თარგმანი შეიცავს 106 გვერდს და ხელნაწერით ბოლოში დათარიღებულია 1877 წლის (23) 11 მარტით.

ბროსეს ყველა ხელნაწერი მისი გარდაცვალების შემდეგ გადაეცა საახიო მუზეუმს, ხოლო ამჟამად ბროსეს ხელნაწერების არქივი ლუნინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფონდში ინახება. როგორც ვაგივეთ, ამ ფონდში ნამდვილად არის „კაცია-ადამიანის“ ბროსესული ფრანგული თარგმანიც.

ჩვენი მოვალეობაა, ვიზრუნოთ ბროსეს მიერ ფრანგულად თარგმნილი „კაცია-ადამიანის“ დაბეჭდვა-გამოქვეყნებაზე, რადგან თვით ბროსესს სახელი იმის თვდებია, რომ ამ თარგმანის გამოქვეყნებით უცხოელ მკითხველს მიეცემა საშუალება გაეცნოს ილიას შემოქმედების კიდევ ერთ შედეგს, თარგმნილს მკოდნე და გამოკდილი სიტყვის ისტატიის მიერ.

ილიას ლირიკის რამდენიმე საუკეთესო ნიმუში ინგლისურად თარგმნა დოქ. ვენერა ურუმაძემ (იხ. „ქართული პოეზიის ანთოლოგია“). ამ თარგმანებმა როგორც საბჭოთა, ისე ინგლისელ ლიტერატურათმცოდნეთაგან მაღალი შეფასება მიიღეს. ვენერა ურუმაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული პოეზიის ნიმუშების ინგლისურ მკითხველთათვის გაცნობის საქმეში. მან შეძლო გადაეცა ინგლისურ თარგმანებში ყოველი შემოქმედის პოეტური ტემპერამენტი და თავისებურება, მაქსიმალურად გამოეხატა არა მარტო სიტყვიერი და აზრობრივი არსი, არამედ პოეტის შინაგანი განწყობილება, ასე ვთქვათ, პოეტური ქვეტექსტი.

ეს ღირსებები ახასიათებენ ვენერა ურუმაძის მიერ ინგლისურად თარგმნილ ილიას ლექსებსაც. ანთოლოგიაში მოთავსებულია ი. ჭავჭავაძის შემდეგი ლექსები: „ქართლის დედან“, „ეღუგია“, „გაზაფხული“ და „ბაზალეთის ტბა“.

ილია ჭავჭავაძის რამდენიმე ლექსი თარგმნა გერმანულ ენაზე ცნობილმა ქართველოლოგმა, ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ ბლაიზშტაინერმა, ეს ლექსები დაბეჭდილია რ. ბლაიზშტაინერის მიერ კრებულში „ახალი ქართული პოეტები“, რომელიც 1946 წელს გამოიცა. შესანიშნავადაა შესრულებული თარგმანები ილიას ისეთი ქმნილებებისა, როგორიცაა „ბაზალეთის ტბა“ და პირველი სტროფები პოემისა „აიჩრდილი“ (გერმანულად დასათარგმნელი: „უაზბეგი“). რ. ბლაიზშტაინერი იცავს ორიგინალის ლექსთაზომას, სტროფიკის და გარითმუის წესს. გერმანულ თარგმანში შესანიშნავადაა გა-

მოხატული კავკასიონის სილიაღე, ხიზმოლო მის შეილთა ტიტანური სულისკვეთებისა; ასევე სრულყოფილად გამოცემულია თარგმანში „ბაზალეთის ტბის“ ზღაპრულობის შარავინდღად, იდეალური ლირიკულობა და მგზნებარე პატრიოტული გელისთქმა. სავალალოა ის, რომ რ. ბლაიზშტაინერს, რომელიც რამდენიმე წლის წინეთ ვარდიაცვალა, არ დასცალდა ეთარგმნა გერმანულ ენაზე ილიას პოეზიის სხვა საუკეთესო ნიმუშები.

რ. ბლაიზშტაინერმა იმოგზაურა საქართველოში და თავისი შთაბეჭდილებანი გაუზიარა გერმანულ საზოგადოებრიობას წიგნში „საქართველო გუშინ და დღეს“, რომელიც 1950 წელს ვენაში გამოქვეყნდა. ამ წიგნის მე-7 თავში ავტორი გვიამბობს, რომ მან ინახულა საგუბარო. იგი მოკლედ ახასიათებს ილიას შემოქმედების გზასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ასახელებს მის მთავარ ნაწარმოებებს, აღტაცებით მოგვითხრობს საგუბაროს ბაღის სილამაზეზე, ილიას საყვარელ ადგილებზე, საქართველოს ბუნების მშვენიერებაზე.

ამავე წიგნის ერთ-ერთი თავი წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვას. იქაც რ. ბლაიზშტაინერი მოიწეებთა და წრფელი პატივისცემით იხსენებს ილიას და აკაცის შემოქმედებას, უწოდებს მათ „მე-19 საუკუნის ლიტერატურის ტიტანებს“.

სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში დიდი მუშაობა წარმოებს ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნა-აღივსებისათვის.

პროფ. იარაშიჩი იედილიკა ჩეხურ ენაზე თარგმნის ილიას ქმნილებებს. 1951 წელს ეტრნალში „სვიეტ სოვეტი“ დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი ილიას „პოეტი“.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების აქტიური დახმარებით წარმოებს მუშაობა და უახლოეს ხანში გამოქვეყნდება ქართული პოეზიის ანთოლოგიები გერმანულ, პოლონურ, რუმინულ და ჩეხურ ენებზე, რომლებშიც დიდი ადგილი დაეთმობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, მის ლექსებსა და პოემებს — „კანდელი“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყიხლის ცხოვრებიდან“.

არტურ ლაისტი ილიას გარდაცვალების ექვსი წლის თავზე წერდა: „სახელი მისი მის ხალხში ცოცხალია, უკვდავია მისი პოეზია, როგორც ნორჩი გაზაფხული მუდამ ახალ სიციცხლის სურვილი გაუღვივებს იგი მრავალსა და მრავალ შთაველ თაობებს“.

ილიას დიდ შემოქმედებას უნდა ეზიარონ არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხები, არამედ საზღვარგარეთელ მკითხველთა ფართო წრეები, რათა დიდი პოეტისა და მწერლის შემოქმედებამ მთელი კაცობრიობის მომავალ თაობებს გაუღვივოს გულში „ნორჩი გაზაფხული და მუდამ ახალი სიციცხლის სურვილი“.



აკაკი შანიძე

(დაბადების 70 წლისთავის გამო)

როდესაც აკაკი შანიძე გამოვიდა სამეცნიერო ასპარეზზე, ქართველური ენათმეცნიერების საფუძვლები მტკიცედ ჩაყრილი იყო ჩვენი ენის ისეთი ტიტანური მკვლევარების მიერ, როგორცაა ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარა. პირველი მათგანი ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან ხელმძღვანელობდა ქართული სიტყვიერების კათედრას პეტერბურგის უნივერსიტეტში. მან, პირველმა, გამოიყენა ენათმეცნიერების შედარებითი მეთოდი ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურის შესწავლაში და სათავე დაუდო ახალ დისციპლინას — „ქართველურ ენათმეცნიერებას“. მისი წინამორბედები იმავე პეტერბურგის სინამდვილეში იუვენე აკადემიკოსი ბროსე (დამაარსებელი ქართული სიტყვიერების კათედრისა პეტერბურგის უნივერსიტეტში) და პროფესორი ჩუბინაშვილი (ბროსეს მოწაფე). ამ ორმა მეცნიერმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ შემზადებულიყო ნიადაგი ქართული ენის შესწავლის მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დაეყენებისათვის. ცაგარელის გზა განაგრძო მარმა, რომელმაც გააღრმავა თავისი მისწავლების მიერ დაწყებული შედარებითი კვლევა და როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტში, ისე სიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში არსებული მასშტაბით ვაშალა ლინგვისტურ-ფილოლოგიური ძიებები საერთოდ ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლის რეფეროში. იგი, ჯავახიშვილის სიტყვით, ნ. მარის „დიდ ღვაწლს სწორედ ის შეადგენს, რომ ქართული... ტექსტების გამოკვების დროს; პირველად მან შემოიღო გამოსაცემი ძეგლების, როგორც ხელთნაწერების, ისევე თვით ტექსტის ის წინასწარი კრიტიკული ფილოლოგიურ-ლინგვისტური მეთოდი, რომელიც ბერძნული და ლათინური ძეგლების გამოკვების დროს ევროპის ფილოლოგიურმა მეცნიერებამ შექმნა და დააყენა. თავის სამაგალითო ენერგიით, და-

ულალავი შრომის უნარიითა და აღფრთოვანებული მუშაობის სიდაქიზით პროფ. ნ. მარმა ქართული... ფილოლოგიის დიდი ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დას. ევროპის თანამედროვე ფილოლოგია“ (1937 წ.). ამ უნდა ითქვას, რომ ნ. მარმა თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში შედარებითი მეთოდზე ხელი იიღო და პალეონტოლოგიური მეთოდის გაბატონება სცადა, რითაც მან გადაუხვია კარგად არჩეულ გზას და მეცნიერულ ზეშარბიტებას უმტყუნა. პალეონტოლოგიური მეთოდი ენათმეცნიერებაში არამეცნიერული და, მაშასადამე, დასაგმობია).

როცა ვლაპარაკობთ ა. შანიძის უფროს მეცნიერულ ამბინაგებზე, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ პროფესორი იოს. ვიფშიძე, რომელმაც ფუძემდებელი ნაშრომები გამოაქვეყნა ქართველური ენათმეცნიერების დარგში.

აკაკი შანიძემ ახალი ხანა დაიწყო ქართული ენის კვლევა-ძიებაში. მის სახელთან დაკავშირებულია თბილისის საენათმეცნიერო სკოლის შექმნა, სკოლისა, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია ჩვენში, საბჭოთა კავშირში, და საზღვარგარეთაც. შანიძემ ეროვნულ ნიადაგზე გაღმონერგა ჩვენი ენის კვლევა-ძიება და საერთოდ ქართული საენივერსიტეტო მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა.

გაეცნოთ ქვემოთ ა. შანიძის ნაშრომებს დატვების მიხედვით.

რაკი მე შეზღუდული ვარ ჩვენი ქურნალის ხასიათით, შევეცდები ზოგად ხაზებში დაეხასიათო ჩვენი თუბილარის გამოკვლევები და, რამდენადაც შეიძლება, თავიდან ავიკლინო ლინგვისტური დეტალიზაცია, რათა მიმოხილვა არ დაეამძიო სპეციალური ცნებებითა და ტერმინებით და ფართო მკითხველის ყურადღება არ შევანდლო.

ქართული გრამატიკული კატეგორიების შესწავლა

ქართულ გრამატიკულ აზროვნებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დაიწერა ვრცელი ქართული გრამატიკა (ანტონ პირველისა), რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა

მომდევნო ხანის გრამატიკულ ლიტერატურაზე. მე-19 საუკუნის შუა წლებიდან ერთგვარი განახლება დაეტყო ქართულ გრამატიკულ აზროვნებას როგორც მეთოდოლოგიურად, ისე მასალის თვალ-

საზრისით. რამდენიმე გრამატიკა უცხოურ ენებზედაც გამოქვეყნდა. ამ გრამატიკებმა უთოოდ ხელი შეუწვეეს ქართული გრამატიკული კატეგორიების შესწავლას, ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის რთულ ხლართებში გარკვევას.

ა. შანიძემ ახალი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის შემქმნელია. თუ პირველი მეცნიერული გრამატიკა ძველი ქართულისა მოგვცა ნ. მარმა (რუსულად — 1925 წელს; დაიბეჭდა ლენინგრადში, — ფრანგულად — 1931 წელს; დაიბეჭდა პარიზში), პირველი მეცნიერული გრამატიკა ახალი ქართულისა ა. შანიძის მონაპოვარია.

ტრადიციული ქართული გრამატიკის არსებითი მეთოდოლოგიური ნაკლი ისაა, რომ ქართული ენის სპეციფიკა ძირითადად მიჩქმალული იყო, რაკი ჩვენი ენის გრამატიკული მოვლენებზე დანახული იყო კარგად შესწავლილი ბერძნული და ლათინური ენების სათვლით, ევროპული ენების სპეციფიკის თვალსაზრისით. უგულვებელყოფილი იყო, აგრეთვე, ისტორიიზმი: ესა თუ ის კატეგორია არ იყო განხილული ისტორიულ ასპექტში, თავის განვითარების საფეხურების გათვალისწინებით. ეს არც მოუთხოვებოდა „სსსკ-ის გრამატიკის“, რამდენადაც იგი, ჩვეულებრივ, მოწოდებულია აღწეროს თანამედროვე ენაში არსებული ვითარება.

ა. შანიძემ მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ქართული გრამატიკული კატეგორიების შესწავლა, მან გვი მისცა მომდევნო თაობებს ჩვენი ენის სტრუქტურის რთულ ხლართებში გასარკვევად.

პირველი მისი ფუნდამენტალური გამოკვლევა ზმნის შევება. ქართული ზმნა კო, ცნობილია, ძალიან რთული და მდიდარი შედგენილობისაა, იგი თავისი აღნაგობით თავისებურ ადგილს იკავებს მსოფლიოს ენათა სისტემაში. ამ პირველ მონოგრაფიაში („სუბიექტური პრედიკატი მეორე პირისა და ობიექტური პრედიკატი მესამე პირისა ქართულ ზმნაში“, 1920) ა. შანიძემ ვადიფიკატა ერთ-ერთი კარდინალური მნიშვნელობის საკითხი ქართული ზმნისა. ესაა გრამატიკული პირი, რომლის გარკვევა წინაპირობაა მთელი რიგი

მომდევნო კატეგორიების ბუნების გასაგებობა. შეიძლება ითქვას, რომ შანიძემდე არც ერთი მხარე ქართული ენისა ასე ღრმად, მკაფიოდ, მონოგრაფიულად არ ყოფილა შესწავლილ. ენობრივი მასალის მკაფიო მეცნიერული ანალიზისა და ახალი მეთოდების გამოყენების მხრივ ეს ნაშრომი მართლაც სანიშნავია და გზის-გამკვლევია.

ა. შანიძემ დაადგინა ბევრი ახალი გრამატიკული კატეგორია. ასეთებია, მაგალითად, გვარის ორი სახეობის, სტატუსის, ტყევის, კონტაქტის, სიტუაციის და სხვა კატეგორიები. მანვე წამოაყენა მწკრივის კატეგორიის საკითხი, რომელმაც ატრ-ის საშუალება მისცა წამოეყენებინა აჭამდე უცნობი კატეგორიები: ჯერობა, აჭი, თანამიმდევრობა. ახალი კატეგორიების დადგენა შედეგია იმისა, რომ ა. შანიძეს გრამატიკული ფაქტების კვალიფიკაციისას კრიტერიუმად მომარჯვებული აქვს ფორმათა შეფარდების ხერხი, დაყრდნობილი სტრუქტურის მიმართ ეროვნებას, მაგრამ ურთიერთ შორის განსხვავებულ ფორმათა პირისპირ არსებობის საფუძველზე. იმავე დროს, ატორი იკვლევს ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საკითხს გრამატიკაში, რაც ასე მწკრივად დგას ენის სტრუქტურული საკითხების შესწავლას დარგში.

ქართული ენის სტრუქტურულმა თავისებურებებმა ა. შანიძის წინაშე სავსებით ლოგიკურად დააყენეს საკითხი, გადასინჯულიყო ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის კვალიფიკაცია ევროპულ ენებში. ეს მოითხოვა მეცნიერებაში დღემდის უცნობი ახალი ენობრივი მასალის მართლაც ანალიზმა.

ქართული ენის მორფოლოგიის დარგში ჩვენი ითბილარის კვლევა-ძიება შეჯამებულია მის ქართულ გრამატიკაში. ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, ივ. ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორია“, ვ. ჩუბინაშვილის „ქართული ზელოვნების ისტორია“ წარმოადგენენ დიდ მონაპოვარს საერთოდ ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლის დარგში ამ მაგისტრალური მონაკვეთების — ენის, მწერლობის, ისტორიის, ხელოვნების სფეროებში.

ქართული ენის ისტორიის საკითხები

ისტორიული თვალსაზრისით გრამატიკული მოვლენების შესწავლის დროს ა. შანიძის თითქმის ყველა ნაშრომში გამოსკვივის. ლინგვისტიკის შედარებით-ისტორიული მეთოდი ამგვარ მდგომარს მოითხოვს. ასე, მაგალითად, ნაშრომში პრედიკატების თაობაზე კარგი ნიმუშია იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიული საფეხურების გათვალისწინებას ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის (ამ შემთხვევაში — პირის) ბუნებისა და თავისებების შესაცნობად და დასადგენად.

ქართული ზმნის პრედიკატების თანამედროვე ვითარების ზუსტი და უტყუარი ანალიზის შედეგად ა. შანიძემ წამოაყენა პიპოთეზი მათი თავდაპირველი, ისტორიული სახის შესახებ. ჯერ კიდევ 1920 წელს მან ახარ და „ხელა“ ფრაზების საფუძველზე ივარაუდა, რომ ახ (ხანი) ალბათ დამახასიათებელი იყო ოდესღაც ქართუ-

ლი ზმნისათვის, ნაშთის სახით რომ შემოგვრჩენია დღეს ორიოდ ფორმაში.

1922 წელს ა. შანიძემ უფრადლება მიიქცია მცხეთის აჯრის საყდრისა და ბოლნისის სიონის წარწერებს. ამ წარწერებში გვხვდება ასეთი ფორმები: 1. შუბ ზეყავ, 2. შეხეწიე, 3. შეხუბათ. ამავე დროს, სამხრეთ საქართველოში არსებობს „ხერთვისი“. ავტორის დასკვნით, ამ სიტყვებში „ხ“ პირის ნიშანი უნდა იყოს. ასე, შვალითად, „ხერთვისი“ უნდა ნიშნავდეს: ხ-ერთვის იგი მის (მღინარეზეა ლაპარაკი).

ყველა ამ შვალითის (ავრთვე დღევანდელი ქართლის „ხ-არ“ და „ხ-ვალ“ ზმნების) „ხ“ ა. შანიძეს საფუძველს აძლევდა გამოთქვა ვიარული, როგორც ითქვა, იმის შესახებ, რომ აღბათ „ხ“ ძველ დროს ყველა ზმნის მოუდიოდა პირის ნიშნად.

არ ვასულა რამდენიმე თვე და ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა უძველესი ზღნაწერები, სადაც ეს „ხ“ სისტემატურად იხმარება ზმნებში, როგორც თავსართი: ხზრუნავთ, ხეტყვით, ხეძიებდ, ხიყ, დახსრულუბის და მისთ.

ქართული დიალექტოლოგია

ქართული ცოცხალი მეტყველების, დიალექტების შესწავლას ჩვენმა იუბილარმა დიდი ამაგი დასდო. ნ. შართან ერთად იგი ქართული დიალექტოლოგიის, როგორც ქართული ცოცხალი მეტყველების შემსწავლელი დისციპლინის, ფუძემდებელია. ჯერ კიდევ 1913 წ. პეტერბურგში, შეცნირებათა აკადემიის ორგანოში დაბეჭდა მისი პირველი ნაშრომი საქართველოს შთის კილოების (თურქ-ფშაურ-ხევსურულ-შოხურ-მთიულურის შესახებ), ნაშრომი, რომელშიც სათავე დაუდო ქართული დიალექტების დრმა მეცნიერულ შესწავლას. 1916 წ. მან (იოს. ყიფშიძესთან ერთად) გამოაქვეყნა „Программа для собирания диалектических материалов по грузинскому языку“ (Пособие для работ по армяно-грузинской филологии. IV), СПб.

ავტორის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ მკითხველი უხვად იპოვის ცნობებს ქართული კილოებიდან, — სალიტერატურო ენის ბევ-

სე გამოართლდა ა. შანიძის შეცნირებული წინასწარმეტყველებად.

ახლა უკვე გაირკვა, რატომ უწოდებდა ავტორი მოაწმდიელი ტერმინს — „ხანმეტყ“ ხხვხ სახარებას, სადაც „ხ“ ასოები იყო „მეტყ“ (გაორჯის დროს ეს თავისებურება აღარ ახასიათებდა ქართულ ენას და ამიტომ მიიჩნია მან „ხანმეტყ“ ასეთი ტექსტი). ცოტა ხნის შემდეგ ა. შანიძემ აღმოაჩინა ისეთი ძველები, სადაც „ხ“-ს ადგილას პე გვხვდება: პიტყვით, პისმინეთ, პზრუნავთ... აი, ასეთ ტექსტებს შანიძემ „პაემეტყ“ უწოდა, „ხანმეტყს“ ანალოგიით.

ამრიგად, მოიხაზა ქართული ენის მორფოლოგიის უძველესი სურათი. გარკვეულ საუკუნეებში ქართული ზმნის თავსართებად „ხ“ და „პ“ მქონდა. მაგრამ დაისკვა კითხვა: „ხანმეტყ“ და „პემეტყ“ სხვადასხვა ეპოქაში ახასიათებდა ზმნებს, თუ ისინი სხვადასხვა დიალექტის კუთვნილებად. ა. შანიძემ ეს უკანასკნელი ვიარული წამოაყენა, წინააღმდეგ ივ. ჯავახიშვილისა, რომელიც ფიქრობდა, რომ ამ ორ პრეფიქსს შორის ქართული ვიარული თანმიმდევრობა.

რი გრამატიკული კატეგორიის კანონზომიერების ასახსნელად მოხმობილია ძალიან საინტერესო დიალექტური მასალა, რომლის ანალიზი შექსა პეწეს ქართული ხალხური მეტყველების სტრუქტურის ცალკეულ საკითხებს.

ფსლადუღებელი ამაგი დასდო ა. შანიძემ ქართულ დიალექტოლოგიის სანიმუშოდ ჩაწერილი ტექსტების გამოქვეყნებით. 1923 წ. დაიბეჭდა ა. შანიძის რედაქციით ბ. გაბუტის ხევსურული მასალები ლექსიკონითურთ, სადაც გადაშლილია ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით უადრესად საყურადღებო კილოს — ხევსურულს თავისებურებანი. ამავე მიზნებს ეშახურება შანიძისავე კაპიტალური წიგნი „ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული“, რომელიც გამოვიდა 1931 წელს.

პრეფიქსებისა და „ევ“ სუფიქსის ანალიზის საფუძველზე ავტორმა მთელი სიღრმითა და სიწვევით დასკვა ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები.

ზანურ-ხვანურის შესწავლა

ზანური (ე. ი. მეგრულ-ზანური) და სვანური ქართველური ენებია, რომელთა მეცნიერულ შესწავლას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საყოფიერ ქართულის სტრუქტურულ თავისებურებებში გასარკვევად, ქართული ენის ისტორიის გასათვალისწინებლად. ნაშ-

როში „Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках“ (დაიბეჭდა პეტროპოლისში 1916 წ.) ავტორი იძლევა „არ“ სუფიქსის ანალიზს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი მეცნიერის ლეაწლი სვანურის შესწავლის დარგში.

სეანურს აღრე ბევრი მეცნიერი იკვლევდა, მაგრამ მათგან ყველაზე საყურადღებოა და სინდო შანიძის, მარის და დეცტერსის (ლაიფციგელი პროფესორია) ნაშრომები, როგორც ამბობს გ. თოფურია, რომელმაც ფორმებით მდიდარ სეანურ ზმნას შესანიშნავი მონოგრაფია უძღვნა (1931 წ.).

ა. შანიძის ვალამს გუთუნის „უმლატი სეანურმა“ (1925 წ.), რომელიც აღიარებულია, როგორც ზნისგამკვლევითი ნაშრომი. იგი ამუშავებს არა მხოლოდ შანიძე ბუნდოვან წმინდა ფონეტიკურ პრობლემას, არამედ მრავალი მორფოლოგიური საკითხიც გადაჭრილია ამ ნამდვილად ბრწყინვალე გამოკვლევით.

თუ რა სახისა იყო წინათ სეანურე მეტყველება, არ ვიცით; ძველად ფიქსირებული მასალა არ მოგვეპოვება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ცნობა (უმთავრესად ლექსიკური) შემოგვინახა აკადემიკოს გულდენშტედტისა (მე-18 საუკ.) და აკადემიკოს როზენის (მე-19 საუკ. მწარმოვე წლები) ნაშრომებში. ამიტომ ვასაგებია, რომ ჩვენი დროში ნაწერილ მრავალფერო-

ვან სეანურ ტექსტებს განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ენის ძველ სტრუქტურის ვითარების გასათვალისწინებლად (რამდენადაც ისინი შეიცავენ გაქვავებულ გამოთქმებს, ძველდანვე მომდინარე სიმღერა-ლექსებს, ანდაზა-გამოცანებს...), ისე თანამედროვე მეტყველების სტრუქტურის შესასწავლად. ამ მხრივ საყურადღებოა 1917 წ. მარის ინიციატივითა და რედამციით გამოხსული სეანური მასალები ა. ონიანისა (დაბეჭდა პეტროგრადში). ა. შანიძემ კი სათავე დაუდო სეანური ხალხური სიტყვების სისტემატიკურ და ვეგმამეწონილ შეკრებას. მისი მასალებიდან გამოქვეყნებულია როგორც სეანური ხალხური პოეზიის, ისე პროზის ნიმუშები. 1939 წ. დაბეჭდა „სეანური პოეზია. 1“ (გ. თოფურია-სთან და მ. გუჯეჯიანთან ერთად), სადაც გვერდისგვერდ მოცემულია სეანური ტექსტები და ქართული თარგმანი. იმავე წელს გამოქვეყნდა პროზული ტექსტები (გ. თოფურია-სთან ერთად). ამ ნაშრომებით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სეანურის, როგორც ქართულური ენის, პოზიტიურ შესწავლას.

ქართული ლექსიკოგრაფია

ქართული ლექსიკის საკითხები ა. შანიძეს აღრიდანვე აინტერესებს. ჯერ კიდევ 1915 წელს ორგანოში „Записки Восточного отделения Русского Археологического Общества“ (ტ. XXII), მან მოათავსა მ. ჯანაშვილის „საინგილოდან“ (1913 წ. ამოკრებილი ინგილოური სიტყვები (დაახლოებით 400-მდე), გამორთვებული ჯანაშვილის ლექსიკონში, და მოგვეცა მათი განმარტებები. ეს მომცრო სიტყვის-კონა სანიშნუა განმარტებათა სიზუსტითა და ლაკონიურობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჟა-ფშაველას ნაწერების ლექსიკონი, რომელიც ერთვის პოეტის გამოკვებებს. ეს არის პირველი ვრცელი და დიდი მეცნიერული ღირებულების ნაშრომი, რომელიც კი ასახავს ერთ-ერთი ჩვენი კლასიკოსის ლექსიკის შედგენილობას. აქ გამოჩნდა მთელი სიღრმითა და სისავებით ის სიტყვობრივი მარაგი, რომელსაც ვაჟა იღებდა ხალხური მეტყველებიდან და ამით ამდიდრებდა მწერლობის ენას. შანიძის მიერ შედგენილ „ვაჟას ლექსიკონს“ მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩვენი დიდებული, მგოსნის სიტყვიერი ქსოვილის შე-

სასწავლად, — ნაშრომი გვაცნობს, თუ რა ნაირ-ნაირი — ძირეულად ქართული — სიტყვები და გამოთქმებია შემონახული საქართველოს შიის მეტყველებაში, რა ლექსიკური საუნჯეა დაიკული ხალხურ მეტყველებაში, საუნჯე, რომელიც სათავეს ქართული საერთო-ებრივი ლექსიკონის ღრმა ფენებში პოულობს.

ამავე რიგისაა ა. შანიძისავე ზევსერული ლექსიკონი, რომელიც გაბუერის ტექსტებს ერთვის.

ა. შანიძეს ძველი ქართული მწერლის ლექსიკონიც აქვს შედგენილი. ესაა მე-11 საუკუნის გამოჩენილი ლიტერატორის გიორგი მთაწმიდელის ლექსიკონი (სოფრანს და ეფთვიმეს ცხოვრების“ მიხედვით), მთაწმიდელისა, რომლის კალამს მრავალი ლიტერატურული ძეგლი ეკუთვნის (უმთავრესად ნათარგმნი ან ნაუდაქციევი) და რომელიც ჩვენი სალიტერატურო ენის მრავალსაუცუნოვან ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს (1946 წ.).

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ ის დიდი მუშაობა, რომელიც გასწია ა. შანიძემ (ი. ყიფშიძისთან ერთად) სულხან-საბა ორბელიანის უკუდავი „ქართული ლექსიკონის“ გამოკვებითვის (1928 წ.).

მწერლის ენა

ოკლე უნდა გამოეყუთ ა. შანიძის ის ნაშრომები, რომლებიც შეეხებიან ქართული მწერლების ენის სტრ. კტურას, ამა თუ იმ მწერლის ად-

გილის განსაზღვრას სალიტერატურო ქართულის განვითარების ისტორიაში.

ა. შანიძემ ვრცელდ მიმოიხილა ზემოხსენებულ გიორგი მთაწმიდელის ერთ-ერთი ვრცელი

ორიგინალური თხზულების ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი და გამოავლინა ის დეფიციტი, რომელიც დასდო ამ დიდმა მწერალმა ძველ ქართულ ლიტერატურულ ენას.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ა. შანიძის ძიებები „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლის დარგში.

ა. შანიძე ერთი იმ მეცნიერთაგანია, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში. 1917 წელს მან გამოაქვეყნა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ერთდროულად გამოაქვეყნა როგორც ამ რედაქციის შედგენილობის, ისე ლექსიკონის შესახებ. 1956 წელს ა. შანიძემ რუსთველოლოგიის შესახებ შესანიშნავი ნაშრომი — „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, რომელსაც დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

რუსთველის ტექსტის დადგენას და ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლას ემსახურება ა. შანიძის ვრცელი ნაშრომი „ვეფხისტყაოს-

ნის ენის საკითხები“, რომელიც ნაწილ-ნაწილად იბეჭდება: პირველი ნაკვეთი გამოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის შიშველი, შლორე, წყნოვსკენებულ სიმფონიის წარმძღვარა, ხოლო მომდევნო ნაწილები დაიბეჭდა ევროპულ „მნათობში“ (წერილების გამოქვეყნება გაგრძელდება იმავე ეურნალში).

ჩვენი იუბილარის კალამს ევთენის აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ენის ფართო ანალიზი. ნაშრომში დიდძალი ენობრივი მასალის საფუძველზე გამოვლენილია ჩვენი დიდი რომანტიკოსის ნაწერების გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი, ბარათაშვილის ადგილი ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე როგორც მეტრული ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“ ვეცნობით დიდი ილიას პოლემიკას არქაისტებთან, მის ტერმინოლოგიურ მუშაობას, ბრძოლას ენის სიწმინდისათვის, და სხვ. (1937 წ.).

სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხები

ა. შანიძის, როგორც ქართული ენის მკვლევარის, მოღვაწეობა ჩვენი ენის მართოდენ თეორიული პრობლემის კვლევა-ძიებით არ შემოიფარგლება. ახალ სალიტერატურო ენაში ბევრია ხატილიბელი და დასადგენი, ახალი ენობრივი ნორმები მოწესრიგებასა და დაკანონებას მოითხოვენ. თქმა არ უნდა, რომ ლიტერატურული ენის ნორმალიზაცია მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე უნდა წარმოებოდეს, იგი ქართული ენის მეცნიერული შესწავლის შედეგი უნდა იყოს. აქ ა. შანიძის ავტორიტეტულ სიტყვას ყოველთვის ანგარიში უწევს, რამდენადაც ჩვენი მეცნიერი მოახლოვდა, რომ სალიტერატურო ნორმალიზაციის ფორმა იქნეს მიღებული, რომელიც შეესაბამება ქართული ენის ბუნებასა და თვისებას, ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებას.

ვინც გადაათვალიერებს ჯერ კიდევ ამ სამი ათეული წლის წინათ—1921 წელს—გამოქვეყნე-

ბულ წიგნს — „სალიტერატურო ქართულისათვის“, დაწმუნდება, რომ ბევრი ლიტერატურული ნორმა ა. შანიძის, როგორც ორთოგრაფიული საკითხების იმპროვიზირებული მომწესრიგებელი კომისიის წევრის, ინიციატივითა თუ მონაწილეობით არის მიღებული და დაკანონებული.

საბჭოთა საქართველოში სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია სახელმწიფოებრივი მხრუნველობის საგნად იქცა. ა. შანიძე იმათათვის ნორმალიზაციის მომწესრიგებელი კომისიის წევრია ან თავმჯდომარე. მისი პროექტების მიხედვით არის ამჟამად ჩვენს სალიტერატურო ენაში დაკანონებული ისეთი ნორმები, როგორცაა, მაგალითად, 1. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება, 2. წოდებითი ბრუნვის დაბოლოება, 3. ევროპის ენებიდან მომდინარე Ia და II ჯგუფიანი სიტყვები, და სხვ.

ქართული ფილოლოგია

ქართული ენის მეცნიერული შესწავლა მკვიდრ ნიადაგზე ვერ დადგებოდა, თუ გამოცემული არ გვექნებოდა ძველ ქართული ენის ძეგლები. ენობრივი ძეგლის პუბლიკაცია კი ღრმად ფილოლოგიურ მუშაობას მოითხოვს.

მრავალი ძველი ქართული ტექსტია გამოცემული როგორც საქართველოსა და რუსეთში, ისე საზღვარგარეთ, მაგრამ მათ შორის ყოველმხრივ სინთეზულ მხოლოდ აბულაძის (ილ.), თა-

ყაიშვილის, ინგოროვას, კეკელიძის, მარის, შანიძის, ჯავახიშვილის მეცნიერული პუბლიკაციები უნდა ჩათვალოს.

თავის დროზე უფროდ დიდი მძაფრ დასდო ქართულ ფილოლოგიას ნიკო მარის მიერ დაარსებულმა გამოცემამ სერიებმა, როგორცაა 1. „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, 2. „Материалы по яфетическому языкознанию“, 3. Матери-

ta hagiographica georgica". ამ სერებმა სათავე დაუდეს ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემებს, გამოაჯღანეს პირველხარისხოვანი ტექსტები, რომლებიც დაფიქრვეს ჩვენი ძველი ლიტერატორებმა, ძველი ქართული კულტურის დაუღალავმა მუშაკებმა.

ა. შანიძის დამსახურებას მიეწერება სამკათოა საქართველოში დაარსება გამოცემათა ახალი სერიებისა. ესენია: 1. „Caucasus Polyglottus“, 2. „ძველი ქართული ენის ძეგლები“, 3. „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ა. შანიძემ აღმოაჩინა უძველესი ქართული ენის ძეგლები, რომელთაც „პაემტობა“ ახასიათებთ. 1923 წელს მან გამოაქვეყნა კიდევაც — სათანადო ფილოლოგიურ-ენათმეცნიერული შენიშვნებით — პაემტო ტექსტები, რომლებიც წარმოადგენენ ახალ ფრატულს ქართული კულტურის ისტორიაში, რამდენადაც ხანმეტ-პაემტო ძეგლების აღმოჩენასთან დაკავშირებულია მრავალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა. შანიძემვე გამოისცა ხანმეტო მრავალთავე (1927 წ.) და „ხანმეტო ლექციონარი, ფორტოპიური რეპროდუქცია სიმფონიითურთ“ (1944 წ.). ქართული ენის ისტორიისა ამ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ძეგლებში ძვირფას მასალას იძლეის ჩვენი ენის ძველი საფუძვლების გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკური შედგენილობის შესასწავლად.

ქართული ბიბლიის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა ქართული მწერლობისა და მეცნიერების გადაუდებელ საზრუნავ საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული. სხვა არა იყოს რა, ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი პერიოდის სურათი შეურუბუნებელია ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ გველვადარს ხელთ არა აქვს კრიტიკულად შესწავლილი და დადგენილი ტექსტი, თუ არ არის სხვადასხვა რუდაქციები თავმოყრილი და ერთმანეთთან შეჯერებული. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, ვიდრე მთლიანი ბიბლია გამოიცემოდა, გამოქვეყნდა ამ დღის წიგნის სხვადასხვა ნაწილი. მაგალ., 1705 წელს მეფე არჩილმა მოსკოვში დაბეჭდა დავითნი, ხოლო 1709 წელს ვახტანგ მეექვსემ თბილისში გამოაქვეყნა ოთხთავი. არჩილი რუსეთში შეუდგა მთლიანი ტექსტის გამოქვეყნებას. ეს საქმე სისრულეში მოვიყვანა ვახტანგის შვილმა ბაქარმა: 1743 წელს მოსკოვში გამოვიდა ბიბლია,

ე. წ. ბაქარის ბიბლია“. გამოცემა არ არის დამკამყოფილებელი. 1884 წელს კი თბილისში მეორედ დაიბეჭდა მოსკოვის გამოცემა. ეს ბიბლია და ეს შემდეგ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიის გამოსაცემად გარკვეული ზომები მიიღო; გამოუვიდა კომისია, რომელშიც შედიოდნენ: ნ. მარჩ (თავმჯდომარე), ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე (წევრები). მსოფლიო ომმა შეაფერხა ეს საქმე.

ა. შანიძემ თბილისში მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ბიბლიის მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას: მან წამოიწყო ომის ტექსტის გამოცემა (იხ. აქვე ქართ. ენის ძეგლები, №14 4, 5).

ა. შანიძემ განახორციელა ქართული ოთხთავის (სახარების) მეცნიერული გამოცემა მეცხრე-მეათე საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით (იხ. იმავე სერიის № 2, 1945 წ.). მანამდე კი ოთხთავის ტექსტების გამოცემის დარგში ასეთი მდგომარეობა იყო: სახარების ტექსტები პირველად დაიბეჭდა 1709 წელს (ვახტანგ მეექვსის მიერ დარსებულ სტამბაში). მომდევნო გამოცემები (17-მდე) ამ გამოცემის განმეორებაა. 1908 წელს მეცნიერებათა აკადემიამ (ც. ბენეშევიჩისა და ნ. მარჩის ინიციატივით) განიზარაბა კრიტიკული გამოცემის განხორციელება: პალეოგრაფიკა ნაწილი ოთხთავისა (ბენეშევიჩის გამოცემა) 1916 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ცნობილი ადამის სახარება ფორტოპიურად. მთავი ტექსტი ბეჭდურად გამოისცა პარეარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ბელიკმა პარებში ლათინური თარგმანით. ხანმეტ-პაემტო ტექსტების თაობაზე ზემოთ არის საუბარი.

ოთხთავის გამოცემებთან დაკავშირებით ისმებოდა საკითხი ქართული ტექსტის მიმართებისა საბიბლიო პერმანენტ, სოპხურ ტექსტებთან. ამ საგანზე ქართული თუ ევროპული მეცნიერებები სხვადასხვა აზრს გამოთქვამდნენ.

ა. შანიძე საყვარელი იტეგორიულიად აცხადებს, რომ ნაადრევია მსჯელობა ქართული ოთხთავისა და სხვა ენების ამავე ძეგლის ერთეობის შესახებ, სანამ არ იქნება შესწავლილი ქართული ტექსტის რედაქციები. აქედან ვსაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის ა. შანიძის ტექსტოლოგიურ ძიებებს და მეცნიერულ პუბლიკაციებს, რომლებიც მოამზადებენ მკვიდრ ნიადაგს ბიბლიურ წიგნებთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხების გასარკვევად.

სახელმწიფანელოგია

რამდენიმე ოთეული წელია, საქართველოს უმაღლეს და საშუალო სკოლებში ა. შანიძის მიერ შედგენილი ქართული გრამატიკის სახელმწიფანელოგია მიღებულია.

ჯერ კიდევ 1930 წელს გამოვიდა ჩვენი იუ-

ვილარის „ქართული გრამატიკა. 1. მორფოლოგია“, რომლითაც ჩვენი სტუდენტობა ითვისებდა ქართული ენის ეტრს. იგივე წიგნი, საგრანობლად გადაამუშავებული და გავრცობილი („ქართული გრამატიკის საფუძვლები“) დღეს

უმადესი სკოლის ერთადერთი სახელმძღვანელო ამ დარგში; უფრო გამარტივებული სახით ა. შანიძემ „საფეხველები“ გამოაქვეყნა „ქართული ენის გრამატიკის“ (I) სახელწოდებით (1956 წ.)

1933 წელს სპეციალურად დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტებისთვის დაიბეჭდა ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“.

1939 წლიდან საშუალო სკოლებში შემოღებულ იქნა ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“ (ფონეტიკა, მორფოლოგია — მართლწერის საკითხებითურთ), რომელიც დღემდის ყოველწიურად იცემა. ამას მოჰყვა მეორე ნაწილი — სინტაქსი“, რომელიც პირველი წიგნია, სადაც სახელმძღვანელოს სახით დალაგებულია ქართული ენის სინტაქსის საკითხები.

ა. შანიძესავე ეკუთვნის საშუალო სკოლის სახელმძღვანელო ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (აღ. ბარამიძის და ილ. აბულაძის თანაგვარობით), რომელიც რამდენიმეჯერ გამოიცა. წიგნს ახლავს ძველი ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა.

ა. შანიძის კლამს ეკუთვნის აგრეთვე ქრესტომათიული ტექსტები უმაღლესი სკოლის სტრუქტურათვის ძველ ქართულ ენაში სავარჯიშოდ. ასეთებია: „თარგმანებაი ქებისა ძეგითაისი. პალეოგრაფიული რვეული“ (1924 წ.), „ძველი ქართული ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ I (1935 წ.). პირველი ქართული ქრესტომათია გამოცა პროფ. დ. ჩუბინაშვილმა (1846, 1863 წ. წ.). აქ თავმოყრილი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის ნიმუშები უძველესი დროიდან მოყოლებული მე-18 საუკუნემდის. შემდეგ ცნობილია პროფ. ი. ყოფშიძის *Грузинская древнегрузинская хрестоматия* — რუსიმ სლოვარმ, რომელიც გამოქვეყნდა პეტროგრადში 1918 წელს. ეს მასალა მთლიანად გადაიბეჭდა ნ. მარისა და მ. ბრიგის „ქართულ ენაში“ (*La langue georgienne*, პარიზი, 1931 წ.). საშუალო სკოლის ერთ დროს ემსახურებოდა ს. გორგაძის ქრესტომათიული წიგნი „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“ (1915 წ.). შანიძე-ბარამიძე-აბულაძის წიგნის — „ძველი ქართ. ენა და ლიტერატურა“ გამოქვეყნების შემდეგ ა. შანიძის შემოხსენებული ქრესტომათია მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომლის მიზანია, მიაწოდოს ჩვენს ახალგაზრდობას შერჩეული და ადვილად დასაძლელი მასალა ძველი ქართულის შესწავლისათვის და, ამასთანავე, საშუალება მისცეს მის, გაითვალისწინოს სილიტერატურა-ენის განვი-

თარება ძველი ქართულის ფარგლებში, ე. ი. მე-11 საუკუნეთა მანძილზე

აქაი შანიძე ქართული საბჭოთა მეცნიერების მოწინავე წარმომადგენელია. იგი ერთ-ერთი დამაარსებელია თბილისის უნივერსიტეტისა; წლების მანძილზე ამ უმაღლესი განათლების ყურადღებას მიაქცევდა. 1919 წლიდან მოცილებული კითხვობის ლექციების შემდეგ დისციპლინაში: ქართული ენა (ძველი და ახალი), ქართული დიალექტოლოგია, სენაური, ძველი სომხური ენა, არაბული ენის გრამატიკა, ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა. იგი უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის უცვლელი გამგეა.

ა. შანიძე შედიოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში. 1946 წლიდან აკადემიაში განაგებდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა გენერალურ უბანს, შემდეგ გახლდათ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1939 წელს ა. შანიძე, როგორც გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, იარჩიეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი წევრია აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებებისა (პარიზის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, სომხეთის აკადემიის ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტი და სხვ.)

ა. შანიძე ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების დამაარსებელთაგანია, საზოგადოებისა, რომელიც იყო ყურადღებას სასაქმიანო კადრების მომზადებისა და წრთობისა.

აქაი შანიძე რამდენიმე ათეული წელია უმწიკლოდ და დიდი გატაცებით ემსახურება მშობლიური მეცნიერების აღორძინების სანუგეშარ საქმეს. იგი, როგორც ჩვენი მდიდარი ქართული ენის ყველაზე დიდი მკვლევარი, თავის მოწადებებს უველოვის უნერგავდა და უნერგავს საკვლევამებო მასალისადმი კეთილსინდისიერ და პასუხისმგებელ დამოკიდებულებას, ფაქტების განზოგადებისა და პირინიპულ სიმოღლემდე აყვანის ჩვევებს, მეცნიერების სიყვარულს, პატროსნებასა და ერთმანეთისადმი ვაჟკაცურ დამოკიდებულებას. ამბობთა, რომ მან ჩვენს ხალხში საყოველთაო აღიარება მოიპოვა, ხალხის სიყვარული დაიმსახურა.

ეს არის ზედრი ყოველი პატრიოტი, ჭეშმარიტი საბჭოთა მეცნიერისა.



გიორგი ახვლედიანი

(დაბადების 70 წლისთავის გამო).

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს საბჭოთა სამეცნიერო წრეებში და საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნეს გიორგი ახვლედიანის დაბადების 70 და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის სახელოვანი 45 წლის იუბილე.

გ. ახვლედიანის სახელი და დამსახურება კარგადაა ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მისი ფრიად შინაარსიანი მეცნიერული მოღვაწეობა მკიდრად არის დაკავშირებული უნივერსიტეტისა და აკადემიის შექმნასა და ზრდა-განვითარებასთან. იგი ჩვენში არა მარტო ზოგადი ენათმეცნიერების პიონერია, არამედ ამავე დროს ქართული მეცნიერებისა და კულტურის სასიკადავლო მოამავე და მოტირნახულეცაა. მის მეცნიერულ ავტორიტეტს ყოველთვის კეთილშობილი ვაგლეენა ჰქონდა ჩვენი სამამულო მეცნიერების განვითარებაზე. იგი 40 წლის მანძილზე ქართველ გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად დაეღალავად და თვდავებით ემსახურება უნივერსიტეტსა და აკადემიის მეცნიერული მუშაობის სწორი ორგანიზაციისა და მაღალ დონეზე წარმართვის საპატარა აპოკალიფსა.

გ. ახვლედიანი დაიბადა 1887 წელს, სოფ. დერწში (ლენინქში). 1908 წელს თბილისში დაამთავრა ქართული გიმნაზია, ხოლო 1914 წელს დაასრულა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, სლავურ-რუსული განხრით. 1915 წელს დატოვებულ იქნა ამავე უნივერსიტეტში სამაროვესიროლ მოსამზადებლად. იგი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც პირველმა მისმა საკონკურსო მეცნიერულმა შრომამ „ნარკვევი ნარანა და ცხვირის სეულ თანხმობათა ისტორიიდან სანსკრიტულსა, ბერძნულსა, ლათინურსა და სლავურ ენებში“ ოქროს მედალი მიიღო (1913 წ.). ამ შრომის მაღალი შეფასება დაიბეჭდა ხარკოვის უნივერსიტეტის „უწყებებში“ 1914 წ.

გ. ახვლედიანმა შესანიშნავი ენათმეცნიერული სკოლა გაწვდო აკად. ა. ენქელანის (ინდოევროპული მედარებითი ენათმეცნიერება), აკად. კ. ზალემანის (ირანული ფილოლოგია), აკად. თ. შერ-

ბატსკოის (ინდური ფილოლოგია), აკად. ნ. მარის (ქართულ-სომხური ფილოლოგია), აკად. ლ. შერბასა (ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა) და სხვათა ზეღმძღვანელობით. მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომები შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენენ იმისა, თუ როგორ უნდა მოვიმარჯვოთ შედარებით-ისტორიულ მეთოდო ენობრივი ფაქტების ანალიზისას — ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის საკითხების შედარებითი კვლევისას; როგორ უნდა ვაწარმოოთ ისტორიული ტომონიმიკის საკითხების მეცნიერული კვლევა და სხვ.

გ. ახვლედიანისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რომ იგი ყოველთვის დიდად იფასებს ახალს, ცოცხალ აზრებსა და დებულებებს, რომლებსაც შეუძლიათ მეცნიერების განვითარება წინ წასწიონ.

მას ყოველთვის დიდი ინტერესი ჰქონდა და აქვს ენის თეორიისადმი. იგი ჩვენში ზოგადენათმეცნიერული განათლების ფუძემდებელია. მან პირველმა წიკითხა ქართულ უნივერსიტეტში „ენათმეცნიერების შესავლის“ კურსი 1918 წელს ორი სემესტრის (გაზაფხულისა და შემოდგომის) განმავლობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავლის“ ლექციები ახლად დაარსებული უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამკვობამ სამ ნაკვეთად გამოსცა. ეს პირველი სახელმძღვანელო იყო, რომელიც უნივერსიტეტმა ქართულ ენაზე დაბეჭდა. „ენათმეცნიერების შესავლის“ მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი შესანიშნავად ასახავს ენათმეცნიერების განვითარების იმდროინდელ დონეს. „ენათმეცნიერების შესავლის“ სამ ნაკვეთში სულ 15 ლექციაა დაბეჭდილი (18 ლექციიდან). თითოეულ ლექციას ბოლოს დართული აქვს რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული ლიტერატურის დასახელება სათანადო გვერდების ჩვენებით. „ენათმეცნიერების შესავლის“ ნაკვეთებში დიდი როლი შეასრულეს ჩვენში ზოგადენათმეცნიერული ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის საქმეში. მასზე ფილოლოგთა თაობებში აღიზარდნენ.

გ. ახვლედიანი ქართული საენათმეცნიერო სა-

ზოგადობის დამაარსებელია ა. შანიძესთან ერთად და მას ხელმძღვანელობდა საზოგადოების არსებობის პერიოდში (1923 — 1932 წ. წ.). ცნობილია, რომ ამ საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა ჩვენში ენათმეცნიერული აზროვნებისა და მეშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებდან გ. ახვლედიანი აგრეთვე ლექციებს კითხულობდა ძველ ინდურ ენაში ანუ სანსკრიტში. ეს კურსი ფართო ენათმეცნიერული განათლებისათვის საჭირო საფუძველს იძლეოდა, ისე როგორც მის მიერ ბერძნულ ენაში წაკითხული ლექციებიც. 1920 წელს მის მიერ წაკითხული ლექციების საფუძველზე გამოსცა: „სანსკრიტი“ მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და როგორცდღან ლექსიკონითურთ; ესეც უნივერსიტეტში შექმნილ პირველ სახელმძღვანელოებს განეკუთვნება.

გ. ახვლედიანს ფართო ენათმეცნიერულმა განათლებამ და პორიზონტმა ხელი შეუწყო მისი მეცნიერული კვლევის მასშტაბებში ასევე ფართო ყოფილიყო — ქართველოლოგია და ქართველურ-კავკასიური ენები, ინდო-ირანული ენები, სლავური, ბერძნულ-ლათინური, გერმანულ-რომანული ენები და სხვ. იშვიათია ენათმეცნიერი, რომელსაც კვლევის ასეთი ფართო მასშტაბები ჰქონდეს.

გ. ახვლედიანის კალამს ეკუთვნის 130-მდე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული შრომა. მის შრომებში თავიდანვე წითელი ზოლივით გასდევს დიდი ინტერესი ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკისადმი, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი დარგისადმი. მის მიერ უნივერსიტეტში ზოგადი ენათმეცნიერების კათედრასთან დაარსებულმა ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტმა ხელი შეუწოდა ჩვენში ამ დარგის სწრაფად განვითარებასა და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდას.

გ. ახვლედიანმა ქართული ენის ბგერითი სისტემის მიმართ ექსპერიმენტული მეთოდი, კერძოდ, პალატოგრაფული მეთოდი გამოიყენა გერ კიდე 1922 წელს დაწერილს შრომაში: „მკვებრი სხუნელი ქართულში“ I. ავტორმა მკვებრი ტს, ყრფშემინიერი თ-სა და მგლერი დ-ს პალატოგრაფებით ნათლად დაასაბუთა ენის შავარ სასასთან შეხების კანონზომიერება. გ. ახვლედიანი ქართულ მკვებრი თანხმოვანთა ანუ აბრუპტივთა პრობლემას შემდგომშიც არა ერთხელ შეეხო. მან ქართულ სპეციფიკურ თანხმოვანთა პრობლემა ზოგადი ფონეტიკის პრობლემადა აქცია. გარდა ქართულ ენათმეცნიერთა შრომებისა ამ პრობლემას შეიხებთან პროფ. ედ. ზივერსის, აკად. ლ. შნერბას, პროფ. ნ. იაკოვლვის, პროფ. რ. შორის, პროფ. ე. პოლივანოვის, პროფ. ლ. ზინდერისა და სხვათა შრომები. აბრუპტივთა

პრობლემა სრულყოფილად და ამოწურავად ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენებით შეიძლება გ. ახვლედიანმა გადაწყვეტოს. ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკისადმი მიძღვნილია გ. ახვლედიანის შრომები: „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“ (1938 წ.), „ზოგადი ფონეტიკის საფუძველები“ (1949 წ.), „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“ (1956 წ.), რომელსაც უნივერსიტეტის I პრეზია მიენიჭა, „ქართული ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“ (რუსულად 1956 წ.) და სხვა მრავალი. ავტორის სალინგუისტატიკო მასალა უხედავ აქვს მოტანილი იმპერიულ-კავკასიური, სლავური, გერმანულ-რომანული, ინდურ-ირანული და სხვა ენებიდან.

გ. ახვლედიანის დიდ დამსახურებად უნდა ჩათვალოს ის, რომ მან ქართულ-ქართველური ენების ბგერითი სისტემების ღრმად და საფუძველანად შესწავლით ბევრი ახალი დებულება შემატა ზოგად ფონეტიკას. მან თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული ენის სპეციფიკური თანხმოვნებისა და თანხმოვანთა კომპლექსების შესწავლას.

შრომაში „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“ (1938 წ.), რომელშიც ავტორის 20 წლის პედაგოგიური მეშაობის გამოცდილებისა და ფონეტიკური კვლევის შედეგებია განზოგადებული, მოცემულია ზოგადი ფონეტიკის მთელი რიგი საკითხის ახლებური გაშუქება. ნაშრომში ზუსტ ფონეტიკურ დაციურებებთან ერთად მოცემულია ბევრი ახალი იდეა. ავტორმა ქართულ-ქართველურ ენათა მასალების გამოყენებით ახალი გაგება შეიტანა მარჯილის რაბიისა და მარცხალთვასაყარის საკითხში. აქ პირველადაა მოცემული საფუძველები ავტორის აქცენტურობისა და დეცესიურობის თეორიისა, რომელიც ავტორმა შემდგომ დიდძალი ენობრივი და ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე კიდევ უფრო განაერთო და განავითარა. ეს თეორია სამედიკო საყრდენი შეიქმნა იმპერიულ-კავკასიურ და ინდოევროპულ ენათა ისტორიული ფონეტიკის კვლევის საქმეში. ავტორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აქცესიურ კომპლექსთა წარმოქმნის სუბერატიკის გზით გადაღახვის საშუალებებს ქართველურსა და ინდოევროპულ ენებში. აღსანიშნავია, რომ უცხოელ ენათმეცნიერთა (ს. კოკერჩიკის, კ. ბრუნერისა და გ. გრონცეს) მისაზრებანი აქცესიურ კომპლექსთა პირველი კომპონენტის რედუქციის შესახებ, თანხმოვანთა აქცესიურ კომპლექსთა სუბერატიკის დიდი პრობლემის მხოლოდ ერთ პატარა საკითხს წარმოადგენს. ენათა აქცესიური და დეცესიური კომპლექსების თეორია სხვადასხვა ენაში ბგერათვებადობის ბევრ გაურკვეველ საკითხს შექი მოძიწინა. აღნიშნულ ნაშრომში ავტორის სპეციფიკური კვლევის საგანს შეადგენს ქართული პარამონიული კომპლექსების საკითხი, რომელსაც ავტორი შემდგომ კვლავ დაუბრუნდა და შესანიშ-

ნაი პერსპექტივები მოგვცა ქართულ სემეოტიკურ პარმონიულ კომპლექსთა წარმოქმნისა და განვითარების შესასწავლად. ავტორის აზრით, ეს კომპლექსები თავდაპირველი კი არ არის, არამედ გვიან განვითარებულია. გარდა ამისა, ავტორმა დაადგინა პარმონიულ კომპლექსთა ორი A და B სისტემა და ამ კომპლექსებში შეიქმნა უკანაენისმიერი კომპონენტის ევოლუციის საკითხის ახსნა მოგვცა. ავტორმა ამ შრომაში პირველად დააყენა საკითხი ქართულ მკვლევარებში მკვლევრობის ზარისხიანობის შესახებ. ქართული მკვლევარი ხმულების მკვლევრობის ზარისხიანობის შედარება მოგვცა რუსულისა და სხვა ევროპული ენების მკვლევარებთან და დაადგინა, რომ ქართულში მკვლევრობის ზარისხიანობის შემცირების ტენდენცია დასტურდება. საყურადღებო დასკვნები აქვს ავტორს მიღებული ქართულში ბგერათმეცნიერებისა და ბგერათმეცნიერების საკითხების კვლევის შედეგად. ამასთან დაკავშირებით ავტორის დადგენილი აქვს ქართულში ბგერათმეცნიერებისა და დამატარების სახეები და ბგერათმეცნიერების რამდენიმე წესი. იქვე მოცემულია ქართული ენის ბგერითი სისტემის მეცნიერული კლასიფიკაცია და შედარება რუსულის, გერმანულის, ფრანგულისა და ინგლისურ ენებთან ბგერითი სისტემებთან და ნაჩვენებია ის განსხვავებული, სემეოტიკური თავისებურებანი, რომლებიც ამ სხვადასხვა სისტემის ენათა ბგერებს ახასიათებს და რომელთა გთვალისწინება აუცილებელია ამ ენების პრაქტიკულად დიდებულისა, თუ მეცნიერული კვლევებისას. „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხებში“ უდავოდ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ფონეტიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. ამ წიგნში მოცემული ბევრი ახალი იდეა საფუძვლად დაედო ქართველ ენათმეცნიერთა რამდენიმე ახალ ნაშრომს.

ასევე გ. ახვლედიანის მეცნიერული მიღწევების განმაზოგადებელ შრომას წარმოადგენს „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949 წ.), რომელიც ენათმეცნიერების შესანიშნავი მონაზოგადია. ამ შრომის შესახებ გ. ახვლედიანის სახელზე გამოგზავნილ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლეტერატურისა და ენის განყოფილების ბოლოცეში კეთილმოხმობით: „Ваш капитальный труд „Основы общей фонетики“ пользуется широкой известностью как в нашей стране, так и за границей.“ ამ შრომაში ზოგადი ფონეტიკის მიერ რიგ აქტუალურ საკითხებთან ერთად განხილულია ფონოლოგიის ძირითადი საკითხები. ავტორმა თავისი შეხედულებანი მოგვცა ფონოლოგიის ისეთ მთავარ პრობლემებზე, როგორცაა: ფონების არსის პრობლემა, ფონეზისა და მისი ვარიანტების საკითხი, ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულება და სხვ.

გ. ახვლედიანი უფროდ სწორ ფონოლოგიურ პოზიციას ღვაძს ამ საკითხების ანალიზისას და ეს რომ ასეა, ნათლად დაადასტურა ფონოლო-

გიის საკითხებზე ჩატარებულმა დისკუსიამ, რომელიც მოაწყო 1952 — 1953 წ. წ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლეტერატურისა და ენის განყოფილების ორგანომ: „Известия Академии Наук СССР: Отделение литературы и языка“.

ხსენებულ შრომაში ღრმად და საფუძვლიანად არის გაშუქებული ენის ფონეტიკური ცვალებადობის საკითხები, ბგერათმეცნიერების ევოლუციური განვითარების საკითხები. გ. ახვლედიანის სახელთანა დაკავშირებული ისეთ მნიშვნელოვან ფონეტიკურ ნაშრომებზეა დადგენა, როგორცაა თანხმობა და დისპროპორციული განვითარება (ბაქარა — პატარა; ჯინჯარი — ქინჯარი ტიპის მარტივებზე), გუტურალთა რეგრესიული-დისპროპორციული დაკარგვა (რკო — კრკო; რკალი — გრკალი ტიპის მარტივებზე).

გ. ახვლედიანმა „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ პირველმა განიხილა ქართულში თბობითი, კითხვითი და ძახლის ტიპის შესიტყვეებში მახვილის საკითხი ინტონაციასთან დაკავშირებით და ფრიალ საყურადღებო მონაზრებანი გამოთქვა. რაც მთავარია, ამ მონაზრებებს ექსპერიმენტული მონაცემები ადასტურებენ. ავტორის აზრით, თბობითი ტიპის ყველა შესიტყვევისათვის დამახასიათებელია დამავალი ინტონაცია. კითხვით ინტონაციაში ავტორი არჩევს ორ ძირითად ტიპს. ერთში არ მონაწილეობს კითხვითი სიტყვა (ჩხუბი მოგვიდა?). ამ ტიპის ინტონაცია აღმავალია. მეორეში კითხვითი სიტყვა მონაწილეობს (რა ამბავია?). ამ ტიპის ინტონაცია დამავალია შესიტყვევის ბოლოს, ოღონდ შესიტყვევის შიგნით ტონის გამაღივება და ოდნავი აწვევა შეინიშნება. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ინტონაცია იმდენად დამავალი არაა, რამდენადღაც ის თბობითი შესიტყვევაშია. ამ შემთხვევაში ინტონაცია უფრო მაღალია, ვიდრე თბობითისა.

ასევე ავტორის დაკვირვებით, ძახლის შესიტყვევაში მახვილი ჩანს მეტწილად შესიტყვევის შიგნით და არა მის ბოლოს. ავტორი დაასკვნის: „ჩვენი დაკვირვებით, სალიტერატურო ქართულში დღეს სუსტი დინამიკური სიტყვათმახვილია დომინანტი, მაგრამ მასში ჩანს აგრეთვე ტონობის ელემენტი“.

როგორც დიდი ფონეტიკური ინტელიგენტი მკვლევარი, გ. ახვლედიანი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეყურებოდა ბგერათმეცნიერული ტრანსკრიფციის საკითხების დამუშავებას. ამ მხრივ საინტერესოა მის მიერ შემუშავებული პრინციპები ქართული და კავკასიური ენების ბგერათმეცნიერებისათვის. ამჟამად ხმარებული ქართულ და კავკასიურ ბგე-

1 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949 წ. გვ. 127 — 141.

რათა შეცნობული ტრანსკრიფცია, რომელიც ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ არის შემუშავებული 1937 წელს, გ. ახვლედიანის აქტიური მონაწილეობით არის შედგენილი. მან სპეციალური მოხსენება ამ საკითხზე სსრკ შეცნობებთან აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სხდომაზე დაეკითხა 1940 წ. (დაბეჭდილია თეზისებში).

საყოველთაოდ ცნობილია გ. ახვლედიანის ზრუნვა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, მისი სიწმინდისა და რთობის საკითხების მოწესრიგებისათვის. ამ მხრივ გ. ახვლედიანის თეორიულსა და პრაქტიკულ საქმიანობას კარგად იცნობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, მწერლები და სცენის ოსტატები, რომლებთანაც გ. ახვლედიანს ყოველთვის მჭიდრო კავშირი აქვს კონსულტაციებითა და პრაქტიკულ რჩევებს მიეცემა. იგი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის აქტიური წევრია. ყოველი მისი ფონეტიკური ნაშრომი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხებსა და ითვალისწინებს, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული შრომები: „ყრდნეები ქართულში“ (დონი თუ თანი), რომელიც დაიბეჭდა „ეურ.“ „განათლების“ № 4 — 5-ში, 1920 წ., „3“ ბეგრის მეტაფიზისი ქართულში“ (მარცხლის საკითხის გაკრძევა), რომელიც დაიბეჭდა „ეურ.“ „მოხაველში“ 1921 წ. „ორი ერთსავე პრეფიქსი (პ-ს) ქართულ ზნაში“ („ჩვენი მეცნიერება“ 1, 1923 წ.). მასვე ეკუთვნის რამდენიმე რუსული წარმოშობის სიტყვის ქართულად დაწერილობისა და წარმოთქმის დადგენა და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ახვლედიანის ღვაწლი და მისი აქტიური მონაწილეობა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეში. ამ მხრივ მისკან დიდად არის დავალებული ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ენათმეცნიერება, მათემატიკური მეცნიერებანი, ტექნიკური მეცნიერებანი, გეოლოგია და სხვ.

გ. ახვლედიანს დიდი შრომა და ამავე აქვს გაწეული ქართული ლექსიკონათვის დაწესება. იგი ავტორისა რამდენიმე თარგმნითი ლექსიკონის რუსულ-ქართული ლექსიკონის (I, II დოკ. ს. იორდანიშვილთან ერთად), ქართულ-რუსული ლექსიკონის (მრთ. ვ. თოფურასთან ერთად), უცხო სიტყვათა ლექსიკონის, რომელიც დღესაც საბაგილო წიგნს წარმოადგენს. იგი „ქართული განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი რედაქციონისა და რუსულ-ქართული სამრეცხველი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის აქტიური წევრია. მის, როგორც ლექსიკონგრაფის, მთავარ საზრუნავს შეადგენს. შექმნის ყოველი სიტყვის მნიშვნელობის ღრმად მოფიქრებული სიტყვა, გამოკყოს მნიშვნელობის ნიუანსები და მათი

გამოყენების შემთხვევები გვიჩვენოს მოხდენილი მაგალითებით.

გ. ახვლედიანის კვლევა-ძიებები სსრკ-ში ველოციის საპატრიო ადგილი ეჭირა ოსური ენისა და მისი ისტორიის შესწავლის. ავტორმა ოსური ენის ისტორიიდან გამოკვლევათა მთელი სერია მოგვება, რომლებშიც გ. ახვლედიანს გამოჩენილი მეცნიერის სახელი მოუხვეჭეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ოსური ენის ისტორიისათვის“ I (1925 წ.), II (1926 წ.), III (1941 წ.). „პროლოგიკალი ზმუნის საკითხისათვის ოსურში“ (1923 წ.), „სამი „ქ“ ოსურში“ (1924 წ.), „1802 წ. ოსური ზღნაწერა“ (1927 წ.), „გემინირებულ და ნახალ თანზოვანთა საკითხისათვის ოსურში“ (1936 წ.), „კოპონენტის მეთოდ წევრის მდურის ანლოტიის საკითხისათვის ოსურ ენაში“ (1940 წ.), „შველთა დასი-მილატიური გამეღვრება ოსურ ენაში“ (1941 წ.) და სხვ.

გ. ახვლედიანის ეტიუდები ოსური ენის ისტორიიდან გადამუშავებული და გავრცობილი სახით ამავედ რუსულ ენაზე იბეჭდება თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობაში.

ოსური ენის მეცნიერულად შესწავლისა და ახალაზრდა ოს ენათმეცნიერებათა კადრების მომზადებისათვის დაბადებიდან 70 წლისათვის შესრულებასთან დაკავშირებით ჩრდილო ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით გ. ახვლედიანს მიენიჭა ჩრდილო ოსეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატრიო წოდება.

გ. ახვლედიანს ყოველთვის დიდი აზრების ჰქონდა მშობლიური და უცხოური ენების სწავლების მეთოდის საკითხების დამუშავებისადმი. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა მისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა რუსული და უცხოური ენების დაუფლების საქმეში. მისი თეორიული სტატიები, სახელმძღვანელოები საშუალო სკოლებისათვის და მისი გამოსვლები სხვადასხვა კონფერენციასა და თათბირზე მზნად ისახავდა ენების სწავლების ვაუმჯობესებასა და მშობლიურ მეცნიერულ დონეზე დაყენებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ საშუალო სკოლებისათვის დაწერილი რუსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელიც პარალელურად შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე და რაც ეფუძნებას ახლეს მოწიფა მშობლიური ენის ფონეტიკური სისტემა და გრამატიკული კატეგორიები თვალსაჩინოდ შეუდაროს რუსულსა.

ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ახვლედიანის დამსახურება, როგორც შესანიშნავი პედაგოგისა და აღმზრდელის. ვისაც მისი ლექციები მოესმენია არ შეიძლება სიამოვნება არ განეცადოს მისი თბობის სტილის მკაფიოობით, აზრის სიუხადითა და ლაქონიერობით. ასეთივე სტილი ახასიათებს მის მეცნიერულ გამოკვლევებსაც.

მას უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც ფართოდ განათლებულ მეცნიერს, ლექციები წაკითხავს სხვადასხვა საკანში: ენათმეცნიერების შესავალში, ზოგად ენათმეცნიერებაში, ლინგვისტიკაში მოძღვრებათა ისტორიაში, ზოგად ფონეტიკაში, ექსპერამენტულ ფონეტიკაში, სანსკრიტში, შერძენულ ენაში, რუსული ენის ისტორიაში, რუსულ დიალექტოლოგიაში, ინდოევროპულ ენათა შედარებით გრამატიკაში, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში, ლოგოპედიკაში და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი იშვიათა მეცნიერი, რომელსაც მეცნიერების სხვადასხვა დარგში და ზოგჯერ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ დისციპლინებში ახალგაზრდა მეცნიერთა კადრები გამოეზარდოს იმ რაოდენობით, რომელიც გ. ახლედიანი გამოეზარდა: ზოგად ენათმეცნიერებაში, ზოგადსა და ექსპერამენტულ ფონეტიკაში, გერმანისტიკაში, სლავისტიკაში, რომანისტიკაში, ირანისტიკაში, ინდოლოგიაში, ლოგოპედიკაში და სხვა დარგებში მას ათეულობით ახალგაზრდა მეცნიერი ჰყავს გამოზრდილი, რომელთაგან დღეს ბევრი სახელმძღვანელოა. ვისა და გ. ახლედიანის ხელმძღვანელობით ასპირანტურის კურსი გაუვლია ან წარმოუბიდან მოუწყევტლად მომზადებულა ენათმეცნიერებაში, მან კარგად იცის, თუ რა შრომასა და ენერჯიას ანდობებს იგი ახალგაზრდა მეცნიერის აღზრდასა და მოზრადებას. სამამულე და უცხოური ლიტერატურით მდიდარი მისი ბიბლიოთეკის კარგები ყოველთვის დიახ ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

გ. ახლედიანს 21 საღოქტორო და 68 საკანდიდატო დისერტაციაზე აქვს დაწერილი ვრცელი და საქმიანი რეცენზია. ამდენჯერვე იგი გამოსულა ოფიციალურ ოპონენტად საჯარო პაქრობაზე. მის სწორად იწყვენი, როგორც ოფიციალურ ოპონენტს, მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში საღოქტორო დისერტაციებზე გამართულ პაქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

გ. ახლედიანი ამავე დროს დიდი საზოგადო მოღვაწე და მოქალაქეა. საყოველთაოდ ცნობილია მისი ღვაწლი როგორც ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელია. იგი უნივერსიტეტის დამაარსებელ სიანკიატოვ ჯგუფთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტისა და მისი დაწესებულებების — სამეცნიერო ბიბლიოთეკის, სტამბა-გამოქვეყნებისა და სხვ. ზრდა-განვითარებაში. იგი როგორც ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის უცვლელი გამგე, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოების წევრი დაუღალავად იღწვის ყოველთვის სამეცნიერო დისციპლინების სწავლებისა და კვლევა-ძიების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. იგი ამავე დროს საქართველოს სსრ

მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი პირველი შემადგენლობის წევრია და დღემდე აკადემიაში მას გააქვს მრავალი საბუნებისმეტყველო თანამდებობებისა (აკადემიკოსი ფილინის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარისა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორისა და სხვ.).

გ. ახლედიანი ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის, თბილისის პეტეინის სახელობის და თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორია. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილს ხელმძღვანელობდა პირველ წლებში. პეტეინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი იყო, ზოლო თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრია დღემდე დაარსებისა. აქვე უნდა აღინიშნოს გ. ახლედიანის ზრუნვა სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდასა და ხელმძღვანელობის საქმეში.

გ. ახლედიანი დიდხანს (1924 — 1933 წ. წ.) ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერ მეშაქთა სექციას, რომელსაც იმ დროს ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანები ჰქონდა დაკისრებული — ჩვენი საბჭოთა ინტელოგენცია დეგრადირდა ფართოდ ჩაება ვაშლილ სოციალისტურ მშენებლობაში. ამ საქმეს მეცნიერ მეშაქთა შორის გ. ახლედიანი წარმატებით ხელმძღვანელობდა. საყოველთაოდ ცნობილია მისი შთამავლებული საჯარო გამოსვლებზე მეცნიერ მეშაქთა საკავშირო ყრილობებზე.

გ. ახლედიანი წლების განმავლობაში დიდი ენთუზიაზმით ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ენისა და ლიტერატურის სექციის შემოაზას. სექციის კარგი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია სივლეობით.

გ. ახლედიანს ასევე დიდი დამსახურება აქვს ქართული სტენოგრაფიის თეორიული საფუძვლების დამუშავების საქმეშიც. ეს დარგი ამჟამად ჩვენი სწრაფად ვითარდება.

არის კიდევ ერთი დარგი, რომელიც ფრიად სასარგებლო საქმეს ემსახურება — ესაა ლოგოპედიკა—მეტყველების დეფექტების გამასწორებელი მეცნიერება. ამ დარგის განვითარება და სათანადო სპეციალისტების მოზრადება ჩვენი გ. ახლედიანის სახელობით არის დაკავშირებული. როგი წლების განმავლობაში გ. ახლედიანი ხელმძღვანელობდა ლოგოპედიკის კაბინეტს ნერველ-ფუნქციონალურ დაავადებათა ინსტიტუტში და ამ კაბინეტის საშუალებით მან შეძლო ჩვენი რესპუბლიკისათვის აღეზარდა ლოგოპედიკი, რომლებიც დღეს წარმატებით მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში.

გ. ახვლედიანმა ლოგოპედისის საკვანძო საკითხებს რამდენიმე თეორიული სტატია მიუძღვნა. „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ სპეციალური თავია (XVI) მიძღვნილი ფონეტიკისა და ლოგოპედისის ერთიანობისადმი.

ლოგოპედია ჯგუფმა გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობა წაატარა დიდი სამამულო ომის პერიოდში. ბევრი მეომარის ფონეტზე კონტრუბუტული და დარღვეული მეტყველება ლოგოპედითი მეთოდების ჩარევით განკურნებულ და აღდგენილ იქნა.

ენათმეცნიერების დარგში მოპოვებული მიღწევების საფუძველზე გ. ახვლედიანი 1939 წელს არჩეულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1943 წელს ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

გ. ახვლედიანს არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა მოხსენებით რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, ყრილობებზე და კონგრესებზე (თბილისში, ბათუმში, ბაქოში, ხარკოვში, მოსკოვში, ლენინგრადში, ოფსფორდში, დელში და სხვ.). იგი არჩეულია ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრად (1932 წლიდან) და ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრად (1940 წლიდან).

გ. ახვლედიანი 70 წლისაა, 45 წელიწადია იგი დაუღალავად და თავდადებათ ემსახურება ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინსვლას,

მაგრამ გარეგნული შეხედულებითა და მუშაობის ენერგიულობით იგი ახალგაზრდასავე ვერცხვდება და მისი პედაგოგიური და მეცნიერებულ მუშაობა ამჟამად არაჩვეულებრივად ნაყოფიერია.

მიმდინარე წელს გ. ახვლედიანისა და ა. შანიძის დაბადების 70 და მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავი იუბილეები ქართული მეცნიერებისა და, კერძოდ, ქართული ენათმეცნიერული აზროვნების მიღწევების ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენდა.

გ. ახვლედიანისა და ა. შანიძის სახელები და საქმიანობა დაუშორებელია და განუყოფელია. მადლიერი ქართველი ხალხი ამ ორი პიროვნების სახელს ყოველთვის ერთიმეორისგან დაუცილებლად იხსენიებს, როგორც ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის დამამშვენებელ სახელებს.

ზემოთ მოცემული ზოგადი მიმოხილვიდანაც, ვფიქრობთ, ნათელია, თუ რამდენად მრავალმხრივია გ. ახვლედიანის მეცნიერული ინტერესები, რამდენად ფართოა მისი მეცნიერული პერიზონტი და კვლევის მასშტაბები.

იგი ღვინუის ლალ ბუნებაში აღმართულ დიდ მუხასავით დგას ქართული მეცნიერების ნოყიერ ნიადაგზე.

მისი ლამაზი ცხოვრება და ფრიად შინაარსიანი მეცნიერული მოღვაწეობა მაგალითის მაჩვენებელი და მისაბაძია ჩვენი ახალგაზრდობისთვის!



დიდი ქართველი მწერლის ნააზრები



აკაი წერეთლის მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ის მასალები, რაც მოთავსებულია სახელგამოი მიერ ახლახან გამოცემულ თხზულებათა სრული კრებულის მეექვსე ტომში, პირველად არის თავმოყრილი და დაბეჭდილი ერთად. ეს ტომი ფრიად მნიშვნელოვანია. მეთხველი სრულ წარმოდგენას იძლეობს ა. წერეთელზე, როგორც ხელოვნების თეორეტიკოსზე, ლიტერატურის კრიტიკოსზე და მებრძოლ პუბლიცისტზე. ეს ტომი აგრეთვე გვაცნობს ა. წერეთლის დიდ დამსახურებას ქართული ხალხური შემოქმედების ჩაწერისა და შესწავლის საქმეში.

ა. წერეთლის თეორიულ-ესთეტიკური შეხედულებების მოთავსება პრინციპია მხატვრული რეალიზმი. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი აღწერილი წერილი-რეცენზია, რომელიც მოთავსებული იყო „ციცქის“ 1865 წლის სექტემბრის ნომერში. ეს იყო „ამოდენიზე სიტყვა „ნანგრის შესახებ“. ცნობილია რომ სამოციანი წლების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელმა კარლუ ლოთქიფანიძემ 1864 წელს გამოსცა კრებული „ნანგრია“. ა. წერეთელი მიმოიხილავდა სწორედ ამ კრებულს. იგი ქართულ ლიტერატურაში აღნიშნავს ორი შემოქმედებითი გზის არსებობას. ერთი გზა — ბესიკისა და ა. ჭავჭავაძისა, ხოლო მეორე გზა — ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძისა. პირველი გზა მას შიანია თვითმზნური პოეზიად, მეორე ხალხის ცხოვრების ამსახველ პოეზიის გზად.

ა. წერეთელს კარგად ესმოდა ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლი და ფუნქცია. იგი შემდეგს წერს შვერლისა და შვერლობის დანიშნულების შესახებ: „შვერლობა ზემოთითი და გონებითი მესარკეობაა: ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს შვერლის თანადროება მისის სწორ-სიმართლეთ, რომ საისტორიო სურათებად გადაეცეს მომავალ დროებს და როგორც სარკეში ისე ახატება, რაც მხოლოდ მის გარშემოა და რაც მის გულში ჩაყურებს, ისე პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ეხედავდეთ, რაც მის გულს როგორც

ხალხის თანაზიარს მოხვედრია. და მასთანადემ შვერალს ნება არა აქვს რომ ყოველდღიურ სავროთ მოვლინებას რაგინდ წერილმანაც იყოს, თვითი აარიდოს. რაც უფრო ნიჭიერი პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემოთყოვანილ პირობებს“ (გვ. 82 — 83). ა. წერეთლის რეალისტური შეხედულება შვერლისა და შვერლობის დანიშნულების შესახებ აღმოცენდა და განმტკიცდა მისი უტრადლებისა და სიყვარულის შედეგად კონკრეტული სინამდვილისადმი, მისი რეალიზმი შვიდროდ არის დაკავშირებული მთელ მის მსოფლმხედველობასთან.

ა. წერეთლის აზრით ლიტერატურა და ხელოვნება უნდა იყოს მთლიანი, ორგანული, პარმონიული გამოხატულება ბუნებისა, ადამიანისა, ცხოვრებისა, ისტორიისა და რეალური იდეალუებისა. ხელოვნების ძირითადი დანიშნულებაა ასახოს სინამდვილისა და ბუნების მრავალფეროვნება. პოეზიის საგნად იგი „ნამდვილ ცხოვრებას“ აღიარებს. ამით იგი იბრძვის იდეური ხელოვნებისათვის: „ლიტერატურა ხალხისათვის საკეთიმი გადაამყვანი ხილია და ფინი“ (გვ. 37). ავითარებს რა ამ მოსახზებას, ამბობს, რომ არ არსებობს ცუდი და კარგი თემა ან სიტუეტი, არიან მხოლოდ კარგი და ცუდი პოეტებიო.

მოითხოვდა რა სინამდვილის სწორად გამოხატვას, ა. წერეთელი ამავე დროს ებრძოდა „სინამდვილის დამსგავსების“ პრიმიტიულ გაგებას. „ზოგიერთები საერთოდ იმ აზრისა არიან... რომ რეალიზმ მთავრად შვერლობაში მხოლოდ პროტოკოლურ აღწერილობას უმეტნაყლებოდ, ისე როგორც ხედავს და ესმის შვერალს. ასე რომ იქ თავისი არ უნდა გაერთოს რაო. მავალითად, სოფლის ცხოვრება გინდა აწერო, უტყუარად ჩაწერ და ეს იქნება ნამდვილი ხელოვნებაო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ფოტოგრაფიულ სურათებს უპირატესობა ექნებოდათ ხელოვნებით მხატვრობაზე და უბრალო ფოტოგრაფი ემჯობინებოდა გამოჩენილ მხატვარს რაფაელს, მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია, ფოტოგრაფია სწორად აღწერს, ერთ ფიორსაც არ დააკლებს, მაგრამ მავიერად განმაცხოველებ სულ ვერ ჩაედგამს იმას, რასაც მიბაძვით უთლოვნდება და ხელოვანი-მხატვარი კი, იმისთანა რამ დამახასიათებელ ნიშანს აიღებს, შვერჩეს მისთანა წამს გრძნობა-გონების გამოშტყველებას, რომ სულს ხაუდგამს და განახორცილებს

ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. VI. ლევან ასათიანის რედაქტორობით. ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა ს. ხუციშვილმა. სახელგამო. 1957.

ნახატს. ამასი მისი შემოქმედებითი საიდუმლო ძალა, რომელსაც უფრო სწრაფი გადამღები, მაგრამ უსტუა ფორტოგრაფი ვერ მისწვდება. ასევე უნდა ვთქვათ მწერლებზედაც. ნიჭიერმა მწერალმა სტანოვარადულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა და ნახა, არა ჩაწეროს, არამედ ასისა ათისი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ და აბასიათებენ მისგან აღებულ საგანს, რასაკვირველია, შემოქმედებითი ძალით" (გვ. 123—124).

ა. წერეთლის რეალისტური შეხედულებებიდან გამოშლინარობის მისი გალაშქრება ფორმალისტური „ხელოვნებისა“ და ნატურალისტური „ფაქტოგრაფიის“ წინააღმდეგ ლიტერატურაში.

ა. წერეთელი ებრძვის ნაძალადეგ, განზრახ გართულებულ პოეტურ სამკაულებს. ასეთ შემოქმედებას იგი „არბოლობას“ უწოდებს. ა. წერეთელი ასევე წინააღმდეგა ზელოვნებაში გამოშვებული „პებლიცისტური ქადაგებისა“, რომელიც ფრთხვს აკვირს პოეტურ აღმადგენას და მხატვრულ უშეაღბას. იგი ებრძვის ამ სახის ტენდენციურ ხელოვნებას, რომელიც იღებებს ქადაგებს ყოველგვარი მხატვრული დამაჯერებლობის გარეშე.

ხალხურების მოთხოვნებით არის გამსჭვალული ა. წერეთლის ესთეტიკური შეხედულებანი, მისი კრიტიკული შეფასებანი. ნამდვილი ხალხური ლიტერატურის შესაქმნელად მას აუცილებელ საჭიროებად მიანიშნა მტკიცე კავშირი ხალხური პოეზიის სათავეებთან. მაგრამ ხალხურა შემოქმედება უნდა იყოს მისი ვაგებში არა მარტომ სთავე მხატვრული ნაწარმოებისა, არამედ მისი შინაარსის საფუძველიც. ქვეშაირტი მხატვრული ნაწარმოებისათვის აუცილებელია ორგანული კავშირი ხალხის ინტერესებთან.

ა. წერეთელი გამსჭვალული იყო იმ აზრით, რომ მხატვრული ლიტერატურა გამსდარბო ხალხის აღზრდის, მისი კულტურული გათავისუფლების საშუალებაა. ამიტომ იგი თხოვრებს შეხედულებას ლიტერატურისა და ხელოვნების ზნეობით-აღმზრდელობითი როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

ა. წერეთელი უდიდესი მნიშვნელობას აიუთენებდა ხალხური შემოქმედებას. დაკვირვებით სწავლობდა მას. ეს სიუყვარული ხალხური შემოქმედებისადმი გამოიხატა არა მარტო იმაში, რომ ზრუნავდა მისი ჩაწერისა და შეგროვებისათვის, არამედ ხშირ შემთხვევაში მასზე დაყრდნობით თვით ქმნიდა საკუთარ შედეგებს. იგი აღიარებს ხალხური შემოქმედების სიღაღებს, ურჩევს მწერლებს შეისწავლონ და გაიგონ ხალხური სიბრძნე: „კაბინცტში ვზოიარო და ხალხს არ ვაყნობო. აი, ახლაც სოფლებს ზღაბრებს ვთქმევინებ ზოღმე და უნდა ნახოთ რამდენ სიტყვებს მისთანას ხმარავენ, რომელიც მე ან დაიწყებელი მაქვს, ან არ მკოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვები კი არის“. მას

საგელისხში შენიშვნები აქვს გამოთქმული ხალხური შემოქმედების ბუნებისა, ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ. მისი თქმით, ხალხური ლექსები, შაირები, თქმულებები, ლეგენდები, იგავ-არაკები და სხვანი, რაც კი შეადგენს ზეპირიტყვიერებას, საზოგადოდ ყოველი ხალხისათვის ძვირფასი განძია, როგორც მტკიცე საძირკველი მისი ისტორიისა და უტუარი სარკე მისი წარსული ცხოვრებისა. რაკი ასეთა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხალხური შემოქმედების, ამიტომ ყოველი განათლებული ერი დიდს ყურადღებით ემურობა და სწავლობს ხალხის სულიერი ცხოვრების ამ საენჯებს. ჩვენი ქვეყანა ძალზე მდიდარია ხალხური შემოქმედებით: არსად ისე გავრცელებული არ ყოფილა „მელაზრობა“, „მესტყვიობა“ და „მუშაირეობა“, როგორც ჩვენში... საშვილშვილოდ გადმოიკეზობა ზოღმე ერთიმეორისაგან ასისა და ათასის წლის ამბები, და ამის გამო, უმადლეს წერტალამდე იყო აყვანილი ჩვენი სახალხო პოეზია“. ა. წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიუებს ხალხური შემოქმედების ძეგლებს, როგორც მშობლიურ ქვეყნის ისტორიული ცხოვრების შესწავლას უტუარი წყაროს.

ა. წერეთლის კონკრეტულ ისტორიულ-კრიტიკული სტატიებიდან ცალკე უნდა გამოიყოს „სამი ლექტა „ვეფხისტყაისანზე“ (გვ. 3) — (68), თავისი ლექციის შესავალ ნაწილში იგი ეტება ქართულებს, იმერლებსა და შავი ზღვისპირელ ქართველთა ხასიათებს. შემდეგ ამ ხასიათებს უფარლებს „ვეფხისტყაისის“ მთავარ გმირებს. ა. წერეთლის აზრით, რუსთაველმა „ვეფხისტყაისანში“ მოგვეცა საქართველოა სამი კუთხის (ქართლის, იმერეთის და შავი ზღვის პირის) ხალხის ხასიათის ალგორა. ზღადაზბათვის ლექციებში ა. წერეთელი მართებულად აღნიშნავს „ვეფხისტყაისის“ მნიშვნელობას ჩვენი ხალხის ცხოვრებას და ლიტერატურაში, დამაჯერებლად აბასიათებს ტარიელს, აეთანდაღს, ფრიღონს და სხვა მოქმედ გმირებს. ამასთან დაკავშირებით ა. წერეთელი მართებულად არკვევს ეროვნულისა და საერთო-საკაცობრიას ურთიერთობას ლიტერატურაში.

მიუხედავად ამისა ა. წერეთელი შეედაროვსა „მან „ვეფხისტყაისის“ გმირებში დაიწყო ეიწრო კუთხერი ხასიათების ძიება. მისი თქმით, რუსთაველს „ვეფხისტყაისანში“ სურდა „დაეხატა მოელი საქაიოველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდელა გმირი, როგორც მამაკაცი, ისე დედაკაციცა. საქართველი რომ გამლილი და თანასწორბუნებანი იყოს, მაშინ ის ერთ პირს ააღებდა გმირად, მაგრამ რაღვანა... ის სხვადასხვა ბუნებანი და ხალხიც სხვადასხვა ხასიათების მექანი, ამისათვის იმან საჭიროდ დაინახა ერთი გმირის მათერ აელო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთიმეორეთი შეეგოს და ისე წარმოედგინა

ნა ჩვენთვის. ამ აზრით იმან აიყვანა ამიერიდან ტრაილ, იმიერიდან — ავთანდილი და შავი ზღვის პირადან — ფრიდონი და მათი შვირთებით დაევიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოსა*. ამ მოსაზრებამ თავის დროზე ქართულ კრიკაკში წინააღმდეგობა გამოაწვია, მის არ დაეთანხმა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც საგანგებო საპასუხო წერილიც კი დასწერა. შემდეგში ა. წერეთელს განმარტებების დაწერაც კი დასპირდა ამ საკითხთან დაკავშირებით (გვ. 87—95).

ა. წერეთელს ყურადღების გარეშე არ დარჩენია თავისი დროის ლიტერატურული ვითარების არცერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა. იგი დაჯერებით აღევნებს თვალურს ახალი ლიტერატურული ძალების გამოსვლას, სალიტერატურო სარბიელზე და საქართვების შემთხვევაში საყურადღებო რჩევა-დარბევას და კრიტიკულ შენიშვნებსაც აღწევდა მათ. დიდი თანაგრძნობით შეხვდა იგი შ. არაგვისპირელის, ე. ნინოშვილის, ს. მგალობლიშვილის, თ. რაზიკაშვილის, დ. ელიაშვილის, ან. ერისთავი-ხოშტარიასი და სხვების ლიტერატურულ მოღვაწეობას. ბევრი მათგანის ლიტერატურულ მემოიბას, მხატვრულ ნაწარმოებებს, ა. წერეთელი იწონებდა, მაგრამ ამივე დროს არ ნქმალავდა სუსტ მხარეებსაც.

ა. წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შერლის ვნას. იგი ენის სიმშინდის თაღაღებელი დამცველი იყო, ებრძოდა უხეირო პრაგმატიკობას, ენის დამძაშვებს დიალექტებით. „წენ საზოგადოდ პრივივიკალიზმის წინააღმდეგე არა ვარ!... სჯავასხვა მხარეებში ბევრი მისთანა სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა-აღვიღებში, რომელთა გამოქმენა და მათი ჩვენი დღეს დაქინებელი ენის შე-

სება საქირთა; აგრეთვე, ახალი რამ სიტყვის ხმარება თუ კი სადმე პრივივიკალიზმ ვასპეტაკებულა და დედა-ენის კანონის თანახმად აღმოცენებულა მისაბასავია საყოველთაოდ... აშვეარ კანონიერ რამეებით რომ შევავსოთ და ვავასუქოთ ქართული ენა, საქირთა არის. მაგრამ ის, რაც დედა-ენის წინააღმდეგ სჯავასხვა მხარეებში ვადაღმახინჯებოით და ვაუფუტუებოით, ხელ-მოსაკიდები კი არაა, პირიქით განსაღვიენია“ (გვ. 135). შემდეგ იგი განაგრძობს: „აქათი ა ჩვენს კეთებში ასე ხმარობენო, ნეთ ენის გარყენა არ იქნება?“ ა. წერეთელი აკირთაკებდა იმათ, რომლებიც ცდილობდნენ დიალექტების გაბატონებას ქართულ ლიტერატურაში (გვ. 136).

ამ ტომში მოთავსებული მსალეებიდან საყურადღებოა აგრეთვე წერილები ქართული თეატრისა და მისი მოღვაწეების შესახებ.

ცალკე უნდა აღინიშნოს წერილები დიდი რევოლუციონერი-დემოკრატების — ნყრასივისა და შეენენკოს შესახებ. ა. წერეთელი პირადად დასწრებია ნყრასივის დასაფლავებას და იგი აღწერს, თუ როგორ გამოეხმურა მოწინავე თაობა, ხალხი დიდი შერლის გარდაცვალებას; როგორც თვითონ ა. წერეთელი მიუთითებს გამოჩენილ უკრანელ შერალ ტარას შეენენკოსთან შეხვედრამ და მასთან საუბარამ წარბოცველი კვლი დაანინა მის შეგნებას.

ა. წერეთლის თხზულებათა შერქვეს ტომის გამოჭყეყნება დიდ მოვლენად უნდა ჩითვალოს ქართული ხალხის სახელოვანი მოღვაწის ლიტერატურული მეშვედრეობის შესწავლის საქმეში.

შალვა არაინი

საყურადღებო მეცნიერული ნაშრომი



ვლ. ზამზახიძის სარეცენზიო ნაშრომი XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მოაზროვნის, პეტლიასტის, შერლისა და საზოგადო მოღვაწის — ნიკო ნიკოლაძის (1843 — 1928) პედაგოგურ შეხედულებათა საფუძვლიანი მეცნიერულ-მონოგრაფიულ განხილვა-ანალიზის პირველ სერიოზულ ცუას წარმოადგენს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და უსათოოდ მნიშვნელოვანი შენაძრთა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიისათვის.

ვლ. ზამზახიძე, ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური იდეები. საქ. სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემლობა. რედ. პრიფ. დ. ლორთქიფანიძე. 1967.

ნაშრომი პირველად უშუალოდ ემყარება მეცნიერულ წყაროებს — ნიკო ნიკოლაძის მეტად მდიდარ მეშვედრეობას: ქართულ, რუსულ, და უცხოურ ენებზე ცალკე გამოჭყეყნებულ, განსაკუთრებულ პერიოდულ გამოკეებში საქაოდ გაფართულ პეტლიასტერ — ლიტერატურული ნაშრომებსა და სტატეებს და დიდძალ საარქივო მსალას, რომელიც დაცულია ჩვენს სიძველეთ-საცეებში ან საოჯახო პირად არქივებში.

ვლ. ზამზახიძე ამ საწარქრესო ნაშროში, რომელიც შეიდა თავისიგან შედგება, ლოგიკური თანმიმდევრობით განიხილავს ნ. ნიკოლაძის ცხოვრება-მოღვაწეობის გზას, მის სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, ზოგადპედაგოგიკურ და დიდაქტიკურ შეხედულებებს, მშობლიური და რუსული ენების

მნიშვნელობას და სკოლისა და მასწავლებლის როლს მოზარდი თაობის რაციონალური აღზრდა-განათლებისათვის.

ავტორი სავსებით სამართლიანად იქცევა, როდესაც ნიკო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და პედაგოგიურ-დიდაქტიკურ შეხედულებებს განიხილავს XIX საუკუნის 50-60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიის — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლუბოვის და სხვ. პრაგმატიული მსოფლმხედველობა — ნააზრევის საფუძველზე და მათ მოძღვრებასთან კავშირში. ამავე დროს შეკლევა რი ცდილობს ნ. ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ-პედაგოგიკური შეხედულებანი ორგანულად დაეჯავროს XIX საუკუნის სამოციან წლებში სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას საქართველოში და იძლევა ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პედაგოგიკური-პედაგოგიკური მოძღვრების ზოგად დახასიათებას, ადგენს ნ. ნიკოლაძის ადგილს და მნიშვნელობას დასახლებული პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრისთვის ისტორიაში.

ნაშრომის წინასიტყვაობაში („ავტორისაგან“) ვლ. ზამბახიძე მოკლედ არკვევს XIX საუკუნის სამოციან წლებში სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას საქართველოში და იძლევა ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პედაგოგიკური-პედაგოგიკური მოძღვრების ზოგად დახასიათებას, ადგენს ნ. ნიკოლაძის ადგილს და მნიშვნელობას დასახლებული პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრისთვის ისტორიაში.

ნაშრომის პირველ თავში („ცხოვრების გზა“) ავტორი იძლევა ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე ქრონოლოგიურ ქარტას და მეტად საყურადღებო მასალებს ადუნს ამ დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მოაზროვნის მსოფლმხედველობის განვითარება-ჩამოყალიბების შესასწავლად. ამ თავში დიდძალი ფაქტობრივი მასალა მოტანილი ნ. ნიკოლაძის დაეცხრომელი შრომისა, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვთან მისი დაახლოებისა, მათს „სოცრემენიკსა“ და გერცენის „კოლოკოლა“ მონაწილეობა-თანამშრომლობისა და საბოლოოდ მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივ-პედაგოგიკური მოღვაწეობის იდეოლოგიური წინამძღვრების მოშაღებისათვის. აქვეა დახასიათებული ნ. ნიკოლაძის მონაწილეობა და ღვაწლი ქართულ („დროება“, „ერებელი“, „შოაშე“) და რუსულ („ტრფისკი ვესტნიკი“, „ობზორი“, „ნოვოე ობოზრენიე“) ჟურნალ-გაზეთებში.

ნაშრომის მეორე თავში ავტორი საფუძვლიანად აანალიზებს ნიკო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და მიღის იმ მართებულ დასკვნამდე, რომ ჩვენი სახელოვანი სამოციანელი თემცა აშკარად ამინევდა მანინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ბოროტებასა და სოციალურ უტელმართებას, მაგრამ საბოლოოდ მისი რევოლუციური გარდაქმნის იდეამდე მიიწე არ ამაღლებულა. ვლ. ზამ-

ბახიძე სამართლიანად წერს: „ნ. ნიკოლაძე ვერ ითვალისწინებდა რა კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობას ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, მეტიყვედ იტყვევ კლასობრივი პარტონის უტონისტური იდეას, თემცა იმ მას ხელს არ უშლიდა, ამავე დროს, თავის წინამორბედ სოციალ-უტონისტების მსგავსად გამოემყდევნებინა კაპიტალისტური წყობილების მრავალი მანკიერი მხარე“ (გვ. 51). ქვემოთ ნაშრომის ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ნ. ნიკოლაძე „შეზიარებდა თავის ნაწერებში საკითხების საღ მეცნიერულ გადაჭრასაც უხალფედობდა და სწორად მიუთითებდა იმ გადამწყვეტ მნიშვნელობაზე, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში ობიექტურ კანონებს აქვს“ (გვ. 60). „მაგრამ ეს სრულეთით იმას არ ნიშნავს, რომ, თითქმის, ამიტომ იგი მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგზე მდგარიყოს. არა. მიუხედავად თავისი ზოგიერთი სწორი მიხედვრისა, ნ. ნიკოლაძე ისტორიული პრაქესის მეცნიერულ გაგებაზე არ ამაღლებულა. ამ საკითხში იგი ძირითადად მიიწე უტონისტურ პოზიციებზე დარჩა“ (გვ. 70).

ნაშრომის ამავე თავში ავტორი იძლევა ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიურ შეხედულებათა ღრმა მეცნიერულ ანალიზს. განიხილავს რა ნ. ნიკოლაძის ფილოსოფიურ ნააზრევს ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ფილოსოფიურ მოძღვრების საფუძველზე, ვლ. ზამბახიძე მართებულად მსჯელობს: „ნ. ნიკოლაძის გნოსოლოგიური კონცეფცია მატერიალისტურია. მაგრამ რადგანაც ნ. ნიკოლაძე ძირითადად მეტაფიზიკური მატერიალიზმის ნიადაგზე იდგა, ამიტომ ვერ შეძლო საქიორ კრიტიკული დამოკიდებულება გამოეჩინა პოზიტივიზმისადმი, რომელსაც იგი, ზოგიერთი რუსი მესამოციანელის მსგავსად, იცლკედ შემთხვევაში აიციევდა მატერიალიზმთან“ (გვ. 93). ამიტომ, ცხადია, „ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებზე ნ. ნიკოლაძე არასოდეს არ მდგარა. მის სოციალოგიურ შეხედულებებში ნათლად ჩანს ორი, ერთმეორის საწინააღმდეგობრუნეცია-იდუალისტური და მატერიალისტური, რომელთაგან იგი უმორატესობას საბოლოოდ პირველს ანიჭებს“ (გვ. 90).

დასასრულ ავტორი სავსებით სამართლიანად ასკვნის, რომ ნ. ნიკოლაძე დიალექტიკურ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობამდე არასოდეს არ ამაღლებულა და განვითარების ევოლუციური თეორიის პოზიციებზე დარჩა საბოლოოდ. მიუხედავად ნ. ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათისა, ჩვენი სახელოვანი მესამოციანელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას მაინც ოპტიმისტურად შეკურებდა, რაც მის ენერგიასა და მხნეობას მატერიალ და მისი მრავალმხრივი მოღვაწეობასა და დაეცხრომელ ბრძოლაში.

ნაშრომის შესამე თავის („ნ. ნიკოლაძის პედაგოგიური შეხედულებანი“) დასაწყისში ვლ. ზამბახიძე სამართლიანად წერს „ნ. ნიკოლაძის პედაგოგიური შეხედულებანი მკიდროდა და აკავშირებულ იქნა საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი განვითარების იმ ძირითად პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიურ და კულტურულ ამოცანებთან, რომელთა განხორციელებისათვის ბრძოლას იგი თავისი ცხოვრების მთავარ დანიშნულებად თვლიდა“ (გვ. 101). სწორედ ამიტომ, ავტორი სრულიად ლოგიკურად იქცევა, როდესაც ნ. ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საფუძველზე ჭინიხილავს ჩვენი პუბლიცისტის ზოგად-პედაგოგიურ შეხედულებებს, კერძოდ აღზრდა-განათლების შინაარსის საკითხებს. ნაშრომის ამ თავში ავტორი ამტკიცებს, რომ ნ. ნიკოლაძისათვის ამჟამა იყო, რომ ახალგაზრდობის სწავლა-განათლების მიმართულება, შინაარსი, ფორმები და მეთოდები სწავლა-განათლების მიზნით განისაზღვრება. აღზრდა-განათლება ერთიანი სოციალური პროცესია და სახელმწიფოში გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურება. ავტორი ცხადყოფს იმ დიდ ბრძოლას, რომელსაც ნ. ნიკოლაძე მეფისდროინდელ სკოლებსა და სწავლა-აღზრდის სისტემაში დანერგული წოდებრივი პრივილეგიების წინააღმდეგ ეწეოდა და ამავე დროს იმასაც, თუ როგორ იბრძოდა იგი ჩვენში სახალხო სკოლების დამკვიდრებისა და მათში სწავლა-აღზრდის სისტემის ხალხობრივის დემოკრატიულ პრინციპზე დაფუძნებისათვის. ამაში მღვათარებოდა ნ. ნიკოლაძის პედაგოგიურ შეხედულებათა პროგრესულობა: „ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ხალხის განათლებას, მასში უმეცრებისა და ცრუჭმენების აღმოფხვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძველი, ჩამორჩენილი, ხალხისათვის საზიარო საზოგადოებრივი წყობილების მშვიდობიანი გზით შეცვლისა და მის მაგიერ ახალი, მოწინავე, სახალხო წყობილების დამკვიდრებისათვის“ (გვ. 108). ამაში მელაგნდებოდა ნ. ნიკოლაძის იდეის უტოპიური ხასიათი და ის წინააღმდეგობაც, რომელიც მის პედაგოგიურ შეხედულებებში ადამიანის განვითარებაში სოციალურ გარემოსა და აღზრდის ურთიერთობის უმართებულო ვაგებში გამოიხატა. ამიტომ საკუბით სწორია ავტორის შემდეგი დასკვნა: „ნ. ნიკოლაძისათვის, ერთი მხრივ, ყოველი ადამიანი ხასიათით წარმოადგენდა გარკვეული პირობების ნაყოფს და ამიტომ მისი გარდაქმნისათვის იგი საჭიროვ თვლიდა ამ პირობების შეცვლას, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონვე იმ აზრს იცავდა, რომ აღზრდა ყოვლისშემძლე და ამიტომ სოციალური გარემოს შესაყვლად საკმარისია აღზრდის საშუალებით ადამიანის შეცვლა. ამ ურთიერთგამომრიცხველ მსჯელობათა

გამო ნ. ნიკოლაძე, ყველა სოციალ-ტოპისტთა მსგავსად მოეცა იმ „მოკვადრებულ წარმომადგენელ სწორ მეცნიერულ განმარტებულ კავშირთან პირველად მხოლოდ-მარქსიზმში მითითა“ (გვ. 108). ამავე თავის შემდგომ ნაწილში ავტორი, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფუძემდებლურ დებულებათა საფუძველზე, საკუბით მართებულად წყვეტს ადამიანის (ბავშვის) განვითარებაში გარემოსა და აღზრდის ურთიერთობის პრაბლემას. ნაშრომის ამავე თავში ავტორი დაწერილებით განიხილავს ნ. ნიკოლაძის უღარესად პროგრესულ შეხედულებებს ქალთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე და მიუთითებს იმ პრაქტიკულ-პედაგოგიურ წამოწყებებზე, რასაც ჩვენი პუბლიცისტი ეწერებოდა ვეღა სათავეში მისი საზოგადოებრივი მიღებულობის სხვადასხვა პერიოდში.

ვლ. ზამბახიძე საფუძვლიანად არკვევს იმას, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ნ. ნიკოლაძე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის შინაარსის განსაზღვრა-დადგენის საკითხებს. ავტორის სამართლიანი მტკიცებით, ნ. ნიკოლაძე მოზარდობის უოველმზრივად განვითარების ძირითად ელემენტად ფართო გონებრივ განათლებას თვლიდა და არსებითად მართებულად წყვეტდა ზოგადი და პროფესიული სწავლა-განათლების ურთიერთობის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი როლისა და მნიშვნელობის საკითხებს, თუმცა უპირატესობას იგი მაინც რეალურ განათლებას ანიჭებდა.

ავტორი ღრმა მეცნიერულ ანალიზს უკეთებს ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებს ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდის საკითხებზე და ამ შემთხვევაშიც ნათლად ამაჟიარებს ნ. ჩერნიშევსკის ეთიკური მოძღვრების უდიდეს მნიშვნელობას ნ. ნიკოლაძის ზნეობრივ აღზრდის თეორიის ჩამოყალიბებისათვის. აქვე ავტორს საგანგებოდ ჩერდება პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების განხილვაზე ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ-პედაგოგიურ ნაწერებში და სამართლიანად მიუთითებს, რომ ჩვენი რევოლუციონერ-დემოკრატი სამშობლოსათვის თავდადებული და მიწელი მსოფლიოს ჩაგრული ხალხებისადმი ერთგულების სელისყვეთებით აღჭურვული ახალთაობის აღზრდისათვის იბრძოდა.

დასასკვნად, ამავე თავში, ავტორი საფუძვლიანად არკვევს ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს ახალგაზრდობის შრომით და ფიზიკური აღზრდის საკითხებზე ყოველმზრივად განვითარებული ადამიანის აღზრდა-განვითარების საერთო სისტემაში და ამ საკითხებშიც ავლენს ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა პროგრესულ ხასიათს. ნაშრომის მეოთხე თავში ვლ. ზამბახიძე ეტება ნ. ნიკოლაძის დიდამტკიცებულ შეხედულებებს. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ავტორი წინასწარ მიუთითებს, რომ „დიდაქტიკის საკითხებისადმი

მიღწეული საგანგებო გამოკვლევა ან წერილი ნიკო ნიკოლაძის ლატერატურულ მემკვიდრეობაში არ მოიპოვება" (გვ. 210), იგი მიანიშნობს იმდენად ახერხებს ნ. ნიკოლაძის სპეციალურ-დოქტორული ნააზრების სისტემატურ დადგენას და იძლევა ამ შეხედულებათა სწორ მენიერებულ-პედაგოგიკურ ანალიზს. აქ ავტორი მსჯელობს სწავლა-განათლების არსის, ცოდნის დაფუძვლების მნიშვნელობის, აღმზრდელობითი სწავლების, შეგნებულობის, სისტემატურობისა და თანმიმდევრობის, ბავშვთა ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებისა და თვალსაჩინოების დიდაქტიკური პრინციპების შეთავაზებისა და სწავლების შინაარსის დადგენა-გადაწყვეტის საკითხებზე ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკურ-პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში.

ნაშრომის მეხუთე თავში ავტორი აანალიზებს ნიკო ნიკოლაძის მეტად პროგრესულ შეხედულებებს მშობლიური ენისა და მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობის შესახებ ახალი თაობის რაკონსერვირებული აღზრდა-განვითარებისათვის. ავტორი მოხდენილად იყენებს ნ. ნიკოლაძის ცნობილ დებულებას, რომ ხალხის პროგრესისათვის ბრძოლა, მისი შეთარაღება საკირო ცოდნით და ახალი იდეებით „შესაძლებელია მხოლოდ იმ ენაზე, რომელზედაც... მასები მატყუდდებიან“, და მიიღის იმ დასკვნად, რომ სწორედ ამიტომ იმდენად ნიკო ნიკოლაძე „ახალი შექმნისათვის“ ხედავს ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ თავის მებრძოლ პედაგოგიკურ წერილებში დაედგინა ვადა დიდი გამწვანებით იცავდა მშობლიური ენის უფლებებს, ამ ენაზე სწავლების დამკვიდრების აზრს" (გვ. 242). ეს განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს იმ მოთხოვნებში, რომელიც ნ. ნიკოლაძის ზელმძღვანელობით ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ შეიმუშავა 1905 წელს სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რაც მილიანად მოტანილია სარედაქციო ნაშრომში (გვ. 252 — 253).

ნაშრომის მეექვსე თავში ავტორი მოკლედ განიხილავს ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს რუსული ენის მნიშვნელობისა და მისი დაფუძვლის აუცილებლობის შესახებ არარუსი მოსახლეობისათვის, კერძოდ, ქართველთათვის. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ნიკო ნიკოლაძის შეხედულებით, რუსული ენის ცოდნა ჩვენს ხალხს, მის ახალგაზრდობას დაეხმარებოდა იმაში, რომ ახლო გასცნობოდა რუსეთის ცხოვრებას, მის მოწინავე სოციალ-პოლიტიკურ იდეებს და პროგრესულ მწერლობას, კულტურას, რომლის სწორ და მიუღწევად შეფასებას მიუძღვნა მან მრავალი ბრწყინვალე, ღრმა იდეურობით აღსავსე კრიტიკული წერილი" (გვ. 254).

ნაშრომის უკანასკნელ, მეშვიდე თავში ავტორი აანალიზებს ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს სკოლის, როგორც სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულების მნიშვნელობისა და მასწავლებლის

როლის შესახებ მოზარდი თაობის სწორი აღზრდა-განათლებისა და განვითარებისათვის. ნ. ნიკოლაძე სკოლას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სასარგებლო ცოდნით ხალხის შეთარაღების უზრუნველსაყოფად. „მოთავრ დაწესებულება, სადაც ეს დიდი სახალხო ამოცანა უნდა გადაჭრილიყო, ნ. ნიკოლაძეს სახალხო სკოლა მიიჩნედა, რომელიც მისი სატყუილი უპირველეს ყოვლისა ხალხის, მშრომელთა „მოთხოვნებს უნდა ემსახურებოდეს“, მისი ინტერესების გამოზრდა-განვითარებისათვის უნდა იყოს" (გვ. 262). ავტორი დაწერილებით განიხილავს ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს ბრძოლის მეფისდროინდელი სკოლისათვის სკოლის წინააღმდეგ და დაეცხრომელ მოღვაწეობას სახალხო სკოლების შექმნისა და მათი ქსელის გაშლისათვის. სკოლაში კი ნ. ნიკოლაძეს სახალხო მასწავლებელი მიიჩნედა მოთავრად უფროდ. „მასწავლებელი მოთავარი იაქრია სკოლაში აღზრდისა და განათლების გონივრად დაყენების თვალსაზრისით. რაზე გონივრადაც არ უნდა იქნეს შედგენილი „წესდებები“, როგორი ინსტრუქციებიც არ უნდა იქნეს გამოცემული,

თუ მასწავლებელი ცუდად მომზადებული და არაკეთილსინდისიერი, ეს შენაშენი და დღევინდებში მხოლოდ ქაღალდე დარჩება" — წერდა იგი ამიტომ მოთხოვნა ნ. ნიკოლაძე სისტემატურ ბრძოლას სახალხო მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობის დასაცავად და მათი მატერიალური და იდეური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რევოლუციამდელ რუსეთში.

თავის საყურადღებო ნაშრომის დასასრულს მოკლედ მოკლე რეზუმეში ვლ. ზამბახიძე, აჯანყებს რა მისი გამოკვლევის მოთავრად შედეგებს, სამართლიანად წერს: „დიდი და მრავალფეროვანია ნ. ნიკოლაძის პედაგოგიკური მემკვიდრეობა, რომელიც შეათვის გამოხატულება პოეზის ვასილუ საუკუნის სამოციანე წლების იდეური მოძრაობით ნაკარნახევმა ისეთმა პროგრესულმა პედაგოგიკურმა პრინციპებმა, როგორცაა: ბრძოლა აღზრდა-განათლების ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ, დემოკრატიზმი და კუმანიზმი, პატრივისტა ადამიანის შრომისა და თავისუფლებისათვის, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, ურყევი რწმენა პროგრესისა და მენციონებისადმი, კმედითი ოპტიმიზმი. მაგრამ პოლიტიკურთან ერთად, ამ მემკვიდრეობას, როგორც აღვნიშნეთ, თავისა სუსტი მხარეებიც აქვს, რომლებიც თვით ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მოღვაწეობის გარკვეულმა შეხედულებამ წარმოიშვა. მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პედაგოგიკურ შეხედულებათა საერთოდ პროგრესული-დემოკრატიული ხასიათი, ის აქტუალობა, რომელსაც ზოგიერთი მისი დებულება ჩვენს დროშიც ინარჩუნებს, ნებას გვაძლევს მათი ავტორი დავაყენოთ ქართული პედაგოგიკური აზრის დიდი

წარმომადგენლებისა, ილია ქაგვიძისა და იაკობ გოგებაშვილის გვერდით" (277 — 298).

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ვლ. ზამბახიძე მისი საყურადღებო ისტორიულ-პედაგოგიკურ მონოგრაფიაში ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების დიად მოძღვრებას და ამეთოდოლოგიურ ნიადაგზე აწარმოებს ნაშრომში დასმული პრობლემების მეცნიერულ ანალიზს.

ვლ. ზამბახიძის ნაშრომს აბა მარტო ვიწრო ისტორიულ-პედაგოგიკური მნიშვნელობა აქვს, არამედ იგი მეტად საინტერესოა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების შესწავლის თვალსაზრისითაც საქართველოში.

ვლ. ზამბახიძე ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკურ

შეხედულებებს განიხილავს აბა ისტორიულ-ობიექტივისტური თვალსაზრისით, არამედ საბჭოთა მკვლევარისათვის დამახასიათებელ საკმაო ისტორიულ-კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს მათ მიმართ და ამავე დროს მუდამ ცდილობს ნ. ნიკოლაძის ცალკეული პედაგოგიკური შეხედულებანი შეაფასოს ჩვენი, საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერების მოწინავე პოზიციებიდან. ამაშია საჩუქრული ნაშრომის ღირსება.

ვლ. ზამბახიძის მონოგრაფიული ნაშრომი „ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკური იდეები“ გარკვეულ შენაძინა ჩვენი საზოგადოებრივი და კერძოდ, პედაგოგიკური მეცნიერებისათვის.

3. ძაჭანია

მონოგრაფია იროდიონ ევდოშვილზე



თანამედროვე ქართულ კრიტიკულ ლიტერატურას უყველწოდურად ემატება ახალი გამოკვლევები და მონოგრაფიები. მაგრამ საქმე მარტო უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ გამოკვლევების სიმრავლეში როდია. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა უფრო პრინციპული და ობიექტური ზღვება. ზოგიერთ გამოკვლევას ახასიათებს ღრმა იდეურ-მხატვრული ანალიზი და ლიტერატურული მოვლენის სწორი და მართებული შეფასება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ერეკლე ჯანაშიას მონოგრაფია ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლის იროდიონ ევდოშვილის შესახებ.

მონოგრაფიაში მოცემულია ღრმა და დამაჯერებელი ანალიზი მწერლის მაღალი დეერო შემოქმედებისა, დახასიათებულია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები. წიგნი შედგება ორი განყოფილებისაგან, რომლებიც თავის მხრით დაყოფილია ცალკეულ თემატურ რკალებად: „ბოდბისხევი“, „მრავალშვილიანი ოჯახი“, „პირველი ნაბიჯები“, „ევდოშვილის პრაზა“, „ქარიშხლის მთქმელები“, „ქარიშხლის მოძღვრალი“ და სხვ.

წიგნი მხატვრულად არის აღწერილი იროდიონ ევდოშვილის ბავშვობის წლები, პერიოდი, რომელსაც ახასიათებდა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა და რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მწერლის სულიერ ფორმირებაში.

გამოკვლევის შესავალ ნაწილში მკვლევარი მხოლოდვე აღაწერს სოფელ ბოდბისხევს. არანაკლები მხატვრულობით არის წიგნი ასახული იროდიონ ევდოშვილის დედაცაცუება და შემდეგ მისი, როგორც მწერლისა და რევოლუცი-

ონერის ჩამოყალიბება. ავტორი ერთმანეთისაგან განუგრედალ გვისურათებს ემოქსა და მწერალს: ჯერ გვიცნობს იმ ეპოქაში მომხდარ ამა თუ იმ ისტორიულ ცვლილებას და ამის შესაბამისად მწერლის სულიერ გარდაქმნას, მის დამოკიდებულებას მომხდარ ცვლილებებთან, სოციალურ ძებრებთან.

ი. ევდოშვილი საშუალო მოღვაწეობას იწყებს მაშინ, როდესაც საქართველოში ჩაისახა პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მეცამე დასი“. რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა პოეტო თავიდანვე ეცნობა ამ მოძრაობას, უახლოვდება ლადო კვციველს, რომელთანაც ნაცნობობა ჯერ კიდევ სემინარიაში ჰქონდა, შემდეგ იგი უკავშირდება ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ი. სტალინს.

სავსებულ სწორია ავტორი, როდესაც იგი იროდიონ ევდოშვილის ბოძოქარ ცხოვრებას, მის ბიოგრაფიას უკავშირებს მწერლის მდიდარ ლიტერატურულ შემეიდრეობას. მკვლევარი ი. ევდოშვილის შემოქმედების განხილვას იწყებს ლირიკულ ნაწარმოებთა ანალიზით, კერძოდ იგი დაწვრთლებით არჩევს ლირიკულ ლექსებს, რომლებშიც უფრო ხელმეწევადა და რულიოტრად დაა გამოვლენილი მეზბოილი პოეტის მოწინავე იდეები და სულიერი განწყობილება. კარგად არის ნახვენი ახალგაზრდა პოეტის ორგანული ყავშირი კლასიკური მწერლობის ტრადიციებთანა და მალა პატრიოტიზმთან, სამართლიანობისა და პეშანიერობის მოტეებთან. ი. ევდოშვილის ლირიკაში, როგორც სამართლიანად წერს კრიტიკოსი, „დიდი პათოსით აისახა მეტრამეტე სუკუენის მიწურულის სოციალური ვითარება, კლასობრივი წინააღმდეგობა“ (გვ. 63).

მშრომელთა ფართო მასებთან დაახლოებამ,

იმტროინდელ რევოლუციურ თაობასთან კავშირში პოეტის წინაშე დააყენა საკითხი კლასობრივი ბრძოლის გზაზე დადგომისა. და „ის გარემოება, — აღნიშნავს მკვლევარი, — რომ პოეტს წარსულის სიტყვა აბრაძდ მიაჩნდა აწმყოათვის“, რომ იგი წინ იხედებოდა და წარსულში არ ეძებდა თავის იდეალს, თავდები იყო იმისა, რომ სულ მალე „მონახვედა აუცილებლად მებრძოლი პოეტის სწორ გზას“. ამიერიდან ი. ევდოშვილმა თავისი პოეზიის დევიზად გაიხადა „უკუღმართ სოფელს ბრძოლა და ბრძოლა“. იგი, როგორც პოეტო, სწორედ იმით იქცევს უტრადლებას, რომ მის პოეტურ შემოქმედებაში პირველად და საკმაო სიმღერით აისახა რევოლუციური ქარიშხლის მოახლოების გრძნობა.

გამოკვლევის მომდევნო თავებში „ქარიშხლის მარჯველები“ და „ქარიშხლის მიმდრალი“ აქტიური დამატარებლად არცეცს მწერლის შემოქმედების ევოლუციას, მის პოეზიაში საბრძოლო მოტივების დამკვიდრებას, იმ არსებით გარდატეხას, რამაც იგი ძლევამოსილი ქარიშხლის მომდრალად გახადა.

1905 — 1907 წლების რევოლუციის ეპოქაში არც ერთი პოეტი არ ყოფილა ისეთი პოეტლარული, როგორც იყო ი. ევდოშვილი. თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს იგი სამართლიანად მიაჩნდათ თავიანთ პოეტად, რადგან „მის ნაწარმოებებში ისინი ხედავდნენ თავიანთი მღელვარე ფიქრების ყველაზე მკვეთრ გამოხატულებას“ (გვ. 99).

მაგრამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ პოეტი მოიკცა უიმედობამ და გულგატეხილობამ. მკვლევარი საფუძვლიანად განიხილავს ამ პერიოდის მის ნაწარმოებებს, ახდენს მათს რძობა კრიტიკულ ანალიზსა და ობიექტურ შეფასებას.

პოეტის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად წიგნის ავტორი საკამრისად არ თვლის გათვალისწინებს მხოლოდ მისი ორთავიანლური ლექსების და მიმოიხილავს პოეტის თარგმანებსაც. და რომ უფრო გავაუღვეინოს ი. ევდოშვილის მებრძოლი, რევოლუციური სულისკვეთება, მოკავს მის მიერ თარგმნილი ლექსის „საერთაშორისო სიმღერას“ მავალით. ეს და სხვა ნაწარმოები ლექსები აუხებდა და აღწერავდა ქართველი რევოლუციონერი-პოეტის შემოქმედების თეშებისა და იდეების საყაროს. ი. ევდოშვილის მთელ რიგ ლექსებსა და მოთხრობებში მუშისა და გლეხის ხედრა ფსიქოლოგიური სამაჟრით არის გადმოცემული.

მკვლევარის აზრით, ი. ევდოშვილი „მწერლობის ამოკანად სახავს ხალხისადმი, მუშათა კლასისადმი ერთგულ საშახურს“, რაც შესანიშნავადა გამოხატული პოემაში „მეზა და მუშა“. აღნიშნული პოემა ი. ევდოშვილის, როგორც პოეტის, ერთგვარ სამოქმედო პროგრამას, ლიტერატურულ კრდებს წარმოადგენს.

მკვლევარი ხაზს უსვამს იმას, რომ ი. ევდო-

შვილმა ცხოვრებასთან უშუალო კავშირით პოეზია ხალხის საშახურში ჩააყენა და კეთილშობილური იდეალებით განმსჭვალა. იგი, ი. ევდოშვილი შეუპოვრად იბრძოდა ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების ამაღლებისათვის, მისი ხალხთან დაკავშირებისა და კლასობრივი შინაარსით გაძლიერებისათვის. „ი. ევდოშვილისათვის უცხო იყო აპოლიტიკური, უიდეო, თვითმიზნური პოეზია. იგი წინა პლანზე სწევდა შინაარსს და მომენტის აქტუალური საკითხების დამუშავების ამოკანას“, თუმცა რაკჟკის მიმეწლებში იგი მოექცა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გავლენის ქვეშ, რამაც უარყოფითი ევლი დააჩინა მის სულიერ ცხოვრებას და შემოქმედებას.

მონოგრაფიაში ცალკე თავები ეძღვნება ი. ევდოშვილის პროზისა და საბავშვო ნაწარმოებთა განხილვას. სამართლიანად წერს ავტორი, რომ თუ ევდოშვილის პროზა საზოგადოებასა და ლიტერატურაში დამსახურებულ უტრადლებას არ იქცევდა, „ეს უმთავრესად იმით უნდა ახსნას, რომ იგი უბრველესად პოეტი იყო და მისი პოეზიის დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი რეზონანსი ერთგვარად აწვლებდა ინტერესს მწერლის შემოქმედების სხვა ეანრებისადმი“ (გვ. 159).

ი. ევდოშვილი თავის საბავშვო პროზაშიც გამოხატავდა იმ დროის მოწინავე იდეებს და ახალ თაობასაც ზრდდა სამართლიანობისათვის ბრძოლის სულისკვეთებისათვის. მწერალი ქმნიდა ისეთ მოთხრობებს, რომელშიც ბავშვებისათვის გასაგები ენით ასახული იყო სოციალისტური ჩავრის სურათები. ამ მოთხრობების გმირები გაბატონებული საზოგადოებრივი წყობილებისადმი სიძულელით იყვნენ განმსჭვალული. ი. ევდოშვილის საბავშვო პროზა ხელს უწყობდა ნორმ მითხველში პატრიოტიზმისა და სოციალური შეგნების გამომეშვევებასა და განქციკებას. ეს აქტუალობა და შემეცნებითი ღირებულება მას დღესაც არ დაუკარგავს ახალგაზრდა მკითხველისათვის.

ი. ევდოშვილი აქტიურად თანამშრომლობდა მამნიდელ საბავშვო ეურნალებში. სასურველი იყო, რომ საბავშვო პროზის ნიმუშების განხილვასთან დაკავშირებით მკვლევარს დაეხასიათებინა ი. ევდოშვილი, როგორც ეურნალ „ნაკადულის“ მუდმივი და განუერელი თანამშრომელი.

მონოგრაფიაში მკრთალადაა ნაჩვენები ი. ევდოშვილი, როგორც მებრძოლი სატირიკოსი. მართალია, მკვლევარი გზადგუა განიხილავს მწერლის ცალკეულ სატირულ ლექსებს, მაგრამ ეს არასაკმაო წარმოდგენას გეძლევის ი. ევდოშვილის სატირულ ნიჟსა და შესაძლებლობაზე.

წიგნის უკანასკნელ თავში „ევდოშვილი და ჩვენი თანამედროვეობა“ მწერალი დახასიათებულა, როგორც ჩვენი სახელოვანი წინამორბედი

და თანამედროვე, რომლის საბრძოლო პოეზიის ძირითადი ნაკადი ღრმად შეიჭრა ხალხის გულში და მის კეთონილებად იქცა.

მთლიანად წიგნი მკაფიოდ შეტყვევლებს ავტორის კრიტიკულ აზროვნებასა და მხატვრულ გემოვნებაზე. ნაშრომი დაწერილია ი. ევდოშვილის შემოქმედებისა და რევოლუციური მოღვაწეობის

ღრმა ცოდნითა და სიყვარულით. მონაგრატი დახმარებას გაუწევს ქართული ლიტერატურის მასწავლებელსა და მოსწავლე ახალგაზრდობას, ი. ევდოშვილის ცხოვრებისა და ლიტერატურული შემოქმედების შესწავლით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

სიმონ არაველაძე

მითხრობა საკოლმეურნეო სოფელზე



ფხვანში შერლის სამსონ ქანბას მოთხრობა „სეიდიუი“ ნათლად გვიჩვენებს სოციალური გარდაქმნის ზღვრულზე ერთმანეთთან დაპირისპირებულ ადამიანთა ორ კატეგორიას. სეიდიუი სოფელ ახლამის კულაქა, მას თხები და ავეჯი გადაუმალავს, ოქრო მიწაში ჩაღმარხავს, თავისი ქალ-ვაჟი — კომკავშირში შეეყვანია, და თვითონ კი საბჭოს წევრიც გამხდარა. სეიდიუი დაკავშირებულია თავად ყიზილბაქთან და იმისი დაეალებით იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სეიდიუი კოლმეურნეობაა შექმნის დაეძინებულ მტერია. მას ორი მოსამსახურე ყავს თემირი და უღედმაშო — ობოლი ხაბაში, რომელსაც ნათესავად ასალებს. თემირი ცოლშვილით, ცალკე კობში ცხოვრობს და სეიდიუის მიწის ამუშავებს, ხოლო ხაბაში თხების შეყვამსადა სეიდიუთან. სეიდიუის მეუღლე მამალახი და შეილა ხიქუა სეიდიუის აზრს არ იზიარებენ, მათ ეყოლებთან ობოლი ხაბაში, ექომაგებიან მას, და არ მოსწონთ ყიზილბაქთან მისი მგვობრობა. სეიდიუი ცდილობს დასძლიოს ცოლის და შეილის წინააღმდეგობა და მუდამ დღე ძველი დროს ქებაშია.

— ... ემ, საწყალი ნიკოლოზი, ჩვენი ძველი მეფე... სამოთხეში ამყოფოს ალაში... ზოგიერთისათვის კარგი იყო... საბჭოთა ხელისუფლება კი ჩვენითვის არ არის... მაგრამ არა უშავს რა... გავიკურებთ... მე ხომ საბჭოს წევრი ვარ, ვაჟი და ქალი კომკავშირლები მყვანან... ასე გავაჩანჩალებთ სანამ ძველი დრო დაბრუნდებოდეს! მამ... ასე ლაპარაკობს ჭკვიანი ხალხი...

— მაგრე იყოს, გააწყვეტინა ცოლია, — მაგრამ შენ რას ღრიალებდი მძღოლ, სოფლის გასაგონად? შენი ბებრული უსამოგონო ხმისა მინიც არ გრცხენია? რად აწუხებ ხაბაშს?..

— მოსამახებურე არ უნდა მოასვენო, თავის ქერქში არ უნდა დააყურო და მამონი ძალიდით გამგონი იქნება და უკეთ იმუშავეებს. გესმის თუ არა, სულელი? — შეუტია სეიდიუმა და დააშტერა თვლით.

იმ წელს სეიდიუს განსაკუთრებით ბევრი მიწის დამუშავება სურდა, მაგრამ იმედმა უმტყუ-

ნა. სოფლის საბჭოში თემირისათვის რკინის გუთანი მიეცათ და უარი უთხრა სეიდიუს მიწის ხენაზე. გაბრაზებული სეიდიუი იბმობს ხაბაშს და შეპირდება ქალის-ხიქუის მითხოვებას თუ ის თემირის გუთანს ქაობში ჩააგდებს. დიდი წუხილის შემდეგ ხაბაში ამას შეასრულებს. მთელი სოფელი ფეხზე დგება. დაეძებენ გუთანს მაგრამ ვერ პოულობენ. რაკომიდან მითითებას მიღებამდე, ამ შემთხვევით აღლუკებულნი თემირი და რამდენიმე გლეხი შეთანხმდებიან შეერთდნენ და შექმნან კოლმეურნეობა, ერთად დაემუშაონ მიწა. ამ აზრს კომკავშირის უჯრედის მდივანი ექვირმა პარტუჯრედის მდივანს ეტბრიცს გააცნობს. მდივანი მოიწონებს ასეთ წინადადებას და ჩქარა ისინი სოფელ ახლამი კაკლის ხის ძირში შეიკრიბებიან და რვა ოჯახი თემირი, კობლუხი, ხაზილა და სხვები გაერთიანდებიან. კოლმეურნეობის შექმნის საკითხს სასოფლო საბჭოს სხდომაზე განიხილავენ და მოიწონებენ. შემდეგ ეს საკითხი გადააქვთ სასოფლო ყრილობაზედ. სეიდიუი, ფარულად, თავადების, მუღდელ-დიაცხენის და მარჩიელთა დახმარებით, ვაცხოველებულ ავიაციას აწარმოებს კოლმეურნეობის წინააღმდეგ. საბჭოს კრებაზე სეიდიუმა მისა გამოუშვა კოლმეურნეობის შექმნის წინააღმდეგ, თვითონ კი დაეთანხმა. სხდომა რომ დამთავრდა მისამ გზა გადაუქრა სეიდიუსი.

— „მითხარ სეიდიუ არაფერს მიზამენ იმისათვის, რომ კოლმეურნეობის წინააღმდეგ გამოვედო? — ჰკითხა შეშფოთებული კილოთი მისამ.

— არაფერს. შენ ღარიბი გლეხი ხარ, რისი გემინია... ან კი რა სთქვი?... სულ ორიოდ სიტყვა-შიტვო უქამოფილოდ სეიდიუმა და მიმავალ მისას ხელი სტაცა.

— მოიცა... სოფლის საბჭოში, მისა საქმე წავაგეთ... სოფლის საბჭომ მხარი დაუჭირა კოლმეურნეობას. მაგრამ ეს არაფერია, არის სხვა გზა, სადაც ისინი კისერს მოიტეხენ... ხომ ვაგონე, მალე მოიწვევენ სოფლის ყრილობას, რომელზედაც დაისმება საკითხი კოლმეურნეობის შესახებ. აი, იმისათვის უნდა მოვემზადოთ. საქმე ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ ყრილობამ უარყოს კოლმეურნეობა... ხომ გაიგე?..

სეიდიე ჯარასავით ტრიალებს. კომკავშირის უჯრედის მუშაობის შესახებ ვაქიშვილი ყველაფერს ეუბნება, სეიდიე კომპერტურებაში გაერთიანების მსურველ ქალებსა და კაცებს ერთად დამუშავებს და 40-მეტრიანი სანისის ვადა-ხურვით აშინებს. გარდა ამისა მან ყრილობის წინ მოწინააღმდეგეთა გვერდი თხილიანში მიტრეხულ ფარულ ადგილას შეკრება, კრებას ესწრებოდა მღვდელი სელიმი, მოლა ესიფი, დაიკვანი, საბაყი, მისა, ყელაშათი და ყაზილბაჯი. კრების გახსნისას მიწვივის მკითხავე ქალი ყვირითხანი. სეიდიეს სიტყვები, რომ მოისმინა მისა კომპერტურების მხარეზე დადგა და სიტყვა შეაწყვეტინა სეიდიეს.

— „თქვენ კომპერტურებში კარგი გამოდგეს?... ჯერ ზომ არ ვითვით“ მისას ყველა შეესია მერუხეად მონათლეს. ის ყაზილბაჯმა გააფრთხილა ვინც ყოყმანს დაიწყებს და გვილატებს მას ტყვიას ვარტყამთ შუბლშია. არალეგალურ კრებაზე შეთანხმდნენ, რომ ქელებში შეკრებილ გლეხებზე გაეწიათ აგროცია. თავის დასაფარავად კრების მონაწილენი ყრილობაზე არ უნდა გამოსულიყვნენ, არამედ სხვებს ელაპარაკნათ კომპერტურების წინააღმდეგ. მარჩიელის რჩევით ისინი სოფლებშიც დაძროდნენ და შეითანხმეს კიდევ რამდენიმე გლეხი, მაგრამ არც ბოლშევიკებს ეძინათ. მათ შიხაჩხატას ყრილობის მომზადება როდესაც სოფლის ყრილობა გახსნეს და ამ ვაგებატონთა გადაბრბეული გლეხობა წინააღმდეგ გამოსასვლელად მოეშადა ამ დროს მინდვრად გამოინდა ტრაქტორი რომელსაც, ამავე სოფლის მცხოვრებ ოზაპატის შვილი მარ-თაფლა. ყრილობის მონაწილენი ჯერ კიდევ უნახავ ტრაქტორს შემოესივნენ. ტრაქტორისტმა ღიღს ხელი დააპირა, ტრაქტორმა შეპყვირა, სასსავეთიანი გუთანი დრმად ჩაიჭრა მიწაში და ბელტბეატზე გადმოაბარდა. გლეხები ვანკოფრებულად დარჩნენ. ყრილობამ მხარი დაუჭირა კომპერტურების შექმნას. მოწინააღმდეგეები დამარცხდნენ. სეიდიემა ხაბაშის, ტრაქტორის წყობიდან გამოყვანა დაავალა, მაგრამ ამჯერად ხაბაშმა ეს აღარ შეუძერულა, სეიდიეს სახლიდან გაიქცა და იგი კომპერტურებაში მიიღეს. ხაბაშმა ჩქარა გამოტყდა პირველ დენამაულში. ჭაობიდან გუთანი ამოიღეს, ყველაფერი გაიკრევა. სეიდიემა ვერ მოასწრო ხიკუჩის კოსტა ვაჭარზე გათხოვება. სეიდიეს ქალს ხაბაში უყვარდა და ფარულად წერაქითხავა კი ასწავლა ამ შუყვებს. ხიკუჩმა მამა და ძმაც ცხილა. ძმა კომპერტორიდან გარაკცხეს, ხიკუჩი ალაღად გახუცა ხაბაშს და კომპერტურებაში მუშაობა დაიწყო. მისამ ყველაფერი თქვა: სეიდიე, მღვდელი სელიმი, ყაზილბაჯი, დაიკვანი, მოლა ესიფი, ყელაშათი, საბაყი, მარჩიელი ყვირითხანი დააპტირეს.

— „დამეხსენ, სეიდიე რას ჩამაკვიდრ? შთელი საუკუნეები გაიშუბული ვაყავით. ხომ ვერ გაერქმდებით ახლაც, როცა სწავლიან ვაგებდით? — სთქვა ჭაბულუხმა და განაგრძო ქეცეკი სეიდემა გაბურებისაგან. ჩვენი მოთინებლან გამოვედით და აი, ყიზილბაჯი, დავამსხვრიეთ თქვენი ნაფი... ავაგეთ ახალი ნაფი, და მივეტრახეთ კარგი ცხოვრებისაგან. თქვენ მზახხარო ჩაძირეთ ჩვენი ნაფი, მაგრამ ვერ შესძლებთ ამას...“ (გვ. 43—44).

მოთხრობაში კარგადაა დახატული გმირების ინტიმური ცხოვრება, მათი ვარტყვები, ენებანი და სასუფვარელო ურთიერთობანი. კომკავშირმა გამოაწრო ხიკუჩი, რომელმაც თვალა აუხილა დიან ხაბაშსა. შემდეგ თეთობა მონახა სახლიდან გაქცეული შუყვისი და უამბო მას რომ ძალას ატანდა და გამოყოლიდა ეპარ კოსტას და შეველა თხოვა ხაბაშს. ხაბაში დიდხანს ვერ მიუხედა.

— ხი ჩ ვაგიყვა. თემირის შორეულ ნათესავებთან, არ იქ დაჩხებო... მეგრე... მეგრე... გამონდებდა ვ... ქრონტე... შეგიყვარდება... დაიწყო ხაბაშმა... ჩის შეაფრკოლა.

— არა, ხაბაშ... თან დაეჩხებო... შენ შთავთხოვდება...“

მოთხრობაში გვხვდება ზოგიერ ი შეუსაბამობანი.

თემირმა, ეზოში ხესთან გუთანი, რა... დაინახა ტყისაგან გზას მიჰყვა, მაგრამ კვალი დაკარგა, რადგან მიწაზე ბევრი ფოთოლი ეყარა... „თემირი უყავდ გადმოტრა და ხელახლა მიიბრინა იმ ადგილთან, სადაც დაობლებული ჯაქვი ედლო. მეგრ ამოიღო რვეოლვერი და სამჯერ გაისროლა“ (გვ. 100). მხელი დასაჯერებელია, რომ თემირს რვეოლვერი ჰქონოდა.

მე-103 გვერდზე ვეცნობით, რომ გარდაცვლილი შექვას სასუფვლის დასამკვიდრებლად ლოცვად მიმავალი მღვდელი სელიმი შეხვდა სეიდიეს, რომელმაც დაიწყო ბოლშევიკების განება. სეიდიე აცნობს მას რომ სოფლის საბჭოს წევრია. მღვდელი და სეიდიე სხვებთან ერთად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და შეუძლებელია მას არ ცოდნიყო, რომ სეიდიეს საბჭოს წევრი იყო, რადგან მთელი ეს ბანდა სეიდიეზე, კარგორც საბჭოს წევრზე იმდენ ამყარებდნენ.

გადაკარბებულია მე-129 გვერდზე ლანძღვა-გინების დიალოგები კომკავშირლებსა და უპარტიოთა შორის, რადგან პარტოზგანიზაციის მდივანს კუბრის დაშორე საზოგადოება პარტიას სცემდა და სეიდიეს ამ საქმეში ჩარევის გარეშე მას სიტყვას არ შეაწყვეტინებდნენ და სხვ.

სამსონ ჭანბას მოთხრობა „სეიდიე“ აფხაზურა ლიტერატურის თვალსაზრისწინა ნაწარმოებია. სახელწოდებით გამოიქვლილამ ამ წიგნის თარგმნითა და გამოცემით კარგი საქმე ვაყავით.



ახალი წიგნები

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა „საბავთა საქართველო“

- ვ. ი. ლენინი — კლტრისა და ხელოვნების შესახებ. პ/მე. გამოშვებისათვის წიგნი, გვ. 665, ფასი 10 მან.
- გ. საყვარელიძე — გ. ვ. პლესნიკის „შრომის განთავსულების“ მეორე რედ. ი. ყიფიანი, გვ. 140, ფასი 3 მან.
- ა. გუჯანია — მიხეილ დავითაშვილი — რედ. ნ. ნარმაია, გვ. 58, ფასი 2 მან. 60 კაპ.
- ვასილ ბარნოვი — მიხეილატებია ვოგონას. რედ. შ. სულაბერიძე, გვ. 100, ფასი 1 მან. 30 კაპ.
- გრიგოლ აბაშიძე — ლაშარელა. რედ. შ. სულაბერიძე, გვ. 328, ფასი 12 მან. 80 კაპ.
- ოთარ ბელიძე — ორი პოემა. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 101, ფასი 2 მან. 25 კაპ.
- მიხეილ მარცვლიშვილი — მოსაღონელი დასასრული. რედ. ირ. არაბული, გვ. 40, ფასი 85 კაპ.
- სერგეი ანტონოვი — მოთხრობა. თარგ. მ. ბაკურაძისა. რედ. ე. ზუბიანი, გვ. 136, ფასი 1 მან. 80 კაპ.
- ვახტანგ ბერიძე — სამცხის ხეროთმოდერული ძეგლები. რედ. კ. ელიაშვილი, გვ. 32, ფასი 6 მან. 20 კაპ.
- სიმონ წერეთელი — შეხვედრა ტარიხანში. რედ. მ. ბაკურაძე, გვ. 142, ფასი 1 მან. 25 კაპ.
- გივი ძნელაძე — ლექსები. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 112, ფასი 1 მან. 20 კაპ.
- ილია არიხია — ნაბერძნული. რედ. კ. ბობოხიძე, გვ. 88, ფასი 1 მან. 10 კაპ.
- პაბლო ნერუდა — ლექსები. თარგმანი მ. შაქაძისა. რედ. ა. სულაბერიძისა და გ. ძნელაძის. რედ. კ. ქილაჯიანი, გვ. 140, ფასი 4 მან. 10 კაპ.
- ა. ზოქოლია — მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა სასამართლოში. რედ. ე. ვაშაძე, გვ. 72, ფასი 1 მან.
- ა. ბუნდუკია — მუხილუბა. რედ. პ. კაპაჩავა, გვ. 607, ფასი 9 მან. 20 კაპ.

საბავთაში

- ი. პლიშკა — ცეკები. რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 30, ფასი 3 მან. 40 კაპ.
- ი. იაშვილი — თარგ. შოფერი. რედ. ვ. მიძიგური, გვ. 14, ფასი 3 მან. 40 კაპ.
- ლ. ტოლსტოი — სამი დღე. თარგმნი. თ. ბებურიშვილისა. რედ. ვ. მიძიგური, გვ. 15, ფასი 2 მან. 80 კაპ.
- ფრიდრიხ შილერი — ტრანსლაცი — თარგმანი ვახტანგ ბეწუკელის. რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 143, ფასი 5 მან.
- ემელიან ქერდიანი — მანანას წიგნი, რედ. ა. შენგელა, გვ. 65, ფასი 2 მან.
- გ. ზუბანიანი — მომღერალი ბიჭი. რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 46, ფასი 2 მან. 10 კაპ.
- ჟორჟ სადული — ჩარლის ცხოვრება. თარგ. გ. კარბელაშვილისა. რედ. ე. კუპრაძე, გვ. 258, ფასი 12 მან.
- ქს. ცინცაძე — მანკაგებები. რედ. მ. ჯავახიძე, გვ. 23, ფასი 1 მან. 35 კაპ.
- ლ. ოსტროვერი — ნიკოლოზ შიორის. თარგ. გ. საგინაშვილისა. რედ. ელ. გოგოლაშვილი, გვ. 126, ფასი 3 მან.
- ვასილ მამულაშვილი — დიდი ფეხბურთის მოედნებზე. რედ. გ. ჯავახიძე, ელ. ყიფიანი, გვ. 310, ფასი 8 მან. 70 კაპ.
- ვ. სიტიანი — მარადიულ ქარიშხალთა დამპყრობნი. თარგ. გ. იარაღოვისა. რედ. გ. თევზაძე, გვ. 171, ფასი 3 მან. 50 კაპ.
- იოხან დრო — რედ. მ. ლებანიძე, ე. ქარელიშვილი, გ. საყვარელიძე, გვ. 152, ფასი 7 მან. 30 კაპ.

15

3360 8 8.

~~67/40~~



12/379
5/

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САҚАРТВЕЛО»